АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ИНСТИТУТ ЯЗЫКОЗНАНИЯ

А. И. Кизириа

Состав простого предложения в древнегрузинском языке

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Тбилиси — 1963

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ანტონ კიზირია

მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი—1963

4Г 499962.1
ქ 493

მონოგრაფიაში მიმოხილულია მარტივი წინადადების სახეები და შედგენილობა ძველი ქართული სამწერლობო ენის მიხედვით.

შრომის პირველი თავი მიძღვნილია შესიტყვების საკითხებისადმი, შემდეგ კი მოცემულია მარტივი წინადადების ანალიზი.

შემოკლებათა განმარტება

ა ბ ო = წანებაჲ . . ჰაბოჲსი, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს გამოცემა: ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ტფილისი, 1935.

ა დ ი შ. = ადიშის (ჰადიშის) ოთხთავი, ა. შ ა ნ ი ძ ი ს გამოცემა: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.), თბილისი, 1945.

ა ნ დ რ. მ ო ც. = შესხმაჲ წმიდისა და ყოველად ქებულისა მოციქულისა ანდრეაჲსი და თხრობაჲ მიბოსლვათა და ქადაგებათა და სასწაულთა მისთა და წაქებაჲ, რომელი შეკრიბა პირველ წერილთა მოსაჴსენებელთაგან ნიკიტა ღირსმან მონოზონმან და ფილოსოფოსმან. ხელნ. A 1103 (XI ს.).

ვისარგებლეთ დარ. ჩ ხ უ ბ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ ხელნაწერიდან გადმოწერილი პირით.

ა ნ ტ ი ო ქ. = ტიმოთე ანტიოქელი, უცნობი სირიელი მოღვაწე VIII საუკუნისა, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს გამოცემა: ენიმკის მოამბე, ტ. VII. 1940.

ა რ ი მ ა თ. = წიგნი, რომელი დაწერა იოსებ არიმათიელმან, მოწაფემან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსაჲ, და თხრობაჲ აღწერებისათჳს ეკლესიისა... ნ. მ ა რ ი ს გამოცემა, ТР. II, СПб., 1903.

ა ტ ე ნ ი ს წ ა რ წ. = ატენის სიონის წაოწერა, თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი ს გამოცემა თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბილისი, 1957.

ბ ა ლ. = ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, თბილისი, 1957.

ბ ა ს. = გალობანი წმიდისა ბასილისნი: ჩვენი საუნჯე, ტ. I, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რედაქციით, თბილისი, 1960.

ბ ი ბ ლ. ხ ე ლ ნ ა წ. = ქართული ბიბლიის ძველი ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი, ილ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოცემა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVIII, 1941.

ბ ო ლ ნ. = იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, ტფილისი, 1911.

გ ა მ. = გაბოსლვათაჲ: წიგნნი ძუელისა აღთქმისანი, ტ. I, ნაკ. 2., 1948, ა. შ ა ნ ი ძ ი ს გაძოცემა.

გ ა მ ო ც ხ. = იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ძ ა ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, 1961.

გ უ ლ ა ნ დ. = სიწმიდ და მოღუაწებაჲ ნეტარისა გულანდუხტისი სპარსეთს, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს გამოცემა: კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, 1955.

დ ა ბ. = დაბადებისაჲ, ნ. გ ა მ.

ე ს ა ი ა = წინაწარმეტყუელებაჲ ესაიაჲსი, ნ. გ ა მ.

ვ ე რ ს. = ქართული ვერსიები აპოკრიფების მოციქულთა შესახებ (IX-XII სს. ხელნაწერთა მიხედვით). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე მ, თბილისი, 1959.

ხ ა რ ხ მ. = ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ სერაპიონ ხარხმელისაჲ, კ. კ ე კ ე ლ ი-

ძ ი ს გამოცემა: ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ტფილისი, 1935.

ლ ე კ ლ. = მარტყლობაჲ თეკლაჲსი, ილ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოცემა: ენიმკის მოამბე, VIII. 1941.

თ ო მ ა ს ს ა ხ. = თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტი და მისი გაუგებარი ადგილები, ა. შ ა ნ ი ძ ი ს გამოცემა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XVIII, 1941.

თ უ შ უ რ ი = ო. ე თ უ რ გ ა ი ძ ე, თუშური კილო, ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, თბილისი. 1960.

ი ო ბ. = წიგნი მეცხრე იობისი, ნ. გ ა მ.

ი = იოვანე, ნ. ა დ ი შ.

ი პ ო ლ. = იპოლიტე, თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲ, ნ. მ ა რ ი ს გამოცემა, TP. III СПб., 1901.

ი ს ტ. კ რ. = ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, V-X საუკუნეების ძეგლები, გამოსცა და ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ მ ა ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, თბილისი, 1953.

კ ა თ. ე პ ი ს ტ. = კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები X-XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა კ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, თბილისი, 1956.

კ ი მ. I = კიმენი, ქართული ჰაგიოკრაფიული ძეგლები, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს გამოცემა, ტ. I, ტფილისი, 1918.

კ ი მ. II = კიმენი, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს გამოცემა, ტ. II, თბილისი, 1946.

კ ო ლ. წ ა მ. = წამებაჲ ყრმათა წმიდათაჲ, რიცხჳთ ცხრათაჲ.., ნ. მ ა რ ი ს გამოცემა, TP. V, СПб., 1903.

ლ = ლუკა, ნ. ა დ ი შ.

ლ ე ვ ი ტ. = წიგნი მესამე ლევიტელთაჲ, ნ. გ ა მ.

ლ ი მ ო ნ. = იოანე მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ, თბილისი, 1960.

ლ ი ტ. ურ თ. = ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, სომხური და ქართული ლიტერატურული ურთიერთობა IX-X საუკუნეებში, გამოკვლევა და ტექსტები, თბილისი, 1944.

ლ ი ტ. კ რ ე ს ტ. = ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბილისი, 1946.

მ = მათე, ნ. ა დ ი შ.

მ ა მ. ს წ. = მამათა სწავლანი X და XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, თბილისი, 1955.

მ ე გ რ. ტ ე ქ ს ტ. = И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, СПб., 1914.

მ ო ც. = საკნე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, თბილისი, 1950.

მ რ = მარკოზ, ნ. ა დ ი შ.

მ რ ა ვ ა ლ თ. = მრავალთავი, ილ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოცემა: ენიმკის მოამბე, ტ. XIV, 1945.

მ ს ა ჯ. = წიგნი მეშჯდო მსაჯულთაჲ, ნ. გ ა მ.

Опис. = Н. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, Л., 1940.

ალბ. = ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, შეადგინა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1949.

პარხ. = პარხლის ოთხთაეი, ნ. ადიშ.

ანტ. რავ. = ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა ანტონი რავაბისი, ი. ყიფშიძის გამოცემა, XB, II, СПб, 1913.

რიფს. = წამებაჲ წმიდისა რიფსიმესი და გაიანესი და მოყუასთა მისთაჲ, გამოსცა ილ. აბულაძემ: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, თბილისი, 1960.

რუთ. = წიგნი მერეწ რუთისი, ნ. გამ.

საბა ას. = ცხორებაჲ საბა ასურისაჲ, ს. ჯანაშიას გამოცემა: არილი, ტფილისი, 1925.

ას. პ. = ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, პ. ინგოროყვას გამოცემა, ტფილისი, 1913.

სახისმეტყ. = მუცეთათჳს სახის სიტყუაჲ, ნ. მარის გამოცემა, ТР. VI. СПб., 1904.

სინ. მრავ. = სინური მრავალთავი 864 წლისა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისი, 1959.

Sin. 43 = წმიდა ეუთჳმის ცხორება (X ს.). ვისარგებლეთ დარ. ჩხუბიანიშვილის მიერ ხელნაწერიდან გადმოწერილი პირით.

Sin. 52 = 1. ცხორებაჲ წმიდისა მამაჲსი (გვ. 1-51);
2. ცხორებაჲ ქსენეფორესი და ოქალაკობაჲ მისი (გვ. 52-99). ვისარგებლეთ თამ. ზურაბიშვილის მიერ ხელნაწერიდან გადმოწერილი პირით.

სპევს. = წამებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ სპევსიპჱსი, ელასიპჱსი და მელასიპჱსი სოფელსა კაბადუკიელთასა, გამოცემული ნ. მარის მიერ: Записки Восточного Отделения Русского Археологического Общества, т. XVII, ნაკვ. 2-3, 1906.

ფსალმ. = ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII საუკ. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მზეჭალა შანიძემ ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1960.

ქართ. დიალექტ. = ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე — ქართული დიალექტოლოგია, I, დიალექტთა განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თბილისი, 1961,

ქრისტ. მარტ. = თთუესა ივლისსა კგ წამებაჲ წმიდისა ქრისტინაჲსი, კ. კეკელიძის გამოცემა: ეტიუდები ძველი ქართული ლიტ. ისტორიიდან, III. თბილისი, 1935.

ქრისტ. წამ. = წამებაჲ წმიდისა ქრისტეფორესი..., კ. კეკელიძის გამოცემა: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959.

შუშ. = იაკობ ცურტაველი, მარტჳლობაჲ შუშანიკისი, ილ. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1938.

ცხორ. = გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, თბილისი, 1946.

ცხ. დ ა ვ თ ქ. = ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ...: ჩვენი საუნჯე, ტ. I, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რედაქციით, თბილისი, 1960.

ძვ. ქ ა რ თ. ქ რ ე ს ტ. = ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ, ტფილისი, 1935.

წ ა რ ტ ყ. = წარტყუენაჲ იერუსალჵმისაჲ, თქუმული ნეტარისა სტრატიკი მონახონისაჲ, ნ. მ ა რ ი ს გამოცემა, TP. IX. СПб., 1909.

ჰ ი ლ. - ე ტ რ. = „ჰილ.-ეტრატის იადგარი". ვისარგებლეთ არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი ს და ალ. ჯ ი შ ი ა შ ვ ი ლ ი ს მიერ ხელნაწერიდან გადმოწერილი პირით.

ჰ ი ნ ჰ. - ხ ე ვ ს. = ალ. ჰ ი ნ ჰ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი, ტექსტებითა და ინდექსით, თბილისი, 1960.

ხ ა ნ მ. ტ ე ქ ს ტ. = სანმეტი ტექსტები, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, 1922-1923.

ხ ა ნ მ. ლ ე ქ ც. = ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპიური რეპროდუქცია, შ ა ნ ი ძ ი ს გამოცემა, თბილისი, 1944.

ხ ა ნ მ. მ რ ა ვ ა ლ თ. = ხანმეტი მრავალთავი, გამოსცა ა. შ ა ნ ი ძ ე მ: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1627.

ხ ა ნ ძ თ. = შრომაჲ და ბოლუაწებაჲ... ვრიგოლისი... ხანძთისა და შატბერდის აღმაშენებელისაჲ..., ნ. მ ა რ ი ს გამოცემა, TP. VII, СПб, 1911.

ხ ე ვ ს. = ბეს. გ ა ბ ე უ რ ი, ხევსურული მასალები ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით: ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, 1924-23.

ჯ რ უ ჭ. = ჯრუჭის ოთხთავი, ნ. ა დ ი შ.

ჭ ა ე მ. = ჭაებეტი ტექსტები, ა. შ ა ნ ი ძ ი ს გამოცემა: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923.

C = ნ. ა დ ი შ.

DE = ნ. ა დ ი შ.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

§ 1. ცნობები შესიტყვებისა და წინადადების შედგენილობის საკითხებზე ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში. ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში შესიტყვებისა და წინადადების შედგენილობის საკითხებმა ადრიდანვე მიიქცია ყურადღება. პირველი ქართველი გრამატიკოსი ა ნ ტ ო ნ ი წინადადებას განმარტავს როგორც სიტყვათა შეერთებას, რომელიც გამოხატავს აზრს[1]. იგი ემყარება ბაუმეისტერის „ლოგიკას“ და აღნიშნავს, რომ, თუ აზრი (ანტონის მიხედვით მ ო გ ო ნ ე ბ ა და გ ა ნ ს ჯ ა) არ არის, წინადადებაც არ შეიძლება იყოსო, ამიტომ წინადადებაა „იაზონ მოიკლა ფარნავაზისგან, რათა დაუყენებელადმცა მიიღოს სამეფოჲ. რომლისაცა იყო მემკჳდრე“, მაგრამ არაა წინადადება „მოიკლა სამეფოჲ თჳსისა. რათა ფარნავაზისგან მემკჳდრეჲ იაზონ დაუყენებელად“[2].

გამოყოფილია წინადადების წევრები: უ ფ ა ლ ი || მ მ უ ფ ლ ე ბ ე ლ ი || ქ ჳ ე მ დ ე ბ ა რ ე (ქვემდებარე), ზ მ ნ ა || შ ე ს მ ე ნ ი ლ ი (შემასმენელი). ძ ი ე ბ ა (დამატება, გარემოება) და გ ა ნ მ ა თ ჳ ს ე ბ ე ლ ი ს ი ტ ყ ვ ა (განსაზღვრება).

უფალი და ქვემდებარე, ძიება და დამატება-გარემოებანი, როგორც პარალელური ტერმინები, იხმარებოდა დიდხანს.

უ ფ ა ლ ი ანუ ზმნის მ მ უ ფ ლ ე ბ ე ლ ი, შეიძლება იყოს წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ში (სახელობითში), მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ს ა და მ ი ც ე მ ი თ ბრუნვებში[3].

ძ ი ე ბ ა მოიცავს ყველაფერს, რაც ზმნასთანაა დაკავშირებული. თანამედროვე გაგებით იგი უდრის დ ა მ ა ტ ე ბ ე ბ ს[4], გ ა რ ე მ ო ე ბ ე ბ ს[5] და შედგენილი შემასმენლის ს ა ხ ე ლ ა დ ნ ა წ ი ლ ს აც კი[6].

---

[1] ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ა ნ ტ ო ნ I-ის მიერ, თბილისი, 1885. გვ. 121. წინადადების აღსანიშნავად ანტონს გამოყენებული აქვს ს ი ტ ყ ვ ა. იგი, ავტორის აზრით, ერთ-ერთი მთავარი ნაწილია გრამატიკისა.

[2] იქვე, გვ. 122.

[3] იქვე, გვ. 217.

[4] იქვე, გვ. 217 და შემდეგ.

[5] იქვე, გვ. 254.

[6] იქვე, გვ. 240.

განსაზღვრების აღსანიშნავად ანტონი იყენებს გ ა ნ მ ა თ ჯ ს ე ბ ე ლ ს. გ ა ნ მ ა თ ჯ ს ე ბ ე ლ ი სიტყვა შეიძლება დაკავშირებული იყოს წამყვან სიტყვასთან შეთანხმებითაც და მართვითაც[7].

ქვემდებარე და შემასმენელი, ანტონის აზრით, შეიძლება გამოიხატოს ერთი სიტყვითაც. ასეთია მიმღეობა. მაგალითად, „მ კ უ ლ ე ლ ი გუაჩუქნებს ქუდ-მდებარესა შესმენილითურთ“[8].

რიცხვში შეთანხმება ანტონს წარმოდგენილი აქვს ოთხგვარად: 1. სახელთან ზმნისა, 2. ზედსართავი სახელისა არსებით სახელთან, 3. მიმართებითი (კულამოღებითი) ნაცვალსახელებისა წინამავალ წევრთან და 4. კითხვასთან მიგებისა[9].

ანტონს განხილული აქვს სრული და უსრული წინადადებებიც, მაგრამ უსრულ წინადადებად მას მიაჩნია დამოკიდებული წინადადება[10].

ანტონის სინტაქსური შეხედულებანი მიმოხილული აქვთ ელ. ბაბუნაშვილსა[11] და მ. მაჭავარიანს[12]. პირველს ლომონოსოვის გრამატიკასთან შედარებით, მეორეს — მე-19 საუკუნის ქართველ გრამატიკოსთა შეხედულებებთან შეპირისპირებით.

ავტორები ვარაუდობენ, რომ ანტონის მიერ სინტაქსური საკითხებიდან განხილულია სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულების საკითხი და წინადადების სინტაქსური ანალიზისათვის ამჟამად ხმარებული ცნებები (ქვემდებარე, შემასმენელი) არ მოეპოვება არც ანტონს, არც ლომონოსოვს[13], რომ ანტონი იცნობს სინტაქსური დამოკიდებულების ორ სახეს: 1. თ ა ნ ხ მ ო ბ ა ს და 2. ძ ი ე ბ ა ს (ე. ი. მართვას). დამოკიდებულების ეს ორი სახე ქმნის წინადადების მექანიზმს[14].

---

[7] ქართული ღრამატიკა, შედგენილი ა ნ ტ ო ნ I-ის მიერ, თბილისი, 1885, გვ. 239.

[8] იქვე.

[9] იქვე, გვ. 213.

[10] იქვე, გვ. 122-123.

[11] ელ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, სინტაქსი ანტონ პირველისა და ლომონოსოვის გრამატიკებში: სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი III, 1948, გვ. 41-48.

[12] მ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, XIX ს. ქართველ გრამატიკოსთა შეხედულებანი სინტაქსზე ანტონ პირველის შეხედულებებთან შეპირისპირებით: სტუდენტთა სამეცნ. შრომების კრებული, III, გვ. 48-55.

[13] ელ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 48.

[14] მ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 51.

თანხმობისა და ძიების დაპირისპირება, როგორც სინტაქსური დამოკიდებულების ორი სახისა (შეთანხმებისა და მართვისა) არაა სწორი.

ანტონის გრამატიკული შეხედულებანი ვრცელდებოდა მთელი საუკუნის მანძილზე. მისი „ქართული ღრამმატიკა“ „საფუძვლად ედო ყველა ქართულ გრამატიკას მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცე წლებამდის“[15]. მეტ-ნაკლებად ანტონის კონცეფციაა ასახული დავით ბატონიშვილის „საღრამატიკოსო ჯელოვნებაში“ (1790 წ.), იოანე ქართველიშვილის „ქართულ ღრამმატიკაში“ (1809 წ.), იესე ჩუბინაშვილის „ქართულ ღრამმატიკაში“ (დაწერილია დაახლ. 1810—1816 წლებში) და ა. შ.

დავით ბატონიშვილის „საღრამატიკოსო ჯელოვნებაში“[16] ძირითადად მორფოლოგიაა წარმოდგენილი. წინადადების წევრთაგან ნახსენებია ქუ-მდებარე და შესმენილი. აღნიშნულია, რომ ქვემდებარე შეიძლება იყოს წრფელობითში (სახელობითში), მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში[17].

იოანე ქართველიშვილის გამოუქვეყნებელ „ქართულ ღრამმატიკაში“[18] აღნიშნულია, რომ „ყოველნი ზმნანი პიროვანნი მიიღებენ ორთა სახელთა, ერთსა წინარე და მეორესა შემდგომად. მაგალითებრ: მზე აბრწყინუებს ჰაერსა. მოძღუარი ასწავებს მოწაფესა და სხვანი. ამათგანსა პირველსა სახელსა, რომელიცა დაიდების წინარე ზმნისა, ეწოდების უფალი ზმნისა, ხოლო მეორესა სახელსა, რომელიცა დაიდების შემდგომად ზმნისა, ეწოდების ძიება ზმნისა“ (§ 90).

უფალი და ძიება ანტონ პირველის მიერ დამკვიდრებული ტერმინებია. პირველი ქვემდებარეა, მეორე კი დამატება ან გარემოება. ახალი იოანე ქართველიშვილის „ღრამმატიკაში“ ისაა, რომ ქვემდებარეს პირველი ადგილი აქვს მიჩენილი, დამატებებსა და

---

[15] არნ. ჩიქობავა, სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, III, 1948, გვ. 24, შენიშვნა.

[16] საღრამატიკოსო ჯელოვნება მეფის-ძის დავითის მიერ, 1790 წ. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწ. განყოფილება, E 4, Br. 113.

[17] იქვე, გვ. 20.

[18] დაცულია ლენინგრადში, სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწ. განყოფილებაში.

ვარემოებებს (ძიებას) — უკანასკნელი. სიტყვათა სტანდარტული რიგი ასეთია: უ ფ ა ლ ი (ქვემდებარე) + ზ მ ნ ა (შემასმენელი) + ძ ი ე ბ ა (დამატება, გარემოება), თუმცა ამ რიგს ავტორი ბოლომდის არ იცავს.

„უფლად ზმნისა იქმარების ნიადაგ ბრუნტა ანუ წრფელობითი, ანუ მიცემითი და ანუ მოთხრობითიო — მიუთითებს ავტორი და თანაც დასძენს — ყველგან ქვემდებარესა და შემასმენელს შორის (უფალსა და ზმნას შორის) შეთანხმებაა რიცხვსა და პირშიო“ (§ 90)[19].

ავტორისათვის ცნობილია წინადადების სამი წევრი — ზ მ ნ ა, უ ფ ა ლ ი და ძ ი ე ბ ა. ორივე სახელი ანგარიშს უწევს ზმნას, ორივე იმ ბრუნვაშია, რომელსაც მოითხოვს ზმნა (§ 76).

იოანე ქართველიშვილს გათვალისწინებული აქვს სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის ორი სახე: 1. შეთანხმება სახელსა და ზმნას შორის რიცხვსა და პირში და 2. მართვა, როდესაც ზმნა ითხოვს სახელისაგან ამა თუ იმ ბრუნვას (§ 76).

იესე ჩუბინაშვილის ხელნაწერი „ქართული ღრამმატიკა“[20] ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში (1—26 ფურცელი) მეტყველების ნაწილთა მორფოლოგიური კატეგორიებია გარჩეული, მეორე ნაწილში კი, რომელსაც ფ ი ლ ო ს ო ფ ი ას უწოდებს, განხილულია სინტაქსის საკითხები. მასში მოქცეულია:

1. წინასიტყუაობა ფილოსოფიისათჳს და ნაწილთა მისთა (§§1—9);

2. წინასიტყუა ლოღიკისათჳს (§§ 10—12);

3. ლოღიკა (§§ 13—110).

წინადადების წევრთა ანალიზი ემყარება ლოგიკურ კატეგორიებს. ავტორი წინადადებას განმარტავს ასე: „ჰსჯა, გამოხატული ლექსთა მიერ, იწოდების წინადადებად ანუ განცხადებად“ (§ 44), ხოლო „იგი, რომლისა თჳსცა ვჰსჯით ანუ ცხად ვჰყოფთ, იწოდების ფილოსოფოსთაგან ქუემდებარედ. ხოლო იგი, რაჲცაღა იცხადების მისთჳს, იწოდების შესმენილად. ლექსი ე. ი. რომლითა შეერთება

---

[19] ავტორი დასძენს: „ზმნანი ვიცი, ვუწყი აწმყოს და ნამყოსა უსრულსა დროსა შ-ა მიიღებენ უფლად ბრუნტასა მოთხრობითსა და ძიებად—შემასმენლობითსა, მაგალითებრ: იცის მართალმან ქმნა კეთილისა...“ (იქვე, § 106).

[20] იესე ჩუბინაშვილი, ქართული ღრამმატიკა, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწ. განყოფ. C 48, Br. 112.

ანუ განყოფა მოგონებათა აღნიშნავს, იწოდების კავშირად. შ. ე. ს უ ლ ი არს უკუდავ. ამას წინადადებასა შინა ს უ ლ ი არს ქუემდებარე. უკუდავი — შესმენილი, ხოლო ლექსი ესე არს კავშირი" (§ 45).

ესაა წინადადების სამი წევრი, იგივე სამი ელემენტი მსჯელობისა — სუბიექტი. პრედიკატი და კავშირი (copula).

სიტყვათა დამოკიდებულებისა და წინადადების შედგენილობაზე გარკვეული თვალსაზრისია წარმოდგენილი ს. დოდაშვილის „შემოკლებულ ქართულ ღრამმატიკაში", რომელიც პირველად 1830 წელს გამოქვეყნდა.

ს. დოდაშვილის აზრით, წინადადებაში გვაქვს „პიროვანი ზმნა" და ორი სახელი. ამათგან „პირველსა სახელსა, რომელიცა დაიდების წინარე ზმნისა, ეწოდების უფალი ზმნისა. ხოლო მეორესა სახელსა, რომელიცა დაიდების შემდგომად ზმნისა. ეწოდების ძიება ზმნისა"[21]; მაგრამ საერთოდ „წინადადება მდგომარებს სამთა ნაწილთაგან: ქვემდებარისა, შესმენილისა და კავშირისაგან"[22], თუმცა შეიძლება ორი უკანასკნელისაგან დაგვრჩეს ერთი, „მაგალითად, ნაცვლად: კაცი არს მცხოვრები, უბნობენ: კაცი ჰსცხოვრებს"[23].

ს. დოდაშვილის გრამატიკაში მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება სიტყვათა შეკავშირებაზე. აქ შენიშნულია, რომ შესიტყვებას (ლექსთ-თხზულებას) ადგილი აქვს არსებით სახელსა და არსებით სახელს შორის, არსებით სახელსა და რიცხვით სახელს შორის, არსებით სახელსა და ნაცვალსახელს შორის ბრუნვასა და რიცხვში[24]; ასევე — შესიტყვებას ქმნიან ზმნები არსებით სახელებთან, თანდებული არსებით სახელებთან[25] და ა. შ.

თ. ჟორდანიას წინადადების წევრები დაყოფილი აქვს მთავარ და არამთავარ წევრებად. მთავარი წევრებია ქვემდებარე (ანუ უფალი) და შესმენილი (ანუ თხრობილი). ქვემდებარე ანუ უფალი ჰაზრისა საგანია, „რომელზედაც ვსჯით ანუ მოვუთხრობთ", „ხოლო რაც ითქმის ანუ მოთხრობილია საგანზე. თხრობილია ანუ შესმენილი"[26].

ქვემდებარეს ან შემასმენელს შეიძლება ახლდეს სხვა წევრებიც. მათ თ. ჟორდანია უწოდებს არამთავარ ნაწილებს ანუ დამოკი-

---

[21] ს ო ლ ო მ ო ნ დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი. თბილისი, 1961, გვ. 142
[22] იქვე. გვ 155.
[23] იქვე. გვ. 156.
[24] იქვე, გვ. 139-141.
[25] იქვე, გვ. 142-145.
[26] ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), თხზული და გამოცემული თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს აგან, ტფილისი, 1889, გვ. 33.

დებულ სიტყვებს. ისინი ემორჩილებიან წინადადების რომელიმე მთავარ წევრს — ან ქვემდებარეს, ან შემასმენელს. ამის მიხედვით წარმოდგენილია მეორეხარისხოვან წევრთა ორი ჯგუფი: სიტყვები, -რომელნიც ჰსაზღვრენ ქვემდებარესა, იწოდებიან განმმარტველ სიტყვებად, ხოლო შესმენილისა მსაზღვრელნი — დამატებითად"[27].

ავტორი ერთმანეთს ადარებს ორ წინადადებას: „ვირი გაიპარა" და „ერთი ვირი გლახაკისა კაცისა, შეჭირვებული და მჭლე, ფრთხილად გაიპარა ღამით პატრონისაგან თჳსისა ერთს მაღალს ადგილს".

აქედან პირველი წინადადება მხოლოდ მთავარი წევრებისაგან შედგება, მეორე წინადადებაში გარდა ამ მთავარი წევრებისა მეორეხარისხოვანი წევრებიცაა. ეს წევრებია განმმარტველი სიტყვები და დამატებები.

ამ წინადადებაში განმმარტველი სიტყვებია: „ერთი... გლახაკისა კაცისა, შეჭირვებული და მჭლე". განმმარტველი სიტყვების გამოცნობა ხდება კითხვების საშუალებით. კითხვა დაესმის ქვემდებარეს. ეს კითხვებია: „1. ვითარი ანუ როგორი (ვითარის, ვითარს, ვითარმა)? — ამ კითხვებით გამოცნობილი განმმარტვითი იწოდება ვითარებითად; 2. რავდენი ანუ მერავდენე?—ამათზე მიმგები სიტყვები იწოდება რაოდენობითად; 3. ვისი ანუ რისი? (ღარიბისა კაცისა) — ამაზე მიმგებნი განმმარტველნი მუდამ დაიდებიან ნათესაობითი ბრუნვად და იწოდებიან კუთვნილებითად"[28].

აქედან ჩანს, რომ, თ. ჟორდანიას აზრით, განსაზღვრება (განმმარტველი სიტყვა) შეიძლება იყოს ვითარებითი, რაოდენობითი და კუთვნილებითი.

დამატებაც სხვადასხვანაირია. ფუნქციის მიხედვით დამატებათა სამი ძირითადი ჯგუფია მოცემული. ესენია: 1. გარემოებითი დამატება, 2. საძიებო დამატება და 3. ბუნებრივი დამატება. ყველა დამატება ესაზღვრება შემასმენელს.

გარემოებითი დამატება უჩვენებს დროს, ადგილს, მიზეზს, მიზანს და გვარმოქმედებას. ეს „გარემოებითნი სიტყვანი ამისდა მიხედვით იქმნებიან: გარემოებითნი დროითნი (კითხვაზე როდის?), გარემოებითნი ადგილობითნი (სად? საით?), გარემოებით-

---

[27] ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), თხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან, თბილისი, 1889, გვ. 35.

[28] იქვე, გვ. 36.

ნი სამიზეზონი (რის გამო? რა მიზეზით?), გარემოებითნი სამიზნონი (რისთვის ან რად? მაგ. „სანადიროდ გამოვედი“) და გარემოებითნი ხატ-მოქმედებითნი ანუ გვარ-მოქმედებითნი (რა-გვარ? როგორ? რა-რიგ?)“[29].

ეს გარემოებითი დამატებები იგივე დროის, ადგილის, მიზეზის, მიზნისა და ვითარების გარემოებებია.

საკუთრივ დამატება თ. ჟორდანიას წარმოდგენილი აქვს საძიებო დამატებად და ბუნებრივ დამატებად. პირველი მოიცავს პირმიმართ დამატებებს, მეორე — პირმიუმართავ დამატებებს.

საძიებო დამატება იმ შემთხვევაში გვაქვს, როდესაც „წინადადებაში შესმენილი გვიჩვენებს მოქმედებას სხვა საგანზე გარდასულს... მაგ., „ძაღლსა სცემდენ — რძალს ასმენდენ“· „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია“[30].

„ძიება ზმნისა გამოიცნობის კითხვებითა: ვინ? რა? ვის? რას?“[31] მისი ბრუნვებია მიცემითი და შესმენილობითი[32].

ბუნებრივი დამატება არაა არც გარემოებითი დამატება და არც საძიებო დამატება. იგი თანამედროვე გაგებით პირმიუმართავი დამატებაა და გამოხატავს „ანუ საშვალებასა მოქმედებისას (რითა?), ანუ გარდაქცევასა რისამე რადმე (რად?), ანუ წართმევასა გინა მიცემასა (ვის?)“[33].

თ. ჟორდანია შენიშნავს აგრეთვე, რომ წინადადებაში წამყვანია შემასმენელი, მასზეა დამოკიდებული ქვემდებარე და დამატებითი სიტყვები, ხოლო განსაზღვრება ანგარიშს უწევს ქვემდებარეს, რადგანაც მისი ცვალებადობა დამოკიდებულია ქვემდებარის ფორმაზე. შემასმენლის უპირატესობის დასახასიათებლად ავტორი შენიშნავს: „ქართულს ენაში (წინადადებაში) მოსპობილია ორთა უფალთა (ქვემდებარისა და შესმენილისა) მონება, უცხო ენათაგან აღიარებულისა და გამეფებულია ერთი უფალი — შესმენილი, კანონმდებელი ენისა, სული და გული მისი“[34].

თ. ჟორდანიას გრამატიკაში წინადადების წევრთა კლასიფიკაციისას ნაწილობრივ მაინც შეინიშნება ანტონის გავლენა, მაგრამ წინამორბედ გრამატიკებთან შედარებით მასში უფრო სრულყოფილა-

---

[28] ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), თხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან, თბილისი, 1889, გვ. 36-37.
[30] იქვე, გვ. 37.
[31] იქვე.
[32] იქვე, გვ. 65-66.
[33] იქვე, გვ. 37.
[34] იქვე, გვ. 119.

და ღახასიათებული წინადადების წევრთა ფორმები და გამოხატვის საშუალებანი, გამოყოფილია მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები, გამოვლენილია სინტაქსური ძალა შემასმენლისა, რომელიც ერთნაირად მართავს მასთან დაკავშირებულ ქვემდებარე-დამატებებს და სხვ.

ა. ბენაშვილის „მოკლე ქართული გრამმატიკა“ მოგვაგონებს თ. ჟორდანიას გრამატიკას წინადადების წევრთა გაგების მიხედვით. აქაც წინადადების წევრების ორი ჯგუფია წარმოდგენილი. ესენია: წინადადების მთავარი წევრები (ქვემდებარე და შემასმენელი) და ამხსნელი სიტყვები (დამატებითი და განმარტებითი). დამატებითი სიტყვა შემასმენლის ამხსნელია, განმარტებითი — ქვემდებარის ან დამატებითი სიტყვისა[35].

განმარტებითი სიტყვები გვიჩვენებენ ა) რაოდენობას, ბ) ვითარებას და გ) კუთვნილებას[36].

დამატებითი სიტყვები, ა. ბენაშვილის აზრით, მოიცავენ დღევანდელი გაგებით. პირმიმართ დამატებებსაც, პირმიუმართავ დამატებებსაც და გარემოებებსაც[37].

არ. ქუთათელაძის გრამატიკის მიხედვითაც გვაქვს წინადადების მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები. მისი სიტყვით, „ქვემდებარე და შესმენილი იწოდება წინადადების თავნაწილებად“[38], ხოლო დანარჩენი — ამხსნელ სიტყვებად. ამხსნელი სიტყვებია: 1. დამატება, 2. განმარტება და 3. გარემოებითი სიტყვები[39].

აქ გარემოება უკვე არაა მიჩნეული დამატებად, როგორც ეს მანამდელ გრამატიკებში იყო დამკვიდრებული.

არ. ქუთათელაძე წარმოგვიდგენს გარემოების ხუთ ჯგუფს (დროის გარემოებას, ადგილის გარემოებას, მოქმედების გვარს, მიზეზის გარემოებას და მიზნის გარემოებას), მაგრამ აერთიანებს ყველა სახის დამატებას.

მ. ჯანაშვილის აზრით, წინადადება შედგება ქვემდებარისა, შემასმენლისა და ამხსნელი სიტყვებისაგან. ამხსნელი სიტყვებია: განმ-

---

[35] მოკლე ქართული გრამმატიკა, შედგენილი და გამოცემული ანდრია სიმ. ბენაშვილის მიერ, ტფილისი, 1894, გვ. 27-28.

[36] იქვე. გვ. 29.

[37] იქვე.

[38] პირველ-დაწყებითი ქართული გრამმატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან. ტფილისი, 1907, გვ. 2.

[39] იქვე. გვ. 4.

მარტება, დამატება, გარემოებანი და მიმართვა. იგი განიხილავს ორნაირ დამატებას — პირდაპირსა და არაპირდაპირს. არაპირდაპირი დამატება, მისი გაგებით, იგივე პირმიუმართავი დამატებაა და დაისმის „ნათესაობითსა. შემოქმედებითსა და ზმნიზედითს ბრუნვებში" და გვხვდება უთანდებულოდ და თანდებულიანად[40].

მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში ყველაზე პოპულარულია სილ. ხუნდაძის „ქართული გრამატიკა", რომლის შვიდი გამოცემა არსებობს.

ს. ხუნდაძეს გარჩეული აქვს წინადადების მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები. „ქვემდებარესა და შემასმენელს წინადადების უმთავრესი ნაწილები ჰქვია"[41], მაგრამ „წინადადებას სხვა ნაწილებიც აქვს, რომელსაც მეორე ხარისხის ნაწილები ეწოდება. მეორე ხარისხის ნაწილები სამგვარია: დამატება, განსაზღვრება და გარემოება"[42].

არაა გარჩეული პირმიმართი და პირმიუმართავი დამატებები, რის გამოც ყველა სახის დამატება ერთ ჯგუფშია მოქცეული.

ქართული ენის მეცნიერული შესწავლა წარმართა ა. შანიძის მონოგრაფიამ, რომელიც 1920 წელს გამოქვეყნდა ასეთი სახელწოდებით: „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში". ავტორმა გამოავლინა თავისებურება ქართული ენის ზმნისა, რომელიც თავის ფორმაში გამოხატავს ქვემდებარესაც და ორი სახის (სახელობითსა და მიცემით ბრუნვებში დასმულ) დამატებასაც. შრომაში განსაკუთრებით გახაზულია პირმიმართ დამატებათა სინტაქსური სიძლიერე, ზმნასთან მათი დაკავშირებისა და პირისა და რიცხვის გამოხატვის საშუალებათა. შესაძლებლობა. მარტივი წინადადების აგებულებისა და შედგენილობის საკითხები სპეციალურად თუ გაკვრით მოცემულია მისსავე მრავალრიცხოვან შრომებში, ნაწილობრივ კი „ძველი ქართული ენის" მოკლე მიმოხილვაში. რომლის პირველი გამოცემა გამოქვეყნდა 1934 წელს. წინადადების წევრთა ანალიზისათვის მნიშვნელოვანია „ქართული გრამატიკის საფუძვლები"[43].

---

[40] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1906, გვ. 135-139.

[41] ქართული გრამატიკა, სრული კურსი, სილ. ხ უ ნ დ ა ძ ი ს მიერ შედგენილი, მეოთხე გამოცემა, ქუთაისი. 1915, გვ. 26.

[42] იქვე.

[43] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1, თბილისი, 1953.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის“ სასკოლო სახელმძღვანელოს[44], რომლის მეოთხე (1948 წ.) და შემდეგი გამოცემები იმდენად სრულყოფილია, რომ სისტემატურად ქვეყნდება ორ ნაწილად. სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში მოკლედ, მაგრამ სხარტად წარმოდგენილია მარტივი წინადადების აგებულებისა და შედგენილობის საკითხები[45].

ასევე წარმოდგენილია ეს საკითხები ლ. კვაჭაძის „ქართული ენის სინტაქსში“[46], რომელიც განკუთვნილია სახელმძღვანელოდ პედაგოგიური სასწავლებლებისათვის.

1928 წელს გამოქვეყნდა არნ. ჩიქობავას „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“[47]. ქართული ზმნის თავისებურებათა შესწავლით ამ შრომაში არნ. ჩიქობავამ პირველმა მოგვცა ქართული შესიტყვების სპეციფიკა და მარტივი წინადადების შედგენილობისა და მექანიზმის ვრცელი ანალიზი. მანვე წარმოადგინა წინადადებისა და მისი წევრების გაგების საკითხში სამი ძირითადი მიმართულების — ლოგიციზმის, ფსიქოლოგიზმისა და ფორმალიზმის — ამომწურავი კრიტიკული დახასიათება.

„მარტივი წინადადების პრობლემის“ ბუნებრივი გაგრძელებაა „რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?“ რომლის IV და V თავები მიძღვნილია ახალი ქართული შესიტყვების სტრუქტურის თავისებურებებისადმი[48].

გამოკვლევაში „რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველ ქართულში?“[49] გარკვეულია სახელობითში დასმული პირდაპირი დამატების მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხები, ხოლო სახელობით და მიცემით ბრუნვებში დასმულ სახელთა ზმნასთან ურთიერთობის საკითხები ისტორიულ ასპექტში მოცემულია მისსავე შრომაში

---

[44] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი), V-VII კლ. სახელმძღვანელო, თბილისი, 1939.

[45] ა. შანიძე. ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, თბილისი, 1958.

[46] ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1958.

[47] არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველ ქართულში, ტფილისი, 1928.

[48] არნ. ჩიქობავა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? IV, ჟურნ. „კულტურული აღმშენებლობა“, № 5, 1930, გვ. 487-503; V, იქვე, № 7-8, გვ. 705-741.

[49] ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. IX, 1929.

„მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში“[50].

„მარტივი წინადადების პრობლემაში“ დასმული საკითხების შემდგომი ძიების შედეგები ჩამოყალიბებულია შრომებში: „მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, X, 1939); „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (თბილისი, 1942); „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“, I (თბილისი, 1948); II (თბილისი, 1961); „ენათმეცნიერების შესავალი“ (თბილისი, 1952, I გამოცემა გამოქვეყნდა 1935 წელს); „ზოგადი ენათმეცნიერება“, II (თბილისი, 1945) და სხვ.

1923 წელს გამოქვეყნდა ვ. თოფურიას შრომა „სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით“[51], რომელშიც მოცემულია გარდაუვალ ზმნებთან (შემასმენლებთან) ქვემდებარის მოთხრობით ბრუნვაში დასმის შემთხვევები და იგი ახსნილია სინტაქსური ანალოგიით.

ბრუნების სისტემას, ენის განვითარების შინაგან კანონებს და გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვან პროცესებს მიეძღვნა მისივე შრომები: „ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით“[52], „ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში“[53], „გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში“[54].

რთული და მარტივი წინადადების ურთიერთობის საკითხებს ეხება მისივე „რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივი წინადადებით შენაცვლებისათვის ქართულში“[55].

---

[50] არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, I: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 1-2; II, იქვე, № 6, 1941.

[51] ჩვენი მეცნიერება, 1923, № 1, გვ. 113-121.

[52] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 3, 1944.

[53] იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, 1953.

[54] იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, 1954.

[55] ვ. თოფურია, მშობლიური ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში, III, რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივ წინადადებით შენაცვლებისათვის ქართულში: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, კრებული X-XI, 1960, გვ. 3-26.

მარტივი წინადადების წევრებია განხილული ი. იმნაიშვილის შრომებში: „შედგენილი შემასმენელი ქართულში“[56] და „ძველ ქართულში დროის გარემოების გამოხატვის ზოგიერთი საშუალებისა და „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის წაკითხვისათვის“[57]. არაერთი საკითხია წამოყენებული და გაშუქებული მისსავე ვრცელ მონოგრაფიაში[58].

ბრუნვათა ფუნქციებთან დაკავშირებით წინადადების წევრების დახასიათება მოცემული აქვთ ა. შანიძეს, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, ივ. იმნაიშვილს, თ. შარაძენიძეს, არ. მარტიროსოვს და სხვებს[59], ხოლო წინადადების თუ მისი წევრების ცალკეულ საკითხებს ეხებიან თავიანთ შრომებში კ. დონდუა, გ. როგავა, სტ. ჩხენკელი, ც. კალაძე და სხვები.

ძველი ქართული ენის საკითხები არაერთხელ ყოფილა საზღვარგარეთელ სპეციალისტთა (ჰ. შუხარდტი, გ. დეეტერსი და სხვ.) კვლევის საგანიც. მაგრამ ძირითადად ეს კვლევა მიმართული იყო სახელის თუ ზმნის თავისებურებათა ასახსნელად. სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის მიმოხილვის ცდა მოცემული აქვს ფ. ცორელს[60], მაგრამ მისთვის, როგორც ჩანს, ხელმიუწვდომელი იყო დადგენილი და სანდოდ გამოცემული ტექსტები, რამაც განსაზღვრა კვლევის შედეგებიც. რომ არაფერი ვთქვათ რიგ მცდარ დებულებებზე (ამაზე აღნიშნულია ლიტერატურაში).

ფრანგი მკითხველებისათვის ნ. მარმა მ. ბრიერთან ერთად გამოაქვეყნა „ქართული ენა“[61]. მასში პარადიგმებთან ერთად სინტაქსის საკითხებს საკმაო ადგილი უკავია (გვ. 227—546).

---

[56] პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1948.

„კომუნისტური აღზრდისათვის“, № 2, 1957.

[58] ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957.

[59] სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, ვ. თოფურიას რედაქციით, თბილისი, 1956.

[60] F. Zorell, Grammatik zur altgeorgischen Bibelübersetzung, Roma, 1930, გვ. 27—28 და შემდგ.

[61] Marr N. et Briere M., La langue georgienne, Paris, 1931.

ძველი ქართული ენის კვლევის საქმე ასე მაღალ დონეზე ვერ იქნებოდა, რომ არ გვქონდეს სანდოდ დადგენილი და გამოქვეყნებული ძეგლები. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით ნ. მარს, ივ. ჯავახიშვილს, ა. შანიძეს, კ. კეკელიძეს, ილ. აბულაძეს, ი. ყიფშიძეს, ივ. იმნაიშვილს, მ. შანიძეს და სხვებს.

ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა მონოგრაფიულად დამუშავებულიყო მარტივი წინადადების სახეები და შედგენილობა ძველ ქართულში.

თ ა ვ ი ა ი რ ვ ე ლ ი

შ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ა

§ 2. შესიტყვების შესწავლის ისტორიისათვის. შესიტყვება არის მარტივი სინტაქსური ერთეული. იგი მოიცავს გრამატიკულად შეწყობილ ორ ან მეტ სრულმნიშვნელოვან სიტყვას, რომლითაც გადმოცემულია მსჯელობა ან მსჯელობის ნაწილი.

შესიტყვების შესწავლას დიდი ხანია ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ მისი სტრუქტურის ანალიზი და გაგება სხვადასხვანაირად აისახა სხვადასხვა საენათმეცნიერო მიმდინარეობის წარმომადგენელთა შრომებში.

მ. ლომონოსოვის „Российская грамматика"-ში, რომელიც გამოქვეყნდა 1755 წელს, მართვა-შეთანხმების საკითხები მოცემულია მეტყველების ნაწილთა ურთიერთობის მიხედვით. აქ არის მსჯელობა სახელთა შეკავშირების, ზმნათა შეკავშირებისა და დამხმარე ნაწილთა შეკავშირების შესახებ, მაგრამ შესიტყვებაზე, როგორც სინტაქსის ერთეულზე, ლაპარაკი არ არის.

1753 წელს დაიწერა და 1767 წ. შესწორების შემდეგ სრულყოფილი გახდა ანტონ პირველის „ქართული ღრამმატიკა", რომელშიც მართვითა და შეთანხმებით გამოხატული სიტყვათა ურთიერთობის საკითხები ვრცლადაა მიმოხილული[1].

სინტაქსის ობიექტად შესიტყვებას თვლიდა ა. ვოსტოკოვი, რომელიც სამართლიანად ითვლება რუსული მეცნიერული გრამატიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად. მის „რუსული ენის გრამატიკაში" სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის რიგი მოვლენებია გათვალისწინებული. მისი აზრით, სინტაქსი გრამატიკის ნაწილია და გვიჩვენებს წესებს, რომლის მიხედვითაც ერთდებიან სიტყვები მეტყველებაში[2].

---

[1] ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, თბილისი, 1885, გვ. 213-284.

[2] А. Х. Востоков, Русская грамматика... СПб., 1835, გვ. 219. აქ პირველად იყენებს იგი „შესიტყვებას".

სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის საკითხები გათვალისწინებულია თ. ბუსლაევისა და ა. პოტებნიას ენათმეცნიერულ სისტემაში[3]. მაგრამ მათ შესიტყვება არ მიუჩნევიათ სინტაქსური მეცნიერების დამოუკიდებელ ერთეულად.

ფ. ფორტუნატოვის აზრით, შესიტყვება შეიძლება იყოს გრამატიკული და არაგრამატიკული. აქედან პირველი გულისხმობს სიტყვათა ისეთ შეერთებას, როდესაც საგანთა ურთიერთობა გამოხატულია გრამატიკულად, აფიქსების საშუალებით, მაგ., „ფრინველი ფრინავს“.

შესიტყვებაში შეიძლება შედიოდეს ქვემდებარე და შემასმენელი. ამის მიხედვით მან მოგვცა დასრულებული და დაუსრულებელი შესიტყვებები. დასრულებულ შესიტყვებად მან მიიჩნია ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობაზე დამყარებული შესიტყვება, რომელიც, ამავე დროს, წინადადებაა; ხოლო, თუ შესიტყვებაში არაა გრამატიკული ქვემდებარე და შემასმენელი, ფ. ფორტუნატოვი მას უწოდებს დაუსრულებელ შესიტყვებას. ეს უკანასკნელი შეიძლება მოგვეველინოს პირველის შემადგენელ ნაწილად[4].

ფ. ფორტუნატოვის შეხედულება დაუდო საფუძვლად თავის სინტაქსურ მოძღვრებას მ. პეტერსონმა, რომელმაც სცადა შესიტყვებიდან გამოერიცხა წინადადება და მისი წევრები იმ ვარაუდით, რომ სინტაქსის ობიექტად მხოლოდ შესიტყვება გამოეცხადებინა.

მაგრამ მ. პეტერსონი წინადადებაზე მაინც ჩერდება. მისი აზრით, წინადადება ინტონაციური ერთიანობაა. შედგენილობის მიხედვით იგი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ერთი სიტყვით (Пажар! Светает! Ваня! Эй!), შესიტყვებით (მაგ. Я пишу. Степь зазеленела. Боря болен. Здесь хорошо . .) და შესიტყვებათა შეერთებითაც[5].

---

[3] Ф. И. Буслаев, Опыт исторической грамматики русского языка, М., 1858; А. А. Потебня, Из записок по русской грамматике, ч. I—II, Харьков, 1888.

[4] Ф. Ф. Фортунатов, О преподавании грамматики русского языка в средней школе: Труды I съезда преподавателей русского языка в военно-учебных заведениях, СПб., 1904, გვ. 393-400.

ფ. ფორტუნატოვის ენათმეცნიერული შეხედულებანი დაწვრილებით მიმოხილულია არნ. ჩიქობავას შრომებში: მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 76-87; ზოგადი ენათმეცნიერება, II, 1945, გვ. 329-336, ამიტომ ამაზე აქ არ შევჩერდებით.

მ. პეტერსონმა სინტაქსის ობიექტად თავიდანვე შესიტყვება მიიჩნია და აღნიშნა: სინტაქსში შევლენ მხოლოდ წინადადებები, რომლებიც წარმოადგენენ შესიტყვებებსო[6].

ამის მიხედვით გამოდის, რომ წინადადება უნდა შეისწავლოს სინტაქსმაც (თუ იგი შესიტყვებისაგან შედგება) და მორფოლოგიამაც (თუ ცალკე სიტყვაა).

მეორე მხრივ, წინადადება რომ მივიღოთ, საჭიროა ახლდეს მას ინტონაცია. თუ ინტონაცია არ ახლავს, არაა წინადადება. ე. ი. წინადადება ემყარება შესიტყვებას, მაგრამ გვაქვს შესიტყვების გარეშეც. შესიტყვებამ წინადადება რომ მოგვცეს, მას ინტონაცია უნდა ახლდეს, მაშასადამე. შესიტყვება გვაქვს წინადადების გარეშე, წინადადება — შესიტყვების გარეშე. ამ უკანასკნელს სინტაქსი არ შეისწავლის[7].

მ. პეტერსონს შესიტყვება ესმის ფართო გაგებით. იგი მოიცავს სრულმნიშვნელოვანი ორი სიტყვის შეერთებასაც და რამდენიმე სიტყვის შეკავშირებასაც, მარტივი გავრცობილი წინადადების ჩათვლით. მისი აზრით, სინტაქსის ამოცანაა: „1. შესიტყვების ყველა ტიპის აღწერა (აღწერითი სინტაქსი), 2. შესიტყვების ტიპებისა და შესიტყვებათა შენაერთების წარმოშობის განსაზღვრა, მისი ძირითადი ფუნქციების განსაზღვრა და მათგან ყველა სხვა ფუნქციების განვითარება (ისტორიული სინტაქსი)"[8].

შესიტყვებისა და წინადადების გაგების საკითხში ფართო გავრცელება პოვა ა. პეშკოვსკის შეხედულებებმა.

---

[5] М. Петерсон, Очерк синтаксиса русского языка, Москва-Петроград, 1923. მისივე: Лекции по современн. русскому лит. языку, М., 1941, გვ. 94.

ჩვენ აქ არ შევუდგებით მ. პეტერსონის შეხედულებათა შეფასებას. მისი შეხედულებანი განხილულია არნ. ჩიქობავას მიერ. არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 117-122, აგრეთვე: В. П. Сухотин, Проблема словосочетания в современном русском языке: Вопросы синтаксиса современного русского языка, М., 1950, გვ. 127-182.

[6] Очерк синтаксиса გვ. 28.

[7] М. Н. Петерсон, Русский язык, Москва-Ленинград, 1925, გვ. 96.

[8] Очерк синтаксиса русского языка, გვ. 37.

ა. პეშკოვსკის გრამატიკის ძირითად ერთეულებად მიაჩნდა სიტყვა და შესიტყვება[9]. ამასთან დაკავშირებით ჩვენ მოგვაგონდება ჯ. რისის მიერ გრამატიკის საგნის შემოფარგვლა ბგერით, სიტყვითა და შესიტყვებით[10]. მაგრამ ა. პეშკოვსკი არ ახდენს სინტაქსის მიერ წინადადების შესწავლის უარყოფას. იგი აღნიშნავს, რომ სინტაქსი არის „გრამატიკის ნაწილი, რომელშიც შეისწავლება შესიტყვების ფორმები"[11], ხოლო წინადადება, როგორც გარკვეული სახის შესიტყვება, ემორჩილება შესიტყვების კანონს.

ფორმა აქვს სიტყვასაც და შესიტყვებასაც. ა. პეშკოვსკი ფიქრობს, რომ ეს ორი ფორმა არ ემთხვევა ერთმანეთს. აქ, უპირველეს ყოვლისა, ა. პეშკოვსკი აღნიშნავს, რომ ენაში არის სიტყვათა შეკავშირება (сочетание слов), რომელიც არაა შესიტყვება და, პირიქით, ზოგი ჩვენი შესიტყვება შედგება არა სიტყვათა შეკავშირებისაგან, არამედ სიტყვებისაგან. ამისათვის იგი იღებს ასეთ წინადადებას: И тут всем существом ему почувствовалось, что наступила, наконец, пора мысль о побеге привести в исполнение — აქედან ა. პეშკოვსკი შესიტყვებად თვლის: всем существом, ему почувствовалось, наступила наконец, о побеге, мысль о побеге, привести в исполнение, მაგრამ მისთვის არაა შესიტყვებები тут всем, существом ему, пора мысль, о побеге привести მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში სიტყვები შეკავშირებულია. აქედან დასკვნა: შესიტყვებას ქმნის არა ყოველი ორი სიტყვის შეერთება, არამედ მხოლოდ ისეთები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან აზრში, მეორე მხრივ, ისეთი შეკავშირება სიტყვებისა, როგორიცაა тут почувствовалось, наступила пора... მოცემულ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია ჩავთვალოთ შესიტყვებებად, თუმცა აზრობრივი ერთიანობა აქ უსათუოდ გვაქვს იმის გამო, რომ სიტყვები ფიზიკურად გამოყოფილია ერთმანეთისაგან[12].

ა. პეშკოვსკი შესიტყვებას განსაზღვრავს ასე: შესიტყვება არის ორი სიტყვა ან რიგი სიტყვებისა, რომლებიც გაერთიანებულია მეტყველებასა და აზრში[13].

---

[9] А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, М., 1938, გვ. 62.

[10] J. Ries, Was ist Sintax? 1894, გვ. 76.

[11] Русский синтаксис...გვ. 64.

[12] იქვე, გვ. 62.

[13] იქვე, გვ. 63.

სიტყვისა და შესიტყვების ფორმათა დასაპირისპირებლად ა. პეშკოვსკი იღებს ასეთ მაგალითებს: **хочу, читаю, сестра, книга**. მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ საკუთარი ფორმები, ასე შეერთებისას არ გვაძლევენ არავითარ განსაზღვრულ აზრს. თუ ვინმე იტყვის **хочу, читаю, сестра, книга**, ჩვენ მისგან ამოვკრებთ სიტყვებს, თითქოს მას ეთქვას хоч-чит-сестр-книг, ე. ი. სრულიად უარს ვიტყოდით ფორმებზე და ვილაპარაკებდით მხოლოდ ძირებით. ასეთივე მდგომარეობა იქნება, თუ ვიტყვით хотим читаю сестры книге მაგრამ თუ ჩვენ გვეტყვიან хочу читать сестре книгу ან хочу читать книгу сестри ან კიდევ сестра хочет читать книгу, უველაფერი გასაგები იქნება. მაშასადამე, იმისათვის, რომ რომელიმე შეკავშირება სიტყვებისა იყოს შესიტყვება, ე. ი. ჰქონდეს განსაზღვრული აზრი, არაა საკმარისი, რომ შესიტყვებაში შემავალ ყოველ სიტყვას ჰქონდეს თავისი ფორმა, არამედ საჭიროა კიდევ, რომ უველა მათ ჰქონდეთ განსაზღვრული სახე, განსაზღვრული შინაგანი და გარეგანი აგებულება და აი, ამ აგებულებას ჩვენ ვუწოდებთ ფორმას. მაგრამ არა სიტყვის ფორმას, არამედ შესიტყვების ფორმას[14].

მაგრამ სიტყვის ფორმისა და შესიტყვების ფორმის გაგება ა. პეშკოვსკის მიერ თითქმის ერთნაირია, რამდენადაც მისთვის სიტყვის ფორმა განისაზღვრება უნარით, მოლაპარაკისა და მსმენელის ცნობიერებაში გამოიყოს ბგერობრივად და მნიშვნელობის მიხედვით შემდეგი ორი სახის ელემენტი: ნ ი ვ თ ი ე რ ი და ფ ო რ მ ა ლ უ რ ი[15], ხოლო შესიტყვების ფორმა განისაზღვრება, როგორც თვისება მთელი შესიტყვებისა... გამოიყოს ბგერისა და მნიშვნელობის მიხედვით მოლაპარაკისა და მსმენელის ცნობიერებაში ორი სახის ელემენტი: ნ ი ვ თ ი ე რ ი და ფ ო რ მ ა ლ უ რ ი[16].

აქედან გამომდინარე ა. პეშკოვსკი ამტკიცებს, რომ გრამატიკის ის ნაწილი, რომელშიც შეისწავლება ცალკეული სიტყვების ფორმები, იწოდება მორფოლოგიად და გრამატიკის ის ნაწილი, რომელშიც შეისწავლება შესიტყვებათა ფორმები, იწოდება სინტაქსად[17].

ა. პეშკოვსკი აღნიშნავს, რომ შესიტყვების შემადგენლობაში შეიძლება იყოს შემასმენელი, ან შეიძლება შემასმენელი არ იყოს,

---

[14] **Русский синтаксис...** გვ. 63.
[15] იქვე, გვ. 52.
[16] იქვე, გვ. 72.
[17] იქვე, გვ. 64.

მაგრამ ჩანდეს გამოტოვებული შემასმენელი, ან იყოს მხოლოდ შემასმენელი. ასეთი შესიტყვება წინადადებაა[3]; თუ ამგვარი შესიტყვება ორი ან რამდენიმეა, იგი რთული შენაერთია, ანუ რთული წინადადებაა[18].

ა. პეშკოვსკი ისევე, როგორც ფ. ფორტუნატოვი, მ. პეტერსონი და სხვები, გამოყოფს დაქვემდებარებული შესიტყვების გვერდით თანწყობილ შესიტყვებას. მასში შედის 1. ისეთი შეკავშირება, რომელიც შედგება „მიმატებისა“ (приложение) და იმ სიტყვისაგან, რომელსაც „მიმატება“ ერთვის და 2. ისეთი შეერთება, რომელიც შედგება შერწყმული წინადადების ერთგვარი წევრებისაგან[19].

ამგვარად, ა. პეშკოვსკის სინტაქსური მოძღვრების მიხედვით:

1. შესიტყვება სინტაქსის ობიექტია. იგი მოიცავს ორ ან მეტ სრულმნიშვნელოვან სიტყვას, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია თანწყობით ან დაქვემდებარებით. პირველი გულისხმობს შესიტყვების ისეთ ფორმას, როდესაც კომპონენტები შეერთებულია უკავშიროდ ან კავშირით და იმყოფებიან თანაბარუფლებიან დამოკიდებულებაში, მეორე ისეთი შესიტყვებაა, სადაც ერთი სიტყვა მთავარია, მეორე — მასზე დამოკიდებული, რომელიც უკავშირდება მთავარს შეთანხმებით, მართვით ან მირთვით.

2. შესიტყვების კომპონენტი შეიძლება იყოს მთავარი ან მეორეხარისხოვანი წევრი. სხვანაირად რომ ვთქვათ, შესიტყვებას გვაძლევენ წინადადების მთავარი წევრები. მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები ან მხოლოდ მეორეხარისხოვანი წევრები.

3. შესიტყვება შეიძლება მოიცავდეს მარტივ, შერწყმულ ან რთულ წინადადებასაც კი.

ა. შახმატოვი შესიტყვებად თვლის ყოველგვარ გრამატიკულ ერთიანობას. გრამატიკული ერთიანობა კი არის ისეთი შეერთება სიტყვებისა, როდესაც სიტყვები ერთმანეთთან დაკავშირებულია გრამატიკულად[20].

გვაქვს დასრულებული და დაუსრულებელი შესიტყვება იმის მიხედვით, მონაწილეობს თუ არა მასში შემასმენელი. დასრულებული შესიტყვება ეფარდება წინადადებას, დაუსრულებელი კი არაა წინადადება. დასრულებულ შესიტყვებაში გამოიხატება გრამატიკული კავშირი ქვემდებარესა და შემასმენელს შორის. მაგრამ მოძღვრე-

---

[18] Русский синтаксис... გვ. 185.

[19] იქვე, გვ. 83—84.

[20] А. А. Шахматов, Синтаксис русского языка, Ленинград, 1941, გვ. 36.

ბა შესიტყვების შესახებ განიხილავს მხოლოდ დაუსრულებელ შესიტყვებას, რამდენადაც დასრულებული შესიტყვება, როგორც წინადადება, ცალკე შეისწავლება. ამგვარად, აღნიშნავს ა. შახმატოვი, შესიტყვების სინტაქსი უმთავრესად ეხება წინადადების მეორეხარისხოვან წევრებს და არკვევს მათს დამოკიდებულებას მთავარ წევრებთან ან მათს ურთიერთს დამოკიდებულებას[21].

ა. შახმატოვი მიუთითებს, რომ შესიტყვებაში გვხვდება გაბატონებული და დამოკიდებული სიტყვები. ამასთან ერთად აღმოჩნდება, რომ შესიტყვების შემადგენლობაში რამდენიმე გრამატიკულ ერთიანობაში ერთი გაბატონებულია, მეორე — დამოკიდებული. წინადადება В нашем саду на высоких деревьях ближе к пруду свили себе гнёзда какие-то прелестные птички იყოფა ორ შესიტყვებად: 1. в нашем саду на высоких деревьях ближе к пруду, свили себе гнёзда და 2. какие-то прелестные птички პირველი შესიტყვება იყოფა ოთხ გრამატიკულ მთლიანობად: 1. в нашем саду, 2. на высоких деревьях, 3. ближе к пруду, 4. свили себе гнёзда. აქედან გაბატონებულია უკანასკნელი გრამატიკული მთლიანობა, ვინაიდან წინამავალი სამი მასზეა დამოკიდებული. წინადადების მთავარ წევრებად აღმოჩნდებიან გაბატონებული შემადგენლობის გრამატიკული მთლიანობის გაბატონებული სიტყვები[22].

შესიტყვების სტრუქტურის შესწავლა ა. შახმატოვის მიხედვით ემსახურება წინადადების შესწავლას, ამიტომაც ამბობს იგი: მოძღვრება წინადადების შესახებ, ერთი მხრივ, და მოძღვრება შესიტყვების შესახებ, მეორე მხრივ, ამოცანად ისახავენ შეისწავლონ წინადადების შემადგენლობაში შემავალი ყველა ელემენტი: დასახელებული მოძღვრებიდან პირველი ჩერდება დასრულებულ შესიტყვებაზე, მეორე — დაუსრულებელ შესიტყვებაზე[23].

ამგვარად, ა. შახმატოვის სინტაქსური მოძღვრების მიხედვით შესიტყვება შეიძლება იყოს დასრულებული და დაუსრულებელი.

---

[21] Синтаксис русского языка... გვ. 274.

[22] იქვე, გვ. 37.

[23] იქვე, გვ. 274. დაწვრილებით: В. П. Сухотин, Проблема словосочетания в современном русском языке: Вопросы синтаксиса совр. русского языка, გვ. 140—143; არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 101—112, ზოგადი ენათმეცნიერება, II, გვ. 336—345.

დასრულებული შესიტყვება აგებულია ქვემდებარისა და შემასმენლის სინტაქსურ ურთიერთობაზე. დაუსრულებელი შესიტყვება კი მოიცავს წინადადების მეორეხარისხოვან წევრებს და აგებულია იმ სინტაქსურ ურთიერთობაზე, რომელიც დამყარებულია მეორეხარისხოვან წევრებს შორის ან პირველხარისხოვანსა და მეორეხარისხოვან წევრებს შორის.

დასრულებული და დაუსრულებელი შესიტყვებების დაპირისპირებით ა. შახმატოვის პოზიცია ისეთივეა, როგორიც მისი მასწავლებლისა — ფ. ფორტუნატოვისა. ვ. ვინოგრადოვის სიტყვით, ა. ა. შახმატოვი არსებითად ვერ გამოვიდა ფ. ფ. ფორტუნატოვის სქემის ჩარჩოებიდან[24].

შესიტყვების საკითხებს რუსული ენის მასალების მიხედვით უკანასკნელ ხანებში რამდენიმე გამოკვლევა მიეძღვნა (ვ. სუხოტინისა, ვ. იარცევასი, ო. ახმანოვასი, ვ. ვინოგრადოვისა და სხვებისა).

ვ. სუხოტინი თავის ერცელ შრომაში „Проблема словосочетания в современном русском языке“[25] დაწვრილებით ჩერდება სხვადასხვა სამეცნიერო სკოლისა და მიმართულებათა წარმომადგენლების შეხედულებებზე. ამავე დროს განხილულია შესიტყვების სტრუქტურისა და გამოხატვის საშუალებათა საკითხები რუსულში. შრომაში ნათქვამია, რომ ზოგიერთები საერთოდ არ თვლიდნენ შესიტყვებას სინტაქსური მეცნიერების ობიექტად (ბუსლაევი, პოტებნია), მეორენი ამ ცნებაში დებდნენ სხვადასხვანაირ შინაარსს: შესიტყვებად თვლიდნენ ორი სრულმნიშვნელოვანი სიტყვის შეერთებასაც, რომელიც ეტოლება მარტივ წინადადებას (მ. პეტერსონი), სიტყვათა ყოველგვარ შეერთებასაც, მთელი გამონათქვამის ჩათვლით (ა. პეშკოვსკი), წინადადების ნაწილსაც (ა. შახმატოვი) და ცალკე სიტყვებსაც კი (ა. პეშკოვსკი)[26].

შესიტყვების ისტორია სინტაქსის ისტორიას მოგვაგონებს: მეორე შეიქმნა პირველის საფუძველზე და დაკავშირებულია II საუკუნის ბერძენი გრამატიკოსის აპოლონიოს დისკოლოს სახელთან. „აპოლონიოს დისკოლომ პირველმა მოხაზა სინტაქსის არე და ნათლად აღნიშნა ის საკითხები, რომელნიც სინტაქსს განეკუთვნებიან... მის მიერ მართვა და შეთანხმება არ არის გარჩეული, მაგრამ დადგენილია კარ-

---

[24] В. В. Виноградов, Синтаксис русского языка акад. А. А. Шахматова: Вопросы синтаксиса გვ. 118.

[25] დაბეჭდილია კრებულში Вопросы синтаксиса современного русского языка, Москва, 1950, გვ. 127-128.

[26] იქვე, გვ. 127.

დინალური მნიშვნელობის ფაქტი, სახელდობრ, რომ არსებობს გარკვეული დამოკიდებულება სიტყვათა შორის"[27].

არნ. ჩიქობავა მართებულად მიუთითებს, რომ ა პ ო ლ ო ნ ი ო ს ი ს თვალსაზრისით შესიტყვების შესწავლა იძლევა მასალას სიტყვაკვეთისათვის, მაგრამ არ არის სინტაქსი. ეს წინასწარ შემამზადებელი ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ეტაპია, მაგრამ იგი არაა ს ა კ მ ა ო სინტაქსის მაგივრობას იგი ვერ გასწევს[28].

ვ. სუხოტინი ეხება ფ. ფორტუნატოვის სინტაქსურ სისტემაში შესიტყვებისა და წინადადების გაგების საკითხს და შენიშნავს, რომ შესიტყვება მის სისტემაში არის სინტაქსის ძირითადი საგანი. წინადადება კი, როგორც შესიტყვების სახესხვაობა, გადადის მეორე რიგში და ეს ხდება იმიტომ, რომ ფ. ფორტუნატოვმა შესიტყვების ცნებაში მოაქცია ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობით შექმნილი დამოკიდებულება, რომელსაც უწოდა დასრულებული შესიტყვება და დაუპირისპირა იგი დაუსრულებელს ანუ ისეთ შესიტყვებას, რომელიც არ მოიცავს ქვემდებარესა და შემასმენელს.

ვ. სუხოტინი უარყოფს ფ. ფორტუნატოვის შეხედულებებს ამ საკითხთან დაკავშირებით იმის გამო, რომ შესიტყვებად მას (ფორტუნატოვს) მიაჩნია წინადადებაც და მისი ნაწილებიც, რასაც მივყავართ შესიტყვების გაგების მეტისმეტ გაფართოებამდის. აქედან გამომდინარე კი სინტაქსი გაგებულია, როგორც მოძღვრება შესიტყვების შესახებ და წინადადება მოქცეულია მეორე რიგში.

ავტორი ფ. ფორტუნატოვის კონცეფციას უწოდებს მექანისტურს, რადგანაც მასში „გრამატიკული" მოწყვეტილია „არაგრამატიკულისაგან". სინტაქსი გაგებულია ვიწროდ, როგორც მოძღვრება სიტყვათა შეერთების საშუალებათა შესახებ წინადადებასთან დაკავშირების გარეშე. ამან დააქვეითა სინტაქსურ მოვლენათა შინაარსობლივი ანალიზი. ფ. ფორტუნატოვის მიერ არ ყოფილა ბოლომდის გაშუქებული ისეთი პრობლემები, როგორიცაა შესიტყვება და სიტყვა, შესიტყვება და მეტყველების ნაწილები... შესიტყვების კლასიფიკაციის პრინციპები, მათი მნიშვნელობა, ხმარებულობა და პროდუქტიულობა..., თუმცა ამ საკითხებს იგი ეხებოდა[29].

---

[27] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას, III, ახალ სკოლისაკენ, №№ 11-12, 1929, გვ. 76-77.

[28] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ნარკვევი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 148.

[29] დასახელებული შრომ., გვ. 132—133.

ფ. ფორტუნატოვის სკოლა არ ყოფილა ბოლომდის ერთგვარი. შესიტყვების პრობლემის დამუშავებას დიდი მონდომებით მოჰკიდეს ხელი ფორტუნატოვის მოწაფეებმა და მიმდევრებმა, მაგრამ ისინი ან შორდებოდნენ თავიანთი მასწავლებლის მითითებებს და უბრუნდებოდნენ ა. პოტებნიას შეხედულებებს (ა. შახმატოვი), ან კიდევ ფიქრობდნენ გაეერთიანებინათ მოპირდაპირე სისტემები (ა. პეშკოვსკი), არ იყო ბოლომდის თანმიმდევრული თვით მ. პეტერსონიც[30].

ავტორი მოკლედ გადმოსცემს ჯონ რისის გრამატიკულ შეხედულებებსაც, რომელშიც გრამატიკის ძირითად ობიექტად მიჩნეულია ბგერა—სიტყვა—შესიტყვება. აქედან სინტაქსის „გმირია“ არა წინადადება, არამედ შესიტყვება, რომელშიც შედის ყველაფერი, დაწყებული ორი სიტყვის შეერთებით და დამთავრებული რთული წინადადებით[31].

ვ. სუხოტინი ასკვნის, რომ შესიტყვება არის სიტყვათა აზროვრივი და გრამატიკული მინიმალური გაერთიანება წინადადების შემადგენლობაში და ქმნის სინტაქსურ მეცნიერებაში ცალკე ობიექტს[32].

როგორია შესიტყვების შედგენილობა და სიტყვათა დამოკიდებულება? ვ. სუხოტინი ფიქრობს, რომ რუსულ ენაში განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობენ წყვილები, მაგრამ ამასთან ერთად გვხვდება სამ- და ოთხსიტყვიანი შესიტყვება, მაგ.. он из кожи лезет, работает спустя рукава, ученики будут читать... надо было перестать говорить

გვაქვს ორი სახის შესიტყვება:

1. პრედიკატული შესიტყვება, რომელიც გადმოგვცემს რაიმე ფაქტს, იგი იქმნება ქვემდებარისა და შემასმენლის შეერთებით, და 2. არაპრედიკატული შესიტყვება, რომელშიც არ შედის ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა. ასეთი შესიტყვება არ აწარმოებს წინადადებას. პრედიკატული შესიტყვება კი არის სტრუქტურული საფუძველი ანუ „ჩონჩხი“ წინადადებისა და შესაფერის შემთხვევაში თვითონ იქცევა წინადადებად.

შესიტყვების ელემენტები შეიძლება აღმოჩნდეს ერთგვარი და არაერთგვარი. პირველი სახის შესიტყვება მიიღება სიტყვათა თანწყობით და შედგება კავშირით ან უკავშირიოდ შეერთებული ერთგვარი წევრებისაგან (учитель и инженер, брат и писатель ...),

---

[30] არნ. ჩიქობავა. მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში. გვ. 136.

[31] იქვე, გვ. 133.

[32] იქვე, გვ. 151.

მეორე სახის შესიტყვებაში კომპონენტთა დაქვემდებარებაა: ერთი სიტყვა მთავარია, მეორე—მასზე დამოკიდებული, ურთიერთობა გამოხატულია შეთანხმებით, მართვითა და მირთვით[33].

ამგვარად, ვ. სუხოტინს შესიტყვების ცნება ფართოდ ესმის: იგი შედგება ორი ან მეტი სიტყვისაგან, ემყარება როგორც წინადადების მთავარი წევრების ურთიერთობას, ასევე მეორეხარისხოვანი წევრების ურთიერთობასაც, ესენი პრედიკატული და არაპრედიკატული შესიტყვებებია. სიტყვათა დამოკიდებულების მიხედვით შესიტყვების წევრები ერთმანეთის მიმართ თანასწორუფლებიანებიცაა და არათანასწორუფლებიანიც, ამის მიხედვით კომპონენტები ერთგვარებია ან არაერთგვარები. პირველი შეიცავს კავშირით ან უკავშიროდ შეერთებულ ორ ან მეტ თანასწორუფლებიან სიტყვას, მეორე კი გულისხმობს შეთანხმებით, მართვით ან მირთვით შეერთებულ სიტყვებს.

ვ. იარცევა შრომაში „Предложение и словосочетание“[34] აღნიშნავს, რომ სინტაქსის მიზანს შეადგენს შეისწავლოს სხვადასხვა რიგის სინტაქსური ერთეული. მარტივი და რთული წინადადების გამოყოფასთან ერთად ჩვენ შეგვიძლია ასევე გამოვყოთ სინტაქსურად და აზრობრივად გაერთიანებული სიტყვების ჯგუფები, რომლებიც არ ქმნიან დამთავრებულ წინადადებას[35].

შესიტყვება, მისი აზრით, წარმოადგენს ორი სრულმნიშვნელოვანი სიტყვის აზრობრივ და გრამატიკულ გაერთიანებას (მაგ. скучная книга, нести корзину). შესიტყვების ამ ძირითად სახეს აქვს თავის სახესხვაობად გაფართოებული (скучная, непонятная книга; нести корзину и пальто) და გავრცობილი (необычайно скучная книга; нести тяжёлую корзину) შესიტყვებები. დამხმარე სიტყვის შეერთება სრულმნიშვნელოვან სიტყვასთან არ ქმნის შესიტყვებას.

შესიტყვებას უნდა ჰქონდეს აზრობრივი ცენტრი და გრამატიკული ცენტრი. სხვანაირად რომ ვთქვათ, შესიტყვების ერთი სიტყვათაგანი უნდა იყოს გრამატიკულად გაბატონებული. როგორც წესი, გრამატიკული და აზრობრივი ცენტრი ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ისტორიულ ასპექტში აზრობრივ ცენტრად შეიძლება იქცეს მისი მე-

---

[33] არნ. ჩიქობავა. მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 157—160.

[34] Вопросы грамматического строя, Москва, 1955, გვ. 436—451.

[35] იქვე, გვ. 436.

ორე კომპონენტი, რომელიც ადრე არ წარმოადგენდა შესიტყვების აზრობრივ ცენტრს[36].

ვ. იარცევას მიუღებლად მიაჩნია საზღვარგარეთელი ავტორების ჯონ რისისა და ლ. ბლუმფილდის შეხედულებანი, რომელთაგანაც პირველი შესიტყვებაში აქცევს სინტაქსური ფორმების ყველა სახეს, დაწყებული ორი სიტყვის შეკავშირებით და დამთავრებული რთული წინადადებით, მეორე კი შესიტყვებად თვლის ყოველგვარი ორი ელემენტის შეერთებას, იქნება ის ქვემდებარე-შემასმენელი, მსაზღვრელი და საზღვრული, თუ ორი მორფემა.

ავტორი არ იზიარებს ფ. ფორტუნატოვის, ა. პეშკოვსკისა და სხვათა შეხედულებებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. იარცევა ფიქრობს, რომ შესიტყვებას გვაძლევს აზრობრივად და გრამატიკულად შეერთებული ორი სრულმნიშვნელოვანი სიტყვა. იგი შეიძლება გაფართოვდეს ან გავრცელდეს. გაფართოების შემთხვევაში შესიტყვებაში თავს იყრიან უკავშიროდ ან კავშირის მეშვეობით შეერთებული სიტყვები (скучная, непонятная книга; нести корзину и пальто). გავრცობის შემთხვევაში შესიტყვების კომპონენტებს ემატება დაქვემდებარებული სიტყვა. შესიტყვებას აქვს გრამატიკული და აზრობრივი ცენტრები. ეს ცენტრები ემთხვევიან ერთმანეთს, მაგრამ ისტორიულ ასპექტში გრამატიკული და აზრობრივი ცენტრები შეიძლება განცალკევდნენ: აზრობრივ ცენტრად შეიძლება იქცეს ის კომპონენტი, რომელიც ადრე ცენტრს არ წარმოადგენდა.

ი. მეშჩანინოვმა წინადადების წევრებსა და მეტყველების ნაწილებს მიუძღვნა დიდი შრომა „Члены предложения и части речи[37]". ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით აქ განხილულია „სინტაქსური ჯგუფები". ავტორი ვარაუდობს, რომ „სინტაქსური ჯგუფები" ქმნიან გავრცობილი წინადადების ძირითად მასივს[38].

სინტაქსური ჯგუფი შედგება წინადადების წევრებისაგან. წინადადებაში კი გვაქვს მთავარი, მეორეხარისხოვანი და დამოკიდებული წევრები. მ თ ა ვ ა რ ი ა ქვემდებარე, შემასმენელი და ზოგ ენაში პირდაპირი დამატებაც, მ ე ო რ ე ხ ა რ ი ს ხ ო ვ ა ნ ი ა დამატებები, დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი ა განსაზღვრება და გარემოებანი.

---

[36] დასახელებული შრომა, გვ. 450.

[37] И. И Мещанинов. Члены предложения и части речи. М.—Л., 1945.

[38] Члены предложения и части речи, გვ. 116.

სინტაქსური ჯგუფის შედგენა შეუძლია მთავარსა და მეორეხარისხოვან წევრებს, დამოკიდებული წევრები სინტაქსურ ჯგუფს ვერ ქმნიან[39].

1954 წელს გამოქვეყნდა კოლექტიური ნაშრომი „Грамматика русского языка, II, Синтаксис, ч. I“ (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამოცემა). ამ კაპიტალური შრომის ვრცელი შესავალი (გვ. 5—111), რომელშიაც ამომწურავად არის მიმოხილული შესიტყვებისა და წინადადების გაგების საკვანძო საკითხები, ეკუთვნის ვ. ვინოგრადოვს. ორი ნაწილი ამ შესავლისა ცალკეცაა დაბეჭდილი (1. Вопросы изучения словосочетаний: Вопросы языкознания, № 3, 1954, გვ. 3—24; 2. Основные вопросы синтаксиса предложения: ჯრებ. Вопросы грамматического строя. Москва, 1955, გვ. 389—435).

3. ვინოგრადოვი აღნიშნავს, რომ ზოგი ჩვენი ენათმეცნიერი შესიტყვებას მიაკუთვნებს სრულმნიშვნელოვანი სიტყვების ყოველგვარ გრამატიკულ-შეკავშირებას (მაგ., ა. დობიაში, ფ. ფორტუნატოვი. ა. პეშკოვსკი, მ. პეტერსონი და სხვები). ასე, მაგალითად, ფ. ფორტუნატოვი თვლიდა წინადადებას შესიტყვების სახესხვაობად და ამ უკანასკნელს განსაზღვრავდა ასე: „მეტყველებაში შესიტყვებას მე ვუწოდებ იმ მთლიანს, რომელიც იწარმოება ერთი სრული სიტყვის მეორე სრულ სიტყვასთან შეერთებით, იქნება ამით გამოხატული მთელი ფსიქოლოგიური მსჯელობა, თუ მისი ნაწილი“. ამ თვალსაზრისითაა განხილული ყოველგვარი შესიტყვება, მაშასადამე, ისეთიც, რომელიც წინადადებას შეესატყვისება. აქ გამქრალია შესიტყვებასა და წინადადებას შორის სტრუქტურული სხვაობა: წინადადება მიჩნეულია, როგორც მხოლოდ ფორმა ან სახესხვაობა შესიტყვებისა, ე. ი. იგი „დასრულებული შესიტყვებაა“[40]. მაგრამ შესიტყვების შესწავლა უკანა პლანზე ექცეოდა ან სულ ქრებოდა სინტაქსიდან იმ ენათმეცნიერთა შრომების მიხედვით, რომლებთანაც სინტაქსის ცენტრში იყო წინადადებისა და მისი წევრების თეორია (თ. ბუსლაევი, ა. პოტებნია, დ. ოვსიანიკო-კულიკოვსკი, ა. შახმატოვი და სხვები).

3. ვინოგრადოვი ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ შესიტყვება და წინადადება თვისობრივად განსხვავებული სინტაქსური კატეგორიებიაო[41]. იგი ყურადღებას ამახვილებს შესიტყვებასა და წინადადებას

---

[39] Члены предложения и части речи, გვ. 95—99, 116—139.

[40] Грамматика русского языка, გვ. 10: Вопросы изучения словосочетания, გვ. 3—4.

[41] Грамматика русск. языка, გვ. 11: Вопросы изучения словосочетания, გვ. 4.

შორის სხვაობის შემქმნელ მომენტებზე. უპირველეს ყოვლისა, როცა წინადადებას განვიხილავთ როგორც შესიტყვებას, ან შესიტყვებათა შეერთებას, მაშინ ჩვეულებრივ ჩამოცილებულია ინტონაცია, რომელიც წინადადების სტრუქტურის ორგანული ელემენტია[42].

შესიტყვება — წერს ვ. ვინოგრადოვი — ყალიბდება სიტყვის საფუძველზე, რომელიც მიეკუთვნება ამა თუ იმ მეტყველების ნაწილს... მოძღვრება შესიტყვების შესახებ... ჯერ კიდევ მ. ლომონოსოვის „რუსულის გრამატიკიდან“ მოყოლებული, მჭიდროდ დაკავშირებულია მეტყველების ნაწილების შესახებ მოძღვრებასთან[43].

ვ. ვინოგრადოვი განასხვავებს მარტივსა და რთულ შესიტყვებებს. მარტივი შესიტყვება ჩვეულებრივ ორსიტყვიანია. შედგება მნიშვნელობის მქონე ორი სიტყვისაგან... რთული შესიტყვება მარტივი შესიტყვების გავრცობის შედეგად მიიღება. ამასთან ერთად, ყოველი ახალი სიტყვა ან შესიტყვება, რომელიც უერთდება მარტივ შესიტყვებას, უნდა მიემატოს არა ძირითადს, გაბატონებულ სიტყვას. არამედ მთლიან სიტყვიერ კომპლექსს. მაგ., близкий друг, наш близкий друг, близкий друг Пушкина, близкий друг всего нашего семейства ...[44]

ვ. ვინოგრადოვი არ იზიარებს თეორიას ე. წ. თანწყობილი შესიტყვების შესახებ, რომელსაც ეხვდებით ჯონ რისის, მ. პეტერსონის, ა. პეშკოვსკისა და სხვათა სინტაქსურ სისტემაში. თანწყობილ შესიტყვებებს უწოდებენ „სიტყვათა სუსტ ჯგუფებს“, „ღია რიგებს“ ან „დაუხშველ თანწყობას“, როდესაც შეერთებულ სიტყვებს შორის გრამატიკული კავშირი არ არსებობს. ასეთებია: война и мир; брат и сестра; не мир, но меч; лебедь, рак да щука; униженные и оскорбленные; дёшево и сердито; виноват, а спорит და სხვა. სინტაქსური კავშირი ასეთ შენაერთებში გამოხატულია

---

[42] Грамматика русск. языка, გვ. 13; Вопросы изучения словосочетания, გვ. 5.

[43] Грамматика русск. языка, გვ. 13; Вопросы изучения словосочетания. გვ. 6.

[44] ჯონ რისი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც წინადადება გამიჯნა შესიტყვებისაგან, მაგრამ სხვა თვალსაზრისით. მისი აზრით, მთავარი ნიშანი, რომლითაც განსხვავდება წინადადება შესიტყვებისაგან, არის წინადადებაში გამოხატვა იმისა, თუ როგორ ურთიერთობაშია წინადადების შინაარსი სინამდვილესთან (J. Ries, Was ist ein Satz? 1931, გვ. 77.)

[44] Грамматика русск. яз., გვ. 20; Вопросы изучения словосоч., გვ 10.

ან პაუზით ან კიდევ მაჯგუფებელი, მაპირისპირებელი და მაცალკევებელი კავშირებით. ვ. ვინოგრადოვი ასეთ „შესიტყვებებს“ გამორიცხავს[45].

ვ. ვინოგრადოვი შესიტყვებას თვლის წინადადების საშენ მასალად. შესიტყვება მხოლოდ საშენი მასალაა წინადადებისათვის[46] — გვეუბნება ის და ამიტომაა, რომ ე. წ. პრედიკატული შესიტყვება არ მიაჩნია შესიტყვებად[47]. უფრო ადრე მას აღნიშნული ჰქონდა, რომ შესიტყვება რთული სახელწოდებაა. ის ატარებს იმავე ნომინატიურ ფუნქციას, რასაც სიტყვა. მას ისევე, როგორც სიტყვას, შეუძლია ჰქონდეს ფორმათა მთელი სისტემაო[48]. ესაა მისთვის ამოსავალი, როცა მიუთითებს: სიტყვა და შესიტყვება... ერთიანდებიან წინადადებაშიო[49].

ვ. ვინოგრადოვი ერთ-ერთ სხვა შრომაშიც შესიტყვებას წინადადების შემადგენელ ნაწილად თვლის და განაკუთვნებს „ნომინატიურ“ საშუალებათა სფეროს. იგი წერს: „შესიტყვება მხოლოდ წინადადების შემადგენლობაშია და წინადადების მეშვეობით შედის მეტყველების კატეგორიის საკომუნიკაციო სისტემაში... მაგრამ ის ისევე, როგორც სიტყვა, განეკუთვნება ენის „ნომინატიურ“ საშუალებათა სფეროს, იგი ისევე, როგორც სიტყვა, წარმოადგენს საშენ მასალას, რომელიც გამოყენებულია ენობრივი ურთიერთობის პროცესში“[50].

ამგვარად, ვ. ვინოგრადოვის სინტაქსური მოძღვრების მიხედვით:

1. შესიტყვება და წინადადება თვისობრივად განსხვავებული სინტაქსური კატეგორიებია. შესიტყვება ისეთივე საშენი მასალაა წი-

---

[45] Грамматика русск. яз., გვ. 36—37; Вопросы изучения словосоч., გვ. 12; Основные принципы русского синтаксиса в „Грамматике русского языка“ АН СССР: Известия АН СССР. Отделение литер. и языка, 1954, XIII, вып. 6, გვ. 499—501.

[46] Основные принципы გვ. 498.

[47] Грамматика русск. яз., გვ. 12; Вопросы изучения словосочетания, გვ. 5.

[48] Русский язык, М.—Л., 1947, გვ. 8.

[49] Грамматика русск. языка, გვ. 64; Основные вопросы синтаксиса предложения, გვ. 389.

[50] В. Виноградов, Идеалистические основы синтаксической системы проф. А. М. Пешковского, её эклектизм и внутренние противоречия: Вопросы синтаксиса современного русского языка, 1950, გვ. 38.

ნადადებისათვის, როგორც სიტყვა და ყალიბდება იგი სიტყვის საფუძველზე.

2. შესიტყვებას არ წარმოადგენს ქვემდებარისა და შემასმენლის შეერთებით შექმნილი ურთიერთობა.

3. გამორიცხულია ე. წ. „თანწყობილი შესიტყვება“, რომლის კომპონენტები ერთმანეთის მიმართ თანასწორუფლებიანი და სინტაქსურად დაუკავშირებელი სიტყვებია.

4. შესიტყვებაში სიტყვათა კავშირი და გრამატიკული დამოკიდებულება გამოიხატება სიტყვათა ფორმებით.

5. აგებულების მიხედვით შესიტყვება შეიძლება იყოს მარტივი და რთული.

უკანასკნელ ხანებში შესიტყვების სტრუქტურაზე ყურადღება გაამახვილა რ. ბუდაგოვმა. მისი აზრით, შესიტყვება არის ორი ან მეტი დამოუკიდებელი სიტყვის გრამატიკულად გაფორმებული ერთეული, რომელიც არ ქმნის წინადადებას[51].

რ. ბუდაგოვი ამტკიცებს, რომ: 1. შესიტყვება არ ქმნის წინადადებას; 2. შესიტყვება არც „შუალედური ჯგუფია“ სიტყვასა და წინადადებას შორის; 3. შესიტყვებისათვის საჭიროა არანაკლებ ორი სრულმნიშვნელოვანი სიტყვისა; წინადადება კი შეიძლება შედგებოდეს ერთი სიტყვისაგანაც (Думаю. Работаю), ზოგჯერ ისეთისგანაც, როგორიცაა Взвод! ან Зима! 4. შესიტყვება არა გვაქვს ასეთ ფორმებში: „в комнате“, „на воздух“, რადგანაც ამ წყვილებში პირველი კომპონენტები არათავისთავადი სიტყვებია. გარდა ამისა, ამ შენაერთებში არა გვაქვს სემანტიკური ერთიანობა[52].

წინადადების ანალიზი შეიძლება მოვახდინოთ მისი წევრებისა და შესიტყვებათა მიხედვით; მაგრამ წინადადების ანალიზი მისი წევრების მიხედვით (ქვემდებარე, შემასმენელი და ა. შ.) არ ემთხვევა წინადადების ანალიზს შესიტყვებათა მიხედვით[53], ამიტომ რ. ბუდაგოვი არ ეთანხმება იმ მკვლევართ. რომლებიც ფ. ფორტუნატოვის მსგავსად ფიქრობენ, რომ არ არის არავითარი განსხვავება წინადადებასა და შესიტყვებას შორის, რომ წინადადება სხვა არაფერია, თუ არ გაშლილი შესიტყვებაო.

შესიტყვების ქსელიდან ქვემდებარისა და შემასმენლის გამოთიშვამ განაპირობა ასეთი გაგება. იგი არაა ახალი, მაგრამ არაა ნათე-

---

[51] Р. А. Будагов, Введение в науку о языке. М., 1958. გვ. 300—301.
[52] იქვე.
[53] იქვე.

ლი, თუ რატომ მივიჩნევთ, მაგალითად, დამატებისა და შემასმენლის, გარემოებისა და შემასმენლის ან განსაზღვრებისა და საზღვრულის დამოკიდებულებას შესიტყვებად და გამოვრიცხავთ აქედან ქვემდებარისა და შემასმენლის სინტაქსურ დამოკიდებულებას.

ტ. ლომტევი, რომელმაც 1958 წელს გამოაქვეყნა „Основы синтаксиса современного русского языка“ აკრიტიკებს ლოგიცისტურ და მორფოლოგიურ მიმართულებათა წარმომადგენლების სინტაქსურ მოძღვრებას და თავის მხრივ ასკვნის, რომ შესიტყვება არაა ელემენტარული ერთეული. შესიტყვება читает книгу შედგება ორი ფორმისაგან, ორივე მათგანს წინადადებაში აქვს ცალკე დანიშნულება: პირველი აღნიშნავს მოქმედებას, მეორე — ობიექტს, რომელზედაც გადადის ეს მოქმედება. წინადადება он читает ავრეთვე შესიტყვებაა, მაგრამ ის გამოხატავს მსჯელობას, რომელიც მოიცავს სუბიექტსა და პრედიკატს.

ცნება შესიტყვების შესახებ არის ცნება სიტყვიერი ფორმების დამოკიდებულების შესახებ და არა ცნება ელემენტარული სინტაქსური ერთეულის შესახებ. შესიტყვება წარმოადგენს სიტყვიერი ფორმების, სიტყვიერი სიმრავლის გაერთიანებას:.

თუ ჩვენ ვიტყვით, რომ შესიტყვება железная дорога შედგება ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელისაგან სახელობით ბრუნვაში და შესიტყვება читаю письмо — ზმნისა და ბრალდებით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელისაგან, ჩვენ ამით განვსაზღვრავთ მხოლოდ უმაღლეს მორფოლოგიურ ერთეულებს ამ შესიტყვებაში და მეტი არაფერი. ეს იმას ნიშნავს, რომ შესიტყვების განსაზღვრა, როგორც შეერთება ორი სრულმნიშვნელოვანი სიტყვიერი ფორმისა, არაა სინტაქსური განსაზღვრა[54].

ტ. ლომტევი железная дорога-ს თვლის ერთ ერთეულად, ლექსიკურ გამოთქმად. ბელორუსულ ენაში მას შეესატყვისება чыгунка— ერთი არსებითი სახელი განსაზღვრების გარეშე. Читаю письмо-ში კი письмо არის ობიექტი მოქმედებისა, რომელიც გამოხატულია читаю ზმნით. Читаю письмо არაა ერთი ერთეული: მასში ორი ლექსიკური ერთეულია[55].

უფრო ადრე ი. მეშჩანინოვს ჰქონდა აღნიშნული, რომ ენის შესახებ ახალი მოძღვრება... მიდის იმ დასკვნამდის, რომ ისეთი შეკავ-

---

[54] Основы синтаксиса совр. русск. языка, გვ. 31.

[55] იქვე, გვ. 32.

შირება სიტყვებისა, როგორიცაა „Красная Армия“ არ არის წმინდა სინტაქსური, თუმცა ფორმალურად ორი სიტყვისაგან შედგებაო[56]. ასეთი ტიპის შესიტყვება ი. მეშჩანინოვს სემანტიკურ ერთეულად მიაჩნია.

შედარებით სიფრთხილეს იჩენს ამ ტიპის შესიტყვებისადმი რ. ბუდაგოვი. მისი აზრით, железная дорога-ს ტიპის შესიტყვება თანამედროვე ენაში არაა თავისუფალი. იგი არ იყოფა ცალკე ნაწილებად (железная+дорога). ენაში არა გვაქვს მსგავსად ნაწარმოები „деревянная дорога“, „чугунная дорога“. Железная дорога-ს ტიპის შესიტყვება არის ლექსიკურ და სინტაქსურ მოვლენათა ზღვარზეო[57].

ცხადია, საკითხის იმგვარი ახსნა, როგორიც მოცემული აქვს ტ. ლომტევს, არაა დამაკმაყოფილებელი. მაგალითად, ქართულში გვაქვს სიტყვა მაჟალო, მას დასავლურ დიალექტებში ენაცვლება ტყის ვაშლი (მეგრულშია ტყაშ უშქურ||ტყარ უშქურ, ჭანურში — მტკუი უშქირი). მჭადა-ს ზემოიმერულში ეწოდება ეშმაკის ფეხი და ტყის ჭორიკანა, ასევე წითელი გვირილა'ს აღსანიშნავად იმერულშია კაკუტი[58]. ყველგან ამ შემთხვევაში ლექსიკურად შესატყვისია:

მჭადა — ეშმაკის ფეხი, ტყის ჭორიკანა
მაჟალო — ტყის ვაშლი
კაკუტი — წითელი გვირილა

მნიშვნელობის მიხედვით მათ შორის სინონიმური დამოკიდებულებაა (მაჟალო=ტყის ვაშლი, მჭადა=ტყის ჭორიკანა...), აგებულების მიხედვით სხვადასხვაობა გვაქვს: წითელი გვირილა შესიტყვებაა, სადაც ერთი სიტყვა ითანხმებს მეორეს ბრუნვაში. ხოლო ტყის ჭორიკანა ბრუნვაში მართვით გამოხატავს შესიტყვებას და ა. შ.

1957 წ. მოსკოვის უნივერსიტეტმა ე. გალკინა-ფედორუკის რედაქციით გამოსცა „თანამედროვე რუსული ენის სინტაქსი“[59].

---

[56] И. И. Мещанинов, Общее языкознание, Л., 1940, გვ. 35, შდრ. А. Шахматов, Синтаксис русского языка, 1941, გვ. 309.

[57] Р. А. Будагов, Введение в науку о языке, М., 1958, გვ. 303.

[58] ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1949, გვ. 31, 70.

[59] Современный русский язык. Синтаксис, под редакцией проф. Е. М. Галкиной-Федорук, Москва, 1957.

ავტორები საგანგებოდ მიმოიხილავენ შესიტყვების საკითხებს (გვ. 5—91). მათი სინტაქსური კონცეფცია შესიტყვების შესახებ ასეთია: თანამედროვე რუსულ ენაში გამოიყოფა სტრუქტურის მიხედვით სიტყვათა შეერთების შემდეგი მოდელები:

1. ზ მ ნ უ რ ი შ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ა, რომელიც შედგება ზმნისა და მასთან დაკავშირებულ მეტყველების სხვა ნაწილთაგან.

2. ს ა ხ ე ლ უ რ ი შ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ა, რომელიც შედგება არსებითი სახელებისაგან ან ზედსართავის შეერთებით არსებითთან, რიცხვითისა — არსებითთან, ნაცვალსახელისა — არსებითთან.

3. ზ მ ნ ი ს ა რ თ უ ლ ი შ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ა, რომელიც შედგება ზმნისართისა და სხვა მეტყველების ნაწილებისაგან[60].

ავტორები შესიტყვებად მიიჩნევენ ორი ან რამდენიმე სრულმნიშვნელოვანი სიტყვის შეერთებას. მათ შორის ერთი არის მთავარი, ღერძი, დანარჩენი — დამოკიდებულები, განმსაზღვრელები. შესიტყვებაში შემავალი სიტყვები იმყოფებიან ერთმანეთთან განსაზღვრულ აზრობრივ დამოკიდებულებაში[61].

შესიტყვება რომ მივიღოთ, ამისათვის საჭიროა გამოვლინდეს სიტყვათა შეერთების კანონზომიერება, შეკავშირების ფორმები, სიტყვათა ურთიერთობის მნიშვნელობა. ურთიერთობის ხასიათის მიხედვით სიტყვათა შეკავშირება იყოფა პრედიკატულად, ობიექტურად, ატრიბუტულად და გარემოებითად. შესიტყვებაში შემავალ სიტყვათა შორის მყარდება შეკავშირების ფორმები: შეთანხმება, მართვა და მირთვა[62].

აქვე ნათქვამია, რომ შესიტყვება, რომელშიც სიტყვათა შორის დამოკიდებულება პრედიკატულია, სხვა რიგის შესიტყვებაა. იგი წინადადებაა. ამ ტიპის შესიტყვებათა შესწავლა ატრიბუტულ, ობიექტურ და გარემოებით შესიტყვებათა გვერდით არ შეიძლება, რადგანაც ასეთ შენაერთში სხვა სახის კანონზომიერებაა, სხვანაირი ფუნქციები და გრამატიკული ნიშნებია[63].

ამგვარად, გვაქვს ზმნური, სახელური და ზმნისართული შესიტყვებები. ურთიერთობის ხასიათის მიხედვით კი — პრედიკატული, ობიექტური, ატრიბუტული და გარემოებითი შესიტყვებები. აქედან გამოიყოფა პრედიკატული შესიტყვება, რომელიც სხვა ტიპის შე-

---

[60] Современный русский язык... გვ. 6.

[61] იქვე, გვ. 25.

[62] იქვე, გვ. 7.

[63] იქვე.

სიტყვებაა, მასში სხვანაირი ფუნქციები და გრამატიკული ნიშნები იჩენენ თავს და იგი მოექცევა წინადადების წყებაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, პრედიკატული შესიტყვება შესიტყვებად არ უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც წინადადებას შეესაბამება.

უფრო ქვემოთ ავტორებს შესიტყვების მნიშვნელობა დაჰყავთ სიტყვის მნიშვნელობამდის, ამიტომაც აღნიშნავენ: შესიტყვება ახლოსაა სიტყვასთან. იგი პირობითად შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც „გავრცობილი სიტყვაო". აქ ისიცაა ნათქვამი, რომ შესიტყვება, ისევე როგორც სიტყვა, ფლობს ფორმის სისტემას. შესიტყვების ფორმა განისაზღვრება მთავარი სიტყვის გრამატიკული ბუნებით, რომელიც არის ღერძი, შესიტყვების საფუძველი[64]. მაგრამ აღნიშნულია ისიც, რომ შესიტყვებასა და სიტყვას შორის არსებობს განსხვავება და ეს გვაქვს იმიტომ, რომ შესიტყვებაში ყოველი სიტყვა ცალკეა გაფორმებული. ნათქვამია აგრეთვე, რომ შესიტყვება ძირეულად განსხვავდება წინადადებისაგან და ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ შესიტყვებას არ შეუძლია მსჯელობა გამოხატოს[65]. და ეს რომ ასეა, ამის დასადასტურებლად წარმოდგენილია სიტყვათა ასეთი შენაერთები: хорошая погода და ̆погода хорошая. აქედან პირველი შესიტყვებაა, მეორე — წინადადება. პირველი ასახელებს (называет), მეორე გვაუწყებს. პირველში არაა მოდალობა, არაა დროული გაგებაც, ის არ გულისხმობს განსაზღვრულ ინტონაციას. იგი სახელწოდებაა, რომლის უკან დგას ცნება, მეორის უკან დგას მსჯელობა[66].

სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში არაა მითითებული, თუ რა განსხვავებაა მათ შორის შეკავშირების ფორმების მიხედვით.

ავტორები არჩევენ სიტყვათა დაკავშირების ფორმებს: მოცემულია თანასწორუფლებიანი სიტყვებისა და არათანასწორუფლებიანი სიტყვების დაკავშირება, სადაც ერთი სიტყვა ექვემდებარება მეორეს. აქედან პირველი წინადადების შემადგენლობაშია, მეორე — შესიტყვების შემადგენლობაში.

ამგვარად, გრამატიკის ავტორები, მართალია, გამოყოფენ პრედიკატულ შესიტყვებას და ამით მათი მოსაზრება განსხვავდება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოცემული გრამატიკის ავტორთა მოსაზრებისაგან, მაგრამ

---

[64] Современный русский язык ... გვ. 22.

[65] იქვე, გვ. 23.

[66] დასახელებული ნაშრომი, გვ. 23.

აზრთა დამთხვევას ახდენს პრედიკატული შესიტყვების გამორიცხვა შესიტყვების სისტემიდან.

სინტაქსის სახელმძღვანელოს მეორე ვარიანტში, რომელიც განკუთვნილია პედაგოგიური ინსტიტუტებისათვის, აღნიშნულია, რომ სიტყვათა შორის კავშირის ხასიათის მიხედვით გვაქვს დაქვემდებარებითი და თანწყობილი შესიტყვებები. დაქვემდებარებითი შესიტყვებები იქმნებიან შეთანხმების, მართვისა და მირთვის საშუალებით. თანწყობილი შესიტყვებები, როგორც წესი, იქმნებიან კავშირების საშუალებით: мать и дочь, отец и брат, ходил и смеялся[67].

როგორც ვხედავთ, თანწყობილი წყვილების ადგილი საერთოდ არაა მკვიდრი. ასეთი წყვილები შესიტყვებას ვერ მოგვცემენ.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში შესიტყვების სტრუქტურისა და შედგენილობის საკითხები ვრცლადაა მიმოხილული (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია). აღნიშნულია, რომ:

1. შესიტყვება არის სიტყვათა ორგანიზებული შენაერთი.

2. შესიტყვებას ქმნის სიტყვათა შორის დამოკიდებულება. იგი სულ მცირე ორ სიტყვას გულისხმობს. აქედან ერთი მთავარია, გაბატონებული, მეორე — მასზე დამოკიდებული.

3. წინადადება და შესიტყვება ერთმანეთს არ უპირისპირდება. შესიტყვება გვაქვს წინადადებაში: იგი შეიძლება წარმოადგენდეს მთელ წინადადებას ან გადმოგვცემდეს წინადადების ნაწილს.

4. შესიტყვებად არ მიიჩნევა თანაბარუფლებიან სიტყვათა შეერთება (დედა და მამა, ტოლი და ამხანაგი...) და არც რთული სიტყვები, რომელთა შემადგენლობაში ერთზე მეტი ფუძეა გაერთიანებული (დედ-მამა, ტოლ-ამხანაგი, თავქუდმოგლეჯილი...).

არნ. ჩიქობავამ შესიტყვების სტრუქტურის საკითხებზე საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება. იგი აღნიშნავს, რომ არ კმარა სიტყვას ჰქონდეს დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები. საჭიროა ისეთი აფიქსები ჰქონდეს, რომლებიც სათანადო სიტყვებს შინაარსობლივ აკავშირებენ, — სათანადო ენის ნორმათა შესაბამისად — მოცემული სიტყვებისაგან ორგანიზებულ მთლიანობას ქმნიან. სიტყვათა ასეთი ორგანიზებული შენაერთი მოცემულია ჩვეულებრივ წინადადებაში („ამხანაგი მოვიდა“, „ძმას მოუვიდა ამხანაგი“), მაგრამ

---

[67] Е. М. Галкина-Федорук, К. В. Горшкова, Н. М. Шанский, Современный русский язык. Синтаксис, Москва, 1958, გვ. 5.

სიტყვათა შეერთება შეიძლება წინადადების ნაწილს გადმოგვცემდეს („ძმის ამხანაგი“)[68].

სიტყვათა დამოკიდებულებისათვის ქართულში სათანადო აფიქსებია გამოყენებული. სიტყვას შესაფერისი ფორმა აქვს, მაგრამ შესიტყვებისათვის ეს აუცილებელი პირობა საკმარისი არ არის, ამიტომაა, რომ კაცი სახლს აშენებს შესიტყვებაა, მაგრამ კაცად სახლმა აშენებ არ არის შესიტყვება. მართალია, აქაც „სამი სიტყვა გვაქვს: სახელი მიმართულებითს ბრუნვაში (კაცად), სახელი მოთხრობითს ბრუნვაში (სახლმა), ზმნა აწმყო დროის მეორე პირში (აშენებ)“[69]. მაგრამ შესაერთებელ სიტყვებს ამ შემთხვევაში არა აქვთ დართული ისეთი აფიქსები, რომლებიც მათ შინაარსობლივად შეაკავშირებენ.

შესიტყვებაში გვაქვს სულ მცირე ორი სიტყვა[70]. ეს სიტყვები ერთმანეთთან დამოკიდებულებას გამოხატავენ შინაარსობლივად შემაკავშირებელი აფიქსების საშუალებით. და ეს დამოკიდებულება იმდენად კანონზომიერია, რომ მყარია მაშინაც კი, როდესაც იგი მოიცავს უაზრობას ან სხვა ენიდან გადმოღებულ სიტყვებს. ასე, მაგალითად, ლიტერატურაში დამოწმებულია ასეთი ნიმუშები: „დამხრჩვალი კატა მიათრევს ტრამვაის ვაგონს“[71], ან „უჩიტელი უჩენიკებს უხსნის უროკს“[72].

შესიტყვების თვალსაზრისით ორივე ნიმუში უნაკლოა, ორივე შემთხვევაში სიტყვები ერთმანეთს უერთდებიან სინტაქსური კანონების მკაცრი დაცვით და ეს დამოკიდებულება გამოხატულია შესაფერისი აფიქსებით.

შესიტყვებისათვის უფრო მნიშვნელოვანია სიტყვათა შეერთება სათანადო აფიქსების საშუალებით, ვიდრე შესაერთებელ სიტყვათა სემანტიკური მნიშვნელობა. ამიტომაა შესიტყვებას არ გვაძლევს კაცად სახლმა აშენებ, ან ხით სახლი (ასევე: ხემ

---

[68] არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 282.

[69] არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 147.

[70] არნ. ჩიქობავა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას: „კულტურული აღმშენებლობა“, 1930, № 5, გვ. 500; ვ. თოფურია, მეტყველების ნაწილებისათვის ქართულში: „კულტურული აღმშენებლობა“, 1930, № 7—8, გვ. 743.

[71] არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 287.

[72] ვ. თოფურია, მეტყველების ნაწილებისათვის ქართულში: „კულტურული აღმშენებლობა“, 1930, № 7—8, გვ. 747.

სახლი, ხეს სახლი, ხედ სახლი...), მაგრამ შესიტყვებაა „კაცი სახლს აშენებს“, „ხის სახლი“, და ასეთებიც: „მთვარე ცეკვავს“, „თოვლი ტირის“ („თოვლი ატირდა ლანქერად, ადიდდა ჩვენი წყლებია“: რ. ერისთავი, ერთტომეული, გვ. 64; „ქვაბმა უთხრა ქოთანსა“: ი. გოგებაშვილი, ტ. V, გვ. 135) და სხვა.

შესიტყვება ემყარება წინადადების წევრთა ურთიერთობას. მას ქმნიან სინტაქსურად შეერთებული სიტყვები, იქნება იგი ქვემდებარე და შემასმენელი, დამატება და შემასმენელი, გარემოება და შემასმენელი, თუ განსაზღვრება და საზღვრული.

პირველ შემთხვევაში შესიტყვების საზღვრები ემთხვევა წინადადების საზღვრებს, დანარჩენში — შესიტყვება წინადადების შემადგენლობაშია.

შესიტყვებად არ მიიჩნევა ყოველგვარი ორი სიტყვის შეერთება[73]. სხვანაირად რომ ვთქვათ, სიტყვათა შეერთება შეიძლება სხვადასხვანაირად: შეიძლება ერთი სიტყვა სინტაქსურად დაექვემდებაროს მეორეს, ან ეს დაქვემდებარება არ გვქონდეს და შეერთებული სიტყვები იყოს თანასწორუფლებიანი. ასეთი სიტყვები შეიძლება შევაერთოთ კავშირით ან უკავშიროდ.

მაგ.: ბრმად იგი და ყრუდ იტყოდა: DE მ 12,22.

მამანი და დედანი, ჰაბუკნი და ყრმანი თავთა თჳსთა არა ჰრიდებდეს: წარტყ. მა32.

განახლდა მწუხარებაჲ, ტკივილი და გლოვაჲ მათი: იქვე, მე3.

აქ პირველ მაგალითში ორი სიტყვა შეერთებულია და კავშირით. მეორე მაგალითში და კავშირი გვაქვს სემანტიკურად დაკავშირებულ სიტყვათა შორის, მესამე მაგალითში კი პირველი ორი სიტყვა პაუზითაა შეერთებული (მწუხარებაჲ, ტკივილი), შემდეგი ორი კი და კავშირით (ტკივილი და გლოვაჲ).

ფ. ფორტუნატოვის, ა. პეშკოვსკის, მ. პეტერსონისა და ვ. სუხოტინის სინტაქსურ სისტემებში შესიტყვების ორი სახეა გამოყოფილი. ეს სახეებია თანწყობილი და დაქვემდებარებული შესიტყვებები:

---

[73] დაწვრილებით: არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 146—212; მისივე: რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას: „კულტურული აღმშენებლობა“, 1930, № 5, გვ. 487—503, № 7—8, გვ. 705—288; ვ. თოფურია, მეტყველების ნაწილებისათვის ქართულში: „კულტურული აღმშენებლობა“, 1930, № 7—8, გვ. 742—751; მისივე: მშობლიური ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, V, 1953, გვ. 3—20; ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, 1958, გვ. 10.

თანწყობილი შესიტყვება გამორიცხულია ვ. ვინოგრადოვისა და სხვათა სინტაქსური სისტემებიდან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შესიტყვებად მიჩნეულია მხოლოდ ისეთი, რომელიც შედგება ერთი სიტყვის მეორეზე დაქვემდებარებისა და დაკავშირებულია შეთანხმებით, მართვითა და მირთვით.

ქართული ენის ისტორიული ანალიზის მიხედვით შესიტყვებაა სიტყვათა მხოლოდ ისეთი დამოკიდებულება, რომელშიც სინტაქსური ურთიერთობაა გამოხატული. ასეთი ურთიერთობა არსებობს მხოლოდ დაქვემდებარების შემთხვევაში.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულება გამოიხატება შეთანხმებით, მართვით და მირთვით, ან კიდევ მართვა-შეთანხმებით. შესწავლილია გამოხატვის საშუალებანი და შესიტყვების შედგენილობა, დადგენილია მარტივი და რთული ურთიერთობის ფორმები და შესწავლილია წინადადების მთავარ წევრთა დამოკიდებულება.

არნ. ჩიქობავა, რომლის სახელთანაა დაკავშირებული მარტივი წინადადების მექანიზმისა და შესიტყვების სტრუქტურის მეცნიერული შესწავლა და ღრმა ანალიზი, შესიტყვების შესახებ მართებულად შენიშნავს: „შესიტყვება არ არის სიტყვათა უბრალო წყება: შესიტყვება ისეთ სიტყვათა წყებაა, რომელნიც ერთმანეთთან გარკვეულს დამოკიდებულებაში იმყოფებიან; ეს დამოკიდებულებაა, სიტყვათა რიგს რომ შესიტყვებად ხდის“[74].

§ 3. შესიტყვების ფორმები წინადადების მთავარ წევრებთან. წინადადების წევრთა სინტაქსური ურთიერთობიდან ყურადღება მიექცია წინადადების მთავარ წევრთა დამოკიდებულებამ. ამ დამოკიდებულების საფუძველზე ქართულში შენიშნულია შემდეგი: როდესაც შემასმენლად გარდამავალი ზმნაა, მაშინ:

1. ქვემდებარეც და პირდაპირი დამატებაც ბრუნვაცვალებადია, ირიბი დამატება კი ყოველთვის მიცემითშია.

2. შემასმენელ-ზმნაში აღინიშნება ქვემდებარისა და პირმიმართ დამატებათა პირები.

3. შემასმენელში აღინიშნება სახელობითსა და მოთხრობით ბრუნვებში დასმული ქვემდებარის რიცხვი, თუ იგი ნაწარმოებია

---

[74] არნ. ჩიქობავა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას: „კულტურული აღმშენებლობა“, 1930, № 5, გვ. 500.

ნ და თ ნიშნებით. ასევე აღინიშნება სახელობითში დასმული მრ. რიცხვის ნ ნიშნიანი დამატების რიცხვიც.

4. ჩვეულებრივ რიცხვში შეთანხმება არა გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ქვემდებარისა და დამატების მრავლობითი რიცხვი -ებ ნიშნითაა ნაწარმოები. რიცხვში ვერ ითანხმებს აგრეთვე შიცემით ბრუნვაში დასმული დამატება.

5. ქვემდებარისა და პირმიმართ დამატებათა ბრუნვის ფორმები ექვემდებარება შემასმენლის ფორმებს.

მაშასადამე, ქვემდებარეცა და პირმიმართი დამატებებიც მართავენ შემასმენელს პირის მიხედვით, ითანხმებენ რიცხვში და იმართვიან ბრუნვაში. გვაქვს საურთიერთო მართვა.

ამ რთულ სინტაქსურ ურთიერთობას არნ. ჩიქობავამ კოორდინაცია უწოდა, ხოლო კოორდინაციის მონაწილე სიტყვებს, კოორდინაციის წევრებს — კოორდინატები[75].

შესიტყვებაში სინტაქსური სიძლიერის მიხედვით გამოიყო ძირითადი კოორდინატი (coordinata primcrps), დიდი კოორდინატი (coordinata major) და მცირე კოორდინატი (coordinata minor). ძირითადი კოორდინატია ზმნა. იგი კოორდინაციის ცენტრია და მართავს მასთან მორფოლოგიურად დაკავშირებულ სახელებს ბრუნვაში და სათანადო შემთხვევაში ეთანხმება მათ რიცხვში. დიდი კოორდინატი სახელია, რომელიც მართავს ზმნას (შემასმენელს) პირში და ითანხმებს რიცხვში, თვითონ კი იმართვის ბრუნვაში; მცირე კოორდინატიც სახელია. იგი მართავს ზმნას (შემასმენელს) პირში, თვითონ იმართვის ბრუნვაში, მაგრამ ზმნას ვერ ითანხმებს რიცხვში.

კოორდინაციას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც შესიტყვებაში მონაწილეობს ორპირიანი ან სამპირიანი ზმნა.

შესიტყვებაში, რომელშიც მონაწილეობს ერთპირიანი ზმნა, გვაქვს ზმნა და მასთან მორფოლოგიურად დაკავშირებული ერთი სახელი[76]. ასეთი სახელი მუდამ სახელობით ბრუნვაშია. იგი 1. მართავს ზმნის პირს და აჩენს ნიშანს (მე ვიჯმენ ადრე: შუშ. III, 9;

---

[75] არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 263—286; მისივე: რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას: „ჯულტურული აღმშენებლობა“, 1930, № 7—8, გვ. 724—737; ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 182—183; ენათმეცნიერების შესავალი, გვ 293—294.

[76] არნ. ჩიქობავა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას: „ჯულტურული აღმშენებლობა“, 1930, № 7—8. გვ. 707.

ნუ ცადმდე აჰმაღლდები: მ. 11,23; ცეცხლი არა დაშრტების: DE მრ 9, 48), 2. ითანხმებს ზმნას (შემასმენელს) რიცხვში, მაგრამ თვითონ არ იმართვის ბრუნვაში. არ გვაქვს საურთიერთო მართვა, ამიტომ არც კოორდინაციაა (ჩუენ დავშთით ადგილსავე მას: ზარზმ. 164,24; თქუენ წარვედით: მ 9,13; არა ამისთუს სცთებით: C მრ 12,24; ვარსკულავნი ნათობენ: მამ. სწ. 86,9; ნაკადულნი წყალთანი გარდამოდიოდეს: ბოლნ: 13,5).

შესიტყვება, რომელიც შეიცავს ორპირიან გარდაუვალ ზმნას, ქმნის რთულ სინტაქსურ ურთიერთობას. ასეთ შემთხვევაში ზმნას (შემასმენელს) უკავშირდება ორი სახელი: ერთი სახელობით ბრუნვაშია დასმული და მეორე — მიცემით ბრუნვაში. პირველი სახელი ქვემდებარეა, რომელიც მართავს შემასმენელს პირში და ითანხმებს რიცხვში (თუ რიცხვის კატეგორია ნ ნიშნით გამოიხატა), მაგრამ თვითონ არ იმართვის ბრუნვაში. მეორე სახელი ირიბი დამატებაა, რომელიც მართავს შემასმენელს პირში, იმართვის ბრუნვაში და ვერ ითანხმებს შემასმენელს რიცხვში, მაგრამ აქვს ტენდენცია რიცხვში შეითანხმოს შემასმენელი, თუ თვითონ პირველი პირის გამომხატველია, მაგ.: მდევარნი იგი ეწინეს წმიდასა ტირიფანს: ლიტ. ურთ. 161,1; მოუკდეს მას მოწაფენი თჳსნი: DE მ. 5,1; ამისთჳს ჰსძულთ თქუენ სოფელსა: ი 15, 19; იესუ შეხემთხჳა მათ: ხანმ. მ 28, 9; დაგშდების თქუენ სახლი თქუენი: C მ 23, 38; ძმ მოგუეცა ჩუენ: ესაია, 9,6; ეშმაკნიცა დაგუემორჩილებიან: ღ 10, 17...

ორპირიანი გარდამავალი ზმნის შემცველი შესიტყვება აგრეთვე გულისხმობს ზმნასთან მორფოლოგიურად დაკავშირებულ ორ სახელს; აქედან ერთი ქვემდებარეა. იგი ბრუნვაცვალებადი სახელია (ან სახელობითშია, ან მოთხრობითში), მეორეც ბრუნვაცვალებადი სახელია და დანიშნულების მიხედვით პირდაპირი დამატება (მიცემითსა და სახელობით ბრუნვებში). ორივე სახელი მართავს შემასმენელს პირში, იმართვის ბრუნვაში და ნარ-თანიან მრავლობითში ითანხმებს შემასმენელს რიცხვში (როცა ქვემდებარე სახელობითშია ან მოთხრობითში, დამატება კი სახელობითში)[77]. მაგ.: ჩუენ ვაყენებთ მას: DE მრ 9,38; მოვიკსენეთ ჩუენ სიონი: წარტყ. ნვ11; თქუენცა აღავსეთ საწყაული: მ 23,32; მათ მხიარულად შეიწყნარეს სიტყუაჲ იგი:მოც. 2,41; განიძარცუეს ძეთა ისრაჱლისათა სამოსელი

---

[77] ვრცლად ამ საკითხებზე საუბარია ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე - შ ე მ ა ს ა ზ ღ ვ ნ ე ლ ი ა და დამატება-შემასმენლის ურთიერთობის განხილვისას. დაწვრილებით იგი განხილული აქვს არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს.

ჰათი. გამ. 33,6; მესათხეველენი იგი... განჰრცხიდეს ბადეთა: DE ლ 5, 2; მიგუავლინენ ჩუენ ღორებსა იმას: C მრ 5,12; შიშმან მისმან შეგაძრწუნნეს თქუენ: იობ. 13,11; დაადგინნა აბრაჰამ შჯდნი ტარიგნი თჳსაგან: დაბ. 21,28 და ა. შ.

სამპირიანი გარდამავალი ზმნის შემცველ შესიტყვებაში შემასმენელთან დაკავშირებულია სამი სახელი: ქვემდებარე, პირდაპირი დამატება და ირიბი დამატება. ქვემდებარე და პირდაპირი დამატება ბრუნვაცვალებადია, ირიბი დამატება კი მხოლოდ მიცემით ბრუნვაშია. სამივე სახელი მართავს შემასმენელს პირში, იმართვის ბრუნვაში და ნარ-თანიან მრავლობითში ითანხმებს შემასმენელს რიცხვში ქვემდებარე და პირდაპირი დამატება (როცა ქვემდებარე სახელობითშია ან მოთხრობითში და პირდაპირი დამატება — სახელობითში). შეთანხმების ტენდენციას იჩენს მიცემითში დასმული პირველი პირის დამატებაც, როდესაც გუ- პრეფიქსით გამოხატავს მრავლობით რიცხვს. მაგალითად: ჩუენ აღგითქუამთ ცხორებასა ჩუენსა: ხანძთ. თ65; თქუენ ეცით მაგათ ჭამადი: მ 14,16; მათ მოართუეს მას დრაჰკანი: მ 22, 19; უთხრნა მოსე აჰრონს ყოველნი ესე სიტყუანი: გამ. 4, 28; არცაღა მამამან თქუენმან მოგიტევნეს თქუენ შეცოდებანი თქუენნი: ბოლნ. 20,17; მიმცნა ჩუენ სიმძაფრესა ამის ალისასა: წარტყ. ლგ1; მსაჯულმან მიგცეს შენ მსახურთა: DE მ 5,25; მოსე ესრეთ დამიწერა ჩუენ: DE მრ 12,19, შდრ. C: მოსე დაგჳწერა ჩუენ; ვინ გარდაგჳგორვოს ჩუენ ლოდი იგი: მრ 16,3.

ამგვარად, წინადადების მთავარ წევრთა შორის სინტაქსური ურთიერთობის განხილვისას გასათვალისწინებელია:

1. როგორია შემასმენელი-ზმნა გარდამავლობის მიხედვით: გარდაუვალი ერთპირიანია, ორპირიანია, თუ გარდამავალია?

2. რომელი სახელი უკავშირდება შემასმენელს — მხოლოდ ქვემდებარე, თუ ქვემდებარე და დამატებები ერთად?

3. რომელ ბრუნვაშია შემასმენელთან დაკავშირებული სახელი?

4. რა ნიშნითაა ნაწარმოები მრავლობითი რიცხვი?

§ 4. პირველი და მეორე პირი სუბიექტად და ობიექტად. თავისებურია შესიტყვების ფორმები, როდესაც სუბიექტი და ობიექტი გამოხატულია პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებით. ეს ნაცვალსახელები არ იცვლებიან ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით: „არც რეალური სუბიექტია გაფორმებული და არც რეალური ობიექ-

ტი"[78]. ორივე სახელი მართავს ზმნას პირში და, როდესაც სუბიექტად სახელობითისა და მოთხრობითის, ან ობიექტად სახელობითში დასმული სახელის ეკვივალენტი ნაცვალსახელია, ასეთი სახელი ზმნას ითანხმებს რიცხვში. ასე, მაგალითად, გვაქვს:

მე დიდებასა კაცთაგან არა მოვიღებ: C ი 5,41; მე ვარქუ მას: შუშ. III,15; ჰყოფდე შენ სადილსა: ლ 14,13; შენ დაიცევენ ესენი: შუშ. II,22.

ვინ დამადგინა მე მსაჯულად: ლ 12,14; მაშინ შემიტევა მე ფარულად: შუშ. VII,11; წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: იქვე, VII,13; სეფე-კაცმან მიგცეს შენ საპყრობილედ: ლ 12,58; სიტყუაჲცა შენი გამოგაჩინებს შენ: DE მ 26,73.

შდრ.:

ჩუენ ვაყენებთ მას: DE მრ 9,38; ჩუენ მიუგეთ: შუშ. IV,14; თქუენ ნუ პირქუამთ თავთა თქუენთა მოძღუარს: C მ 23,8.

არავინ დამიდგინნა ჩუენ: DE მ 20,7; არავინ დაგკდგინნა ჩუენ: იქვე, C; ძემან თქუენ განგათავისუფლნეს: C ი 8,36, მაგრამ: მოსე ესრეთ დამიწერა ჩუენ: DE მრ 12,19; მოსე დაგვწერა ჩუენ: იქვე, C; მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა: მ 3,11.

თუ სუბიექტად პირველი პირია და ობიექტად მეორე პირი, ან სუბიექტად მეორე პირია და ობიექტად პირველი პირი, წარმოდგენილია მხოლოდ ობიექტის ნიშანი და არ ჩანს სუბიექტის ნიშანი. მიუხედავად ამისა, ზმნას პირში მართავს ორივე სახელი.

მაგ.:

მე გიბრძანებ შენ: მრ 9,25; მე გადიდე შენ: DE ი 17,4; მე გითხრა შენ: ისტ. ქრ. 166,2.

მე წარგაველინებ თქუენ: ლ 10,3; მე მიგცე ივი თქუენ: C მ 26,15: მე გამოგირჩიენ თქუენ: ი 15,16.

შენ მე შემომიდეგ: ი 21,22; შენ მომდეედი მე: DE მ 8,22; შენ გუასწავებდა ჩუენ? ი 9,34.

თქუენ მე შემიყუარეთ: ი 16,27; თქუენ მხედვიდეთ მე: DE ი 14,19; თქუენ მხადით მე: ი 13,13 და ა. შ.

თუ ასეთ შემთხვევაში საურთიერთო მართვას ვიგულისხმებთ, მხოლოდ ფორმაცვალებადი სახელების ანალოგიით.

§ 5. შესიტყვება საკუთარ სახელებთან. სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვები ადამიანთა სახელებში არაა გარჩეული იმის

---

[78] არნ. ჩიკობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბილისი, 1948, გვ. 3.

გამო, რომ ბრუნვის ნიშანი არ ერთვის; შესიტყვების კომპონენტი ზმნა კი სათანადო ნიშნებით გამოხატავს დამოკიდებულებას. ამიტომ საურთიერთო მართვას არ ახლავს შესაფერისი გრამატიკული გამოხატულება. ასეთ შემთხვევაში სახელის ფუნქციის გამოცნობა შეუძლებელი იქნებოდა, რომ აფიქსის მოვალეობას სიტყვათა რიგი არ ასრულებდეს. ამ რიგის მიხედვით პირველი გაუფორმებელი სახელი სუბიექტია. მეორე ობიექტი (მაგალითად, პავლე წარიყვანა თეკლა: თეკლ. 108, 1; ამინადაბ შვანაასონ: რუთ. 4, 20, შდრ. მოიყვანა ლაბან ლია: დაბ. 29, 23; იხილა იაკობ რაქელ: იქვე, 29. 10). სიტყვათა რიგის სიმტკიცე ირყევა, როგორც კი ერთ-ერთ მათგანს ბრუნვის ნიშანი გაუჩნდება.

ასეთ შემთხვევაშიც საურთიერთო მართვაა, მაგრამ ბრუნვის ნიშანი ჯერ კიდევ არაა დამკვიდრებული: პირში მართვა აფიქსითაა გამოსატული ზმნაში, სახელი კი „უფორმოა“ და უნდა გვეფიქრა, რომ იგი მართული არ არისო, რომ გაუფორმებელი ფუძე არ უპირისპირდებოდეს სხვა ბრუნვებს.

§ ბ. **შესიტყვება წინადადების მეორეხარისხოვან წევრებთან.** შესიტყვება გვაქვს წინადადების მეორეხარისხოვან წევრთა მონაწილეობითაც. ამ შემთხვევაში შესიტყვებებს ქმნიან ზმნა და ირიბ ბრუნვაში დასმული სახელი, ზმნა და ზმნისართი, ნაზმნარი სახელი (მასდარი და მიმღეობა) და არსებითი სახელი, არსებით სახელთან არსებითი ან სხვა სახელი. ზედსართავი სახელი (მიმღეობითურთ) და ზმნისართი.

ზმნის შემცველ შესიტყვებას ზმნურ შესიტყვებას უწოდებენ. აქ მთავარი სიტყვაა ზმნა, სინტაქსურად მასზეა დამოკიდებული უთანდებულო ან თანდებულიანი სახელი. ზმნასთან ქმნის შესიტყვებას ზმნისართიც. ისეთი შესიტყვება კი, რომელშიც მთავარი სიტყვაა სახელი, იწოდება სახელურ შესიტყვებად (именное словосочетание). ცალკე გამოიყოფა ზმნისართული შესიტყვება, სადაც ზმნისართთან ზმნისართია დაკავშირებული.

§ **ზმნური შესიტყვება.** ზმნური შესიტყვება ყველაზე მრავალფეროვანია გამოხატვის საშუალებით. ამ შემთხვევაში ზმნასთან დაკავშირებული სახელი (არსებითი ან მასთან გათანაბრე-

ბული ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი) მართულია ბრუნვაში და დაისმის მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით ან ვითარებით ბრუნვაში (მაგ. წარვედით თქუენ ქალაქებსა: ისტ. ქრ. 172.3; მოვიდა მეორისა მის; DE მ 21,30; კაცთა მოაქუნდა ცხენდრითა კაცი: ლ 5,18; შექმნეს იგინი წიგნად: კიმ. I,50,37 და ა. შ.). თანდებულის დართვის შემთხვევაში სახელი უშუალოდ იმართვის თანდებულის მიერ (წიგნები ვედრებისაჲ დაწერეს კურაპალატსა თანა: ცხორ. 19,14; განკჳრვებაჲ დაეცა აბრაჰამის ზედა: დაბ. 15,12; მოიყვანეს ყრმაჲ იგი დედითურთ: კიმ. I, 153,30; წარვიდა მთად კერძო: DE ლ 1.39 და ა. შ.).

ზმნას მიერთვის და შესიტყვებას ქმნის ზმნისართიც (მაგ.: შევედ შინა: შუშ. VII,11; ესრჱთ მოვიდა: ხანძთ. ივ; წარვიდა მიერ: DE მ 9,9 და სხვა).

§ 8. ზმნასთან დაკავშირებული მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი. ზმნასთან დაკავშირებულია და მასთან ერთად შესიტყვებას ქმნის მიცემითში დასმული სახელი, რომელიც წინადადებაში ან პირმიუმართავი დამატებაა, ან გარემოება. ასეთი სახელი შეიძლება იყოს უთანდებულოც და თანდებულიანიც.

მაგალითად:

არავინ შთაასხის ღუნოჲ ახალი თხიერსა ძუელსა: DE 3/ 2,22; ჩიენ დავშთით ადგილსავე მას: ზარზმ. 164,24; საბა განუტევა იშანს: ხანძთ. იე.

შესიტყვების მონაწილე სახელის მმართველად გამოყენებულია თანა, ზედა, შინა, ქუეშე, შორის და წიაღ თანდებულები.

მაგალითად:

წარვედ მეწისქულესა თანა: კიმ. I,209.26; თაყუდი დვა კედესა თანა: ჰაქ. ლ 5,1; ბარძიმები დადგეს ტრაპეზსა ზედა: ანტ. რაქ. 82,37; პეტრე ჯდა ეზოსა შინა: DE მ 26.69; დაიგრილეთ ხესა ქუეშე: დაბ. 18,4. არა შფოთი იყოს ერსა შორის: DE მ 26,5; წიაღქდა იესუ წიაღ ზღუასა: DE ი 6,1 და სხვა.

§ 9. ზმნასთან დაკავშირებული ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი. ზმნასთან დაკავშირებული ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი წინადადებაში ან პირმიუმართავი დამატებაა,

ან გარემოება. იმის მიხედვით, თუ რა მეტყველების ნაწილითაა იგი გადმოცემული და რა მიმართებაა ზმნით გადმოცემულ მოქმედებასთან. უთანდებულო ნათესაობითის გვერდით გვაქვს თანდებულიანი ფორმებიც. ზმნასთან შესიტყვებული ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელით გამოხატულია სამოქმედო ან თვით მოქმედების რეალურად შემსრულებელი, დანიშნულება და განკუთვნება, მასალა და წარმომავლობა, საგნის ადგილმყოფობა და ვითარება, დრო და ადგილი, მიზეზი და მიზანი.

შესიტყვების მონაწილე ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი უშუალოდ მართულია ზმნის მიერ, მაგრამ, თუ სახელი თანდებულიანია, იგი იმართვის ბრუნვაში თანდებულის მიერ და შესიტყვებაში შუალობითი გზით დაკავშირებულია ზმნასთან.

მეტ-ნაკლებად გამოყენებულია თანა, ზედა, წინაშე. მიერ, -თჳს, თჳნიერ, -გან, გამო, -ებრ და შორის თანდებულები. მაგალითად: მოვიდეს იგინი ერისამის: DE მ 17,14, შდრ. C: მოვიდეს ერსა მასთანა; ეშინოდა ყრმის აღმჭუჭელთა მათ ღმრთისა: გამ. 1,21; მეყსეულად მოჰეგებოდა მას საფლავებისა კაცი: ჰაემ. მრ 5,2, შდრ. E: მოეგებვოდა მას საფლავებისაგან კაცი; მიჰყიდეს იოსებ ისმაიტელთა მათ ოცდრაჰკნის: დაბ. 37,28; დაემკვდრა ისაკ ჯურღმულისა მის თანა: დაბ. 25,11; განკვრეებაჲ დაეცა აბრაჰამის ზედა: იქვე, 15,12; მუნქუესვე წარვიდა კელმწიფის მის წინაშე: ხანძთ. იაıs; ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ: ლ 10,22; აღაშჱნონ ტაძარი უფლისათჳს: არიმ. 47,6; გული მისი იგლოვდა ძისა თჳსისა განშორებისათჳს; ხანძთ. კთıı; არა აქუს ძლევაჲ საჯელსა შინა თჳნიერ მსაჯულისა: ბალ. 5,32; აღიღეს უფალი საფლავისაგან: ხანმ. ი 20,2; ვერ უძლეს მიახლებად ერისა მის გამო: C მრ 2,4; უბრძანა აღთქუმისაებრ: დაბ. 34,3; დამკვდრებულ არს ღმერთი მის შორის: კიმ. I, 234,33.

§ 10. ზმნასთან დაკავშირებული მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი. ზმნასთან დაკავშირებული მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი, იქნება ის თანდებულიანი თუ უთანდებულო, წინადადებაში პირმიუმართავი დამატებაა ან გა-

რემოება. ასეთი სახელით აღნიშნულია[79] სამოქმედო იარაღი, ხელსაწყო, ან საშუალება, რომლითაც მოქმედება სრულდება (მაგ., ჩუენ ნავითა წარმოვედით: მოც. 20,6; ცოცხალითა ფერკითა არა გამოხვიდე შენ მაგიერ ციხით: შუშ. XIII,15; მე ნათელს-გცემ თქუენ წყლითა: C и 1,26; დასაჯონ იგი სიკუდილითა: C მ 20,18, შდრ. DE: დასაჯონ იგი სიკუდილდ), ნაჩვენებია ადგილი, სადაც მოქმედება წარმოებს ან საიდანაც მოქმედება იწყება (მეგობარი მოვიდა ჩემდა გზით: ლ 11,6; გამოვიდა აბრაჰამ ეგვიპტით: დაბ. 13,1), გამოხატულია მოქმედების დრო (მაგ., იხილა იგი სახლსა შინა თჳსსა ღამით: კიმ. I,242,21), მითითებულია მოქმედების ვითარება (წარვედ სწრაფით ვანად ჩემდა შუშ. X,16; წიგნნი ზეპირით იცოდნა, ხანძთ. ლგ13).

მოქმედებითი ბრუნვა ზმნასთან ერთად შესიტყვებას ქმნის პარონომაზიულ გამოთქმებშიც, როდესაც შესიტყვებაში მყოფი სიტყვები ერთი ძირიდან მომდინარეობენ და ერთმანეთს უკავშირდებიან როგორც მასდარი და ზმნის პირიანი ფორმა (მაგ.: ყოველი მთაჲ კნვით მოიკნას: ესაია, 7.25; მთაჲ დაცემით დაეცეს: იობ. 14,18; ხილვით ვიხილე ძჳრი იგი: გამ. 3,7).

დადასტურებულია ცალკეული შემთხვევები, როდესაც მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი და ხადის, უწოდებს, უწესს, უკმობს, იტყჳს || ეტყჳს და სხვა ზმნები (სხვადასხვა მწკრივებში) ქმნიან შესიტყვებებს (მაგ.: ჰხადის მას უფლით: მ 23,8; მამით ხადით მას: 1 პეტრე C' 1,17; მიწოდა მე სახელით: ისტ. ქრ. 295,18; ცხოვართა უწესს სახელით: CE и 10,3; უკმობენ კაცნი დევობით: ლიტ. ურთ. 180,35; დავით ეტყჳს მას უფლით: C მრ 12,37 და სხვ.)[80].

ზმნასთან შესიტყვებას ქმნის თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვაც. ასეთ შემთხვევაში სახელი ბრუნვაში მართულია თანდებულის მიერ და შემდეგ დაკავშირებულია ზმნასთან. ასეთი შესიტყვებით გადმოიცემა დრო და ადგილი, საიდანაც (ან საითკენაც) მოქმედების საწყისი პუნქტია, ჴნ საგნის თანმყოფობა. პირველ შემთხვევაში მოქმედებით ბრუნვას ერთვის -გან, -გამო,

---

[79] თ. შარაძენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, გვ. 413—417.

[80] ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნჳათა ფუნქციები... გვ. 246—250.

-გარდამო და -კერძო თანდებულები, მეორე შემთხვევაში — -ურთ თანდებული.

მაგალითად:

ვიტყოდი იგავთა დასაბამითგან სოფლისათ: DE მ 13,35; კმაჲ პიყო ზეცით გამო: პაემ. მ 17,5 კმაჲ ცით გარდამო ესმა: C მრ 1.11; იელტოდა იგი მთით კერძო: კიმ. 1,41,10; პაელე წარიყვანა თეკლა კაცებითურთ: თეკლ. 108,1 და ა. შ.

§ 11. **ზმნასთან დაკავშირებული ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელი.** ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელი, რომელიც წინადადებაში შეიძლება იყოს პირმიუმართავი დამატება ან გარემოება, უკავშირდება ზმნას და მასთან შესიტყვებით გამოიხატება ადგილი, დრო, მიმართულება, გარდაქცევა, ვითარება, ჯერობა, დანიშნულება, მიზანი[81].

ადგილის გამოხატვა კავშირშია მიმართულებისა და მიღწეულობის, ზოგჯერ კი პირის ჩვენებასთანაც. ამ შემთხვევაში ზმნასთან შესიტყვებული სახელი ან უთანდებულოა, ან თანდებულიანი. დაერთვის -მდე, -მიმართ, -მომართ და კერძო თანდებულები. მაგალითად:

ნათელი მოვიდა სოფლად: C ი 3,19; პეტრე... მირბიოდა საფლეველად: ხანმ. ლ 24,12. ასევე: მოიწია მათ ანგელოზთამდე: წარტყობეგ; იოვასაფ... აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად მიმართ: ბალ. 155,12; რომელმან აღიაროს ჩემდამომართ წინაშე კაცთა: DE ლ 12,8; შდრ. C: რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა; განვიდა თავადი მთად კერძო: DE ლ 6,12.

უთანდებულო ან -მდე თანდებულიანი ვითარებითისა და ზმნის შეერთებით აგრეთვე დროა ნაჩვენები.

მაგალითად:

დააწვინნა აქლემნი... მიმწუხრად: დაბ. 24,11; თქუენ არა გამოხჳდეთ... განთიადმდე: გამ. 12,22.

ვითარება, ჯერობა, გარდაქცევა ან მიზანია გამოხატული უთანდებულო ვითარებითისა და ზმნის შესიტყვებით.

მაგალითად:

პეროდე ფარულად მოუწოდა მოგუთა მათ: DE მ 2,7; ასწილად აღაორძინე ტალანტი: ზარზმ. 182,8; მოუწოდეს კაცსა მას მეორედ:

---

[81] თ. შარაძენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 432—425

DE и 9,24; განზარდა იგი თავისა თჳსისა შ ვ ი ლ ა დ: მოც. 7,21: სამოვ-ხესა მისცემს მათ ს ა მ კ ჳ დ რ ე ბ ე ლ ა დ: მამ. სწ. 102,3; მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა: შუშ. VII,34.

დანიშნულება, განკუთვნება და ან კიდევ მიმართულებაა გამოხატული ნანათესაობითარი ვითარებითით, რომელსაც ბრუნვის ნიშნად -და მოუდის.

მაგალითად:

მეგობარი მოვიდა ჩ ე მ დ ა: ლ 11,6; მოვიყვანე ძჳ ჩემი შ ე ნ დ ა: DE მრ 9,17; განუტევე ჩ უ ე ნ დ ა ბარაბა: С ლ 23,18; ცხოვარი სრული.. წელიწდეული იყოს თ ქ უ ე ნ დ ა: გამ. 12,5; მოიწია მ ი ს ა კმაჲ ზეცით: DE и 12,28; მოვიდა მ ა თ დ ა სასურველი იგი კაცი: ხანძთ. კვ12; საფრჩე ქმნულ ხარ დიდისა კ ე ლ მ წ ი ფ ი ს ა დ ა: იქვე. ნე31.

§ 12. მასდართან დაკავშირებული სახელები. მასდართან ერთად შესიტყვებას ქმნის სახელი, უპირატესად არსებითი სახელი, რომელიც შეიძლება იყოს მიცემით, ნათესაობით, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში. ასეთი სახელი წინადადებაში პირმიუმართაი დამატებაა ან გარემოება.

მიცემითი ბრუნვისა და მასდარის შესიტყვებით ყველაზე ხშირად გამოხატულია მოქმედების ს ა გ ა ნ ი ან ა დ გ ი ლ ი.

მაგალითად:

გიღირს თქუენ უფროჲსად დამორჩილებაჲ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ს ა: კიმ. 1,110,8; უბრძანა ერსა მას დასხდომაჲ ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა: DE მრ 8,6.

ასეთი სახელი შეიძლება იყოს თანდებულიანიც. მაგ.:

უყუარს ზემოჯდომაჲ პ უ რ ს ა ზ ე დ ა: DE მ 23,6; უბრძანა ერსა მას დასხდომაჲ ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა ზ ე დ ა: მ 15,35...

მოქმედების ობიექტს გამოხატავს ნათესაობითი ბრუნვისა და მასდარის შესიტყვებაც:

თქუენგანსა უნდეს გ ო დ ღ ი ს ა შენებაჲ: ლ 14,28; გუნებავს შენგან ს ა ს წ ა უ ლ ი ს ა ხილვაჲ: მ 12,38.

ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი შეიძლება იყოს თანდებულიანიც: ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლაჲ მომავლისა მ ი ს გ ა ნ რ ი ს ხ ვ ი ს ა? DE მ 3,7; არა ჯერ-იყოა განკსნაჲ ს ა კ რ ე ვ ე ლ თ ა გ ა ნ მ ი ს თ ა? Е ლ 13,16.

მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი მასდართან შესიტყვებისას უმთავრესად გამოხატავს ი ა რ ა ღ ს ან ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ს, რითაც ხდება მოქმედება, ან ა დ გ ი ლ ს, სადაც ან საიდანაც (ან კიდევ საითკენაც) მოქმედება წარმოებს.

მაგალითად:

უბანელითა კელითა ჰამად არა შეაგინებს კაცსა: მ 15,20; დაჯდომად მარჯუენით ჩემსა არა ჩემი არს მიცემად: C მ 20,23; განიზრახა მიქცევად მაკედონიათ: მოც. 20,3.

მასდარს უკავშირდება აგრეთვე ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელი:

ვერღარა კელ-ეწიფა ქალაქად შესლვად: DE მრ 1,45; იზრახა ფარულად განტევებად მისი: C მ 1,19.

§ 13. მიმღეობასთან დაკავშირებული სახელები. მიმღეობისა და სახელის ურთიერთობა ისეთივეა, როგორც მასდარისა და სახელის ურთიერთობა. სახელი ამ შემთხვევაშიც შეიძლება იყოს მიცემით, ნათესაობით, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში უთანდებულოდ ან თანდებულის დართვით და გამოხატავს პირმიუმართავ დამატებას ან გარემოებას. ამის მიხედვით მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი და მიმღეობა გვაძლევს ასეთ შესიტყვებებს: ვიხილენ მკედარნი ორნი: მკედარი ვირსა და მკედარი აქლემსა: ესაია, 21,7; იყო მუნ კოლტი ღორთად მრავალთად მძოვარი მთასა ზედა: DE ლ 8,32; იხილეს იგი მავალი ზღუასა ზედა: C მრ 6,49 და სხვა.

ასეთივე მდგომარეობაა სხვა ბრუნვებთანაც, მაგ.:

ნათესაობითი ბრუნვა და მიმღეობა

აღსრულოს სიტყუად იგი ესაია წინაწარმეტყუელისა თქუმული: C მ 8,17; აღსრულოს თქუმული უფლისა მიერ: C მ 1,22; იესუ, დამაშურალი გზისა მისგან, ჯდა წყაროსა მას თანა: C ი 4,6; კაცისაგან გამომავალი იგი შეაგინებს კაცსა: DE მრ 7,20 და ა. შ.

მოქმედებითი ბრუნვა და მიმღეობა

გამომავალი პირით გულისაგან გამოვალს: მ 15,18; მე დავარღვო ტაძარი ესე ქელით ქმნული: C მრ 14,58; მისცეს მას ძმარი ნაღღობა შეზავებული: DE მ 27,34; არა შჳამოთ მისგანი უგბოლველი, არცა მგბარი წყლითა: გამ. 12,9 და სხვა.

ვითარებითი ბრუნვა და მიმღეობა

გიმოდ იხილა მთავარმან მან წყალი იგი ღჳნოდ გარდაქცეული: C ი 2,9; მოჰგუარეს მას ყრუდ და ძნიად მეტყუელი: DE მრ 7,32; სხუად ყოველადვე ორად განკუეთილი იდვა: კიმ. I,30,14.

§ 14. ვითარებითში დასმული მასდარი ინფინიტივის მნიშვნელობით. ინფინიტივი, რომელიც ქართული ენისათვის არ ყოფილა დამახასიათებელი, ევროპულ ენებში წარმოადგენს ზმნის საწყის ფორმას და აღნიშნავს მოქმედებას, მაგრამ არ გააჩნია სათანადო გრამატიკული კატეგორიები (პირის, რიცხვის, დროისა და სხვ.). იგი მოგვაგონებს არსებითი სახელის სახელობით ბრუნვას, როგორც მოქმედების სახელწოდება, ოღონდ არც ბრუნვის მიხედვით იცვლება. მოქმედების სახელია ქართულში მასდარი, მაგრამ ეს უკანასკნელი არ შეესაბამება ინფინიტივს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იგი ნაზმნარი სახელია და წინადადებაში გამოყენებულია არსებითი სახელის მნიშვნელობით. მასდარი იცვლება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით და შეპორჩენილი აქვს ზოგი ზმნური კატეგორიაც.

ინფინიტივს ძველ ქართულში ცვლის ვითარებითში დასმული მასდარი, რომელიც შესიტყვებაში ინფინიტივს მოგვაგონებს. ამით აიხსნება სახელობითის მაგივრად დამატების დასმა ვითარებით ბრუნვაში, როცა დამატებად მასდარია, შდრ. „რომელმან აღაშენა ს ა ხ ლ ი“: მ 7,24, მაგრამ „კაცმან ამან იწყო შ ე ნ ე ბ ა დ“: ლ 14,30.

ასევე: დაავიწყდა პური მ ი ღ ე ბ ა დ: DE მ 16,5, შდრ. C: დაავიწყდა პურისა მ ო ღ ე ბ ა ჲ.

ჩვეულებრივი მასდარისაგან განსხვავებით მას უკავშირდება პირდაპირი და ირიბი დამატებაც და გვაქვს:

> მაშინ უბრძანა დადებად ჯაჭჳ ქედსა მისსა: შუშ. VIII,27; არა უტევა დათხრად გუერდი სახლისა თჳსისაჲ: DE მ 24,43; მამცნო ჩუენ ჭადაგებად ერსა მას: მოც. 10,42; ბრძანა მიცემად იგი მას: მ 14,9.

ვითარებითში დასმულ მასდარს ასევე უკავშირდებიან და შესიტყვებას ქმნიან მასთან ერთად მიცემითში დასმული უთანდებულო და თანდებულიანი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ მოქმედების საგანს, ადგილს ან დროს და ა. შ.

მაგ.:

> ვერ შეუძლო შეძრვად სახლსა მას: DE ლ 6,48; იყო მუნ მათი წულიწადი ერთი შეკრებად ეკლესიასა: მოც. 11,26; მეყსეულად აიძულა მოწაფეთა შესლვად ნავსა: DE მ 14,22, შდრ. C: მეყსეულად აიძულა მოწაფეთა შესლვაჲ ნავსა.

ასეთივე მდგომარეობაა სხვა ბრუნვებთან ურთიერთობაშიც. შესიტყვებას ქმნიან ვითარებითში დასმული მასდარი და ნათესაო-

ბით‌ში დასმული სახელი (მოვიდა... მარიამ ხილვად საფლავისა მის: Ⴋ 28,1; მოვიდა იგი... მადლისა გარდაჴდად: შუშ. XI,15).

ვითარებით‌ში დასმული მასდარი და მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი (იწყეს სისრად ქვითა: კიმ. II,56,26; იწყო... თმითა თავისა თჳსისაჲთა წარჴოცაჲ: ლ 7,38).

ვითარებით‌ში დასმული მასდარი და ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელი (შემძლებელ არს ღმერთი ქვათა ამათგან აღდგინებად შვილად აბრაჰამისა: DE Ⴋ 3,9).

ძველ ქართულში შენიშნულია[82] ნათესაობით ბრუნვაში დასმული მასდარი ვითარებითის ფუნქციით ზოგ ზმნასთან (ნებავს, უნდა, ჴელ-ეწიფების და სხვა).

მაგ.:

ნუუკუე თქუენცა გნებავს წარსლვის? DE ი 6,67, შდრ. C: ნუუკუე თქუენცა გნებავს წარსლვად? ვის-მე ჴელ-ეწიფების ცხორების? C ღ 18,26, შდრ. DE: ვის-მე ჴელ-ეწიფების ცხორებად?

ასევე:

მინდა მე ჭორწინების: კიმ. 1,200,25; გინებს ჴეშმარიტად სმენის: იქვე, 53,1 და ა. შ.

§ 15. ზედსართავ სახელთან დაკავშირებული არსებითი სახელი. ზოგ ზედსართავ სახელს ახლავს მოქმედებით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელი (ან მასდარი), რომელიც სინტაქსურად პირმიუმართავი დამატებაა და, როგორც ქვემოთაა ნაჩვენები, ასეთი შესიტყვება ერთ შემთხვევაში შედეგია იმისა, რომ ზედსართავ სახელთა საგრძნობი ნაწილი ზმნური წარმოშობისაა (სავსე, ღირსი და სხვა). მეორე შემთხვევაში კი იგი გავრცელებულია სხვა ზედსართავ სახელთანაც.

მაგ.:

ჰურჩერი დგა მუნ ძმრითა სავსე: DE ი 19,29; რაჟელ იყო კეთილ ხილვითა და შუენიერ პირითა: დაბ. 29,17; იყო სიღრმითა დიდ, კორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ: ხანძთ. B_{63}.

§ 16. არსებით სახელთან დაკავშირებული სახელები. შესიტყვება იქმნება იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებით სახელს ერთვის ზედსართავი სახელი მიმღეობითურთ, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი და არსებითი სახელი. არსებითი სახელი

---

[82] არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, 1955, გვ. 48—49; ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 174—183.

ასეთ შემთხვევაში მთავარი სიტყვაა. დამოკიდებული სიტყვა ექვემდებარება მთავარს გრამატიკული კატეგორიების მიხედვით. ეს კატეგორიებია ძველი ქართულისათვის ბრუნვა და რიცხვი. ზედსართავი სახელი (მიმღეობითურთ), ნაცვალსახელი და რიცხვითი სახელი არსებით სახელს უკავშირდება ბრუნვასა და რიცხვში შეთანხმებით, არსებითი სახელი კი არსებით სახელს შეეწყობა ბრუნვასა და რიცხვში შეთანხმებით, ბრუნვაში მართვითა და მართვა-შეთანხმებით. ამის მიხედვით შესიტყვების კომპონენტთა შორის მყარდება ატრიბუტული, მართული და მართულ-შეთანხმებული დამოკიდებულება.

§ 17. შესიტყვება ატრიბუტული დამოკიდებულებით. არსებით სახელთან შესიტყვებული ზედსართავი სახელი ან მასთან გათანაბრებული სხვა სახელი (ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი, არსებითი სახელი) ბრუნვასა და რიცხვში შეთანხმებულია წამყვან სიტყვასთან. არსებითი სახელი, რომელიც წამყვანი სიტყვაა ამ ტიპის შესიტყვებაში, დამოკიდებულ სიტყვას მოითხოვს იმ ბრუნვასა და რიცხვში, რომელშიც თვითონ არის. ამიტომ ერთნაირია შესიტყვების სახეები, როცა არსებით სახელთან არის:

1. ზედსართავი სახელი ან მიმღეობა[83]: მართალი კაცი, აღორძინებული ერი... წმიდანი ადგილნი და ა. შ.

მაგ.:

მართალი კაცი ხარ: კიმ. II,99,4; იხილა მამამან გრიგოლ აღორძინებული ერი: ხანძთ. ლვ1; ყრმამან მცირემან დაწერნეს იგინი: ესაია, 10,19; წარვიდა უდაბნოსა ადგილსა: DE მ 14,13; მცირედისა ჟამისა შემდგომად აღდგა ნეტარი იგი: ისტ. ქრ. 278,20; მწარითა ცრემლითა ტიროდა: შუშ. II,28; მაშინ შევიდა წმიდად ეკლესიად: ხანძთ. ობ77; მოიღოცნეს წმიდანი ადგილნი: იქვე, კზ18; ოპიზელთა მამათა მოსცეს ყოველი: იქვე, ზ40; ხედვიდა წმიდათა კაცთა: იქვე, ლა8; პატიოსანთა საკუმეველთა სულნელებამან აღავსო ყოველი იგი ერი: იქვე, პვ.

2. ნაცვალსახელი: კელი ჩემი, ფერკი შენი, ადგილი მისი, დედაჲ მაგისი, ნათესავი ჩუენი, გული თქუენი, სამოსელი მათი, ესე იგავი, ესევითარი კაცი, ესოდენი შრომაჲ, რომელი რჩული, ვისი ძწ, არავინ მათგანი, ყოველი კაცი, თითოეული ხწ, სხუაჲ იგავი, ვინმე დედაკაცი, რაჲმე ნერგი, დაბაჲ ერთი და სხვა.

---

[83] მსაზღვრელ-საზღვრულს შორის სინტაქსური ურთიერთობის საკითხები უფრო ვრცლად მიმოხილულია ქვემოთ.

მაგ.:

დახუდვა კელი ჩემი გუერდსა მისსა: ხანმ. ი 20,25; არა წარსცე ქვასა ფერჯი შენი: DE მ 4,6; არა აქუნდა ეგეგითარი ჩუეულებაჲ: ხანძთ. ნე; რომელი რჩული გიპყრიეს: ისტ. ქრ. 165,9; სხუაჲ იგავი ისმინეთ: მ 21,33; იხილა ყოველმან ერმან: ლევიტ. 9,25; ეძიებნ სხუასა ადგილსა: ბოლნ. 83,17; ვიშენო თავისა ჩემისა სახლი: დაბ. 30,30; კელითა თჳსითა მრარათუას ნაყოფი იგი მისი: ლევიტ. 7.20; შენ სხუად სახედ ყრმებრ არა რაჲ ჰჴვენ: შუშ. XVI.13; ძმანი შენნი დგანან: მ 12,47; მოელოდეს მას ყოველნი წარმართნი: საბა ას. 13,16; სხუათა მათ ჰაბუკთა შეიპყრეს იგი: DE მრ 14,51; მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა: შუშ. IV,28 და სხვ.

3. რიცხვითი სახელი: ორ ძე, შჳდი გოდორი, მეოთხე ნათესავი და ა. შ.

მაგ.:

კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე: მ 21,28; აღიღეს ნეშტი ნამუსრევი შჳღი გოდორი: DE მრ 8,8; მეოთხე ნათესავი მოიქცეს აქა: დაბ. 15,16...

4. არსებითი სახელი: ლიტრაჲ ნელსაცხებელი, ქალაქი ტფილისი, ძჳ არდასირ...

მაგ.:

მარიამ მოიღო ლიტრაჲ ერთი ნელსაცხებელი: DE ი 12,3; იპყრა მეფობაჲ მისი ძემან მისმან არდასირ: წარტყ. იეე; წარუძღუანო ეგე ტფილისს ქალაქსა: ისტ. ქრ. 162,4; მიეიწიენით ქალაქად მცხეთად: იქვე. 271,15 და სხვ.

§ 18. მართული შესიტყვება. მართული შესიტყვება ორი არსებითი სახელისაგან შედგება. პირველი არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვაშია და წარმოადგენს დამოკიდებულ სიტყვას, რომელიც მართულია ბრუნვაში, მეორე კი მთავარი სიტყვაა, მმართველია. ასეთებია: ერისა კაცი, ვირისა კიცჳ, დანგისა კოტორი, თევზთა სიმრავლჱ...

მაგ.:

ერისა კაცი ვინ გამოჩნდა: შუშ. V,33; პოვა მუნ ვირისა კიცჳ; კიმ. I,247,28; არა მისცე დანგისა კოტორი: DE მ 5,26; შეაყენეს თევზთა სიმრავლჱ: ლ 5,6 და ა. შ.

შინაარსის მიხედვით მართული შესიტყვება არაა ერთგვარი. განსხვავებული მნიშვნელობაა შესიტყვებებში: ამხანაგის წიგნი, ქვის სახლი, კბილის ექიმი. პირველში კუთვნილებაა გამოხატული (ამხანაგის წიგნი=წიგნი ეკუთვნის ამხანაგს), მეორეში — მასალა (ქვის სახლი=ქვისაგან აშენებულ სახლს, მასალად გამოყენებულია ქვა), მესამეში კი პროფესია (კბილის ექი-

მი=კბილის მკურნალს). სულ სხვა მნიშვნელობისაა „გაკვეთილის გეგმა“, „ქონდრის კაცი“ და ა. შ.

არსებით სახელთან ერთად შესიტყვებას ქმნის მოქმედებით ბრუნვაში დასმული ზოგი არსებითი სახელიც (სახელი, ნათესავი, ტომი, ბუნება...). ასეთ მოქმედებითს არ ერთვის ემფატიკური ხმოვანი -ა და გვაქვს: სახელ-ით, ნათესავ-ით, ტომ-ით, ბუნებ-ით[84].

მაგ.:

იყო ვინმე მოწაფე დამასკეს შინა, **სახელით** ანანია: ქმ. მოც. 9,10, შდრ. ჯ: მუნ იყო კაცი ერთი, რომელსა სახელი ერქუა ანანია; მას ჟამსა მო-ვიწ მე-ვიდა ღავრად კაცი... **ნათესავით** სომეხი, **სახელით** იერემია: კიმ. 11.153,30; ესე არს **სახელით** მტკუარი: აბო, 75,5; ვარ მე **ბუნებით** სარკინოზ: იქვე, 69,18.

§ 10. მართულ-შეთანხმებული შესიტყვება. მართულ-შეთანხმებულ შესიტყვებას ქმნის არსებით სახელთან შეწყობილი არსებითი სახელი, როდესაც ბრუნვაში მართული სიტყვა მოსდევს მთავარ სიტყვას, რომელიც დამოკიდებულ სიტყვას ითანხმებს ბრუნვასა და რიცხვში. ტერმინი **მართულ-შეთანხმებული** პირობითია, რადგანაც ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი ამ შემთხვევაში მთლიანად ფუძედაა გამოყენებული და შემდეგ კი ბრუნვასა და რიცხვში ეთანხმება მთავარ სიტყვას.

მართულ-შეთანხმებული სახელი წინადადებაში განსაზღვრებაა. იგი ან მხოლოობითის (და მასთან გათანაბრებული -ებ ნიშნიანი მრავლობითის) ფუძითაა (მაგ. მარილ ქუეყანისა, ძმ კაცისაჲ, რტოები ფინიკისაჲ, მრ. რ. ნაკადულნი წყლისანი და ა. შ.), ან კიდევ ფუძედ მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელია -თა დაბოლოებით. ამ შემთხვევაში ბრუნვაში მართული სახელი ეთანხმება მთავარ სიტყვას ბრუნვაში, მაგრამ რიცხვში შეთანხმება აღინიშნება მხოლოდ სახელობითსა და წოდებითში (მკედარი კრებულთაჲ, მკედრები კრებულთაჲ, კოლტი ღორთაჲ, კოლტმან ღორთამან... კოლტნი ღორთანი, კოლტთა-ღორთამან, კოლტთა ღორთასა, კოლტთა ღორთაჲსა... კოლტნო ღორთანო)[85].

---

[84] ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 264—266.

[85] დაწვრილებით ამ საკითხებზე ცალკეა საუბარი **განსაზღვრებასთან** დაკავშირებით; იქვეა განხილული მრავალგანსაზღვრებიან შესიტყვებაში სიტყვათა თანმიმდევრული დაქვემდებარების შემთხვევებიც.

§ 20. შესიტყვება უფროობითი ხარისხის ფორმებთან. უფროობითი ხარისხის ფორმას ახლავს შესადარებელი სახელი, რომელიც შეიძლება იყოს მიცემითში, ნათესაობითში ან ნანათესაობითარ მიცემითში. შესიტყვების სტრუქტურის მიხედვით შექმნილი განსხვავება არაა გამოწვეული შინაარსობლივი სხვაობით, მაგრამ დაკავშირებულია უფროობითი ხარისხის წარმოებასთან.

შესადარებელი სახელი სამივე შემთხვევაში მართულია ბრუნვაში.

მაგ.: **მიცემითში:** სარგებელ გეყოს იგი უფროჲს ხ ი ლ ვ ა ს ა თიატრიონისასა: მამ. სწ. 51,8; უმჯობეს არს კაცი ს ა ც ხ ო ვ ა რ ს ა: D მ 12,12.

ნათესაობითში: იქმნა ღჳნო უჰამოვნეს პ ი რ ვ ე ლ ი ს ა მის ღ ჳ ნ ი ს ა: ისტ. ქრ. 169,24; ნუ ხარ უგრილეს ნ ა ც რ ი ს ა: მამ. სწ. 132,10.

ნანათესაობითარ მიცემითში: ერთი იგი მოწაფჱ წინა რბიოდა ხუადრეს პ ე ტ რ ჱ ს ს ა: ხანმ. ი 20,4; უძჳრჱს ა ნ ა ს ტ ა ს ი ს ს ა აღაშფოთნეს ეკლესიანი: კიმ. II,201,28.

§ 21. ზმნისართიანი შესიტყვება. ზმნისართი უკავშირდება ზმნას, ნაზმნარ სახელებს (მასდარსა და მიმღეობას), ზედსართავ სახელს და ზმნისართსაც კი და მათთან ერთად ქმნის შესიტყვებას. შესიტყვებაში ზმნისართი პასიურია, როგორც ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილი და უკავშირდება შესიტყვების წამყვან კომპონენტს ისე, რომ გამორიცხულია შეთანხმება და მართვა.

აგებულების მიხედვით ზმნისართი ან ძირეულია, ან წარმოქმნილი. პირველი უაფიქსოა, მეორე კი რომელიმე ბრუნვაში გაქვავებული სახელია, რომელიც არ იცვლება ბრუნვათა მიხედვით, მაგრამ აქვს ბრუნვის ნიშანი.

ძირეული ზმნისართი ოდენ მირთული სიტყვაა. მას არც ისტორიულად ჰქონდა ბრუნვის ნიშანი და ამდენად ვერ გაუტოლდება წარმოქმნილ ზმნისართს, რომელიც მართვის შედეგად გაფორმებულია რომელიმე ბრუნვაში.

მაგ.:

მომგუარე მე აქა ძჱ შენი: ლ 9,41; აწ მოუღეთ მას ქანქარი იგი: C მ 25,28; მიევედ ფარაოჲსა ხვალე: გამ. 7,15; მე ვიჯმენ ადრე: შუშ. III,9 და ა. შ.

წარმოქმნილი ზმნისართი ფუძის სახით ან რომელიმე ბრუნვის ფორმით მიერთვის შესიტყვების მთავარ კომპონენტს.

მაგ.:

1. **ზმნისართი ფუძის სახითაა:** შევიდა ქალი იგი მწრაფლ: DE მრ 6,25; ყოველმან კაცმან კეთილი ღუნოჲ პ ი რ ვ ე ლ ამსახურის: C ი 2,10; ყო იოსებ გლოვაჲ მამისა თჳსისაჲ შ ჳ დ დ ღ ე: დაბ. 50,10.

2. **სახელობით ბრუნვაშია:** იყოს შჳდი წ ე ლ ი სიყმილი დაბ. 41,27; მოხუედ სამოთხედ მ ი მ წ უ ხ რ ი: ჭილ.-ეტრ. 174.

3. **მიცემით ბრუნვაშია:** პეტრე მისდევდა ძას შ ო რ ს: C მ 26.58; აღვადგინო იგი უკუანაჲსკნელსა მას დ ღ ე ს ა: DE ი 6.39.

4. **ნათესაობით ბრუნვაშია:** ჰამონ პური ჩემთანა კაცთა მაგათ ს ა მ ხ რ ი ს: დაბ. 43,16; მ ყ ი ს მოიწია ჩუენდა დიაკონი: შუშ. III,5; მ ა რ ა დ ი ს გულს ეტყჳნ; იქვე, I.12.

5. **მოქმედებით ბრუნვაშია:** მან ს ი ხ ა რ უ ლ ი თ შეიწყნარნა სატანჯველნი იგი: კიმ. I,121,35; ხ ვ ა ლ ი თ გ ან ვიწყო კეთილისა საქმეც: მამ. სწ. 43,26.

6. **ვითარებით ბრუნვაშია:** კ უ ა ლ ად მოჰეგო ჴელი იგი: ჰაეშ. მრ 3,5; მ ე ყ ს ე უ ლ ად აღდგა ქალი იგი: DE მრ 5,42; იგინი შეწუხნეს ფ რ ი ა დ: DE მ 17,23; პოვა მან პ ი რ ვ ე ლ ად ძმაჲ თჳსი სიმონ: DE ი 1,41.

§ 22. **ზმნისართი ნაზმნარ სახელებთან.** ზმნისართიან შესიტყვებას ქმნიან ნაზმნარი სახელებიც (მასდარი და მიმღეობა). ასეთ შემთხვევაში ზმნისართი მიერთვის მასდარს ან მიმღეობას ისევე, როგორც ეს ზმნის პირიან ფორმასთან გვაქვს.

მაგ.:

> იზრახა ფარულად განტეებაჲ მისი: C მ 1,19, შდრ. DE: იზრახა ფარულად განტეებად იგი; უბრძანა წიაღსლვაჲ მიერ კერძო: DE მ 8,18: ფრიად ბრწყინვალებითა მისითა ვერ განვიცდიდ ხატსა მისსა: ისტ. ქრ. 294,8; მოჰგუარეს მას... ძნიად მეტყუელი: DE მრ 7,32; გუეჩუენა ჩემ მზე იგი აღმომავალი მაღლით: E ლ 1,78, შდრ. C: მოგუძინნეს ჩუენ მზე მან აღმომავალმან მაღლით.

§ 23. **ზმნისართი ზედსართავ სახელთან.** ზოგი ნასახელარი ზმნისართი, უპირატესად ვითარებისა, მიერთვის ზედსართავ სახელს და მასთან ერთად ქმნის შესიტყვებას. მისი ადგილი თავისუფალია: იგი ან წინ უსწრებს და ან მისდევს მთავარ სიტყვას.

მაგ.:

რომელ არს მზის ჭალაქ... ფრიად ერთგული: კიმ. II,8,13; ვიხილე კაცი ერთი... საკჳრველად შუენიერი: ისტ. ქრ. 295,11; აღიყვანნა იგინი მთასა ფრიად მაღალსა: Е მრ 9,2.

§ 24. ზმნისართი ზმნისართთან. ზმნისართი მიერთვის ზმნისართსაც და ეს ხდება მაშინ, როდესაც შესიტყვებაში მთავარი ზმნისართი სახელიდან მომდინარეობს:

მაგ.:

მსთუად განთიად ერთშაფათსა მას მოვიდეს სამარესა მას ზედა: С მრ 16,2; პეტრე ფრიად უმეტესად... იტყოდა: С მრ 14,31; განმდიდრდა კაცი იგი დიდად ფრიად: დაბ. 30,43.

§ 25. თანდებულიანი შესიტყვება. გარკვეულია, რომ თანდებული მომდინარეობს სრულმნიშვნელოვანი სიტყვისაგან. შესიტყვებაში თანდებულები მონაწილეობდნენ, როგორც მმართველი სიტყვები, მაგრამ დროთა ვითარებაში მათ გაუქრათ ნივთიერი მნიშვნელობა, დაკარგეს ადრინდელი სახეც და მიეკედლნენ სახელებს ადგილისა და დროის, მიმართულებისა და დანიშნულების ან სხვა სახის დამოკიდებულების აღსანიშნავად. ოდესღაც დამოუკიდებელი სიტყვა იქცა ნაწილაკად, რომელსაც არ ძალუძს იყოს შესიტყვების კომპონენტი. უცვლელი დარჩა დაქვემდებარებითი დამოკიდებულება: თანდებულმა შეინარჩუნა სახელის ბრუნვაში მართვის უნარი.

გვაქვს სახელთან შერწყმული (თუალისა გ ა ნ, სოფლა მ დ ე...) და ცალკე მდგომი (კაცისა მიერ...) თანდებულები. ეს უკანასკნელი ზმნასაც ერთვის და მასთან ერთად ქმნის შესიტყვებას, როგორც ზმნისართი (მაგ., გამოვიდა მიერ მონაჲ იგი: DE მ 18,28). ერთი და იგივე სახე თანდებულია, როცა სახელს ერთვის და ზმნისართია, როცა ზმნას ერთვის. ზმნასთან დართვისას შესიტყვებას ქმნის, სახელთან დართვისას შესიტყვების მონაწილედ ვერ მიიჩნევა. და ეს ხდება იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მას დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა არა აქვს. შესიტყვებაში მონაწილეობს თანდებულიანად სახელი, რომელიც მიერთვის მეორე კომპონენტს (ზმნას, ნაზმნარ სახელს და ა. შ.).

თანდებულიანი სახელი ჩვენ გვაინტერესებს, როგორც ბრუნვაში მართული სახელი. მართვას კი ადგილი აქვს მიცემითში, ვითარებითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში. ზოგი თანდებული სახელს ითხოვს სხვადასხვა ბრუნვაში, მაგალითად, მ ი ც ე მ ი თ ს ა

და ნათესაობითში (თანა, ზედა...), ნათესაობითსა და მოქმედებითში (განა, გამო), ნათესაობითსა და ვითარებითში (მიმართ), ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში (კერძო), მიცემითში, ნათესაობითსა და ნანათესაობითარ მიცემითში (წინაშე) და ა. შ.

§ 20. სინტაქსური ურთიერთობის სახეთა ისტორიისათვის. შესიტყვებაში მთავარსა და დამოკიდებულ სიტყვას შორის გვაქვს შეთანხმება, მართვა ან მირთვა.

სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულების ეს ფორმები ისტორიულად ცვალებადია. უძველესი ქართულის ადრინდელ პერიოდში შესიტყვების ამ სახეთა უქონლობა სიტყვათა რიგს უნდა აენაზღაურებინა.

წინადადებაში სიტყვათა გაფორმებას თან დაჰყვა შესიტყვების სახეთა ჩამოყალიბება, რაც, რა თქმა უნდა, არ მომხდარა ერთბაშად. ამ უკანასკნელმა შეარყია წინადადებაში სიტყვათა მტკიცე ადგილის აუცილებლობა.

ინდოევროპული ენების ისტორიის მიხედვით გამოთქმულია მოსაზრება, რომ უძველეს პერიოდში უნდა გვქონოდა მხოლოდ მირთვა, შემდეგ სიტყვამ დამოუკიდებლად იწყო გაფორმება იმის მიხედვით, თუ რა დანიშნულებას ასრულებდა იგი წინადადებაში და გაჩნდა შეთანხმება. დამოუკიდებლად წარმოიშვა მართვა[86].

ქართული ენის ისტორიული ანალიზიც ამგვარად წარმოგვიდგენს საქმის ვითარებას: მირთვაში ურთიერთობის უძველესი ფორმაა შემონახული. ხოლო შეთანხმება და მართვა ჩამოყალიბდა ზმნისა და სახელის გრამატიკული კატეგორიების საფუძველზე. მირთვა, როგორც სინტაქსური დამოკიდებულების სახე, დაუპირისპირდა ორ დანარჩენს მაშინ, როდესაც სინტაქსური ურთიერთობა დამყარდა ზმნასა და სათანადო სახელს შორის.

შეთანხმებისა და მართვის ისტორიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სიტყვის დეტერმინანტი სუფიქსებისა და პირის ნიშნების ჩამოყალიბებას. დეტერმინანტი სუფიქსები განსაზღვრავენ მეტყველების ნაწილებს. რიგ შემთხვევაში ამ სუფიქსით გაემიჯნა სახელი ზმნას. მაგალითებით რომ ვთქვათ, გვაქვს წით- ფუძე. იგი

---

[86] ა. მეიე, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, М.-Л., 1938, გვ. 363—367.

საერთოა წ ი თ-ს ზმნისა და წ ი თ-ელ სახელისათვის. წ ი თ- ფუძე ამ შემთხვევაში ნეიტრალურია: იგი არც ზმნას გამოხატავს და არც სახელს, მაგრამ გამოყენებულია როგორც ერთისათვის, ასევე მეორისათვის[87]. -ე ლ კი (მაგ., ძუ-ელ'ში, მეგრ. ჯუ-ეშ'-ზე დამყარებით) ვ. თოფურიას მიერ ერთ-ერთ მოხსენებაში წამოყენებული დებულების მიხედვით „შეიძლება ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციისა ყოფილიყო და კუთვნილება-თვისება ამ გზით აღენიშნა"[88].

-ე ლ (წით-ელ, ძუ-ელ...), -ა ლ (მართ-ალ, ძუ-ალ...), -ო ლ (ც-ოლ...), -უ ლ (გ-ულ...), -ი ლ (ჩჩუ-ილ...), -ლ (ვაშ-ლ, თაფ-ლ...) და ა. შ.[89] დეტერმინანტი სუფიქსებია, რომლითაც სახელმა მიიღო თავისი გაფორმება და დაუკავშირდა მეორე სახელს. ეს დაკავშირება გამოიხატა შეთანხმებით. საგულისხმო ფაქტია და შეთანხმების სიძველეზე მიუთითებს ისევე, როგორც იგივე წ ი თ-ს სხვა სიტყვასთან ურთიერთობისას -ს სუფიქსით გამოხატავს ჰართვის ხანგრძლივ ისტორიას.

შეიძლება სხვა მაგალითებიც დავასახელოთ. ჩვენ გვაქვს:

მარჯუ-ლ ← მარჯუ-ალ, შდრ. მარცხ-ლ,

მარჯუ-ნ ← მარჯუ-ენ.

აქედან: მარჯუნ-ით, მარჯუნ-ივ და ა. შ.

პირველი ორი -უ ლ → ‖ ლ, -ენ → ‖ ნ დეტერმინანტ სუფიქსთა დართვით პირველადია, უკანასკნელი ორი — მეორეული. თუ გავითვალისწინებთ, რომ დეტერმინანტი სუფიქსისათვის ბრუნვის ნიშნის გამოხატვა არაა უცხო, სხვა სახელთან ან ზმნასთან ურთიერთობისას თავს იჩენს შეთანხმება ან მართვა. შემდგომ კი სათანადო კონტექსტში მართული სიტყვა იქცევა მირთულად.

---

[87] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 121.

[88] დამოწმებულია არნ. ჩიქობავას მიერ. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 117.

[89] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 157.

თავი მეორე

მარტივი წინადადების აგებულება

§ 27. ცნობები წინადადების გაგების შესახებ. წინადადების შედგენილობისა და აგებულების საკითხებს სწავლობს სინტაქსი. სინტაქსისა და წინადადების ცალკეულ საკითხებზე მუშაობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. „სინტაქსის მამამთავრად ითვლება აპოლონიოს დისკოლო („მძიმე აპოლონი")[1], რომლის მოღვაწეობა განეკუთვნება მეორე საუკუნეს ქრისტეს შემდეგ"[2].

უფრო ადრე, ჩვენ წელთაღრიცხვამდე II საუკუნის დასასრულსა და პირველი საუკუნის დასაწყისში, დიონისე თრაკიელმა „გრამატიკულ ხელოვნებაში" მოგვცა ცნობები წინადადების შესახებ.

გავიდა მას შემდეგ თითქმის ორი ათასი წელი. ამ ხნის განმავლობაში წინადადების შესახებ მოძღვრება იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ მივიღეთ განსაზღვრებათა მთელი წყება. ჯონ რისი 1931 წელს გამოცემულ შრომაში „Was ist ein Satz?"[3] აღნიშნავდა, რომ წინადადების 150-მდე განსაზღვრა არსებობსო, ეუგენ ლერხის გამოანგარიშებით კი 1938 წლამდე განსაზღვრებათა რაოდენობამ 200-ს გადააჭარბა[4], ხოლო ე. კროტევიჩის არასრული გა-

---

[1] აპოლონიოს დისკოლომ საფუძველი ჩაუყარა ბერძნულ სინტაქსს. ცნობილია, რომ მან გამოყო რვა ნეტყველების ნაწილი, აქედან კი შესიტყვებაში მთავარი როლი მიანიჭა სახელსა და ზმნას. მისი შრომებიდან შემონახულია მხოლოდ ოთხი. ამ შრომათაგან საუკუნეებს გაუძლო მისმა „სინტაქსმა".

[2] არნ. ჩიქობავა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას, III, ახალ სკოლისაკენ, 1929, № 11—12, გვ. 75.

[3] J. Ries, Was ist ein Satz? Beiträge zur Grundlegung der Syntax, Heft III, Prag, 1931, გვ. 209—225.

[4] Eugen Lorch, Vom Wesen des Satzes und von der Bedeutung der Stimmführung für die Satzdefinition: Archiv für die gesammte Psichologie, 1938, გვ. 134—196.

მოთვლით, როგორც თვითონვე აღნიშნავს, ორი გასული ათასწლეულის მანძილზე წინადადების 300-ზე მეტი განსაზღვრა გვაქვს[5].

თუ გავითვალისწინებთ იმ განსაზღვრებათ, რომლებიც ხსენებულ ავტორთათვის უცნობი იყო, მაშინ წინადადების განსაზღვრათა რიცხვი, ცხადია, კიდევ უფრო მეტი აღმოჩნდება.

წინადადების გაგების საკითხში სამი ძირითადი მიმართულების — ა) ლ ო გ ი ც ი ზ მ ი ს, ბ) ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ზ მ ი ს, გ) ფ ო ნ ე ტ ი ზ მ ი ს ა და მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ზ მ ი ს — ღრმა ანალიზი და ამომწურავი კრიტიკული მიმოხილვა მოცემულია არნ. ჩიქობავას მიერ[6]. ამიტომ ამ საკითხს აქ არ ვეხებით.

ადრიდანვე მიიქცია ყურადღება წინადადების განსაზღვრისას ერთმა პრინციპმა: როგორი უნდა იყოს წინადადების განსაზღვრა— ზოგადი, რომელიც ყველა ენის მიმართ იქნება გამოყენებული, თუ ამა თუ იმ ენის თავისებურებიდან გამომდინარე?

ამ შემთხვევაში მოგვაგონდება წინადადების ლოგიცისტური გაგება, სადაც არაა გათვალისწინებული ის სხვაობა, რომელიც არსებობს ენებს შორის წინადადების სტრუქტურის მხრივ[7].

ცნობილია, რომ დ. კუდრიავსკი, ა. პოტებნია, ლ. შჩერბა და სხვები უარყოფდნენ წინადადების ზოგად განსაზღვრას. მაგალითად, ლ. შჩერბა ამბობდა: „სასაცილოა კითხვის დასმა: „რა არის წინადადება?"[8], ხოლო უფრო ადრე დ. კუდრიავსკი აღნიშნავდა: „იქნება თუ არა ოდესმე მიღწეული სრული შეთანხმება წინადადების განსაზღვრაში, ამის წინასწარმეტყველება საკმაოდ რთულია. ყოველ შემთხვევაში მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს შეთანხმება შეიძლებოდა მიღწეულიყო მხოლოდ იმ პირობით, თუ ენათმეცნიერები უარს იტყოდნენ თავიანთ განსაზღვრაზე მონაწილეობაზე წინადადების ზოგადი განსაზღვრა დედამიწის ყველა ენისათვის და ყველა დროისათვის"[9].

---

[5] Е. В. К р о т е в и ч, Предложение и его признаки, Львов, 1954, გვ. 3.

[6] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, 1, ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველ ქართულში, თბილისი, 1928, გვ. 4—133; მისივე: ზოგადი ენათმეცნიერება, II, თბილისი, 1945, გვ. 284—356. და სხვა.

[7] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, გვ. 301.

[8] Л. В. Щ е р б а, Очередные проблемы языкознания: Известия АН СССР, Отд. лит. и яз. IV, ნაკვ. 5, 1945, გვ. 176.

[9] Д. К у д р я в с к и й, Психология и языкознание: ИОРЯС, 1905, т. IX, წ. 2, გვ. 246.

ა. შახმატოვი მომხრეა წინადადებისათვის გამოინახოს საერთო განსაზღვრა იმ თავისებურებათა მიუხედავად, რომლებიც ამა თუ იმ ენისათვისაა დამახასიათებელი, ამიტომ იგი გაკვირვებას გამოხატავს: „მე არ მესმის პოტებნიასა და კუდრიავსკის თვალსაზრისი წინადადების მიმართ. რატომ არ შეიძლება წინადადებას ჰქონდეს ზოგადი განსაზღვრა?“[10]

უფრო გვიან ა. შახმატოვი აღნიშნავდა: „თუ საერთო განსაზღვრა შეიძლება მოვუძებნოთ, მაგალითად, ისეთ წევრებს, როგორიცაა ქვემდებარე, შემასმენელი, უცნაურია, თუ რატომაა შეუძლებელი ასეთი განსაზღვრა თვით წინადადებისათვის“[11].

წინადადების ზოგადი განსაზღვრის სასარგებლოდ ლაპარაკობს ე. სეპირი, როცა წერს: წინადადების განსაზღვრა არ წარმოადგენს სირთულეს. იგი არის მეტყველებაში გამოხატული მსჯელობაო[12]. ასევე ა. მეიეც, როცა ამტკიცებს: წინადადებაში ჩვენ ვნახულობთ მხოლოდ ერთ არსებით ელემენტს — შემასმენელს და, გარდა ამისა, განსაკუთრებულ შემთხვევაში ქვემდებარესო[13].

სასკოლო სტაბილურ სახელმძღვანელოებში დამკვიდრებულია წინადადების ასეთი განსაზღვრა: „წინადადებად იწოდება სიტყვათა შეხამება ან ცალკე სიტყვა, რომელიც გამოხატავს დამთავრებულ აზრს“[14], ან „წინადადება ჰქვია ერთს ან რამდენიმე სიტყვას, რომლებიც დამთავრებულ აზრს გადმოგვცემენ“[15].

წინადადების მრავალრიცხოვან განსაზღვრათაგან უკანასკნელ ხანებში ფართოდ გავრცელდა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც „წინადადება არის ენის კანონების მიხედვით გრამატიკულად გაფორმებული მთლიანი ერთეული მეტყველებისა, რომელიც აზრის ფორმირების, გამოხატვისა და გადაცემის მთავარი საშუალებაა“[16].

---

[10] მოგვყავს ე. ი ს ტ რ ი ნ ა ს შრომის მიხედვით: Вопросы учения о предложении по материалам архива А. А. Шахматова: კრებ. Акад. А. А. Шахматов, 1947, გვ. 318.

[11] იქვე. გვ. 320.

[12] Э. С е п и р, Язык, М.—Л., 1934, გვ. 29.

[13] А. М е й е, Общеславянский язык, Москва, 1951, გვ. 333.

[14] С. Г. Б а р х у д а р о в и С. Е. К р ю ч к о в, Учебник русского языка, ч. II, Синтаксис, 1956, გვ. 3, შდრ. Г. С. А х в л е д и а н и Учебник грамматики русского языка, ч. II, Синтаксис, 1958, გვ. 3.

[15] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, თბილისი, 1958, გვ. 5.

[16] Грамматика русского языка, т. II, Синтаксис, ч. I, 1954, გვ. 65.

ვ. ვინოგრადოვი, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული წინადადების ასეთი განსაზღვრა, სსრ კავშირის სეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოცემული „რუსული ენის გრამატიკის" ვრცელ შესავალში[17] აღნიშნავს, რომ წინადადება, როგორც აზრის გამოხატვისა და გადაცემის მთავარი გრამატიკული საშუალება ურთიერთობის პროცესში თავდაპირველად გამოყენებული იყო მსჯელობის ლოგიკური ანალიზისათვის, როგორც აზროვნების ფორმა. ამიტომ უკვე ანტიკურ გრამატიკაში წინადადების თეორია და მსჯელობის თეორია ერთმანეთში იყო არეული. ეს აღრევა ნაწილობრივ იმაშიც გამოიხატებოდა, რომ ტერმინი „წინადადება" (propositio, proposition, შდრ. გერძან. Satz), მაგალითად, რუსულ ენაში ხანგრძლივად იხმარებოდა როგორც მსჯელობის აღსანიშნავად, ასევე მისი სიტყვიერი ფორმის გამოსახატავადაც. ასეთი შერევის ნიადაგზე წინადადება-მსჯელობის ანტიკური თეორიის საფუძველზე შეიქმნა XVIII—XIX საუკ. წინადადებისა და მისი წევრების უნივერსალური სქემა, რომელიც დიდხანს იყო გამოყენებული მსოფლიოს ყველა ენების წინადადებათა ანალიზისათვის[18].

წინადადებისა და მსჯელობის აღრევას ხელი შეუწყო იმ გაუგებრობამ, რომელიც შექმნა ენობრივი და ლოგიკური კატეგორიების აღრევამ. ამასთან მთავარი ისაა, რომ „მსჯელობისა (თუ წინადადებისა...) და მისი ნაწილების, ქვემდებარე-შემასმენლის შესახებ მოძღვრება ლოგიკიდან გადმოვიდა გრამატიკაში... მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან კი წინადადებისა და მისი ნაწილების, ქვემდებარე-შემასმენლის შესახებ მოძღვრება, სინტაქსის საფუძვლად იქცა"[19].

ამასთან ერთად, ყოველი მსჯელობა გამოიხატება წინადადებაში, მაგრამ არის წინადადება, რომელიც არ მოიცავს მსჯელობას. ასეთებია კითხვითი და ბრძანებითი წინადადებები. ამ ტიპის წინადადებებს არ ახასიათებთ ვეშმარიტება-მცდარობის, დასტურისა და

---

[17] ამ შესავლის ერთი ნაწილი: Вопросы изучения словосочетаний დაი ბეჭდა ავრეთვე ჟურნ. „Вопросы языкознания"-ს 1954 წლის № 3-ში (გვ. 3-24) მეორე ნაწილი კი ორჯერ: პირველად ჟურნ. „Вопросы языкознания"-ს 195. წლის პირველ ნომერში (გვ. 3—29) სათაურით „Некоторые задачи изучени синтаксиса простого предложения", მეორედ—კრებულში „Вопросы грам матического строя" (გვ. 389—435) სათაურით „Основные вопросы синтак сиса предложения". ჯ ამიუთითებთ „რუსული ენის გრამატიკის" მიხედვით.

[18] Грамматика русского языка, т. II, Синтаксис, ч. I, გვ. 65.

[19] არნ. ჩიკობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, გვ. 288.

უარყოფის ნიშანი. ისინი არ ასახავენ საგანთა და მოვლენათა კავშირებსა და მიმართებებს. ამიტომ წინადადების ცნება უფრო ფართოა თავისი მოცულობით, ვიდრე მსჯელობისა[20].

ჰეშმარიტება-მცდარობის, დასტურისა და უარყოფის მომენტები გამორიცხულია ცალკეულ ცნებებთან. ცალკე აღებული ცნებები: „ლითონი", „ელექტრობის გამტარი" და ა. შ. არაფერს არც ადასტურებენ და არც უარყოფენ. მსჯელობა რომ მივიღოთ, ცნებები უნდა შევაერთოთ ისე, რომ ჩანდეს დასტური ან უარყოფა[21].

მსჯელობა შედგება სამი ელემენტისაგან. ეს ელემენტებია სუბიექტი, პრედიკატი და კავშირი (copula). უკანასკნელი მაორგანიზებელი ელემენტია, რომელიც მსჯელობის შემადგენელ ნაწილებს — ცნებებს ერთმანეთთან აკავშირებს და მტკიცებას თუ უარყოფას გამოხატავს[22]. მსჯელობა მხოლოდ ორი ცნებისაგან შედგება. ეს ცნებები (სუბიექტი და პრედიკატი) თავისთავადი ელემენტებია, მაგრამ შედგენილობის მიხედვით არ ემთხვევიან წინადადების წევრებს.

წინადადების წევრი სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა. მსჯელობის შემადგენელი ნაწილი — ცნება კი შეიძლება შედგებოდეს ცალკე სიტყვისაგანაც და შესიტყვებისაგანაც. და ასეთი წევრი მსჯელობისა მხოლოდ ორია, მიუხედავად იმისა, თუ წინადადების რამდენი წევრითაა იგი გამოხატული. გარდა ამისა, „ლოგიკისათვის არ არსებობს გრამატიკული კატეგორიები დროისა, პირისა და კილოსი, რომლებიც განსაზღვრავენ წინადადების სტრუქტურას"[23]. ამიტომ იყო, ა. პოტებნია რომ აღნიშნავდა: გრამატიკული წინადადება საერთოდ არ ემთხვევა და არც პარალელურია ლოგიკური მსჯელობისა[24].

---

[20] არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, გვ. 297; კ. ბაქრაძე, ლოგიკა, 1955, გვ. 151; Ю. С. Степанов, Проблема предложения в сравнительно-историческом синтаксисе: Вестник Московского университета, № 2, 1957, გვ. 59.

[21] კ. ბაქრაძე, ლოგიკა, გვ. 144; П. Попов, Суждение и предложение: Вопросы синтаксиса современного русского языка, Москва, 1950, გვ. 8.

[22] Дж. Ст. Милл, Система логики, М., 1914, გვ. 17—18; Хр. Зигварт, Логика, т. I, СПб., 1908, გვ. 23; А. В. Дроздов, Вопросы классификации суждения, Ленинград, 1956, გვ 16; П. В. Таванец, Суждение и его виды. М., 1953, გვ. 103.

[23] Грамматика русского языка, т. II, Синтаксис, ч. 1, გვ. 69.

[24] А. А. Потебня, Из записок по русской грамматике, I-II, გვ. 61.

თ. ბუსლაევისათვის წინადადება მსჯელობაა, რომელიც შედგება ქვემდებარისა და შემასმენლისაგან[25].

წინადადებაში ი. ბუსლაევს აინტერესებს წინადადების შინაარსი ანუ მატერია და წინადადების წევრთა შეერთების საშუალებები. იგი გრძნობდა, რომ წინადადების განხილვა მარტო შინაარსის მიხედვით საკმარისი არ იყო. ამიტომაც მან ლოგიკური თვალსაზრისის დასაცავად გრამატიკულიც მოიშველია, როდესაც შეერთების საშუალებებზე გაამახვილა ყურადღება. ცალკე აღებული სიტყვები წინადადებებს ვერ მოგვცემენო — აღნიშნავს თ. ბუსლაევი და განაგრძობს: ცალკე სიტყვებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ შეადგინონ წინადადება, როცა ერთიმეორესთან არიან დაკავშირებული ან შეთანხმების საშუალებით, ან მართვის საშუალებითო[26].

აზრთა სხვადასხვაობა სუფევს წინადადების წარმომავლობის საკითხშიც. მაგალითად, წინადადების ელემენტარულ სახედ ერთწევრიანი წინადადება მიაჩნდა ა. ვ. პოპოვს[27].

ჰ. შუხარდტს აღნიშნული აქვს: „თავდაპირველი წინადადებები, ასე ვთქვათ, წინარე წინადადებები, ერთწევრიანია. მათ მოაღწიეს ჩვენ დრომდის და ჩვენ მათ ვნახულობთ ან მოთხოვნის გამოხატვაში (იმპერატივი, შორისდებული), ან უპირო გამოთქმებში (უპირო წინადადებები, წამოძახილები)"[28].

აქედან ჩანს, რომ ჰ. შუხარდტის (აგრეთვე ა. პოპოვისა და სხვ.) აზრით, წინადადება მომდინარეობს ცალკე სიტყვებისაგან, ერთი სიტყვისაგან, და მისი უძველესი ფორმა შემორჩენილია უპირო წინადადებებში, წამოძახილებსა და შორისდებულებში. შემდეგ კი— განაგრძობს შუხარდტი — ერთმანეთთან შეერთებული ორი წინადადება იქცა ერთი და იმავე წინადადების ორ სიტყვად[29].

ასევე: ვუნდერლიხი 1862 წ. გამოქვეყნებულ შრომაში „Der deutsche Satzbau" აღნიშნავდა, რომ წინადადება არის საწყისი ფორმა სიტყვიერი გამოსახულებისა, რომელიც შეიძლება

---

[25] Ф. И. Буслаев, Историческая грамматика русского языка. М., 1959, გვ. 269.

[26] იქვე, გვ. 270.

[27] А. В. Попов, Сравнительный синтаксис Филологические записки, 1879—1881, II, გვ. 305.

[28] Г. Шухардт, Избранные статьи, по языкознанию, перевод с немецкого А. С. Бобовича, М., 1950, გვ. 80, შდრ. В. Минто, Логика, М., 1905, გვ. 93.

[29] იქვე.

გავრცელდეს თვით უბრალო წამოძახილიდან „ო!“ ფილოსოფოსის რთულ სიტყვიერ კომპლექსამდეო[30].

ო. იესპერსენი გახაზავს, რომ ტრადიციული ლოგიკის მოძღვრების მიხედვით ყოველი წინადადება სამი წევრისაგან შედგება: სუბიექტისა, პრედიკატისა და საერთისაგან... ახლა ნაცვლად „სამწევრიანებისა“ ჩვეულებრივად ამბობენ „ორწევრიანებზე“: ყოველ წინადადებაში განიხილავენ ორ კომპონენტს — ქვემდებარესა და შემასმენელსო[31].

„მაგრამ — აღნიშნავს იესპერსენი — ენათმეცნიერები უფრო და უფრო აღიარებენ, რომ გარდა ხსენებული ტიპის ორწევრიანი წინადადებისა, არსებობს ერთწევრიანი წინადადებაც. ის შეიძლება შედგებოდეს ერთადერთი სიტყვისაგან, მაგალითად: „წადით!“ „შესანიშნავია!“ ან „რა?“ ან კიდევ ორი ან რამდენიმე სიტყვისაგან, რომლებიც ამ შემთხვევაში ერთმანეთს არ განეკუთვნებიან. როგორც ქვემდებარე და შემასმენელი“...[32]

ო. იესპერსენს წინადადება ესმის როგორც ცნებითი კატეგორია: წინადადება არის წმინდა ცნებითი კატეგორიაო — ამბობს იგი და ალბათ ამიტომაა, რომ წინადადებად თვლის ნაწილაკებსა და შორისდებულებსაც კი (კი, არა, ვაი...). ასეთი წინადადებებისევე უნაკლოა, როგორც თვით მოხდენილი წინადადებებიო[33].

წინადადებებისათვის მ. პეტერსონის მიხედვით არსებითია ორი ნიშანი: 1. აზრობრივი დამთავრებულობა და 2. ინტონაცია. როგორც აზრობრივი დამთავრებულობის გამოხატულება. ამგვარად, წინადადება შეიძლება განვსაზღვროთ ასე: სიტყვა ან სიტყვათა შეხამება, რომელიც წარმოადგენს დამთავრებულ აზრობრივ და ინტონაციურ ერთიანობას[34].

ა. რეფორმატსკის აზრით კი „წინადადება არის გამოთქმა, რომელიც შეიცავს პრედიკატულ სინტაგმას“[35]. ამის მიხედვითაა განსაზღვრული წინადადების წევრებიც, მაგალითად, „ქვემდებარე

---

[30] ციტირებულია ვ. ვ უ ნ დ ტ ი ს წიგნის მიხედვით „Völkerpsychologie... Die Sprache“, I—II, მესამე გამოცემა, ლაიპციგი, 1911—1912, გვ. 234.

[31] О. Есперсен, Философия грамматики. Москва. 1958, გვ. 355.

[32] იქვე, გვ. 346.

[33] იქვე, გვ. 357—358.

[34] М. Петерсон, Лекции по современному русскому литературному языку, М., 1941, გვ. 94.

[35] А. А. Реформатский, Введение в языковедение, Москва, 1955, გვ. 260.

არის აბსოლუტურად საზღვრული. იგი პრედიკატული სინტაგმის წევრია"... „შემასმენელი არის პრედიკატული სინტაგმის მსაზღვრელი წევრი"[36] და ა. შ.

წინადადებად მიიჩნევენ ზოგჯერ ნაწარმოებების სათაურებს, წარწერებს, დაწესებულებათა სახელწოდებებს და სხვ. მაგალითად, ა. მ. პეშკოვსკის ნომინატიურ (სახელდებით) წინადადებად მიაჩნდა წიგნების სახელწოდებები, ნაწარმოებთა სათაურები, აბრებზე წარწერები. მაგრამ ეჭვს გამოთქვამდა ამ ტიპის წინადადებად ჩაეთვალა წარწერები გადასასვლელებზე, რკინიგზის სადგურებზე და სხვა იმიტომ, რომ აქ სახელობითი ბრუნვა აღნიშნავს მხოლოდ სახელწოდებასო[37].

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოცემულ „რუსული ენის გრამატიკაში" ნათქვამია: სათაურები, სახელწოდებები, აბრებზე წარწერები და ა. შ. რომელთაც აქვთ სახელობითში დასმული არსებითი სახელის ფორმა..., არ ჩაითვლებიან წინადადებებად. ესენი სიტყვებია ან შესიტყვებები, რომლებიც წარმოადგენენ საკუთრივ სახელწოდებებს[38].

ეს აზრი გაბიარებულია ჩვენს საენათმეცნიერო ლიტერატურაში[39].

ამ ტიპის ფორმები წინადადებად არ მიაჩნდა ო. იესპერსენსაც. იგი აღნიშნავდა „მე არა ვარ მომხრე წინადადებად ჩაითვალოს წარწერები აბრებზე (J. C. Mason, Bookseller), წიგნების სათაურები („Men and Women"), გაზეთების სათაურები („New Conferences in Paris"), პიესაში დიალოგის დროს მოქმედ პირთა აღნიშვნა (Hamlet), ჩანაწერები დღიურებში („Tuesday. Rain and fog. Chess with uncle Tom, walk with the girls") და ანალოგიური მოკლე გამოსახულებანი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყველა ეს მოკლენა გვხვდება მხოლოდ წერილობითს ენაში"[40]

---

[36] А. А. Реформатский, დასახ, შრომა.

[37] А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, М., 1938, გვ. 345—346. წინადადებად სთვლიდნენ მას ა. პოტებნია, ა. პოჰოვი, ვ. ბოგოროდიცკი, ლ. ბულახოვსკი, ა. რეფორმატსკი და სხვები.

[38] Грамматика русского языка, II, ч. II, გვ. 71.

[39] А. Н. Гвоздев, Современный русский литературный язык, II, Синтаксис, 1958, გვ. 83; С. Г. Бархударов и С. Е. Крючков, Учебник русского языка, ч. II, Синтаксис, 1956, გვ. 29—30.

[40] О. Есперсен, Философия грамматики, Москва, 1958, გვ. 361.

წინადადების დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ იგი ემყარება ორგანიზებულად შეხამებულ სიტყვათა წყობას. მას აწესრიგებს შემასმენელი. ამიტომაა, რომ წინადადებად გვესმის „მსაჯულმან მიგცეს შენ სეფე-კაცსა“ (ლ 12,58) და არა „მსაჯულ მიცემა შენ საფე-კაც“. შემასმენელი აქცევს წინადადებად სიტყვათა წყობას მაშინაც კი, როდესაც მასთან დაკავშირებულია გაუფორმებელი ფუძეები, მაგ.: ფ ი ლ ი პ ე იხილა ი ო ვ ა ნ ე: ვერს. 6,10; მ ე გითხრა შ ე ნ: მ 21,27.

აქედან პირველი წინადადების წევრთა (ქვემდებარე-დამატების) გაფორმების მაგივრობას სიტყვათა წყობა ეწევა, მეორისას განაპირობებენ სუბიექტისა და ობიექტის ნიშნები.

§ 28. წინადადების წევრთა გამოყოფის პრინციპები. მოძღვრება წინადადების პირველ- და მეორეხარისხოვანი წევრების შესახებ საბოლოოდ დამკვიდრდა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში (ა. ვოსტოკოვი, ნ. გრეჩი, ი. დავიდოვი, თ. ბუსლაევი და სხვ.).

ა. ვოსტოკოვი პირველი იყო, რომელმაც 1831 წ. გამოქვეყნებულ „რუსული ენის გრამატიკაში“ გარდა ქვემდებარის და შემასმენლისა გამოყო წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები — „განსაზღვრებითი“ და „დამატებითი“ სიტყვები. განსაზღვრებითს სიტყვებს ა. ვოსტოკოვი მიაკუთვნებს ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ე ბ ს, მ ი მ ა ტ ე ბ ე ბ ს და აგრეთვე ზ მ ნ ი ს ა რ თ ე ბ ს, რომლებიც გამოხატავენ ზომას, სახეს, დროსა და ადგილს და გადმოცემული არიან ზედსართავით, ზმნით და მოქმედებისა და მდგომარეობის აღმნიშვნელი მიმღეობით (§ 107)[41].

ოთხი წლით ადრე, 1827 წელს, ნ. გრეჩი აღნიშნავს, რომ წინადადება სიტყვებით გამოხატული მსჯელობაა, რომელიც მოიცავს ქვემდებარეს, შემასმენელსა და საერთს. შეიძლება მასში იყოს დამატებაც, როგორც აუცილებელი შემადგენელი ნაწილი წინადადებისაო[42].

---

[41] Современный русский язык, Синтаксис, под редакцией проф. Е. М. Галкиной-Федорук, Изд. Московского университета, 1957, გვ. 190.

[42] Н. Греч, Практическая русская грамматика, СПб., 1827, გვ. 220—222.

შემდგომი გაფორმება წინადადების წევრების შესახებ მოძღვრებისა მოცემულია თ. ბუსლაევისა[43] და ი. დავიდოვის შრომებში[44].

წინადადების მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრების გამოყოფისა და გამოხატვის საშუალებათა შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა ადრიდანვე შეინიშნებოდა. მაგალითად, წინადადების ძირითად წევრად შემასმენელი მიაჩნდა ი. ბუსლაევს, ეს იმიტომ, რომ მსჯელობის მთელი ძალა შემასმენელშია. შემასმენლის გარეშე არ შეიძლება იყოს მსჯელობა. აქედან კი გასაგებია, თუ რატომაა ენაში წინადადება, რომელიც მხოლოდ შემასმენლისაგან შედგებაო[45].

ა. დმიტრევსკის წინადადების მთავარ წევრად მხოლოდ შემასმენელი მიაჩნდა. იგი წერს: „შემასმენელი არის განუსაზღვრელი მფლობელი, წინადადების მეფე. თუ მის გარდა წინადადებაში არის სხვა წევრებიც, ისინი მას მტკიცედ ემორჩილებიან და თავიანთ აზრს მისგან იღებენ. თუ სხვა წევრი არ არის, ქვემდებარეც კი, მაინც შემასმენელი საკმარისად გამოხატავს აზრს და ქმნის მთელ წინადადებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, წინადადება სხვა არაფერია, თუ არ ოდენ შემასმენელი ან შემასმენელი სხვა წევრებთან ერთად"[46]. იქვე აღნიშნულია, რომ ქვემდებარე წინადადების მეორეხარისხოვანი წევრიაო.

დაახლოებით ამგვარი მოსაზრება ჰქონდა გამოთქმული ს. გორგაძეს 1914 წ. გამოქვეყნებულ შრომაში „ქართული სადასიტყვაობა". სადაც ვკითხულობთ: „ყოველ ენაჲს გარეშეა, რომ ქართულ წინადადებაში უპირატესობა შემასმენელს ეკუთვნის. იგია მთელი წინადადების უფალი და განმგებელი, დანარჩენი ნაწილები (თვით ქვემდებარეც) მისი გრძნეული კვერთხის მოძრაობას ემორჩილებიან"[47].

---

[43] Ф. И. Буслаев, Опыт исторической грамматики русского языка, ч. 1—2, М., 1858.

[44] И. И. Давыдов, Опыт общесравнительной грамматики русского языка. СПб., 1853.

[45] Ф. Буслаев, Историческая грамматика, გვ. 258.

[46] А. А. Дмитревский, Практические заметки о русском синтаксисе, II. Два ли главных члена в предложении?, „филологические записки", 1877, вып. IV, გვ. 23.

[47] ს. გორგაძე, ქართული სადასიტყვაობა: ძველი საქართველო, IV, თბილისი, 1914, გვ. 79.

ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელოებში წინადადების მთავარ წევრებად ადრიდანვე მიჩნეული იყო ქვემდებარე და შემასმენელი, მეორეხარისხოვან წევრებად კი დამატება, განსაზღვრება და გარემოება. ასეთივე აზრია გატარებული ამჟამად მოქმედ სტაბილურ სახელმძღვანელოშიც[48].

მარტივი წინადადების მექანიზმის შესწავლის შედეგად არნ. ჩიქობავამ წამოაყენა დებულება, რომ დამატებაც (პირდაპირი და ირიბი) წინადადების მთავარი წევრიაო[49].

ამ დასკვნამდის მივიდა ი. მეშჩანინოვიც, რომელსაც წინადადების მთავარ წევრად ქვემდებარე-შემასმენელთან ერთად რიგ ენებში პირდაპირი დამატებაც მიაჩნდა, მაგრამ უფრო გვიან ეს უარყო მან[50].

სინტაქსური ურთიერთობის მიხედვით სახელთა დამოკიდებულება ზმნასთან (შემასმენელთან) განსაზღვრავს წინადადების მთავარ წევრებად შემასმენელთან ერთად ქვემდებარე-დამატებათა მიჩნევას.

ქვემდებარე და პირმიმართი დამატებები თანაბარუფლებიანი სახელებია. შემასმენელთან ერთად ისინი ქმნიან წინადადებათა შემადგენლობასაც: ერთშემადგენლიანი წინადადება უპირისპირდება სხვა დანარჩენს იმით, რომ აქ ერთი მთავარი წევრია. თუ ამ საზომით მივუდგებით საკითხს, ქართულში ჩვენ გვექნება ერთშემადგენლიანთან ერთად ორ- და სამ- ან ოთხშემადგენლიანი წინადადება: ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობაზე აგებული წინადადება ორშემადგენლიანი იქნება, ხოლო პირმიმართ დამატებათა მონაწილეობით შექმნილი შესიტყვება მოგვცემს სამ- და ოთხშემადგენლიან წინადადებას.

შახმატოვს აღნიშნული აქვს, რომ წინადადებას შეესატყვისება კომუნიკაცია. ეს უკანასკნელი შედგება სუბიექტისა და პრე-

---

[48] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, თბილისი, 1958.

[49] არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 263—275; მისივე: რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? „კულტურული აღმშენებლობა", 1930, № 7—8, გვ. 711—741; მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, II, № 1—2, 1941, გვ. 197.

[50] Институт языкознания, Доклады и сообщения, III. 1953, გვ. 55; И. И. Мещанинов, Синтаксические группы: Вопросы языкознания, 1958, № 3, გვ. 28.

დიკატისაგან. წინადადებისა და კომუნიკაციის წევრები ყოველთვის ვერ ფარავენ ერთმანეთს. მაგალითად, წინადადებას „ჩვენ მიერ შეშინებული ყვავი აფრინდა მაღალ ცაცხვზე“ შეესატყვისება კომუნიკაცია, რომლის სუბიექტია „ჩვენ მიერ შეშინებული ყვავი“, პრედიკატი — „აფრინდა მაღალ ცაცხვზე“. კომუნიკაციის ორ წევრს უპირისპირდება შვიდი სიტყვა და ეს სიტყვები შეესაბამება წინადადების ექვს წევრს“[51].

შემდეგ ა. შახმატოვი აღნიშნავს: „კომუნიკაცია შედგება ორი დიდი წარმოდგენის შეერთებისაგან. ამის შესატყვისად წინადადება შეიძლება შედგებოდეს ერთი სიტყვისაგან, ორისაგან, სამისაგან და მეტი სიტყვისაგან... ასე, ერთი სიტყვა Мороз, ჭმნის რა წინადადებას (Мороз!), წარმოითქმის ისე, რომ შეესატყვისება კომუნიკაციას, რომელშიც კონკრეტული ნიშნის შესახებ წარმოდგენა (Мороз) უერთდება განყენებული ნიშნის შესახებ წარმოდგენას“[52].

შეიძლება კომუნიკაციის წევრები ემთხვეოდეს წინადადების წევრებს — ეს მაშინ, როდესაც წინადადება ორწევრიანია: „გამხიარულდა კაცი“... აქ ქვემდებარე ემთხვევა სუბიექტს, შემასმენელი — პრედიკატს, მაგრამ, თუ წინადადება მრავალწევრიანია, ასეთი დამთხვევა გამორიცხულია[53].

განსაკუთრებული დავის საგანი გახდა წინადადების მეორეხარისხოვანი წევრების გამოყოფის საკითხი. თავის დროზე მეორეხარისხოვანი წევრების შესახებ თ. ბუსლაევი აღნიშნავდა, რომ სინტაქსური გამოყენების მიხედვით ისინი სხვა არაფერია, თუ არ ისეთი სიტყვები, რომელნიც ერთვიან წინადადების მთავარ წევრებს შეთანხმებით ან მართვით. შეთანხმების საშუალებით დართული სიტყვები იწოდებიან განსაზღვრებით სიტყვებად... გარდა განსაზღვრებითისა და დამატებითი სიტყვებისა, უნდა განვასხვაოთ წინადადების ისეთი წევრებიც, რომელნიც არ იმყოფებიან საჩინარ სინტაქსურ კავშირში იმ სიტყვებთან, რომელთაც ერთვიან, ე. ი. არც ეთანხმებიან და არც იმართვიან. ასეთი სიტყვები იწოდებიან გარემოებით სიტყვებად[54].

---

[51] А. А. Шахматов, Синтаксис русского языка, 1941, გვ. 28.

[52] იქვე, გვ. 30.

[53] ა. შახმატოვის შეხედულებათა ვრცელი ანალიზი მოცემული აქვს არნ. ჩიქობავას მონოგრაფიებში: მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, გვ. 101—112: ზოგადი ენათმეცნიერება, II, გვ. 336—345.

[54] Ф. И. Буслаев, Историческая грамматика русского языка, გვ. 273.

მნიშვნელობის მიხედვით მეორეხარისხოვან წევრთა კლასიფიკაცია ემყარება კითხვებს.

ვ. ბოგოროდიცკი წინადადების მეორეხარისხოვან წევრებს ყოფს ორ ჯგუფად. პირველში გულისხმობს საკუთრივ განსაზღვრებებს, მეორეში — დამატებებს. მას განსაზღვრებად მიაჩნია გარემოებაც, მაგ., წინადადებაში „Большая лошадь быстро бегает" განსაზღვრებებია большая და быстро[55].

ა. შახმატოვი აღნიშნავს, რომ მ ი მ ა ტ ე ბ ა გამოიხატება არსებითი სახელით, რომელიც შეთანხმებულია არსებით სახელთან... გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა გამოიხატება ზედსართავი სახელით, რომელიც შეთანხმებულია არსებით სახელთან... დ ა მ ა ტ ე ბ ა გადმოიცემა არსებითი სახელის ირიბი ბრუნვით, გ ა რ ე მ ო ე ბ ა კი შეესატყვისება იმ ფუნქციებს, რომელიც წინადადებაში აქვს ზმნისართს[56].

ა. პეშკოვსკი დამოუკიდებელ, თავისთავად შესიტყვებას უწოდებს წინადადების მთავარი წევრების — ქვემდებარისა და შემასმენლის — ურთიერთობას, არათავისთავადი შესიტყვება იქმნებაო წინადადების მეორეხარისხოვანი წევრებისაგან. ამ უკანასკნელის შესახებ იგი აღნიშნავს „ქვემდებარისა და შემასმენლის გარდა წინადადებაში გვხვდება: 1. მართული მეორეხარისხოვანი წევრები (არსებით სახელთა ირიბი ბრუნვები თანდებულით ან უთანდებულოდ), 2. შეთანხმებული მეორეხარისხოვანი წევრები (პრედიკატული და არასუბსტანტიური ზედსართავი სახელები), 3. მიმართული მეორეხარისხოვანი წევრები (ზმნისართები, აბსოლუტივები, ინფინიტივები)"[57]. მასვე იქვე შენიშვნაში მითითებული აქვს, რომ სინტაქსურ ლიტერატურაში არსებობს ცალკე ტერმინები ამ დარგისათვის. პირველი ნაწილი იწოდება „დამატებად", მეორე—„განსაზღვრებად", მესამე — ზმნისართი და აბსოლუტივი — „გარემოებად", ინფინიტივის მიმართ კი არ არის სხვა ტერმინი... ეს ტერმინები ხელსაყრელია შესაფერისი ცნების შემოკლებულად აღსანიშნავად, მაგრამ ეს ტერმინები ხელსაყრელი არ არის, რადგანაც: 1. სასკოლო გრამატიკებში ეს ტერმინები გამოიყენებოდა სხვა შინაარსით, 2. თავის-

---

[55] В. Богородицкий, Общий курс русской грамматики, 1935, გვ. 221.

[56] А. Шахматов, Синтаксис русского языка, 1941, გვ. 398.

[57] А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, 1938, გვ. 267.

თავად ეს ტერმინები უხეიროა, 3. როგორც სხვა არაფერი, გარდა ცნების შემოკლებით აღმნიშვნელისა, ისინი ჩააგონებენ მკითხველს, თითქოს აღნიშნავენ საქმის რაღაც სხვა მხარეს...

წინადადების მეორეხარისხოვან წევრებს სპეციალური შრომები მიუძღვნეს ა. შაპირომ და რ. ავანესოვმა.

ა. შაპირო თავის ადრინდელ შრომაში მეორეხარისხოვან წევრებს გამოყოფს „მნიშვნელობის მიხედვით“: მაგ., მისი აზრით, განსაზღვრება წინადადების მეორეხარისხოვანი წევრია, რომელიც ხსნის საგნის აღმნიშვნელ სიტყვას (Белый дом, мой ребёнок, ребёнок сестры...), დამატება სიტყვაა, რომელიც ხსნის ზმნას, ზედსართავს (пилю доску, похожий на отца), გარემოება სიტყვაა, რომელიც ხსნის ზმნას, ზედსართავს (живу здесь, заплакал от радости, очень высокий, бледный от испуга...). ამავე დროს გახაზულია, რომ საჭიროა გავითვალისწინოთ არა მარტო აზრობრივი კატეგორიები, არამედ მათი გამოხატვის ფორმებიც[58].

მეორე შრომაში, რომელიც 1957 წელს გამოქვეყნდა, ა. შაპირო მთლიანად უარყოფს მოძღვრებას მეორეხარისხოვანი წევრების შესახებ, მაგრამ იქვე იძულებულია აღიაროს შემდეგი: „მეორეხარისხოვან წევრთა კლასები ჩნდებოდა არა „ფრონტალურად“, არამედ ერთნი ადრე, მეორენი — გვიან. არის ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ ე. წ. გარემოებანი გაჩნდნენ უფრო გვიან, ვიდრე ე. წ. განსაზღვრებები და ე. წ. დამატებები“[59].

როგორც ვხედავთ, შეიქმნა დაბრკოლება, ამიტომ დასჭირდა ავტორს ეხმარა „ე. წ. გარემოებანი,“ ე. წ. განსაზღვრებები“, „ე. წ. დამატებები“.

რ. ავანესოვის აზრით, მეორეხარისხოვან წევრთა გამოსაყოფად საჭიროა გამოვავლინოთ მათი სინტაქსური დამოკიდებულების სახეობანი წინადადების სხვა წევრებთან[60].

გ. კოლშანსკი აღნიშნავს, რომ მეორეხარისხოვანი წევრები არაა შედეგი წინადადების დანაწევრებისა, ამიტომ მიზანშეწონილი არაა

---

[58] А. Шапиро, Ещё о второстепенных членах предложения: „Русский язык в школе“, 1936, № 3, გვ. 31.

[59] А. Шапиро, К учению о второстепенных членах предложения в русском языке: „Вопросы языкознания“, 1957, № 2, გვ. 82.

[60] Р. Аванесов, Второстепенные члены предложения, как грамматические категории: „Русский язык в школе“, 1936, № 4, გვ. 55.

წინადადებაში გამოვყოთ მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები... წინადადება შედგება ორი თანაბარუფლებიანი წევრისაგან — ქვემდებარის ჯგუფისაგან და შემასმენლის ჯგუფისაგან... შეიძლება ითქვას, რომ წინადადებას არა აქვს მეორეხარისხოვანი წევრები"[61].

წინადადების წევრების გამოყოფას უსაფუძვლოდ თვლის მ. პეტერსონი, რომელიც აღნიშნავს: „თვით საკითხის დასმას წინადადების წევრების შესახებ მივყავართ აპრიორიზმამდე, წინადადების არასწორ გაიგივებამდე ლოგიკურ ან ფსიქოლოგიურ მსჯელობასთან... სინტაქსის შესწავლის დროს ამოცანა მდგომარეობს არა იმაში, რომ დავანაწევროთ წინადადება..., არამედ იმაში, რომ გამოვარკვიოთ, თუ როგორ აიგება წინადადება, როგორ შეეწყობიან ერთმანეთს სიტყვები წინადადებაში"[62].

ამ შემთხვევაში მ. პეტერსონის პოზიცია ბოლომდე მყარად ვერ ჩაითვლება. სხვას რომ დავანებოთ თავი, წინადადების წევრებად დაყოფის უარყოფა წინ ვერ წასწევს წინადადების სტრუქტურის ანალიზს. საქმე ისაა, რომ წინადადებაში სიტყვათა ურთიერთობის განსაზღვრისათვის, ამ ურთიერთობის გამოკვეთისათვის, წინადადების დაყოფა წევრებად უსათუოდ მიზანშეწონილია. სულ სხვაა, რომ ზოგჯერ ეს დაყოფა სინტაქსის ფარგლებს სცილდება.

მ. პეტერსონის ეს შეხედულება ნაწილობრივ მოგვაგონებს ა. დობიაშის მოსაზრებას. ცნობილია, რომ ა. დობიაშიც არ იზიარებდა მოძღვრებას წინადადების წევრების შესახებ იმის გამო. რომ, მისი აზრით, წინადადების წყობა მთლიანად განისაზღვრება მეტყველების ნაწილთა სემასიოლოგიითა და ფორმით[63].

წინადადების შედგენილობის გაგების საკითხში გვაქვს სხვა სახის შეხედულებაც. მაგალითად, ტ. ლომტევმა ტრადიციული კლასიფიკაციის უარყოფის შედეგად სცადა ახალი კლასიფიკაციის მოცემა. იგი ფიქრობს, რომ ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება. განსაზღვრება და გარემოება არაა სინტაქსური კატეგორიები. სინტაქსური კატეგორიებია სიტყვიერი ფორმების მთავარი და მეორეხარისხოვანი პოზიციები, რომლებიც ქმნიან წინადადების მოდელს.

---

[61] Г. В. Колшанский, Суждение и предложение, Автореферат, 1951, გვ. 12.

[62] М. Н. Петерсон, Эклектизм и антиисторизм взглядов И. И. Мещанинова на члены предложения и части речи: Против вульгаризации и извращения марксизма в языкознании, II, 1952, გვ. 34.

[63] А. Добиаш, Синтаксис Аполлония Дискола, Киев, 1882, გვ. 34.

გვაქვს მთავარი პოზიციის ორი კლასი. ეს კლასები განისაზღვრებიან სუბიექტთან და პრედიკატთან დაპირისპირების მიხედვით. მეორეხარისხოვან პოზიციათა შორის განსხვავდება სამი კლასი: ზმნასთან მყოფი (приглагольный), სუბსტანტივთან მყოფი და ადიექტივთან მყოფი კლასები. შეიძლება გამოიყოს პოზიციის მეოთხე კლასიც — ზმნისართთან მყოფი (очень хорошо сделано)[64].

ამის მიხედვით წინადადება, რომელიც შეიცავს სიტყვიერი ფორმების მხოლოდ მთავარ პოზიციებს, გაუვრცობელია, თუ მთავარ პოზიციებთან ერთად გვაქვს მეორეხარისხოვანი პოზიციები, გავრცობილია[65].

სიტყვიერი ფორმების მთავარი და მეორეხარისხოვანი პოზიციები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სხვა სიტყვიერ ფორმებთან გრამატიკული საჭიროების მომსახურებაში დამოკიდებულების ხასიათის მიხედვით. სიტყვიერი ფორმები, რომელთაც უკავიათ მთავარი პოზიციები, არ ემსახურებიან სხვა სიტყვიერ ფორმებს გრამატიკული საჭიროების მიხედვით. გამოთქმაში „ზანზალაკი რეკავს" („Колокольчик звенит") ორივე სიტყვიერი ფორმა იმყოფება წინადადების მთავარ პოზიციაში და არ ემსახურება სხვა სიტყვიერი ფორმების გრამატიკულ საჭიროებებს. მთავარი წევრის პოზიციაში ერთი სიტყვიერი ფორმა არ ემსახურება მეორე სიტყვიერ ფორმას იმავე პოზიციაში... მთავარ პოზიციებს ხსნიან დამოკიდებული პოზიციები და არა პირიქით[66].

ჩვენთვის ტ. ლომტევის კონცეფცია არაა გასაზიარებელი.

ორიგინალური თვალსაზრისი განავითარა აგრეთვე გერმანელმა ენათმეცნიერმა კარლ ბოოსტმა. მან წინადადების წევრთა გამოყოფის გრამატიკულ პრინციპს დაუპირისპირა ე. წ. „თემა" და „რემა". კ. ბოოსტის აზრით, წინადადება შედგება „თემისა" და „რემისაგან". აქედან „თემა" ქვემდებარეა (ან. წინადადების სხვა წევრიც,

---

[64] Т. П. Ломтев, Основы синтаксиса современного русск. языка, М., 1958, გვ. 78.

[65] იქვე, გვ. 126. შდრ. მისივე: О некоторых вопросах структуры предложения: Научные доклады высшей школы: Филологические науки, 1954, გვ. 4.

[66] იქვე, გვ. 76.

მაგ., დამატება), „რემა“ კი მიიღება შემასმენლისა და მასთან დაკავშირებული სხვა სიტყვების შეერთებით „თემის“ გამოკლებით[67].

წინადადების წევრი სინტაქსური კატეგორიაა. თუ მისი საფუძველი სინტაქსური იქნება, ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება, განსაზღვრება და გარემოება, ისევე როგორც წინადადება, სინტაქსის შესწავლის ობიექტად დარჩება. ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება და სხვა სინტაქსისათვის იმდენადაა საჭირო, რამდენადაც მორფოლოგიისათვის მეტყველების ნაწილები. „ეს ტერმინები შეიძლება დავტოვოთ სინტაქსში, თუ მათ გარკვეული სინტაქსური შინაარსი განვკუთვნებათ, ესე იგი, თუ ისინი გამოყენებული იქნებიან სიტყვათა დამოკიდებულების აღსანიშნავად, სიტყვათა როლის დასახასიათებლად შესიტყვებაში“[68]

აქედან აშკარაა, რომ ტერმინები: ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება, განსაზღვრება და გარემოება თუ სინტაქსისათვის გვინდა გამოვიყენოთ, მათ სინტაქსური საფუძველიც უნდა მოვუძებნოთ და დავახასიათოთ იმის მიხედვით, თუ რა სახის ურთიერთობაშია რომელიმე მათგანი სხვა წევრთან. „თუ ეს აუცილებელი პირობა არ შესრულდება, ეს ტერმინები იქნება გაუგებრობათა მუდმივი წყარო“[69].

არნ. ჩიქობავას არაერთგზის აქვს აღნიშნული ის სირთულე, რომელსაც ქმნის ქართულ შესიტყვებაში ზმნა-შემასმენელი. მის მიერვე გარკვეულია ქართული შესიტყვების თავისებურებები. ამ თავისებურებათა ანალიზით ირკვევა, რომ ქართული ენის პირდაპირი და ირიბი დამატება არ უდრის ევროპული ენების შესაბამის წევრს არც ზმნა-შემასმენელთან სინტაქსური ურთიერთობის მიხედვით და არც ბრუნვათა მონაცვლეობის მიხედვით. ქართულ შესიტყვებაში პირდაპირი და ირიბი დამატებები ისეთივე მთავარი წევრებია, როგორიც ქვემდებარე და ა. შ.

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ 1899 წ. გამოქვეყნებულ შრომაში ა. ვეისმანს აღნიშნული აქვს, რომ „ჩვენს გრამატიკებში ტერმინები „დამატება“, „განსაზღვრება“ თავიანთი ერთნაირობითა და მრა-

---

[67] Karl Boost, Neue Untersuchungen zum Wesen und zur Struktur des deutschen Satzes, Berlin, 1956, გვ. 31-32.

[68] არნ. ჩიქობავა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? „კულტურული აღმშენებლობა“, 1930, № 5, გვ. 502.

[69] იქვე.

ვალმნიშვნელოვანებით ქმნიდნენ და ახლაც ქმნიან არევ-დარევას. რომ უფრო სინათლე შევიტანოთ წინადადების ნაწილთა ანალიზში, საჭიროა ზუსტად გავმიჯნოთ განსაზღვრებითი სიტყვები დამატებითისაგან და დამატებითი — გარემოებითისაგან"[70].

1954 წელს გამოქვეყნდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ „რუსული ენის გრამატიკის" II ტომი. მასში ისევე, როგორც ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გალკინა-ფედორუკის რედაქციით 1957 წ. გამოქვეყნებულ „თანამედროვე რუსული ენის სინტაქსში", პირველი და მეორეხარისხოვანი წევრები განხილულია ე. წ. ტრადიციული პრინციპის მიხედვით. მეორეხარისხოვანი წევრების ანალიზი დაკავშირებულია შესიტყვების შესახებ მოძღვრებასთან, ე. ი. შესიტყვების სტრუქტურაში გათვალისწინებულია მეორეხარისხოვანი წევრების გამოხატვის გრამატიკული საშუალებანი.

ამგვარად, თუ ჩვენს საენათმეცნიერო ლიტერატურას გადავხედავთ, წინადადების წევრთა კლასიფიკაციის საკითხში ასეთი სურათი წარმოგვიდგება:

1. წინადადებაში გამოიყოფა მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები. მთავარი წევრებია ქვემდებარე და შემასმენელი, მეორეხარისხოვანია დანარჩენი. ასეთია ყველაზე გავრცელებული შეხედულება;

2. წინადადების მთავარი წევრია შემასმენელი, დანარჩენი მეორეხარისხოვანია;

3. წინადადების მთავარი წევრებია ქვემდებარე, შემასმენელი და ქართველური (და მთის იბერიულ-კავკასიური) ენებისათვის პირმიმართი დამატებაც, დანარჩენი — მეორეხარისხოვანი.

4. წინადადების მთავარი წევრებია ქვემდებარე და შემასმენელი, მაგრამ მოძღვრება მეორეხარისხოვანი წევრების გამოყოფის შესახებ უარსაყოფია;

5. წინადადების დაყოფა წევრებად მიუღებელია.

---

[70] А. Вейсман, Заметки к истории русской грамматики: ЖМНП, СПб., 1899, Июль, გვ. 124.

თავი მეხამე

მარტივი წინადადების ტიპები

§ 29. მარტივი წინადადების ტიპები მოდალობის მიხედვით. მოდალობის მიხედვით არჩევენ თხრობითს, კითხვითს, ბრძანებითსა და ემოციურ წინადადებებს. წევრთა შემადგენლობის მიხედვით მარტივი წინადადება შეიძლება იყოს სრული ან უსრული, გავრცობილი ან გაუვრცობელი, ხოლო მტკიცებების მიხედვით — წართქმითი და უკუთქმითი.

წინადადებათა ეს ტიპები სინტაქსური ურთიერთობის მიხედვით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ სხვა დანარჩენებს უპირისპირებენ თხრობით წინადადებას იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი მოიცავს მსჯელობას.

ლოგიკის საკითხებით დაინტერესებულმა პირებმა სცადეს მსჯელობის ელემენტების მონახვა კითხვით, ბრძანებით და ემოციურ წინადადებებში. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს პ. პოპოვის სტატია „Суждение и предложение"[1].

ავტორის ძირითადი დებულებები ასეთია:

1. ყოველი მსჯელობა უთუოდ არის წინადადება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გვქონდეს პირიქით, თითქოს ყოველი წინადადება იყოს მსჯელობა, რადგანაც გვაქვს ისეთი წინადადებებიც, რომლებშიც არ გვაქვს არც მტკიცება და არც უარყოფა (გვ. 16—17).

2. ხშირად კითხვითი და ბრძანებითი წინადადებებიც მოიცავენ მსჯელობას (გვ. 22).

ავტორი სპეციალურად ჩერდება ე. წ. რიტორიკულ კითხვებზე და გაბაზავს, რომ რიტორიკული კითხვა კატეგორიული მსჯელობის თანაბარია გაკვირვების დამატებითო (იქვე).

---

[1] П. Попов, Суждение и предложение: Вопросы синтаксиса современного русского языка, 1952, გვ. 5—35.

3. ეგეევე შეიძლება ითქვას ისეთ კითხვებზეც, რომელიც დაკავშირებულია ყოყმანთან. როცა, მაგალითად, ეუბნებიან თანამოსაუბრეს მატარებელზე დაგვიანებისას: „მივუსწრებთ თუ არა დროზე?“ ან „ღირს ვიჩქაროთ?“ ასეთი კითხვები ჩვეულებრივი კითხვებისაგან განსხვავდებიან იმით, რომ ისინი შეიძლება დატოვებულ იქნენ პასუხის გარეშე, ან, ყოველ შემთხვევაში, არ მოითხოვენ პირდაპირს პასუხს (იქვე).

ავტორი ფიქრობს, რომ ასეთ შემთხვევაში შეკითხვა „როგორ თუ არ დაგვაგვიანდება?“ ეთანაბრება მსჯელობას „ჩვენ ალბათ დავიგვიანებთ“. კითხვითი ფორმა გამოყენებულია მსჯელობისათვის... ასეთ შემთხვევაში კითხვას შეიძლება ვუწოდოთ მსჯელობა... მაგრამ ეს კითხვითი წინადადების ცალკეული ფორმებია. კითხვითი წინადადების ძირითადი ჯგუფები კი... არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გავუთანაბროთ მსჯელობას (იქვე).

4. მსჯელობასთან უფრო ახლოს დგანან ემოციური წინადადებები. გაკვირვებაში ყოველთვის არის კონსტატაციის ელემენტები, მაშასადამე, ასეთი წინადადებები შეიცავენ შემეცნებითს მომენტს. თუ მე ვიტყვი უბრალოდ ხ ა ნ ძ ა რ ი, ეს იქნება სიტყვა-აზრი, მეტი არაფერი, მაგრამ თუ მე წამოვიძახებ: ხ ა ნ ძ ა რ ი! აქ კი მაშინვე წარმოიშობა გაპრედიკატება, ე. ი. ჩვენ წინ უკვე იქნება მსჯელობა, რომელიც თანაბარია გამონათქვამისა: „აქ ხანძარია“ (გვ. 23).

ყურადღებას იქცევს ე. წ. რიტორიკული კითხვითი წინადადება. აგებულების მიხედვით აქაც ჩვეულებრივი კითხვითი წინადადება გვაქვს, ოღონდ იგი გამოყენებულია სათანადო კონტექსტში ან გარკვეულ სიტუაციაში.

არის კითხვითი წინადადებების ერთი ჯგუფი, რომელიც ყოყმანთანაა დაკავშირებული, როგორც ამას აღნიშნავს პ. პოპოვი. მაგალითად, მატარებელზე მოსალოდნელი დაგვიანების შემთხვევაში დასმული კითხვები: „მივუსწრებთ თუ არა მატარებელს?“ და „ღირს ვიჩქაროთ?“ ან „როგორ თუ არ დაგვაგვიანდება?“.

აქედან, ავტორის აზრით, პირველი ორი არ საჭიროებს პასუხს, მესამე კი ეთანაბრება მსჯელობას „ჩვენ ალბათ დავიგვიანებთ“.

რითი განსხვავდებიან ეს წინადადებები საერთოდ კითხვითი წინადადებებისაგან? სრულიად არაფრით. კითხვაზე, რომელზედაც პ. პოპოვი აღნიშნავს, პასუხს არ საჭიროებსო, თავისუფლად შეეძ-

ლო ეპასუხა თანამოსაუბრეს: „მივუსწრებთ“, „უსათუოდ მივუსწრებთ“, ან „ვერ მივუსწრებთო“.

ან რატომ უნდა გავუთანაბროთ კითხვითი წინადადება „როგორ თუ არ დაგვაგვიანდება?“ თხრობით „ჩვენ ალბათ დავიგვიანებთ“-ს, როდესაც ამგვარი კითხვის პასუხად აგრეთვე შეიძლებოდა ასე ეთქვათ: „არ დაგვაგვიანდება“. აქაც ისე, როგორც საერთოდ, კითხვითი წინადადების მიზანია გამოხატოს კითხვა.

თხრობითისა და სხვა ტიპის წინადადებების ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ნიშანი არაა სინტაქსური. ყველა ტიპის წინადადება ემყარება სიტყვათა ორგანიზებულ ურთიერთობას, რომელიც გამოიხატება შეთანხმებით, მართვით ან მირთვით.

მაგრამ წინადადებათა მოდალური ტიპები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ინტონაციით, რომელიც სხვადასხვანაირია სხვადასხვა ტიპის წინადადებაში.

§ 30. თხრობითი წინადადება. თხრობითი წინადადება გადმოგვცემს რაიმე ფაქტს ან მოვლენას. შემასმენლად ჩვეულებრივ გამოყენებულია ზმნა თხრობით კილოში.

ფაქტი შეიძლება იყოს რეალურიც და არარეალურიც. თუ წინადადების აგების პრინციპი დაცულია, მაშინ წინადადება იქნება უნაკლო, თუნდაც შეიცავდეს სრულ უაზრობას[2].

თხრობით წინადადებაში თავს იჩენს თავისებური ინტონაცია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ პირველ სიტყვებზე ტონი თანდათან მაღლდება, ხოლო ბოლოსაკენ დაბლდება[3]. მაგალითები:

> განჭდა ჰამბავი ყოველსა მას ქუეყანასა: DE მ 9,26
> ხოლო ნეტარმან გრიგოლ ადგილი იგი საეკლესიოჲ დაავაჟა:
> ხანძთ. იწ
> აჰა-ესერა მოვიდოდა მჭედრები კრებულთაჲ: ესაია, 21,9
> მთავართა მათ ღამე იგი კლდესა მას ზედა განათიეს: ზარზმ. 158,31...

თხრობით წინადადებაში, როგორც წესი, წინადადების წევრთა ადგილი თავისუფალია, ამიტომ ქვემდებარე თავისი ამხსნელი

---

[2] არნ. ჩიქობავა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? IV, „კულტურული აღმშენებლობა“, 1930, № 5, გვ. 488—489; მისივე, ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 286—288.

[3] გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 139.

სიტყვებით შეიძლება იყოს წინადადების თავში, შუაში და ბოლოში, ასევე შემასმენელიცა და დამატებებიც.

მაგალითად:

ა) ქვემდებარე წინადადების თავშია

საკლე იყო თანა-ჯერისმჩინებელ მოკლეასა მას მისსა: მოც. 8,1
დედაკაცი ვინმე იყო ცოდვილი ქალაქსა მას შინა: სინ. მრავ. 211,6
პიტიახში ჩორდ წარემართა: შუშ. X,17 და სხვა.

ბ) ქვემდებარე წინადადების შუაშია

ასეთ შემთხვევაში ქვემდებარეს წინ უსწრებს და მოსდევს წინადადების რომელიმე წევრი:

და ესრჱთ მოვიდა მამაჲ გრიგოლ თჳსსა ეანსა: ხანძთ. ივ
მაშინ ყოველი ერი იგი განკჳრვებისა ჴარმან აღავსო: იქვე, მჱ15
განიკურნა დედაკაცი იგი მიერ ჟამითგან: DE მ 9,22
მოიყვანეს ძეთა მათ მისთა თავისა თჳსისა ცოლნი მოაბელნი:
რუთ. 1,4.

გ) ქვემდებარე წინადადების ბოლოსაა

ესევითარი სიტყუაჲ მრავალი ბრძანა ნეტარმან გრიგოლ: ხანძთ. ოე41
შემდგომად სამისა დღისა მოვიდა ვარსკვენ პიტიახში: შუშ. IV,8
მაშინ განიხარეს კაცთა მათ: ხანძთ. ოჳ.

ქვემდებარის ადგილისათვის წარმოდგენილ ილუსტრაციებს აქ ის მიზანიც აქვს, რომ განსაზღვროს სხვა წევრთა ადგილიც, კერძოდ, შემასმენლისა და დამატებათა ადგილიც, მაგრამ სიცხადისათვის რამდენიმე მაგალითი შეიძლება იქნეს წარმოდგენილი შემასმენლის ადგილის ნათელსაყოფად.

მაგალითად:

ა) შემასმენელი წინადადების თავშია

მოვიდა მათდა სასურველი იგი კაცი ღმრთისაჲ მოსურნეთა მათ
თანა: ხანძთ. კვ12
შთანთქნა კუერთხმან აარონისმან კუერთხები იგი მათი: გამ. 7,12
მოუკდეს ძენი ისრაჱლისანი ძეთა ბენიამენისთა დღესა მეორესა:
მსაჯ. 20,24...

ბ) შემასმენელი წინადადების შუაშია

ბერი ვინმე იყო პეტრჱს მონასტერსა: ლიმონ. 8,13

ესრჱთ პაელე გამოვიდა შორის მათსა: მოც. 17,33
ხოლო ნეტარმან გრიგოლ პოვა ჟამი მარჯუჱ: ხანძთ. ნე$_{15}$...

გ) შემასმენელი წინადადების ბოლოსაა

ესე ნეტარი მას ადგილსა დაემკჳდრა: საბა ას. 5,10
ხოლო იგი შეუშფოთებელად დაღუმნა: ხანძთ. მჳ$_{16}$
ყოველთა მათ უდაბნოთა ზღვარნიცა გან-ეე-უთჳსნეს: იქვე. კჳ$_{19}$...

დასტურდება, რომ ძველ ქართულში წინადადების წევრთა წყობა თავისუფალია: ქვემდებარე შეიძლება წინ უსწრებდეს შემასმენელს ან პირიქით. ასევე წინადადების სხვა წევრებიც შეიძლება წინ უსწრებდნენ ან მოსდევდნენ იმ წევრს, რომელთანაც ისინი სინტაქსურ კავშირში არიან.

§ 81. კითხვითი წინადადება. კითხვითია ისეთი წინადადება, რომელიც შეიცავს კითხვას. მისი გამოხატვის საშუალებებია: 1. სპეციფიკური ინტონაცია, 2. კითხვითი სიტყვები და კითხვითი ნაწილაკები.

კითხვით წინადადებას განსაზღვრავენ როგორც კითხვის გამომხატველ წინადადებას. ა. პეშკოვსკი კითხვითი წინადადების თვისებებს ასე აყალიბებს: კითხვითი წინადადებები ხასიათდებიან შემდეგი ნიშნებით:

1. მასში შეიძლება გვქონდეს... ე. წ. კითხვითი ნაწილაკები, რომლებიც ემსახურებიან მხოლოდ იმას, რომ შეიტანონ კითხვითი შინაარსი.

2. შესაძლებელია იყოს წინადადების კითხვითი წევრიც, რომელიც დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვაა.

3. მასში შეიძლება გვქონდეს სიტყვათა შეცვლილი რიგი. ასეთ შემთხვევაში ის სიტყვა, რომელსაც ეხება კითხვა, ისმის წინადადების დასაწყისში.

4. თუ ეს ნიშნები არა გვაქვს, უნდა გვქონდეს განსაკუთრებული კითხვითი ინტონაცია[4].

უკანასკნელ ხანებში კითხვით წინადადებას ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით შეეხო ნ. ჟინკინი[5].

---

[4] А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, 1938, გვ. 356.

[5] Н. Жинкин, Вопросы и вопросительное предложение: „Вопросы языкознания", 1955, № 3.

ნ. ჟინკინი ფიქრობს, რომ კითხვითი წინადადებაც მოიცავს მსჯელობას. მეორე მხრივ კი ამტკიცებს: შესაძლებელია თხრობითმა წინადადებამაც გადმოგვცეს კითხვაო.

ამის საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს ადგილი ჩეხოვის ნაწარმოებიდან („Разговор человека с собакой"): А—а—а—а! ты кусаться?... Как тебя? ამ შემთხვევაში, მიუხედავად კითხვითი ინტონაციისა, არა გვაქვს კითხვა არა მარტო იმიტომ, რომ მოლაპარაკისათვის სულერთია, რას ეძახიან იმას, ვისაც იგი მიმართავს— ცუგას, თუ სხვა რამეს. მოლაპარაკე არ ელის პასუხსო[*].

ავტორის აზრით, მეორე შემთხვევაში, კითხვაა გადმოცემული ასეთი თხრობითი წინადადებით „Я прошу вас рассказать о возможности существования жизни на Марсе", რადგანაც მნიშვნელობის მიხედვით იგი ეკვივალენტია ასეთი წინადადებისა: Существует ли на Марсе жизнь?

მაგრამ მნიშვნელობის მიხედვით შეიძლება მარტივი წინადადებითაც გადმოიცეს ის, რაც სხვა შემთხვევაში რთული წინადადებითაა გადმოცემული. მიუხედავად ამისა, მარტივსა და რთულ წინადადებებს შორის ზღვარი არაა წაშლილი.

ავტორი ერთმანეთს ადარებს ორ წინადადებას, ესენია: Чай налит და Чай налит? პირველ შემთხვევაში სინამდვილის ასახვაა, მაგრამ როგორ მოხდა, რომ მეორე წინადადებაში ჩართულმა კითხვის ინტონაციამ გაანადგურა ყოველგვარი ასახვა? ავტორი კითხულობს: განა შემკითხველი არაფერს გამოყოფს სინამდვილეში? ის ხომ კითხვას სვამს: Налит ли чай? მაშასადამე, უშვებს შესაძლებლობას, რომ ჩაი არაა დასხმული, ეს უკვე... მსჯელობააო... ავრეთვე შემკითხველი გვაუწყებს სრულიად გარკვეულ მსჯელობას იმის შესახებ, რომ მას სურს გაიგოს თქვენგან ესა და ესო. შესაძლებელია, ჩაის დალევა მას არ სურს, მაგრამ გაგება იმისა, დასხმულია თუ არა ჩაი, უნდა; ამრიგად, პირველ შემთხვევაშიც და მეორე შემთხვევაშიც არის მსჯელობაო.

---

[*] Н. Жинкин, Вопросы и вопросительное предложение: „Вопросы языкознания", 1955, № 3, გვ. 24.

ქართულში კითხვითი წინადადება გადმოიცემა სამგვარი საშუალებით: ა) კითხვითი ნაცვალსახელით (ვ ი ნ წერს?) ან კითხვითი ზმნისართით (ს ა დ მიდის?), ბ) კითხვითი ნაწილაკით (წერს-ა? შდრ. მეგრ. ჭარუნს-ო?...) და გ) კითხვითი ინტონაციით (წერს?)[7].

ინტონაციის მიხედვით განსხვავებულია კითხვითსიტყვიანი და ისეთი წინადადება, რომელშიც კითხვითი სიტყვა არ მოგვეპოვება. „თუ წინადადებაში კითხვითი სიტყვა არ მოიპოვება (სად? როგორ? როდის? რომელი?...), თხრობითსა და კითხვითს წინადადებას მხოლოდ ინტონაცია განასხვავებს"[8]. ინტონაციას სინტაქსი არ სწავლობს. მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ცვლის წინადადების გვარეობას[9].

ამგვარად, ინტონაცია ემსახურება კითხვის გამოხატვას. ძველ ქართულში ამ შემთხვევაშიც ჩვეულებრივ სათანადო აფიქსი იყო გამოყენებული. ეს აფიქსია -ა (ალმოგიკითხავსა, იცითა...).

§ 82. -ა ნაწილაკიანი კითხვითი წინადადება. -ა კითხვითი ნაწილაკი უძველესი ქართულის კუთვნილება ჩანს. მისი ფონეტიკური შესატყვისი არის მეგრ. -ო: რაგადანს-ო? (=ლაპარაკობს-ა?), გიჩქუნ-ო (=იცი-ა?) და სხვა[10]. ეგეგე ნაწილაკია გამოყენებული სვანურში: ანღრია? (=მოდისა?), აჩადა? (=წავიდა?). მაგრამ განსხვავებულია ჭანური, სადაც გამოყენებულია -ი. „ჭანურის -ი ფონეტიკურად ვერ დაუკავშირდება ვერც მეგრულს და ვერც ქართულს: მხოლოდ ფუნქციონალური შესატყვისობაა მათ შორის"[11].

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აფხაზურში უარყოფით-კითხვით ფორმებთან გვხვდება სუფიქსი (სჳამ-ი

---

[7] გ. რ ო გ ა ვ ა, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში: ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, VIII. 1948, გვ. 366.

[8] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 255.

[9] იქვე.

[10] И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка, 1914, გვ. 092; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 187; ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენა, გვ. 315; ა. შ ა ნ ი ძ ე, ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, თბილისი, 1948; N. M a r r et M. B r i e r e, La langue georgienne. 1931, გვ. 366; თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, გვ. 274.

[11] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 187.

=არა ვარ? განა არა ვარ?)[12]. მაშინ ჰანურის ეს -ი შეიძლებოდა აფხაზურთან დაგვეკავშირებინა.

ძველ ქართულში -ა ნიშნიანი კითხვითი წინადადების გვერდით უნიშნოც იხმარებოდა. ეს უკანასკნელი უფრო ცოცხალი მეტყველების გავლენით უნდა აიხსნას. საყურადღებოა, რომ ჯრუჭპარხლის ოთხთავში ჩვეულებრივ -ა ნიშნიანი კითხვითი წინადადებებია, ადიშის ოთხთავში შესაბამისად ხშირად უნიშნო ფორმები გვაქვს.

მაგალითად:

DE	C
შენ ხარა მეუფჱ ჰურიათაჲ? მ 27.11; მრ 15.2; ლ 23,3; ი 18,33	შენ ხარ მეუფჱ ჰურიათაჲ?
ჯერ-არსა ხარკისა მიცემაჲ კეისარსა ანუ არა? მ 22,17	წეს-არს ხარკისა მიცემაჲ კეისრისა ანუ არა?
მოძღუარმან თქუენმან არა მოგცეს ხარკი? მ 17,24	მოძღუარმან თქუენმან არა გამოსცის ხარკი დრამისაჲ?
სიმონ იონაჲსო, გიყუარა მე? ი 21,16	სიმონ იონაჲსო, გიყუარ მე?
არა გესმისა, რაოდენსა-ესე შეგწყებენ შენ? მ 27,13.	არა გესმის. რაოდენსა ესენი შეგწყებენ შენ?

და ასე:

შენ ხარ ძჱ ჩემი ესავ? დაბ. 27.24.
და დანი მისნი არა ყოველნი ჩუენ შორის არიან? DE მ 13,56
აწ უკუე შემძლებელ ვართა ცილობად უფლისა ბრძანებასა?
ხანძთ. კმთ.

§ 33. ნაწილაკი -მე. -მე ნაწილაკის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს კითხვის გამოხატვა. ამ ნაწილაკის კითხვითი ხასიათი განუსაზღვრელობითის გვერდით აღნიშნული აქვთ ნ. მარსა და მ. ბრიერს[13]. უფრო ადრეც ნ. მარი -მე კითხვითი ნაწილაკის პარალელურ ფორმებად მიიჩნევდა აფხაზურ -მა'ს, სვანურ მრ'ს და მეგრულ მუ'ს[14].

-მე ნაწილაკის დახასიათება მოცემული აქვს თ. ყაუხჩიშვილს[15]. ამ ნაწილაკის ფუნქციით თანამედროვე სვანურში გამოყენებულია

---

[12] კ. ლომთათიძე. კითხვითი ფორმები აფხაზურში; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, № 9, 1942, გვ. 974.

[13] დასახელებული ნაშრომი. გვ. 368.

[14] Н. Марр, К вопросу о положении абхазского языка среди яфетических, 1912, გვ. 26.

[15] თ. ყაუხჩიშვილი. ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, გვ. 274—280.

-მა: ანტაბე (=გათალა), ანტაბე-მა? (=გათალა?), ანკად (=მოვიდა), ანკად-მა? (მოვიდა?) და ა. შ.

აფხაზურში ზმნის დადებით-კითხვით ფორმას -მა სუფიქსი აწარმოებს[16]. ძველი ქართულის -მე კითხვითი ნაწილაკის დაკავშირება აფხაზურ -მა'სთან საფუძველს მოკლებული არ არის.

-მე ნაწილაკი მეორეული ჩანს. მისი თავდაპირველი ფუნქცია განუსაზღვრელობის ჩვენება უნდა ყოფილიყო. ამით აიხსნება მისი ხმარება -ა ნაწილაკის გვერდით. ადგილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, -ა ნაწილაკი უპირატესად შემასმენელს დაერთვის (ხედავა? გიყუარა? გიხილავსა? მისცემა?...), იშვიათად წინადადების სხვა წევრებს (შუდ გზისა...? მ 18,21; არღარა მიცი მეა?...: ი 21,18...). -მე ნაწილაკი კი უპირატესად წინადადების სხვა წევრებთანაა (მაგ. ვითარ-მე იტყჳან მწიგნობარნი? მრ 9,11; რაჲ-მე არს იგი...? მრ 9,10; რაოდენ-მე უმჯობეს არს კაცი ცხოვარსა...? C მ 12,12), იშვიათად შემასმენელთან (შემძლებელ არიან-მე ნაშობნი ჭორწილისანი...? C მრ 2.19; ჰრქუას-მე მას...?: C ლ 17,7...).

ძველი ქართულის ტექსტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ:

1. -მე ნაწილაკი გამოყენებულია კითხვის გამოსახატავად და ამით ენაცვლება -ა ნაწილაკს.

2. -მე ნაწილაკი ერთვის სიტყვას -ა ნაწილაკთან ერთად.

3. ზოგჯერ -მე ნაწილაკი ენაცვლება რომელიმე კითხვით სიტყვას.

მაგალითები:

ა) -მე ნაწილაკი აღნიშნავს კითხვას

არა-მე თქუენ უმჯობეს ხართ მფრინველთა? C მ 6.26
ჩუენგანი ვინ-მე უდიდეს იყოს? DE მრ 9.34
ვითარ-მე არს მოკითხვაჲ ესე? DE ლ 1.29
რაჲ-მე იყოს აწ ჩუენთჳს? DE მ 19.27 და სხვა.

ბ) -მე ნაწილაკი ენაცვლება -ა'ს

არა-მე ღირდა შენდაცა შეწყალებად მოყუსისა მის შენისა, ვითარცა მე შენ შეგიწყალე? C მ 18.33; შდრ. DE: არა-ჯერ-იყოა შენდაცა, რაჲთამცა შეიწყალე მოყუასი იგი შენი, ვითარცა მე შეგიწყალე შენ?

---

[16] ქ. ლომთათიძე, კითხვითი ფორმები აფხაზურში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 9, 1942. გვ. 973—978; მისივე: აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი, თბილისი, 1944, გვ. 177; აშხარული დიალექტი..., თბილისი, 1954, გვ. 186.

გ) -მე ნაწილაკი გამოყენებულია -ა ნაწილაკთან ერთად, ან ენაცვლება კითხვით სიტყვას

ქელ-მე-ეწიფებისა ძეთა სიძისათა გლოვად, ვიდრემდის სიძჱ იგი მათ თანა არს? DE მ 9,15; შდრ. C: ნუთუ ეგების შვილთა საქორწინოსათა გლოვაჲ, ვიდრე სიძე მათ თანა არს?

არა-მე თქუენ უფროჲს უმჯობჱს ხართა მფრინველთა? DE მ 6,26

ცუდად-მე რას კმობსა ვირი ველური? იობ. 6,5 და სხვა.

§ 34. კითხვითსიტყვიანი წინადადება. კითხვით წინადადებებში, როგორც ცნობილია, გვაქვს აგრეთვე კითხვითი ნაცვალსახელები და კითხვითი ზმნისართები. ასეთებია: ვინ? რაჲ? რომელი? ვისი? რაოდენი? ვინაჲ? სადა? ოდეს? ვითარ? და სხვა.

მაგალითად:

ვინ

შენ ვინ ხარ, უფალო? მოც. 9,5

თქუენ ვინ გგონიე მე? DE მ 16,15

ვინ-ძი იყოს უდიდეს შორის მათსა? ლ 9,46

ვინ თქუენგანმან მამხილოს მე ცოდეისათჳს? DE ი 8,46

ძალსა მაგას სიტყუათა შენთასა ვინ დაუთმოს? იობ. 4,2

აწ ვის ეამსგავსო ნათესავი ესე? DE მ 11,16

ვისთჳს არს სიტყუაჲ ეგჱ დამტკიცებითი? ხანძთ. მბ$_{26}$.

რაჲ

რაჲ არს სახელი შენი? მრ 5,9; ლ 8,30

საყუარელო ია, რაჲ ეწოდების ადგილსა ამას? ზარზმ. 160,18

კაცნო, რასა რჩჱთ ამას? მოც. 14,15

რასა გამომცდით მე, მზაკუარნო? C მ 22,18, შდრ. DE რაჲსა გამომცდით მე, ორგულნო?

დედაკაცო, რაჲსა ჰსტირ? DE ი 20,13, შდრ. C: დედაკაცო, რად სტირ?

რაჲსა მაგას ჰზრახავთ გულთა თქუენთა? DE მრ 2,8, შდრ. C: რად ესრეთ ზრახავთ გულთა შინა თქუენთა?

რად განმაშორებ ჩემგან? შუშ. VIII.10.

რომელი

მოძღუარ, რომელი მცნებაჲ უფროჲს არს შჯულსა შინა? DE მ 22,36

რომელი გნებავს ორთაგანი მიგიტეო თქუენ? მ 27,17.

რაოდენი

რაოდენი პური გაქუს აქა? მ 15,34

რაოდენი გაქუს პური? DE მრ 6,38, შდრ. C: რავდენი კუეზაჲ გაქუს?

ვისი

ვისი ძე არს? C მ 22,42
ვისი არს ხატი ესე ანუ ზედაწერილი? DE მ 22,20, შდრ. DE მრ 12,16: ვისი არს ხატი ესე და ზედაწერილი?
ვისი ასული ხარ შენ? დაბ. 24,47.

ვინაჲ

ვინაჲ გაქუს შენ წყალი ცხოველი? DE ი 4,11
ვინაჲ მიცი მე? ი 1,48
ვინაჲ არს ესე? D მ 21,10
ვინაჲ აღმოსცენდა ღუარძლი? DE მ 13,27.

სადა

სადა არს ახლადშობილი იგი მეუფე ჰურიათა? D მ 2,2
სადა არს სარა, ცოლი შენი? დაბ. 18,9
აწ ბრძენნი შენნი სადა არიან? ესაია, 19,12

საჲთ

საჲთ გნებავს სლვაჲ ზარზმ. 159,15...

ოდეს

ოდეს მოხუედ აქა? კიმ. I,33,28
უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი და გამოგზარდეთ? მ 25.37.

ვითარ

ვითარ ქელ-ეწიფების ეშმაკსა ეშმაკისა განსხმაჲ? DE მრ 3,23. შდრ. C: ვითარ-მე შემძლებელ არს ეშმაკი ეშმაკისა განკდად?
ვითარ შემძლებელ არს ესე მოცემად ჩუენდა კორცი იგი თჳსი ჭამად? C ი 6,52, შდრ. DE: ვითარ-მე ქელ-ეწიფების ამას მოცემად ჩუენდა კორცი თჳსი საჭმელად?
ვითარ იკადრა გულმან შენმან? იობ. 15,12.

ნუ

ნუ შენცა გალილეაჲთ ხარაჲ? DE ი 7,52, შდრ. C: ნუთუ შენცა გალილეელ ხარ?
ნუ გალილეაჲთ მოსლვად არს ქრისტე? C ი 7,41
ნუ მთავართაგანთა ვიეთმე პრწმენა შისი ანუ ფარისეველთა? DE ი 7,48

ნუუკუე

ნუუკუე მის მიერ მოიწია მსწრაფლი ესე მხილებაჲ? ზარზმ. 170,31
ნუუკუე მე ჰურიაჲ ვარა? DE ი 18,35, შდრ. C: ნუთუ მე ჰურია ვარ?

ნუუკუე ესე არს ძჳ დაცითისი? DE მ 12,23. შდრ. C: ნუმცა ესე არს ქრისტე, ძჳ იგი დავითისი?

ნუუკუე შეკრიბიან ეკალთაგან ყურძენი ანუ კუროსთავთაგან ლეღჳ? DE მ 7,16. შდრ. C: მო-ნუ-ისთუალიან ეკალთაგან ყურძენი ანუ კუროსთავთაგან ლეღჳ?

ნუთუ

ნუთუ თქუენცა შეცთეთით? C ი 7,47

ნუთუ მოართუა ვინ მაგას ჰამად? C ი 4,33

ნუთუ შენცა გალილეელ ხარ? C ი 7,52, შდრ. DE: ნუ შენცა გალილეაჲთ ხარა?

უარყოფითი კითხვითი წინადადებები

ვერ უძლეა ჟამი ერთი განღჳძებად ჩემ თანა? DE მრ 14,37

არა კელმან ჩემმან შექმნა ესე ყოველი? მოც. 7,50

უფალო, არა კეთილი თესლი დასთესე აგარაკსა ამას შენსა? C მ 13,27.

ამგვარად, ძველ ქართულში კითხვითი წინადადებისათვის დამახასიათებელია სპეციალური კითხვითი ნაწილაკები (-ა, -მე-), კითხვითი სიტყვები (კითხვითი ნაცვალსახელები და კითხვითი ზმნისართები: ვინ? რაჲ? რომელი? რაოდენი? სადა?...) ან, თუ ასეთი ნაწილაკები და სიტყვები არ არის, მაშინ გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ ინტონაციას აქვს.

ინტონაციის გარეშე არც კითხვითსიტყვიანი (და კითხვითნაწილაკიანი) წინადადებაა, მაგრამ აქ ინტონაცია კითხვით სიტყვაზეა. რაკი კითხვითი სიტყვა ჩვეულებრივ პირველ ადგილზეა ან წინადადების შუა ნაწილშია, ამიტომ კითხვითსიტყვიან წინადადებაში ინტონაცია დამავალია. ხოლო, თუ კითხვითი სიტყვა ან კითხვითი ნაწილაკი არ ურევია, მაშინ ინტონაციაც აღმავალია[17].

კითხვითი წინადადება თხრობითს უპირისპირდება კითხვითი სიტყვებით, კითხვითი ნაწილაკებითა და სპეციფიკური ინტონაციით. რომ შევადაროთ ერთმანეთს ორი ასეთი წინადადება: „მოძღვარმან თქუენმან არა გამოსცის ხარკი დრამისაჲ“ და „მოძღუარმან თქუენმან არა გამოსცის ხარკი დრამისაჲ?“ — პირველში გვექნება მტკიცებითი ინტონაცია, მეორეში — კითხვითი. კითხვითმა ინტონაციამ შეცვალა წინადადების გვარეობა. რაც შეეხება სიტყვათა ურთიერთობას ან სიტყვათა წყობას, აქ ჩვეულებრივ ისეთი მდგომარეობა გვაქვს, როგორიც თხრობით წინადადებაში. მაგრამ გან-

---

[17] გ. ა ბ ა შ ე ლ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 139 — 140; ს. ჯ ი ქ ი ა. ქართული ენის ფონეტიკა, თბილისი, 1956, გვ. 284.

საბლვრულია კითხვითი სიტყვის ადგილი. კითხვითი სიტყვა, როგორც წესი, წინადადების თავშია, თუ მას წინ არ უსწრებს მიმართვის ფორმა ან იშვიათად სხვა რომელიმე წევრი წინადადებისა, რომელიც შეიძლება წინ დაისვას გარკვეული სტილისტიკური საპიროებისათვის.

§ 35. ბრძანებითი წინადადება. ბრძანებითი წინადადება გამოხატავს ბრძანებას. ამ ფორმით, გარდა კატეგორიული ბრძანებისა, შეიძლება გადმოიცეს თხოვნაც, ხვეწნაც, გაფრთხილებაც.

ბრძანებითი წინადადების ძირითად დამახასიათებელ ნიშნად ჩაითვლება ის, რომ მის შემასმენლად გამოიყენება ბრძანებითი კილოს ფორმები.

ბრძანებითი წინადადება გამოიყოფა სპეციფიკური ინტონაციით, ოღონდ ინტონაციის ინტენსივობა იცვლება იმის მიხედვით, თუ რა სახისაა წინადადება: გამოხატავს იგი კატეგორიულ ბრძანებას, თხოვნას თუ ხვეწნას.

შემასმენლად ამ ტიპის წინადადებისათვის გვაქვს პირველი და მეორე ბრძანებითის ფორმები მხოლოობითის II და III პირებში და მრავლობითი რიცხვის ყველა პირში.

მაგალითები:

ა) ბრძანებითი წინადადების შემასმენლად გამოყენებულია პირველი ბრძანებითის II პირის ფორმა

შევიდოდეთ იწროსა მას ბჭესა! ხანმ. მ 7,13
სნეულთა განხკურნებდით, განბოკლებულთა განხწმედდით, ეშმაკთა განხჯდიდით! ხანმ. მ 10.8.

ბ) ბრძანებითი წინადადების შემასმენლად გამოყენებულია პირველი ბრძანებითის III პირის ფორმა

ეგრე ბრწყინვედინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა! მ 5.16
მაშინ პურიასტანი იელტოდედ მთად! C მ 24.16
შვილნი მისნი იგლოვედედ! კიმ. I. 201.14.

გ) ბრძანებითი წინადადების შემასმენლად გამოყენებულია მეორე ბრძანებითის II პირის ფორმა

მამაო, ადიდე სახელი შენი! ი 12,28
მკურნალო, პირველად განიკურნე თავი თჳსი! ხანძთ. მბ152

მომგუარე მე აქა ძმ შენი! ლ 9,41
მეგობარო, აღ-რე-გუალე ზემო კერძო! ლ 14,10
მიჩუენეთ მე დრაჰკანი იგი სახარკოჲ! DE მ 22,19. შდრ. C: მიჩუენეთ-ღა მე დრაჰკანი იგი სახარკოჲ!

დ) ბრძანებითი წინადადების შემასმენლად გამოყენებულია II ბრძანებითის III პირის ფორმები

უფალმან კეთილი მოუკლებელი მოუცინ ყოველთაევე! ხანძთ. კ^{40}
კაცო, მოგეტეენედ შენ ცოდვანი შენნი! C ლ 5,20
უბანთა ვაჭარნი მოიყვანნედ! მოც. 19,38...

უკუთქმითი ბრძანებითისათვის ჩვეულებრივ ა რ ა და ნ უ უარყოფითი ნაწილაკებია გამოყენებული, რომელიც აკრძალვას გამოხატავს.

მაგალითად:

ნუ გეშინინ, პავლე! მოც. 27,24
ნუ შთახუალ ეგჳპტედ! დაბ. 26,2
ნუ იქმთ უგუნურებასა მაგას! მსჯ. 19,23
არა სცე წმიდასა მას შენსა ხილვად განსახრწნელი! მოც. 13,35.

როგორც წესი, უარყოფითი ნაწილაკი უნდა იყოს იმ სიტყვის წინ, რომელთანაც ის დაკავშირებულია, მაგრამ ძველ ქართულში მისი ადგილი შედარებით თავისუფალია, ხშირად გვხვდება გათიშულად:

ხოლო შენ, კაფარნაუმ, ნუ ცადმდე აჰმაღლდები! DE მ 11,23
ნუ მრაჟალსა იტყჳთ! DE მ 6,7...

იშვიათად ბრძანებით წინადადებაში შეიძლება შემასმენელი არც კი იყოს:

სისხლი თქუენი თავსა თქუენსა! მოც. 18.6
თუალი თუალისა წილ და კბილი კბილისა წილ! მ 5.38.

§ 30. ემოციური წინადადება. წინადადებათა სამ ძირითად ტიპს — თხრობითს, კითხვითსა და ბრძანებითს — როცა ახლავს სათანადო ემოცია, ვიღებთ ემოციურ წინადადებას[18].

ემოციური წინადადებისათვის დამახასიათებელია ემოციურობა. მისი ხარისხი სხვადასხვანაირია იმის მიხედვით, თუ როგორი განცდაა გადმოცემული.

---

[18]ასეთი წინადადება ლიტერატურაში ცნობილია ძ ა ხ ი ლ ი ს წ ი ნ ა დ ე ბ ი ს სახელწოდებით. უფრო შესაფერისად მიგვაჩნია. მას ეუწოდოთ ე მ ო ც ი ურ ი წ ი ნ ა დ ე ბ ა: ამგვარ წინადადებაში შეიძლება გამოიხატოს გაკვირვებაც, ირონიაც, შიშიც, სიძულვილიც, შებრალებაც, მოფერებაც, სიყვარულიც, სიხარულიც, აღტაცებაც.

ემოციური წინადადება გამოირჩევა განსაკუთრებული ინტონაციით, რაც გამოიხატება იმ სიტყვის გამოყოფით, რომელიც ემოციას იწვევს ან უშუალოდ ემოციას გამოხატავს.

მაგალითად:

> წმიდაო მამაო, ვერ ეგების ძმათა ჩემთა ეპისკოპოსთა ცილობაჲ სამართლისათჳს! ხანძთ. მბ45
> ვითარ მეყსეულად განჴმა ლეღჳ ესე! მ 21,20.

ემოციურ წინადადებაში ხშირად გვაქვს ისეთი შორისდებულები და ნაწილაკები, რომლებიც აძლიერებენ მოლაპარაკის ემოციურ განწყობილებას. ძველ ქართულში ამ მიზნით გამოყენებულია: ჰ, ვაი, აჰა, ეჰა, აჰა ეგერა, აჰა ესერა, -მცა და სხვა.

მაგალითები:

> კმა-ყვეს კმითა დიდითა და თქუეს: ჰ, ჰ, მართალი ესე სცთაჲ ისტ. ჭრ. 288,39
> ჰ საკჳრველებაჲ, ცოდვილი ჭეყანასა ზედა ტიროდაჲ ბოლნ. 38,1
> ეჰა, ქმა არს შენდა ძიებაჲ ჩემი! კიმ. I. 116,9
> აჰა ეგერა დირჩ იგი თუალსა შინა შენსა გიც! ხანმ. მ 7,4
> გაჰსოვსმცა მარადის წმიდათა შინა ლოცვათა შენთა, გამორჩეულო ღმრთისაო! ხანძთ. ღ65...

ემოციური წინადადება ზოგჯერ შეიძლება უსრული სახით იქნეს წარმოდგენილი იმგვარად, რომ აკლდეს შემასმენელი:

> მიჰუგო იესუ და ჰრქუა: ჰ ნათესავი ურწმუნოჲ და გულარძნილი! ჰაგმ. მ 17,17.

დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ემოციური წინადადება მოგვაგონებს სხვა ტიპის წინადადებას და ეს აიხსნება იმით, რომ მას განასხვავებს სხვა ტიპთაგან მხოლოდ სპეციფიკური წარმოთქმა.

ამგვარად, ძველ ქართულში წინადადებათა მოდალური ტიპები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ინტონაციით: კითხვით წინადადებაში გარდა სპეციფიკური ინტონაციისა რიგ შემთხვევაში გვაქვს კითხვითი ნაწილაკები (-ა, -მე) და კითხვითი სიტყვები (ვინ? რომელი? სადა?...). ბრძანებით წინადადებას შემასმენლად ბრძანებითი კილოს ფორმები აქვს, ხოლო ემოციური წინადადება გამოირჩევა ემოციისათვის დამახასიათებელი ინტონაციით. მოლაპარაკის ემოციური განწყობილება შეიძლება გაძლიერდეს შორისდებულებითა და ნაწილაკებით.

§ 37. **სრული და უსრული წინადადება.** წინადადების სისრულის საკითხი სხვადასხვანაირადაა გაგებული ჩვენს საენათმეცნიერო ლიტერატურაში. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოცემულ „რუსული ენის გრამატიკაში“ იგი ვრცლადაა განხილული, მაგრამ შენიშნულია, რომ თანამედროვე რუსულ ენაში ფართოდ გავრცელებულია ტიპის მიხედვით წინადადებათა სხვადასხვაგვარი კონსტრუქციები, რომელთაც აერთიანებენ „უსრული წინადადების“ ტერმინქვეშო[19].

აღნიშნულია ისიც, რომ თეორია უსრული წინადადების შესახებ[20] ვითარდება სრულ წინადადებასთან დაპირისპირების ნიადაგზე და აქედან გამომდინარე წარმოდგენილია უსრულ წინადადებათა ოთხი ჯგუფი:

1. უსრული წინადადებანი, რომლებიც წარმოადგენენ დიალოგის ურთიერთ დაკავშირებულ რეპლიკებს;

2. დამოუკიდებლად ხმარებული უსრული წინადადებანი, რომელთა სტრუქტურისათვის დამახასიათებელია შემასმენლის გამოტოვება;

3. უსრული წინადადებანი, რომლებიც წარმოადგენენ მტკიცე ფრაზეოლოგიურ შენაერთებს;

4. უსრული წინადადებანი, რომლებიც შედიან რთული წინადადების შემადგენლობაში[21].

აქ უსრული წინადადების ოთხი ჯგუფიდან მარტივ წინადადებას ეხება სამი, რთულს — ერთი. ამავე დროს, ავტორების აზრით, უსრულ წინადადებებში ტერმინები „ქვემდებარე“, „შემასმენელი“, „მსაზღვრელი წევრი“ (განსაზღვრება), „მართული წევრი“ (დამატება)... იხმარება პირობითად, იმ მიზნით, რომ შენარჩუნებულ იქნეს მიღებული ტერმინოლოგია[22].

მიუხედავად ასეთი შენიშვნებისა, აქ ვრცლადაა მიმოხილული წინადადების ეს ტიპი.

უფრო ადრე უსრული წინადადება საკმაო ვრცლად განხილული ჰქონდა ა. პეშკოვსკის. ა. პეშკოვსკი გამოდიოდა წინადადებაში

---

[19] Грамматика русского языка, т. II, Синтаксис, ч. II, გვ. 88.

[20] უსრულ წინადადებას უწოდებენ ა გ რ ო თ ვ ე ე ლ ი ფ ს უ რ წინადადებას. ტერმინი მომდინარეობს ბერძნულიდან და აღნიშნავს წინადადების რომელიმე ადგილად საგულისხმებელი წევრის გამოტოვებას.

[21] იქვე, გვ. 89—90.

[22] იქვე, გვ. 91.

სიტყვათა ურთიერთობიდან. იგი აღნიშნავდა: „უსრულ წინადადებად ჩვენ მიგვაჩნია ისეთი წინადადება, რომელსაც აკლია წინადადებების აქამდე განხილულ კონსტრუქციასთან შედარებით ერთი ან რამდენიმე წევრი. ეს დანაკლისი, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება ამა თუ იმ უსრული შესიტყვების ფორმალური შემადგენლობით (სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ე. ი. ფორმის შინაგანი და გარეგანი მხარის გათვალისწინებით)“[23].

იმის მიხედვით, თუ რომელი წევრი აკლია, პეშკოვსკის მოცემული აქვს უსრული წინადადების კლასიფიკაცია. აქ გათვალისწინებულია, რომ უსრულ წინადადებას შეიძლება აკლდეს არა მარტო პირველხარისხოვანი წევრები (ქვემდებარე და შემასმენელი), არამედ მეორეხარისხოვანი წევრებიც[24].

სხვა შრომაში უსრული წინადადების შესახებ ა. პეშკოვსკი აღნიშნავდა, რომ „მე მივაკუთვნე უსრულ წინადადებებს არა მარტო უშემასმენლო და უქვემდებარო (რა თქმა უნდა, უპიროს გარდა) წინადადებები, არამედ ისეთებიც, რომელთაც არ გააჩნიათ მართული დამატებები, ე. ი. ამ ტიპისა: „Он наставляет“; „Он говорил“; „Я обещаю“ და ა. შ.[25] და იქვე: „სრულსა და უსრულ წინადადებებს მე განვასხვავებ არა მარტო აზრის პროცესთან მიმართებით, არამედ... წმინდა გრამატიკულად... მე მგონია, რომ ასეთი განსხვავება საჭიროა წინადადების უსრულობის თუ სისრულის კონკრეტული განსაზღვრისათვის, რადგანაც „Травка зеленеет“-იც და „Солнышко блестит“-იც შეიძლება აზრის პროცესთან მიმართებით იყოს არასრული[26]“.

გრამატიკულ ლიტერატურაში ხშირად უსრულ წინადადებად მიიჩნევენ ისეთ წინადადებას, რომელსაც აკლია ადვილად საგულისხმებელი წევრი, მაგრამ ადვილად საგულისხმებელი წევრი წინადადებაში შეიძლება დაუსრულებლად აღმოჩნდეს. ასევე — სრულადაა მიჩნეული ისეთი წინადადება, რომელსაც არ აკლია რომელიმე წევრი... ავიღოთ ასეთი წინადადება: „და დაწერნა მოსე ყოველნი ესე სიტყუანი უფლისანი“ (გამ. 24,4). თუ გავრცელებულ პრინციპს დავიცავთ, ეს წინადადება შეიძლება სრულადაც გავიგოთ და უსრულადაც, რადგანაც, ერთი მხრით, აქ წარმოდგენილია

---

[23] А. Пешковский, Русский синтаксис. გვ. 360.
[24] იქვე. გვ. 360— 366.
[25] А. Пешковский. Синтаксис в школе, გვ. 103.
[26] იქვე.

ქვემდებარე, შემასმენელი, პირდაპირი დამატება და განსაზღვრება, მაგრამ, მეორე მხრით, მას აკლია პირმიუმართავი დამატება და გარემოება.

უსრულ წინადადებას ვრცელი შრომა მიუძღვნა ი. პოპოვამ[27]. ი. პოპოვა წინასწარ ასეთ კითხვას სვამს: რა კრიტერიუმს ვუდებთ საფუძვლად ჩვენ წინადადების „უსრულობას"? აზრობრივ უსრულობას თუ ფორმალური შემადგენლობის უსრულობას? და უპასუხებს: თუ უსრულობის განსაზღვრის კრიტერიუმად ავიღებთ საერთოდ აზრობრივ უსრულობას, მაშინ მთელი ჩვენი მეტყველება არა მარტო ზეპირი, განსაკუთრებით დიალოგი, არამედ სამწერლობოც აღმოჩნდება აზრობრივად უსრულ წინადადებად (გვ. 13—14).

მეორე მხრივ, ფორმალურად არასრული წინადადების ბევრ სახე საკმაოდ გასაგებია აზრობრივად (გვ. 17).

აქედან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს ორი დასკვნა:

1. იზოლირებულად განხილული წინადადების აზრობრივი უსრულობა მიმართებითი ცნებაა და არაა აუცილებელი ფორმალურად უსრული წინადადებისათვის; 2. წინადადების ფორმალური შემადგენლობა თავისთავად არაა საკმარისი მსჯელობისათვის, აზრობრივი სისრულისათვის ან გამოთქმის უსრულობისათვის. და ფორმალური შემადგენლობის სისრულეს თავისთავად არ შეუძლია ემსახუროს წინადადების სისრულის კრიტერიუმს (გვ. 17).

შემდეგ ავტორი განაგრძობს, რომ ჩვენ შეგვეძლო შევთანხმებულიყავით და გაგვეგო „უსრულ" წინადადებად ისეთები, რომლებშიც მათი აზრობრივი უსრულობა გამოხატულია ფორმალურ-გრამატიკული შემადგენლობის უსრულობით (გვ. 18).

ავტორი ფიქრობს, რომ „უსრული" წინადადების გრამატიკული შედგენილობა შეიძლება არ იყოს გამოხატული მთლიანად. ის ნაწილდება კითხვების წინადადებათა და პასუხების წინადადებათა შორის და ერთმანეთის მომდევნო რეპლიკებს შორის. მაგალითისათვის აღებულია ასეთი წინადადებები:

—პოლია მოვიდა?

—მოვიდა.

აქ „მოვიდას" ნაცვლად რომ ყოფილიყო პასუხი „კი" ან „პოლია მოვიდა", მაშინ ერთმანეთისაგან განსხვავებული წინადადებები გვექნებოდა მხოლოდ თავისი გრამატიკული შედგენილობით.

---

[27] И. А. Попова, Неполные предложения в современном русском языке: Труды Института языкознания АН СССР, II, 1953, გვ. 1—136.

მაგრამ როგორც წინადადება-პასუხი თანაბრად შეასრულებდა თავის ფუნქციას (გვ. 21).

შემდეგ იგი განაგრძობს: წინადადების ასეთი გაგებიდან გამომდინარეობს, რომ არსებითად არა გვაქვს „უსრული“ წინადადებები (გვ. 23).

ავტორის დასკვნით უსრული წინადადების წინასწარი განხილვა მიგვიყვანს იმ დასკვნამდის, რომ შეუძლებელია მკაფიო ერთიანი კრიტერიუმის მონახვა წინადადებათა დაყოფისა სრულად და უსრულად (გვ. 24).

ავტორი შედარებით უსრულ წინადადებას უწოდებს ისეთ წინადადებებს, რომლებშიც გამოტოვებულია მოსალოდნელი წევრი მოცემულ სტრუქტურაში ან წინადადებაში (გვ. 37). ამ წინადადებათა შედგენილობა უსრულია პარალელურ სრულ კონსტრუქციასთან შედარებით (იქვე, შდრ. გვ. 41). მაგრამ, თუ წინადადების წევრის გამოტოვება მოხდა რთულ წინადადებაში იმის გამო, რომ ეგეთი წევრი იქნა მეორე შემადგენელ წინადადებაშია მოცემული, მას არ თვლის უსრულ წინადადებად (გვ. 41). მხედველობაშია ასეთი აგებულების წინადადება: „ბზწ და საჭმელი დიად არს ჩუენსა და ადგილი საყოფლად შენდა“ (დაბ. 24, 25).

წინადადების სისრულისათვის მნიშვნელობა აქვს შემასმენელს, რადგანაც მასში სათანადო ნიშნებით გამოხატულია ქვემდებარეც და დამატებებიც.

წინადადება სრულად უნდა მივიჩნიოთ იმ შემთხვევაში, როდესაც რეალურად წარმოდგენილია შესიტყვებით გათვალისწინებული მთავარი წევრები. ქართულში ქვემდებარისა და პირმიმართი დამატებების სინტაქსური ძალა ჩვეულებრივ გათანაბრებულია. ამის გამო წინადადების სისრულის დასადგენად ანგარიში უნდა გავუწიოთ პირთა რაოდენობას ზმნა-შემასმენელში. ერთპირიან ზმნასთან პირიანობის მიხედვით ერთი სახელი — ქვემდებარე ივარაუდება, ამიტომ აქ ქვემდებარე და შემასმენელი ქმნიან სრულ წინადადებას. თუ ერთ-ერთი მათგანი აკლია, წინადადება იქნება უსრული.

მაგალითად:

სრულია

იყო სიყუარული მათ შორის ერთად ზრდილობისათჳს: ხანძთ. მბ, პიტიახში ჩორდ წარემართა: შუშ. X,17
თმაჲ თაჳსა თჳუენისაჲ არა წარწყმდეს: DE ღ 21,18.

უსრულია

მაშინ გამოვიდა ციხით: შუშ. X.1
მერმე შევიდა შესაკრებელსა: DE მრ 3,1
და განვიდა მეყსეულად მასვე ჟამსა მისვე: მოც. 16,18.

თუ შემასმენლად ორპირიანი ზმნაა, სრული წინადადება იქმნება იმ შემთხვევაში, როცა წარმოდგენილია ქვემდებარე, შემასმენელი და დამატება (გარდამავალთან — პირდაპირი დამატება, გარდაუვალთან — ირიბი დამატება). უსრულია, თუ აკლია რომელიმე მთავარი წევრი.

მაგალითად:

სრულია

ხოლო სტეფანემან ბაბილა აღიღო ქმად თჳსი ერისა მიმართ: კიმ. I, 44,10.
მაშინ შეიწყნარა ბერძან ვედრებაჲ ძმისა მის: ლიმონ. 10.4
ეჩუენა ღმე ეპისკოპოსსა ფილოსოფოსი იგი: იქვე, 83,3
გამოეცხადა იოსებ ძმათა თჳსთა: მოც. 7,13.

უსრულია

ა) აკლია ქვემდებარე

ქვითა განსტკნიდეს სტეფანეს: მოც. 7,59
ეგრეთ მოიყვანეს იგი ტაძრად: შუშ. VIII,19
აღმოიკადეს მახჳლები მათი: ლიმონ. 7,13.

ბ) აკლია ირიბი დამატება

მეყსეულად აღეხილნეს თუალნი მათნი: DE მ, 9,30
მოპლპა ფერკი მისი: ლიმონ. 5,20.

გ) აკლია პირდაპირი დამატება

მეყსეულად ყოველმან მან ერმან იხილა: C მრ 9,15.

დ) აკლია ქვემდებარე და დამატება

მწრაფლ გარდამოიღეს მიერ ჯუარით: ისტ. ქრ. 171,23
გულს-მოდგინედ ისმინე, ძმაო! იქვე, 166,7.

როცა შემასმენლად გვაქვს სამპირიანი ზმნა, სრულ წინადადებას ქმნიან შემასმენელთან ერთად ქვემდებარე და პირმიმართი (პირდაპირი და ირიბი) დამატებები. თუ რომელიმე მთავარი წევრი აკლია, წინადადება იქნება უსრული.

მაგალითად:

სრულია

მისცა მან ეპისკოპოსსა სამი კენტარი ოქროჲ: ლიმონ. 82,21
მან აუწყა მას ყოველი საქმჱ ძმისა მისისაჲ: იქვე, 48.27
კაცმან ჩუენგანმან არა მისცეს ბენიამენს ასული თჳსი ცოლად:
მსაჯ. 21.1
მე მოგიცილნო თქუენ აღთქემაჲ იგი მამისა ჩემისა DE ღ 24,49.

ა) აკლია ქვემდებარე
მოართუეს მას განრღუეული ცხედარსა ზედა მდებარჱ: DE მ 9,2
შეჰეედრა სული თჳსი უფალსა ყოველთა შემწყნარებელსა: შუშ. XVIII,11.

ბ) აკლია პირდაპირი ან ირიბი დამატება (ან ორივე ერთად)
ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: შუშ. X.12
მე გაუწყო საქმჱ ჩემი: ლიმონ. 37,17
გიშვეს ცოლმან შენმან შვილი: იქვე, 57,19
ხოლო ნეტარმან ანასტასიოს მიუგო კმითა მდაბლითა: კიმ. I,71.2
მიბრძანოს სიწმიდემან შენმან: ლიმონ. 80,31.

სრული წინადადების საკითხი თავისებურად დგას რთულ თანწყობილ წინადადებაში მაშინ, როდესაც მოქმედების ერთგვაროვნების აღსანიშნავად ერთნაირი შემასმენლებია, რომელთაგან ერთი შეიძლება დაიკარგოს განმეორების თავიდან აცილების მიზნით. მაგალითად:

სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ: DE მ 9,37
იცნა ჯარმან მომგებელი და ვირმან ბაგაჲ უფლისა თჳსისაჲ: ბოლნ. 9,16
ღამჱ იყო ფსალმუნებაჲ და დღისი წიგნის კითხვაჲ: ხანძთ. იჱ$_{10}$.

უძველესი ქართულის მიხედვით შემასმენელი ყველა წინადადებაში უნდა ყოფილიყო. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ კომპონენტ წინადადებათა შორის ნაკლები ორგანული კავშირი იგრძნობოდა.

ძველი ვითარებაა ასახული ამგვარ წინადადებებში:

აბრაჰამ დაემკჳდრა ქუეყანასა მას ქანაანისსა და ლოტ დაემკჳდრა ქალაქსა მას სანახეთასა: დაბ. 13.12
კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გამოიღის კეთილი, და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გამოიღის ბოროტი: მ 12.35.

როგორც ვხედავთ, უსრული წინადადება გვაქვს რთულ თანწყობილშიც, როდესაც ორ მსგავს შემასმენელთაგან გამოტოვებულია ერთი.

§ 38. გაუვრცობელი და გავრცობილი წინადადება. გაუვრცობელი და გავრცობილი წინადადების შესახებ დამკვიდრებულია ასეთი განსაზღვრა: „წინადადება, რომელიც შედგება მხოლოდ ქვემდებარისა და შემასმენლისაგან, არის მარტივი გაუვრცობელი“... „წინადადება რომელშიც გარდა ქვემდებარისა და შემასმენლისა გვაქვს მეორეხარისხოვანი წევრებიც, არის მარტივი გავრცობილი“...

აღნიშნულია ისიც, რომ ორშემადგენლიანი წინადადება, რომელიც შედგება მხოლოდ მთავარი წევრებისაგან, და ერთშემადგენლიანი წინადადება, რომელიც შედგება მხოლოდ მთავარი წევრისაგან, იწოდება გაუვრცობელ წინადადებად... წინადადებები, რომლებშიც გვაქვს მეორეხარისხოვანი წევრები, იწოდებიან გავრცობილ წინადადებებად[28].

ე. კროტევიჩი თავის შრომაში — „გაუვრცობელი და გავრცობილი წინადადება“[29] — აღნიშნავს: გაუვრცობელი წინადადება არის სრულიად ნორმალური წინადადება, ე. ი. მეტყველების ისეთივე ძირითადი საკომუნიკაციო ერთეული, როგორიცაა გავრცობილი წინადადება. უკანასკნელისაგან განსხვავებით გაუვრცობელ წინადადებას აქვს მხოლოდ აუცილებელი მინიმუმი წევრებისა. მაგრამ — განაგრძობს იგი — აუცილებელი წევრების მინიმუმის დადგენისას ჩვენ არ შეგვიძლია გეზი ავიღოთ ქვემდებარეზე და შემასმენელზე, რადგანაც არის წინადადებები, სადაც შეიძლება არ გვქონდეს ეს წევრები, მაგ., სახელდებითი და უპირო წინადადებები, რომელთა მაორგანიზებელ ცენტრად გვევლინება ერთი წევრი — მთავარი წევრი ერთშემადგენლიანი წინადადებისა (გვ. 6).

ავტორი ამტკიცებს, რომ წინადადებას, რომელიც მოიცავს აუცილებელი წევრების მხოლოდ მინიმუმს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ სტრუქტურულ ტიპს ეკუთვნის იგი, შეიძლება ვუწოდოთ გაუვრცობელი წინადადება. ასეთი წინადადების შემადგენლობაში... შეიძლება აღმოვაჩინოთ არა მარტო მთავარი წევრები — ქვემდებარე და შემასმენელი ან გაბატონებული (მთავარი) წევრი ერთშემადგენლიანი წინადადებისა, არამედ..., გარკვეულ პირობებში, მეორეხარისხოვანი წევრებიც — პირდაპირი ან ირიბი დამატება. მაშასადამე, გავრცობილად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ისეთი წინადადება, რომლის შემადგენლობაში, გარდა ამ აუცილებელი მინიმუმისა, გვაქვს სხვა წევრებიც (გვ. 14).

და შემდეგ განაგრძობს: გავრცობილი წინადადება შეპირობებულია რიგი მიზეზებით: უპირველეს ყოვლისა, მოლაპარაკის (ან დამწერის) სურვილით, რომ უფრო ზუსტად გამოხატოს აზრი ობიექტური სინამდვილის ამა თუ იმ უბანზე, მაგრამ ეს აგრეთვე დამოკიდებულია თვით მოლაპარაკის (ან დამწერის) შესაძლებლობაზე.

---

[28] Грамматика русского языка, II, ч. I, გვ. 355.

[29] Е. В. Кротевич, Предложение нераспространённое и распространённое, Львов, 1955.

მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მეტყველების მიზანსა და პირობებს (გვ. 14—15).

ამგვარად, რაკი ავტორი ფიქრობს, რომ გაუვრცობელი წინადადებისათვის არაა აუცილებელი შედიოდეს მასში მხოლოდ მთავარი წევრები, მისთვის მოხსნილია საკითხი გაუვრცობელსა და გავრცობილ წინადებებს შორის განსხვავებისა. ამიტომ თვითონვე აღნიშნავს: გავრცობილი წინადადების სტრუქტურული ტიპები პრინციპულად არ განსხვავდებიან შესაფერისი გაუვრცობელი წინადადების ტიპებისაგანო (გვ. 19).

რომ გაუვრცობელი წინადადება ისეთივე ნორმალური წინადადებაა, როგორიც გავრცობილი, ეს დავას არ იწვევს. მაგრამ საკითხავია — სად უნდა დაიდვას ზღვარი ამ წინადადებათა შორის? აქ საბუთად ვერ გამოგვადგება „აუცილებელი მინიმუმი წევრებისა“: ზოგჯერ „აუცილებელ მინიმუმში“ შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი წევრებიც კი, რომელთაც მთავარ წევრებად არც კი ვთვლით.

წინადადების ცენტრი შემასმენელი-ზმნაა, მაშასადამე, აუცილებელი მინიმუმი იმაში კი არ უნდა ვეძიოთ, როგორია სურვილი მოლაპარაკისა (ან დამწერისა), არამედ იმაში, თუ რა წევრებია დაკავშირებული შემასმენელთან პირიანობის მიხედვით. მაგალითად, ქართულში გვაქვს ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი ზმნები. პირიანობა განსაზღვრულია იმ სახელებით, რომლებიც ზმნასთან არიან დაკავშირებული, როგორც სუბიექტი (ქვემდებარე) და ობიექტები (პირდაპირი და ირიბი დამატებები). თუ ამ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, მაშინ „აუცილებელი მინიმუმი“ ამ სახელების მონაწილეობამ უნდა მოგვცეს. ეს სახელები შემასმენელთან ერთად წინადადების მთავარ წევრებად გვევლინებიან. აქედან გამომდინარე, მარტივი გაუვრცობელია წინადადება, თუ იგი მხოლოდ მთავარი წევრებისაგან შედგება.

მაშასადამე, როცა შემასმენლად არის ერთპირიანი ზმნა, გაუვრცობელი წინადადება წარმოგვიდგება მხოლოდ შემასმენლისა და ქვემდებარის სახით, ხოლო, როცა შემასმენლად გვაქვს ორ- ან სამპირიანი ზმნა, გაუვრცობელი იქნება ისეთი წინადადება, სადაც შემასმენელთან და ქვემდებარესთან ერთად გვექნება პირდაპირი და ირიბი დამატებები. თუ წინადადებაში მონაწილეობენ მეორეხარისხოვანი წევრებიც, ასეთ წინადადებას ვუწოდებთ გავრცობილს[30].

---

[30] ასეთი მოსაზრება აქვს გამოთქმული აგრეთვე ლ. კვაჭაძესაც. ლ. კ ვ ა ჭ ა ძ ე, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1958, გვ. 151.

ამგვარად, 1. როდესაც შემასმენლად ერთპირიანი ზმნაა და მასთან დაკავშირებულია მხოლოდ ქვემდებარე, წინადადება გაუვრცობელია:

მაგ.:

იყო ღამე: E ი 13,30

განცოცხლდა კაცი იგი: DE ი 5,9

წარვიდა იგი: ლიმონ. 36,1.

მარტივი გავრცობილია, რადგანაც მეორეხარისხოვანი წევრებიცაა:

პეტრე ჯდა ეზოსა შინა: DE მ 26,69

სანთელი გუამისაჲ არს თუალი: DE მ 6,22

იგინი წარიგზავნნეს კრებულისა მისგან: მოც. 15,3...

2. ქვემდებარეს თან ახლავს ორპირიანი ზმნა-შემასმენელი, რომელთანაც დაკავშირებულია პირდაპირი ან ირიბი დამატება. წინადადება გაუვრცობელია:

წარგზავნა ისაკ იაკობი: დაბ. 28,5

მარხვამან სახლნი დაამშჯდნის: ბოლნ. 6,2

იგინი ეკიცხევდეს მას: DE მ 9,24

აღმოუკდა მას მზჱ: დაბ. 32,31.

მაგრამ მარტივი გავრცობილია:

დაიმკჯდრა მან ქუეყნელი იგი ჯოჯოხეთისაჲ: ისტ. ქრ. 304,20

მამასახლისსა უცნ მცირედ პური უცხოთათჳს ღოცვად მრავალთა: კიმ. I, 29,11

3. შემასმენლად არის სამპირიანი ზმნა. დაკავშირებულია მხოლოდ მთავარი წევრები. წინადადება გაუვრცობელია:

მათ დაასხნეს მას ჴელნი: DE მრ 14,46.

გავრცობილია:

ხოლო კაცმან მან ყოველი იგი ყოფილი უთხრა ცქირსა: ხანძთ. დთჳ და მოართუეს ძეთა აპრონისთა სისხლი იგი მას: ღევიტ. 9,9...

წინადადებისათვის მთავარი წევრი აუცილებელი წევრია. თუ შემასმენელთან დაკავშირებული მთავარი წევრები წარმოდგენილი არაა. მას პოტენციალურად გულისხმობენ შემასმენელი-ზმნა. წინადადების მექანიზმისათვის მთავარ წევრს ძირითადი მნიშვნელობა აქვს. დანარჩენი წევრები მთავარ წევრთა ამხსნელებია. ამხსნელ წევრთა რაოდენობა განსაზღვრული არ არის. ასეთ ამხსნელ წევრებს შეუძლიათ განავრცონ მარტივი წინადადება.

თავი მეოთხე

ერთშემადგენლიანი წინადადება

§ 89. ერთშემადგენლიანი წინადადების გაგება. ერთშემადგენლიან წინადადებად სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია უქვემდებარო (უსუბიექტო), განუსაზღვრელპირიანი (ქვემდებარეგაუჩინარებული), განზოგადებულპირიანი, ინფინიტიური და სახელდებითი წინადადებანი. ამათგან ქართულისათვის დამახასიათებელია პირველი სამი (უქვემდებარო, განუსაზღვრელპირიანი და განზოგადებულპირიანი).

ერთშემადგენლიანი წინადადების რაობისა და მისი ორშემადგენლიან წინადადებასთან მიმართების შესახებ ჯერ კიდევ აზრთა სხვადასხვაობაა. ერთშემადგენლიან წინადადებაზე ვმსჯელობთ იმდენად, რამდენადაც ქვემდებარისა და შემასმენლის შემცველ წინადადებას ვუპირისპირებთ მას.

ერთშემადგენლიანი წინადადება ვრცლად აქვს მიმოხილული ა. შახმატოვს. იგი ერთშემადგენლიანი და ორშემადგენლიანი წინადადების მიმართების რკვევისას აღნიშნავს, რომ „ორშემადგენლიანი წინადადება რიგ შემთხვევაში წარმოადგენს ერთწევრიანის დანაწევრებას. მაგალითად, თანამედროვე წინადადებები я хожу; ты пишешь; мы радуемся მომდინარეობს ძველი რუსულიდან хожю, пишеши, радуемься -დან“... და ბოლოს ასკვნის: „შესაძლებელია, რომ ორშემადგენლიანი წინადადებები წარმოიშვნენ არა მარტო წარმოდგენათა დაშლის შედეგად, არამედ აგრეთვე ორი წარმოდგენის დაახლოებისა და ერთ კომუნიკაციად შეერთების შედეგად“[1].

ა. შახმატოვი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ერთშემადგენლიან წინადადებაში არ გამოიყოფა ქვემდებარე და შემასმენელი იმგვარად, როგორადაც ეს ორშემადგენლიანთან გვაქვს: აქ ერთი

---

[1] А. Шахматов, Синтаксис русского языка, გვ. 160—161.

სიტყვა მოიცავს ქვემდებარესაც და შემასმენელსაც, ამიტომ ურთ-შემადგენლიან წინადადებაში ერთი მთავარი წევრია[2].

ერთშემადგენლიანი წინადადების პირველადობას აღიარებდა ჰ. შუხარდტიც[3].

ა. პეშკოვსკის აზრით, წინადადება მიიღება სახელობით ბრუნვაში დასმული სახელისა და ზმნის შეერთებით. შეიძლება აძ შაბლონიდან აკლდეს პირველი ან მეორე. ამ შემთხვევაში ადვილად შეიძლება აღვადგინოთ ის წევრი, რომელიც აკლია. სიტყვათა ურთიერთობა მაინც იგრძნობა: თუ ქვემდებარე აკლია, მასთან რიცხვში შეთანხმებული შემასმენელი რჩება, თუ შემასმენელი აკლია, წარმოდგენილია ზედსართავი, არსებითი სახელი ან ზმნისართი, რომელიც ზმნაზე წარმოდგენას გვაძლევს.

ა. პეშკოვსკი დასძენს, რომ ტერმინი „უპირო" ზმნა და უპირო წინადადება მეტისმეტად არაზუსტია, რადგანაც სრულიად უპირო შემასმენელი არ შეიძლება იყოს[4].

ა. პოტებნია ფიქრობდა, რომ „ცნება" „უსუბიექტობა". ე. ი. გამოტოვება შემასმენელთან განსაზღვრული. ცნობილი სუბიექტისა: „უპირობა" impersonalitas, ე. ი. განუსაზღვრელობა პირისა (1, 2, 3-ისა), რომელიც გამოხატულია მხოლოობითი რიცხვის მესამე პირით,... არაპირველადია"[5].

ლ. შჩერბა მიუთითებდა, რომ „პირველი ტიპი (ერთწევრიანი) ხასიათდება ერთი კონცენტრით. რომელიც არ იშლება ქვემდებარედ და შემასმენლად, მეორე ტიპი (ორწევრიანი) — ორი კონცენტრით — ქვემდებარითა და შემასმენლით. წინადადებათა ასეთი ტიპები არსებობენ თანამედროვე ენაშიც. რაც შეეხება ერთწევრიანი წინადადების პირველადობას, ეს საკითხი უაღრესად პრობლემატურია"[6].

ჯონ რისი ერთმანეთს უპირისპირებდა ერთშემადგენლიან და ორშემადგენლიან წინადადებას და ეღნიშნავდა: ერთშემადგენლიანი წინადადებები იმყოფებიან ისეთ უმცირესობაში, რომ ისინი ქმნიან იშვიათი გამონაკლისის შთაბეჭდილებასო, მაგრამ მაინც აღია-

---

[2] А. Шахматов, Синтаксис русского языка, გვ. 30.
[3] Г. Шухардт, Избранные статьи... გვ. 80.
[4] А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, 1938, გვ. 316.
[5] А. А. Потебня, Из записок по русской грамматике, III, Харьков, 1899, გვ. 403.
[6] Известия АН СССР, Отделение литературы и языка, 1940, № 3, გვ. 146.

რებდა ერთშემადგენლიანი წინადადების დამოუკიდებელი სახის არსებობას[7].

უკანასკნელ ხანებში რუსული ენის მასალების მიხედვით ერთშემადგენლიან წინადადებაზე ყურადღება გაამახვილა ე. გალკინა-ფედორუკმა[8]. მანვე ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნა უპირო წინადადებას[9].

ახალ ქართულში ერთშემადგენლიან წინადადებას სპეციალური შრომა მიუძღვნა ნ. ბასილაიამ[10].

ამრიგად:

1. ერთშემადგენლიანი წინადადება მომდინარეობს ორშემადგენლიანისაგან, რამდენადაც „უპირო წინადადება წარმოიშვა პირიანისაგან და არა პირიქით" (ა. პეშკოვსკი. შდრ. ა. პოტებნია).

2. ერთშემადგენლიანი წინადადება პირველადია, ხოლო ორშემადგენლიანი წინადადება წარმოადგენს „ერთწევრიანის დანაწევრებას" (ა. შახმატოვი, ჰ. შუხარდტი).

შემდეგი პერიოდის საენათმეცნიერო ლიტერატურაშიც ასეთივე აზრია გატარებული: ან პეშკოვსკისებური გაგებაა, ან შახმატოვისებური. ამიტომ ამ საკითხზე აქ მოკლედ შევჩერდებით.

ი. მეშჩანინოვის აზრით, სიტყვას შეუძლია გადმოსცეს ორი ოდენობა. პირველი, სიტყვა, როგორც ლექსიკური ერთეული, ძირითადი შინაარსის მქონეა, მაგრამ, მეორე, ამავე სიტყვას შეუძლია მიიღოს ახალი მნიშვნელობა და გადმოსცეს საერთო მსჯელობაც და გამოხატოს დასრულებული წინადადებაც. მაგ.: 1. ამ ოთახში კარგი მაგიდა არის — აქ „მაგიდა" აღნიშნავს საგანს. მაგიდას პირდაპირი მნიშვნელობით (როგორც ავეჯს). 2. ამ რესტორანში კარგი მაგიდაა — აქ ავეჯი კი არ იგულისხმება, არამედ საჭმელი. 3. მაგიდა! ცალკე აღებული გამოხატავს დასრულებულ

---

[7] John Ries, Was ist ein Satz? Prag, 1931, გვ. 103.

[8] Е. М. Галкина-Федорук, Суждение и предложение, Москва. 1956.

[9] Е. М. Галкина-Федорук, Безличные предложения в современном русском языке, Москва, 1958. მასვე ეკუთვნის ძირითადი ნაწილი ერთშემადგენლიანი წინადადების ტიპებისა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოკვეყნებულ „რუსული ენის გრამატიკაში" (Грамматика русского языка, II, Синтаксис, ч. II, გვ. 5—88).

[10] ნ. ბასილაია, ერთშემადგენლიანი წინადადების საკითხისათვის ახალ ქართულში: ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X—XI, სოხუმი, 1958, გვ. 367—406.

წინადადებას, როდესაც გზაზე მაგიდა დგას, აფრთხილებენ ვინმეს, რომ არ დაეჯახოს და სხვა[11].

სიტყვა „მაგიდა" ამ შემთხვევაში გამონაკლისი არ არის. მნიშვნელობის მიხედვით სხვა სიტყვაც ასეთ ნაირსახეობას მოგვცემდა.

ი. მეშჩანინოვი ამტკიცებს, რომ სუბიექტი, რომელიც გამოხატულია წინადადების ცალკე წევრით, ყველა ენაში აღმოჩნდება ქვემდებარედ. ასევე შემასმენელიც. მაგრამ, თუ ავიღებთ ასეთ წინადადებას „Пожар!" აქ სუბიექტი და პრედიკატი დაუნაწევრებელია, ამიტომ არა გვაქვს ცალკეული გამოხატულება არც ქვემდებარისა და არც შემასმენლისა.

ი. მეშჩანინოვი აღნიშნავს აგრეთვე, რომ უპირო ზმნები, როგორიცაა, მაგალითად, წვიმს, მოიცავს სუბიექტს, რომელიც დაფარულია თვით ზმნის სემანტიკაში: წვიმა წვიმს[12].

სინტაქსის საკითხებს ვრცელი შრომები მიუძღვნა ვ. ვინოგრადოვმა[13]. იგი განსხვავებას ხედავს წინადადებასა და შესიტყვებას შორის.

ვ. ვინოგრადოვი ერცლად ჩერდება ერთშემადგენლიან წინადადებაზე და გამოყოფს კიდეც ამგვარ წინადადებათა ორ ტიპს: წინადადებათა პირველ ტიპში მიზანშეუწონელია ვეძიოთ „ქვემდებარეები" და „შემასმენლები" ან მათი „ეკვივალენტები", მეორე ტიპი (განუსაზღვრელპირიანი და განზოგადებულპირიანი წინადადებები) შეიძლება დავუახლოოთ ორშემადგენლიან წინადადებას, ამდენად ქვემდებარის თუ შემასმენლის ძიებას ამ უკანასკნელთან საფუძველს მოკლებული არ არის.

რა შეადგენს წინადადებათა პირველ ტიპს? ყველაფერი, რასაც შეუძლია მტკიცება ან უარყოფა გამოხატოს, ასეთებია: რაიმე განცდის შედეგად წამოძახილები (გამოხატული არსებითი სახელით, ზედსართავით, ზმნისართით, ნაწილაკით, შორისდებულით და ა. შ.). ცეცხლი! ჩუმად! განა? ალბათ, ბრრ (ცახცახის დროს), აი, აი, აი! და სხვ.

---

[11] И. И. Мещанинов, Члены предложения и части речи, 1945, გვ. 7—8; 191.

[12] იქვე, გვ. 250.

[13] В. В. Виноградов, Некоторые задачи изучения синтаксиса простого предложения: „Вопросы языкознания", № 1, 1954; Вопросы изучения словосочетаний: „Вопросы языкознания", № 3, 1954.

ასეთი შეხედულება არაა გაზიარებული ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

არნ. ჩიქობავა ჯერ კიდევ 1926 წელს აღნიშნავდა, რომ „წინადადება ჩვენ მიგვაჩნია ერთ-ერთი სახის შესიტყვებად; მაშასადამე, არ შეიძლება წინადადებად ჩაითვალოს არა თუ უფორმო სიტყვები და ნაწილაკები: კი! არა! გუშინ! გაღმა! ვაიმე!... არამედ ფორმაცვალებადი სიტყვებიც. როგორიცაა ამოძახილი ხანძარი! ანდა პასუხად თქმული მეზობელი (ვინ მოვიდა? მეზობელი), ანდა სიტყვები გაზეთი! გაზეთი! ბილეთები! ყოველი მათგანი მეტია: ვინემ ცალკე სიტყვა, უდრის მთელს ფრაზას (ხანძარი გაჩნდა! მეზობელი მოვიდა; იყიდეთ გაზეთი!), ხანდახან ორ განსხვავებულ ფრაზასაც (მაგ. ბილეთები! ტრამვაიში: ბილეთები შეიძინეთ! მატარებელში: ბილეთები წარმოადგინეთ!). მაგრამ მეტია არა სინტაქსურისა თუ მორფოლოგიურის თვალსაზრისით, არამედ ცნობიერების, მნიშვნელობის თვალსაზრისით, განსხვავებულია ცალკე სიტყვისაგან ფუნქციონალურად და არა სტრუქტურულად“[14].

ჩვენ ამ გაგებიდან ამოვდივართ, როდესაც ვიხილავთ წინადადების საკითხს.

თუ საერთოდ ორშემადგენლიან წინადადებად მიჩნეულია ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობაზე დამყარებული წინადადება, ცხადია, ამასთან შედარებით ერთშემადგენლიანი წინადადება ერთ-ერთი მათგანის გამოკლებით იქნება წარმოდგენილი. მაგრამ, ქვემდებარედ ქართულში შეიძლება იყოს მხოლოდ სახელი, მარტო სახელს, არც სახელთა ჯგუფს, არც წამოძახილს ან რომელიმე ნაწილაკს, რომელიც დანიშნულებით ხშირად ცვლის ქვემდებარე-შემასმენლით გადმოცემულ აზრს, არ შეუძლია გამოვიდეს წინადადების როლში. ამდენად, ერთშემადგენლიანი წინადადება ქართულში შეიძლება იყოს გამოხატული მხოლოდ და მხოლოდ ზმნა-შემასმენლით.

ეს შესიტყვებითაც გამართლებულია: ცალკე აღებული სახელი (ვერც მეტყველების სხვა ნაწილი ზმნის გარდა) შესიტყვებას ვერ ქმნის. „ცალკე აღებული ზმნა შესიტყვებაა მინიატურაში...

---

[14] არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 157.

განსაკუთრებით ქართულ ზმნას შეეძლო საამისო პრეტენზიები ჰქონოდა: მასში ხომ ორი (ხანდახან სამი) სახელიც შეიძლება იყოს აღნიშნული"[15].

ერთშემადგენლიანი წინადადების ანალიზისას უნდა გვახსოვდეს, რომ:

1. ასეთი წინადადება იქმნება უქვემდებარო შემასმენლის მიერ და წარმოდგენილია შემასმენელი ზმნით (თავისი ამხსნელი სიტყვებითურთ).

2. ერთშემადგენლიანი წინადადება განსხვავდება ორშემადგენლიანი წინადადებისაგან. უკანასკნელი შეიცავს ქვემდებარესა და შემასმენელს.

ქართულში ერთშემადგენლიანი წინადადება იყოფა რამდენიმე ჯგუფად. ამ ჯგუფებს ქმნიან: უსუბიექტო წინადადებანი, განუსაზღვრელპირიანი წინადადებანი და განზოგადებულპირიანი წინადადებანი.

§ 40. უსუბიექტო წინადადება. ამ ტიპის წინადადებისათვის დამახასიათებელია ის, რომ აქ „ქვემდებარე არ მოიპოვება და არც შეიძლება ვივარაუდოთ"[16].

უსუბიექტო წინადადების შემასმენლებად გამოყენებულია პირნაკლი ზმნები, რომლებიც ასახავენ ბუნების მოვლენებს (მეტეოროლოგიურ მოვლენებს, დღე-ღამის ცვლას...).

მაგალითები:

და ვითარცა შ ე მ წ უ ხ რ დ ა, ჰრქუა სახლისა უფალმან: DE მ 20,8, შდრ. C: რა ჟამს დამწუხრდა, ჰრქუა უფალმან მან საყურძნისამან.

და ვითარცა შ ე მ წ უ ხ რ დ ა, მოჰგუარეს მას ეშმაკეულები მრავალი: DE მ 8,16, შდრ. C: და ვითარ დ ა მ წ უ ხ რ დ ა, მოართუეს მას ეშმაკეულებ მრავალ.

და ვითარცა შ ე მ წ უ ხ რ დ ე ო დ ა და მზჱ დაჰვიდოდა, მოჰყვანდეს მისა ყოველნი სნეულნი და ეშმაკეულნი: DE მრ 1,32, შდრ. C: და ვითარ დ ა მ წ უ ხ რ დ ა,... მოართუმიდეს მას ყოველსა სნეულებსა და ეშმაკეულებსა.

წ კ მ ნ მართალთა ზედა და ცოდვილთა: C მ 5,45

ივლისსა კე წ კ მ ო ს: ლიტ. ქრისტ. I,30,16.

დადგენილია, რომ უსუბიექტო წინადადება წარმოადგენს შესიტყვებას, რომელსაც შემასმენლად გამოყენებული აქვს პირნაკლი

---

[15] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 157—158. ამ ფაქტს თავის დროზე ყურადღება მიაქცია ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ ა ც. იგი წერს: „სადაც ზმნა არ არის, იქ ხომ წინადადებაც არ არის": თხზულებათა სრული კრებული, III, 1953, გვ. 52.

[16] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, სინტაქსი, 1948, გვ. 88.

ზმნები (ა. პეშკოვსკი, შახმატოვი, ვ. ვინოგრადოვი, ა. შანიძე და სხვები).

დ. უზნაძე, რომელმაც 1923 წელს სპეციალური შრომა უძღვნა ამ საკითხს, აღნიშნავდა: „მეტეოროლოგიური მოვლენების გამოსახატავად ენა ჩვეულებრივ პირნაკლ ზმნებს მიჰმართავს. Impersonalia-თა ბუნების გამოსარკვევად ამ ვარემოებას უეჭველი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს"[17].

ისტორიულად იმპერსონალური ზმნები, როგორიცაა წვიმს, ელავს, თოვს... ისეთივე ნორმალური ტიპის ზმნებად მიიჩნეოდა, როგორადაც სხვა დანარჩენი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველისა და მეორე პირის გაგებას ასეთი ზმნები არასოდეს არ იძლეოდნენ[18].

მეორე მხრივ, ე. წ. უსუბიექტო ზმნები მომდინარეობენ სუბიექტიანი ზმნებისაგან; ამის დასადასტურებლად რამდენიმე მაგალითის წარმოდგენა შეიძლებოდა:

1. გარდამავალი ორპირიანი ზმნებისაგან არის მიღებული სუბიექტური პირის დაკარგვის შედეგად ინვერსიულად მიჩნეული ზმნები: მაცხელებს, მაციებს, მაკანკალებს, მაცახცახებს და სხვები.

2. უსუბიექტო ფორმების პარალელურად სუბიექტიანი (ქვემდებარიანი) ფორმებიც იხმარება.

მაგალითები:

ვითარცა განთენა, გამოვიდა მიერ და წარვიდა უდაბნოსა ადგილსა: ლ 4,42, შდრ. ვითარცა განთენადღე, შეკრბეს მოხუცებულნი ერისანი: ლ 22,66.

ვითარცა შემწუხრდა, მოვიდა კაცი: DE მ 27,57. შდრ. ვითარცა შემწუხრდა დღე იგი ერთშაბათსა მათ...: DE ი 20,19.

უსუბიექტო და სუბიექტიან ფორმათა პარალელური ხმარება გვაფიქრებინებს, რომ:

---

[17] დ. უზნაძე, Impersonalia: ჩვენი მეცნიერება, 1923, № 1, გვ. 25.

[18] საინტერესო ვარაუდი აქვს დაშვებული ივ. ჯავთარაძეს ამ საკითხთან დაკავშირებით. იგი შენიშნავს: „საგულისხმოა, რომ ამ ტიპის ზმნებში ჯერ კიდევ საგრძნობია სახელადი ფუძის გამოყენება, ნასახელარი წარმოების შინაარსი: წჳმა: წჳმ-ს, ქარ-ი: ქრ-ი-ს; წით-ს და სხვა მრავალი, რომლებითაც გადმოცემული მოქმედება იგივე სახელადი ფუძეების მდგომარეობაა (შდრ. კაც-ი: კაც-ობ-ს და ა.შ.)": ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954, გვ. 211, შდრ. გვ. 324.

დამატებითმა ძიებამ შეიძლება ეს მოსაზრება უფრო მყარი გახადოს.

1. ამ ტიპის (ე. ი. უპირო) ზმნები ნორმალური ტიპის (ე. ი. პირიანი) ზმნებიდან მომდინარეობენ: მათ ისევე შეეწყობათ სუბიექტი, როგორც სხვა ზმნებს.

2. სუბიექტის დაკარგვა შორეულ წარსულს არ უნდა ეკუთვნოდეს.

თუ ეს დაღასტურდა, მაშინ უარსაყოფი იქნება დებულება: ძველესია ერთშემადგენლიანი წინადადება, რომლის დანაწევრებამ მოგვცა ორშემადგენლიანი წინადადებაო.

§ 41. განზოგადებულპირიანი წინადადება. განზოგადებული მოქმედება „შეიძლება ეხებოდეს სუბიექტურ პირსაც და ობიექტურსაც“[19]. ქვემდებარე ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ არაა წარმოდგენილი, რადგანაც მოქმედების ჩამდენი განზოგადებულია, კონკრეტული მოქმედი პირი არ ჩანს.

განზოგადებული მოქმედების აღმნიშვნელი წინადადება სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია, როგორც ახლო მღგომი განუსაზღვრელპირიან წინადადებასთან.

ა. პეშკოვსკი აღნიშნავდა: „Говорят“ და Тише едешь дальше будешь“ ტიპის წინადადებებს მე ვუახლოებ პირიან წინადადებას, ვუწოდებ რა პირველს განუსაზღვრელპირიანს, მეორეს — განზოგადებულპირიანს. მეორე ტიპში ქვემდებარის გამოტოვება არაა არსებითი, რადგანაც ასეთი წინადადებები გვხვდება ქვემდებარითაც (Не выходят, хоть ты что хочешь, делай)! მაგრამ არსებითია მხოლოდ განზოგადებული მნიშვნელობა პირის ფორმისა... Говорят მნიშვნელობით არის სახეცვლილება მესამე პირისა, Тише едешь, дальше будешь — სახეცვლილება მეორე პირისა, Снетает — სახეცვლილება მესამე პირისა“[20].

მოქმედების განზოგადება შეიძლება გამოიხატოს ყველა პირის ფორმით, მაგრამ ჩვეულებრივ გამოყენებულია მეორე და მესამე პირის ფორმები. რაც შეეხება პირველ პირს, ძველ ქართულში ამ მნიშვნელობით იშვიათად დაიძებნება შესაფერისი მაგალითები:

ამენ, ამენ გეტყჳ შენ: რომელი ვიცით, ვიტყჳთ, და რომელი ვიხილეთ, ვწამებთ: DE ი 3,11.

ამ ფუნქციით მეორე პირის გამოყენება ჩვეულებრივია:

რა ჟამს იქმოდი ქველის საქმესა შენსა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა: მ 6,2.

---

[19] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, გვ. 91.

[20] А. Пешковский, Синтаксис в школе, გვ. 102.

ხოლო შენ რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავსა შენსა და დაიბანე პირი შენი: DE მ 6,17, შდრ. C: ხოლო რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავსა შენსა და პირი შენი დაიბანე

რაჲსა ხედავ წუელსა ძმისა შენისა თუალსა და თუალსა შინა შენსა დირესა არა ხედავ? ხანმ. მ 7,3 და სხვა.

ხშირია მესამე პირის გამოყენებაც, ოღონდ უპირატესად კავშირებითი მეორისა (მყოფადის მნიშვნელობით), ხოლმეობითისა და ბრძანებითის ფორმებით:

არავინ საღგმელი უმურკნელი ახალი დაადგის სამოსელსა ძუელსა: DE მრ 2,21

რომელმან ბორტი თქუას მამისათჳს, გინა დედისათჳს, სიკუდილით მოკუედინ: გამ. 21,16 და სხვა.

მოქმედების განზოგადება შეიძლება მოხდეს ობიექტური პირების, ძირითადად II პირის, მიხედვითაც, ფორმად გამოყენებულია კავშირებითი კილო:

გცეს თუ ვინმე მარჯუენესა ღაწუსა შენსა, მიუპყარ შენი ერთიცა: C მ 5,39.

§ 42. განუსაზღვრელპირიანი (ქვემდებარეგაუჩინარებული) წინადადება. გაუჩინარებულქვემდებარიანი წინადადება იმავე ტიპისაა, რა ტიპსაც ეკუთვნის განზოგადებულქვემდებარიანი წინადადება. მაგრამ განსხვავდება მისგან იმით, რომ:

1. მოქმედად შეიძლება იგულისხმებოდეს ვილაც პირი, რომელიც გაუჩინარებულია.

2. შემასმენელი წარმოდგენილია მხოლოდ მრაველობითი რიცხვის მესამე პირის ფორმით.

მაგალითები:

მოვიდა იოვანე ნათლის-მცემელი, არცა ჭამდა, არცა სუმიდა და იტყოდეს, ეითარმედ: ეშმაკეულ არს: DE მ 11.18

მოვიდა ძჱ კაცისაჲ, ჭამს და სუმს, და იტყჳან: აჰა, კაცი მჭამელი და მსუმელი ღჳნისაჲ: DE მ 11.19

და ეითარ დამწუხრდა... მოართუმიდეს მას ყოველსა სნეულებსა და ეშმაკეულებსა: C მრ 1,32. შდრ. DE: ეითარ შემწუხრებოდა და: მზჱ დაჰვიდოდა, მოჰყვანდეს მისა ყოველნი სნეულნი და ეშმაკეულნი.

აღიღეს უფალი: ხანმ. ი 20,2

ხოლო ნათლის-ცემასა მისსა უწოდეს სახელი ეესტათი: ისტ. ჭრ. 160,24.

შვეს ძჱ და უწოდიან სახელი მისი იესუ: მ 1.21

არცა შთაასხიან ღჳნოჲ ახალი თხიერთა ძუელთა: მ 9,17.

აქ რთული წინადადებებიცაა წარმოდგენილი. შემასმენლებად ერთშემადგენლიანი წინადადებებისათვის გვაქვს: ი ტ ყ ვ ა ნ, ი ტ ყ ო დ ე ს, მ ო ა რ თ უ მ ი დ ე ს, უ წ ო დ ე ს, უ წ ო დ ი ა ნ, შ თ ა ს ხ ი ა ნ..., რომელთა ქვემდებარეები გაუჩინარებულია. იეარაუდება მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ქვემდებარეები, მაგრამ აღდგენა პირობითად თუ შეიძლება.

ამგვარად, ძველი ქართულის მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ ერთშემადგენლიანი წინადადებები მომდინარეობენ ორშემადგენლიანი წინადადებებისაგან. ისინი წარმოადგენენ ორშემადგენლიან წინადადებათა დეფექტურ კონსტრუქციას, რომელიც მიიღება ქვემდებარის დაკარგვით, გაუჩინარებით ან განზოგადებით. ამისდა მიხედვით ერთშემადგენლიანი წინადადება კავშირში იმყოფება არასრულ წინადადებასთან.

თავი მეხუთე

წინადადების მთავარი წევრები

1. ქვემდებარე

§ 43. ქვემდებარის გაგება. ქვემდებარე ერთ-ერთი მთავარი წევრია წინადადებისა. იგი ქართულში აღნიშნავს მოქმედ საგანს, ან ისეთ საგანს, რომელსაც მოქმედება ან მდგომარეობა მიეწერება და შემასმენელთან იმყოფება რთულ სინტაქსურ ურთიერთობაში: მართავს შემასმენელს პირში და რიცხვში, გარკვეულ შემთხვევაში კი თვითონაც იმართვის შემასმენლის მიერ ბრუნვაში[1].

ადრინდელ ქართულ გრამატიკებში ქვემდებარედ მიჩნეულია „საგანი, რომელზედაც ვსჯით ანუ მოვუთხრობთ“ (თ. ჟორდანია), „საგანი, რომლის შესახებაც გამოთქმულია აზრი“ (მ. ჯანაშვილი) და ა. შ. ამგვარი გაგება ლოგიცისტურია, სადაც „წინადადების განსაზღვრისას დასაყრდენია აზრი (ანუ მსჯელობა), ქვემდებარე-შემასმენლის განსაზღვრისას კი ამ აზრის (მსჯელობის) ნაწილები“[2].

ქვემდებარის გაგების საკითხში აზრთა სხვადასხვაობაა, რომელსაც თავისი საფუძველი აქვს[3].

ქვემდებარე, უპირველეს ყოვლისა, სინტაქსური კატეგორიაა. შემასმენელთან დამოკიდებულების მიხედვით მას მკაცრად განსა-

---

[1] თავის დროზე ა. პოტებნია აღნიშნავდა: „ქვემდებარისა“ და „შემასმენლის“ ცნებები მიმართებითია, ე. ი. ვარაუდობენ ერთმანეთს: შემასმენელში იგულისხმება მოქმედება, რომელსაც აწარმოებს მოქმედი, ქვემდებარეში — განსაზღვრული, ცნობილი მოქმედი, როგორც მოქმედების მწარმოებელი. А. П о т е б н я. Из записок по русской грамматике, III, 1899. გვ. 403.

[2] არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა..., გვ. 7.

[3] დიდი ხნის წინ დაწყებული დავა ნაწილობრივ ახლაც გრძელდება გრამატიკული და ლოგიკური კატეგორიების ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით: მსჯელობის ელემენტები—სუბიექტი და პრედიკატი — ხშირად პირდაპირ ასახვას პოულობენ წინადადებაში ქვემდებარისა და შემასმენლის სახით, რაც ადრიდანვე იქცა გაუგებრობის წყაროდ.

ზღვრული ფორმა აქვს და გამოყენებულია არსებითი სახელის მნიშვნელობით.

§44. ქვემდებარე გარდაუვალ შემასმენელთან. შესიტყვების თავისებურების განმსაზღვრელია შემასმენლად გამოყენებული ზმნის გარდამავლობა. გარდამავალი ერთპირიანი ზმნის (შემასმენლის) ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში დასმული სახელია და იგი გაბატონებული სიტყვაა წინადადებაში. მარტივია წინადადების მექანიზმიც: ქვემდებარე მართავს შემასმენელს პირში, მაგრამ შემასმენელი ვერ მართავს ქვემდებარეს ბრუნვაში. ასეთივე ურთიერთობაა გარდაუვალ ორპირიან ზმნა-შემასმენელსა და ქვემდებარეს შორისაც.

მაგალითები:

შეკრბების ერი მას ზედა: DE მრ 9.25
განჭდა ჰამბავი ესე ყოველსა მას ჭეყანასა: ჰაემ. მ 9.26
მაშინ შევიდა ერთიცა იგი მოწაფჱ: ხანმ. ი 20,8
გამოეცხადა მას ანგელოზი უფლისაჲ: C ლ 1,11
ესე ნეტარი მას ადგილსა დაემკჳდრა: საბა ას. 5,10
ბათუელს ესუა რებეკა: დაბ. 22,23.

§ 45. ქვემდებარე გარდამავალ შემასმენელთან. გარდამავალ ზმნასთან (შემასმენელთან) ქვემდებარე სახელობითშია ან მოთხრობითში. ბრუნვაცვალებადია პირდაპირი დამატებაც. სალიტერატურო ქართულში მოთხრობითის კონსტრუქცია მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან გვხვდება დრო-კილოთა II სერიაში.

მაგალითები:

I სერია

კაცი იყი მრავალთა სასწაულთა ჰყოფს: C ი 11,47
ეშმაკი ეშმაკთა განასხამს: DE მ 12.26
ჰკითხვიდა მათ მღდელთმოძღუარი იგი: მოც. 3.27
იგი თავადი ასწავებდა შესაკრებელთა მათთა: ლ 4,15...

II სერია

ჭარმან ჭეელმომან აღმოიღო მკალი: გამ. 10,13
მეპურემან მონასტრისამან ჟამსა ზამთრისასა განჰკიდა სამოსელი:
კიმ. II, 143,2
სიბრძნემან იწყნა თავისა თჳსისა სახლ: ხანმ. ტ. 272.
დაიპყრა ჰრომთა მეფობაჲ კაცმან ვინმე: საბა ას. 14,9
მაშინ ყოველი ერი განკჳრვებისა ზარმან აღავსო: ხანძთ. მწ$_{15}$
აწ შემიყუაროს მე ქმარმან ჩემმან: დაბ. 29,32.

მისცეს ძმამან ძმაჲ სიკუდიდ: С მრ 13,12
წყალნ იგი მშჳლდმან რვალისამან: იობ. 20,24
უფალმან კეთილი მოუკლებელი მიეცინ ყოველთავე: ხანძთ. კწ$_{40}$
მთესვარმან მან სიტყუაჲ დასთესის: С მრ 4.14...

§ 40. ქვემდებარის ბრუნვები. ქვემდებარე სალიტერატურო ქართულში ბრუნვაუცვლელია გარდაუვალ შემასმენელთან, ბრუნვაცვალებადია გარდამავალთან. ქართული ენის დიალექტებში ამ მხრივ შეინიშნება უნიფიკაციისაკენ ლტოლვა: მოთხრობითის კონსტრუქცია გარდაუვალი ზმნის მეორე სერიის ფორმებთანაც იჯდებს ფეხს[4].

საინტერესოა ჭართველურ ენათაგან ქართულისა და ჭანურის შედარება. სალიტერატურო ქართულ ენაში მოთხრობითის კონსტრუქცია გარდამავალი ზმნის მეორე სერიის ფორმებთან გვაქვს მეგრულში მოთხრობითის კონსტრუქცია საერთოდ მეორე სერიის ზმნებისათვისაა დამახასიათებელი: მოთხრობითში დაისმის ქვემდებარე გარდაუვალი დინამიკური ზმნის (შემასმენლის) II სერიის ფორმებთანაც. ჭანურში მოთხრობითის კონსტრუქცია გვაქვს სამსავე სერიაში გარდამავალ ზმნასთან, სახელობითისა — გარდაუვალთან[5]. მეგრულისებური მდგომარეობა გვაქვს გურულში, ქვემოიმერულში. ზოგ შემთხვევაში სხვა კილოებშიც. ჭანურისებური მდგომარეობა შენიშნულია აჭარის ორი ერთმანეთის მოსაზღვრე სოფლების — კირნათისა და მარადიდის (ორივე სოფელი ბათუმის რაიონშია) მეტყველებაში[6].

---

[4] ქართულ კილოებში გარდაუვალ ზმნებთან (შემასმენლებთან) ქვემდებარის მოთხრობით ბრუნვაში დასმის მიზეზი ახსნილი აქვს ვ. თოფურიას: სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით: „ჩვენი მეცნიერება", 1923, № 1, გვ. 113—121. მსგავსი მოვლენის ერთეული შემთხვევა შემჩნეულია ძველ ქართულშიც, მაგ.: მამამან მათმან ქსენეფორე წარეიდა და განყიდა ყოველივე მონაგები თჳსი: Sin 52, გვ. 98[a].

[5] არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 201; მისივე: ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბილისი, 1948, გვ. 1—2.

[6] მ. ცინცაძე, კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი: რუსთაველის სახელობის ბათუმის პედინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, I, ბათუმი, 1954, გვ. 15—17; მისივე: აჭარულის მიმართება ქართული ენის სხვა დიალექტებთან: თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა VIII სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, 1957, გვ. 76.

§ 47. სხვადასხვა მეტყველების ნაწილი ქვემდებარედ. ქვემდებარედ შეიძლება იყოს არსებითი სახელი (მასდარითურთ), ზედსართავი სახელი (მიმღეობითურთ), რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელი, ე. ი ბრუნვისა და რიცხვის კატეგორიის მქონე ყველა სიტყვა, რომელთაც წინადადებაში შეუძლიათ მიიღონ არსებითი სახელის გაგება.

§ 48. არსებითი სახელი ქვემდებარედ. ქვემდებარედ უპირატესად არსებითი სახელია გამოყენებული. მაგრამ ძველ ქართულში ყველა არსებითი სახელი ერთნაირად არ იცვლება, მაგალითად, საკუთარი და საზოგადო სახელები რომ შევადაროთ ერთმანეთს, პირველი, როგორც წესი, არ ირთავს ბრუნვის ნიშნებს სახელობითსა და მოთხრობით ბრუნვებში მაშინ, როდესაც საზოგადო სახელები ბრუნვის ნიშნებს ირთავენ. შემასმენელთან ურთიერთობისას თავისებურებას ამჟღავნებს კრებითი სახელიც.

ა) საზოგადო არსებითი სახელი ქვემდებარედ

საზოგადო არსებითი სახელები აშკარად ასახავენ შემასმენელთან ურთიერთობისას შექმნილ ვითარებას: შემასმენლის მიერ მართვით გამოწვეული ბრუნვის მიხედვით ცვალებადობა გამოხატულია საზოგადო სახელების ფორმებში[7].

მაგალითები:

ზღუად იგი ქარისაგან დიდისა აღიძრეოდა: DE ი 6,18
შემოვიდა კაცი ესე სახლსა ჩემსა: მსჯ. 19,23
შეეიდა ქალი იგი მწრაფლ მეფისა: DE მრ 6,25
მეგობარი მოვიდა ჩემდა გზით: ლ 11,6
კაცმან მან იუფლა იგი თავსა თჳსსა ზედა: მამ. სწ. 47,8.

ბ) საკუთარი სახელი ქვემდებარედ

ძველ ქართულში ადამიანის საკუთარ სახელს შემორჩენილი აქვს უძველესი, ე. წ. ინდოფინიტური კონსტრუქცია: იგი ბრუნვის

---

[7] იშვიათად დადასტურებულია ისეთი შემთხვევები, როდესაც საზოგადო სახელებთან ქვემდებარედ ან პირმიმართ დამატებად გაუფორმებელი ფუძეა გამოყენებული, მაგალითად: „მოვალს დედაკაც ერთ სამარიადთ ვსებად წყლისა“: ს ი 4,7; „სიბრძნემან აშენა თავისა თჳსისა სახლ“: ხანმ. უნ. მ., 11, 372; „ყოს უფალმან სასწაულ კეთილ“: ხანძთ. დთ..., მაგრამ იგი ძველი ქართულისათვის უკვე განვლილი საფეხურია. დაწვრილებით ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 637—642.

ნიშანს არ ირთავს სახელობითსა და მოთხრობით ბრუნვებში და მასზე ვმსჯელობთ შემასმენელთან შესიტყვებისა და საერთოდ სა-ზოგადო სახელის ანალოგიით[8]. საკუთარ სახელთა ეს თავისებურე-ბა ასახავს ქართული ენის განვითარების უფრო ადრინდელ პერი-ოდს, როდესაც სუბიექტად თუ ობიექტად გვქონდა გაუფორმებე-ლი ფუძე. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, „ეს ა ოდენფუძიანი კონსტრუქცია, გაცილებით უფრო ძველი, ვიდემ ნი-მინატიური და ერგატიული კონსტრუქციები... და სინტაქსურ კონ-სტრუქციათა ისტორიის თვალსაზრისით უაღრესად ფასეული"[9].

ინდეფინიტურ კონსტრუქციას თავისი ძალა შემოჰყვა ძველ ქართულშიც. ამით უნდა აიხსნას ასეთი ფორმები:

ხოლო მარიამ დგა გარეშე საფლავსა თანა: ხანგ. ი 20,11
მოიქცა აბრაჰამ მონათა თჳსთა თანა: დაბ. 22,19
მოვიდა ესაე მაშურალი ველით: იქვე, 25,29
დაეშენა ისაკ გერარს: იქვე, 26,6.

არც ბოლოხმოვნიანი ფუძე ირთავდა ბრუნვის ნიშანს. სა-ხელობითში მან გაუფორმებელი ფუძე ბოლომდე შემოინახა:

იესუ მიხუალა მათ: ხანგ. ლ 24,15
პავლე გამოვიდა შორის მათსა: მოც. 17,33
დადგა პეტრე ათერთმეტთა მათ თანა: იქვე, 2,14, შდრ.
წავიდა პეტრე ავლაბრის ბაკებისაკენ (ილია)...

მოთხრობითში დასმული საკუთარი სახელიც არ ირთავდა ბრუნ-ვის ნიშანს. იგი სახელობითს უპირისპირდებოდა იმდენად, რამდენა-დაც შესაბამისი ფუნქციით საზოგადო სახელები ამის საშუალებას იძლეოდნენ:

მარიამ მოიღო ლიტრაჲ ერთი ნელსაცხებელი: ი 12,3
იოანე აღხიპყრა მარჯუენჱ თჳსი: ხანგ. მრაქალთ. 130,5
წარავლინა მოსე ჰაბუკები იგი: გამ. 24,5
ხრქუა მათ იესუ: ხანგ. მ 28,10.

ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების აღმნიშველი ორი ვა-უფორმებელი ფუძე ერთმანეთს ხვდება მაშინ, როდესაც შემასმე-ნელთან თავს იყრის საკუთარ სახელთა მოთხრობითი და სახელო-ბითი ბრუნვები. წინადადებაში მათი ფუნქციები ცვლილება ადვი-

---

[8] საკუთარ სახელთა ბრუნებას ძველ ქართულში ვრცელი შრომა მიუძღვ-ნა სტ. ჩხენკელმა. საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXV, 1942.

[9] არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, გვ. 3.

ლის მიხედვით: პირველი ადგილი უკავია ქვემდებარეს, მომდევნო— დამატებას. ამიტომ წინადადებაში „ხოლო ჰ ე რ ო დ ე მაშინ შეიპყრა ი ო ვ ა ნ ე“ — სუბიექტია „ჰეროდე“, პირდაპირი ობიექტია „იოვანე“[10].

ასეთივეა:

ფ ი ლ ი პ ე იხილა ი ო ვ ა ნ ე: ვერს. 6,10
პ ა ვ ლ ე გამოირჩია შ ი ლ ა: მოც. 15,40
კ ა ე ნ მოკლა ა ბ ე ლ: მამ. სწ. 259,31
ბ ა რ ნ ა ბ ა თანა წარიყვანა მ ა რ კ ო ს: მოც. 15,39
ე ს რ ო მ შვა ა რ ა მ: რეთ. 4,19 და ა. შ.

აქ სიტყვათა რიგი განსაზღვრავს მათს ფუნქციას, რაც სთანადო აფიქსის უქონლობის შემთხვევაში დამახასიათებელია ენებისათვის. ამ მხრივ ენათა შორის გამოყოფენ იმ ენებს, რომელთაც აქვთ სიტყვათა მტკიცე რიგი, თუმცა აბსოლუტურად თავისუფალი რიგი ისევე არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება გვქონდეს აბსოლუტურად შეზღუდული რიგი. თუ ისტორიულ ასპექტში გავიხილავთ საკითხს, ამჟამად სიტყვათა თავისუფალი რიგის მქონე ზოგი ენა ისტორიულად აღმოჩნდება მტკიცე რიგის მქონე ენად[11]. ეს დამოკიდებულია იმაზე, ენას აქვს თუ არა აფიქსი: იმ შემთხვევაში, როდესაც სიტყვათა ურთიერთობის გამოსახატავად ენას აფიქსები არ გააჩნია, აფიქსის ნაგვირობას ფუძის ფლექსიის, განმეორების, მახვილისა და ინტონაციის ცვლის გვერდით ეწევა სიტყვათა ადგილმდებარეობა[12].

მაგრამ, როგორც კი გაუჩნდება ბრუნვის ნიშანი ერთ რომელიმეს, ირკვევა მეორე სახელის ფუნქციაც, მაგალითად:

აბრაჰამ შვა ი ს ა კ: დაბ. 25,19
წარგზავნა ისაკ ი ა კ ო ბ: იქვე, 28.5
იხილა ადამ ე ვ ა მ ა ნ: ლტ. ქრ. 6,11 და ა. შ.

შემასმენელთან ქვემდებარისა და დამატების ურთიერთობის მიხედვით გაირჩევა ფუნქციაც. მაგალითად, „აღდგა მ ა რ ი ა მ ამათ დღეთა შინა“ (ლ 1, 39). აქ მ ა რ ი ა მ სახელობითში და-

---

[10] ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენა, გვ. 312.

[11] Ж. В а н д р и е с, Язык. М., 1937, გვ. 137 — 138; Э. С е п и р, Язык, М.—Л., 1934, გვ. 49—50; А. М е й е. Введение в сравнительное изучение индоевропейских языков. 1938. გვ. 369.

[12] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 254—255.

სმული ქვემდებარეა, შდრ. „მარიამ მოიღო ლიტრაჲ ერთი ნელსაცხებელი“: (ი 12,3), სადაც მარიამ მოთხრობითში დასმული ქვემდებარეა, მაგრამ როცა გვაქვს „პოვეს მარიამ“ (DE ლ 2, 16) — მარიამ სახელობითში დასმული დამატებაა.

ძველ ქართულშივე შეინიშნება ქვემდებარე-დამატების სტაბილური რიგის დარღვევის იშვიათი შემთხვევა: მაგალითად, ოთხთავის ერთ რედაქციაში გვაქვს: „მაშინ მიიყვანა პილატე იესუ“: DE ი 19,1, მეორეში — „მიიყვანა იესუ პილატე“: C. ორივე შემთხვევაში ქვემდებარეა პილატე[13].

იხდეფინიტური კონსტრუქცია, ოდესღაც მყარი და უძველესი კონსტრუქცია, ძველ ქართულში საკუთარ სახელებთანაც კი უკვე განიცდის რყევას: მას საზოგადო სახელისებურად ცვლის, ერთი მხრივ, ნომინატიური კონსტრუქცია და. მეორე მხრივ, ერგატიული კონსტრუქცია. ენის განვითარების კანონზომიერების შედეგად შემდგომში საკუთარი სახელი გაუთანაბრდა საზოგადო სახელს. ამის გამო თავი იჩინა ახალმა მისწრაფებებმა და საკუთარი სახელები საზოგადო სახელების მსგავსად ერთავენ სახელობითისა და მოთხრობითი ბრუნვების ნიშნებს[14].

მაგალითად:

ხოლო მარიამი ყდა მუნე სახლსა შინა: C ი 11,20
აბრაამი მოკუდა: C ი 8.52, შდრ. DE: აბრაჰამ მოკუდა
და ა. შ.

ბოლოხმოვნიან საკუთარ სახელებთანაც არის ორიოდე შემთხვევა სახელობითი ბრუნვის ნიშნის დართვისა:

ბარაბაჲ იგი იყო ავაზაკ: C ი 18,40;
ჩომლისაჲ სახელი მართაჲ: DE ლ 10.38 და სხვ.[15]

მაგრამ ასეთი ფორმები, თუნდაც უფრო ხშირიც იყოს იგი, არაა დამახასიათებელი არც ძველი და არც ახალი ქართულისათვის.

ძველსავე ქართულში იშვიათად ბრუნვის ნიშანი მოთხრობითში დასმულ საკუთარ სახელსაც აქვს დართული საზოგადო სახელი მსგავსად.

---

[13] შდრ. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 369; სტ. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში, გვ. 154.

[14] ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, გვ. 313; არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, გვ. 115; სტ. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება... გვ. 166.

[15] სტ. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება..., გვ. 158.

მაგალითად:

დ ა ლ ი ლ მ ა ნ სამსონს თავი დაჰყჭნა: სინ. მრავ. 213,17
ეგე ა ბ რ ა ა მ მ ა ნ არა ქმნა: C и 8,40, შდრ. DE: ესე ა ბ რ ა ჰ ა მ არა ქმნა
არცაღა ს ო ლ ო მ ო ნ მ ა ნ ყოველსა მას დიდებასა მისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი: DE მ 6.29, შდრ. C: არცაღა ს ო ლ ო მ ო ნ... შეიმოსა
ს ო ლ ო მ ო ნ მ ა ნ ც ა რაჲმე უშჱნა მას სახლი: მოც. Ⴚ 7,47, შდრ. Ⴇ: ხოლო ს ო ლ ო მ ო ნ ც ა უშენა მას სახლი
პ ა ვ ლ ე მ ა ნ არწმუნა... ერი მრავალი: მოც. Ⴚ 19.26, შდრ. Ⴇ: პ ა ვ ლ ე არწმუნა... ერი მრავალი და სხვ.

ფუძის სახით წარმოდგენილ საკუთარ სახელთან განსაზღვრება გვხვდება იმავე ბრუნვაში, რა ბრუნვის ფუნქციასაც ატარებს ასეთი საზღვრული.

მაგალითად:

სიხარულით ხიხარებს ნ ე ტ ა რ ი დ ა ვ ი თ: ხანმ. მრავალთ. 133
აჰა მ ო ნ ა ჲ შ ე ნ ი ი ა კ ო ბ მოვალს შემდგომად ჩუენსა: დაბ. 32,20
ნ ე ტ ა რ მ ა ნ ბ ა ბ ი ლ ა აღიღო ქმაჲ თჳსი: კიმ. I,44,10
ნ ე ტ ა რ მ ა ნ მ ა მ ა მ ა ნ გ რ ი გ ო ლ პირველად აღაშჱნა ძელისა ეკლესიაჲ: ხანძთ. $ზ_{47}$.

გ) კ რ ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე დ

კრებითი არსებითი სახელები შემასმენელთან ურთიერთობისას ამჟღავნებენ თავისებურებას: ასეთი ქვემდებარე შინაარსის მიხედვით იძენს მრავლობითის გაგებას და რიგ შემთხვევაში შემასმენელს შეიწყობს მრავლობით რიცხვში[16]. უფრო ხშირად შემასმენელი მრავლობით რიცხვში გვხვდება მაშინ, როდესაც წინადადება შერწყმულია შემასმენელთა მიხედვით: უკანასკნელი შემასმენელი მრავლობით რიცხვში შეეწყობა ამგვარ ქვემდებარეს.

მაგალითად:

ღ გ ა ე რ ი იგი შორს: გამ. 20,21
მ ი ჰ დ ე ვ დ ა მას ე რ ი მრავალი: ჰაგ. მ 12.15
მ ი ვ ი დ ო დ ა წმიდისა მის თანა ა მ ბ ო ხ ი მრავალი: შუშ. IX,19.

მაგრამ:

მეყსეულად ყოველმან ე რ მ ა ნ ი ხ ი ლ ე ს იგი: DE შრ 9,15
ე რ მ ა ნ მ ა ნ ი ხ ი ლ ე ს: Sin 52, გე. 47 b
მ ი უ გ ე ს ე რ მ ა ნ მან: C и 7,20
ყოველმან კ რ ე ბ უ ლ მ ა ნ ძეთა ისრაჱლისათამან უმეცრებაჲ ჴ მ ნ ე ს: ლევიტ. 4,13.

---

[16] ასეთ მოვლენას უწოდებენ ს ი ლ ე ფ ს ს. სახელწოდება მომდინარეობს ბერძნულიდან (σύλληψις—შეერთება, კავშირი).

ხოლო ერმან მან აგრძნა და მისდევდეს მას: DE ღ 9.11
გამოიკადა ყოველმან ერმან საყურები ოქროჲსაჲ უერთა-
განნ მათთა და მოართუეს აჰრონს: გამ. 32.3.

კრებითი სახელის მნიშვნელობითაა „ქალაქი“ ამგვარ წინადა-დებაში:

ყოველი იგი ქალაქი განვიდოდეს მიგებებად მეფისა: ისტ.
ქრ. 275,26 (შდრ. ყოველი იგი ქალაქი გამოვიდეს შემ-
თხუევად იესუჲსა: E მ 8,34, მაგრამ: ყოველი იგი ქალაქი
გამოვიდა შემთხუევად იესუჲსა: D).

ამით უნდა აიხსნას შემასმენლის მრავლობითი რიცხვიც. ასეთივეა:

ღაღადყეს ყოველმან სიმრავლემან და იტყოდეს:
DE ღ 23,18; ადვილად ისმინონ ჴმაჲ შენი სიმრავლემან
ამან ერისამან: სინ. მრაკ. 56,4; არა მიუტევნეთ კაცად
კაცადმან მოყუასსა თჳსსა ყოველითა გულითა თქუენითა: DE
მ 18,35.

შდრ. გუდამაყრული: ახლა ნეფიონი შამაულიან: ქართ. დიალ. 86, 5.

§ 49. მასდარი ქვემდებარედ. არსებითი სახელის ნიშნებს იღებს ქვემდებარედ გამოყენებული მასდარი. შემასმენელთან ურთიერთობისას იგი ამჟღავნებს საზოგადო არსებითი სახელის თვისებებს. მაგალითად:

იყო სიხარული დიდი: მოც. 8.8.
მოვედინ სუფევაჲ შენი: ღ 11.2
ქადაგებამან მისმან დაიპყრა ყოველი სოფელი: მრავალთ. 291,29
დაფისა ცემამან განაღჭნის მჴედარნი მეფისანი: მამ. სწ. 128.7.

§ 50. ზედსართავი სახელი ქვემდებარედ. ქვემდებარედ გამოყენებულ ზედსართავ სახელსაც წინადადებაში არსებითი სახელის გაგება აქვს. იგი ქვემდებარედ გვხვდება იმ შემთხვევაში. როდესაც სათანადო არსებითი სახელი დაკარგულია და მისი ფუნქცია შეთვისებული აქვს გაუჩინარებული არსებითი სახელის ატრიბუტივს. ამ შემთხვევაში ზედსართავი სახელი იგუებს ნაწევარსაც. რომელიც მას მიჰკედლებია არსებითი სახელის დაკარგვის შემდეგ[17].

ახალ გაგებასთან ერთად, რომელიც ასეთმა ზედსართავებმა მიიღეს წინადადებაში არსებითი სახელის მნიშვნელობით ხმარებისას, მიჩქმალულია ზედსართავი სახელის თვისებები. მაგალითად. „წმიდაჲ“ ზედსართავი სახელია. იგი თანაბრად განსაზღვრავს სხვა-

[17] ნაწევარი ვრცლად მიმოხილულია ივ. იმნაიშვილის შრომაში— ნაწევარი ძველ ქართულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 61, 1955, გვ. 249—276.

დასხვა ტიპის არსებით სახელს (წმიდაჲ ადგილი, წმიდაჲ სჯული. წმიდაჲ სული...). მაგრამ, თუ ასეთი სიტყვა ქვემდებარედ (ან.პირმიმართ დამატებად) იქნება წინადადებაში, მიიღებს არსებითი სახელის შინაარსს.

მაგალითად:

მოიღო წმიდამან მან ჭელითა თჳსითა შეშაჲ: ზარზმ. 163,16
წარუპყრა ნეტარმან მან ჭედი თჳსი მახჳლსა: წარტყ. კდ27
ჰრქუა მას სნეულმან: С и 5,7
ჰრქუა უმრწემესმან მან მამასა თჳსსა: DE ლ 15,12 და სხვა.

ზედსართავი სახელისებური მდგომარეობაა მიმღეობასთანაც, რომელიც წინადადებაში იმავე როლის შემსრულებელია, რასაც ასრულებს ზედსართავი სახელი.

მაგალითად:

გამოვიდა მთესველი თესვად თესლისა თჳსისა: ლ 8,5
მთესველმან მან სიტყუაჲ დასთესის: С მრ 4,14
თქუა მჯდომარემან მან საყდარსა ზედა: გამოცხ. 21,5.

ქართულში არსებით სახელსა და ზედსართავ სახელს შორის არაა განსხვავება ბუნებრივების მიხედვით. რომ შევადაროთ ერთმანეთს სიტყვა ნათელი წინადადებებში: „მთოვარემან არა ვამოსცეს ნათელი თჳსი“ (მ 24, 29) და „ტფებოდა ნათელსა ცეცხლსა წინაშე“ (DE მრ 14, 54), აღმოჩნდება, რომ პირველ წინადადებაში მისი ლექსიკური მნიშვნელობა საგანზე მიუთითებს. მეორეში — საგნის თვისებაზე („ნათელი ცეცხლი“...). ამის მიხედვით, პირველ წინადადებაში მას მივიჩნევთ არსებით სახელად, მეორეში — ზედსართავ სახელად.

ამავე დროს „სიმართლე“ და „მართალი“ (მაგ. „ჯერარს ჩემდა აღსრულებად ყოველი სიმართლე“... DE მ 3,15... „მოიწიოს თქუენ ზედა ყოველი სისხლი მართალი...“ DE მ 23.35) ერთმანეთს ვერ დაუპირისპირდებიან თვისების მიხედვით. მაგრამ პირველი არსებითი სახელია, მეორე — ზედსართავი სახელი.

§ 51. რიცხვითი სახელი ქვემდებარედ. ქვემდებარედ გვაქვს რიცხვითი სახელიც. მას წინადადებაში არსებითი სახელის გაგება აქვს. მაგრამ ფუძის მნიშვნელობაში ჩაქსოვილი სიმრავლის ცნება სათანადო ნიშანსაც ავლენს და გამოხატულებას პოულობს შემასმენელთან ურთიერთობაშიც. ასეა ეს განსაზღვრულ რიცხვით სახე-

ლებთანაც (ორი, სამი, ოთხი, ხუთი..., ათი, ოცი, ორმეოცი...) და განუსაზღვრელ რიცხვით სახელებთანაც (მრავალნი...).

მაგალითად:

შთავიდეს ორნიე ზოგად ვენაკსა მას შჱნებულსა: ხანძთ. ოე3
რბიოდეს ორნიე ზოგად: ხანმ. ი 20,4
მაშინ ორთაე აღიმაღლეს კმაჲ ტირილითა დიდითა: წარტყ. მ3,7
თქუეს ცხრათა მათ თავთა შინა: კიმ. 1,71.32

შდრ. მ რ ა ვ ა ლ ნ ი:

მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა: DE მ 24.5
მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა: მ 7,22 და სხვ.

რ ი გ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი ს ფუძეში მრავლობითი რიცხვის ცნება არაა ჩაქსოვილი, ამიტომ იგი შემასმენელთან ურთიერთობისას არ ამჟღავნებს მრავლობითის გაგებას.

მაგალითად:

მოვიდა მეორჱ იგი: ლ 19,18
პირველმან მან შეირთო ცოლი: C მრ 12,20
მეხუთემან დასთხია საყდარსა მას ზედა...: გამოცხ. 16,10 და ა. შ.

რაოდენობითი რიცხვითი სახელით განსაზღვრული ქვემდებარე მრავლობითი რიცხვის შინაარსით შეეწყობა შემასმენელს და უპირატესად შემასმენელიც მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი. ქვემდებარის ცნებაში აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სემასიოლოგიურ მხარეს[18]: რაკი რაოდენობითი რიცხვითი სახელით განსაზღვრული სახელი შინაარსის მიხედვით მრავალ საგანს აღნიშნავს, გაგებაც მრავლობითისა მიუღია.

მაგალითად:

და ამა ორ კაც ზედა მოხადგეს მათ სამოსლითა ელვარჱთა: ხანმ. ლ 24,4, შდრ. ამა ესერა ორ კაც ზედა მოადგეს მათ სამოსლითა ელვარითა: DE: ორ კაც გამოჩნდეს სამოსლითა ბრწყინვალითა: C; ამა-ესერა ორ კაც წარმოუდგეს მათ სამოსლითა სპეტაკითა: მოც. 1,10.

შჳდ ძმა იყუნეს: C მრ 12,20. შდრ. DE: ან შჳდნი ძმანი იყუნეს ჩუენ შორის...

მაგრამ:

რომლისაგან განსრულ იყო შჳდი ეშმაკი: DE მრ 16.9, შდრ. რომლისაგან განსრულ იყუნეს შჳდნი ეშმაკნი: DE ლ 8,2.

რიცხვითსახელიანი ქვემდებარეა მთქმელის წარმოდგენაში ასეთ წინადადებაში: „თ უ ა ლ გასხენ და არა ჰხედავთ, უ ურ

---

[18] ამ ფაქტზე ყურადღება მიქცეული აქვს ალ. გ ვ ე ნ ც ა ძ ე ს: **Имена числительные в древнегрузинском языке**, ავტორეფერატი, თბილისი, 1951, გვ 13.

გასხენ და არა გესმის" (DE მრ 8,18), ამიტომ აქ ქვემდებარეს (რომელსაც მსაზღვრულად აქვს „ორ" რიცხვითი სახელი: „ორ თუალ", „ორ ყურ"...) გაუჩნდა მრავლობითის გაგება. თავისებურად ხსნიდა მას ნ. მარი, რომელსაც აღნიშნული აქვს: „განსაკუთრებულ პალეონტოლოგიურ ინტერესს წარმოადგენს ის, რომ თ უ ა ლ და ყ უ რ არა მხოლოდ ამ ფრაზაში აღიქმებიან, როგორც მრავლობითი რიცხვის ფორმები, თითქოს გვქონდეს „თუალნი"[19].

§ **ნაცვალსახელი ქვემდებარედ.** ქვემდებარედ გამოყენებული ნაცვალსახელიც არსებითი სახელის გაგებას იძენს, მაგრამ არსებითი სახელისაგან განსხვავებით ზოგ მათგანს (მაგ. პირის ნაცვალსახელებს: მ ე, შ ე ნ...) ბრუნვისა და რიცხვის კატეგორიები არ გააჩნია

მ ე და ჩ უ ე ნ, შ ე ნ და თ ქ უ ე ნ ნაცვალსახელების ბრუნვისა და რიცხვის წარმოდგენას ქმნიან ის სახელები, რომელთა მაგივრადაც ისინი იხმარებიან. ეს ნაცვალსახელები გაუფორმებელი საკუთარი სახელებისაგან მაინც განსხვავდებიან შემასმენელთან დამოკიდებულების მიხედვით და შესიტყვების მოდელში გვაძლევენ ასეთ სურათს:

S O

მე (ჩუენ) — შენ (თქუენ), იგი (იგინი), მას (მათ)
შენ (თქუენ) — მე (ჩუენ), იგი (იგინი), მას (მათ)
იგი (იგინი) — მე (ჩუენ), შენ (თქუენ), მას (მათ).

ამის გამო, თუ საკუთარ სახელებთან სახელობითისა და მოთხრობითის ფორმების უქონლობა ანაზღაურებულია შესიტყვებაში ქვემდებარისა და დამატების მტკიცე რიგით, ნაცვალსახელიან კონსტრუქციასთან ქვემდებარისა და დამატებათა ასეთი რიგის საჭიროება არ არის.

პირველი პირი ქვემდებარედ

როდესაც ქვემდებარედ პირველი პირია, დამატებად შემასმენელს შეეწყობა ან მეორე პირი, ან მესამე პირი, ან კიდევ ორივე ერთად.

---

[19] Н. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, გვ. 209.

ნ. მ ა რ ი ს „ძველი ქართული ენის გრამატიკის" ვრცელი რეცენზია ეკუთვნის არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს („მიმომხილველი" საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო, 1, ტფილისი, 1926, გვ. 285—330). რეცენზიის ავტორი ყურადღებას ამახვილებს ამ ფაქტზეც.

პირველი პირი გამოიხატება **მე** და **ჩუენ** ნაცვალსახელებით. **მე** მხოლოდ ერთ მოლაპარაკე პირს აღნიშნავს, **ჩუენ**—მრავალს. განსხვავებაა მათ შორის შემასმენელთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც; პირველი შემასმენელს მხოლოობით რიცხვში შეიწყობს, მეორე — მრავლობითში. ეს მაშინ, როდესაც რიცხვის კატეგორია მათ არ გააჩნიათ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ვრცლადაა მოცემული **მე-ჩუენ, შენ-თქუენ** ნაცვალსახელთა ანალიზი (ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, თ. გამყრელიძე...). აქ მხოლოდ აღვნიშნავთ შემდეგს: როდესაც დამატებად მეორე პირია, გამოხატულია დამატების ნიშანი **გ** და არ ჩანს სუბიექტის პირის ნიშანი **ვ** (მაგ. მე გიბრძანებ შენ: მრ 9,25; მე წარგავლინებ თქუენ: ლ 10,3). ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ აქ **ვ** დაკარგულია? ფონეტიკურ ნიადაგზე **ვ**-ს დაკარგვა ამ შემთხვევაში არაა მოსალოდნელი. იგი არც უნდა ყოფილიყო თუნდაც იმის გამო, რომ განსხვავებას სხვა ფორმებთან ქმნის ობიექტის პირის ნიშანი **გ**, რომელიც ზმნაში გამოხატულია. **ვ** ნიშანი არა გვაქვს მაშინაც, როდესაც ზმნის ფუძე უ ხმოვნით იწყება. **მე** ნაცვალსახელთან შემასმენელი მხოლოდ მხოლოობით რიცხვშია:

მაგალითად:

მე შევეძინები ერსა ჩემსა: დაბ. 49,29
მე მივეც მათ სიტყუაჲ შენი: С и 17,14
მე აღვაშენო იგი მესამესა დღესა: არიმათ. 28,18
მე ეჰკითხო მამასა ჩემსა: D и 14,16...

ჩუენ კი შემასმენელს ყოველთვის შეიწყობს მრავლობით რიცხვში:

მოვალთ ჩუენ ბეთლემით: მსაჯ. 19,18
ჩუენ აღგითქუამთ ცხორებასა ჩუენსა: ხანძთ. თ65
ჩუენ ვაყენებდით მას: DE л 9,49
დავჴშენით ჩუენ კარნი წინაშე ჩუენსა: კიმ. I,36,5.

მეორე პირი ქვემდებარედ

ქვემდებარედ გამოყენებული მეორე პირი გადმოიცემა **შენ-თქუენ** ნაცვალსახელებით. **შენ-თქუენ** ქვემდებარიან შემასმენელთან დამატებად ან პირველი პირი შეიძლება იყოს (**მე-ჩუენ**), ან მესამე პირი (იგი, იგინი, მას, მათ). **შენ-თქუენ** ფორმათა შორის ისეთივე მიმართებაა, როგორიც **მე-ჩუენ** ფორმათა შორის.

შენ და **თქუენ** ნაცვალსახელები ზმნაში პრეფიქსებით აღინიშნებიან. ეს პრეფიქსებია ხ- (ხანმეტ ძეგლებში), ჰ- (ჰაემეტ ძეგლებში საერთოდ და 19 თანხმოვნის წინ შემდეგს პერიოდში), ჰს- (გარდამავალი საფეხური) და ს- (9 თანხმოვნის წინ).

მაგალითები:

რაჲსა ხხედავ წუელსა ძმისა შენისა თუალსა: ხანმ. მ 7,3
ხიცით ნიჭისა კეთილისა მიცემაჲ შვილთა მათ თქუენთა: ხანმ. მ 7,11
ვინაჲ მოხუალ შენ? იობ. 1,7
ჰხედავ ერსა ამას: ჰაემ. მრ 5,31
ჰსთხოეო შენ ღმერთსა: DE ი 11,22
არა მისცე შენ შეურაცხი იგი დანგიცა: C მ 5,26
რაჲსათჳს იქმ შენ ამას დღესა შაბათსა? თომას სახ. 36,12.

თქუენ ქვემდებარე შემასმენელს ყოველთვის შეიწყობს მრავლობით **რიცხვში:**

აწ თქუენცა აღხავსეთ საწყაული მამათა თქუენთაჲ: ხანმ. მ 23,32
თქუენ ნუ პირქეამთ თაჳთა თქუენთა მოძღუარს: C მ 23,8
ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოსუედით თქუენ: DE მრ 14,48
თქუენ ფრიად ჰსცთებით: DE მრ 12,27
თქუენ რაჲ სთქუთ? C მ 16,15
თქუენ იქმთ საქმესა მამისა თქუენისასა: DE ი 8,41...

მესამე პირი ქვემდებარედ

ქვემდებარედ გვაქვს მესამე პირის ნაცვალსახელი იგი-ც (იგინი, იმან, მან, მათ). თავისებურია მისი წარმოება: გვხვდება სახელობითი ბრუნვის ფორმით, მაგრამ არ გააჩნია ბრუნვის ნიშანი: ბოლოკიდური -ი არაა ბრუნვის ფორმანტი. იგი ისეთივე აგებულებისაა, როგორიც აგა, რომელიც წარმოადგენს აქა ზმნისართის პროტოტიპს (აქა ← აგა*) და სახეცვლილად შემორჩენილია აგი ჩვენებით ნაცვალსახელში[20]. იგი მთლიანად ფუძეა[21]. ბოლოკიდური -ი შემონახულია მრავლობით რიცხვშიც: იგი-იგინი, შდრ. წიგნ-ი — წიგნ-ნ-ი... იგი ნაცვალსახელი ფუძემონაცვლეა: სახელობითის ფუძეს სხვა ბრუნვებში ცვლის იმა ფუძე. ამ ორ ფუძეს შორის განსხვავებაა შედგენილობის მიხედვითაც.

---

[20] ჯრნ, ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისი ქართველურ ენებში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, X, 1939, გვ. 167—179.

[21] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 98 – 100.

ისტორიულად იგი უძველესი ფორმაა და სახელობითი ბრუნვის ფუნქციით მისი გამოყენება შედარებით ახალი მოვლენაა.

იგი მეორეულია როგორც პირის ნაცვალსახელი: წარმოშობით ის ჩვენებითი ნაცვალსახელია, ამაზე მიუთითებს მისი ღნაგობა: გ ძირეული მასალაა, ი-ი — ჩვენებითი ნაწილაკები.

მაგალითები:

ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ა ი გ ი

იყლტოდა იგი პირისაგან მისისა: დაბ. 16,6; იგი მათ ხეტყოდა: ხანმ. მრაველთ. 140; მოვიდა იგი წმიდისა შუშანიკისა: შუშ. X1,7.

ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ა ი გ ი ნ ი

იგინი ჰბრძვანან მტერთა ჩუენთა: წარტყ. კთ$_{21}$; იგინი ხიტყოდეს უპრთიერთას: ხანმ. ლ 24,32; იგინი შეკრბეს მოხუცებულთა თანა: ხანმ. მ 28,12; მოისპნენდ იგინი პირისაგან ქუეყანისა: კიმ. II,9,2.

მ ძირი გვაქვს მ-ა-ნ (მ-ა-თ), ა-მ-ა-ნ, ი-მ-ა-ნ... ნაცვალსახელებში. ეს მ ძირი უპირისპირდება სახელობითის (იგი, ისი, ესე) გ და ს ძირებს.

არნ. ჩიქობავამ გაარკვია, რომ მოთხრობით ბრუნვას ახასიათებს ორნაირი წარმოება — აღწერითი და ორგანული. აღწერითი წარმოება გვაქვს ყველა სახელის მხოლობით რიცხვში და -ებ-იან მრავლობითში, ორგანული წარმოება შემორჩენილია მხოლობითი რიცხვის ორ ნაცვალსახელში, ესენია: მა-ნ და ვი-ნ.

ისტორიული თვალსაზრისით სახელობითს უსწრებდა მოთხრობითი, „ამიტომ იყო შესაძლებელი გვქონოდა მან მოთხრობითის გაგებით, მაგრამ არა გვქონოდა სახელობითი და, როცა ამის საჭიროება შეიქმნა, სხვა სიტყვა (იგი, ის) — ჩვენებითი ნაცვალსახელი — ესესხებინა მესამე პირის ნაცვალსახელს და მით შეევსო დანაკლისი“[22].

მ ა ნ, ი მ ა ნ მ ა გ ა ნ ნაცვალსახელები იმ მხრივაც ამეღვნებენ თავისებურებებს, რომ მრ. რიცხვის -ებ ნიშნიანი წარმოება არ ახასიათებთ. მრავლობითის ერთადერთი მაწარმოებელია -თ

---

[22] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის... გვ. 173.

ამა ფუძის პარალელურად უნდა გვქონოდა **იმი.** ამ ორი ფუძის (იმი-ამა) კონტამინაციით მიღებულია **იმა:** ორი სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ნაწილაკის ერთად ხმარება მეორეული მოვლენაა.

პირის ნიშანთა აღნიშვნით მესამე პირი განსხვავდება პირველი და მეორე პირებისაგან: პირის ნიშნებად გამოყენებულია სუფიქსები. მესამე პირის ფორმასთან დაშატება შეიძლება გვქონდეს პირველ, მეორე ან მესამე პირში.

და ასე:

მხოლობითი რიცხვის მოთხრობით ბრუნვაში გვაქვს **მან, ამან, მაგან:**

მან ბრძანა შეყენებაჲ მათი საპყრობილესა: კიმ. 11,56,31
მან მოგცეს შენ ყოველი თხოვაჲ გულისა შენისაჲ: საბა ას. 5,30
გამოიღოს მან ნაყოფი იგი სიმწარისაჲ: მამ. სწ. 159,20...
ამან ქმნა ყოველივე იგი სანოვაგე პურჰერი საკურთხეველისაჲ: გამ. 38,23
დამასხა მე ამან ნელსაცხებელი ესე ჶორცთა ჩემთა ზედა: C მ 26,12...
კეთილი საქმე ქმნა მაგან ჩემთჳს: C მრ 14,6
დამასხა მაგან ნელსაცხებელი ესე ჶორცთა ჩემთა: DE მ 26,12...
არა დაგიმკჳდროს შენ მაგან: დაბ. 15,4.

მრავლობით რიცხვში კი ქვემდებარე **მათ** შემასმენელს ითანხმებს რიცხვში:

განაგდეს მათ ყოველი კეთილი: წარტყ. 3_{11}
მათ მიიღეს ვეცხლი იგი: ხანმ. მ 28,15
მათ მოართუეს მას დრაჰკანი: მ 22,19.

სხვა ნაცვალსახელთაგან ქვემდებარედ გვხვდება **ვინ, ვინმე, არავინ, ვერავინ, თავადი, სხუა, ყოველი, რომელი...** აქედან პირველი ოთხი სახელობითისა და მოთხრობითი ბრუნვების ფორმებს არ განარჩევს, დანარჩენები ისევე აწარმოებენ ბრუნვისა და რიცხვის ფორმებს, როგორც არსებითი სახელები.

მაგალითად:

ვინ:

ვინ დაგადგინა შენ მთავრად? მოც. 7,27; ვინ მოგცა შენ კელმწიფებაჲ ესე? DE მ 21,23; ვინ აღუხილნა მაგას თუალნი? DE ი 9,21..

ვინმე:

ვინმე ვიდოდის დღისი: C ი 11,9; გცეს თუ ვინმე მარჯუენესა ღაწუსა. მიუპყარ შენი ერთიცა: C მ 5,39; ეკრძალენით, ნუ ვინმე გაცთუნნეს თქუენ: DE მ 24,4.

არავინ:

არავინ იყო სახლსა მას შინა: დაბ. 39,11; არავინ აღჴდა ცად: C ი 3,13; არავინ შთაასხის ღუნოჲ ახალი თხიერსა ძუელსა: DE მრ 2,22

ვერვინ:

ვერვინ მოვიდეს ჩემდა: C и 6,65; ვერვინ განცხადებულად იტყოდა მის-თჳს შიშისათჳს ჰურიათაჲსა: C и 7,13; ვერვინ შემძლებელ იყო წარსლვად მიერ გზით: C მ 8,28.

თავადი:

თავადი დგა კიდესა თანა ტბისა მის გენესარეთისასა: ჰაემ. ლ 5,1; ჴდა თავადი მთასა მას ზეთის ხილთასა: DE მ 24,3; თავადი მიხეფარა მათგან: ხანმ. ლ 24,31; თავადმან აღიხილნა თუალნი მისნი: DE ღ 6,20.

სხუაჲ:

სხუაჲ დაჵარდა კლდოვანსა ზედა: მრ 4,5; იხილა იგი სხუამან: მ 26,71; სხუანი იგი მთად კერძო იელტოდეს: დაბ. 14,10; სხუათა შეიპყრნეს მო-ნანი იგი მისნი: DE მ 22,6.

ყოველი:

ყოველნი დაბრკოლდებოდეს მისა მიმართ: DE მ 13,57; მოელოდეს ყო-ველნი: ხანძთ. მბ$_{20}$; მაშინ ყოველთა ერთობით კმა ყეეს: იქვე; ობ.

რომელი:

რომელი სთესავს თესლსა კეთილსა: DE მ 13,37; რომელმან გამომიყუანნა ჩუენ ეგჳპტით: გამ. 32,23; რომელთა სიტყუაჲ იგი ისმინიან: მრ. 4,18.

ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობა მრავლობით რიცხვში

§ 53. ქვემდებარის რიცხვის გამოხატვის საშუალებანი. ძველ ქართულში ქვემდებარის მიერ შემასმენლის შეთანხმება მრავლო-ბით რიცხვში ხდებოდა იმის მიხედვით, თუ რა ნიშნით იყო გამო ხატული სუბიექტის მრავლობითი რიცხვი: -ნ/-თ ნიშნებიანი მრავ-ლობითი რიცხვი შემასმენელს ითანხმებდა რიცხვში, -ებ ნიშნიანი, როგორც წესი, ამ უნარს მოკლებული იყო.

სამეცნიერო ლიტერატურაში ვრცლად მიმოხილულია მრავ-ლობითის -ნ/-თ და -ებ სუფიქსების წარმომავლობისა და სინტაქ-სური სიძლიერის, შედგენილობისა და სხვა აფიქსებთან მიმართების საკითხები[23].

აღნიშნულია, რომ მრავლობითი რიცხვის ნიშნები უკავშირდე-ბიან გრამატიკული კლასის ნიშნებს (ასეა ეს ანდიურში, ხუნძურში, ლაკურში, დარგუულში, ჩაჩნურში და სხვაგან)[24]. ეს ნიშნებია, უპირ-

---

[23] К. Д. Дондуа, О двух суффиксах множественности в грузинском: Язык и мышление, 1933, I. გვ. 43—66; არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942; მისივე: მრავლობი-თობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეც-ნიერება, VI, 1954, გვ. 67—77; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლე-ბი, I, გვ. 46—48.

[24] არნ. ჩიქობავა, მრავლობითის სუფიქსთა გენეზისისათვის... გვ. 72.

ველეს ყოვლისა, -თ (←დ) და -ნ, რომლებიც სახელებშიც გვაქვს და ზმნებშიც[25]. გრამატიკული კლასის ნიშნიდან მომდინარეობაა მიჩნეული -ებ სუფიქსიც (ს. დონდუა, არნ. ჩიქობავა). სამივე სუფიქსი ნივთის კლასის გამომხატველია[26]. მათ შორის განსხვავება ქრონოლოგიურია: ყველაზე ძველია -თ (← დ), მოთხრობით-მიცემითნათესაობითთან რომ გვაქვს, შემდეგ მას მიემატება -ნ (სახელობითთან და წოდებითთან) და ბოლოს -ებ ნიშანი, რომელიც ყველაზე ახალია[27].

§ 54. მრავლობითის -ნ და -თ ნიშნებიანი სახელი ქვემდებარედ. ქვემდებარესთან რიცხვში ყოველთვის შეთანხმებულია შემასმენლის I და II პირი, მერყეობს მესამე პირი იმის მიხედვით, თუ რა ნიშნითაა წარმოებული სახელის მრავლობითი რიცხვი.

ზმნის (შემასმენლის) I და II პირში გარდამავალთანაც და გარდაუვალთანაც, სახელობითში დასმულ სუბიექტთანაც და მოთხრობითში დასმულ სუბიექტთანაც, სუბიექტის მრავლობითობის ნიშანია -თ.

მესამე პირის სუბიექტის მრავლობითობის ნიშანი რამდენიმეა იმის მიხედვით, თუ დრო-კილოთა რომელი ფორმაა ამოსავალი[28].

მაგალითები:

შ ე მ ა ს მ ე ნ ლ ა დ ა რ ი ს გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი ზ მ ნ ა

კაცსათვს ვარსკელავნი ნათობენ: მამ. სწ. 86,9

---

[25] ჯერ კიდევ 1929 წ. არნ. ჩიქობავას აღნიშნული აქვს: „-ენ (‖ ნ ფორმანტი ზმნაში და -ნ ფორმანტი სახელისა მრავლობით რიცხვში გენეტურად მჭიდროდ უკავშირდება ერთურთს; მეტსაც ვიტყვით: ეს ერთი და იგივე ფორმანტია, თავისი პიოვანდელი სრული სახით (-ედ ‖ ენ) შენახული ზმნაში და დ (— თ)-ისა და ნ-ის სახით წარმოდგენილი სახელთა ბრუნებაში (მხედველობაში გვაქვს -თ-ა და ნ-ი მრავლ. რიცხვისა)“: რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლ. ობიექტი ძველ ქართულში? ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, IX. 1929, გვ. 115.

[26] არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის გვ. 72—75.

[27] არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის, გვ. 75.

[28] არნ. ჩიქობავას ცნობილ მონოგრაფიაში („მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, კვემდებარე დამატების სპკითხი ძველ ქართულში“) ქვემდებარისა და დამატების მრ. რიცხვის წარმოება განხილულია ამონწურავად. შემასმენელი-ზმნებიც დალაგებულია დრო-კილოთა მიხედვით და მოცემულია ნათელი სურათი, ამიტომ აქ მხოლოდ ზოგიერთი ნიმუშის ჩვენებით დავკმაყოფილდებით.

მართუენი ყანჩისანი მაღალსა ფრინუენ: იობ. 5,7
ძმანი შენნი გარეშე დგანან: DE მრ 3,32
წმიდანი ეკლესიანი ცეცხლითა დაიწუებოდეს: წარტყ. იზ12
ნაკადულნი წყალთანი გარდამოდიოდეს თუალთაგან მისთა: ბოლნ. 13.5
ორნი საშინელნი ვეშაპნი გამოჩხდეს ანჩისა ეენაკსა: ხარძთ. ივ1
მოუკდეს მას მოწაფენი თჳსნი: DE მ 5,1
ზღუასა შინა შთაკდიან მეყურუმენი: მამ. სწ. 191,6
დაბნელდედ ვარსკულავნი მის ღამისანი: იობ. 3,9.

შემასმენლად არის გარდამავალი ზმნა

გუნდნი ანგელოზთანი დაუდუმებელად გაქებენ: კიმ. 1,175,29
ხუთხრობდეს მას მოწაფენი: ხანმ. ი 20,25
იხილეს ეგჳპტელთა მათ დედაკაცი იგი: დაბ. 12,14
მოიყუანნეს მშობელთა მათთა წმიდანი იგი ყრმანი: ლიტ. ურთ. 186.5
მიუთხრეს მტარვალთა მათ ესე ყოველი ერისთავთა მათ: მოც. 16,38 და ა. შ.

§ 55. მრავლობითის გამოხატვა პირველი ტიპის ვნებითებთან. მრავლობითის წარმოებისას ინტერესს იწვევს აღივსნეს ტიპის ზმნები. აქ ნ მოქმედებითის აღავსნეს ტიპის ზმნებიდან გადმოსულადაა მიჩნეული[29]. ასეთივეა აგრეთვე იყვნეს, დაიკშნეს, დაილეწნეს, შეეხნეს და ა. შ. ანგარიშგასაწევია ერთი გარემოებაც: რიგ კავკასიურ ენებში გარდაუვალ ზმნაში აღინიშნება რეალური სუბიექტის რიცხვი და კლასი, გარდამავალში — რეალური ობიექტისა[30]. სახელობითი ბრუნვა ამ ენებში ორივე შემთხვევაში უფლებამოსილია გამოხატოს მრავლობითი რიცხვი. ამის მიხედვით -ნ- (←ენ) ისევე უნდა ყოფილიყო სუბიექტის მრავლობითი რიცხვის ნიშანი კონვერსიულ კონსტრუქციაში,

---

[29] ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, გვ. 12; მისივე: ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 464—465; აქტივი და პასივი ურთიერთის მიმართ მრავალპირიანი ზმნის ჩვენებით: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IV, № 4, 1943, გვ. 377.

[30] ამ საკითხის შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, მრავლობითის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, 1954; ი. ცერცვაძე, მრავლობითი რიცხვის აღნიშვნის საშუალებანი ანდიურ ზმნაში (იქვე); ე. ლომთაძე, მრავლობითობის წარმოება კაპუჭურ-ჰუნზური ენის ზმნაში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, 1953; მისივე: Анализ капучинско-гунзинского языка: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VIII, 1956; Д. Имнаишвили, К спряжению глагола в дидойском языке (იქვე) და სხვ.

როგორც პირდაპირ კონსტრუქციაში აღნიშნავდა სახელობითში დასმული ობიექტის მრავლობით რიცხვს და ასე ამგვარად: ი გ ი ნ ი ი ყ ვ ნ ე ს'-ი' (← მან ყვნა იგინი) უძველესი ფორმა უნდა ყოფილიყო *ი გ ი ნ ი ი ყ ვ-ე ნ. ამ შემთხვევაში სუბიექტის მრავლობითი რიცხვისა -ეს ნ ი შ ა ნ ი მ ე ო რ ე უ ლ ი ჩ ა ნ ს.

ფაქტია, რომ გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი და გარდაუვალი ზმნის სუბიექტი ერთმანეთს არ უპირისპირდება: სახელობითი ბრუნვა თანაბარ დამოკიდებულებაშია ზმნა-შემასმენელთან და ეს შემთხვევითი არ არის.

სხვა შემთხვევაშიც, მაგ., ნამყო წყვეტილში, გვხვდება ერთნაირი ფორმები გარდამავალი ზმნის სათავისო ქცევისა და გარდაუვალი ვნებითი გვარის ზმნისათვის: „მან დაიწერა წერილი" და „წერილი დაიწერა". „დაიწერა" ზმნა პირველ შემთხვევაში მოქმედებითი გვარისაა და „წერილი" მისი პირდაპირი ობიექტი, -ი- კი სათავისო ქცევის ნიშანი, მეორე შემთხვევაში „წერილი" სუბიექტია, -ი- ვნებითი გვარის ნიშანი. ისტორიულად „სათანადო წარმოება არც ვნებითი ყოფილა და არც სათავისო ქცევა, ეს უფრო რეფლექსივს წარმოადგენდა და ორგვარს კონსტრუქციას იგუებდა"[31].

ნარიანი ფორმები შეიძლება იყოს ერთპირიანიც და ორპირიანიც.

ერთპირიანია:

შემდგომად რვისა დღისა კუალად ხიყვნეს მოწაფენი ერთსა ადგილს: ხანმ. ი 20,26
კარნი იგი სახლისანი დაიკშნეს: დაბ. 19,10
აღიესნეს დღენი იგი შობისა მისისანი: DE ლ 2,6
დაილეწნეს კლიტენი სიკუდილისანი: ბოლნ. 29,10
სათნოებანი მისნი განითქუნეს ყ^ლს ამას ქუეყანასა: საბა ას. 9,24
ძუალნი მისნი აღიესნენ სიკაბუკითა მისითა: იობ. 20,11...

ორპირიანია:

ხემსგავსნეს შვილნი ეკლესიისანი ყრმათა ძუძუის მწოვართა: ხანმ მრავალთ. 142
მკეცნი იგი ყოველადვე არა შეეხნეს მათ: კიმ. II,25,18
შეყსეულად განემტკიცნეს ფერკნი მისნი: მოც. 3,7
ეჩუენნეს მათ განყოფანი ენათანი: მოც. 2,3.

---

[31] არს. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები: ენიმკის მოამბე, XII, 1942, გვ. 239.

§ 56. მრავლობითის -ებ ნიშნიანი სახელი ქვემდებარედ. -ნ ნიშნიანი მრავლობითის გვერდით **-ებ** ნიშნიანი მრავლობითის ფორმის გამოყენება დიდი ხანია იქცევს მკვლევართა ყურადღებას. ნარ-თანიანი წარმოება გაბატონებულია ძველ ქართულში და ახალი ქართულის ჩამოყალიბებისას, იშვიათია ახალ ქართულში, **-ებ** ნიშნიანი კი იშვიათია ძველ ქართულში, მაგრამ გაბატონებულია ახალ ქართულში[32].

ისტორიულად **ნ** ნიშნის დომინანტობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ:

1. **-ნ** ნიშანი იყო გავრცელებული ფორმა ძველ ქართულში
2. **-ნ** ნიშნიანი სუბიექტიცა და პირდაპირი ობიექტიც ყოველთვის ითანხმებდა შემასმენელს რიცხვში და
3. **-ნ** ნიშნიანი საზღვრული ითანხმებდა მსაზღვრელს მრავლობით რიცხვში.

ამავე დროს:

1. **-ებ** ნიშნიანი მრავლობითი იშვიათი იყო იმავე ძველ ქართულში.
2. ამგვარი ნიშნით მრავლობითში წარმოებული სუბიექტი და ობიექტი შემასმენელს ჩვეულებრივ ვერ ითანხმებდა რიცხვში.
3. მსაზღვრელი არ ეთანხმებოდა **-ებ** ნიშნიან საზღვრულს რიცხვში.

ძველი ქართულის ეს ვითარება შეიცვალა ახალ ქართულში: შესუსტდა **ნ**არიანი მრავლობითის სინტაქსური ძალა და გაძლიერდა **-ებ** ნიშნიანი მრავლობითისა, მაგრამ იგი მაინც ვერ გაუთანაბრდა **-ნ** ნიშნიანი მრავლობითის სინტაქსურ ძალას. ეს ენის განვითარების ისტორიისათვის საგულისხმო ფაქტია: გაბატონებულმა ფორმამ გზა დაუთმო იშვიათ ფორმას, ხოლო ამ უკანასკნელმა შეიძინა ახალი თვისებები.

ამ მოვლენამ საგანგებო ყურადღება მიიქცია. **-ნ** და **-ებ** ნიშნების სინტაქსურ ძალათა დაპირისპირებამ არა ერთი და ორი საკითხი წამოჭრა. კ. დონდუამ, რომელმაც სპეციალური შრომა უძღვნა ამ საკითხს[33], ყურადღება გაამახვილა მრავლობითის ორი სუფიქსის არსებობაზე და აღნიშნა, რომ მრავლობითის **-ებ** ნიშნიანი

---

[32] აქ მიძღვნილი ზოგი საკითხი თავმოყრილია ავტორის ნაშრომში— **-ებ** ნიშნიანი მრავლობითი რიცხვის სინტაქსური ძალისათვის ძველ ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, 1955, გვ. 35—41.

[33] К. Д. Дондуа, О двух суффиксах множественности в грузинском: Язык и мышление, I, Ленинград, 1933, გვ. 43—66.

ფორმა „როგორც ჩანს, გამოხატავდა ნივთთა კლასს, პასიურ სულიერ და საერთოდ საზოგადოებრივად პასიურ არსებებს, აგრეთვე განყენებულ ცნებებს“ (გვ. 64, შდრ. 46). ავტორი იქვე მიუთითებს, რომ -ებ ნიშნიანი ფორმისათვის უმეტესად კრებითობის მნიშვნელობაა დამახასიათებელი. ამაზე ლაპარაკობენ შემდეგი ფაქტები: 1. მსაზღვრელი არ ეთანხმება საზღვრულს რიცხვში, როდესაც ეს უკანასკნელი მრავლობით რიცხვშია -ებ სუფიქსით (ქალაქ-ნ-ი დიდ-ნ-ი, მაგრამ დიდ-ი ქალაქ-ებ-ი...); 2. მრავლობითის -ებ ნიშნიან ლოგიკურ ობიექტთან პრედიკატი დგას მხოლობით რიცხვში (დალეწ-ნ-ა ქალაქ-ნ-ი, მაგრამ დალეწა ქალაქ-ებ-ი...); 3. ასეთ შემთხვევაში სუბიექტი სწორად ვერ ითანხმებს შემასმენელს რიცხვში: სახელები არს... (გვ. 55).

დასასრულს კ. დონდუა ყურადღებას ამახვილებს ამ უკანასკნელ მომენტზე თვით თანამედროვე ქართულში, სადაც მერყეობა გვაქვს შეთანხმების შემთხვევაში, მაგ., დიდი ამბები მოხდა... გოდრები დგას და სხვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ -ნ და -ებ ნიშნებიან მრავლობითებს შორის სინტაქსური სიძლიერის მიხედვით განსხვავება „საფიქრებელია იმით იყო გამოწვეული, რომ პირველი ორგანულად უკავშირდებოდა ზმნის მრავლობითობის მესამე პირის ნიშანს -ენ/-ან სუფიქსებს, რომლებიც ისტორიულად მრავლობითობის ნიშნად უნდა იქნენ მიჩნეული, ხოლო -ებ სუფიქსი სულ სხვა ფორმაციისაა და სხვა დიალექტური წრიდან მომდინარეობს“[34].

ძველი ქართული ტექსტების შესწავლა გვიჩვენებს, რომ -ებ სუფიქსი ძველ ქართულშიც მრავლობითი რიცხვის ნიშნად გაიგებოდა, ამას ადასტურებს შემდეგი: რიგ შემთხვევაში -ნ ბოლოსართიან მრავლობითს ენაცვლება -ებ ბოლოსართიანი მრავლობითი, ეს იმას ნიშნავს, რომ უკანასკნელი ფორმა ისევე მიჩნეულია მრავლობითი რიცხვის გამომხატველად, როგორც პირველი. ასე, მაგალი-

---

[34] არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, II, №1—2, 1941, გვ. 198; მისივე: სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 248; რით არის წარმოდგენილი მრავლობ. სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, IX, 1929, გვ. 115.

თად, ოთხთავის ერთ რედაქციაში ესა თუ ის სიტყვა რომ მრავლობით რიცხვში გაფორმებულია -ნ ნიშნით, მეორე რედაქციაში იგივე სიტყვა -ებ ნიშნით არის წარმოდგენილი[35].

მაგალითად:

მოკუანდეს მისა ყოველნი სნეულნი და ეშმაკეულნი: DE მრ 1,32, შდრ. C: მოართუმიდეს მას ყოველსა სნეულებსა და ეშმაკეულებსა.

აღესრულნენ წიგნნი წინაწარმეტყუელთანი: DE მრ 14,49, შდრ. C: აღესრულოს წიგნები იგი წინაწარმეტყუელთაჲ და სხვ.

მიუხედავად ამისა, ძველ ქართულში -ებ ნიშნიანი მრავლობითი შემასმენელს ჩვეულებრივ ვერ ითანხმებდა რიცხვში.

მაგალითად:

მოძღუარ, იხილე, რაბამი ქები არს: DE მრ 13,1, შდრ. C: იხილე, რაბამნი ქვანი არიან

აღესრულოს წიგნები იგი: C მ 26,54, შდრ. DE: აღესრულნენ წერილნი იგი

ეოვიდოდა მკედრები კრებულთაჲ: ესაია, 21,9

ნაკიდგა კაცებმან მან: C ი 6,10

კაცებმან მან... იხილა სასწაული იგი: C ი 6.14, შდრ. DE: კაცთა მათ... იხილეს...

იშვიათად, მაგრამ ძველსავე ქართულში შეინიშნება -ებ ნიშნიანი ქვემდებარის მიერ შემასმენლის შეთანხმება რიცხვში.

მაგალითად:

სულები იგი არაწმიდაჲ ჰხედვიდეს მას: DE მრ 3,11, შდრ. C: სულთა მათ არაწმიდათა... იხილიან იგი

გარემომადგეს მე ძაღლებ მრავალ: კომ. I,122,24

მნატრიდენ მე ყოველი თესლები ქუეყანისანი: C ლ 1,48, შდრ. DE: მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი

ძაღლები დიდ-დიდები... დგეს ზღუდეთა ზედა და ყეფდეს: ლიმონ. 91.6

გმონებდენ შენ თესლები: დაბ. 27,29 და ა. შ.

ახალ ქართულში -ებ ნიშნიანი სუბიექტი თანდათან ვრცელდება, იფართოებს თავის სინტაქსურ ძალას და რიცხვში ითანხმებს შემასმენელს.

მაგალითად:

განაჭენენ დამწველის თვალები: ვტ 1275,3

მოშაით-მგოსნები თამაშობდეს: შაჰნ. 369,10

ეგეთი ჰაბუკები იყვნეს: ვისრ. 23,25

სტუმრები გამოღმართ დაწვნენ: ს. ს. ორბ. I,112,10 და ა. შ.

---

[35] ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ი. იმნაიშვილმა ნაშრომში— ადიშის ოთხთავი რედაქციულად: თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXI, 1947, გვ. 188.

-ებ ნიშნიანი მრავლობითი სინტაქსურ ძალას ამჟღავნებს ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც ამგვარ მრავლობითში დასმული სახელი ქვემდებარეა ერთგვარშემასმენლებიან შერწყმულ წინადადებაში. ასეთ წინადადებაში ხშირად რიცხვში ეთანხმება უკანასკნელი შემასმენელი:

და განვიდა სულები იგი არაწმიდაჲ კაცისა მისგან და შევიდეს ღორებსა მას: DE მრ 5,13

გარე მოადგა მას ქურიები იგი ყოველი, ტიროდეს და უჩუენებდეს კუბასტებსა და სამოსლებსა ყოველსა: მოც., 9,39.

მიუხედავად ამისა, -ებ ნიშნიანი მრავლობითის სინტაქსური ძალა ძველ ქართულში არ ეტოლება -ნ ნიშნიანი მრავლობითისას, მაგრამ ამგვარი მრავლობითის გათანაბრება მხოლოობითთან მაინც არ შეიძლება, რადგანაც:

1. ებ ნიშანი ისევე, როგორც -ნ ნიშანი, მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელია.

2. ორი სხვადასხვა სუფიქსით ერთი კატეგორიის გამოხატვა აიხსნება არა იმით, რომ ენას სჭირდება ასეთი რამ სხვა დანიშნულებისათვის, არამედ იმით, რომ ისინი სხვადასხვა წარმოშობისანი არიან.

როგორც ვხედავთ, -ებ ნიშნიანი სუბიექტის მიერ შემასმაენლის მრავლობითში შეთანხმების იშვიათი შემთხვევები გვაქვს ძველ ქართულშიც. შემდგომ პერიოდში ენის გრამატიკული სისტემის ეს მხარეც თანდათან განვითარდა, გაფართოვდა და სრულყოფილი გახდა. ეს ბუნებრივია: რაკი -ებ სუფიქსი იყო მრავლობითის ნიშანი, რიცხვში შეთანხმების საკითხიც უნდა მოგვარებულიყო. სათანადო გაგებას შესაფერისი გამოხატულებაც უნდა ეპოვა.

-ებ ნიშნიანი სუბიექტის ძალის განმტკიცებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ეს ნიშანი იქცა სახელთა მრავლობითი რიცხვის ჯამოხატვის ძირითად ფორმანტად. თანამედროვე ქართულში, როგორც წესი, შემასმენელი იმ შემთხვევაში ეთანხმება მრავლობითი რიცხვის -ებ ნიშნიან ქვემდებარეს, როცა ქვემდებარე ცოცხალი საგნის სახელია, ან არაცოცხალი საგნის სახელია, მაგრამ აქტიურია, გაპიროვნებულია[36].

[36] არნ. ჩიქობავა მიუთითებს, რომ „ხმნის შეთანხმება ებ-იან სახელობითთან იწყება იმ შემთხვევებიდან, სადაც სახელობითი რეალურ სუბიექტად გვევლინება, მასთან ყველაზე აქტიურ სუბიექტს, ადამიანს აღნიშნავს, შემდეგ კი ვრცელდება ისეთ მაჩალითებ ზე, სადაც რეალური სუბიექტი ადამიანი არაა, მაგრამ სხნა მოქმედებითი გვარისაა, აქ ჯერ კიდევ გვაქვს რყეება, თუმცა განვითარების ტენდენცია ნათელია“: მაორივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, II, № 1—2, 1941, გვ. 200.

§ 57. მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის სინტაქსური ძალა. ქვემდებარე და პირდაპირი დამატება, როგორც წინადადების მთავარი წევრები, შემასმენელთან თანაბარ სინტაქსურ დამოკიდებულებაში არიან. თუ ერთმანეთს შევუდარებთ სახელობით ბრუნვაში დასმულ ქვემდებარესა და ამავე ბრუნვაში დასმულ დამატებას, ორივე მათგანი შემასმენელს ერთნაირად ითანხმებს რიცხვში: რიცა მრავლობითი რიცხვი **-ნ** ნიშნითაა გამოხატული, შეთანხმებას აუცილებლად ექნება ადგილი, თუ გამოხატულია **-ებ** ნიშნით, კარგა იშვიათი გამონაკლისისა, შეთანხმება გამორიცხულია (შდრ. ერთი მხრით — ფარისევლნი იგი გამოვიდეს: ჰაემ. მ 12,14; გუამები გამოვიდოდის საფლავთაგან: მამ. სწ. 211,21 და, მეორე მხრით — მიავლინნა ასისთავმან მისა მეგობარნი: DE ლ 7,6; აღაგო ფარაო ეტლები თჳსი: გამ. 14,4). ამიტომ, ბუნებრივია, თუ შემასმენელს ერთდროულად უკავშირდება მრ. რიცხვის **-ებ** ნიშნიანი ქვემდებარე და **-ნ** ნიშნიანი დამატება, მხოლოდ ეს უკანასკნელი ითანხმებს შემასმენელს რიცხვში. მაგ.: ცხენებმან მათმან დაფარნა ბორცუნი: იქით, 16,3[37].

შემასმენელს რიცხვში ვერ ითანხმებს მიცემით ბრუნვაში დასმული სახელიც. ამ მხრივ სახელობითი და მიცემითი ბრუნვები ერთმანეთთან ისეთსავე მიმართებაში არიან, როგორიც გვაქვს **-ნ** ნიშნიან და **-ებ** ნიშნიან მრავლობით რიცხვს შორის.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს სიტყვათა ურთიერთობა ისეთ შესიტყვებაში, სადაც შემასმენლად არის ორპირიანი გარდაუვალი ზმნა, რომელსაც თან ახლავს ორი სახელი: მორფოლოგიური ობიექტი (იგივე რეალური სუბიექტი) — მიცემითში დასმული და მორფოლოგიური სუბიექტი (იგივე რეალური ობიექტი) — სახელობითში დასმული.

ძველ ქართულშივე იგრძნობა ამ ტიპის შესიტყვებაში მიცემითის გაძლიერება, რამაც შემდგომ პერიოდში მოგვცა მიცემითში დასმული სახელის მიერ შემასმენლის შეთანხმება რიცხვში. უნდა ვიფიქროთ, რომ ინვერსია დაწყებულია ადრე, ამას აღასტურებს ის ფაქტი, რომ ბერძნულ-სომხურში ქვემდებარედ გაგებული სახელები აქ მიცემითი ბრუნვითაა გადმოცემული[38].

---

[37] მაგალითი ამოღებულია ი. იმნაიშვილის წიგნიდან—სახელთა ბრუნვა და ბრ. ფუნქციები... გვ. 303.

[38] ეს, რა თქმა უნდა, არაა იგივე, რაც გვაქვს რუსულში Мне не спится-ს ტიპის წინადადებაში.

ჯერ კიდევ ადრე, რუსული ენის მასალების მიხედვით ვ. კლასოვსკიმ ქვემდებარის ბრუნვად მიცემითი და ნათესაობითიც კი მიიჩნია და აღნიშნა,

მაგალითები:

მორფოლოგიურ სუბიექტად პირველი პირია

ა) მხოლობითი რიცხვი

ამისთჳს მამასა უყუარ მე: DE ი 10,17

Потому любит меня отец

διὰ τοῦτο ὁ πατήρ με ἀγαπᾷ

վասն այսորիկ սիրէ զիս ն

და ასე:

სიმონ იონაჲსო, გიყუარა მე? DE ი 21,16

თქუენ ვინ გგონიე მე? DE მ 16,15.

ბ) მრავლობითი რიცხვი

ასეთ შემთხვევაში სახელობითში დასმული სახელი ითანხმებს შემასმენელს რიცხვში და აჩენს მრავლ. რიცხვის ნიშანს -თ-ს.

ამას კაცებსა ესძულთ ჩუენ: თომ. სახ. 37,37.

მორფოლოგიურ სუბიექტად მეორე პირია

ა) მხოლობითი რიცხვი

მიყუარ შენ: ი 21,15.

ბ) მრავლობითი რიცხვი

მეორე პირის მორფოლოგიური სუბიექტი თქუენ ყოველთვის ითანხმებს შემასმენელს მრავლობით რიცხვში:

მამასა ჩემსა უყუართ თქუენ: DE ი 16,27

Отец любит вас

ὁ πατήρ φιλεῖ ὑμᾶς

Հայր սիրէ զձեզ

ამისთჳს ჰსძულთ თქუენ სოფელსა: ი 15,19

Ненавидит вас мир

διὰ τοῦτο μισεῖ ὑμᾶς ὁ κόσμος·

ատեայ զձեզ աշխարհ

რომ ქვემდებარის გამოხატვა ირიბ ბრუნვებსაც შეუძლიაო, მაგალითად, წინადადებაში Григорий оскорбил Якова ქვემდებარეა Григорий, მაგრამ ენებით გვარში თუ გადაეყვანთ შემასმენელს და ვიტყვით Григорием оскорблен Яков, ქვემდებარედ უნდა მიეიჩნიოთ Григорисм. ასევე—წინადადებაში Мне не спится—ქვემდებარეა мнс, ხოლო წინადადებაში У меня нет книг... ქვემდებარედაა ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი книг (В. Класовский, Нерешенные вопросы в грамматике, СПб., 1870, გვ. 22—24).

მორფოლოგიურ სუბიექტად მესამე პირია

ა) მხოლობითი რიცხვი

კაცი არა მაქუს: DE ი 5,7

Не имею человека
ἄνθρωπον οὐκ ἔχω
ո՛չ գոր ունիմ

გაქუს თქუენ დასი: C მ 27,65

Имеете стражу
Ἔχετε κουστωδίαν
ունիք զգօրականս

სიტყუაჲ... გაქუს შენ: DE ი 6,68

Ты имеешь глаголы вечной жизни
ῥήματα ζωῆς αἰωνίου ἔχεις
բանս կենաց յաւիտենականաց ունիս

ქელმწიფებაჲ აქუს ძესა კაცისასა: DE მ 9,6
Сын человеческий имеет власть на земле
ἐξουσίαν ἔχει ὁ υἱὸς τοῦ ἀνθρώπου
երէ իշխանութիւն ունի որդի մարդոյ

მე მნებავს უკუანაჲსკნელსა მას მიცემად: მ 20,14

Я же хочу дать этому последнему
θέλω δὲ τούτῳ τῷ ἐσχάτῳ δοῦναι...
կամիմ յետնոցս տալ՝ որպէս և քեզ

ვერ ქელ-ეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად: DE მ 7,18

Не может дерево доброе приносить плоды худые
οὐ δύναται δένδρον ἀγαθὸν καρποὺς πονηροὺς ποιεῖν
Ո՛չ կարէ ծառ բարի պտուղ չար առնել

თქუენ ვერ ქელ-ეწიფების მოსლვად: DE ი 7,34

Вы не можете прийти
ὑμεῖς οὐ δύνασθε ἐλθεῖν
դուք ո՛չ կարէք գալ

რომელი-ესე შენ გიყუარს: C ი 11,3

Кого ты любишь
ὃν φιλεῖς
զոր դուն սիրէիր

მამასა უყუარს ძჲ: DE ი 3,35
Отец любит сына
ὁ πατὴρ ἀγαπᾷ τὸν υἱόν
հայր սիրէ զորդի

და ასე:

ესმა ესე ყრმასა მას: წარტყ. მ$_{10}$
ბანილსა მას არა უკმს ბანა: C ი 13,10
სიბრძნჲ აქუნდა სოლომონს: იპოლ. 1,1
მტკივის გული ჩემი: ბოლნ. 81,7
მნებავს თქუენი განკრძალვაჲ: კიმ. I,14,31,

შდრ. გარდამავალი ზმნის მესამე სერიის ფორმები:

ეგე ყოველი დამიმარხავს სიყრმით ჩემითგან: ლ 18,21
Все это сохранил я от юности моей
ταῦτα πάντα ἐφύλαξα ἐκ νεότητος
զայդ ամենայն պահեցի ՚ի մանկուրէ իմմէ:

სიტყუაჲ შენი დაუმარხავს: DE ი 17,6
Они сохранили слово твое
τὸν λόγον σου τετήρηκαν
զբանն քո պահեցին

რაჲ ბოროტი უქმნიეს ამას? DE ლ 23,22
Какое же зло сделал он?
τί γὰρ κακὸν ἐποίησεν οὗτος
զի՞նչ չար արար սա

რომელი შეეკრა ეშმაკსა: ლ 13,16
Которую связал сатана
ἣν ἔδησεν ὁ σατανᾶς
զոր կապեաց Սատանայ

ბ) მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

მესამე პირის მორფოლოგიური სუბიექტი, თუ ის მრავლობით რიცხვს -ნ ნიშნით აწარმოებს, ითანხმებს შემასმენელს რიცხვში:

უფალსა ყუყუარან მოშიშნი სახელისა მისისანი: წარტყ. თ$_9$
ესმნეს მეფესა სიტყუანი რაჰისისნი: ბალ. 94,5
მჭონან ჩემ ქუეშე ერისა კაცნი: ლ 7,8
გჭონან შენ მრავალნი ცოდვანი: ძამ. სწ. 7,29
ურიცხუნი ჟამნი ჰჭონან საყდარსა მას ანჩისასა: ხანძთ. გგ$_{13}$
თქუენ გიყუარდედ მტერნი თქუენნი: ლ 6,35
ჰყვანდეს იგინი მტერთა მათ: წარტყ. ლგ$_{19}$

ასეა ეს გარდამავალი ზმნის III სერიის ფორმებთანაც:

კაცნი ჭინახუან ყოველად ქორცითა მყოფნი: ზარზმ. 155,17.

საშინელნი საქმენი მიხილეან მე: წარტყ. ლ28
სჳანი ცოდვანი მიქმნიან წინაშე უფლისა: ანტ. რავ. 96,33
მარიამს დახემარხნეს სიტყუანი ესე: ხანმ. ლ 2,19 და სხვა.

რიცხვში შეთანხმებას არა აქვს ადგილი, თუ მორფოლოგიური სუბიექტის მრავლობითი რიცხვი ნაწარმოებია -ებ ნიშნით:

აქუნ ქელთა მათთა სახეები კერპებისაჲ: კიმ. I,105,25
საყოფლად ჰაქუნდაე საფლავები: ჰაემ. მრ 5,3.

მიცემითში დასმული რეალური სუბიექტი (მორფოლოგიური ობიექტი) ვერ ითანხმებს შემასმენელს მრავლობით რიცხვში:

თქუენცა გნებავს მოწაფე ყოფად მისა: DE ი. 9,27
გინდა თქუენ წარწყმედაჲ ჩუენი: წარტყ. კა10
აქუნდა მათ მონაგებთა სიმრავლჱ: საბა ას. 4,8
თანა ჰყუანდა მათ ერთი მენავეთა მათგანი: კიმ. I,38,11
უკჳრდა ჰურიათა მათ: DE ი 7,15
ესმა მისი ორთა მათ მოწაფეთა: DE ი 1,37
მოწაფეთა მისთა შეემშია: მ 12,1...

პირველი პირის რეალური სუბიექტი (მორფოლოგიური ობიექტი) შემასმენელში აღნიშნულია მ- და გუ- პრეფიქსებით:

ჩუენ გუესმა მაგისი სიტყუაჲ: DE მრ 14,58
ვეცხლი ჩუენი სასწორითა მოგჳღებიეს: დაბ. 43,21, მაგრამ:
მაქუს ჩუენ უმტკიცჱსი საწინაწარმეტყუელოჲ სიტყუაჲ: 2 პეტრე, 1,19

მიცემითში დასმული რეალური სუბიექტი, რომელიც მორფოლოგიური ობიექტია შესიტყვებაში, გვაქვს გარდამავალი ზმნის მესამე სერიისა და ზოგი გარდაუვალი ზმნის ფორმებთან. იგი ძველ ქართულშიც იგრძნობოდა როგორც მოქმედი საგანი. ინვერსია არ მომხდარა ერთბაშად და პირდაპირი წყობიდან შებრუნებულ წყობაზე გადასვლის პროცესი, რომელიც აღრეა დაწყებული, ჯერ დევ არ დამთავრებულა.

აღნიშნულია, რომ „გარდამავალ ზმნებთან დატიური კონსტრუქცია უფრო ახალია. ვინევ ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციები... დატიური კონსტრუქცია გარდაუვალ ზმნებთანაც გვაქვს. ეს გარდაუვალი ზმნები ინვერსიული ზმნებია (მას აქვს, ჰყავს, უყვარს, სძულს, სწადს, სწყურის... იგი). ეს ზმნები დიდი სიძველისაა; მათთან დატიური კონსტრუქცია გაცილებით უფრო ძვე-

ლია, ვინემ ნომინატიური და ერგატივი კონსტრუქცია იმავე გარდამავალი ზმნებისა“[39].

ინვერსიის ისტორიისათვის მნიშვნელობა აქვს მიცემითში დასმული სახელის მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმებას, მაგრამ ძველ ქართულში ასეთი სახელის რიცხვი არ აღინიშნებოდა. არ აღინიშნებოდა არც მაშინ, როდესაც გარდამავალი ზმნა-შემასმენელი მესამე სერიაში იყო და არც მაშინ, როდესაც გვქონდა გრძნობის გამომხატველი შემასმენლები. ასეთ შემასმენელს მრავლობით რიცხვში ითანხმებდა მეორე სახელი, რომელიც სახელობით ბრუნვაში იყო დასმული და მორფოლოგიურ სუბიექტს წარმოადგენდა[40].

მიცემითში დასმული სახელის მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმება ახალი მოვლენაა, მას სულ ოთხიოდე საუკუნის ისტორია აქვს: დათარიღებული დოკუმენტების ენის შესწავლით ცხადი ხდება, რომ მიცემითში დასმული სახელის მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმების შემთხვევები გვაქვს მეთექვსმეტე საუკუნიდან და არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს პროცესი ცოცხალ მეტყველებაში დაწყებულია გაცილებით უფრო ადრე[41]. მაგალითად, 1573 წლის ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „საყველაურო საკომლოზე ღიტრა ერბო, თორმეტი კვერცხი... უნდა მიართვან..., რომელიც სხვა ეკლესიის ყმათ აძევსთ“[42] (დოკ. № 9), შდრ. „მშვიდობით გაკმაროსთ ჩუენი ალალი მამული“ (1565 წლის საბუთი, იქვე, დოკ. № 7).

მიცემითში დასმული სახელის მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმების მოვლენები უკვე ერთეული შემთხვევებით არ განისაზღვრება ამ პერიოდისათვის, ამიტომ შესაძლებელია მივუთითოთ რამდენიმე ტიპიურ მაგალითზე:

---

[39] არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა... გვ. 5.

[40] ქვემდებარე-შემასმენლისა და დამატება-შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობა დაწვრილებით მიმოხილულია არნ. ჩიქობავას ცნობილ გამოკვლევებში: მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში; რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? ჟურნ. „ახალ სკოლისაკენ“, 1929, № 11—12, გვ. 73—91; „კულტურული აღმშენებლობა“, 1930, № 5, გვ. 487—503. № 7—8, გვ. 705—741 და სხვა.

[41] ა. კიზირია, ქვემდებარე და დამატება ახალ ქართულში: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, V, 1953, გვ. 25; მისივე: სინტაქსური ურთიერთობის სახეობათა განვითარებისათვის ქართულში: თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1954, გვ. 129—130.

[42] დოკუმენტები საქართველოს სოც. ისტორიიდან, I, პროფ. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ქვემოთ მივუთითებთ შემოკლებით.

„აზნაურიშვილი და გლეხი ჩუენს საბატონოში ჩამოსულიყუენეს და ღოღევს დაესახლებინათ და, რაც ხატი და ჯვარი ყოფილიყო, თქუენს ტაძარში დაესვენებინათ“: 1645 წლის საბუთი, დოკ. გვ. 29.

და ასე:

ასრე უთქვამსთ პირველ მეცნიერთა: შნ 420,3
ბრძენთ უთქვამთ: ქილ. 83,27
ჩემი უსამართლობა დაუსახავთ: იქვე, 172,16
ურჩევიათ უფროსთა: რუს. 229,19...

ახალი ქართულის ადრინდელ ძეგლებში მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის მიერ შემასმენლის შეთანხმება რიცხვში გვაქვს მაშინაც, როდესაც მორფოლოგიური სუბიექტიცა და მორფოლოგიური ობიექტიც მრავლობით რიცხვშია:

მეფენი მაღლის მთისათვის შეუდარებიათ: ქილ. 58,2
გზანი ვერცხლის აგურით მოეფიქლათ: რუს. 480,6.

განცდათა აღმნიშვნელ ზმნებთან, როგორიცაა: სტკივა, ეკვირვება, უკვირს, ეუცხოვება, მოსწონს, ესმის, ეძნელება, უნდა და მისთ[43]., შეთანხმება ჩვეულებრივ გვაქვს:

დევთა... მეტად გაუკვირდათ: რუს. 288,16
ჰაეჰაეთა ესე სიტყუა მოეწონათ: ქილ. 76,14
უკვირდათ მათ ქელმწიფისა საროვითა ტანი: შნ 392,35
ქონდაყე ხუაშიადი მოაბადისი დიდებულთა: ვრ 20,12 და ა. შ.

იქ, სადაც შეთანხმება არ ჩანს. მიცემითში დასმული სახელის აქტიურობა მაინც იგრძნობა თუნდაც იმის შედეგად, რომ სინტაქსური ძალა მეორე სახელისა, რომელიც სახელობით ბრუნვაშია დასმული, დასუსტებულია. ამ ფაქტისათვის არაერთხელ მიუქცევიათ ყურადღება.

საინტერესოა, რომ ერთი და იგივე ზმნა-შემასმენელი ხან ხელობითში დასმულ სახელს ეთანხმება რიცხვში, ხან კიდევ მიცემითში დასმულ სახელს. და ეს ხდება ახალ ქართულში იმის მიხედვით, თუ რა კონტექსტია ამოსავალი. „შეიძლება ერთმა და იმავე ზმნამ ერთს კონტექსტში უპირატესობა მიანიჭოს სახელობითს, მეორეში კი — მიცემითს: „სტანციებში ცხენები ხშირად აკლდებათ“ (ი. ჭ. „მგზ. წერ“.). მათ აკლდებათ ცხენები — ზმნა შეთანხმებულია მიცემითთან მათ. შდრ. გაკვეთილს აკლდებიან

[43] არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა... გვ. 5.

მოწაფეები — გაკვეთილებს აკლდებიან მოწაფეები — აქ ზმნა ეთანხმება სახელობითს.

პირველს შემთხვევაში — მათ აკლდებათ ცხენები — აკლდება ინვერსიული ზმნაა, მეორე შემთხვევაში — მოწაფე აკლდება გაკვეთილს — პირდაპირი წყობა გვაქვს"[11].

სინტაქსური ურთიერთობის არათანაბარი განვითარების შედეგია ის ფაქტი, რომ გარდამავალი ხანის ქართულში შემჩნეულია შემდეგი:

1. რეალური სუბიექტის სინტაქსურ ძალას სჭარბობს მორფოლოგიური სუბიექტის სინტაქსური ძალა: ორი სახელიდან (სახ. მიც.) სახელობითში დასმული სახელი ითანხმებს შემასმენელს რიცხვში, მიცემითში დასმული — ვერ ითანხმებს.

2. რეალური სუბიექტის (მიცემითში დასმული) სინტაქსური ძალა სჭარბობს მორფოლოგიური სუბიექტის სინტაქსურ ძალას: რეალური სუბიექტი ითანხმებს შემასმენელს რიცხვში.

აქედან პირველი დამახასიათებელია ძველი ქართულისათვის, მეორე — ახალი ქართულისათვის.

მაგრამ ერთსა და იმავე დროს ორივე ამ ფორმის არსებობას აქვს თავისი საფუძველი: აქ დაცული კანონზომიერება ემყარება ენის განვითარების სპეციფიკას.

მიცემითში დასმული სახელის სინტაქსური ძალის გაფართოებას თითქოს თან დაჰყვა სახელობითში დასმული სახელის სინტაქსური ძალის შესუსტება: თანდათანობით ვრცელდება შეთანხმებული ფორმების გვერდით შეუთანხმებელი ფორმები, რაც სრულდება უკანასკნელის სრული გაბატონებით.

ქვემდებარის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნები შემასმენლად

§ 58. ქვემდებარე ფუძემონაცვლე ზმნა-შემასმენელთან. არის გარკვეული წყება ზმნებისა, რომლებიც სუბიექტთან ურთიერთობისას მხოლობითში სხვა ფუძეს იყენებენ და მრავლობითში — სხვას (ზის — სხედან...). სუპლეტურ ფუძეთა მსგავსი შენაცვლება ხდება ობიექტური პირების მიხედვითაც (განაგდო იგი — განასხნა იგინი). რიცხვში მონაცვლე ფუძეები გვხვდება მაშინაც, როდესაც სუბიექტად ან პირდაპირ ობიექტად გვაქვს კრებითი ან ნივთიერებათა სახელები, ან კიდევ რიცხვითი სახელით განსაზღვრუ-

[11] არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, II, № 6, გვ. 566.

ლი არსებითი სახელები (მაგ., ერი, კრებული... მიწა, ნაცარი, ფურცელი... წყალი, ღვნო...). მრავლობითს ამგვარი ზმნები ჩვეულებრივი წესით აწარმოებენ, დაირთავენ მრავლობითი რიცხვის სათანადო ნიშანს (სხდა ერი, სხდეს იგინი...). მრავლობითისათვის გამოყენებული ფუძე რიცხვის ნიშანს აქაც საჭიროებს[45]. ზოგი მათგანის დაკავშირება მხოლობითთან გამორიცხული არ არის, ასე, მაგალითად, ს ხ ე დ ფუძეში ძირად გამოიყოფა ხ, რომელიც მეგრულ-ჭანურში გვხვდება[46].

ფუძის მიხედვით მონაცვლეობა ხდება ცალობითს საზოგადო სახელებსა და კრებით სახელებს შორის, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მრავლობითი რიცხვის ნიშანი არ ჩანს (იგი კრებით სახელებთან არც იყო საჭირო). სუპლეტური წარმოებისას ფუძის მიხედვით საერთოა მრავლობითისა და კრებითი სახელის შემასმენლის ფუძე, განსხვავებულია მხოლობითის ფუძე (ერი ს ხ დ ა, იგინი ს ხ დ ე ს, მაგრამ: კაცი ჯ დ ა). რიცხვის ნიშნის მიხედვით კი მრავლობითი თავისი საწარმოებელი ნიშნით უპირისპირდება დანარჩენს.

მაგალითები:

ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე მ ხ ო ლ ო ო ბ ი თ შ ი ა

მარიამ სახლსა შინა ჯდა: DE ი 11,20
დაჯდა იგი ზღუს კიდესა: DE მ 13,1
დავარდა მოყუასი იგი მისი: C მ 18,29
შემდგომად მოკუდა დედაკაცია იგი: ლ 20,32.

ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე მ ხ ო ლ ო ო ბ ი თ შ ი ა. მ ა გ რ ა მ
კ რ ე ბ ი თ ო ბ ა ს ა ღ ნ ი შ ნ ა ვ ს

სხდა ერი გარემო მისსა: C მრ 3.32
ერი... სხდა ბნელსა: მ 4,16...

კრებითი სახელების ნიშნებს იძენენ ისეთი სახელებიც, რომელთაც კრებითობის გაგება შეიძლება ჰქონდეთ ან რაიმე ნივთიერებას აღნიშნავენ.

---

[45] სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ფაქტზე ყურადღება არაერთხელ ყოფილა გამახვილებული. სხვადასხვა შეხედულებათა მიმოხილვა მოცემულია ივ. ქ ა ჭ ა რ ა ძ ი ს წიგნში—ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში. ცალკეული ფაქტების განხილვა ჩვენს მიზანს არ შეადგენს.

[46] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 420; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან: ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 534—535.

მაგალითად:

არცა მატლი დაესხა მას: გამ. 16,24
იძლა ღმერთ შორის. რომელსა ესხა ფერცელი: DE მრ 11.13...

ქვემდებარე მრავლობითშია

ჩუენ მუნ დავსხედით: წარტყ. მზ5
თქუენ დასხედით ქალაქსა ამას შინა იერუსალიმსა: DE ლ 24,49
დასხდეს იგინი ზანავს: ისტ. ქრ. 267,26
ორნი ბრმანი სხდეს გზასა თანა: C მ 20.30
ვარსკულავნი გარდამოცვენ ზეცით: ნ 23,29
ორნივე მთხრებელსა შთაცვეიან: DE მ 15.14
წინაწარმეტყუელნი მოწყლეს: DE ი 8,53...

სემანტიკური გაგებაა ამოსავალი იმ შემთხვევაშიც, როდესაც მონაცვლე ზმნის სუბიექტს (ან ობიექტს) ახლავს განსაზღვრებად რიცხვითი სახელი. ამიტომ გვაქვს:

ლაბანს ესხნეს ორ ასულ: დაბ. 29,16
კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე: C ლ 15,11.

პირმიმართი დამატებები

§ 59. პირმიმართ დამატებათა გაგება. წინადადების შემადგენლობაში გვაქვს პირმიმართი (პირდაპირი და ირიბი) და პირმიუმართავი დამატებები. პირმიმართი დამატებები შემასმენელთან ურთიერთობისას ამჟღავნებენ ისეთსავე თვისებებს, რასაც ქვემდებარე: მართავენ შემასმენელს პირში, იმართვიან ბრუნვაში და გარკვეულ შემთხვევაში (მაგ., სახელობითში დასმული მრ. რიცხვის ნ ნიშნიანი დამატება) ითანხმებენ რიცხვშიც. ამის გამო ქვემდებარისა და დამატებათა სინტაქსური ძალა გათანაბრებულია, „სინტაქსური დაპირისპირება სუბიექტისა (ქვემდებარისა) და ობიექტისა (დამატებისა) მოხსნილია, დამატება ქვემდებარეს ეტოლება". ასეთი დამატება წინადადების მთავარი წევრია[47].

---

[47] არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, გვ. 263—275; რა თვისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? „კულტურული აღმშენებლობა", 1930, № 7—8, გვ. 711—741; მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში: საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, II, № 1—2, გვ. 197; ა. კიზირია, შერწყმული წინადადება ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1952, IV, გვ. 218; ქვემდებარე და დამატება ახალ ქართულში: ქართული ენისა და ლიტ-ის სწავლების. საკითხები სკოლაში, V, 1953, გვ. 28.

ქვემდებარისა და პირმიმართ დამატებათა გადმოსაცემად გამოიყენებიან არსებითი სახელი (მასდარითურთ), ზედსართავი სახელი (მიმღეობითურთ), რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი.

პირმიმართ დამატებათა ბრუნვებია მ ი ც უ მ ი თ ი (ირიბისათვის) და მ ი ც ე მ ი თ ი და ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი (პირდაპირისათვის).

დღევანდელი გაგება პირდაპირი და ირიბი დამატებებისა დამკვიდრებულია მიმდინარე საუკუნის 20-იანი წლებიდან, როდესაც გამოქვეყნდა ა. შანიძის „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (თბილისი, 1920), მისივე: „ქართული ზმნის საქცევი“[48]; არნ. ჩიქობავას „მართივი წინადადების პრობლემა ქართულში“ (თბილისი, 1928), მისივე: „რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?“[49] ვ. თოფურიას „სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით[50], მისივე: „სვანური ენა, I, ზმნა“ (თბილისი, 1931) და სხვა.

უფრო ადრე ს. გორგაძეც წინადადებაში „ბალკანეთმა ოსმალეთს ომი გამოუცხადა“ გამოყოფდა ორგვარ დამატებას: პირდაპირს („ომი“) და არაპირდაპირს („ოსმალეთს“)[51]. თანამედროვე აგებით ეს უდრის პირდაპირსა და ირიბ დამატებებს.

პირველი მიგნება დამატებათა მიერ ზმნაში პირიანობის შექმნისა იყო წინაპირობა პირდაპირი და ირიბი დამატებების ბუნების გარკვევისა ქართულში. ამას კი წინ უსწრებდა ყურადღების მიქცევა ზმნათა ორნაირ უღლილებაზე, რომელსაც საწყისი გაიოზის გრამატიკაში უნდა ჰქონდეს (1789 წ.)[52]. შემდეგ ეს გადაინერგა

---

[48] ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VI, 1926.

[49] ჟურნ. „ახალ სკოლისაკენ“, 1929, №№ 4, 9—10, 11—12; „კულტურული აღმშენებლობა“, 1930, №№ 5, 7—8.

[50] „ჩვენი მეცნიერება“, 1, 1923.

[51] ს. გ ო რ გ ა ძ ე, ქართული სადასიტყვაობა: ძველი საქართველო, IV, განყ. II, გვ. 81.

[52] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? II, „ახალ სკოლისაკენ“, № 9—10, 1929, გვ. 57.

გ ა ი ო ზ ი ს გრამატიკა დაწერილია 1789 წ. კრემენჩუკში და დაბეჭდილია დაახლოებით 1796—1800 წ. მოხდოკში.

მომდევნო გრამატიკებში, ხოლო დ. ყიფიანმა 1882 წ. გამოცემულ გრამატიკაში[53] გამოკვეთა მრავალპირიანი ზმნები[54].

მართალია, ზმნის პირთა დახასიათება მოცემული ჰქონდა ალ. ცაგარელს თავის ნაშრომში: „Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков“[55], მაგრამ აქ არაა ზმნები დაჯგუფებული სუბიექტური და ობიექტური ნიშნების მიხედვით. ეს მხარე გათვალისწინებული აქვს ნ. მარს[56].

პირდაპირი დამატება

§ 60. პირდაპირი დამატების გამოხატვის საშუალებანი. პირდაპირი დამატება შემასმენელთან რთულ სინტაქსურ ურთიერთობაში მყოფი წინადადების მთავარი წევრია და შეესაბამება ობიექტს, რომელსაც პირდაპირ ეხება ქვემდებარის მოქმედება.

პირდაპირი დამატება გვაქვს მხოლოდ გარდამავალ ზმნასთან (შემასმენელთან), იგი ბრუნვაცვალებადი სახელია და შემასმენელს შეეწყობა ხან მიცემით ბრუნვაში (როცა შემასმენლად I სერიის ფორმებია), ხან სახელობით ბრუნვაში (როცა შემასმენლად II სერიის ფორმებია). პირდაპირი დამატების ბრუნვა დამოკიდებულია აგრეთვე შემასმენელთან ქვემდებარის ურთიერთობაზე: ქვემდებარე სახელობითში — პირდაპირი დამატება მიცემითში, ქვემდებარე მოთხრობითში — პირდაპირი დამატება სახელობითში. ასეთია გარდამავალ ზმნასთან (შემასმენელთან) დაკავშირებულ სახელთა შეხამება.

სახელობითი და მიცემითი ბრუნვები თანაბრადაა გამოყენებული პირდაპირი დამატებისათვის. ეს ორი ბრუნვა განსხვავებულია საკუთარ და საზოგადო სახელებში: საზოგადო სახელი ყოველთვის ირთავს სახელობითში ბრუნვის ნიშანს, საკუთარი სახელი, როგორც

---

[53] ახალი ქართული გრამმატიკა, სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი ს ა, სანკტპეტერბურღი, 1882.

[54] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ზმნის ანალიზის ზოგი საკვანძო საკითხი, 1. პოლიპერსონალიზმის გარკვევის ისტორიიდან: „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1938, № 4—5, გვ. 41—48.

[55] ლითოგრაფიულად გამოქვეყნდა პეტერბურგში 1872 წელს, ხოლო მეორედ (სტამბურად) 1957 წ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 67, 1957.

[56] Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка, СПб., 1908; Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.

წესი, უნიშნოა. განსხვავებაა მიცემითშიც: საზოგადო სახელი ემფატიკური ხმოვნითაა, საკუთარს ემფატიკური ხმოვანი არ ახლავს.

მაგალითად:

პირდაპირ დამატებად მიცემით ბრუნვაში დასმული საზოგადო სახელია

ყოველი ესე ძკრი... შეაბილწებს კაცსა: C მრ 7,23
მრავალნი სამოსელსა მათსა დაუფენდეს გზასა ზედა: მრ 11,8
მე არცა ერთსა... ბრალსა ვჰპოებ მაგის თანა: C ი 18,38...

პირდაპირ დამატებად სახელობითში დასმული საზოგადო სახელია

იგი ფიცარი წარიკითხეს: C ი 19,20
აღაღო პირი თჳსი ფილიპე: მოც. 8,35
ყოველი სიტყუაჲ ადგილი განსაჯიან მათ: გამ. 18,26...

როგორც აღნიშნულია, სახელობითში დასმული საკუთარი სახელი აქაც, ქვემდებარის მსგავსად, შემონახულია გაუფორმებლად, ფუძის სახით.

მაგალითად:

პავლე წარიყვანა თეკლა: თეკლ. 108,1
სოლომონ შვა რობოამ: Е მ 1,7...

რიგ შემთხვევაში ძველსავე ქართულში გვაქვს სახელობითის -ი ნიშანიც და ამით საკუთარი სახელი გათანაბრებულია საზოგადო სახელებთან ახალი ქართულის მსგავსად: მაგ.: აბრაჰამ შვა ისაკი: C მ 1,2; ისაკმან შვა იაკობი: C მ 1,2 და ა. შ.

§ 61. პირდაპირი დამატების მიერ შემასმენლის შეთანხმება მრავლობით რიცხვში. სახელობითში დასმული დამატების მრავლობითი რიცხვი შემასმენელში ყოველთვის აღინიშნება, თუ იგი ნაწარმოებია -ნ (←ენ) სუფიქსით.

ამჟამად უკვე ნათელია ნ სუფიქსის წარმომავლობა და ფუნქციები[57]. საკითხისადმი ინტერესი ადრეც ვლინდება. ჯერ კიდევ 1896 წელს ქართული ენის ცნობილმა მკვლევარმა ჰ. შუხარდტმა შრომაში

[57] ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თბილისი, 1920, გვ. 26—41; ძისივე: ძველი ქართული ენა, 1948, §38; ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 442; არნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლ. სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, IX, 1929, გვ.107—119; მისივე: მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, გვ. 235—256; Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925, გვ. 119 და სხვ.

„Über den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen...“ აღნიშნა, რომ ძველ ქართულ ენაში ნ ჩვეულებრივ იხმარებოდა, როცა გრამატიკული სუბიექტი აღნიშნავდა რეალურ ობიექტს (აგრეთვე მაშინაც, როცა გრამატიკული ობიექტი აღნიშნავდა რეალურადაც ობიექტს). მაგრამ ნ სუფიქსს ჰ. შუხარდტი იმავე წყებისად მიიჩნევს, როგორიცაა -თ, ან ცოცხალ მეტყველებაში (მაგ., ინგილოურში) შემონახული -ყ(ე) ნაწილაკი, რომელიც გამოყენებულია ირიბი ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად, მაგ.: მოგცა-ყ, მისცა-ყ და ა შ.[58]

ა. ხახანაშვილი სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტის მრ. რიცხვის -ენ (‖ნ) ნიშანს აიგივებდა ენებითისეულ ნ'სთან[59].

რიცხვში შეთანხმების შემთხვევები შენიშნული ჰქონდა მ. ჯანაშვილსაც[60], მაგრამ მას ამისი ახსნა არ მოუცია.

სახელობითში დასმული პირდაპირი დამატება გვაქვს მეორე სერიის შემასმენელთან, თუ ასეთად არის გარდამავალი ზმნა.

მაგალითად:

ნამყო წყვეტილი

ქვემდებარედ მხოლობითი რიცხვის პირველი პირია. სახელობითში დასმული დამატება მრავლობით რიცხვშია. შემასმენელი შეთანხმებულია დამატებასთან:

ვიხილენ კაცნი ვინ-მე საშინელნი: წარტყ. 89
შევიყვარენ სასძეურნი შენნი: იპოლ. 3,28
ვიპოვენ ორნივე მომკუდარნი: კიმ. I,147,16, შდრ. კუალად ვპოვენით ორნი სხუანი ცოცხალნი: იქვე, 30,6.

ქვემდებარედ მეორე პირია, სახელობითში დასმული დამატება მრავლობით რიცხვშია, შემასმენელი ეთანხმება მას რიცხვში:

წარიკადენ ჭაღნი ფერჯთაგან შენთა: მოც. 7,33
რად დამივსენ სანთელნი ესე ჩემნი: ლიტ. ურთ. 182,12, შდრ. ხილენით სრბანი სიმართლისანი: იპოლ. 22,10; მიიდრიკენით გულნი თქუენნი მათდა მიმართ: წარტყ. ნ89,17.

ქვემდებარედ მესამე პირია, პირდაპირი დამატება მრ. რიცხვშია და ითანხმებს შემასმენელს რიცხვში:

---

[58] კრებ. Эргативная конструкция предложения. ე. ბოკარევის მიერ შედგენილი, არნ. ჩიქობავას შესავალი სტატიით, მოსკოვი, 1950, გვ. 72.

[59] ა. ხახანაშვილი, შენიშვნა ძველი ქართულის შესახებ: „ივერია“, 1893, № 275.

[60] მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1906, გვ. 137.

აღიპყრნა კელნი თჳსნი ზეცად წმიდამან შუშანიკ.: შუშ. V,31
წარმოასრულნა მსაჯულმან მან სიცრუესამან კაბარჭნი იგი სიტყჳსანი: კიმ. I,110,28
მამამან მისმან წარაელინნა სამოთასნი იგი სახლეულნი: იქვე, 162,11.
დაწერნა მრ.სე ყოველნი ესე სიტყუანი უფლისანი: გამ. 24,4
უანკოველებამან შეიპყრნა ყოველნი იგი დასნი მგალობელთანი: ზარზმ. 170,29.
უშჯულოთა მათ ნეტარნი იგი ყრმანი ძელსა დამოჰკიდნეს: სპეკს. 78,1—2.

კავშირებითი მეორე

ქვემდებარედ პირველი პირია, შემასმენელი შეთანხმებულია დამატებასთან მრავლობით რიცხვში:

მე მოვაელინნე თქუენდა წინაწარმეტყუელნი: DE მ 23,34
მე გიჩუენნე ყოველნი სასწაულნი ზესკნელისანი: მამ. სწ. 141,19
ადგილნი ესე წმიდათა მოწამეთანი ვიხილნეთ: წარტყ. მთ20.

ქვემდებარედ მეორე პირია, შემასმენელი რიცხვში შეთანხმებულია დამატებასთან:

მისცნე სიტყუანი ჩემნი პირსა მისსა: გამ. 4,15
ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი: DE მ 7,16
იხილნეთ ცანი განხუმულნი: ი 1,51.

ქვემდებარედ მესამე პირია, შემასმენელი რიცხვში შეთანხმებულია დამატებასთან:

სალმობამან შეიპყრნეს იგინი რისხვისაგან: იობ. 21,17
ყრმამან მცირემან დაწერნეს იგინი: ესაია, 10,19
მან თავადმან ყოველნი ბრალნი შენნი შეგინდვნეს: ხანძთ. ნეგ6.
მოწაფეთა მათ იხილნენ საქმენი ეგე: C ი 7,3.

ასეთივე მდგომარეობაა II ხოლმეობითსა და I-I ბრძანებითთანაც: შემასმენელი ყველგან ეთანხმება ქვემდებარესთან ერთად დამატებასაც.

მაგალითები:

შენის ძუმან ლომმან ღეკუნი: ისტ. ქრ. 280,3
მან უწყნის დაფარულნი გულისა ჩემისანი: ბოლნ. 55,17.

II ბრძანებითი

ფარაო დაადგინენინ ადგილთა მთავარნი ქეეყანასა ზედა: დაბ. 41,34...

რიცხვში შეთანხმება შეინიშნება მაშინაც, როცა მრავლობითი რიცხვის სახელობითში დასმული დამატება არ ჩანს, მაგრამ ივარაუდება. მოსალოდნელი იყო შეთანხმებისათვის რეალურად ყოფილიყო წარმოდგენილი დამატება, რადგანაც ითანხმებს -ნ ნიშნიანი მრავლობითი, მაგრამ ჩვეულებრივ ვერ ითანხმებს იგივე ფორმა -ებ

ნიშნით (შდრ. „დაასრულნა იესუ იგავნი“: DE მ 13,53 და „დაასრულა იესუ იგავები“: იქვე, C). შეთანხმება ამ შემთხვევაში აიხსნება მხოლოდ იმით, რომ გამოტოვებული პირდაპირი დაძატება აღიქმება, როგორც მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი იგინი, რომელიც შემასმენელს ყოველთვის ითანხმებს მრავლობით რიცხვში.

მაგალითად:

ხოლო მან შეიყუარნა: მამ. სწ. 70,12

აღიხილნა ზეცად წმიდამან მამა: Sin 52. გე. 48b, შდრ. მამა აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად: იქვე, გვ. 32b; აღიხილნა ლოტ თუალნი თჳსნი: დაბ. 13,10...

თავისებურია პირველი პირის დამატება. ამ დამატების (ობიექტის) მ- პრეფიქსი თანაბრად ერთვის როგორც ხმოვნით დაწყებულს, ასევე თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებსაც.

მაგალითად:

მომიძაგა მე სამოსელმან ჩემმან: იობ. 9.31

ერთი თქუენგანი მიმცემს მე: C ი 13,21

არა შემმოსეთ მე: მ 25,43...

ობიექტური პირველი პირის მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად ახალ ქართულში ყოველთვის გვაქვს გვ- პრეფიქსი. ძველ ქართულში მას რიცხვის აღნიშვნა არ ეკისრებოდა. რიცხვს აღნიშნავდა -ნ სუფიქსი. ეს ის -ნ არის, რომელიც გამოხატავდა სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტის მრავლობითობას. ძიცემით დამატებიან შემასმენელთან -ნ სუფიქსიც არა გვქონდა, რის შედეგადაც ერთმანეთის გვერდით იხმარებოდა ასეთი ფორმები:

მითხარ ჩუენ — გჳთხარ ჩუენ...

დამიდგინნა ჩუენ — დაგჳდგინნა ჩუენ...

მაგალითად:

მითხარ ჩუენ: C ი 1.22. შდრ. DE: გჳთხარ ჩუენ; არავინ დამიდგინნა ჩუენ: DE მ 20,7, შდრ. C: არავინ დაგჳდგინნა ჩუენ...

ამ შემთხვევაში სახელობითში დასმული დამატების მრავლობითი რიცხვი ზმნაში აღნიშნულია -ნ სუფიქსით. ამავე დროს, ერთი მხრივ მ- პრეფიქსია მხოლობითშიც და მრავლობითშიც, მეორე მხრივ კი მ- პრეფიქსს მრავლობითში ენაცვლება გუ-.

ქართველურ ენათაგან სვანურში მრ. რიცხვის აღნიშვნისას მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა შედგენილობისაა **ჩვენ**. იგი გულისხმობს **მე—შენ||თქვენ** თუ **მე—იგი||იგინი** ფორმებს. ასეა ეს მა-

შინაც, როცა ჩვენ სუბიექტად არის გამოყენებული და მაშინაც, როცა ჩვენ ობიექტია. ამის მიხედვით სვანურს ახასიათებს ი ნ კ ლ უ ზ ი უ რ ი (როცა ჩვენ=მე+შენ||თქვენ'ს) და ე ქ ს კ ლ უ ზ ი უ რ ი (როცა ჩვენ=მე+იგი||იგინი'ს) ფორმები[61].

ვ. თოფურიას 1924 წელს გამოთქმული აქვს ასეთი მოსაზრება: ძველი ქართულის გუ- პრეფიქსი შეიძლება დაიშალოს გ-დ და უ-დ, რომელიც უნდა იყოს მ-ანთან სუბსტიტუციით მიღებული. ე. ი. გუ=O₂+O₁: „შენ||თქუენ+მე“[62]. შემდეგ ეს მოსაზრება დასაბუთებულია „სვანურ ენაში“, სადაც ვკითხულობთ: „მრ. რ. ქართ. მ- შეიცავს ალბათ „მე“ და „იგი, მას“||„იგინი, მათ“ ობიექტებს. პირველის ნიშანია მ-, მეორისა O (ნული) და ჰ-. გუ-ს მსგავსად ჯერ III პ. ფორმანტია მოსალოდნელი, შემდეგ I-ის: *Ომ- ან *ჰმ-. ნულისა და მ-ს თავმოყრა, რა თქმა უნდა, მ'ს მოგვცემს. *ჰმ კი ჰ'ს დაკარგვით ისევ მ'ს“[63].

ამ საკითხს სპეციალურად შეეხო კ. დონდუა[64]. მისი აზრით, „ძველ ქართულში უეჭველად შემონახულია ინკლუზივისა და ექსკლუზივის მორფოლოგიური სხვაობის კვალი“[65], სადაც გუ- პრეფიქსი ინკლუზივისაა, მ- ექსკლუზივისა, აქედან „გუ- პრეფიქსი უფრო ხშირად გვხვდება შედარებით უძველეს ძეგლებში“[66].

კ. დონდუა ამავე დროს გაბაზავს: „ის ფაქტი, რომ მეგრულსა და ჭანურ ენებს ობიექტური წყობის ზმნებში აქვს სპეციალური სუფიქსი მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად (-ან). საეჭვოდ ხდის აზრს, თითქოს ძველი ქართულის მრავლობითი რიცხვის (პირველი პირის) ობიექტური პრეფიქსი შედგენილი იყოს, ორობიექტურ. სახელდობრ თითქოს ის შეიცავდეს მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსს ჰ-ს და პირველი პირის ობიექტურ პრეფიქსს მ-ს (გ← ჰმ)“[67]

---

[61] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 171; მისივე: ორგვარი ფორმა მრავლობითი რიცხვის პირველი პირისა სვანურში: წელიწდეული, I—II, 1923—1924, გვ. 373—374; უმლაუტი სვანურში: არილი, 1925, გვ. 190; ვ. თოფურია, სვანური ენა, თბილისი, 1931, გვ. 1—34.

[62] ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების 1924 წლის 4 ნოემბრის სხდომის ოქმი № 23: წელიწდეული, გვ. 374.

[63] ვ. თოფურია, სვანური ენა, I, 1931, გვ. 27.

[64] К. Д. Дондуа, Категория инклюзива-эксклюзива в сванском и ее следы в древнегрузинском: კრებული „Памяти акад. Н. Я. Марра“, 1938, გვ. 134—151; მისივე: ფურცლები კავკასიური ენათმეცნიერების ისტორიიდან: თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 53, 1954, გვ. 149—156.

[65] იქვე, გვ. 144.

[66] იქვე, გვ. 145.

[67] იქვე, გვ. 147.

„პირველი პირის ობიექტური პრეფიქსი მრავლობითში სულ ერთია, მ- იყოს გინდა გუ... მრავლობითის კატეგორიას არ აღნიშნავს"[68].

ნ. მარი „ძველი ქართული ლიტერატურული ენის გრამატიკაში" აღნიშნავდა: „მრავლობითი რიცხვის პირველი ობიექტური პირისათვის არსებობს ორი ძირი: ნაცვალსახელური მ ძირის გვერდით, რომელიც მეორდება ორივე რიცხვში, არსებობს სპეციალური მრავლობითის ნაცვალსახელური ფუძე გუ- ← გ-ეკ)"[69].

უფრო ადრეც მიაქცია ნ. მარმა ყურადღება ორი პარალელური პრეფიქსის მ- და გუ-ს არსებობას (მყვენ ჩუენ, მოგუხედენ ჩუენ) და აქედან პირველი მიიჩნია ლიტერატურულად, მეორე — ვულგარულად[70].

ამ შეხედულებათა მიხედვით 1. ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმების კვალი შემონახულია ძველ ქართულში (ა. შანიძე, ვ. თოფურია, კ. დონდუა); 2. გუ- პრეფიქსი მოიცავს O_2 გ და O_1 მ→ უ ნიშნებს, ხოლო მ-—O_3 ჰ-სა (ან ნულს) და O_1 ვ-ს: გუ-=გ+მ→ უ, მ-=ჰ+მ (ან 0+მ) (ა. შანიძე, ვ. თოფურია); 3. პრეფიქსები გუ- და მ- არაა შედგენილი, ორობიექტური (კ. დონდუა).

1946 წ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების" I ტომში გამოქვეყნდა არნ. ჩიქობავას შრომა „მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღლილების სისტემაში" გვ. (91—130).

ავტორის ძირითადი დასკვნები ასეთია:

1. ძველ ქართულში გუ- პრეფიქსი არაა მრავლობითის პირველი პირის პრეფიქსი, როცა ეს პირველი პირი სახელობითშია (გვ. 100). იგი არც მიცემითში დასმულ ობიექტთან **(ჩუენ)** იქნება ამ ფუნქციის მქონე (იქვე)... ძველი ქართულის გან-**გუ**-აბლ-ნ-ა ტიპის წარმოების ანალიზი ამთავითვე გამორიცხავს იმასაც, რომ გუ- მრავლობითის აღმნიშვნელად დავსახოთ, და იმასაც, რომ მას მრ. პირველი პირის ი ნ კ ლ უ ზ ი უ რ ი გაგება დავაკისროთ (გვ. 101).

გუ- პრეფიქსი მრავლობითის ნიშანი ისევე არ ყოფილა ძვ. ქართულში, როგორც მ-: თუ ჩუენ ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ს ფუნქციით

---

[68] ფურცლები კავკასიური ენათმეცნიერების ისტორიიდან... გვ. 152.

[69] Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925, გვ. 92.

[70] წამებაჲ წმიდათა ბოწამეთაჲ სპევსიპჷსი, ელასიპჷსი და მელასიპჷსი სოფელსა კაბადუკიელთასა, გამოცემული ნ. მარის მიერ: Записки Восточного отделения Императорского Русского Археологического Общества, 1906, т. XVII, ნაკვ. 2—3, გვ. 295.

იყო ნახმარი, მისი მრავლობითობა ყოველთვის აღინიშნებოდა. მაგრამ სუფიქსით (გან-გუ-აახლ-ნ-ა მან ჩუენ): სულ ერთი იყო მ- პრეფიქსს ვიხმარდით, თუ გუ- პრეფიქსს.

თუ ჩუენ მიცემითის ფუნქციით იყო აღჭურვილი, მისი მრავლობითობა აღუნიშვნელი რჩებოდა ისევე, როგორც თქუენ, მათ ნაცვალსახელთა (მიც. აქუს მათ, გ-აქუს თქუენ, მ-აქუს || გუაქუს ჩუენ (გვ. 113).

2. გუ- სხვა კილოს კუთვნილებაა. ეს კილო ქართული სალიტერატურო ენის აღნაგობაში ერთი უძველესი ინგრედიენტია. მისი ფაქტები სვანურის მორფოლოგიაშიც მთელს შრეს ქმნის. — საზიაროა ქართულისა და სვანურისათვის (მაგრამ უცხოა ზანურისათვის) (გვ. 106).

3. გუ- ელემენტი ძველი კუთვნილებაა სალიტერატურო ქართულისა, გაცილებით უფრო ძველი, ვინემ „მაქუს ჩუენ“ ტიპი (გვ. 106).

4. გ- ფონეტიკური დანართი ჩანს. ბაგისმიერ ვ (უ)-ს წინ ფონეტიკური დანართის სახით გვხვდება გ. ღ. ჭ უკანაენისმიერი თანხმოვნები[71] (მაგ. შდრ. ძველი ქართული გუალე (იარე) და ვალ.. წარ-ვალ-ს..., სვან. ღვაჟ, ქართ. ვაჟი; ქართ. ქვიშნა, რუს. вишня, თურქ. višne; ლიტერ. ნივთი და ზემოიმერული ნიქვთი, ასევე: ავტო-აქტო და ა.შ.) (გვ. 125).

ასეთია ამ პრეფიქსთა შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი ჩვენს საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

ამგვარად, სახელობითში დასმული მრ. ობიექტური პირველი პირი ითანხმებს შემასმენელს რიცხვში და აჩენს -ნ ნიშანს:

უფალმან სახიერმან მიმცნა ჩუენ სწავლასა: წარტყ. კბ30
მან პირველად შემიყუარნა ჩუენ: 1 ი 4.10Ჭ[1]
მან მიხილნა ჩუენ: კრ. I,165,30
განმარინნეს ჩუენ: წარტყ. ღგ.

მაგრამ -ნ სუფიქსის გვერდით რიცხვის აღნიშვნის სარბიელზე გამოდის სრულიად სხვა დანიშნულების გუ- პრეფიქსიც, რომელიც -ნ სუფიქსის ფუნქციის მოშლის შემდეგ რიცხვის აღსანიშნავად გამოიყენება.

---

[71] ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, V: ენიმკის მოამბე, X, 1941, გვ. 231—235.

მაგალითად:

წარგუაელინნა ჩუენ ბერმან: კიმ. I,23,34
დაგუაშურვნა .სიურცხვნემან ელიანოს უღმრთოჲასამან: კიმ. 11,35,25
გჳხილნეს ჩუენ კაცთა მისთა: ხანძთ. კგვ...

მიცემითის ჩუენ დამატებაც ზმნაში წარმოდგენილია მ- ან გუ-პრეფიქსებით და გვაქვს:

ნუ შემიყუანებ ჩუენ განსაცდელსა: ლ 11,4; DE მ 6,13, შდრ. C: ნუ შეგჳყუანებ ჩუენ განსაცდელსა
ნე მიგუაელენ ჩუენ სიღრმესა მას უფსკრულთასა: კიმ. I,191,10 და ა. შ.

მეორე პირის ობიექტის ნიშანია გ- პრეფიქსი. იგი, როგორც პირის ნიშანი, საზიაროა ორივე რიცხვისათვის. აქაც მიცემითში და სახელობითში დასმული დამატებები ერთნაირია პირის ნიშნების მიხედვით, განსხვავებულია რიცხვის გამოხატვით: სახელობითში დასმული დამატება ითანხმებს შემასმენელს რიცხვში, მიცემითში დასმული — ვერ ითანხმებს.

მაგალითად:

მხოლობითში გვაქვს:

სოფელმან შენ არა გიცნა: ი 17,25
მსაჯულმან მიგცეს შენ სეფე-კაცსა: ლ 12.58
მრავალსა ზედა დაგადგინო შენ: მ 25,21 და ა. შ.

მრავლობით რიცხვში შეთანხმებისას კი თქუენ პირდაპირ დამატებას ისეთივე ძალა აქვს, როგორიც მრავლობითი რიცხვის -ნ ნიშნიან დამატებას.

მაგალითად:

ნამყო წყვეტილი

ქვემდებარედ პირველი პირია, დამატებად — მეორე:

მე გამოგირჩიენ თქუენ: ი 15,16
მე შეგიყუარენ თქუენ: ი 15,12...

ქვემდებარედ მესამე პირია, დამატებად — მეორე:

დაგიცვნა თქუენ ღმერთმან: წარტყ. ნზ$_{20}$
ეშმაკმან გამოგითხოვნა თქუენ: ლ 22,31
ამისთჳს მიგცნა თქუენ კელთა მტერთა თქუენთასა: წარტყ. ლღ$_{30}$...

კავშირებითი მეორე

ქვემდებარედ პირველი პირია:

გუენე თქუენ მესათხეველე კაცთა: DE მრ 1,17
მე განგათავისუფლნე თქუენ კრებულთა ამათგან: კიმ. 11,55,22
კუალად გიხილნე თქუენ: DE ი 16,22.

ქვემდებარედ მესამე პირია:

ძემან თქუენ განგათავისუფლნეს: DE ი 8,36
შიშმან მისმან შეგაძრწუნნეს თქუენ: იობ. 13,11,

მაგრამ:

სოფელმან თქუენ მოგიძულოს: C ი 15,18

მიცემითში დასმული მეორე პირის დამატება შემასმენელს ვერ ითანხმებს მრავლობით რიცხვში:

მე წარგავლინებ თქუენ: კიმ. I,107,14
აჰა ესერა მე მიგავლინებ თქუენ: მ 10,16...

§ 62. რიცხვში შეთანხმების დარღვევა. სახელობითში დასმული -ნ ნიშნიანი მრ. რიცხვის პირდაპირი დამატების მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმება საერთო წესი იყო ძველ ქართულში, მაგრამ შენიშნულია შეუთანხმებელი ფორმებიც[72].

მაგალითად:

არა პოვოს კელმან მისმან წყვილნი გურიტნი: ლევიტ. 5,11
შეწიროს მსხუერპლსა მას ზედა ქებისასა პურნი: იქვე, 7,2
მოსცა მათ უფალმან ორნი შვილნი: ლიტ. ურთ. 178,14
დასდვა მათ ზედა კელნი თჳსნი: D მ 19,15...

ახალ ქართულში დამკვიდრდა შეუთანხმებელი ფორმები. ცოცხალ მეტყველებაში იგი ადრე ჩაისახა, მაგრამ თითო-ოროლა შემთხვევა ძველი ქართულის დამახასიათებლად მაინც ვერ ჩაითვლება.

§ 63. -ებ ნიშნიანი მრავლობითი რიცხვი პირდაპირ დამატებად. -ებ ნიშნიანი მრავლობითი რიცხვის სახელობითში დასმული პირდაპირი დამატება შემასმენელს ვერ ითანხმებდა რიცხვში.

მაგალითად:

მისცა მათ იოსებ ურმები ბრძანებისაებრ მეფისა ფარაონისა: დაბ. 45,21
სოფელმან ამან დაიტია აღწერილი წიგნები: DE ი 21,25
მთავარმან მან... დაკლა საკლეელები: ლიტ. ურთ. 138,10
აღიღეს ქვები ჰურაათა მათ: DE ი 8,59
მოადგინეს მათ ნავები: DE ი 6,24...

შეთანხმების ჩასახვა აქაც მოხდა, მაგრამ ენამ იგი ვერ შეითვისა.

შეთანხმებული ფორმები მოგვაგონებს -ნ ნიშნიანი მრავლობითი რიცხვის სახელობითში დასმული დამატების მიერ შემასმენლის შეთანხმებას.

მაგალითად:

შთანთქნა კუერთხმან აპრონისმან კუერთხები იგი მათი: გამ. 7,12

---

[72] არნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი... გვ. 115.

განასხნა სულები იგი სიტყჳთ: C მ 8,16
განწმიდნა კაცები იგი: კიმ. I,191,25
გარდავიხედენით გუამები იგი მოწამეთაჲ: იქვე. 42,10
გამოჰკადენით საყურები ოქროჲსაჲ ყურთაგან ცოლთა თქუენთაჲსა: გამ. 32,2
დაარღჳნეს სახლები ისრაჱლისაჲ: ესაია. 22,10
დაჰფლნეს ქრისტეანეთა იდუმალ გუამები იგი: კიმ. II.25.25
ტაკუაკები მათი დაამკუნა: კიმ. I,190,33, შდრ. ტაბლები ოჲ დაამკუა: ი 2.15
დაკლნიან ყოველად დასაწუველები იგი: ლევიტ. 6.32
კრძელ ყენიან ფესუები სამოსლისა მათისაჲ: D მ 23,5[73].

მიცემითში დასმული პირდაპირი დამატების რიცხვი შემასმენელში არ აღინიშნება არც მაშინ, როდესაც მრავლობითი რიცხვი წარმოებულია -თ ნიშნით და არც მაშინ, როცა მრავლობითს -ებ ნიშანი აწარმოებს: -თ და -ებ თანაბარუფლებიანია მიცემითში დასმულ სახელზე დართვისას: ორივე შემთხვევაში შემასმენელი შეუთანხმებელია დამატებასთან.

მაგალითები:

აღაშენებთ საფლავთა წინაწარმეტყუელთასა: DE მ 23,29, შდრ C: აშენებთ თქუენ საფლავებსა მას წინაწარმეტყუელთასა; თქუენ საფლავაჲ მათთა აღაშენებთ: DE ლ 11,48; თქუენ საფლავებსა მათსა აშენებთ: იქვე. C.

სხუანი რტოთა მოჰკაფდეს: DE მრ 11,8, შდრ. C: სხუანი რტოებსა მოჰკაფდეს.

გამომითარგმანებდა ჩუენ წიგნთა: DE ლ 24,32, შდრ. C: განგჳმარტებდა ჩუენ წიგნებსა.

დამატების მიხედვით რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნები შემასმენლად

§ 64. პირდაპირი დამატება ფუძემონაცვლე ზმნა-შემასმენელთან. პირდაპირი დამატების რიცხვის მიხედვით მონაცვლე შემასმენლები რიგ თავისებურებებს ამჟღავნებენ:

---

[73] თანამედროვე ცოცხალი კილოებიდან მსგავსი მოვლენა შენიშნულია თუშურში. თ. უთურგაიძე. თუშური კილო, თბილისი, 1960, გვ. 65.

ერთგვარდამატებებიან შერწყმულ წინადადებაშიც სახელობითში დასმულ პირდაპირ დამატებებს ხოგჯერ შესწევთ უნარი შემასმენელი შეითანხმონ მრავლობით რიცხვში, მაგ., „მჳედართა... პიროს უშჯულოჲ და მარტინა და ძე მისი განდეგნეს ქალაქისაგან": კიმ. I, 68, 19. ამით აიხსნება მრ. რიცხვში შეთანხმება ასეთ შემთხვევაში: „მაშინ მიავლინნა ევდოკია წმიდისა მის კოზმან ჯ̃რის მცველი და ანასტასი მის თანა": Sin. 43, გვ. 65 Ა, შდრ. გამოყარნა ღელვამან ხოჯსამან კაცად-კაცადი": Sin. 52, გვ. 96 ბ. ამ შემთხვევაში შინაარსობლივი შეთანხმებაა.

1. -ნ ნიშნიანი პირდაპირი დამატება სუპლეტურ ზმნათა ფუძის მონაცვლეობასთან ერთად აჩენს ზმნაში მრავლობითი რიცხვის ნიშანს (დადვა იგი — დასხნა იგინი).

2. -ებ ნიშნიანი მრავლობითიც ზმნის ფუძის ცვალებადობასთან ერთად ზოგჯერ აჩენს რიცხვის ნიშანსაც (მან განაგდო კაცი — განასხა კაცები || განასხნა კაცები)[74].

3. მონაცვლეობას იწვევს ნივთიერებათა აღმნიშვნელი (ან შინაარსობლივად მრავლის გამომხატველი) არსებითი სახელიც (დაასხა ვენაჯი, დაასხა ნაცარი...).

მონაცვლე ფუძეთა შეპირისპირება ასეთ სურათს იძლევა:

მხოლობითი	მრავლობითი
დადვა იგი ახალსა მას მისსა საფლავსა: DE მ 27,60; დადვა ორი მწუღილი: ღ 21,2.	დასხნეს იგინი ფერკთა თანა იესუასთა: DE მ 15,30; დასხნა ორნი მწუღილნი: DE მრ 12,42.
დასდეა მათ ზედა კელი თჳსი: DE მ 19,15; სნეულთა კელი დასდეა: მრ. 6,5.	დაასხნა კელნი მას ზედა: DE ღ 13,13; დაასხნა კელნი თუალთა მისთა: DE მრ 8,25.
მოიღო გუამი იგი მისი იოსებ: DE მ 27,59; მოიღო იესუ ხუთი იგი პური: DE მ 14,19; მოიღო პური იგი იესუ: C ი 6,11.	მოიხუნა ჴორცნი იგი იოსეფ: C მ 27,59; მოიხუნა შჳდნი იგი პურნი: მრ 8,6: მოიხუნა პურნი იგი იესუ: DE ი 6,11.
ამას მეკარემან განუღის: DE ი 10,3.	განუხუნა იოსებ ყოველნი საუნჯენი იფქლისანი: დაბ. 41,56.
აღიღო ცხედარი თჳსი: DE მრ 2,12	აღიხუნეს სანთელნი მათნი: C მ 25,3.
განჴადა ეშმაკი იგი: DE მ 9,33.	ეშმაკნი მრავალნი განასხნა: DE მრ 1,34, შდრ. ეშმაკნი მრავალნი განჴადნა: C.
განაგდეს იგი გარეშე საყურძენსა მას: C მრ 12,8.	ეშმაკნი მრავალნი განასხნეს: DE მრ 6,13.
ლაზარეცა მოკლეს: C ი 12,10.	მამათა თჳენთა მოწყჳდნეს იგინი: ღ 11,47.

ფუძის მონაცვლეობა არაა გამორიცხული მაშინაც, როდესაც პირდაპირ დამატებად არის მრ. რიცხვის -ებ ნიშნიანი სახელი.

მაგ.:

დასუთ კაცი ეგე, მაგრამ: დასხით კაცები ესე: E ი 6,10;
დაასხით კაცები ესე: იქვე, D; დასხით კაცები ეგე: CE ღ 9,14;
დაასხით კაცები ეგე: იქვე, D.

ჰეროდე... მოწყჳდა ყოველი ყრმები: C მ 2,16, შდრ. განახსნა სულები იგი სიტყჳთ: C მ 8,16; განასხნა სულები იგი უკეთური სიტყჳთ: D.

---

[74] ავტორის: -ებ ნიშნიანი მრავლობითი რიცხვის სინტაქსური ძალისათვის ძველ ქართულში... გვ. 37.

მაგრამ მონაცვლეობა არა გვაქვს ღ ძირიან ზმნებში:

აღიღეს ქვები ჰურიათა მათ: DE ი 8,59
წარიღეს ყოველი ცხენები სოდომისაჲ: დაბ. 14,11.

ფუძის მონაცვლეობას იწვევს მრცემით ბრუნვაში დასმული პირდაპირი დამატებაც:

მე განვასხამ ეშმაკთა: DE ღ 13,32
ეშმაკი ეშმაკთა განასხამს: DE მ 12,26.

მონაცვლეობა ხდება სხვა შემთხვევაშიც:

კაცმან ვინმე დაასხა ვენაკი: მრ 12,1; ლ 20,9
ხოლო მან გამოასხა ყოველი: C მრ 5,40
საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ.: შუშ. IV,18.

ირიბი დამატება

§ 65. ირიბი დამატების გამოხატვის საშუალებანი. ირიბი დამატება შეეწყობა ორპირიან გარდაუვალ და სამპირიან გარდამავალ ზმნებს (შემასმენლებს). მისი ბრუნვაა მიცემითი. იგი, როგორც წინადადების მთავარი წევრი, შემასმენელთან რთულ სინტაქსურ ურთიერთობაშია და შეესაბამება ობიექტს, რომელსაც პირდაპირ არ ეხება ქვემდებარის მოქმედება.

შემასმენელი იცვლება ირიბი დამატების პირის მიხედვითაც. მისი ნიშანია პირველი პირისათვის მ-, მეორე პირისათვის გ-, მესამე პირისათვის ხ- (ხანმ. ძეგლებში), ჰ- (ჰაემ. ძეგლებში და შემდგომ) და ს- (გარდამავალი საფეხურისათვის — ჱს-). მესამე პირის ხ- და ჰ- ნიშნები იხმარებოდა თანხმოვნების წინაც და ხმოვნების წინაც.

პირველი პირის ირიბი დამატება შემასმენელში აღინიშნება მ- პრეფიქსით:

მომეც მე აქა ლაკლითა თავი იოვანჱსი: ჰაემ. მ 14,8
არავინ თქუენგანი მკითხავს მე: ი 16,5
შენ შემომიდეგ მე: C მ 8,22
დამასხა მე ამან ნელსაცხებელი ესე: C მ 26,12 და სხვა.

§ 66. ირიბი დამატება და შემასმენლის რიცხვი. ჩუენ ნაცვალსახელით წარმოდგენილი მრავლობითი რიცხვი საგანგებო რიცხვის ნიშანს ვერ აჩენს, ობიექტურ პრეფიქსებად კი გვაქვს მ- და გუ-. პირველი საერთოა მხოლობით რიცხვთან, მეორე — მხოლობით რიცხვთან არ გვხვდება და შემასმენელს წარმოგვიდგენს მრაელობით რიცხვში.

მაგალითად:

პური ესე ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს: DE მ 6,11

უფალო, მარადის მომეც ჩუენ პური ესე: DE ი 6,34, შდრ. C: უფალო, ვუეც ჩუენ პური იგი ყოველსა ჟამსა.
მიჩუენე ჩუენ მამაჲ შენი? DE ი 14,9, შდრ. C: გუჩუენე ჩუენ მამაჲ?
მოსე ესრეთ დამიწერა ჩუენ: DE მრ 12,19, შდრ. C: მოსე დაგუწერა ჩუენ...

მეორე პირის ირიბი ობიექტის (ირიბი დამატების) ნიშანია გ- პრეფიქსი. რიცხვის მიხედვით შემასმენელთან შეთანხმება არა გვაქვს:

ირიბი დამატებაა შენ

მე გიბრძანებ შენ განსლვად მაგისგან: DE მრ 9,25
ძალი მაღლისაჲ გფარვიდეს შენ: ღ 1,35
ვინ მოგცა შენ ქელმწიფებაჲ ესე? მ 21,23...

ირიბი დამატებაა **თქუენ**, ქვემდებარედ არის პირველი პირი:

ანმყო

აჰა ესერა გახარებ თქუენ სიხარულსა დიდსა: DE ღ 2,10
მე აღგითქუამ თქუენ: ღ 22,29
მე გაუწყებ თქუენ: ანტ. რაე. 95,28
ესე არს ქრისტე, რომელსა მე გახარებ თქუენ: მოც. Ც 17,3, შდრ. Ქ: გახარებთ.

ნამყო წყვეტილი

აჰა ეგერა გარქუ თქუენ: ხანმ. მ 28,7
მრაჳალი საქმჱ კეთილი გიჩუენე თქუენ მამისაგან ჩემისა: ი 10,32
[მე] გარქუ თქუენ: DC ი 6,36, შდრ. E: გარქუთ.

კავშირებითი მეორე

აწ მიგცე მე თქუენ ეცხლი დიდძალი: თეკლ. 97,31
ხოლო ამიერითგან გაუწყო თქუენ: წარტყ. მე,
გჳთხო თქუენ მეცა სიტყუაჲ ერთი: DE მრ 11,29
და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი: შუშ. 1,7.

ამ მაგალითებიდან ჩვენს ყურადღებას იქცევს „მე გახარებთ თქუენ“ (მოც. Ქ17,3) და „მე გარქუთ თქუენ“ (E ი 6,36). ძველ ქართულში მას კალმის შეცდომად ჩავთვლიდით, რომ იგი ნორმად არ იყოს ქცეული ახალ ქართულში. ადრიდანვე მას დასაბამი უნდა ჰქონდეს ცოცხალ მეტყველებაში.

ირიბი დამატებაა **თქუენ**, ქვემდებარედ არის მესამე პირი:

ანმყო

გიბრძანებს თქუენ მოაჯარი სოფლისაჲ: ლიტ. ურთ. 137,1.

ნამყო წყვეტილი

ვინ გიჩუენა თქუენ სიელტოლაჲ: მ 3,7.

კავშირებითი მეორე

მან გიჩუენოს თქუენ ქორი დაგებული დიდი: DE ღ 22,12
მოგცეს თქუენ თავადმან უფალმან სასწაული: ესაია, 7,14.

მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმების შესწავლით დადგინდა, რომ -თ სუფიქსი მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობის გამოსახატავად გვხვდება XVI საუკუნიდან. საფიქრებელია, რომ ასეთი ფორმები ჩასახული იყო უფრო ადრეც. ყოველ შემთხვევაში იგი ფეხმოკიდებული უნდა ყოფილიყო ცოცხალ მეტყველებაში, უფრო კი აღმოსავლურ დიალექტებში. ამით აიხსნება მიცემითში დასმული დამატების მიერ შემასმენლის შეთანხმება რიცხვში, რომელსაც ვხვდებით XV—XVI სს. დათარიღებულ დოკუმენტებში.

მაგალითად:

ესე წიგნი გ კ ა დ რ ე თ თ ქ უ ე ნ... მე მანგლელ-თფილელ მთავარებისკოპოსმან იოვანე: თ. ყორდანია, ქრონიკები, II,239, 1421—1435 წწ. საბუთი.

მე ესე საერთგულო წიგნი მ ო გ ა კ ს ე ნ ე თ: იქვე
ღმერთმან მშჳდობით გ ა კ მ ა რ ო ს თ ჩუენი ალალი მამული: 1565 წლის საბუთი, დოკ. საქ. სოც. ისტორიიდან, I, გვ. 7...

შეთანხმების შემთხვევები უფრო და უფრო დასტურდება შემდგომი პერიოდის ქართულში.

მესამე პირის ირიბი დამატების მრავლობითი რიცხვი საერთოდ არ აღინიშნებოდა შემასმენელში:

ხუბრძანა მათ იესუ: ხანმ. მ 28,16
არა ჰუკმს ცოცხალთა მკურნალი: ჰაემ. მრ 2,17
მე მიეჰსცენ მათ სიტყუანი შენნი: DE ი 17,14
მისცა მოწაფეთა თჳსთა პური იგი: მ 14,19
თავადმან უბრძანა მათ: ღ 8,32.

§ 67. დამატებათა საკითხი ზმნის პირის ცვალებადობასთან დაკავშირებით. წინადადების წევრთაგან უძველესია წინადადების მთავარი წევრები (შემასმენელი, ქვემდებარე, პირმიმართი დამატებები). მიუხედავად ამისა, რიგ შემთხვევაში ენის განვითარების მანძილზე ცვლილება აქაც შეინიშნება. ეს ცვლილება ემყარება ზმნის პიოთა ცვალებადობას და შეპირობებულია ახალი პირის გაჩენით ან არსებულის დაკარგვით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ისტორიის მანძილზე სამპირიანი ზმნა შეიძლება ორპირიანად იქცეს, ორპირიანი--

ერთპირიანად, ან პირიქით, იმის მიხედვით, თუ რა ახალი ნიუანსი შეიძინა მან. მაგალითად, აგებულებიდან ჩანს, რომ უძველეს ქართულში ზმნები: შ ე ხ ვ ე დ ნ ა, მ ო უ წ ო დ ა, ა ი ძ უ ლ ა... საჭ-პირიანებია, მაგრამ დაუკარგავთ პირდაპირი ობიექტი (პირდაპირი დამატება).

შ ე ხ ვ ე დ ნ ა"ში, როგორც ეს აღნიშნული აქვს ა. შანიძეს, შემორჩენილია უძველესი კონსტრუქცია: სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში, პირდაპირ დამატებასთან რიცხვში შეთანხმების უნარი და მიცემითში დასმული მეორე ობიექტი:

ვან შეხედნა მას განპებულისაგან კარისა: კიმ. I,33,21
[illegible] მან ჰოშხედნა მე: Sin. 43, გე. 117...

„მან შეხედნა მას თუალნი" — უძველესი ქართულისათვის ერთადერთი სწორი ფორმაა. ნორმალურია იგი ძველი ქართულისათვის, მაგრამ შეუსაბამოა ახალი ქართულისათვის, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სახელობითში დასმულმა პირდაპირმა დამატებამ დაკარგა რიცხვში შეთანხმების უნარი და, მეორე, ამ შემთხვევაში თვით პირდაპირი დამატება გადაიქცა პირმიუმართავ დამატებად: „მან შეხედნა მას თ უ ა ლ ნ ი" → „მან შეხედა მას თ უ ა ლ ი თ ა" („მომხედა თ უ ა ლ ი თ ა ბოროტითა": ლიმონ. 115,9) და სამპირიანი ზმნისაგან მივიღეთ ორპირიანი ზმნა. ასევე დაიკარგა პირდაპირი დამატება „მოუწოდა" ზმნასთან: მოუწოდა მან მას ← მოუწოდა მან მას [იგი]...

მოუწოდა იესუ ყრმასა: მ 18,2
მოუწოდა პურისა უფალმან მან სიძესა მას: DE. ი 2,9.

სხვანაირად წარიმართა „აიძულებს" ზმნის სინტაქსური კონსტრუქციის განვითარება. მისი უძველესი სახე ასე წარმოგვიდგება:

იგი აიძულებს მას მას ←*მან აიძულა მას იგი (მაშინ აიძულა იესუ ანდრეას ჭამაჲ პურისაჲ: ვერს. 24,14).

აქედან პირდაპირი დამატების დაკარგვით მივიღეთ „იგი აიძულებს მას" — „მან აიძულა მას":

ფრიად ეაიძულე მას შრავლითა კედრებითა: ლიმონ. 25,12
აიძულეს ბერსა ჭამად მფრინველისაჲ: იქვე, 31,25...

სამპირიანისაგან მივიღეთ ორპირიანი ზმნა (შემასმენელი), რომელმაც სუბიექტი შეიწყო მოთხრობით ბრუნვაში, ობიექტი — მიცემითში. განვითარების შემდგომ საფეხურზე იგი გაუთანაბრდა ორპირიან გარდამავალ ზმნას: მან ა ი ძ უ ლ ა იგი.

შეიძლება ახალი ობიექტი გაუჩნდეს ზმნას, როდესაც დამატება რთული ზმნის შემადგენლობაში მოექცევა: მ ა ნ ყ ო ი გ ი → მან გ უ ლ ი ს ჯ მ ა-ყ ო → მ ა ნ გ უ ლ ი ს ჯ მ ა-ყ ო ი გ ი: „გულისჯმა-ყო იესუ ზრახვაჲ იგი მათი“: C მ 9,4...

ახალი ირიბი ობიექტის გაჩენამ ორპირიანი „შეწირა“ („მან შეწირა იგი“) გადააქცია სამპირიანად („მან შესწირა მას იგი“).

მაგ.:

შევსწირავთ შენდა მიმართ ვედრებასა: სას. პ. რქბ$_{90}$

ესე წინაწარმეტყუელებისა გალობაჲ წმიდამან ქალწულმან ღმრთისა შეწირა: სინ. მრაკ. 14.6

შეწირა მოსე ყოველად ვერცი იგი საკურთხეველსა ზედა: ლეკიტ. 8,21

შეწირეს შესაწირაჲ იგი ცხორებისაჲ მსხუერპლად ღმრთისა: იქვე, 3,9.

აქ შ ე წ ი რ ა ყველგან ორპირიანი გარდამავალი ზმნაა, რომელსაც ახლავს პირდაპირი დამატება. მაგრამ შ ე წ ი რ ა სამპირიანია, სოლო ღ მ ე რ თ ს ა — ირიბი დამატება ასეთ შემთხვევაში: „შეწირეს იგი ღმერთსა“: ცხ. და მოქ. 345.4. ახალ ქართულში დამკვიდრდა ეს უკანასკნელი ფორმა.

სინტაქსური დაკავშირება ვითარებითში დასმულ მასდართან

§ 68. პირდაპირი და ირიბი დამატება ვითარებითში დასმულ მასდართან. პირდაპირი და ირიბი დამატებები უკავშირდებოდა ვითარებითში დასმულ მასდარსაც, რომელსაც ინფინიტივის გაგება ჰქონდა[73]. ამ შემთხვევაში პირდაპირი და ირიბი დამატებები ვერ ავლენდნენ სინტაქსური ურთიერთობის მთელ შესაძლებლობას და წარმოადგენდნენ სახელობითსა და მიცემით ბრუნვებში მართულ სახელებს. თვით მასდარი კი მართული იყო შემასმენლის მიერ, რომელსაც ის უკავშირდებოდა რომელიმე წევრის ფუნქციით. საფიქრებელია, რომ მასდარული კონსტრუქცია წინ უსწრებდა წინადადების წევრთა ჩამოყალიბებას. რამდენადაც: 1. იგი მასთან შეწყობილ სიტყვებთან ერთად გვაძლევს წინადადების ამა თუ იმ წევრის გაგებას და 2. შეესატყვისება რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ წინადადებას.

---

[73] ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენა, გვ. 314; ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი. ადიშის ოთხთავი რედაქციულად: თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXX B, 1947, გვ. 189—193: ძიძიეე: სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები... გვ. 750—752; არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, 1955, გვ. 43—62.

ძველ ქართულშივე ვითარებითში დასმული მასდარის გვერდით სახელობითში დასმული მასდარიც იხმარებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელს არ ახლდა ის ზმნური ნიშნები, რომელსაც მასდარისეული ინფინიტივთან ვხვდებით.

ვითარებითში დასმულ მასდართანაც პირდაპირი დამატება გვაქვს სახელობითსა და მიცემით ბრუნვებში, ირიბი დამატება მიცემით ბრუნვაში.

მაგალითად:

სახელობითში დასმული პირდაპირი დამატება მასდართან

მაშინ სიხილო აღმოღებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა: ხანმ. მ 7.5
დააეწყდა მოწაფეთა მისთა მოღებად პური: DE მრ 8,14
ბრძანა აღშენებად ქალაქი: ბალ. 10,16...

მიცემითში დასმული პირდაპირი დამატება მასდართან

სულარა იკადრებთ დარღუევად დიდებულსა ხანძთასა: ხანძთ. 916
მიერითგან იწყეს ძიებად ადგილსა: ზარზმ. 166,1
ღირს მყავ მე სახელისა შენისათჳს წამებისა გჳრჳნსა მოღებად:
კიმ. I,123,2.

ირიბი დამატება მასდართან

ამისთჳსცა არა გიტეუე შენ შეხებად მას: დაბ. 20,6
ჴამცნო ჩუენ ქადაგებად ერსა მას: მოც. 10.42...

პირდაპირი და ირიბი დამატება მასდართან

ბრძანა მიცემად იგი მას: ჰაექ. მ 14,9...

§ 69. წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები ვითარებითში დასმულ მასდართან. ვითარებითში დასმულ მასდართან დაკავშირებულია წინადადების მეორეხარისხოვანი წევრებიც. ესენია: პირმიუმართავი დამატება, ადგილის გარემოება და ა. შ.

სინტაქსური ურთიერთობა ისეთივეა, როგორიც გვაქვს შემასმენელსა და წინადადების მეორეხარისხოვან წევრებს შორის.

მაგალითად:

ვითარებითში დასმულ მასდართან პირმიუმართავი დამატება

იწყეს სისრად ქცეთა ხატსა მეფისასა: კიმ. 11.56,28
არაჳინ უტეუე შესლად მის თანა: С ღ 8,51
ბრძანე გუამი მისი პოცემად ჩუენდა: აბო, 74,15...

ვითარებითში დასმულ მასდართან
ადგილის გარემოება

უბრძანებდა დასხმად ადგილსა მას: შუშ. XVIII,5
იყო მუნ მათი წელიწადი ერთი შეკრებად ეკლესიასა: მოც. 11,26
ვანიზრახა მიქცევად მუნ მაკედონიათჳე: იქვე, 20,3.

§ 70. ვითარებითში დასმული მასდარი წინადადების წევრად. ვითარებითში დასმული მასდარი დაკავშირებულია შემასმენელთან და წინადადებაში გვეელინება სხვადასხვა წევრად:

მასდარი პირდაპირ დამატებად

იწყო ნეტარმან ზაქარია ფსალმუნებად: წარტყ. მვ24
მათ არღარა აკადრეს ცილობად: ხანძთ. 397.

მასდარი პირმიუმართავ დამატებად

დასაჯონ იგი სიკუდილად: DE ვ 20,18, შდრ. C: დასაჯონ იგი სიკუდილითა

მასდარი მიზნის გარემოებად

დაეკო მათ პური ჭამად: დაბ. 24,33
მოართუა წყალი დაბანად ფერჴთა მათთა: იქვე, 43,24
მოვედ განყოფად კაცი: D ვ 10,35, შდრ. E: მოვედ განყოფად კაცისა.

3. შემასმენელი

§ 71. შემასმენლის ფუნქცია და შედგენილობა. შემასმენელი წინადადების ერთ-ერთი მთავარი წევრია, რომელიც ქართულში გამოიხატება ზმნით.

შემასმენლის სინტაქსური სიძლიერე ძველ ქართულში განისაზღვრება იმ ურთიერთობით, რომელიც დამყარებულია ქვემდებარესთან და პირმიმართ დამატებებთან. ეს ურთიერთობა შეპირობებულია შემასმენელი-ზმნის გარდამავლობითა და პირიანობით. ამის მიხედვით გარდამავალი ზმნა-შემასმენელი ქვემდებარესა და სახელობითში დასმულ დამატებას უკავშირდება საურთიერთო მართვითა და რიცხვში შეთანხმებით, ხოლო მიცემითში დასმულ დამატებას — საურთიერთო მართვით.

შემასმენელი შეიძლება იყოს მარტივიც და რთულიც.

მარტივი შემასმენელი წარმოდგენილია მხოლოდ ზმნით. მას შეიძლება ახლდეს უარყოფითი ან სხვა ნაწილაკებიც. რთული შემასმენელი კი მოიცავს ზმნასაც და მეტყველების სხვა ნაწილსაც (სახელს მასდარითა და მიმღეობითურთ და ზმნისართს), რომელსაც შემასმენლის სახელად ნაწილს, პრედიკატივს, შემასმენლისა და თანასაერთს უწო-

დებენ. აქედან შეიძლება უკანასკნელი ვამჯობინოთ მისი გავრცელებულობითა და შედარებით უკეთ გამომხატველობის უნარიანობით. რთული შემასმენლის ზმნური ნაწილისათვის დამკვიდრებულია ტერმინები: **საერთი და კოპულა**.

რთულ შემასმენელს უწოდებენ შედგენილსაც[76]. **რთული შემასმენელი** და **შედგენილი შემასმენელი** თანაბარი ღირებულების ორი სინონიმური ტერმინია და, თუ ამათგან უპირატესობას **რთულ შემასმენელს** ვანიჭებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ შემასმენლის მარტივ ფორმას **მარტივ შემასმენელს** ვუწოდებთ. **მარტივი** შემასმენლის საპირისპირო **რთული** შემასმენელია.

რთული შემასმენლის შემადგენლობაში მეშველი ან ზოგჯერ სრული მნიშვნელობის ზმნა შედის. ეს უკანასკნელი აძლევს სახელად ნაწილს უნარს, რომ იგი შემასმენლის შემადგენლობაში იყოს.

მარტივი შემასმენლის როლში გამოდის ყოველგვარი ზმნა. იქნება იგი თხრობითი, ბრძანებითი თუ კავშირებითი კილოს ფორმით წარმოდგენილი. ასევე ერთნაირად გამოხატავს მარტივ შემასმენელს ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი ზმნა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გარდაუვალი ზმნა-შემასმენელი (ერთპირიანი, ორპირიანი) სინტაქსური სიძლიერის მიხედვით ჩამორჩება ვარდამავალ ზმნა-შემასმენელს (ორპირიანსა და სამპირიანს), რომელიც რთულ სინტაქსურ ურთიერთობაშია ქვემდებარე-დამატებებთან.

შემასმენელი წმინდა სინტაქსური ცნებაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ურთიერთობას, რომელიც დამყარებული აქვს მას სხვა სიტყვებთან. ამიტომაც მართალია მოსაზრება, რომ ქვემდებარე და შემასმენელი მიმართებითი ცნებებია (ა. პოტებნია). სხვანაირად რომ ვთქვათ, მართლაც „იქ, სადაც არ არის შემასმენელი, არ შეიძლება გვქონდეს ქვემდებარეც“[77]. ქართულის მიმართ შეიძლება გვეთქვა

---

[76] ა. შანიძე ორივე ტერმინს თანაბრად იყენებს (ძველი ქართული ენა, გვ. 312; ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, 1957, გვ. 12). „შედგენილ შემასმენელს“ ამჯობინებენ ს. ხუნდაძე (ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1915, გვ. 25), ი. სიხარულიძე (ქართული ენის გრამატიკა, 1937, გვ. 115), ი. იმნაიშვილი (შედგენილი შემასმენელი ქართულში: ა. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. V, 1948, გვ. 187—216), ლ. კვაჭაძე (ქართული ენის სინტაქსი, 1956, გვ. 27) და ა. შ.

[77] В. В. Виноградов, Синтаксис русского языка А. А. Шахматова: კრებ. „Вопросы синтаксиса современного русского языка,“ 1950, გვ. 108.

მეტიც: იქ, სადაც არა გვაქვს შემასმენელი, არა გვაქვს წინადადებაც

სავსებით მართებულადაა აღნიშნული, რომ „ნორმალური წინადადება უთუოდ მოითხოვს სახელსა და მასთან სინტაქსურს ურთიერთობაში მყოფს ზმნას... ზმნას ასე ვახასიათებთ სწორედ იმიტომ და იმდენად, რამდენადაც მას შეუძლია სინტაქსურად შესიტყვების მაგივრობა გასწიოს, შესიტყვების მინიატურა-სქემა წარმოგვიდგინოს“[78].

ამიტომაც ვამბობთ, რომ შემასმენელს წინადადებაში გადამწყვეტი როლი ეკისრებაო. წინადადების სხვა წევრები (ქვემდებარე, დამატება, გარემოება) გამოიყოფა იმდენად, რამდენადაც მათ სინტაქსურად აერთიანებს შემასმენელი. რომ წინადადება წარმოვიდგინოთ შემასმენლის გარეშე, ეს ნიშნავს იმას, რომ წარმოვიდგინოთ წინადადება წინადადების წევრთა გარეშე. „უდავოა, რომ იგი (შემასმენელი) აუცილებელია შესიტყვებისათვის, რომ უკანასკნელი წინადადებად მივიჩნიოთ“[79]

წინადადებისათვის მარტივი შემასმენელიცა და რთული შემასმენელიც თანაბარი ღირებულებისაა. განსხვავება მხოლოდ შიდაკენილობაშია: მარტივი ოდენ ზმნისაგან შედგება, რთული კი ზმნასთან ერთად მეტყველების სხვა ნაწილსაც გულისხმობს.

§ 72. მარტივი შემასმენელი. მარტივი შემასმენელი წინადადებაში გამოიხატება ზმნით. იგი აღებულების მიხედვით შეიძლება იყოს მარტივიცა და რთულიც, მაგრამ მარტივი და რთული აღებულების ზმნა ერთმანეთს ვერ დაუპირისპირდება როგორც მარტივი და რთული შემასმენელი. რთული შემასმენელი სხვა აღნაგობისაა, თუმცა მას რთულ ზმნასთან აკავშირებს შედგენილობა.

რთული ფუძით შეიძლება გადმოიცეს მარტივი შემასმენელი, როდესაც შემასმენლად არის გარდაუვალი ერთპირიანი ზმნა მესამე სერიაში, რომლის შემადგენლობაშია წარსული დროის მიმღეობა და მეშველი ზმნა (ვარ, ვიყავ, ვიყო). ახალ ქართულში მეშველზმნიანი ფორმები გვაქვს სხვა შემთხვევაშიც: -ავ, -ამ თემის ნიშნიან და უთემისნიშნო ზმნებს მესამე სერიის „პირველსა და მეორე

---

[78] არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 159. ამავე მონოგრაფიაში მკვლევარს აღნიშნული აქვს: „წინადადების ხერხემალს, ცენტრალ მოვენტს ზმნა და მასთან მორფოლოგიურად დაკავშირებული საუღლები ქმნის“ (გვ. 268, შენიშვნა).

[79] არნ. ჩიქობავა, იქვე, გვ. 159.

ობიექტურ პირში (წარმოშობით სუბიექტურში) უნდა დაერთოს მეშველი ზმნა (ვარ, ხარ, ვართ, ხართ), რაც ძველი ქართულისათვის უცნობი იყო"[80].

მეშველზმნიანი ფორმები გაუჩნდა ახალ ქართულში სტატიკური ვნებითისა და ზოგი საშუალო გვარის ზმნის I და II პირსაც.

ისტორიულ ასპექტში მარტივფუძიანი და ამ ტიპის რთულფუძიანი ზმნები მოექცა ზმნის უღვლილების ერთ სისტემაში, ამიტომ მათ ყველას მარტივ შემასმენლებს უწოდებენ.

ძველ ქართულში შემასმენლად გამოყენებული გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები ერთმანეთს უპირისპირდებიან დრო-კილოთა პირველი და მეორე სერიის, მიხედვით. პირველი სერიის ზმნებს (შემასმენლებს) სუბიექტი სახელობითში დაეწყობათ, ობიექტი — მიცემითში. მეორე სერიაში კი გარდამავალი ზმნები სუბიექტს მოთხრობითში შეაწყობენ. პირდაპირ ობიექტს — სახელობითში. მესამე სერიის ფორმები ემყარებიან ან I სერიის აწმყოს, ან II სერიის ნამყოს ფუძეს იმ ვარაუდით, რომ გარდამავალი ზმნის I თურმეობითი იწარმოება ან ნამყო წყვეტილის სტატიკური ვნებითის ფუძისაგან, ან აწმყოს ფუძისაგან. ხოლო II თურმეობითი — შესაბამისი ნამყო წყვეტილის ფუძისაგან[81].

მორფოლოგიური ერთიანობა აირეკლება სინტაქსშიც: ქვემდებარე სახელობით ბრუნვაშია, დამატება — მიცემითში. ახალ ქართულში კი გარდამავალი ზმნა (შემასმენელი) ინვერსიულია და სუბიექტად მიცემითში დასმული სახელი ევენკინება.

§ 73. პირველი და მეორე სერიის ფორმები შემასმენლად. პირველი სერიის დრო-კილოებში შემასმენლისა და ქვემდებარე-დამატებათა ურთიერთობა ერთხაირია: ქვემდებარე ყოველთვის სახელობით ბრუნვაშია, პირიმიმართი დამატებები — მიცემითში. მაგრამ განსხვავება თავს იჩენს სინტაქსური ურთიერთობის მიხედვით, რადგანაც:

1. როცა შემასმენლად ერთპირიანი გარდაუვალი ზმნაა, გვაქვს ცალმხრივი მართვა: ქვემდებარე მართავს შემასმენელს პირში.

---

[80] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 447.

[81] იქვე, გვ. 445—451; არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 062; მისივე: ინვერსიული ზმნები და სახელთა კვალიფიკაცია: გაზ. „სახ. განათლება", 3.X. 46; ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა..., I, გვ. 93.

2. როცა შემასმენლად ორპირიანი გარდაუვალი ზმნაა, ქვემდებარესა და შემასმენელს შორის გვაქვს აგრეთვე ცალმხრივი მართვა, დამატებასა და შემასმენელს შორის კი საურთიერთო მართვა: დამატება მართავს შემასმენელს პირში, შემასმენელი მართავს დამატებას ბრუნვაში.

3. როცა შემასმენლად გარდამავალი ზმნაა, საურთიერთო მართვა გვაქვს როგორც ქვემდებარე-შემასმენელს შორის, ასევე დამატება-შემასმენელს შორისაც.

გარდაუვალსა და გარდამავალ ზმნათა (შემასმენელთა) შორის ეს განსხვავება იძლევა ქვემდებარე-დამატებათა ფორმების სხვაობას მეორე სერიაში, სადაც გარდაუვალს ბრუნვაუცვლელი სახელები (ქვემდებარე სახელობითში, დამატება , მიცემითში) შეეწყობა, გარდამავალს — ბრუნვაცვალებადი: ქვემდებარე მოთხრობითში, პირდაპირი დამატება სახელობითში.

სუბიექტის I და II პ. ნიშნები პრეფიქსებია, მესამისა — სუფიქსები. პირველი პირის სუბიექტის ნიშანია ვ-, მეორისა — ბ-, ჰ-, ჰნ- (გარდამავალი საფეხური) და ს-, მესამე პირისა — მხოლობითი რიცხვისათვის -ა, -ო, -ნ, -ს და მრავლობითი რიცხვისათვის— ეს, -ენ, -ან, -ედ სუფიქსები.

სუბიექტის მრავლობითობა შემასმენელში სათანადოდ აღინიშნება: ქვემდებარე ითანხმებს შემასმენელს რიცხვში. იგივე ქვემდებარე შემასმენელს მართავს პირში და აჩენს პირის ნიშანს, მაგრამ ერთპირიანი ზმნა-შემასმენელი მხოლოდ სუბიექტს შეეწყობს. ქვემდებარესთან ურთიერთობის მიხედვით ერთპირიანი ზმნა-შემასმენელი ემსგავსება იმ ენათა შემასმენლებს, რომლებშიც ზმნა მონოპერსონალურია (მაგ. რუსული, გერმანული და სხვა).

§ 74. გარდაუვალი ზმნა შემასმენლად. გარდაუვალ ერთპირიან ზმნას მხოლოდ ერთი სახელი — ქვემდებარე შეეწყობა. ეს სახელი ყოველთვის სახელობით ბრუნვაშია იმის გამო, რომ შემასმენელი ვერ მართავს მას ბრუნვაში.

მაგალითად:

გამომავალი პირით გულისაგან გამოვალს: მ 15,18
ყოველი სოფლები მოვიდოდა ეგვპტედ: დაბ. 41,57
ელვაჲ... ბრწყინავს დასავალამდე: С მ 24,27
ეგრე ნათობდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა: С მ 5.16
შეკრბა მისი ერი მრავალი: მ 13.2
გარდამოჭედნ ან ჯუარით: მრ 15.32
მიიქეც შენცა მოყუსსა შენსა თანა: რუთ

განიკურნოს მონაჲ ესე ჩემი: ღ 7,7
მოვედით თქუენ თჳსაგან უდაბნოსა: მრ 6,31
მუნთქუესვე მკედარნი შეკრბიან: მამ. სწ. 17,33.

გარდაუვალი ორპირიანი ზმნა-შემასმენელი ქვემდებარის გარდა ირიბ დამატებასაც შეიწყობს. ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა ისეთიეა, როგორიც გვქონდა ერთპირიან ზმნასთან, მაგრამ საურთიერთო მართვაა შემასმენელსა და ირიბ დამატებას შორის: ირიბი დამატება მართავს შემასმენელს პირში და იმართვის ბრუნვაში.

მაგალითად:

მათ თუალნი მათნი განხეხუნეს: ხანმ. ღ 24,31
მოელიან ივინი ცეცხლსა მას საუკუნესა: მამ. სწ. 49,5
ძალსა შენსა უპყრიან დაბადებულნი: იქვე, 65,28.

§ 75. გარდამავალი ზმნა შემასმენლად. გარდამავალი ზმნა-შემასმენელი ბრუნვაში მართავს ქვემდებარესაც და პირმიმართ დამატებებსაც და თვითონაც იმართვის პირში სახელთაგან. ქართული ზმნის (შემასმენლის) ეს თავისებურება საფუძვლიანად შესწავლილია[82].

მაგალითად:

აწმყო

მაჰაჲ თქუენი ზეცათაჲ ზრდის მათ: DE მ 6,26
რომელი სთესავს თესლსა კეთილსა: DE მ 13.37.

აწმყოს კავშირებითი

ძალი მაღლისაჲ გფარვიდეს შენ: ღ 1,35
ორნი ფქვიდენ ფქვილსა ერთად: ღ 17,35.

ნამყო წყვეტილი

მამამან შენმან დაკლა კბოჲ იგი ჰამებული: ბოლნ. 41,16
მოიბა მოსე ვერძი იგი: ლეკტ. 8,18
მისცა მას ლაბან ასული თჳსი რაქელ ცოლად: დაბ. 29,28
ლეკუთა ღომისათა დაეტევეს ერთმან ერთი: იობ. 4,11
მოართუეს ბეთა აჩრონისთა სისხლი იგი მას: ლეკტ. 9.9
აღიხილნა თუალნი მოხუცებულმან მან: მსაჯ. 19.17.

მეორე ხოლმეობითი

მთესეარმან მან სიტყუაჲ დასთესის: C მრ 4.14

---

[82] არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 257—286; მისივე: რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? ჟურნ. „კულტურული აღმშენებლობა", 1930, № 5, გვ. 487—503; № 7—8, გვ. 705—741; ჯანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 179—184; ვ. თოფურია, სვანური ენა. I, ზმნა, 1931, გვ. 35—38.

საცოლესთან სიძლიერისამან შეაშინოს სიტყუაჲ იგი: DE მ 13,22
კეთილად კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გამოიღოს კეთილი: მ 12,25.

მეორე კავშირებითი

მთოვარემან არა გამოსცეს სათელი თჳსი: მრ 13,24
ეე გითხრა თქუენ: მრ 11,29
გკითხო თქუენ მეცა სიტყუაჲ ერთი: DE მრ 11,29
მას გიჩუენოს თქუენ ქორი დიდი: მრ 14,15.

მეორე ბრძანებითი

[illegible] კელი შენი! ლ 6,10
ეე კელთ წერილი შენი: DE ლ 16.6
შეხაცუთ ბეჭედი კელსა მისსა: სანმ. ლ 15,22
შეგობარო, მაცასხეს მე სამნი პური: ლ 11.5 და სხვა.

§ 76. მესამე სერიის ფორმები შემასმენლად. მესამე სერიაში გარდამავალი ზმნა-შემასმენელი ინვერსიულია ახალ ქართულში. ინვერსიის შედეგად დამკვიდრებულია მიცემითის კონსტრუქცია, რომელიც ისტორიულად ვერ გაუთანაბრდება სახელობითისა და მოთხრობითის კონსტრუქციებს. იგი ახალია პირველ ორთან შედარებით, რამდენადაც პირდაპირი წყობა წინ უსწრებდა შებრუნებულ წყობას.

ძნელია იმის გარკვევა, თუ როდის დაიწყო მესამე სერიის ფორმებმა პირდაპირი წყობიდან ინვერსიულზე გადასვლა. ერთი კი ცხადია: ინვერსიის პროცესი ხანგრძლივია. ის არ შეიძლებოდა მომხდარიყო ერთბაშად, რამდენადაც, როგორც წესი, ახალი გრამატიკული მოვლენა, ისახება რა არსებულში, ენის განვითარების შინაგანი კანონების საფუძველზე თანდათან იკაფავს გზას და, სანამდის ერთადერთ გაბატონებულ ფორმად გადაიქცეოდეს, არსებობს ძველი ფორმის გვერდით და ვითარდება მის პარალელურად.

ერთადერთი საზომი, რის მიხედვითაც ძველ ქართულში პირდაპირი წყობა იგულისხმება, არის სახელობითში დასმული სახელის მიერ შემასმენლის შეთანხმება რიცხვში მაშინ, როდესაც მიცემითში დასმული მეორე სახელი ამ უნარს მოკლებულია.

გარდამავალი ზმნის III სერიის ფორმები ემთხვევა სტატიკური ვნებითის ფორმებს, რადგანაც გარდამავალი ზმნის I თურმეობითი უპირატესად „ნაწარმოებია სტატიკური ვნებითის სასხვისო ქცევის ფორმით“[83], ხოლო II თურმეობითი — „როგორც სტატიკური ვნებითის წყვეტილი“[84].

[83] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 446.
[84] იქვე, გვ. 449.

მაგალითად:

აჰა ესერა პური ჩემი დამიმზადებიეს: C მ 22,4
მე ვეცხლი თქუენი მომიღებიეს: დაბ. 43,23
აქამდე არარაჲ გითხოვიეს: DE ი 16,24
რაჲ პოროტი უქმნიეს მაგას? DE მ 27,23
უფალსა მიუცემიეს ეგე კელთა მტერთასა: წარტყ იბ25
მამასა მისსა დაემარხა სიტყუაჲ ესე: დაბ. 37,11.

გარდაუვალი ზმნა კი მესამე სერიას ორნაირად აწარმოებს: ერთპირიანი ზმნები (ინიანი ვნებითი. ენ- სუფიქსიანი, დონიანი) იწარმოებიან ვნებითი გვარის მიმღეობისა და მეშველი ზმნის (ვარ. ვიყავ, ვიყო) შემწეობით, ხოლო ორპირიანი გარდაუვალი ზმნები, როგორც წესი, — მარტივად.

მაგალითად:

ქრისტეანეთა თანა შეცდომილ ხარ? აბო, 69,14
სხვად წაბრუნებულ ხარ: შუშ. IV,19
ვიდეს ყოფილ არს აქამომდე: იქვე, VI,11.

§ რთული ზმნა შემასმენლად. მარტივ შემასმენლად შეიძლება იყოს რთული ზმნაც. რომელიც შედგენილია ზმნის პირიანი ფორმისა და მასთან სინტაქსურად დაკავშირებული რომელიმე წევრისაგან. ასეთი წევრი ისტორიულად მომდინარეობს პირველხარისხოვან (ქვემდებარე, პირმიმართი დამატებები) ან მეორეხარისხოვან (პირმიუმართავი დამატებები, ვარემოებები) წევრთაგან. ამბნელი სიტყვის ასეთი შეერთება შემასმენელ-ზმნასთან გამოწვეულია კომპონენტთა მჭიდრო კავშირით. რომელსაც თან დაჰყვა დამოუკიდებელ მნიშვნელობათა შესუსტება სულ გაქრობამდე.

მოხდა ცვლილება სხვა მხრივაც: სინტაქსური ურთიერთობა უცვლელი დარჩა, მაგრამ მთავარ წევრთა ასეთი შემოერთებით შემასმენელმა დაკარგა ერთი პირის გაგება. რის გამოც სამპირიანი იქცა ორპირიანად (ამბორს-უყო. ჰმა-უყო...), ორპირიანი კი ერთპირიანად (კმა-ყო. კელ-იწიფა, ინაჯ-იდგა...). ამიტომაც ამ ტიპის რთული ზმნები პირიანობის მიხედვითაც იქცევენ ყურადღებას[65].

მაგალითად:

თქუენ ეერ კელ-გეწიფების მისლად: DE ი 7,34
მე კმა-ეყაე კმითა დიდითა: დაბ. 39,14
ღაღად-ყო კმითა დიდითა ესავ: იქვე, 27,38.

---

[65] კ. თ ე ვ ზ ა ძ ე, რთული ზმნები ძველ ქართულში წარმოქმნის კატეგორიების მიხედვით: ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 15, 1960, გვ. 193.

მოვიდა უფალი იგი მათ მონათაჲ და სიტყუა-ყო მათ მონათა თანა: DE მ 25,19, შდრ. C: მოვიდა უფალი მათ მონათაჲ და ყო სიტყუაჲ მათ თანა

ინაჯ-იდგა კაცებმან მან: C ი 6,10.

ასევე:

ჴმა-უყო ჰაბუკმან მან ბერსა მას: ბალ. 54,7

თქუენ თაყუანის-სცემთ მას: C ი 4,22

უფალმან ნეგეშინის-ეცინ სულსა შენსა: წარტყ. მდ.$_{14}$...

მაგრამ „გულისჴმა-ყო“ ტიპმა, რომელიც შედგენილია პირდაპირი დამატებისა (გულისჴმა) და ყო შემასმენლისაგან, შეიძინა ასალი პირდაპირი დამატება, მაგ., გულისჴმა-ყო იესუ ზრახვაჲ იგი მათი: C მ 9,4, შდრ.: გულისჴმა-მიყოფიეს მისი მრავალი მოთმინებაჲ: ბოლნ. 11,10. ეს წესი გავრცელდა სხვა შემთხვევაშიც.

ზოგი რთული ზმნის შემადგენლობაში მიცემითი ბრუნვა გაჭვავებულა. ასეთ სახელს, როგორც რთული ზმნის კომპონენტს, მიცემითი ბრუნვის ნიშანი შეუნარჩუნებია იქაც, სადაც სახელობითი იყო მოსალოდნელი (მაგ., ამბორს-უყო იაკობ რაქილს: დაბ. 29,11), ან მიცემითი ბრუნვის ნიშანი მოკვეცილი აქვს (მაგ., აჰა იგი ნ ა თ ე ლ-ჰსცემს: DE ი, 3,26, შდრ. აჰა ნ ა თ ე ლ-სცემს: C). ვერ ვიტყვით, რომ ამოსავალი ამ ფორმისათვის წრფელობითი იყოს მიუხედავად იმისა, რომ უძველეს ძეგლებშიც არის დადასტურებული (მაგ., ნ ა თ ე ლ-ხცემდით მათ სახელითა მამისაჲთა: ხანმ. მ 28,19, შდრ. მათ... ჯუარს-ხაცუეს იგი: ხანმ. ლ 24,20), რადგანაც მიცემითი ბრუნვა, როგორც წინადადების წევრი და დამატების გამომხატველი, უკვე გაფორმებულია იმავე უძველეს ქართულში.

ივ. იმნაიშვილს თავის მონოგრაფიაში აღნიშნული აქვს, რომ მოსალოდნელი ემფატიკური ხმოვანი ამ შემთხვევაში მიცემით ბრუნვას არა აქვს, რაც მიუთითებს მის სიძველეზე[86]. დასახელებულია შემდეგი მაგალითები: თავს-დება (თავს-ვიდებდე, თავს-იდვა...), გულს-დგინება, კუალს-დგინება, გულის-სიტყუა (გულს-ეტყოდა...), გულს-დგმა, გულს-დება, ჯუარს-ცუმა და სხვა. გაანალიზებული მასალებიდან ირკვევა, რომ სახელი მიცემითი ბრუნვის ნიშნითაა იქაც, სადაც მოსალოდნელი იყო სხვა ბრუნვა (მაგ., ამბორს-უყო, ნათელს-ეც, სახელს-სდევს...). ავტორის აზრით, აქ შეიძლება დავუშვათ შემდეგი:

1. სანი I სერიის ფორმებთან თავიდანვე ჰქონდათ ასეთ სახელებს (მაგ. ნათელს-იღებს), ხოლო შემდეგ და შემდეგ, როცა სახე-

[86] სახელთა ბრუნება... გვ. 134.

ლი და ზმნა მჭიდროდ შეერწყა ერომანეთს და ერთ რთულ სიტყვად იქცა, აღარ იყო საჭირო სახელის ბრუნვა აღნიშნულიყო და ეს სანი დაიკარგა (ნათელ-იღებდეს). ეს ფორმა ამ სახით გავრცელდა ყველა სერიაში (სადაც კი იხმარებოდა), II სერიის ფორმებში სანის გამოჩენა (ამბორს-უყო) I სერიის გავლენით აიხსნება და ასახავს გარდამავალ საფეხურს ორი სიტყვის კომპოზიტად ქცევის გზაზე: მაშასადამე, ამის მიხედვით გამოდის, რომ I სერიის ფორმებთან სანი იყო და დაიკარგა, II სერიის ფორმებში სანი არ იყო და გაჩნდა.

2. შესაძლებელია დავუშვათ, რომ ნათელ-იღო, პატივსცა, ქმა-უყო, სახელ-დვა... ძალიან ძველია და ენის განვითარების იმ საფეხურს ასახავს, როცა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული სახელობითი ბრუნვა... სანის საკითხი ასეთ შემთხვევაში (სახელს-სდებს) პირველი სერიის სხვა ჩვეულებრივი ზმნების ანალოგიით უნდა აიხსნას. მაშასადამე, აქ სანი არ ყოფილა და შემდეგ გაჩნდა[87].

მიცემითი ბრუნვა აქ რაკი მოექცა კომპოზიტის შემადგენლობაში, იმდენად გაქვავდა, რომ კომპონენტი ზმნის მეორე სერიაში გადაყვანის შემთხვევაში ბრუნვა არ იცვალა. ამას ისიც ადასტურებს, რომ იგი (მიცემითში დასმული სახელი)უკვე აღარ გაიგება წინადადების წევრად. ამიტომაა, რომ მიცემითი იხმარება იქაც, სადაც სახელობითი უნდა იყოს.

შდრ. ერთი მხრივ:

მუნ ჯუარს-აცუეს იგი: DE ღ 23,33
აჰა იგი ნათელს-სცემს: C ი 3,26
ესე ხოლო ცოდვათა ჩუენი დევიო: გამ. 10,17
ვიდრემდე თაეს-ვიდებდე თქუენსა? DE მრ 9,19.

შემდეგ:

მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა: მ 3,11...

და მეორე მხრივ:

ამბორს-მიყო მე ამბორებითა პირისა თჳსისაჲთა: იპოლ. 2,2
რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს: DE მ 26,48.

რთული ზმნის სახელადი ნაწილი გვხვდება მრავლობით რიცხვშიც:

სულთ-ითქუმიდენ მესათხეველნი: ესაია, 19,8
ქელთ-მიდვას მე ძლიერმან: იობ. 13,15
თუალთ-ეითმეაღებდ პირთა მათთა: იქვე, 22,8.

---

[87] სახელთა ბრუნება... გვ. 140. ავტორი უპირატესობას მეორე ვარაუდს ანიჭებს.

§ 78. უარყოფითი ნაწილაკები შემასმენელთან. მარტივ შემასმენელს შეიძლება თან ახლდეს **არა, ვერ** და **ნუ** უარყოფითი ნაწილაკები.

არა ნაწილაკი უფრო მოქმედის ნება-სურვილზე დამოკიდებულ უარყოფას გამოხატავს, **ვერ** გამოხატავს ისეთ უარყოფას, როდესაც მოქმედს არ შეუძლია შესრულება, **ნუ** კი ძირითადად აღნიშნავს აკრძალვას და თხრობითი კილოს ზმნაზე დართვისას მას აქცევს ბრძანებითად. ამ ნაწილაკებს შეიძლება დაერთოს **-ცა** და **-ღა** ნაწილაკებიც:

ბანილსა მას არა უკმს ბანა: С и 13,10
ეგე აბრაამმან არა ჰქმნა: С и 8,40
მომთვრალეთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკჳდრონ: ბოლ. 82,24
ნუ მიგუაელენ ჩუენ სიღრმესა მას უფსკრულთასა: კ.მ. I,191,15; შდრ. არცა უძღის ვინ შესლვად სახლსა ძლიერისასა: С მრ 3,27
არღარა მიხილოთ მე: მ 23,39.

§ 79. რთული შემასმენელი. როგორც აღნიშნულია, რთული შემასმენელი შედგება საერთისა და თანასაერთისაგან. საერთად ყოველთვის გამოყენებულია ზმნა (უპირატესად მეშველი ზმნა). თანასაერთად კი შეიძლება გვქონდეს სახელი (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი მიმღეობა თურთ, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი) და ზმნისართი. აქედან უპირატესად გვხვდება ზედსართავი სახელი და მიმღეობა, შედარებით ნაკლებად — არსებითი სახელი და ნაცვალსახელი, უფრო იშვიათად რიცხვითი სახელი და ზმნისართი[68].

ამის მიხედვით გვაქვს:

არსებითი სახელი

მე ვარ ვენაკი ჰეშმარიტი: и 15,1
შენ ხარ კლდე: მ 16,18
ღონგინოზ არს სახელი ჩემი: კიმ. I,189,1
ჩუენ შენნი მონანი ვართ: დაბ. 50,19
თჳეუცა სამე კაცნი ვეხართ: იობ. 12,2.

ზედსართავი სახელი

ზედსართავი სახელი (და მიმღეობა) სხვა მეტყველების ნაწილზე უფრო ხშირად გვხვდება თანასაერთად. გამოიყენება ზედსართავის უფროობითი ხარისხის ფორმებიც.

---

[68] ამ ფაქტზე არაერთხელ ყოფილა ყურადღება გამახვილებული.

მაგალითად:

მწირ ვარი მე ქუეყანასა უცხოსა: გამ. 18,3
შენ ხოლო მწირ ხარ იერუსალჱმს: ხალმ. ღ 24,18
მოძღუარ, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ: DE მრ 9,5
შემძლებელ არს იგი შეძინებად ჰასაცა თჳსსა: DE მ 6.27
აწ ვინმემცა იყო უმდაბლეს მისა: ბოლნ. 9,12
მრავალთა სიტყთა უმჯობეს ხართ თქუენ: მ 10.31.

რიცხვითი სახელი

თანასაერთად შეიძლება იყოს როგორც რაოდენობითი, ასევე რიგობითი რიცხვითი სახელი. აქაც უპირატესობა წრფელობითს ეკუთვნის, მაგრამ სახელობითი ბრუნვა თანდათან იკავებს წრფელობითის ადგილს.

მაგალითად:

იყუნეს ძენი მისნი შჯდ: იობ. 1.2
იყუნეს ძენი იაკობისნი ათორმეტ: დაბ. 35,22

და ა. შ.

არის შემთხვევები. როდესაც თანასაერთს განსაზღვრებად ახლავს რიცხვითი სახელი, მავრამ თვით თანასაერთი დაკარგულია[39] და გვრჩება ნათესაობითში დასმული რიცხვითი სახელი. რომელიც თანასაერთს მოგვაგონებს. ასეთია. მაგალითად. „აბრაჰამ იყო ოთხმეოც და ექუსის წლის" (დაბ. 16,16). აქ გამოტოვებული სანსცი" და მისი აღდგენის შემთხვევაში გვექნება „აბრაჰამ იყო მეოც და ექუსის წლის კაცი".

ასეთივეა აგრეთვე:

იყო იგი ათორმეტის წლის ოდენ: DE მრ 5.42
ერგასის წლის არა ხარ შენ? DE ი 8,57.

ნაცვალსახელი

თანასაერთად გვხვდება მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა ნაცვალსახელი, მაგრამ უფრო სშირია კუთვნილებითი ნაცვალსახელები:

ყოველი ჩემი შენი არს: DE ღ 15,31
ვინ ხარ შენ? რეთ. 3,9
ვინ არს კაცი იგი? ბოლნ. 33,14...

---

[39] ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, 1956. 30.

ზმნისართი

თანასაერთად ხშირად გვხვდება ზმნისართიც (უპირატესად ადგილის ზმნისართი):

ქამი ჩემი ახლოს არს: მ 26,18
არა შორს ხარ შენ სასუფეველსა ღმრთისასა: მრ 12,34
მოძღუარი აქა არს: C и 11.28. შდრ. DE: მოძღუარი მოსრულ არს.

თანასაერთი შეიძლება იყოს წრფელობითში, სახელობითში, ან ვითარებით ბრუნვაში[90]. უძველეს ქართულში მიცემით ბრუნვაში დასმული სახელიც უნდა გვქონოდა. შემდგომ პერიოდში ივი მოექცა რთული ზმნის (კომპოზიტის) შემადგენლობაში (მაგ., ამბორს-უყოფს, შდრ. ამბორს-უყო...). მიცემითის გაქვავებული ფორმა შემონახულია ზმნისართებთანაც.

როგორც აღნიშნულია, რთული შემასმენლის სახელადი ნაწილი უპირატესად გაუფორმებელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი.

მაგალითად:

იყო კაცი იგი მართალ: C ლ 2.25
მონად სნეულ იყო: ლ 7,2
იქმნა იგი ძეგლ მარილის: დაბ. 19,26...

წრფელობითს ცვლის სახელობითი ბრუნვა. მათ შორის განსხვავება ქრონოლოგიურია: პირველი წინ უსწრებს მეორეს. განსხვავებაა სინტაქსური ურთიერთობის მიხედვითაც: სახელობით ბრუნვაში დასმული თანასაერთი ჩვეულებრივ ეთანხმება ქვემდებარეს რიცხვში, წრფელობითი კი ამ უნარს მოკლებულია.

მაგალითად:

ნე მთესვარი ვარ ქალაქისა ამის: თეკლ. 98,2
რად უადვილესი არს სიტყუად: D მ 9,5
კაცი ესე მართალი იყო: DE ლ 23,47...

შენიშნულია, რომ, როდესაც რთული შემასმენლის შემადგენლობაში შედის კუთვნილებითი ნაცვალსახელი, იგი ან სახელობითშია და შეთანხმებულია ბრუნვაში რთულ შემასმენელშივე შემავალ არსებით სახელთან, ან კიდევ ვითარებით ბრუნვაშია და სახელთან სინტაქსურ ურთიერთობას ვერ ამყარებს, შდრ. მაგ., „იგი მტერი ჩემი არს“: DE მ 12,30 და „იგი ჩემდა მტერ არს“: იქვე, C...[91]

---

[90] ი. იმნაიშვილი, შედგენილი შემასმენელი..., გვ. 188.
[91] ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება..., გვ. 646.

ყითარებით ბრუნვაში დასმულ თანასაერთად შეიძლება გვქონდეს არსებითი სახელიც და ვითარებითში დასმული მასდარიც, რომელსაც ინფინიტივის გაგება ჰქონდა.

მაგალითად:

ოცდამეხუთესა დღეს მ უ ც ლ ა დ ი ღ ო ელისაბედ: მრავალ. 306,18

თქუენ ყოველნი დ ა ბ რ კ ო ლ ე ბ ა დ ხ ა რ თ ჩემდა მომართ: DE მ 26,31.

და ასე:

ი წ უ ე ს ი ს ი რ ა დ ქვითა ხატსა მეფისასა: კიმ. 11,56,26

ძმ კაცისაჲ მ ი ც ე მ ა დ ა რ ს კელთა კაცთასა: ღ 9,14...

საერთად, ჩვეულებრივ გამოყენებულია მეშველი ზმნები: ვ ა რ, ხ ა რ, ა რ ს და ა. შ. (მაგ., ჩუენ მოწამე ვართ ყოველთა მათ: მოც. 10,39; თქუენ მოწამე ხართ: C ი 15,27; დიდებულ არს ძმ დავითისი: C მ 21,9), მაგრამ გვხვდება სხვა ზმნებიც. ასეთებია: ყ ო ფ ა (ვყავთ, ჰყავთ, ჰყეს...), ქ მ ნ ა, გ ო ნ ე ბ ა და სხვ.[92]

მაგალითად:

მ რ ჩ ო ბ ლ ი ქ მ ნ ა დღესასწაული ესე...: აბო, 58,32

ეგრეცა თქუენ გარეშე ჰ გ ო ნ ი ე თ კაცთა მ ა რ თ ა ლ: DE მ 23,28.

ახალ ქართულში მეშველი ზმნა, რომელიც მესამე პირშია, შეკვეცილია, რის შედეგ-დაც არს ფორმიდან დარჩენილია -ა, არიან ფორმიდან -ან[93].

ძველ ქართულში შეკვეცილი ფორმებიც შეინიშნება შეუკვეცელი ფორმების გვერდით, ალბათ ცოცხალი მეტყველების გავლენით.

მაგალითად:

და შენი ჩ ე მ ი ა: C ი 17,10, შდრ. DE და შენი ჩემი არს

რომელი მ ა დ ლ ი ა თქუენდა? C ღ 6,34, შდრ. ხანმ. და DE: რომელი მადლი არს თქუენდა?

თ ქ უ ე ნ ი ა სასუფეველი ღმრთისაჲ: C ღ 6,20, შდრ. DE: თქუენი არს სასუფეველი ღმრთისაჲ

რომელი მ ო ს რ უ ლ ა სოფლად: D ი 6,14, შდრ. E: რომელი მოსრულ არს სოფლად.

§ 80. თანასაერთის ადგილი. თანასაერთისა და საერთის ნორმალურ წყობად ძველ ქართულში მიიჩნევა თანასაერთი+საერთი,

---

[92] საერთად გამოყენებული ზმნები ვრცლად მიმოხილული აქვს ი. იმნაიშვილს. შედგენილი შემასმენელი ქართულში: ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედინსტიტუტის შრომები, V, 1948, გვ. 197—216; მისივე, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 642—648. ამიტომ ამ საკითხზე აქ არ შევჩერდებით. დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს.

[93] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 182; 466.

მაგრამ ხშირია ინვერსიული რიგიც (საერთი+თანასაერთი), რომელიც შეიძლება გათიშულადაც წარმოგვიდგეს. თითქოს ერთმანეთის გვერდით სამგვარი წყობა თანაბრადაა დამკვიდრებული ძველი ქართული ენის წიაღში, სადაც პირველი ფორმა (თანასაერთი+საერთი) უფრო მთლიანია, ვიდრე ორი დანარჩენი, რომლებთანაც საერთის წინ წამოწევა სტილითაა გამოწვეული. სინტაქსისათვის საერთისა და თანასაერთის წყობას მნიშვნელობა არა აქვს: სინტაქსური ურთიერთობა სამივე შემთხვევაში ერთნაირია:

მაგალითად:

თანასაერთს მოსდევს საერთი

არღარა ღირს ვარ მე წოდებად ძედ შენდა: DE ლ 15,19, შდრ.
არა ვარ ღირს ხადად მამად ჩემდა: ბოლნ. 36,23
კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა: მ 23,39
ამისა მოწამე ვართ ჩუენ: მრავალთ. 278,26
თკუენ შვილნი ხართ მეკერპეთანი: კოლ. წამ. 56,9
ძუალნი ჩუენნი ცოცხალ არიან: ბალ. 96,8.

თანასაერთი მოსდევს საერთს

ცხორებაჲ იგი იყო ნათელ კაცთა: ი 1,4
ჩუენ მოსესნი ვართ მოწაფენი: DE ი 9.28, შდრ. C: ჩუენ მოსეს მოწაფენი ვართ.

თანასაერთსა და საერთს შორის მოქცეულია სხვა სიტყვები

იყო დაცემაჲ სახლისაჲ მის დიდ: ლ 6,49
იყვნეს ფარანელნი იგი ორას ოდენ კაც: კიმ. 1,36,3.

შეიძლება გაითიშოს მარტივი შემასმენელიც და ზმნისწინის შემდეგ მოთავსდეს სხვა სიტყვა. უძველესი ქართულის სიტყვათა ეს წყობა შემოინახა ძველმა ქართულმა და შემოგვრჩა ახალი ქართულის დამკვიდრებამდე.

მაგალითად:

მო-ვე შიშველი-ვედ მეცლისაგან დედისა ჩემისაჲთ: იობ. 1,21
იგინიცა ნაცსა შინა გან-ოდენ-იგებდეს სათრომელთა: C მრ 1,19
გან-ეინმე-იღოს ჰურჰერი მიერ ტაძრით: DE მრ 11,16...

წინადადების წევრის მოქცევა ზმნის შემადგენლობაში ცნობილია ენის ისტორიის თვალსაზრისით. აქ ნათლად ჩანს სიტყვათა წყობა უძველესი ქართულის იმ პერიოდისა, როდესაც ზმნისწინი დამოუკიდებელი სიტყვა იყო. ამის მიხედვით ამგვარი მარტივი შემასმენელი მომდინარეობს რთულიდან.

პარალელური ძეგლების შესწავლით ირკვევა, რომ მარტივი და რთული შემასმენელი თანაბრად გამოიყენება ძველ ქართულში.

მიუხედავად ამისა, მარტივი შემასმენელი ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა რთულ შემასმენელს. რთული შემასმენლის საერთი წარმოშობით სრულმნიშვნელოვანი ზმნაა და ამდენად წინადადების დამოუკიდებელი წევრი.

მაგალითად:

DE	C
სახელები თქუენი დაიწერა ცათა შინა: ლ 10,20.	სახელები თქუენი აღწერილ არს ცათა შინა.
საყდართა მოსესთა დასხდენ მწიგნობარნი: მ 23,2.	საყდართა ზედა მოსესთა დასხდომილ არიან მწიგნობარნი.
განიკურნა გუემულებისაგან: მრ 5.29.	განკურნებულ არს გუემისა მისგან...

კაცი იფიქრებდა — ერთი რედაქცია (სახელდობრ, ჯრუჭ-პარხლისა) მარტივ შემასმენელს იყენებს, ხოლო მეორე (ადიშისა) — რთულსო, რომ პირიქითაც არ იყოს: ადიშის ოთხთავის სათანადო ადგილის მარტივი შემასმენლის საპირისპიროდ ჯრუჭ-პარხლის ოთხთავში რთული შემასმენელი ან რთული ზმნა გვხვდება შემასმენლად.

მაგალითად:

C	DE
ყრმაჲ ჩემი ძე სახლსა შინა ჩემსა დაჯსნილი: მ 8,6.	მონაჲ ჩემი დაცემულ არს სახლსა შინა ჩემსა განრღუეული.
არა იხილოს ცხორებაჲ, არამედ რისხვაჲ ღმრთისაჲ და დაადგრეს მას ზედა: ი 3,36.	არა იხილოს ცხორებაჲ, არამედ რისხვაჲ ღმრთისაჲ დადგრომილ არს მის ზედა.
განიგრძვიან ფესუები მათი: მ 23,5.	გრძელ ყვიან ფესუები სამოსლისა მათისაჲ.
არა ხედავ პირსა კაცისასა: მ 22,16.	არა თუალთ-აღებ პირსა კაცისასა.

რამდენიმე თანასაერთთან შეიძლება გვქონდეს ერთი საერთი. ასეთი საერთი უფრო ხშირად თან ახლავს პირველ თანასაერთს და დანარჩენებთან დაკარგულია, ან, პირიქით, საერთი ახლავს უკანასკნელს. ორივე შემთხვევა გამოწვეულია ერთნაირ საერთთა მრავალგზის განმეორების ასაცილებლად.

მაგალითად:

მშჯდ ვარ და მდაბალ გულითა: მ 11,29
მე ვარ გზაჲ და ჭეშმარიტებაჲ და ცხორებაჲ: ი 14,6
მჯნე იყავ, მოთმინე და სულგრძელ: შუ. III,15.

შედარებით იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც საერთი ბოლო თანასაერთთთან არის შემორჩენილი.

მაგალითად:

რომელ-ესე უფალ დ მოძღუარ ვარ: С и 13,14
ესე ფრიად უძკრეს და უბოროტეა აოს. მაგ. სწ. 36,27
მცირე და ბოროტ იყვნეს წელნი დღეთა ცხორებისა ჩემ-
სათანი: დაბ. 47,9.

საერთო საერთი აქვთ სემანტიკურ წყვილებს, როდესაც ერთი წყვილი განსხვავებულია მეორისაგან.

მაგალითად:

მას ითხოვენ შენგან, რომელი ადკლ და მარჯუეარს შენ ზედა და შემძინებელ და შემმატებელ არს პატრესა და დიდებასა შენსა: კიმ. 1,7,4...

§ 81. რთული შემასმენლის შეთანხმება რიცხვში. რთული შემასმენლის თანასაერთი ქვემდებარესთან რიცხვში ურთიერთობისას შეიძლება გამოიხატოს ორი ფორმით: ან მხოლოობითშია და რიცხვში ეთანხმება ქვემდებარეს მხოლოდ საერთი, ან საერთთან ერთად თანასაერთიც მრავლობით რიცხვშია. ეს უკანასკნელი მეორეულია.

პირველ შემთხვევაში თანასაერთი არ ირთავს ბრუნვისა და რიცხვის ნიშანს: იგი ფუძის სახითაა და შედის რთული შემასმენლის შემადგენლობაში, როგორც გაუფორმებელი სახელი. რიცხვისა და პირის გაგებას იძლევა ვარ, ხარ, არს... დამხმარე ზმნები, რომელთაც ეკისრებათ თანასაერთთან ერთად შემასმენლის როლში გამოვიდნენ.

მაგალითად:

ჩუენ მოწამე ვართ ყოველთა მათ: მოც. 10,39
თქუენ მოწამე ხართ: С и 15,27
ყოველნივე ადგილნი სასე არიან მისგან: ბალ. 60,5
ხოლო თუალნი მათნი შეპყრობილ ხიყვნეს: ხანმ. ლ 24,16
უცხოვიძნეთ ჩუენ ძმათა ჩუენთაგან: წარტყ. ნწ14
ყოველნი ვარსკულავნი უჩინო იქმნეს: ლიტ. ურთ. 139,16.

რთული შემასმენლის სახელადი ნაწილი, თანასაერთი, რომელიც უძველეს ქართულში მხოლოდ წრფელობითის ფორმით იყო შემასმენლის შემადგენლობაში, თანდათან იძენს სახელობითი ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის ნიშანს. ამ შემთხვევაში ქვემდებარის მრავლობითი რიცხვი აღინიშნება საერთშიც და თანასაერთშიც. ამიტომაა, რომ შემასმენლის მხოლოობით რიცხვს უპირისპირდება ორმაგად გამოხატული მრავლობითი რიცხვი (შდრ. „შენი არს მთოვარჱ და ნათელი მისი“: ბოლნ. 44,14 და „შენნი არიან ვარსკულავნი და ელვანი მათნი“ იქვე, 44,15).

თანასაერთის მრავლობითი რიცხვი გამოწვეულია ქვემდებარის მიერ: მრავლობით რიცხვში დასმული ქვემდებარე ითანხმებს შემასმენლის სახელად ნაწილს იმიტომ, რომ ზმნური ნაწილით გამოხატული მრავლობითი რიცხვი საკმარისი არ აღმოჩნდა რიცხვში შეთანხმებისათვის. წინადადებაში „უმტკიცესნი საბრკენი ეშმაკისანი ორნი არიან“ (ბალ. 67,12) თანასაერთი ორნი-ც შინაარსობლივ კავშირს ამყარებს ქვემდებარესთან: „საბრკენი ორნი არიან“ დაახლოებით გამოხატავს იმას, რასაც „ორნი საბრკენი“. ასევე „კიშტენი ეგე არიან სამარხონი ძუალთა ჩუენთანი“ (ისტ. ქრ. 298,16) მოგვაგონებს ამას: „ძუალთა ჩუენთა სამარხონი კიშტენი“...

შინაარსობლივად დაკავშირებულ სახელთა წყვილებს შორის (ქვემდებარე-თანაერთი||მსაზღვრელი-საზღვრული) არსებული ურთიერთობა აირეკლება აგებულებაშიც: ქვემდებარესთან რიცხვში შეთანხმება ასახულია თანასაერთშიც. შემდგომში კი იგი თანდათანობით ნორმად იქცა, ამიტომ პირველი და მეორე პირის ქვემდებარის მიერ თანასაერთის რიცხვში შეთანხმება უნდა წარმოვიდგინოთ ასე: „ჩუენ მოსეს მოწაფენი ვართ“: C и 9,28 — „ჩუენ მოსესნი ვართ მოწაფენი“: DE. ფარდი სიტყვებია ჩუენ და მოწაფენი...

და ასე:

ჩუენ ქრისტეანენი ვართ: კოლ. წამ. 60,10
თქუენ ხართ ნათელნი სოფლისანი: DE მ 5,14
შუდნი იგი ზროხანი კეთილნი შუდნი წელნი არიან: დაბ. 41.26.

ამგვარად, შემასმენლად გვაქვს მარტივი ზმნა (უნაწილაკოდ ან ნაწილაკით), რთული ზმნა, ან კიდევ სახელი და ზმნა ერთად. ეს უკანასკნელი ცნობილია რთული შემასმენლის სახელით.

შემასმენლის სინტაქსურ ძალას განსაზღვრავს ზმნის გარდამავლობა: გარდაუვალი ზმნა-შემასმენელი რიცხვში ეთანხმება ქვემდებარეს და იმართვის პირში, გარდამავალი შემასმენელი კი რთულ სინტაქსურ ურთიერთობაშია ქვემდებარესა და პირმომართ დამატებებთან. ეს ურთიერთობა შემასმენელში აღინიშნება რიცხვში შეთანხმებითა და პირში მართვით, ქვემდებარესა და დამატებებში — ბრუნვაში მართვით.

თავი მეექვსე

წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები

1. პირმიუმართავი დამატება

§ 82. პირმიუმართავი დამატების გადმოცემის საშუალებანი. პირმიუმართავი დამატება არის წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი, რომელიც ახლავს შემასმენელს ან ზმნური წარმოშობის რომელიმე წევრს წინადადებისას და გადმოიცემა მიცემით, ვითარებით, ნათესაობით ან მოქმედებით ბრუნვაში მართული სახელით.

§ 83. პირმიუმართავი დამატება მიცემითში. მიცემითი ბრუნვით გადმოიცემა პირმიუმართავი დამატებაც. ასეთი სახელი შეიძლება იყოს თანდებულიანიც და უთანდებულოც. ორივე შემთხვევაში პირმიუმართავი დამატება ახლოს დგას ადგილის გარემოებასთან. ზოგჯერ მათ შორის ზღვარის დადებაც ჭირს.

შევადაროთ ერთმანეთს წინადადებები:

1. მოიყვანა იგი ყოველთასა მას ს ა დ გ უ რ ს ა: ლ 10,34; 2. ამან მოიყვანნა იგინი ი ე ს უ ს ა: C ი 1,42 და 3. მოიყვანეს იგი პ ი ლ ა ტ ე ს ა: ლ 23,1. ჩვენთვის საინტერესო წევრები (ს ა დ გ უ რ ს ა, ი ე ს უ ს ა, პ ი ლ ა ტ ე ს ა) გარეგნულად ერთნაირია. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ სამივე მათგანი წინადადების ერთსა და იმავე წევრს გამოხატავს? რა თქმა უნდა, არა. აქედან პირველი (ს ა დ გ უ რ ს ა) ადგილის გარემოებაა. ამაზე მიუთითებს მისი მნიშვნელობაც და შეპირისპირებულ მაგალითებთან შედარებით ფორმაც. მეორე და მესამე კი არ შეიძლება იყოს ადგილის გარემოება, რადგანაც მნიშვნელობაც და ისტორიულად ფორმაც პირველისაგან განსხვავებულია: ორივე ნანათესაობითარ ვითარებითშია (ან ნანათესაობითარ მიცემითში). საქმე ისაა, რომ ი ე ს უ ს ა და პ ი ლ ა ტ ე ს ა საკუთარი სახელებია და სუფიქსი -ა არ შეიძლება იყოს ემფატიკური ხმოვანი. იგი უნდა მომდინარეობდეს ვითარებითისეულ -ა-დ. ან -დ-ა სუფიქსისაგან დ-ს დაკარგვით; წინამავალი -ი

კი ნათესაობითისაა და დაკარგული აქვს ი ხმოვანი (იესუსა ← იესუჲსა ← ესუჲს-დ-ა || იესუჲს-ა-დ, შდრ. იქვე DE: ამან მოიყვანა იგი იესუჲსა... პილატესა ← პილატჱსა ← პილატჱს-დ-ა || პილატჱს-ად, შდრ. მოვიყვანე ძჱ ჩემი შენდა: მრ 9,17) ან კიდევ პილატესა, იესუსა და მსგავსი ფორმები შეიძლება მომდინარეობდნენ ნანათესაობითარ მიცემითში დასმული მსაზღვრელებიდან. მათ ჯერ საზღვრული დაუკარგავთ, შემდეგ კი ორი სანიდან ერთი გამქრალა და საკუთარი სახელის ნანათესაობითარი მიცემითი დამსგავსებია საზოგადო სახელის მიცემითს. ამიტომაა, რომ გვაქვს: მოიყვანეს იგი პილატესა: ლ 23,1 (=მოიყვანეს იგი სახლსა პილატჱსსა), ალბათ გარდამავალი საფეხური გვაქვს ასეთ შემთხვევაში: შეხუედ პილატჱსსა...: ი. არიმ. 30, 9 (=შეხუედ სახლსა პილატჱსსა). მაშასადამე, სადგურსა სხვაა, ხოლო იესუსა და პილატესა— სხვა. მიცემითში დასმული უბრალო დამატებები გვაქვს წინადადებებში:

არაეინ შთაასხის ღჳნოჲ ახალი თხიერსა ძველსა: მრ 2,22
ორნიე მთხრებლსა შთაცჳნ: მ 15,14
უშჯულოთა მათ ნეტარნი იგი ყრმანი ძელსა ღმოკიდნეს თავდამოქცევით: სპეს. 78,1—2.

თუ ამ შემთხვევაში თხიერსა, მთხრებლსა, ძელსა ახლოს დგას ადგილის გარემოებასთან, ასეთი რამ გამორიცხულია სხვა შემთხვევაში, მაგ., „მე მიძლევიეს სოფელსა“: DE ი 16, 33, შდრ. C: „მე ვსძლე ,სოფელსა“. უკანასკნელ შემთხვევაში „სოფელსა“ ირიბი დამატებაა. მაგრამ წინადადებაში „მე მიძლევიეს სოფელსა“ — სოფელსა არ შეიძლება იყოს ირიბი დამატება. იგი არც ადგილის გარემოებაა. აქ სოფელსა მიცემითში დასმული პირმიუმართავი დამატებაა და დაკავშირებულია მესამე სერიის ზმნა-შემასმენელთან. ამევარი ფორმის არსებობა ფასეულია ქართული ენის ისტორიისათვის, რადგანაც მისი ადგილი ძველსავე ქართულში ან თანდებულიან ნათესაობითს უკავია, ან კიდევ ნანათესაობითარ ვითარებითს თანდებულიანი ნათესაობითის ფუნქციით. მაგ.:

ანგელოზთა: მისთა უბრძანებიეს შენთჳს დაცვად შენდა: ლ 4,10, შდრ. მხატვრისადა მიეცა განსაგებელად: ცხორ. 112,10;

თანამედროვე დიალექტთაგან:

იოსებას მაუქნევაე კმალი ბალახურისძისად: ხევს. 181,22, ცხენისად ერთ ბარკალ შეკჳამ: ოუშ. 83.17 და ა. შ.

მიცემითში დასმული უბრალო დამატება გვაქვს სხვა შემთხვევაშიც, მაგ.:

შეგრაგნა იგი ამრენაცა წმიდასა: DE მ 27.59, შდრ. C: შეგრაგნა იგი არდაგსა წმიდასა.

ახალ ქართულში ამ შემთხვევაში უთანდებულო მიცემითი თანდებულიანმა ფორმებმა შეცვალა, მაგ.: ყველაფერი ეს გამოუკრა ჯერ სუზანში, მერე ფარდაგში (ილია)...

„მსგავს არს“ შემასმენელთან პირმიუმართავი დამატება ჩვეულებრივ მიცემით ბრუნვაშია, მაგრამ იშვიათად გვხვდება ნათესაობითშიც. ეს უკანასკნელი დამკვიდრდა ახალ ქართულში.

მაგ.:

მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა სახლისა უფალსა: DE მ 20,1, შდრ. C: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა მამასახლისსა; მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა მეფესა: C მ 22,2. მაგრამ: კაცი შობილი დედაკაცისაჲ მსგავს არს კანჯრისა მის უდაბნოჲსა: იობ. 11,12.

უთანდებულო მიცემითის პარალელურად ხშირია დამატებაც თანდებულიანი მიცემითი. თანდებულებიდან უფრო გამოყენებულია წინაშე, თანა, ზედა, შორის და შინა.

წინაშე თანდებული, ისევე როგორც თანა და ზედა, იხმარებოდა მიცემითთანაც და ნათესაობითთანაც. ეს თანდებულები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ადგილის მიხედვითაც: წინაშე თანდებული ძველ ქართულში ჩვეულებრივ სახელის წინ დაისმოდა', თანა და ზედა კი ჩვეულებრივ შემდეგ. წინაშე, თანა და ზედა თანდებულიანი სახელები გამოყენებულია ადგილის გარემოებად მაშინ, როდესაც ერთვიან უსულო საგნის სახელებს. მაგრამ ეგეთე თანდებულდართული სახელები დამატებებს აღნიშნავენ წინადადებაში უპირატესად მაშინ, როცა დაერთვიან სულიერი საგნის აღმნიშვნელ ან აბსტრაქტულ სახელებს. უნდა ვიფიქროთ, რომ წინაშე, თანა და ზედა თანდებულიანი მიცემითი დამატებად მეორეული უნდა იყოს. გამორკვეულია, რომ უძველეს ქართულში წინაშე და თანა თანდებულები უსულო საგნის სახელებს მართავდნენ მიცემით ბრუნვაში, სოლო სულიერ საგანთა'სახელებს — ნათესაობითში[2].

---

[1] ა. მარტიროსოვ თანდებული ქართულში: იბერიული-კავკასიური ენათმეცნიერება, I, გვ. 245.

[2] კ. კეკელიძე, „წინაშე“. „თანა“ და „ზედა“ თანდებულთა ფუნქც. ძველ ქართულში: საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, № 3. გვ. 285.

ზ ე დ ა თანდებული კი ამათგან იმით განსხვავდება, რომ ნათესაობით ბრუნვაში მართავს ვ ი ნ ჯგუფის სახელს. ხოლო მიცემითში რ ა ჯგუფის სახელს (უსულოსაც და სულიერსაც)[3]. მაგრამ ამ წესს ძველი ქართული ბოლომდის მაინც ვერ იცავს და თ ა ნ ა და ზ ე დ ა თანდებულები მეტ-ნაკლებად გვხვდება მიცემით ბრუნვაში დასმულ სახელებთანაც მაშინაც კი, როცა დაერთვიან ვ ი ნ ჯგუფის სახელებს. მაგ.:

ესრეთ წიგნები ვედრებისაჲ დაწერეს კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ს ა თ ა ნ ა: ცხორ. 19,14

მაშინ წარვედ მ ე წ ი ს ქ უ ლ ე ს ა თ ა ნ ა: კიმ. I,209,26

მოვიდეს ე რ ს ა მ ა ს თ ა ნ ა: C მ 17.14

ეითარცა ა ვ ა ზ ა კ ს ა ზ ე დ ა გამოხუედით: DE მ 26,35

მოსიკუდიდ იყო იესუ ზ ე დ ა ნ ა თ ე ს ა ვ ს ა მ ა ს: C ი 11,51.

ახალ ქართულში -ზე (← ზედა) და -თ ა ნ (← თანა) თანდებულები დამკვიდრდა მიცემით ბრუნვასთან მიუხედავად იმისა, ბრუნვაში მართული სახელი ადამიანის აღმნიშვნელია, თუ არაადამიანისა.

პოსტპოზიციური წ ი ნ ა შ ე თანდებული შეიძლება დაუკავშირდეს ნანათესაობითარ მიცემითსაც, რაც მეორეული მოვლენა ჩანს, მაგ.:

ამისათჳს გიწამებ შ ე ნ წ ი ნ ა შ ე ქ რ ი ს ტ ე ს ს ა: წარტყ. ღდ$_{12}$

იყო ვინმე კაცი წყლითა მანკიერი წ ი ნ ა შ ე მ ი ს ს ა: D ლ 14,2, შდრ. C: იყო ვინმე წყლითა მანკიერითა წ ი ნ ა შ ე მ ი ს ა

წარავლინნა მოციქულნი წინაშე მისსა: DC ლ 9,52, შდრ. E: წარავლინნა მოციქულნი წ ი ნ ა შ ე მ ი ს ა.

ადგილის გარემოებისა და დამატებისათვის საერთოა აგრეთვე შ ო რ ი ს და შ ი ნ ა თანდებულიანი ფორმები. ეგენი თანდებულები სახელს მართავენ მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვაში.

შ ო რ ი ს თანდებული მაინც განსხვავდება შ ი ნ ა თანდებულისაგან იმით, რომ ვ ი ნ ჯგუფის სახელებს მოითხოვს ნათესაობით ბრუნვაში, რ ა ჯგუფისას — მიცემითში. ამის მიხედვით შ ო რ ი ს თანდებული ემსგავსება ზ ე დ ა თანდებულს.

მოძრაობა იგი ადგილის მიხედვითაც: ძველ ქართულში დაერთოდა სახელს პრეპოზიციულადაც და პოსტპოზიციურადაც, ახალ ქართულში პოსტპოზიციურია.

---

[3] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 283—284.

შ ო რ ი ს და შ ი ნ ა თანდებულიანი სახელები გამოხატავენ ადგილს ან დროს, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა შ ო რ ი ს და შ ი ნ ა მიცემითში დასმულ სახელებთან დამატების გამოსახატავად. ამიტომ რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ:

ამან იწყო განცხადებაჲ შ ე ს ა კ რ ე ბ ე ლ ს ა შ ო რ ი ს: მოც. 18.26
არა შფოთი იყოს ე რ ს ა შ ო რ ი ს: DE მ 26,5, შდრ. C: არა ამბოხება იყოს შ თ რ ი ს ე რ ს ა
რაჟვიდა ასული იგი ეროდიაჲსი შ ო რ ი ს მ ა თ ს ა: DE მ 14,6
სასუფეველი ღმრთისაჲ შ ო რ ი ს თ ქ უ ე ნ ს ა არს: DE ლ 17,21, შდრ. C: სასუფეველი ღმრთისაჲ თ ქ უ ე ნ თ ა ნ ა არს
აღვიღოთ უკეთურებაჲ იგი ი ს რ ა ჱ ლ ს ა შ რ ვ რ ი ს: მსაჯ. 20,13
ხოლო სანატრელი დედაჲ ფებრონია ზ რ უ ნ ვ ა ს ა შ ი ნ ა იყო: ხანძთ. ლზ, ცხონდებოდა წმიდაჲ ევსტათი ქ რ ი ს ტ ე ა ნ ო ბ ა ს ა შ ი ნ ა: ისტ. ქრ. 160,24
მოძღუარ, რომელი მცნებაჲ უდიდეს არს შ ჯ უ ლ ს ა შ ი ნ ა? C მ 22.36 და სხვ.

ჩვენ აქ განგებ მოვერიდეთ პირის ნაცვალსახელებსა და მრავლობით რიცხვს, სადაც ჰირს ნათესაობითისა და მიცემითის გარჩევა. თანდებულიანი ფორმები ამ შემთხვევაშიც იმასვე აღნიშნავენ. რასაც სხვა შემთხვევაში. მაგ.:

დაჲდა იგი მ ს ა ხ უ რ თ ა თ ა ნ ა: მრ 14,54
ჰხედვიდეს სასწაულთა მათ, რომელთა იქმოდა უ ძ ღ უ რ თ ა ზ ე დ ა: DE ი 6,2
კურთხეულ ხარ შენ დ ე დ ა თ ა შ ო რ ი ს: DE ლ 1,28 და ა. შ. შდრ: სიტყუაჲ იგი უფლისაჲ აწვე აღესრულების ჩ უ ე ნ ზ ე დ ა: ხანძთ. ლგ1 ამისთჳს შეითქუნეს ურთიერთას მტერობად ჩ უ ე ნ ზ ე დ ა: ბალ. 44,21 და სხვ.

ამგვარად, პირმიუმართავ დამატებად მიცემითი ბრუნვა გამოიყენება უთანდებულოდაც და თანდებულიანადაც. პირველი წინ უსწრებს მეორეს. ენის განვითარების შინაგან კანონებში უნდა ვეძიოთ უთანდებულო მიცემითის მაგივრად თანდებულიანი მიცემითის გაბატონება.

§ 84. მიცემით ბრუნვაში დასმული დამატება მასდართან და მიმღეობასთან. მიცემით ბრუნვაში დასმული დამატება გვხვდება მასდართანაც და მიმღეობასთანაც იმავე თანმიმდევრობით, როგორადაც ეს შეესმენელთან გვაქვს: ან მოსდევს მასდარსა და მიმღეობას, ან წინ უსწრებს მათ, მაგ.:

გიღირს თქუენ უფროჲსად დ ა მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა ჲ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ს ა: კიმ. I,110,8

ჯერ-არს თუ ხარკისა კეისარსა მიცემაჲ: C მრ 12,14, შდრ.
ჯერ-არსა ხარკისა მიცემაჲ კეისარსა: DE მ 22,17...

დამატება მიცემითში გვევლინება, როგორც მოქმედებითი გვარის მიმღეობასთან, ასევე ვნებითი გვარის მიმღეობასთანაც[4]. მაგ.:

იგი არს სულთა მკურნალი და ღ ხ ი ნ ე ბ ა ს ა მ ი მ ც ე მ ე ლ ი: მამ. სწ. 6,2

ვიხილენ მკედარნი ორნი: მ კ ე დ ა რ ი ვ ი რ ს ა და მ კ ე დ ა რ ი ა კ ლ ე მ ს ა: ესაია, 21,7

რომელი მაქუნდა დ ა კ რ ძ ა ლ უ ლ ი სუდარსა: ლ 19,20

მოიელინა გაბრიელ ...ქალაქად გალილეაჲსა, რომლისა სახელი ნაზარეთ, ქალწულისა, თ ხ ო ვ ე ლ ი ს ა ქ მ ა რ ს ა, რომლისა სახელი იოსებ: DE ლ 1,27 და სხვ.

სინტაქსური ურთიერთობა ისეთივეა. როგორიც პირიანი ფორმების დამატებებთან გვქონდა: დამატება აქაც მართულია ბრუნვაში.

ახალ ქართულში მასდართან მიცემითში დასმული უთანდებულო პირმიუმართავი დამატება არაა ბუნებრივი. ასევე შეზღუდულია მისი ხმარება მიმღეობასთანაც: მხოლოდ ზოგიერთი გარდაუვალი ზმნის მიცემითში დასმული (ირიბი) დამატება არ იცვლის ბრუნვას[5]. მაგ., „წ ა რ თ მ ე ვ ა ს დ ა ჩ ვ ე უ ლ მ ა ღორმა შემომიტია, მაგრამ მე ვაყკაცურად დავუხვედი და ვხეთქე თავში თოხი" (აკაკი, IV, 38).

ამ ფაქტს მნიშვნელობა აქვს ქართული ენის სტრუქტურის განვითარების ისტორიისათვის. მიცემით ბრუნვაში დასმული უთანდებულო დამატება მასდართან და მიმღეობასთან ძველი ქართულის მარტივი წინადადების შედგენილობაში ისევე ნორმალურია, როგორც ეს გვაქვს პირიან ფორმებთან. ქართული ენის განვითარებას შემდგომ საფეხურზე უთანდებულო მიცემითს ცვლის ნათესაობითი ან თანდებულიანი მიცემითი.

§ 85. პირმიუმართავი დამატება ვითარებითში. ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება -დ, -ა-დ, -დ-ა, -ა[6]. ამ ნიშნებს გარკვეული ად-

---

[4] ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 690. იქვეა სათანადო ილუსტრაციებიც, ამიტომ აქ რამდენიმე მაგალითს ვასახელებთ.

[5] ლ. ქვაჩაძე, ქართული ენის სინტაქსი, 1958, გვ. 62.

[6] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს რედაქციით, გვ. 32.

გილი აქვთ მიჩენილი იმ ნორმების მიხედვით, რაც ქართულ ენას გამოუმუშავებია ისტორიულად. შედგენილობით ვითარებითი ბრუნვის ნიშანი რთული ჩანს, მიუხედავად იმისა, თუ როგორ გავიგებთ მას.

არნ. ჩიქობავა ვარაუდობს, რომ ვითარებით ბრუნვას უნდა ჰქონოდა ორი ნიშანი -ა და -დ. ეს ნიშნები დადასტურებულია ქართველურ ენებში: -დ გვხვდება ქართულშიც, მეგრულშიც (ოღონდ დაყრუებულია და -თ'ს სახითაა) და სვანურშიც, -ა კი გვაქვს ქართულში (სადიდებელ-ა, საბერძნეთ-ა...) და მისი შესატყვისი -ო მეგრულში. ორივე აფიქსი ქართველურ ენებში ორ სხვადასხვა ენობრივ ფენს განეკუთვნება და დამახასიათებელია ქართველური ენების ძველი ვითარებისათვის[7].

ნ. მარი ვითარებითი ბრუნვის ნიშნის შედგენილობაში პოულობდა მიმართულებითის ა'ს, საკუთრივ ხმოვნიან მიცემითს და დ თანდებულს. მაგ., სიტყვებში: საბერძნეთ-ი — საბერძნეთა-დ. ჯოჯოხეთ-ი — ჯოჯოხეთა-დ, კაც-ი — კაცა-დ, კელ-ი — კელა-დ. თანდებული დ არისო ნარჩენი მისი სრული სახისა -და, რომელიც გვაქვს პირის ნაცვალსახელთა (I და II პ.) მიმართულებით ბრუნვაში[8].

ფუნქციის მიხედვით ვითარებითი ბრუნვა აღნიშნავს მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ს, გ ა რ დ ა ქ ც ე ვ ა ს, დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა ს, ვ ი თ ა რ ე ბ ა ს და ა. შ. ეს ფუნქციები შემასმენელთან ურთიერთობაშია ვლინდება და განსაზღვრავს მას საჭიროებისათვის შესაფერისი მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა. ამიტომ, ბუნებრივია, პირმიუმართავ დამატებად ვითარებითი ბრუნვის ფორმები გვხვდება გარკვეულ ზმნებთან, მაგრამ შემასმენელთან სინტაქსური ურთიერთობისათვის პირმიუმართავ დამატებიან ზმნათა სხვადასხვა ფორმას მნიშვნელობა არა აქვს, ამიტომ მხოლოდ ნიმუშებს ვუჩვენებთ:

ბასილი, მოკლედ შენ ხანძთას მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ად დასდგები: ხანძთ. 29[16]
მისცა მას ღაბან ასული თჳსი რაქელ ც ო ლ ა დ: დაბ. 29,28
საჯორეს ყოველნი ძმანი იყუნიან მ ე ჯ ო რ ე დ: ცხორ. 93,1
განზარდა იგი თავისა თჳსისა შ ვ ი ლ ა დ: მოც. 7,21.

და სხვ.

---

[7] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: ენიმკის მოამბე, I. 1937, გვ. 21—22.

[8] Н. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского языка, გვ. 28; მისივე, Непочатый источник истории Кавказского мира: Известия АН, 1917, № 5, გვ. 339.

პირის ნაცვალსახელებთან (ჩემ, შენ...) და ზოგ ნანათესაობითარ ვითარებითთან ბრუნვის ნიშნად გვაქვს -და. იგი ვითარებითი ბრუნვის ნიშანია[9].

აღნიშნულია ისიც, რომ არაა სწორი, თითქოს დ მიღებული იყოს -და თანდებულისაგან (და საერთოდ ეს ბრუნვა „თანდებულიანი" იყოს)[10].

ა. შანიძე -და'ს მიიჩნევს თანდებულად[11]. ამ მოსაზრებას იზიარებს ი. იმნაიშვილიც და ამასთან დაკავშირებით აკეთებს ასეთ დასკვნებს:

1. მ ე, შ ე ნ, ჩ უ ე ნ, თ ქ უ ე ნ... უბრუნველი სიტყვებია, ამიტომ მათ არ შეიძლება ჰქონდეთ ვითარებითი ბრუნვის ნიშანი.

2. -და რომ ბრუნვის ნიშანი იყოს, მ ე, შ ე ნ, ჩ უ ე ნ, თ ქ უ ე ნ ნაცვალსახელები ნათესაობითისა (-ის) და მიცემითი (-ს) ბრუნვის აფიქსებსაც გაიჩენდნენ.

3. ვითარებითი ბრუნვის ნიშნებად... ძველ ქართულში გვაქვს -ა (საბერძნეთ-ა), და -დ (ბეთლემ-დ) ან -ა და -დ ერთად (კაც-ა-დ). სხვა ნიშანი ქართულმა არ იცის. აქ კი ერთბაშად -და ფორმანტი ჩნდება, რომელსაც გარდა ამ ოთხი სიტყვისა (და რამდენიმე ნაცვალსახელისა) არსად არა აქვს გამოყენება. ამიტომ ეს -და არ შეიძლება ბრუნვის ნიშნად ჩაითვალოს[12].

მაგრამ: 1. -და რომ თანდებული არ არის, ირკვევა სიტყვათა ურთიერთობით, მაგ.: სული პ ი რ ა დ ჩ ე მ დ ა მოიწია; იობ. 4,15; არღარა ღირს ვარ მე წოდებად ძ ე დ შ ე ნ დ ა: DE ლ 15,19; მოსრულ ხარ აქა უკამოდ გ უ ე მ ა დ ჩ უ ე ნ დ ა: C ლ 3,8; ძალი ღმრთისაჲ იყო გ ა ნ კ უ რ ნ ე ბ ა დ მ ა თ დ ა: C ლ 5,17 და ა. შ.

ამგვარ შემთხვევებში (ჩემ დ ა, შენ დ ა...) -და არ შეიძლება იყოს თანდებული.

---

[9] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართული ენა, განაკვეთი III—IV, 1933, გვ. 18—19; მისივე: ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში, გვ. 32.

[10] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის, გვ. 20.

[11] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 71; 621; მისივე: გიორგი მთაწმიდლის ენა, გვ. 79; მისივე: ქართული ენის გრამატიკა, II, თბილისი, 1948, გვ. 38.

[12] ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 492—493.

2. -და რომ თანდებული იყოს, მაშინ გაუგებარი იქნებოდა -ში, -მო, მიმართ და მომართ თანდებულების დართვა, მაგ.: ყოველნი ერთ იყვნენ ვითარცა შენ, მამაო, ჩემდა და მე შ ე ნ დ ა მ ი: DE ი 17,21; რომელმან აღიაროს ჩ ე მ დ ა მ ო წინაშე კაცთა: C ლ 12,8, შდრ. DE: რომელმან აღიაროს ჩ ე მ დ ა მ ო მ ა რ თ წინაშე კაცთა.

3. რაც მთავარია, შედგენილობით ეს -და იგივე ვითარებითი ბრუნვის ნიშანია, მაშასადამე, თანდებულად მას ვერ მივიჩნევთ.

-და ნიშნიანი ვითარებითი დამახასიათებელია პირის ნაცვალსახელებისათვის. ასეთებია: ჩ ე მ დ ა, შ ე ნ დ ა, ჩ უ ე ნ დ ა, თ ქ უ ე ნ დ ა...

მაგრამ ეს პირის ნაცვალსახელები არ იცვლებიან ბრუნვის მიხედვით. ამიტომაა აქ გამოყენებული კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუძე პირის ნაცვალსახელის მნიშვნელობით.

დანაკლისი ფორმების შევსება ხდება სხვა ბრუნვებშიც (ნათესაობითში, მოქმედებითში და მიცემითშიც კი)[13].

ფუნქციის მიხედვით ჩ ე მ დ ა, შ ე ნ დ ა, ჩ უ ე ნ დ ა, თ ქ უ ე ნ დ ა მოგვაგონებს ან -თ ჳს თანდებულიანი სახელის მნიშვნელობას (დანიშნულებას, განკუთვნებას), ან კიდევ აღნიშნავს მიმართულებას. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით იხმარება იგი მეგრულ-ჭანურშიც, სადაც ჩ ქ ი მ-და || შ ქ ი მ-და, ს ქ ა ნ-და || ს კ ა ნ-და, ჩ ქ უ ნ-და || ჩ ქ ჳ ნ-და || ჩ ქ ი ნ-და და თ ქ ვ ა ნ-და პირის ნაცვალსახელთა მიმართულებითი ბრუნვაა[14].

ამის მიხედვით შ ე ნ დ ა = შ ე ნ თ ჳს, მაგ., ძმაჲ შენი გულძჳრ რაჲმე არს შ ე ნ დ ა: DE მ 5,23, შდრ. C: ძმაჲ შენი გულძჳრ რაჲმე იყოს შ ე ნ თ ჳს.

---

13 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 100.

14 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1935, გვ. 74—76; И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского языка, 1914, გვ. 041; Н. М а р р, Грамматика чанского языка, 1911, გვ. 29; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში: ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 180—183; მისივე: გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, 1954, გვ. 446; არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში I, გვ. 390; ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 493—494; შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მწერლის ენა, თბილისი, 1957, გვ. 150.

-და'ს გამოყენება -თჳს თანდებულის მნიშვნელობით, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გავრცელებულია ცოცხალ მეტყველებაში.

მაინც -და ნიშნიანი ვითარებითი უპირატესად მიმართულების აღსანიშნავადაა გამოყენებული[15]. ეს ჩანს შემდეგი მაგალითებიდანაც:

ჩემდა

შემოვიდა ჩ ე მ დ ა უფალი: არიმათ. 29,18; რაჲსა მოხუედით ჩ ე მ დ ა: ღაბ. 26,27.

შენდა

მეუფჱ შენი მოვალს შ ე ნ დ ა: მ 21,5; მე შ ე ნ დ ა მოვალ: DE ი 17,11, შდრ. ხუმჯობჱს არს შ ე ნ დ ა ერთითა თუალითა შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა: ხანმ. მრ 9.47; უფალსა შენსა აღუთქუამს შ ე ნ დ ა ცხორებაჲ წარუვალი: მამ. სწ. 3.27.

ჩუენდა

აჰა ესერა ღმი იგი მოვიდოდა ჩ უ ე ნ დ ა: კიმ. 1,24,2, კეთილ არს აქა ჩ უ ე ნ დ ა ყოფაჲ: ჰაემ. მ 17,4.

თქუენდა

ესე წიგნი კრძალულებისაჲ წარმოვეც თ ქ უ ე ნ დ ა: წარტყ. ნ3,19; ამისთჳს უცილობელად შემოვედ თ ქ უ ე ნ დ ა: მოც. 10,29...

არაერთი შემთხვევაა, როდესაც ჩ ე მ დ ა და შ ე ნ დ ა ფორმებს მეორედ ემატება ბრუნვის ნიშანი და ორმაგი ბრუნვის ნიშნის შემდეგ კი თანდებულიც[16].

მესამე პირის ნაცვალსახელი ვითარებით ბრუნვაში ფუძედ იყენებს ი გ ი ნაცვალსახელის ნათესაობითს (იგი მ-ის). ასეა ეს არა მარტო ქართულში, არამედ მეგრულ-ჭანურშიც. წარმოების მიხედვით იგი ჩ ე მ დ ა-შ ე ნ დ ა'ს მოგვაგონებს და, თუ მათგან განსხვა-

---

15 თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე ასკვნის, რომ ვითარებითი ბრუნვის ფუნქციათა ევოლუციის პროცესში ამოსავალი კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი მნიშვნელობიდან (ადგილის განსაზღვრა: მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა, მ ი ღ წ ე უ ლ ო ბ ა) ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი მნიშვნელობები მივიღეთ: დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა, მ ი ზ ა ნ ი (თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, გვ. 432). უფრო ადრე არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს ჰქონდა აღნიშნული, რომ ჩ ე მ დ ა, შ ე ნ დ ა, ჩ ე ნ დ ა, თ ქ ე ნ დ ა ქართულში მიმართულებითი ბრუნვაა და არა ვნებითი (არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 76).

16 სათანადო მაგალითები დამოწმებულია ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ: გამოვირჩიოთ ჩ ე მ დ ა დ ი ათი ათასი ერი: 2 მეფ. 17,1; მოიყვანე შ ე ნ დ ა დ მიერ ცოლი დაბ. 28,2 და ა. შ.: სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში. გვ. 494—495

ვებულია, მხოლოდ იმიტომ, რომ გამარტივებულია -დ'ს დაკარგვით[17]. ამიტომაა გვაქვს მ ი ს დ ა || მ ი ს ა და მ ა თ დ ა || მ ა თ ა.

მისდა||მისა

დიდსა ათანასის მ ი ს დ ა მიენდო საურავი: ცხორ. 88,2, შდრ. მოჰწია მ ი ს ა კმაჲ ზეცით: DE ი 12,28; მიაელინნა მ ი ს ა მოხუცებულნი პურიათანი: ლ 7,3.

მათდა||მათა

მივიდა მ ა თ დ ა სასურველი კაცი: ხანძთ. კვ$_{12}$; მოვიდა მ ა თ დ ა იესუ: C მ 14,25, შდრ. DE: მოვიდა მ ა თ ა ი ე ს უ

გამოვიდა მ ა თ დ ა პილატეცა: C ი 18,29, შდრ. DE: გამოვიდა პილატე მ ა თ ა გარე

მოვაელინნე მ ა თ დ ა წინაწარმეტყუელნი: C ლ 11,49, შდრ. DE: მოვაელინნე მ ა თ ა წინაწარმეტყუელნი.

-და ნიშანი დაერთვის აგრეთვე სხვა ნანათესაობითარ სახელებსაც როგორც მხოლოობითში, ასევე მრავლობით რიცხვში:

საფრკე ქმნულ ხარ დიდისა ქ ე ლ მ წ ი ფ ი ს ა დ ა: ხანძთ. ნეკი ა დ ა მ ი ს დ ა ც ა პირველ მცნებისა შეურაცხებადმდე ყოველი დაჰრჩილებულ იყო: იქვე, ლ$_{18}$.

შესულებულ იყვნეს ყრმათა მათ ქ რ ი ს ტ ე ა ნ ე თ ა დ ა: ლიტ. ურთ. 184,17

კ ა ბ უ კ თ ა დ ა გაეწესა საშოვალ ეკლესიასა დგომაჲ: ცხორ. 59,3.

ასევე:

მღდელმან მან შემწირველმან აღიღო ნაპერი ერთი კრავისაჲ მის თავისა თ ჳ ს ი ს ა დ: ანტ. რავ. 83,14.

უკანაჲსკნელ იქმნა იგი ე შ მ ა კ ი ს ა დ: მარ. სწ. 46,7.

ბრუნვის ნიშნის გამარტივების შემდეგ, რაც გამოწვეულია -დ'ს დაკარგვით, დარჩენილია -ა და გვაქვს ასეთი ფორმები:

მესამე დღესა მიიქცა ბ ე რ ი ს ა ვე მშიერი: კიმ. 1,21,19.

საგულისხმოა, რომ მსგავს შემთხვევაში საკუთარი სახელიც ირთავს ა'ს. ეს -ა არაა ემფატიკური ა.

მაგალითად:

მოვიდეს ი ა კ ო ბ ი ს ა: დაბ. 42,29

ჰოარულ იყვნეს მ ა რ ი ა მ ი ს ა: DE ი 11,45.

ნანათესაობითარი ვითარებითია ასეთ მაგალითებშიც:

ვქმნეთ აჳა სამ ტალავარ ერთი შ ე ნ დ ა, ერთი მ ო ს ე ს ა და ერთი ე ლ ი ა ჲ ს ა: DE მ 17,4; ლ 9,33, შდრ. ვითარ უკუე იტყჳან თქუენთაგანნი ვინმე ქრისტესა ძედ დ ა ვ ი თ ი ს ა? ლ 20,41.

---

[17] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში: ენიმკის მოამბე I, გვ. 181; ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები, გვ. 501—503.

ძველი ქართულის მსგავსად -თჳს თანდებულიანი სახელის მნიშვნელობით ნანათესაობითარი ვითარებითი შემორჩენილია ცოცხალ მეტყველებაშიც.

მაგალითად:

იწყეს გულს წყრომად იაკობისთჳს და იოვანესთჳს: C მრ 10,41, შდრ. DE: იწყეს რისხვად იაკობისა და იოვანესა.

ასეა ეს **ფშაურში:**

ერთხელის ჯორისად კულაღდათ გეჯურას რაიმ დაებრალება: ქართ. დიალექტ. 143,23.

ხევსურულში:

კალმწიფეს ქალაქში მოუწერაე ღუბერნატორისად: ხევს. 201.2.

გურულში:

აი ქალი ქმარიზა ქი იყო თურმე კაი: ქართ. დიალექტ. 432.35; ესე უხარია ამ ბოლოს ძროხიზა სიარულიო — ფიქრობდა ელისაბედ: ე. ნინოშვ. „პარტახი“: 64,23: მე და ნიკო.., გაეპარპალდებოდით ქედში წაბლიზა: იქვე, 56,22 და ა. შ.

აქ ძროხიზა ← ძროხიზდა ← ძროხისდა; წაბლიზა ← წაბლიზდა ← წაბლისდა.

ასეთი წარმოებაა მეგრულსა და სვანურშიც, სადაც გვაქვს დანიშნულებითი ბრუნვა: კოჩ-იშ-ოთ (=კაც-ის-ად), ცხენ-იშ-ოთ (=ცხენ-ის-ად), შდრ. სვან. მარემ-იშ-დ (=კაცისად).

ეს დანიშნულებითი ბრუნვა მიღებულია „ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან + ვნებითის ნიშანი -ოთ: კოჩ-იშ-ოთ (შდრ. ჩქიმ-ოთ 'ჩემად')[18].

ასევე, მეგრულ-ჭანურში მიმართულებითი ბრუნვა ნაწარმოებია ნათესაობითისაგან -და ნიშნის დართვით, მაგ., კოჩ-იშ-ა ← კოჩ-იშ-და (კაც-ის-და), ბადი-შა ← ბადი-შ-და[19].

მაგალითად:

ნდიიქჳ...თი კოჩიშა ქიმერთჳ: ი. ყიფშ. 19,6 = დევი... იმ კაცთან (=კაცისად) მიეიდა.

---

[18] ვ. თოფურია, ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში: ენიმკის მოამბე, I, გვ. 182.

[19] იქვე.

ადრე ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია გ. როზენმაც, მაგრამ მისთვის იშ-ა' ს (←იშ-და) შედგენილობა უცნობი იყო. Georg Rosen, Über die Sprache der Lasen: Philologische und historische Abhandlungen der Königlichen Akademie der Wissenschaften zu Berlin. Aus dem Jahre, 1843, გვ. 5.

ბადიშა. ქომეხთეენან ხოლო...: ა. ჩიქ. ჭან. ტექსტ. I,117,28=ბერიკაცთან (=ბერიკაცისად) მისულან კიდეე.

ვითარებით ბრუნვაში დასმული დამატება შეიძლება იყოს თანდებულიანიც. ასეთ მეორეულ ფორმებში გვხვდება -მდე (||მდის), -მი, -მო, -მიმართ და -მომართ თანდებულებიანი სახელები. პირველი (-მდე) ჩვეულებრივ ერთვის ვითარებითის მარტივ ფორმას და იშვიათად ნანათესაობითარ ვითარებითს, დანარჩენი — ნანათესაობითარ ვითარებითს (იშვიათად კი ვითარებითის მარტივ ფორმას).

-მდე თანდებულის ფუნქციაა აღნიშნოს გარკვეულ პუნქტამდე მიწევნა, მაგრამ ორი სხვადასხვა სახით, საწყისებთან და დროის გამომხატველ სახელებთან დროს მიხედვით, სხვა შემთხვევაში კი ადგილისა[20]. ორივე შემთხვევაში -მდე თანდებულიანი სიტყვა გამოხატავს ადგილის ან დროის გარემოებას წინადადებაში, მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც -მდე თანდებულიანი სახელი პირმიუმართავი დამატებაა წინადადებაში და იგი უპირისპირდება აგრეთვე პირმიუმართავ დამატებად გამოყენებულ -გან თანდებულიან მოქმედებითს, რომელიც სხვა შემთხვევაში ადგილის გარემოებაა.

ასეთებია:

კაცნი იგი... გარე მოადგეს სახლსა მას ჰაბუკითგან ვიდრე მოხუცებულადმდე: დაბ. 19,4

აწყმა უფალმან სეტყუაჲ ყოველსა ქუეყანასა ეგჳპტისასა კაცითგან მიპირუტყუამდე: გამ. 9,23

იხილნა იოსებ ყრმანი ეფრემისნი მესამედ ნათესავადმდე: დაბ. 50,23...

-მო და -მი თანდებულები მასალობრივად და ფუნქციით ემთხვევა მო- და მი- წინდებულებს. როგორც წესი, -მო ერთვის ვითარებითში დასმულ პირველი პირის ნაცვალსახელს, -მი კი მეორე პირის ნაცვალსახელს[21].

---

20 ა. შანიძე -მდე თანდებულის გენეზისისათვის: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, № 4, 1942, გვ. 368.

21 სხვა შემთხვევაში -მი თანდებული შეიძლება დაერთოს ვითარებით ბრუნვაში დასმულ არსებით სახელსაც. მაგ., აღფრინდის მიქეულად მაღალსა ჭარსა მძაფრსა მზის თუალსა წყაროდმი...: ისტ. ქრ. 281,17. ამ თანდებულის შესახებ საუბარია ვ. თოფურიას შრომაში — ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, IV: ენიმკის მოამბე, I, გვ. 119.

მაგალითები:

ჩემდამო — ჩუენდამო

ყო ჩ ე მ დ ა მ ო დიდ-დიდნი ძლიერმან: C ლ 1,49; დიდ არს ჩემ ზედა მისაგებელი კეთილთა შენთაჲ ჩ ე მ დ ა მ ო: ბალ. 89,10; მან იწყო სიტყუად ჩ უ ე ნ დ ა მ ო: კიმ. I,31,23; ვერ ქელ-ეწიფების... ჩ უ ე ნ დ ა მ ო წიაღმოსლეად: DE ლ 16,26.

შენდამი

იკურთხეოდიან შ ე ნ დ ა მ ი ყოველნი ტომნი ქუეყანისანი: დაბ. 28,14; მრავალ გზის თქუმულ არიან შ ე ნ დ ა მ ი: იობ. 4,2; ვიშუებდეთ შ ე ნ დ ა მ ი: იპოლ. 3,6, შდრ. ვიშუებდეთ შ ე ნ დ ა მ ი მ ა რ თ: იქვე, 3,12.

მომართ — მიმართ

მ ო მ ა რ თ და მ ი მ ა რ თ თანდებულებში გამოიყოფა მო- და მი- წინდებულ-თანდებულები, რომელთაც ამ შემთხვევაში მიმართულების ჩვენება ეკისრებათ. მო- და მი- შემადგენელი ნაწილების მეშვეობით მ ო მ ა რ თ უკავშირდება პირველ პირს, მ ი მ ა რ თ კი მეორესა და მესამეს[22].

ძველ ქართულში ორივე თანდებული სახელს მართავდა ვითარებითში, უპირატესად ნანათესაობითარ ვითარებითში. ამ უკანასკნელის გამარტივებით ახალ ქართულში გავრცელდა მ ი მ ა რ თ თანდებულიანი ნათესაობითი.

მაგალითები:

ჩემდა მომართ

ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩ ე მ დ ა მ ო მ ა რ თ ამას ღამესა: DE მრ 14,27; საქმჱ კეთილი ქმნა ჩ ე მ დ ა მ ო მ ა რ თ: მ 26,10; სიკუდილი ეტყჳდ ჩ ე მ დ ა მ ო მ ა რ თ: არიმათ. 39,6.

შენდა მიმართ/შენდა მომართ

მეორე პირის ნაცვალსახელთან მ ი მ ა რ თ თანდებულია გამოყენებული, მაგრამ გვაქვს მ ო მ ა რ თ თანდებულიც.

ყოველნი თუ დაბრკოლდენ შ ე ნ დ ა მ ი მ ა რ თ: C მ 26,33; შევსწირაჲთ შ ე ნ დ ა მ ო მ ა რ თ ვედრებასა: სას. პ. რებ 80.

ასევე:

არა აღმოგიკითხავს თქუმული იგი თ ქ უ ე ნ დ ა მ ო მ ა რ თ ღმრთისა მიერ: C მ 22,31.

---

22 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 622; არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, თანდებული ქართულში, გვ. 243.

მესამე პირის ნაცვალსახელებთან და საერთოდ მესამე პირთან ყოველთვის გვაქვს მ ი მ ა რ თ თანდებული:

ყოველნი დაბრკოლდებოდეს მ ი ს ა მ ი მ ა რ თ: DE მ 13,57; არა პრწყენა მ ი ს ა მ ი მ ა რ თ: ი 12,37.

ასევე:

შემდგომად სიტყჳსა მის მისისა მ ა თ დ ა მ ი მ ა რ თ აღმაღლდა ზეცად: D მრ 16,19, შდრ. E: მ ა თ ა მ ი მ ა რ თ.

მ ი მ ა რ თ თანდებულიანი საზოგადო სახელის ნანათესაობითარი ვითარებითი ემთხვევა ნათესაობით ბრუნვას. ამით აიხსნება ახალ ქართულში ნათესაობითის დამკვიდრება ნანათესაობითარი ვითარებითის მაგივრად. მაგალითად, ე რ ი ს ა მ ი მ ა რ თ ← ე რ ი ს-დ ა მ ი მ ა რ თ. რომ ეს ასეა, ჩანს იქიდან, რომ პირთა ნაცვალსახელები, როგორც წესი, მ ი მ ა რ თ (და მ ო მ ა რ თ) თანდებულთან ვითარებით ბრუნვაშია და გვაქვს: ჩ ე მ დ ა მ ო მ ა რ თ, შ ე ნ დ ა მ ი მ ა რ თ, მ ი ს ა მ ი მ ა რ თ და ა. შ. და, რაც მთავარია, საკუთარ სახელებს ერთვის -ა, რომელიც ვითარებითისეულია (მაგ., ა ბ რ ა ჰ ა მ ი ს ა მ ი მ ა რ თ...)[23].

საზოგადო სახელებთან ერთმანეთშია არეული ვითარებითის -ა და ემფატიკური -ა, რაც იწვევს ნათესაობითისა და ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმათა ერთგვარობას ვითარებითის -დ'ს დაკარგვის შედეგად:

ნეტარმან ბაბილა აღიღო კმაჲ თჳსი ე რ ი ს ა მ ი მ ა რ თ: კიმ. I,44,i0 წარტყუენელნი იგი კრაჟნი ეედრებით უ ფ ლ ი ს ა მ ი მ ა რ თ იტყოდეს: წარტყ. ქმ17: თქუა აპოლონიდი ი ო ა ნ ე ს მ ი მ ა რ თ: ვერს. 76.9, შდრ. იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ა ბ რ ა ჰ ა მ ი ს ა მ ი მ ა რ თ: დაბ. 15,1; იყო სიტყუაჲ ღმრთისაჲ ი ო ა ნ ე ს ა მ ი მ ა რ თ: DE ლ 3,2...

§ 86. ვითარებით ბრუნვაში დასმული დამატება მასდართან და მიმღეობასთან. ვითარებით ბრუნვაში დასმული დამატება თვით შემასმენელთანაც ნაკლებად გვხვდება. იშვიათი ფორმები შეიძლება შეგვხვდეს მიმღეობასთანაც და მასდართანაც.

მაგ.:

გემოჲ იხილა მთავარმან მან წყალი იგი ღ ჳ ნ ო დ გ ა რ დ ა ქ ც ე უ ლ ი: C ი 2,9

---

[23] მ ი მ ა რ თ თანდებული შეიძლება ზეპირთოს ჩვეულებრივ ვითარებითსაც, მაგ., ვცოდე ც ა დ მ ი მ ა რ თ...: DE ლ 15,18; ისწრაფინ წ ყ ა რ ო დ მ ი მ ა რ თ...: მამ. სწ. 20,6. წინადადებაში ასეთი ფორმები ადგილის გარემოების გამომხატველია.

განიბნია ერი იგი ყოველსა ქუეყანასა ეგჳპტისასა შეკრებად წუელისა ბზე დ: გამ. 5.12.

§ 87. პირმიუმართავი დამატება ნათესაობითში. ნათესაობითი ბრუნვაში დასმული სახელის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს პირმიუმართავი დამატების გამოხატვა.

წარმოების მიხედვით ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ახლოს დგას მიცემითთან და მოქმედებითთან: ბრუნვის **-ის** ნიშნიდან მიცემითსა და ნათესაობითში საერთოა **-ს**. ნათესაობითსა და მოქმედებითში **-ი**[24]. ამასთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართველურ ენებში **ის || იშ** აფიქსებში **ს || შ** იგივე აფიქსია, რაც ახასიათებს მიცემით ბრუნვას, ხოლო **ი** გამოხატავს კუთვნილებას. ეგეთი **ი** გვაქვს მოქმედებითი ბრუნვის შემადგენლობაშიც[25]

ნათესაობითის **-ის** ბოლოსართის პარალელური ფორმაა **-ინ**, რომელიც შემონახულია ზმნისართებსა და თანდებულებში (გუშ**ინ**... მდ-**ის**—მდ-**ინ** || მდ-**ის**-**ინ**, თვ-**ის**—თვ-**ინ** და სხვ.)[26].

ეს ფაქტი ჩვენთვის ფასეულია და დამატებისა და გარემოების ურთიერთობისათვის მნიშვნელოვანი. იგი ამტკიცებს წინადადების მეორეხარისხოვან წევრთა ისტორიულ მთლიანობას.

ნათესაობითი ბრუნვა მარტო წარმოების მიხედვით როდი უკავშირდება მიცემითსა და მოქმედებითს. მათთან საერთოა ფუნქციაც. სხვა მეორეხარისხოვან წევრთა გამოხატვასთან ერთად ნათესაობითი ბრუნვა მიცემითისა და მოქმედებითის (აგრეთვე ვითარებითის) გვერდით პირმიუმართავ დამატებასაც გამოხატავს.

---

[24] ვ. თოფურია. ბრუნვებ-ს სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 3, 1944, გვ. 239

აქ არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ **-ის** და **-ით** აფიქსების ორშემადგენლიანობა განხილული ჰქონდა ს. მარს „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკაში“ (იქვე, 21). მაგრამ სხვა ენებთა და სხვა მიზნით. ამის შესახებ აღნიშნულია ლიტერატურაში.

[25] გ. როგავა. კუთვნილებითი ბრუნვის **ი** ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში (ქცევასა და ბრუნვებში): საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, № 5, 1942, გვ. 498—499.

[26] **H. Марр, Где сохранилось сванское склонение: Известия АН, 1911. VI серия, გვ. 1204. მისივე: Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925, გვ. 25—26; ვ. თოფურია, ნ და ხ ფუძეებისათვის ქართველურ ენებში: საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. II, № 1—2, 1941, გვ. 190; მისივე: ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით, გვ. 341.**

პირმიუმართავი დამატების გამოსახატავად ნათესაობითი ბრუნვა გამოიყენება როგორც უთანდებულოდ, ასევე თანდებულიანად.

უთანდებულო ნათესაობითი პირმიუმართავი დამატების გამოხატვისას წინ უსწრებდა თანდებულიანს და ძველ ქართულშიც კანონიერ ადგილს იკავებს იქ, სადაც თანდებულიანი ფორმა იხმარება შემდგომში. მეტიც: პირმიუმართავი დამატების გამოსახატავად ნათესაობითთან ერთად გვხვდება მიცემითი, ვითარებითი და მოქმედებითი ბრუნვები. მათ აქვთ თავიანთი ხმარების არე, მაგრამ ხშირად ენაცვლებიან ნათესაობითის ფორმასაც. ფუნქციურ მონაცვლეობასთან ერთად ნანათესაობითარი ვითარებითი გამარტივების შედეგად ემსგავსება ნათესაობითში დასმულ პირმიუმართავ დამატებას[27]. ასეთი დამთხვევა არა გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დამატებას არ ერთვის თანდებული.

მაგ.: პირმიუმართავ დამატებად გვაქვს ნათესაობითში დასმული სახელი:

იშჳნეს თავისა თჳსისა სახლებ: გამ. 1,21
რომელი იგი თხოვილ იყო ქმრისა: კიმ. II,69,6
მოვიდეს იგინი ერისა მის: DE მ 17,14. შდრ. C: მოვიდეს ერსა მას თანა
[იესუ] მოიქცა ერისა მის: DE მრ 5,30, შდრ. C: მიექცა ერსა მას
გუეშინის ერისაამის: DE მ 21,26, შდრ. C: გუეშინის ერისაგან
ეშინოდა ერისა მის: D მრ 12.12. შდრ. C: შეეშინა ერისაგან
მიუდა იგი მამისა თჳსისა: DE ლ 15,20, შდრ. მიეედ შენ მისთანა: C მ 5.41; მოვიდა მეორისა მის: DE მ 21,30.

ნათესაობითს მოგვაგონებს მისა (← მისდა) ასეთ წინადადებაში: მოვიდა მისა ერთი შესაკრებლის მთავარი: DE მრ 5,22, მაგრამ აქ რომ ნანათესაობითარი ვითარებითია, ჩანს ასეთი მაგალითებიდან:

მოვიდა ჩემდა გზით: ლ 11,6
რომლისათჳს სოფელი ჩემდა ჯუარს-ცუმულ არს და მე სოფლისა: ხანმ. გალ. 6,14

---

[27] ც. ქურციკიძე ფიქრობს, რომ პირმიუმართავი დამატების გამოხატვისას უთანდებულო მიცემითი და ნათესაობითი ისეთსავე მიმართებაში არიან ერთმანეთთან, როგორიც არსებობს წინაშე, თანა და ზედა თანდებულიან მიცემითსა და ნათესაობითს შორის. ც. ქურციკიძე, ნანათესაობითარი ვითარებითი ძველ ქართულში: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, თბილისი, 1960, გვ. 31—43.

მოვიდა იესუ გალილეაჲთ იორდანედ იოვანესა: DE მ 3.13
მოვიდა იესუჲსა: DE მ 14,29
მოვიდა სიმონ-პეტრწსა და ერთისა მის მოწაფისა: ხანმ. ი 20,2.

იესუჲსა, სიმონ-პეტრწსა და მსგავს ფორმებს ნათესაობით ბრუნვაში დასმულ დამატებად მივიჩნევდით. რომ ხელს არ უშლიდეს ემფატიკური -ა, რომელიც არ ერთვის საკუთარ სახელს. სინამდვილეში იქ შემორჩენილია მსაზღვრელად გამოყენებული ნანათესაობითარი სახელი, რომელიც დასმულია მიცემით ან ვითარებით ბრუნვაში, საზღვრული კი დაკარგულია. ამისი მსგავსი ფორმების გვერდით გვაქვს საზღვრულიანი ფორმებიც, სადაც მიცემითისა და ვითარებითის პარალელური ხმარება შეინიშნება.

მაგ.:

მოვიდა იესუ სახლსა პეტრესსა: DE მ 8,14, შდრ. C: მოვიდა იესუ სახიდ პეტრესა
მოვიდა სახლსა სიმონისსა: DE მრ 1,29, შდრ. C: მოვიდეს სახედ სიმონისა...

უთანდებულო ფორმების გვერდით პირმიუმართავი დამატების აღსანიშნავად დამკვიდრდა თანდებულიანი ფორმებიც. თანდებულებიდან მეტ-ნაკლებად გამოყენებულია წინაშე, თანა, ზედა, მიერ, თჳს, თჳნიერ, განა და გამო.

წინაშე, თანა და ზედა თანდებულების შესახებ აღნიშნულია ლიტერატურაში. აქ მხოლოდ ამ ტიპის პირმიუმართავი დამატებების ფორმებზე შევჩერდებით. დავსძენთ კი, რომ ეს სამი თანდებული ისევე თანმიმდევრულია ნათესაობითში, როგორც მიცემითშია. ამასთან ერთად, ეს თანდებულები ახლავს წინადადების სხვა წევრებსაც, კერძოდ, ისინი წინადადებაში სახელთან ერთად აზუსტებენ ადგილსა და დროს, მიზეზსა და მიზანს, ვითარებასა და ოდენობას და ა. შ.

მაგალითად:

წინაშე

იესუ დგა წინაშე მთავრისა მის: DE მ 27.11
წარადგინეს იგი წინაშე მსაჯულისა მის: აბო 73.8
მუნქუესეე წარვიდა კელმწიფისა მის წინაშე: ხანძთ. იაᲘ.

წინაშე თანდებული ნათესაობით ბრუნვასთანაც მოძრავია: შეიძლება იგი მის მიერ მართულ სახელს ან წინ უსწრებდეს, ან მოსდევდეს. სახელი ყოველთვის ემფატიკური ხმოვნითაა.

თ ა ნ ა თანდებული დამკვიდრებულია სახელის ბოლოს. საზოგადო არსებითი სახელები აქაც ემფატიკურ ხმოვანს დაირთავენ, საკუთარი სახელები და პირის ნაცვალსახელები (ასევე სათანადო ნაწევარიც) ემფატიკურ ხმოვანს არ ირთავენ.

მაგალითად:

იხილეს დიდებული იგი დედისა თანა გლახაკისა: კიმ. I,187,13
მივედ პილატჱს კელმწიფისა თანა: არიმათ. 27,12
აღთქუმად ჩუენ დავამტკიცო ისაკის თანა: დაბ. 17,21
იყო ღმერთი ყრმისა მის თანა: დაბ. 21,20
არარას ვპოვებ კაცისა ამის თანა: DE ლ 23,14.

თ ა ნ ა ს შეიძლება შეენაცვლოს მ ი ე რ თანდებული:

ეგე ცხოველ ყო მამისა თანა: C ი 6,57, შდრ. DE: მეცა ცხოველ მამისა მიერ.

თ ა ნ ა თანდებულიანი ნათესაობითის პარალელურად იხმარება -უ რ თ თანდებულიანი მოქმედებითიც. მნიშვნელობის მიხედვით ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან.

დამახასიათებელია, რომ ჯრუჭ-პარხლის ოთხთავთა სათანადო ადგილების თ ა ნ ა თანდებულიანი ნათესაობითი -უ რ თ თანდებულიანი მოქმედებითითაა გადმოცემული ადიშის ოთხთავში.

მაგალითად:

DE	C
მოვიდა სახლსა სიმონისსა და ანდრეასსა იოვანეს და იაკობის თანა: მრ 1,29.	მოვიდეს სახედ სიმონისა და ანდრიაჲსა იაკობითურთ და იოჰანეთურთ.
იგინი შეკრბეს მოხუცებულთა თანა: მ 28,12.	შეკრბეს მღდელთ მოძღუარნი იგი მოხუცებულებითურთ.
იესე შესრულ იყო მუნ მოწაფეთა მისთა თანა: ი 16,2.	მისრულ იყო მუნ იესუ მოწაფითურთ თჳსით.

საგულისხმოა, რომ -უ რ თ თანდებულიანი მოქმედებითის მნიშვნელობით უთანდებულო მოქმედებითი შემდგომ იქცა ქვემდებარის თანმხლებ სახელად და შეიძინა უნარი ქვემდებარესთან ერთად აზრობრივი კავშირი დაემყარებინა შემასმენელთან, რასაც მოჰყვა შემასმენლის შეთანხმება მრავლობით რიცხვში.

მაგალითად:

კობა თავისი ამხანაგებით გავიდნენ კლდის ძირობაში: ა. ყაზბ. I,276
იასაული ყაზახებით წავიდნენ არშას: ა. ყაზბ. 1,228
გუთნისდედა მეხრეებით სამხარს შეექცევიან: ს. მგალ. თხზ. 584 და სხვ.

მაგრამ ამას შემდგომი გავრცელება და განვითარება არ გა-ჰყოლია. ქართულმა ენამ იგი უკუაგდო[28].

ზედა

ზ ე დ ა თანდებულიც, როგორც წესი, ნათესაობითს მაშინ ერთვის, როდესაც არსებითი სახელი ან მისი მონაცვლე ნაცვალსახელი ვ ი ნ ჯგუფის გამომხატველია[29]. ასეთი სახელი კი პირმიუმართავი დამატებაა წინადადებაში.

მაგალითად:

საქმ*ი* ესე იქმნა წმიდისა შ უ შ ა ნ ი კ ი ს ზ ე დ ა: შუშ. X,18
განკჳრებაჲ დაეცა ა ბ რ ა ჰ ა მ ი ს ზ ე დ ა: დაბ. 15,12
განისუენოს მ ი ს ზ ე დ ა მშჳდობამან თქუენმან: DE ლ 10,6...

ზ ე დ ა თანდებულს შეიძლება შეენაცვლოს თ ა ნ ა. მაგ.: სული წმიდაჲ იყო მ ი ს ზ ე დ ა: DE ლ 2,25. შდრ. C: სული წმიდაჲ იყო მ ი ს თ ა ნ ა.

მიერ

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მ ი ე რ თანდებული რთულია და შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილია ნაცვალსახელური ძირი მ, მეორე — იერ ← ივ-ერ.[30] აქედან -ივ უძველესი ბრუნვის ნიშანია. მოქმედებითის ბადალი, შემდგომ სიტყვაწარმოებაში გამოყენებული.

რთულ თანდებულად თვლიდა მ ი ე რ-ს ნ. მარიც, მაგრამ მას ერ მიაჩნდა არშენახულ თანდებულად. იგი ფიქრობდა, რომ ერ არის გადმონაშთი *ჰარ || ’ერ სიტყვისა და აღნიშნავს ხელსო. ამის საბუთს ნ. მარს აძლევდა სვანური მე-კარ || მე-კერ (=ხელი)[31].

მ ი ე რ თანდებულის ერთ-ერთი ფუნქციაა, აღინიშნოს, თუ ვ ი ს გ ა ნ ან რ ი ს გ ა ნ ხდება მოქმედება. იგი მიუთითებს მოქმედების ჩამდენზე[32].

---

[28] ასეთი ფორმები მოგვაგონებს რუსულში დამკვიდრებულს, როგორიცაა: Дед с бабушкой шли (М. Горький), მაგრამ რუსულის კალკად მას ვერ ჩავთვლით. იგი ქართულ ნიადაგზეა წარმოშობილი. ამაზე ცალკე.

[29] ქ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. წ ი ნ ა შ ე. ი ს ა და ზ ე დ ა თანდებულთა სინტაქსური ფუნქციები ძველ ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. მოამბე. III, № 3, 1942, გვ. 284.

[30] არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი. თანდებული ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. I, 1946. გვ. 242.

[31] Н. Марр, Грамматика древнелит. грузинск. языка, გვ. 34.

[32] არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 242.

როგორც წინადადების წევრი მიერ თანდებულიანი სახელი პირმიუმართავი დამატებაა და მოგვაგონებს -გან თანდებულიან სახელს.

მაგალითად:

აღსრულნეს შჯდნი დღენი შემდგომად გუემისა მის მდინარისა უფლისა მიერ: გამ. 7,25.

ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ: ლ 10,22...

ასევე:

მრავალი საქმე კეთილი გიჩუენე თქუენ მამისა ჩემისა მიერ: C и 10,32, შდრ. DE: მრავალი საქმჱ კეთილი გიჩუენე თქუენ მამისაგან ჩემისა

განმზადებულ არს მამისა მიერ ჩემისა: DE მ 20.23, შდრ. C: განმზადებულ არს მამისა ჩემისაგან

რომლისა მიერ ძჱ კაცისაჲ მიეცეს: DE მ 26,24, შდრ. C: რომლისაგან ძე კაცისაჲ მიეცემის.

-თჳს

-თჳს თანდებულის წარმომავლობისა და ფუნქციის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ვრცლადაა საკითხი გაშუქებული (ს. მარი, ა. შანიძე, ვ. თოფურია, არ. მარტიროსოვი). მისი ერთ-ერთი ფუნქციაა გამოხატოს დანიშნულება, განკუთვნება. ასეთ შემთხვევაში -თჳს თანდებულიანი სახელი პირმიუმართავი დამატებაა წინადადებაში.

მაგალითად:

მოსე წინაწარმეტყუელმან აღმოაცენა წყალი. ერისა მისთჳს ურიცხჳსა: საბა ას. 10,39

საპყრობილესა შეაყენა პეროდიადსთჳს: ჰაემ. მ 14,3

შვილთა წმიდისა ეკლესიისათა აღირჩიეს სიკუდილი ქრისტესთჳს: წარტყ. კ15

-თჳს თანდებული ზედა თანდებულის ფუნქციით იხმარებოდა რიგ შემთხვევაში. ამ ფაქტს ენის ისტორიისათვის სათანადო მნიშვნელობა აქვს. ასეთ შემთხვევაში -თჳს და ზედა თანდებულთა მონაცვლეობა აიხსნება იმით, რომ თანდებული ისე მჳიდროდ არაა დაკავშირებული სახელთან, როგორც ეს ახალ ქართულშია.

ზედა თანდებულის მნიშვნელობით -თჳს თანდებულის გამოყენება აშკარად იგრძნობა მაგალითებში:

ესენი ფრიად განკჳრვებულ იყვნეს მეფისათჳს: ბალ. 4,4

იოვანესთჳს ნათლისმცემელისა ჰრქუა მათ: მ 17,13

სახის მეტყუელმან თქუა კანჯრისათჳს: ისტ. ქრ. 282,4, შდრ. იქვე: სახის მეტყუელმან თქუა ასპიტისაჲ.

თჳნიერ

თ ჳ ნ ი ე რ თანდებული თავისი აგებულებით მოგვაგონებს მ ი ე რ თანდებულს და შედგება თუ-ინ-ივ-ერ-ისაგან[33].

ეს თანდებული წინ უძღვის სახელს და მართავს ნათესაობით ბრუნვაში. თ ჳ ნ ი ე რ თანდებულიანი სახელი წინადადებაში გამოხატავს პირმიუმართავ დამატებას.

მაგალითად:

ერთიცა მათგანი არა დავარდების ქუეყანასა ზედა თ ჳ ნ ი ე რ მ ა მ ი ს ა თქუენისა: DE მ 10,29

იყვნეს მამანი ხუთ ათას, თ ჳ ნ ი ე რ ყ რ მ ე ბ ი ს ა და დ ე დ ე ბ ი ს ა: მ 14,21

თ ჳ ნ ი ე რ ი გ ა ვ ი ს ა არას ეტყოდა მათ: DE მ 13,34.

ყურადღებას იქცევს ჩ ე მ ს ა და შ ე ნ ს ა ნაცვალსახელები ასეთ წინადადებებში:

თ ჳ ნ ი ე რ ჩ ე მ ს ა არარაჲ ძალ-გიც ყოფად: DE ი 15,5

ჩ უ ე ნ თ ჳ ნ ი ე რ შ ე ნ ს ა ფრიად დავშუერით: შუშ. XVI,26.

საქმე ისაა, რომ ჩ ე მ და შ ე ნ ამ შემთხვევაში პირის ნაცვალსახელებია, რომელთაც მიცემითში ბრუნვის ნიშანი არა აქვთ. ამასთან ერთად ჩ ე მ ფუძე ნათესაობითში ენაცვლება მ ე'ს (შდრ. მრქუა მ ე: შუშ. III,26; მე გეტყჳ შ ე ნ: იქვე, IV,10).

-გან

პირმიუმართავი დამატება გადმოიცემა -გ ა ნ თანდებულიანი ნათესაობითი ბრუნვითაც. ამ შემთხვევაში -გ ა ნ თანდებულიანი ფორმა გამოხატავს მ ა ს ა ლ ა ს ან წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ა ს (თუ რისგან ან ვისგან მომდინარეობს ზრნით გამოხატული მოქმედება)[34].

-გ ა ნ თანდებულიც დაერთვის ან უშუალოდ არსებით სახელს, ან მის მსაზღვრელს და ან კიდევ განმსაზღვრელ ნაწევარს:

იჴმნა მ ე ფ ი ს ა გ ა ნ სპარსთაჲსა პატიჰშჰან: შუშ. II,1

ხოლო ზღუაჲ იგი ქ ა რ ი ს ა გ ა ნ დიდისა აღიძრვოდა: DE ი 6,18

ხოლო საწყალობელი ესე ცოლსა ითხოვდა სპარსთა მ ე ფ ი ს ა გ ა ნ: შუშ. 1,25

მუნქუესე დაეცა იგი მ ტ ე რ ი ს ა გ ა ნ ბოროტისა: ბანძთ. ლშჲ

მიუწდომელი ბრწყინვალებაჲ გამოვალს ყ რ მ ი ს ა მ ი ს გ ა ნ: მრავალთ. 278,22

ესმნეს სიტყუანი ესე ევფემიანეს უცხოჲსა მ ი ს გ ა ნ გ ლ ა ხ ა კ ი ს ა: კიმ. I,163,8.

---

33 არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი, თანდებული ქართულში, გვ. 239.

34 ს. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 621, არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი, თანდებული ქართულში, გვ. 228.

-გ ა ნ თანდებულის მნიშვნელობითაა ნახმარი ზოგ შემთხვევაში გ ა მ ო თანდებულიც ნათესაობით ბრუნვასთან.

როგორც აღნიშნულია[35], ამ შემთხვევაში გ ა მ ო თანდებული მიუთითებს მოქმედების ჩამდენზე და ფუნქციის მიხედვით ეთანაბრება -გ ა ნ და -მ ი ე რ თანდებულებს.

მაგალითად:

ვერ უძლეს მიახლებად ერისა მ ი ს გ ა მ ო: C მრ 2,4, შდრ. DE: ვერ შეუძლეს მიახლებად მისა ერისა მ ი ს გ ა ნ

ჩ ე მ გ ა მ ო თუ ვინმე შევიდეს, ცხონდეს: C ი 10,9, შდრ. DE: ჩ ე მ ი ე რ თუ ვინმე შევიდეს, ცხოვნდეს...

ნათესაობითთან გ ა მ ო თანდებული მოქმედების ჩამდენის აღსანიშნავად -გ ა ნ და -მ ი ე რ თანდებულთა ფუნქციით დადასტურებულია ადიშის ოთხთავში. ეს არაა კერძო მოვლენა: ძველ ქართულშივე გ ა მ ო თანდებულიანი სახელი ხშირად იყო გამოყენებული ადგილის გარემოების გადმოსაცემად („კმაჲ იყო ღ რ უ ბ ლ ი თ გ ა მ ო“: მ 17,5), ასევე -გ ა ნ თანდებულიანი სახელის თანაბრად იხმარება იგი მიზეზის გარემოების გამოსახატავად ახალ ქართულში (მაგ.: „სუტ-კნეინამ თავის ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ი ს გ ა მ ო საქმე ცოტა გააგრძელა“ (ილია).

მ ი მ ა რ თ

ძველ ქართულში მ ი მ ა რ თ თანდებულიან სახელს უკავია გარდამავალი საფეხური ნანათესაობითარი ვითარებითიდან ნათესაობითისაკენ. ნანათესაობითარ ვითარებითში დასმულ სახელთან იკარგება ვითარებითი ბრუნვის ნიშანი -დ და იგი ემთხვევა ნათესაობითს. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს მ ი მ ა რ თ თანდებული სახელს ორ (ვითარებითსა და ნათესაობით) ბრუნვაში მართავდეს. ამ შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებს, რომ ახალ ქართულში მ ი მ ა რ თ თანდებული სახელს მართავს ნათესაობით ბრუნვაში.

მაგრამ გვაქვს თუ არა იმის საფუძველი, რომ რიგ შემთხვევაში მ ი მ ა რ თ თანდებულიანი სახელი, თუნდაც იგი ნანათესაობითარი ვითარებითისაგან იყოს მიღებული, ნათესაობით ბრუნვად მივიჩნიოთ? ამის საფუძველიც არსებობს იმის გამო, რომ ძველსავე ქართულში ასეთ ნათესაობითს ხშირად გაგებაც ნათესაობითისა აქვს[36].

---

[35] ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში. გვ. 345.

[36] ნათესაობითი ბრუნვის გაგება ამ შემთხვევაში დაშვებული აქვს ი. ი მ. ნ ა ი შ ვ ი ლ ს ა ც. სახელთა ბრუნება და ბრ. ფუნქციები, გვ. 341.

მაგალითად:

თავსა თჳსსა შესწირვიდა მ ე ფ ი ს ა მ ი ს მ ი მ ა რ თ: შუშ. I,23

თქუა მ ს ა ხ უ რ ი ს ა მ ი მ ა რ თ მისისა: იქვე, VII,2

იღოცე მ ა მ ი ს ა შ ე ნ ი ს ა მ ი მ ა რ თ ფარელად: DE მ 6,6.

§ 88. ნათესაობითში დასმული პირმიუმართავი დამატება მასდართან და მიმღეობასთან. ნათესაობითში დასმული პირმიუმართავი დამატება გვაქვს მასდართანაც და მიმღეობასთანაც. ასეთი დამატება მთავარ სიტყვას უკავშირდება უშუალო ან შუალობითი მართვით.

მაგალითად:

პ ი რ მ ი უ მ ა რ თ ა ვ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა მ ა ს დ ა რ თ ა ნ

მსგავსად ჩუეულებისა... ჰხუდა მას ს ა კ უ მ ე ე ლ ი ს ა კუმევაჲ: DE ლ 1,9

ვისმე უკეე თქუენგანსა უნდეს გ ო დ ლ ი ს ა შენებაჲ: ლ 14,28

ეუწყა სავლეს ძ კ რ ი ს ზრახვაჲ მათი: მოც. 9,24

მაშინ ვსედევდ შე თუალთა მისთა ც ე მ ლ თ ა დინებასა: ისტ. ქრ. 273,26.

პ ი რ მ ი უ მ ა რ თ ა ვ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა მ ი მ ღ ე ო ბ ა ს თ ა ნ

აღსრულოს სიტყუაჲ იგი ესაჲა წ ი ნ ა წ ა რ მ ე ტ ყ უ ე ლ ი ს ა თქუმული: C მ 8,17, შდრ. აღსრულოს სიტყუაჲ იგი ესაჲა წ ი ნ ა წ ა რ მ ე ტ ყ უ ე ლ ი ს ა მიერ თქუმული: C მ 4,14

ს უ ლ ი ს ა წ მ ი დ ი ს ა მგმობარსა არა მიეტეოს: DE ლ 12,10

ეგრეთვე სახედ იყუნეს ღ ჳ ნ ი ს მსუმელნი იგი პეროდესნი: ბოლნ. 85,15

ჰრქუეს ყ რ მ ი ს ამჭუმელთა მათ ფარაოს: გამ. 1,19

კ ა ც ი ს ა გ ა ნ გამომავალი იგი შეაგინებს კაცსა: DE მრ 7,20.

პოსტპოზიციური წყობისას ნათესაობითში დასმული პირმიუმართავი დამატება ნანათესაობითარ სახელად იქცევა. ეს უკანასკნელი უკვე მართულ-შეთანხმებული განსაზღვრებაა და ბრუნვასა და რიცხვში ეთანხმება წინამავალ მასდარს ან მიმღეობას.

მაგალითად:

იყო დაცემაჲ ს ა ხ ლ ი ს ა ჲ მის დიდ: ლ 6,49

აღდგომისათჳს მ კ უ დ ა რ თ ა ჲ ს ა ესაჯები მე თქუენ მიერ: მოც. 24,21

არა სცა მას... წარსადგმელ ფ ე რ კ ი ს: იქვე, 7,5

კაცი შობილი დ ე დ ა კ ა ც ი ს ა ჲ მსგავს არს კანჯრისა მის უდაბნოჲსა: იობ. 11,12

ზე ზის იგი ვირსა და კ ო ც უ ს ა, ნაშობსა კ ა რ ა უ ღ ი ს ა ს ა: DE მ 21,5.

პირმიუმართავ დამატებად პირის ნაცვალსახელებიც გვაქვს. მაგრამ, რაკი ნათესაობითის საკუთარი წარმოება არ შეუძლიათ,

ამიტომ ენაცვლება სათანადო კუთვნილებითი ნაცვალსახელი. როგორც ნანათესაობითარი სახელი, რომელიც შეთანხმებულია ნაზმნარ სახელთან ბრუნვასა და რიცხვში, მიუხედავად შესიტყვებაში მისი ადგილისა.

მაგალითად:

ძალ-გიც განწმედაჲ ჩემი: DE მ 8,2

შემდგომად აღდგომისა ჩემისა წინა-წარგიძღუე თქუენ გალილეად: DE მ 26,32

ხილვაჲ შენი პნებავს: ლ 8,20

ვინ არს მიმცემელი შენი: C ი 21,20

იყო კმაჲ მოკითხვისა შენისაჲ ყურთა მომართ ჩემთა: ლ 1,44

ამას ეგულებოდა მიცემაჲ მისი: DE ი 6,71

უნდა აღსლვაჲ მისი ნავსა მას: C ი 6,21, შდრ. უნდა ღათუ მიცე მოკლვაჲ: მ 14,5.

ამგვარად, ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი უთანდებულოდ ან თანდებულის დართვით წინადადებაში გამოყენებულია პირმიუმართავ დამატებად. ასეთი დამატება ახლავს შემასმენელს ან ნაზმნარ სახელებს (მასდარსა და მიმღეობას).

§ 80. პირმიუმართავი დამატება მოქმედებითში. მოქმედებითი ბრუნვა ძველ ქართულში ადგილის, დროის თუ ვითარების გარე მოებასთან ერთად წინადადებაში აღნიშნავს იარაღს ან საშუალებას, რითაც მოქმედება წარმოებს[37]. თ. შარაძენიძის აზრით, ეს უკანასკნელი მეორეულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც -ით სუფიქსის ძირითადი ფუნქციათაგანი უნდა ყოფილიყო აღნიშვნა ვითარებისა, რომელიც ინსტრუმენტალისსაც მოიცავდა[38].

ანტონ პირველი თავის „ქართულ ღრამმატიკაში" მოქმედებითი ბრუნვის გვერდით დაწყებითსაც გამოჰყოფდა. მოქმედებითის ნიშნებად მას მიაჩნდა **-ითა, -თა, -თ, -ჲთა** და **მიერ** (გვ. 143), ხოლო დაწყებითის ნიშნებად — **-თ, -თი, -გან** და **გამო** (გვ. 144). აქ, თავი რომ დავანებოთ თანდებულების ბრუნვის ნიშნებად მიჩნევას და გამოვრიცხოთ ფუძის ზეგავლენით შეცვლილი ბრუნვის ნიშნები და მრავლობითი რიცხვის ფორმები, ვნახავთ, რომ მოქმედებითს დაწყებითისაგან განასხვავებს ემფატიკური ხმოვანი -ა. ეს შეხედულება დამკვიდრდა შემდეგი პერიოდის იმ გრამატიკებში, რომ-

---

37 თ. შარაძენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, გვ. 415.

38 იქვე, გვ. 419.

ლებიც ანტონ პირველის გრამატიკის გავლენით იწერებოდა (მაგ.. საღრამატიკო კელოვნება მეფის ძის დავითის მიერ შედგენილი, 1832 წ., გვ. 17. ხელნაწერი დაცულია ლენინგრადში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, E 4, Br. 113; ი. ჩუბინაშვილის „ქართული გრამმატიკა“, 1837 წ., § 36, დაცულია იქვე, C 48, Br. 112 და სხვა).

მოქმედებითის გვერდით დაწყებითი ბრუნვა გადაინერგა უცხო ენებზე გამოცემულ გრამატიკებშიც, კერძოდ, კლაპროთი თავის Grammaire-ში ბრუნვათა შორის გამოყოფს დაწყებითსა და მოქმედებითს (გვ. 12—17). ასევე ფრ. ცორელიც, რომელმაც 1930 წ. გამოსცა „Grammatik zur altgeorgischen Bibelübersetzung mit Textproben und Wörterverzeichnis“—აბლატივსა და ინსტრუმენტალისს. პირველის ნიშნად მიაჩნია -ით, მეორისად-ით-ჲ[39].

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საერთოა „მიმართულებითსა და მოქმედებითში -დ (-ით←-იდ)“[40]. ასევე მოქმედებითი ბრუნვა ხმოვნითი ელემენტის მიხედვით საერთოა ნათესაობითთან, ნათესაობითს კი თავის მხრივ მიცემითთან აერთებს -ს ბრუნვის ნიშანი[41]. ბრუნვის ნიშნით გამოხატული ერთგვარობა აისახება მის ფუნქციებშიც[42].

მოქმედებითი ბრუნვით გადმოცემული პირმიუმართავი დამატება -ა ემფატიკურ ხმოვანს ირთავს და ამით განსხვავდება იგი ე. წ. დაწყებითი ბრუნვისაგან:

ხოლო წმიდამან მან აღიღო კელითა თჳსითა ორთოჯი რკინისაჲ: ზარზმ. 160,21

ესროდეს იგინი ურთიერთას ისრითა: კიმ. I,36,13

მძლავრ ეჩოდათა წარიკუეთოს ქედი შენი ამისთჳს: მრავალთ. 257,4

ხოლო ჩუენ ნავითა წარმოვედით შემდგომად დღეთა მათ უცომოებისათა: მოც. 20,6

ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღჳნოჲ ჭიქითა: შუშ. VI,10

---

39 თ. შარაძენიძე, დასახ. შრომა, გვ. 19—23.

40 ე. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, V, № 3, 1944, გვ. 339.

41 იქვე, გვ. 339—341.

42 მოქმედებითის ფუნქციები ვრცლად მიმოხილული აქვთ თ. შარაძენიძესა (მოქმედებითი და ეითარებითი ბრუნვების ფუნქციები ძველ ქართულში... გვ. 410—420) და ი. იმნაიშვილს (სახელთა ბრუნება და ბრ. ფუნქციები... გვ. 198—268; 721—730).

მათ აღავსეს ღრუბელი ერთი ძმრითა: C и 19,29
ცხენებითა ვეულტოდით: ესაია, 30,16
გუამი შენი... ცეცხლითა დაიწუას: სას. პ. მდ.

ყურადღებას იქცევს მოქმედებითის მნიშვნელობით ვითარებითი ბრუნვა ასეთ მაგალითში: დასაჯონ იგი სიკუდილდ: DE მ 20.18, შდრ. C: დასაჯონ იგი სიკუდილითა.

ასეთი დამთხვევა ისტორიული მნიშვნელობის მჭონეა. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა ფორმის დამთხვევის არაერთი შემთხვევა გვაქვს ჩვენ ძველ ქართულში. მაგალითად, ადგილის გარემოების გამოსახატავად არაა იშვიათი მიცემითისა და ვითარებითის შეხვედრა (მაგ., „შესხნეს იგინი საპყრობილედ"... მოც. Ч 5,18 და იქვე Щ: „შესხნეს იგინი საპყრობილესა..."), ხოლო ვითარების გარემოება თანაბრად გადმოიცემა მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვებით (მაგ., „მხიარულებით შემიწყნარნეს ჩუენ ძმათა...": მოც.: Ч 21,17 და იქვე Щ: „მხიარულად შემიწყნარნეს ჩუენ ძმათა...") და ა. შ. ამიტომ მოქმედებითისა და ვითარებითის ასეთი მონაცვლეობა დამატების გამოხატვისას კანონზომიერია, რადგანაც მათ საერთო ფუნქციასთან ერთად აერთებთ ბრუნვის ნიშნებიც: -ით ← -იდ.

მეორე მხრივ, წინადადების ერთი წევრის მეორე წევრად გადაქცევის ნიმუშია ფრკივ წინადადებაში: „მას სიშორესა გზისასა ფრკივ ვიდოდა უხამური" (ლიტ. ქრესტ. 230). -ივ და -ით ნიშანთა პარალელიზმი შემთხვევითი არ არის. -ივ ნიშნიანი „ბრუნვა უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი სახეობა მოქმედებითისა"[43]. მაშასადამე, -ივ ნიშნიან მოქმედებითს ისევე უნდა გადმოეცა პირმიუმართავი დამატება, როგორც მას გადმოგვცემს -ით ნიშნიანი მოქმედებითი. მართლაც და ისტორიულად ფრკივ ვიდოდა = ფერკით ვიდოდა'ს (შდრ. „ვიდრე ორითა ფერკითა შესლვად გეჰენიასა"...: მრ 9,45). ამჟამად კი ფრკივ ვითარების გარემოებად გვესმის, ხოლო ფერკით — პირმიუმართავ დამატებად.

პირმიუმართავი დამატებიდან ვითარების გარემოებადაა ქცეული ან ვითარების გარემოების გაგებას გვაძლევს მოქმედებითი

---

[43] შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. I, გვ. 76.

ბრუნვის ფორმები[44] (უპირატესად მასდარები) ამგვარ წინადადებებში:

ხოლო ყრმანი იგი ერთითა კ მ ი თ ა იტყოდეს: კიმ. I,47,12
შეუსეულად ყოველმან ერმან კ მ ი თ ა მაღლითა ღაღატყეს: თეკლ. 103,16
მაშინ ორთავე აღიმაღლეს კმაჲ მათი ტ ი რ ი ლ ი თ ა დიდითა: წარტყ. მგბ27.

და სხვ.

მოქმედებითში დასმული პირმიუმართავი დამატება -ურთ თანდებულის დართვითაც გვხვდება. ეს უკანასკნელი მიღებულია ერთ'ისაგან და აღნიშნავს ერთად ყოფნას, თანაობას. ახალ ქართულში -ურთ თანდებულიან მოქმედებითს ენაცვლება -იან სუფიქსით ნაწარმოები ფორმა ეითარებით ბრუნვაში (შვილითურთ=შვილიანად)[45]. ურთ თანდებულის დართვისას მოქმედებითი ბრუნვის აფიქსს არ ერთვის ემფატიკური ხმოვანი -ა. ამ ტიპის დამატება ლიტერატურაში ცნობილია თანაობის დამატების სახელით[46].

მაგალითად:

მოიყვანეს ყრმაჲ იგი დ ე დ ი თ ურთ: კიმ. I,153,30
მიჰხედა მას პეტრე ი ო ე ა ნ ჱ თ ურთ: თეკლ. 108,1.

---

44 ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ ერცლად მიმოხილულია („სახელთა ბრუნება და ბრ. ფუნქციები"... გვ. 234—244; 264—266; 726—727) ისეთი ფორმები, რომლებსაც მოქმედებითი ბრუნვა გვხვდება სახელის, ტომის, მოდგმის ან მისთანათა აღმნიშვნელ სიტყვებსა და პარონომაზიულ გამოთქმებში. მაგ., კაცი ვინმე არს აქა სახელით ოსტროს...: საბა ას. 20.11; ხარ შენ ნათესავით და ტომით სარკინოზ...: აბო, 69,13; ყოველი მთაჲ კ ნ ვ ი თ მ ო ი კ ნ ა ს...: ესაია, 7,25; წმიდაჲ შუშანიკ თ რ ე ვ ი თ მ ო ი თ რ ი ა: შუშ. VIII.15 და სხვ.

კ. წ ე რ ე თ ე ლ ს ეს უკანასკნელი შ ე დ გ ე ნ ი ლ შ ე მ ა ს მ ე ნ ლ ა დ მიაჩნია (პარონომაზია ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, გვ. 476), ხოლო ა. შ ა ნ ი ძ ე ს მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი — უ ბ რ ა ლ ო დ ა მ ა ტ ე ბ ა დ (ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, 1948, გვ. 44). ამ საკითხს საგანგებო შესწავლა ესაჭიროება ქართველურ ენათა შედარების საფუძველზე. მით უმეტეს, რომ მოქმედებითთან ერთად პარონომაზიულ გამოთქმებში ვითარებითიც იჩენს თავს, მაგ., ს მ ე ნ ა დ ე ს მ ო დ ა კ მაჲ იგი: მოც. Ⴑ 9,7, შდრ. Ⴗ: ს მ ე ნ ი თ ე ს მ ო დ ა კ მაჲ იგი.

45 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 622; არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, თანდებული ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. I, გვ. 232—233; ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრ. ფუნქციები... გვ. 204. 268; 352—354; 377; 729.

46 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა. II, სინტაქსი. 1948, გვ. 43; ლ. კ ვ ა ჭ ა ძ ე, ქართული ენის სინტაქსი, 1956, გვ. 71.

უ რ თ თანდებულიან ფორმას, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, ხშირად ენაცვლება -თ ა ნ ა თანდებულიანი ნათესაობითი ბრუნვა, მაგ.:

მოუწოდა ერსა მას მ ო წ ა ფ ი თ უ რ თ თჳსით: C მრ 8,34, შდრ. DE: მოუწოდა ერსა მას მ ო წ ა ფ ე თ ა თ ჳ ს თ ა თ ა ნ ა.

§ 90. მოქმედებით ბრუნვაში დასმული პირმიუმართავი დამატება მასდართან და მიმღეობასთან. მასდარსა და მიმღეობას მოქმედებით ბრუნვაში დასმული პირმიუმართავი დამატება ისევე შეეწყობა, როგორც შემასმენელს. ასეთი დამატება მართული სახელია განურჩევლად იმისა, პრეპოზიციულია იგი, თუ პოსტპოზიციური.

მაგალითად:

უბანელითა ქ ე ლ ი თ ჰ ა მ ა ჲ ა რა შეაგინებს კაცსა: მ 15,20

აღრე-აღრე უბრძანა მსაჯულმან მ ო კ ლ ვ ა ჲ მისი მ ა ხ ჳ ლ ი თ ა: კიმ. I,192,18

იწყეს ს ი ს რ ა დ ქ ვ ი თ ა ხატსა მეფისასა: კიმ. II,56,26

იხილეს ჰაპუკი მჯდომარჱ მარჯუენით კერძო შ ე მ ო ს ი ე ლ ი ს ა მ ო ს ლ ი თ ა სპეტაკითა: ხანმ. მრ 16,5

არა შჳამოთ მისგანი უგბოლველი, არცა მ გ ბ ა რ ი წ ყ ლ ი თ ა...: გამ 12.9

მე დავარღჳ ტაძარი ესე ქ ე ლ ი თ ქ მ ნ უ ლ ი...: C მრ 14,58 და სხვ.

§ 91. დამატება ზედსართავ სახელთან. პირმიუმართავი დამატება ახლავს ზოგ ზედსართავ სახელსაც, რომელთა დიდ ნაწილს ზმნური წარმოშობა აქვს. ასეთებია: ს ა ვ ს ე, ღ ი რ ს ი, მ ა რ თ ა ლ ი, მ ა ღ ა ლ ი[47] და მათ მსგავსად: თ ხ ე ლ ი, მ რ თ ე ლ ი, ს რ უ ლ ი, წ მ ი დ ა ჲ, უ ბ ი წ ო ჲ, გ ლ ა ხ ა კ ი და სხვა. მათთან დამატება მოქმედებით ბრუნვაშია.

მაგალითად:

ჰურჰერი დგა მუნ ძ მ რ ი თ ა ს ა ვ ს ჲ: DE ი 19,29, შდრ. C: მუნ დგა ჰურჰერი ერთი ს ა ვ ს ე ძ მ რ ი თ ა.

ამათ ნეტართა შორის გამობრწყინდა მ ა დ ლ ი თ ა ს ა ვ ს ჲ: ხანძთ. $ბ_{21}$

მიერითგან უფროჲსღა ს ა ვ ს ჲ მ ა დ ლ ი თ ა ქრისტჱსითა ნეტარი ჰაბოჲ შეეყო მარხვასა: აბო, 65,11

მიიღის საზრდელი... ნეტარმან გრიგოლ, მ დ ა ბ ა ლ მ ან გ უ ლ ი თ ა და გ ლ ა ხ ა კ მ ან ს უ ლ ი თ ა, მ ყ უ დ რ ო მ ან ქ ც ე ვ ი თ ა და მ ო წ ყ ა ლ ე მ ან გ ო ნ ე ბ ი თ ა: ხანძთ. გ56.

ანუ ეინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა, არამედ უ ბ რ ა ლ ო ჲ ქ ე ლ ი თ ა და წ მ ი დ ა ჲ გ უ ლ ი თ ა: იქვე, გ6.

---

[47] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, 1948, გვ. 32; 45.

ხოლო იყო ხილვითა დიდ, ქორცითა თხელ, ჯასაკითა სრულ, ყოველად კეთილ, სრულიად გუამითა მრთელ და სულითა უბიწო: იქვე, b_{63}.

სავსე'ში გამოიყოფა სა—ე. სუფიქსი -ე მიმღეობის დაბოლოებადაა მიჩნეული სამეცნიერო ლიტერატურაში და აღნიშნულია, რომ „-ე უნდა იყოს გამარტივებული ვარიანტი -ელ || -ედ სუფიქსებისა“[48].

ასევე ცნობილია, რომ ღირსი (და მასთან ერთად არსი, მსგავსი...) ზმნისაგან ნაწარმოები სახელია[49].

მაღალ'ის ძირია -აღ- (სხვა შემთხვევაში წინდებულად გამოყენებული)[50]. მისი დაკავშირება ზმნასთან შეუძლებელი არაა. მსგავსადაა წარმოებული მდაბალი'ც, სადაც გამოიყოფა მ- თავსართი და -ალ ბოლოსართი. ძირია დაბ, რომელიც დაცულია სვანურში („დჯბ“—ყანა) და მეგრულში (დობ-ირ-ა || დობ-ერ-ა — სახნავი მიწა)[51] და ა. შ.

ძირით თუ წარმოების მიხედვით ზმნას (ან ნაზმნარ სახელს) შეიძლება დაუკავშირდეს აგრეთვე ზედსართავი სახელები: წმიდაჲ, მრთელი, სრული და სხვ.

ზედსართავი სახელის ისტორიულმა ანალიზმა შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ იგი მეორეული მეტყველების ნაწილია, ამას ამტკიცებს სიტყვათა დამოკიდებულება: პირმიუმართავი დამატება (და ზოგჯერ გარემოებაც) ისევე ეფარდება ზედსართავ სახელს, როგორც ნაზმნარ სახელს.

სხვა ფუძეთა გვერდით (მაგ. არსებითი სახელისა) უნდა გვქონოდა საერთო ფუძე, რომელმაც, ერთი მხრით, მოგვცა ზმნა და, მეორე მხრით — ზედსართავი სახელი. ასეთია, მაგალითად. ძირეული სიტყვა წით. მისი ზანური ფონეტიკური შესატყვისია ჭით[52]. აქედანაა მიღებული:

---

[48] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბილისი, 1942. გვ. 62.

[49] ა. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა.., უნ. მოამბე, II, 1922—1923, გვ. 262—281.

[50] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება, გვ. 25; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 268.

[51] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება, გვ. 27; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 268.

[52] არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 234; 410; მისივე: სახელის ფუძის უძველესი აგებულება, გვ. 121.

ზმნა	ზედსართავი სახელი
წ ი თ-ს	წ ი თ-ელ-ი
	ზან. ჭ ი თ-ა(რ)

მაგალითად:

უუდრო იყოს, რამეთუ წ ი თ ს ცაჲ: მ 16,2.

ასევე:

ცბ ძირია ამოსავალი ც ბ ი ს ზმნისა და ც ბ ი ე რ ზედსართავი სახელისათვის: ეშმაკეულ არს და ც ბ ი ს: DE ი 10,20.

ამრიგად, გამოდის, რომ პირმიუმართავი დამატება გვაქვს ზმნასთან (შემასმენელთან), ნაზმნარ სახელებთან (მასდართან და მიმღეობასთან) და ზედსართავ სახელებთან. არა გვაქვს არსებით სახელთან, რიცხვით სახელთან, ნაცვალსახელთან და ფორმაუცვლელ სიტყვებთან.

§ 92. დამატება ხარისხის ფორმებთან. ზმნისა და ზედსართავი სახელის ისტორიული სიახლოვე უფრო იგრძნობა უფროობითი ხარისხის წარმოებასა და მასთან პირმიუმართავი დამატების დაკავშირებაში.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ სასხვისო ქცევის უ ნიშანი და უფროობითი ხარისხის საწარმოებელთაგან პრეფიქსი უ ერთი და იმავე წარმოშობისაა[53]. პირის გაგებაც უფროობითი ხარისხის წარმოებაში უნდა ყოფილიყო ჩაქსოვილი და ამით აიხსნება პირის ხ (||ჰ) ნიშნის ხმარება ხარისხისეულ უ'ს წინ (მაგ., ხ-უ-მჯობჱსი). უფროობითი ხარისხის ფორმებში ხ (||ჰ) თავისართი იგივე ობიექტის მესამე პირის ნიშანია, რომლის გვერდით უნდა ყოფილიყო გ და მ (ხ-უ-მჯობჱსი, გ-ი-მჯობჱსი, მ-ი-მჯობჱსი)[54]. უფროობითი ხარისხის მქონე სიტყვის მიერ მართული სახელი, რომელიც ხარისხის სახელთან შესადარებლადაა გამოყენებული, პირმიუმართავი დამატებაა და არა განსაზღვრება. ეს დამატება კი შეიძლება გვქონდეს მ ი ც ე მ ი თ ს ა და ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ბრუნვებში[55].

---

[53] ა. შ ა ნ ი ძ ე. პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1936, I, გვ. 338; И. К и п ш и д з е. Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб., 1941, გვ. 033; ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები, გვ. 442.

[54] ა. შ ა ნ ი ძ ე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვებთან, გვ. 338; გ. რ ო გ ა ვ ა, ზედსართავის თანაბარობითი ხარისხის გაქვავებული ფორმები ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IX—X, 1958, გვ. 105—106; გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 71, 1959, გვ. 119—131.

[55] ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები, გვ. 143; 717; თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ხარისხი ქართველურ ენებში: თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 1957, ტ. 67, გვ. 154—156.

მაგალითად:

მ ი ც ე მ ი თ ი

უმჯობეს არს კაცი საცხოვარსა: D მ 12,12
წამალი საკურნებელი სულისაჲ... უმარჯუე არს წამალსა კორცთა წყლულებისასა: მამ. სწ. 80,22.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ პირველადია მიცემითის ფორმა უფროობით ხარისხთან დამატების აღსანიშნავად. ამას ცხადყოფს მისი წარმომავლობა და გენეტური კავშირი ზმნასთან, რომელიც სათანადო დამატებას მიცემით ბრუნვაში შეიწყობს, ხოლო მეორეულია ნათესაობითი ბრუნვა. მიცემითის შენაცვლება ნათესაობითით სხვა შემთხვევაშიც იცის ძველმა ქართულმა. უპირველეს ყოვლისა აქ მოგვაგონდება ე. წ. მასდარული კონსტრუქცია, სადაც ნათესაობითი ენაცვლება მიცემითსაც და სახელობითსაც (შდრ. „ხასწავებდით მათ დამარხვად ყოველი": ხანმ. მ 28.20 და C: „ასწავებდით მათ დამარხვად ყოვლისა"; „იწყეს მუსრვად თავსა კუეილისასა": DE მ 12,1 და C: „იწყეს მუსრვად თავისა კოვილისა").

ამის მიხედვით მიცემითს ენაცვლება ნათესაობითი და იხმარება მის პარალელურად, მაგ.:

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი

ნუ ხარ უგრილეს ნაცრისა: მამ. სწ. 132,10
იქმნის უკუანაჲსკნელი იგი კაცისაჲ მის უძჯრეს პირველისა: ლ 11,26
რაჲ არს ლომისა უბოროტჱსი ოთხეულთა შორის? სინ. მრავ. 213.7
ჰე. გეტყჳ თქუენ, და უმეტეს წინაწარმეტყუელისა: DE მ 11,9; ლ 7.26
ენაჲ შენი უბოროტეს ღრიაკალისა კბენს: მამ. სწ. 148,14
რაჲმე უკეთ იცოს სიძისა მის ღუშეერეს: იქვე, 167,4)
უჩუენა მას უძჯრჱსითა პირველისა: სინ. მრავ. 129.12.

მიცემითისა და ნათესაობითის პარალელური ხმარება გადმოვიდა ახალ ქართულშიც და გვხვდება დღესაც იმ განსხვავებით, რომ უთანდებულო მიცემითის ადგილი -ზე თანდებულიანმა მიცემითმა დაიკავა, ხოლო ნათესაობითი გადაშენების გზას დაადგა და ქრება.

დამატებად შეიძლება იყოს ყველა სახელი, მაგრამ თავისებურებას ამჟღავნებს პირის ნაცვალსახელი.

მაგალითად:

მოვალს უძლიერესი ჩემსა: მრ 1,7; ლ 3,16
უპატიოსნესი შენსა იყოს ჩინებული მისგან: ლ 14,8

მოიყვანნის სხუანი შჳდნი სულნი უბოროტესნი მ ი ს ა: C ლ 11,26, შდრ. DE: მოიყვანნის სხუანი შჳდნი სულნი უბოროტესნი მ ი ს ა.

დიდი სიმრავლ**ჱ** არს უფროჲს ჩ უ ე ნ ს ა: გამ. 1.9

რომელნი იყვნეს უწინარეს თ ქ უ ე ნ ს ა: DE მ 5,12

მერმე მიუვლინნა სხუანი მონანი, უმრავლესნი მ ა თ ს ა: C მ 21,35 და ა. შ.

აქ დამატებად ყველგან პირის ნაცვალსახელია.

მე და **შენ**, **ჩუენ** და **თქუენ** ნაცვალსახელები ბრუნვის მიხედვით არ იცვლებიან: სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში რჩება უცვლელად, ნათესაობითში კი მე'ს ენაცვლება **ჩემ**, მაგრამ ზემომოყვანილ მაგალითებში ბრუნვის ნიშნად ყველგან გვაქვს -ს. იგი მიცემითი ბრუნვის ნიშანია. როგორ მოხდა, რომ ნათესაობითის ფუძეს მიცემითის ნიშანი დაერთო? ეგების ნანათესაობითარია **ეს** სიტყვა და ფუძედ ამიტომ მოგვევლინა **ჩემ**, მაგრამ ეს გამორიცხულია იმის გამო, რომ პირის ნაცვალსახელის ნანათესაობითარი ფორმა კუთვნილებითი ნაცვალსახელია. ამავე დროს პარალელურად გვაქვს ასეთი ფორმები: „მოიყვანნის... უბოროტესნი მ ი ს ა“: DE ლ 11,26 და „მოიყვანნის... უბოროტესნი მ ი ს ს ა“: C. პირველი (მ ი ს ა) ი გ ი ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვაა, მ ი ს ს ა (მ ა თ ს ა) კუთვნილებითი ნაცვალსახელია მიცემითში. კუთვნილებითი ნაცვალსახელი კი ამ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს პირმიუმართავ დამატებად.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: უძველეს ქართულში მხოლოდ მიცემით ბრუნვაში დასმული პირმიუმართავი დამატება იყო უფროობითი ხარისხის ფორმასთან. შემდეგ მის პარალელურად ამ ფუნქციით ნათესაობითიც გამოვიდა. ამ უკანასკნელმა გამოიყენა **ჩემ** ფუძე, რომელიც გაფორმდა მიცემითის ნიშნით[56], როგორც კანონიერი ფორმა დამატების გამოსახატავად უფროობითი ხარისხის სახელთან.

ამიტომაა, რომ კანონიერ „უბოროტესნი მისას“ გვერდით ფეხი მოიკიდა უკანონო ფორმამ.

გვაქვს ასეთი ფორმებიც:

ერთი იგი მოწაფ**ჱ** წინა რბიოდა უადრეს პ ე ტ რ ე ს ა: DE ი 20,4, შდრ. C: ერთი იგი მოწაფ**ჱ** წინა წაჲთქრა უადრეს პ ე ტ რ ე ს ა.

ასევე:

უდიდეს ხარ შენ მამისა მის ჩუენისა ი ა კ ო ბ ი ს ა: C ი 4,12 და ა. შ.

---

[56] ამ წესითაა დამკვიდრებული ახალ ქართულში უკანონო ფორმები: ჩ ე მ ს კ ე ნ, შ ე ნ ს კ ე ნ და ა. შ.

აქ პეტრესა, იაკობისა ნანათესაობითარი მიცემითის ფორმებია. ეს აშკარად ჩანს უძველესი ძეგლიდან: „ხოლო ერთი იგი მოწაფჲ წინა რბიოდა ხუადრეს პეტრჲსსა“: ხანმ. ი 20,4. პეტრესა, იაკობისა და მსგავს ფორმებს ვერ მივიჩნევთ ნანათესაობითარ ვითარებითად: საზოგადო სახელებთან არც ერთი შემთხვევა არ დასტურდება ნანათესაობითარი ვითარებითის ხმარებისა უფროობითი ხარისხის ფორმებთან დამატების გამოსახატავად.

ამგვარად, პირმიუმართავი დამატება, უთანდებულოდ თუ თანდებულიანად, ჩვეულებრივ ახლავს შემასმენელს, ამასთან ერთად იგი გვხვდება მასდართან, მიმღეობასთან და ზედსართავი სახელების ფორმებთანაც. იგი ყველგან მართულია ბრუნვაში.

2. განსაზღვრება

§ 93. განსაზღვრების ფუნქცია. განსაზღვრება არის წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი, რომელიც ახლავს ქვემდებარეს, დამატებას, სახელით გადმოცემულ გარემოებას ან რთული შემასმენლის თანასაერთს და უკავშირდება მათ შეთანხმებით, მართვით ან მართვა-შეთანხმებით. ტერმინი განსაზღვრება დამკვიდრებულია ლათინური definitio-ს მიხედვით (ლათ. definitio—განსაზღვრა).

განსაზღვრების სინტაქსურ ბუნებას აპირობებს საზღვრულ სიტყვასთან დამოკიდებულება. ამ დამოკიდებულების მიხედვით ძველ ქართულში ატრიბუტული განსაზღვრება საზღვრულს უკავშირდება შეთანხმებით ბრუნვასა და რიცხვში, ხოლო ნათესაობითში დასმული განსაზღვრება — ბრუნვაში მართვით. ეს უკანასკნელი მართულ-შეთანხმებულად იქცევა პოსტპოზიციური წყობისას.

განსაზღვრება სინტაქსურად დამოკიდებულია იმ წევრზე, რომელიც წამყვან სიტყვად ითვლება წინადადებაში და წარმოადგენს საზღვრულს. საზღვრულ წევრთან მტკიცე სინტაქსური ურთიერთობის დამყარებით იგი ოდენ დაქვემდებარებული სიტყვაა და აღნიშნავს საზღვრული წევრის რაიმე ნიშანს ან თვისებას.

ატრიბუტული განსაზღვრება

§ 94. ატრიბუტული განსაზღვრების ფორმები. ატრიბუტულ განსაზღვრებად ჩვეულებრივია ზედსართავი სახელი მიმღეობითურთ, უფრო ნაკლებად გვხვდება ნაცვალსახელი და რიცხვითი სა-

ზელი, იშვიათად — არსებითი სახელი. საზღვრულ წევრად კი არსებითი სახელია ან მასთან გათანაბრებული სხვა მეტყველების ნაწილი (მაგ., ვეცხლი დიდძალი მიხცეს ერისაგანთა მათ...: ხანმ. მ 28,12; შენგან გამოვიდეს დიდი იგი მთავარი...: C მ 2,6; ყოველი ცოდვაჲ.. მიეტევოს კაცთა: DE მ 12,31; გამოასხა ყოველი იგი განმსყიდელი: DE მ 21,12; მოილოცნეს წმიდანი ადგილნი: ხანძთ. კზ[18]).

სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობა ყველგან ერთნაირია: წყობის მიუხედავად მსაზღვრელი ეთანხმება საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში.

სიტყვათა წყობა თავისუფალია: ან განსაზღვრება უსწრებს წინ საზღვრულს, ან საზღვრული — განსაზღვრებას.

დამახასიათებელია, რომ ძველ ქართულში პრეპოზიციული წყობა ჭარბობს ორიგინალურ ძეგლებში, პოსტპოზიციური — ნათარგმნ ძეგლებში[57].

მსაზღვრელისა და საზღვრულის წყობის ადრინდელი ვითარება შემონახულია ორიგინალურ ძეგლებში, სადაც მსაზღვრელი უპირატესად წინ უძღვის საზღვრულს, ამიტომ ასეთი წყობის პრიმატობის შესახებ გამოთქმული მოსაზრება დამაჯერებელია[58].

ზედსართავი სახელი განსაზღვრებად

§ 16. საზღვრულთან დამოკიდებულება. პირდაპირი მნიშვნელობით ნახმარი ყველა ზედსართავი სახელი[59] წინადადებაში განსა-

---

[57] ც. კალაძის გამოანგარიშებით განსაზღვრებად გამოყენებული ზედსართავი სახელი „შუშანიკის წამებაში" 102 შემთხვევიდან პოსტპოზიციურია 21, ხოლო 81 შემთხვევა პრეპოზიციულია. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" ტექსტის ერთ მონაკვეთში საანალიზო 184 შემთხვევიდან 135 შემთხვევაში მსაზღვრელი ზედსართავი წინ უძღვის და მხოლოდ 49 შემთხვევაში მოსდევს საზღვრელს. ც. კალაძე, განსაზღვრება ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961, გვ. 79. ასევე: ვ. კახაძის ცნობით ოთხთავში განსაზღვრებად გამოყენებული ზედსართავი სახელის 1079 შემთხვევიდან პრეპოზიციულია 232, პოსტპოზიციურია — 847; რიცხვითი სახელი მსაზღვრელადაა 956-ჯერ, აქედან პრეპოზიციული წყობით — 760, პოსტპოზიციური წყობით — 196 და ა. შ. ვ. კახაძე, მსაზღვრელ-საზღვრულის თანმიმდევრობა ოთხთავში: სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, VI. თბილისი, 1953, გვ. 371—380.

[58] ც. კალაძე, განსაზღვრება ქართულში, გვ. 97; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვაობა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 556.

[59] მიმღეობა ნახმარი ზედსართავი სახელია, ამიტომ ზედსართავთან ერთად ვათავსებთ მასაც.

ზღვრებაა და წარმოდგენილია იმ ბრუნვასა და რიცხვში, რომელშიც მისი საზღვრულია. ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები ერთნაირად ერთვის ბოლოთანხმოვნიანსა და ბოლოხმოვნიან განსაზღვრებებს, მიუხედავად იმისა, პრეპოზიციულია იგი, თუ პოსტპოზიციური.

პრეპოზიციული წყობა

§ 96. წრფელობითი ბრუნვა. გაეფორმებელი ფუძეების საბით ზედსართავი სახელი არსებით სახელთან იშვიათად გვხვდება. ისტორიულად გაბატონებული და წარმოშობის მიხედვით ეს ერთადერთი ფორმა თითქმის გადაშენებულია ძველ ქართულში. საზღვრულთან ასეთი განსაზღვრების სინტაქსურ დამოკიდებულებაზე ჩვენ ვმსჯელობთ იმდენად, რამდენადაც მას მიჩენილი აქვს ადგილი ბრუნვათა სისტემაში, სადაც სათანადო აფიქსების საშუალებით გამოხატულია სინტაქსური ურთიერთობა. ეს ურთიერთობა წრფელობით „ბრუნვასთან" არც იგრძნობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მსაზღვრელი სახელის სემანტიკურ კავშირს იმ სახელთან, რომელსაც ის რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს.

მაგ.:

უშუოდე, რამეთუ ფიცხელ კაც ხარ შენ: C მ 25,24; ნეფსით თჳსით იქმნა იგი ბოროტ ესმაკ: მამ. სწ. 46,23; ჩუენთჳს იქმნა იგი უკუანაკნელ კაც: მრავალთ. 289,13; ქრისტეანეთა სარწმუნოებაჲ დიდ მოძღურებაა არს: აბო, 62,26.

§ 97. სახელობითი ბრუნვა. სახელობით ბრუნვაში დასმული განსაზღვრება საზღვრულ წევრთან ერთად ირთავს -ი ბრუნვის ნიშანს. ეს ნიშანი -ჲ-დ არის ქცეული ბოლოხმოვნიან განსაზღვრებებთან.

მაგ.:

აღიღეს ქუეყანით პატიოსანი იგი გუამი: აბო, 74,25; არა განუშორა ხანძთასა ჰეშმარიტად სულიერი შვილი: ხანძთ. იბ3ე; წმიდამან მან ცნა ზაკუეთი იგი ზრახვაჲ მისი: შუშ. IV,6; ეროდე დაჰთხია უბიწოჲ სისხლი: ჰილ-ეტრ. 227V; ვიხილეთ... წმიდაჲ კაც წული: იქვე, 220; შეურაცხგჳყოფია საწუთროჲ ესე სოფელი: კიმ. II,49,1.

ასევე:

მიახლებულ არს ნეტარი დედოფალი წმიდაჲ შუშანიკ სიკუდილდ: შუშ. XVI,2; ნეტარი მამაჲ ჩუენი მოვიდა ხანძთად: ხანძთ. ლ72.

§ 98. მოთხრობითი ბრუნვა. მოთხრობითი ბრუნვის -მან ნიშანი ერთნაირად ერთვის ყველა განსაზღვრებას. საზღვრულთან ურთიერთობა გამოიხატება ბრუნვასა და რიცხვში შეთანხმებით. მაგ-

რამ ადამიანის საკუთარი სახელი არ ირთავს -მან ბრუნვის ნიშანს. ისევე, როგორც მას არ გააჩნია სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანი. ასეთ სახელებს სახელობითისა და მოთხრობითის ფორმები გარჩეული არა აქვთ[60]. განსაზღვრება ყოველთვის ბრუნვის ნიშნიანია[61].

მაგ.:

კ ე თ ი ლ მ ა ნ კ ა ც მ ა ნ კეთილისაგან საუნჯისა გამოიღის კეთილი: მ 12,35; ს ა ღ მ რ თ ო მ ა ნ ც ნ ო ბ ა მ ა ნ გულისხმა უყო ნეტარისა მამისა გრიგოლის ღირსებაჲ: ხანძთ. ნდე...

მაგრამ:

ნ ე ტ ა რ მ ა ნ გ რ ი გ ო ლ პოვა ჟამი მარჯუჱ: ხანძთ. ნე15; წ მ ი დ ა მ ა ნ ს ა ბ ა ც ნ ა სულითა მჴუხარებაჲ იგი აკაკისი: საბა ას. 18,19; წარავლინა ძმაჲ ერთი ნ ე ტ ა რ მ ა ნ მ ა მ ა მ ა ნ ჩ უ ე ნ მ ა ნ ს ა ბ ა იერიქოდ: კიმ. II,157,7.

პრეპოზიციულ განსაზღვრებასთან ერთად საზღვრულს შეიძლება ახლდეს პოსტპოზიციური განსაზღვრებაც, მაგრამ ამით სინტაქსური ურთიერთობა არ იცვლება, მაგალითად: ყ ო ვ ე ლ მ ა ნ ხ ე მ ა ნ კ ე თ ი ლ მ ა ნ ნაყოფი კეთილი გამოიღის: მ 7,17.

§ 99. მიცემითი ბრუნვა. მიცემით ბრუნვაში დასმული განსაზღვრება ემფატიკურ ხმოვნიანია და ერთვის საზღვრულს. მოთხრობითი ბრუნვისაგან განსხვავებით ყოველთვის ირთავს ბრუნვის ნიშანს საზღვრული სახელიც. თუ ეს უკანასკნელი საზოგადო სახელია, ახლავს ემფატიკური ხმოვანი:

მ ე ც ა დ ი დ ს ა ღ უ ა წ ლ ს ა განმზადებულ ვარ: შუშ. III,14; ნუ შეიმოსთ მ რ ჩ ო ბ ლ ს ა კ ე ა რ თ ს ა: C მრ 6,9; ნუ გეშინინ მ ც ი რ ე ს ა მ ა გ ა ს ა მ წ ყ ს ო ს ა: ლ 12,32: წარვიდა უ დ ა ბ ნ ო ს ა ა დ გ ი ლ ს ა თჳსაგან: DE მ 14,13; ესჳ ბრძანებაჲ უტყეველი აღუსრულა ქრისტემან ნ ე ტ ა რ ს ა გ რ ი გ ო ლ ს: ხანძთ. ლვ17; მდევარნი იგი ეწინეს წ მ ი დ ა ს ა ტ ი რ ი ჯ ა ნ ს: ლიტ. ურ. 181,1; ხოლო ამას წ მ ი დ ა ს ა მ ა მ ა ს ი ო ვ ა ნ ე ს გემოჲ ეხილვა საღმრთოჲსა სიტკბოებისაჲ: კიმ. I,22,1.

§ 100. ვითარებითი ბრუნვა. ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელი ემფატიკურ ხმოვანს არ ირთავს: ერთნაირადაა წარმოდგენილი განსაზღვრებისა და საზღვრულის ბრუნვის ნიშნები.

მაგალითად:

მაშინ წარიყვანა იგი წმიდამან მოციქულმან პავლე დ ი დ ა დ ქ ა ლ ა ქ ა დ ე ფ ე ს ო დ: კიმ 1,104,10; მოვიდის იგი წ მ ი დ ა დ ე კ ლ ე ს ი ა დ: აბო, 64,13;

---

[60] ა. შ ა ნ ი ძ ე. ძველი ქართული ენა. გვ. 294.

[61] იშვიათად გვაქვს შეთანხმების დარღვეაც, მაგ.: „ყ ო ვ ე ლ მ ა ნ უ ც ხ ო თ ე ს ლ მ ა ნ არა ჰამოს მისგანი“: გამ. 12, 43, მაგრამ მას თავისი ახსნა მოეპოვება.

იქმნების კ ე თ ი ლ ა დ მ ო ნ ა ს ტ რ ა დ: ხანძთ. კდვ4; არცა განაღის კარი ჭუა-ბისაჲ. ვიდრე დ ი დ ა დ ხ უ თ შ ა ბ ა თ ა დ მ დ ე: კიმ. I,32,19.

§ 101. ნათესაობითი ბრუნვა. ნათესაობით ბრუნვაში დასმული განსაზღვრება ყოველთვის ემფატიკური ხმოვნითაა. მიცემითისაგან განსხვავებით, როგორც წესი, ბოლოთანხმოვნიანი კუმშვადი ფუძე იკუმშება, ბოლოხმოვნიანი კვეცადი — იკვეცება.

მაგ.:

ძ ო ჲ ნ ე ტ ა რ ი ს ა თ ე ო დ ო ს ი ს მონასტრისაჲ: კიმ. II,174,29; მ ც ი რ ე დ ი ს ა ჟ ა მ ი ს ა შემდგომად აღდგა ნეტარი იგი: ისტ. ქრ. 278,20; მ ა მ ა ჲ არსენი და ჯიბრილისა ძ ო ჲ სანატრელი იოვანე ა ხ ლ ი ს ა ე კ ლ ე ს ი ი ს ა განმასრულებელი ორნივე... აღესრულეს: ხანძთ. კმ24; ა ხ ლ ი ს ა შ ჯ უ ლ ი ს ა დაბეჭდულნი წიგნნი ზეპირით იცოდნა: იქვე ღბ13; ვერ შემძლებელ იყო დაჯირვად თავისა თჳსისა მ წ ა რ ი ს ა გ ა ნ ტ ი რ ი ლ ი ს ა: კიმ. I,39,25...

§ 102. მოქმედებითი ბრუნვა. მოქმედებით ბრუნვაში დასმული განსაზღვრება ნათესაობითის მსგავსად ირთავს ემფატიკურ -ა-ს და მოსალოდნელ შემთხვევაში იცვლის ფუძესაც. ბოლოთანხმოვნიანი კუმშვადი ფუძე იკუმშება, ბოლოხმოვნიანი კვეცადი ფუძე იკვეცება.

მაგ.:

ქ ა რ თ უ ლ ი თ ა ე ნ ი თ ა ვ ა მი შეიწირვის: ხანძთ. მვ6; უ ბ ა ნ ე ლ ი თ ა კ ე ლ ი თ ა ჰ ქ ო ბ ა არა შეაგინებს კაცსა: მ 15,20; ც ო ც ხ ა ლ ი თ ა ფ ე რ ქ ი თ ა არა გამოხვიდე შენ მაგიერ ციხით: შუშ. XIII,16; მაშინ ფრიად მ ა ღ ლ ი თ ა ქ მ ი თ ა ბრძანეს მოწდებაჲ ყრმჱთაჲ: სპვს. 59,2; უგალობდეს ღმერთსა ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ი თ ა ქ მ ი თ ა: ხანძთ. ლთ18; მ ო კ ლ ი თ ა ს ი ტ ყ ვ ი თ ყ ლსა განვაცხადებთ: კიმ. I,101,7.

ზედსართავი სახელი, რომელიც გამოყენებულია მოქმედების საწყისი პუნქტის აღმნიშვნელ არსებით სახელთან, ემფატიკურ ხმოვანს არ ირთავს ისევე, როგორც ეს უკანასკნელი არა აქვს დართული არსებითი სახელის ე. წ. დაწყებით ბრუნვას, მაგ.:

უბრძანა ქრისტემან ერსა მას ქ მ ე ლ ი თ ჭ უ ე ყ ა ნ ი თ მოსლვაჲ: ისტ. ქრ. 170,7.

ახალ ქართულში თავი იჩინა მოქმედებით ბრუნვაში დასმულ საზღვრულთან ნათესაობით ბრუნვაში დასმულმა მსაზღვრელმა, თუმცა იგი ისევ გადაშენების გზას დაადგა. ასეთებია, მაგალითად:

დ ი დ ი ს პ ა ტ ი ვ ი თ მიიღო მოსემ დავითი (ილია); დ ა ს უ ს ტ ე ბ უ ლ ი ა ხ მ ი თ წარმოსთქვა სვიმონმა (ა. ყაზბ.) და ა. შ.

ამგვარი ფორმის ერთეული შემთხვევა დადასტურებულია ძველ ქართულშიც. ასე, მაგალითად, „ცხორებაჲ იოვანესი და ეფ-

თქმესი"-ში, მეთერთმეტე საუკუნის ცნობილ ძეგლში, გვხვდება „ერთითა ერთობითა ამას ვიტყჳთ, ვითარცა ე რ თ ი ს ა პ ი რ ი თ ა ყოველთა ქართველთა თანა" (118,28)[62]. შემდგომ, საერო მწერლობის ძეგლთა ენაში, მსგავს ფორმებს თანდათან უფრო და უფრო ვხვდებით.

ამ მოვლენაზე სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამახვილებულია ყურადღება. ვ. თოფურია შრომაში „ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით"[63] აღნიშნავს, რომ წარმოების მიხედვით „ქართველურ ენებში ერთი და იგივეა: ა) მიცემითი და ვითარებითი და ბ) ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვები"[64]; ფუნქციის მიხედვითაც „მონაცვლეობა ჩანს ნათესაობითსა და მოქმედებითში" და „შემთხვევითი არ არის აგრეთვე მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმებისას ნათესაობითის დასმა მოქმედებითთან"[65]. ა. შანიძე ფიქრობს, რომ -ს ბგერის ხმარებას მსაზღვრელის დაბოლოებად მიცემითსა და ნათესაობითში ისტორიული საფუძველი აქვს. ამ საფუძველზე შემუშავდა ანალოგიური წარმოება ორი სხვა ბრუნვისათვის მოქმედებითისა და ვითარებითისათვის. ამ შემთხვევაში მოქმედებითი დაეყრდნო ნათესაობითს, ვითარებითი კი — მიცემითს[66].

§ 103. წოდებითი ბრუნვა. წოდებითში დასმული განსაზღვრება ბრუნვის ნიშნიანია, საზღვრული კი ან ფუძის სახითაა წარმოდგენილი (როცა საკუთარი სახელია), ან -ო ნიშნით.

მაგ.:

წ მ ი დ ა ო მ ა მ ა ო, ჟამსა მას წარმოსლვისა ჩუენისასა ხანძთით სამცხეს... მოვიწიენით: ხანძთ. კვ2; აღასრულე ცხორებაჲ შენი, ს ა ნ ა ტ რ ე ლ ო ა ნ ტ ო ნ ი: ანტ. რაკ. 100,11.

§ 104. მრავლობითი რიცხვი. ძველ ქართულში საზღვრული, თუ კი ის მრავლობით რიცხვს აწარმოებს -ნ- -თ ნიშნებით, ყოველთვის ითანხმებს განსაზღვრებას რიცხვში. რიცხვის ნიშანი ერთვის საზღვრულსაც და განსაზღვრებასაც:

---

[62] ამ უჩვეულო „შეთანხმებაზე" ყურადღება აქვს გამახვილებული ა. ნ ი ჟ ე ს. გიორგი მთაწმიდლის ენა, გვ. 79.

[63] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, V, № 3, 1944, გვ. 339—348.

[64] იქვე, გვ. 347.

[65] იქვე, გვ. 340.

[66] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 85.

სახელობითი ბრუნვა

ახლისა შჯულისა დაბეჭდული წიგნი ზეპირით იცოდნა: ხანძრ. ღვ13; საშინელნი საქმენი მიხილეან მე: წარტყ. ღ28; წმიდანი უდაბნონი ყოველთა შესაეედრებელ არიან: ხანძთ. ღ12; საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა: იქვე, ბ42.

მოთხრობითი ბრუნვა

ოპიზელთა მამათა მოსცეს ყოველი: ხანძთ. ზ40; კორციელად ძლიერსა ქელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლეს: იქვე, ნე76; იწყეს მიერთმევან ყოველთაგე უგუნურთა კაცთა: კიმ. I,51.28; სანატრელთა მათ დიდთა მამათა... იხილნეს: ხანძთ. ღ1.

მიცემითი ბრუნვა

მაშინ პრქუა ხანძთას შინა მყოფთა ძმათა: ხანძთ. ოთ1; ხეჯვიდა წმიდათა კაცთა: იქვე. ღ8; კუალად სხუათა ვიეთმე მორწმუნეთა კაცთა ესუა შეილი: იქვე, მე1.

ნათესაობითი ბრუნვა

მცირედთა დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწაელნა: შუშ. XII, 3; პატიოსანთა საკუმეველთა სულნელებამან აღავსო ყოველი იგი ერი: ხანძთ. პ3; წმიდათა მოძღუართა თქემეულნი პეტრაცხელნი წარმოითქუმოდეს: იქვე, ღ15.

პოსტპოზიციური წყობა

§ 105. საზღვრულთან დამოკიდებულება მხოლოობით რიცხვში. პოსტპოზიციური განსაზღვრება საზღვრულთან ისეთსავე დამოკიდებულებაშია, როგორიც არსებობს პრეპოზიციულ განსაზღვრებასა და საზღვრულს შორის. განსხვავებაა მხოლოდ ადგილის მიხედვით: განსაზღვრება მოსდევს საზღვრულს.

ბრუნვათა მიხედვით პოსტპოზიციური განსაზღვრება საზღვრულთან ურთიერთობისას ქმნის ასეთ სურათს:

წრფელობითი

ყოს უფალმან სასწაულ კეთილ: ხანძთ. დ35; ვარ მე ჰაბუკ სახელოვან: იქვე, იბ18; ნუ იქმნები მუშაკ მცონარ: მამ. სწ. 13,23; სახლსა ჩემსა სახლ საღოცველ ეწოდოს: DE მ 21,13...

სახელობითი ბრუნვა

იყო სოფელსა მას შინა დედაკაცი ქურივი: საბა ას. 16,24; დაუმზადა ლევი პური დიდი იესუს სახლსა თჳსსა: DE ღ 5,29; ღუნოდ ახალი თხიერთა ახალთა შთაასხიან: მრ 2,22; დედაკაცი ქანანელი საზღვართა მათგან გამოეიდა: DE მ 15,22; ზეცით გარდამო ზრახვად იგი საიდუმლოდ ისმოდა: ჰილ-ეტრ. 33; მიუტევეს მას ღმი ძუდ: თეკლ. 110.17.

მოთხრობითი ბრუნვა

პრქუა მათ კაცმან მან მოხუცებულმან: მსაჯ. 19,20; მკეცმან ბოროტმან მიმტაცა იოსებ: დაბ. 37,33; ქურივმან ამან გლახაკმან უფროჲს ყოველთა შემოწირა ფასის საცავსა ამას: მრ 12,43; ყრმამან მცირემან დაწერნეს იგინი: ესაია, 10,19...

მიცემითი ბრუნვა

პაბაშნი გამოვიდეს ზღუასა შეწამულსა: კიმ. I,31,9; ნუ შრომასა შეამთხუევთ დედაკაცსაამას გლახაკსა: კიმ. II,36,25; შთავიდეს ორნივე ზოგად ეენაკსა მას შფნებულსა: ხანძთ. ოვ; მიიწინეს იგინი ბოსტანსა მას მცირესა: კიმ. II,36,33.

ვითარებითი ბრუნვა

იხილეს იგი პაბუკად შუენიერად მტერთა მათ ღმრთისათა: კიმ. I,40,3; დაშთეს ნეშტი თქუენი ქუეყანასა ზედა... ნეშტად დიდად: დაბ. 45.7; აღვიდეს ქალაქად წმიდად: კიმ. II,152,31.

ნათესაობითი ბრუნვა

ვერ ჴელ-ეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ჯერკუალისა გამოღებად: C მ 7,18; იცით ნიჰისა კეთილისა მიცემაჲ: C მ 7,11...

მოქმედებითი ბრუნვა

მაშინ მეყსეულად ყოველმან ერმან ქმითა მაღლითა ღაღატყვეს: თეჳლ. 103,16; მტერნი იგი ბოროტნი შევიდეს ქალაქად რისხვითა დიდითა: წარტყ. ივ; მიერულა მას ძილითა ჴშირითა: მოც. 20,9; ჴელითა მტკიცითა გამოგჳყვანნა ჩუენ უფალმან ჴუეყანით ეგჳპტით: გამ. 13,14.

წოდებითი ბრუნვა

წოდებითში დასმული განსაზღვრება საზღვრულის მსგავსად ირთავს -ო ნიშანს, მაგ., მამაო წმიდაო, დაიცევენ ესენი სახელითა შენითა: ი 17,11. თუ წოდებითის ფუნქციით სახელობითი გამოდის, ორივე კომპონენტი ირთავს -ი ნიშანს: სული ეგე არაწმიდაჲ, განვედ კაცისა მისგან: DE მრ 5,8, შდრ. C: განკედ, სულო არაწმიდაო; ჴნათესავი ურწმუნოჲ და გულარძნილი, ვიდრემდის თქუენ თანა ვიყო: DE მ 17,17, შდრ. C: ჴნათესავო ურწმუნოო...

ფუძის სახითაა წარმოდგენილი საზღვრულიც და განსაზღვრებაც ასეთ შემთხვევაში: მოძღუარ ქუელის მოქმედ, რაჲ ვქმნე, რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკვდრო? C მრ 10,17, შდრ. DE: მოძღუაროსახიერო, რომელი საქმჱ ვქმნე...

წოდებითში ასეთ ნაირსახეობას თავისი ახსნა მოეპოვება.

§ 106. დამოკიდებულება მრავლობით რიცხვში. პოსტპოზიციური განსაზღვრება ისევე ეთანხმება საზღვრულს, როგორც პრეპოზიციული განსაზღვრება. რიცხვის ნიშანი თანაბრად ერთვის ორივეს. ამის შედეგად ბრუნვათა მიხედვით ასეთი სურათია:

სახელობითი ბრუნვა

მჭონანცა საქმენი კეთილნი: იპოლ. 7,26; მკეცნი ველურნი დაგიმშუდნენ შენ: იობ. 5,23; მოიყვანნეს ძეთა მათ... ცოლნი მოაბეღნი: რუთ. 1,4...

მოთხრობითი ბრუნვა

განიზარეს მოწამეთა ნეტართა: ხანძთ. ი33; თაყუანი სცეს ნეტარსა მამასა თჳსსა შვილთა მათ სულიერად-მობილთა: იქვე, ობ8...

მიცემითი ბრუნვა

შევიდა იესუ კართა კუშლთა: ხანმ. ი 20,26; არცა შთაასხიან ღუნოჲ ახალი თხიერთა ძუელთა: მ 9,17; ნეტარი გრიგოლ... წარჰყვა კაცთა მათ მოვლინებულთა: ხანძთ. თ31...

ნათესაობითი ბრუნვა

არაჲ ნაკლულევან ვართ, არამედ აღსავსჱ მადლითა საუნჯეთა მათგან მოუკლებელთა: ხანძთ. З80; შენ თჳთ სიბრძნემან იშჱნე თავისა თჳსისაჲ სახლი სიწმიდისაჲ შესაველებელად ერთა მორწმუნეთა: იქვე, о15.

წოდებითი ბრუნვა

კაცნო ისრაიტელნო, ისმინენით სიტყუანი ესე: მოც. 2,22; რაჲსაღა განვაგრძობდე სიტყუასა, ძმანო ჩემნო საყუარელნო? კიმ. I,30,17.

§ 107. -ებ ნიშნიანი მრავლობითი. მრავლობითი რიცხვის -ებ ნიშნიანი საზღვრული, როგორც წესი, რიცხვში ვერ ითანხმებდა განსაზღვრებას. ამის გამო გვაქვს ასეთი ფორმები:

სოფელმან ამან დაიტია აღწერილი წიგნები: DE ი 21,25; გამოზიდვიდა სათრომელსა მას ქმელად სავსესა დიდ-დიდითა თევზებითა: С ი 21,11.

ასეთივე მდგომარეობაა მაშინაც, როდესაც წყობა პოსტპოზიციურია. აქაც განსაზღვრება რიცხვში არ ეთანხმება საზღვრულს:

განვიდა სულები იგი არაწმიდაჲ კაცისა მისგან: DE მრ 5,13; ეხედვე კაცებსა, ვითარცა ხეებსა მავალსა: С მრ 8,24 და სხვ.

მაგრამ გვაქვს შეთანხმებული ფორმებიც. ნარ-თანიანი მრავლობითის მსგავსად შეინიშნება რიცხვში შეთანხმება იმ შემთხვევაშიც, როცა მრავლობითი -ებ სუფიქსითაა წარმოებული, რის შედეგადაც საზღვრულიცა და განსაზღვრებაც -ებ ნიშნიანია. შეუთან-

ხმებელი ფორმების გვერდით შეთანხმებული ფორმების არსებობა გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება: მრავლობითი რიცხვის ამგვარ ფორმასაც ჰქონდა ტენდენცია ძველ ქართულშივე შეეძინა ნარიანი ფორმის სინტაქსური ძალა. ამით აიხსნება ამგვარი შეთანხმება:

გამოჴდა სულები იგი არაწმიდები: C მრ 5,13, შდრ. DE: განვიდა სულები იგი არაწმიდა კაცისა მისგან

განარჩია მას დღესა შინა ვაცები ჰრელები: დაბ. 30,35

იხილა... რჩლები ქდილები: კიმ 1,38,15

რომელთა თანა იყო სულები არაწმიდები: მოც. 8.7

ტაძრები იგი მაღლები დაეცემოდა: ლიტ. ურთ. 139,23

ძუალები ესე დამდნარები უფროჲს მოგაკსენებს სიკედილსა ბრძჲთა: ბაღ. 96.2

სადა იყოს მაშინ ჯამლები იგი შუენიერად განგლესილები: მაჰ. სწ. 94,10

თემერაზ... მიეიდა სასედ ონესიფორჱსა მოხუცებულითურთ და სხჳთაცა მრაველთა კაცებითა წათოსნებითა: თქც. 99,19. შდრ. აბრაჰამს ხელში ეპყრა. ჯამეჩები დაშარტულები (ვ. ბარნ.).

ამ შემთხვევაში წარმოდგენილი იყო პოსტპოზიციური განსაზღვრება მრავლობით რიცხვში. მაგრამ შენიშნულია საზღვრულთან პრეპოზიციული განსაზღვრების შეთანხმებაც.

მაგ.:

ეშჳნოს მათ მცირეები სენაკები: Sin. 43. გვ. 43

იქმოდა იგი... მარჯუენესა მალაკებსა: კიმ. I.166.30. შდრ. ხევსურ: კარგებ. სტუმარ-მასპინძლებ ვიყვენით ჩვენა: ჰინჯ. ხევს. 338,17; ძველებამბებ რა გეცოდინების? იქვე, 341,13; ახლებო შატილიენებო, დღე გაგითენდათ ცდისაო: იქვე, 378,15.

§ 108. რიცხვში შეთანხმების დარღვევა. საზღვრული, თუ იგი მრავლობით რიცხვს აწარმოებს -ნ და -თ ნიშნებით, ყოველთვის ითანხმებს განსაზღვრებას რიცხვში. რიცხვის ნიშანი თანაბრად ერთვის სინტაგმის ორივე კომპონენტს, მაგრამ შეინიშნება შეთანხმების დარღვევის იშვიათი შემთხვევებიც[67], როდესაც განსაზღვრება რიცხვში არ ეთანხმება საზღვრულს.

---

67 ეს ჩოლენა იმდენად არაბუნებრივია ძველი ქართულისათვის, რომ შეიძლებოდა ამაზე ყურადღება არც კი შეგეჩერებინა, მაგრამ მეთორმეტე საუკუნიდან მოყოლებული ასეთი ფორმები თანდათან იკაფავენ გზას (მაგ., უბრძანა სიტყვანი ასაკლებელი...: შნ 3022; შეთქმული კაცნი... მოცადინე არიან...: ქიც. 196,11; ორივე ფერკნი ჩაუნთქნა...: ამირანდარეჯ. ხელნაწ. № 393. გვ. 98b).

მაგალითად:

შეწიროს შესაწირავი იგი ცხორებისაჲ მსხუერპლად ღმრთისა, ცმელი და წელნი უბიწოჲ: ლევიტ. 3,9; არა შეიწყნარეს სიტყუანი ჩემი: D о 12,48.

§ 109. საზღვრული სახელის ადგილი. მრავალგანსაზღვრებიანი სახელი შეიძლება წინ უსწრებდეს განსაზღვრებებს, ან მოსდევდეს მათ, ან კიდევ განსაზღვრებათა შორის იყოს მოქცეული[68]. ძველი ქართულისათვის სამივე შემთხვევა ნორმალურად მიიჩნევა და გამოწვეულია გარკვეული სტილის საჭიროებით. მაგრამ არის გასათვალისწინებელი სხვა მხარეც: განსაზღვრებად გამოყენებული ზოგი მეტყველების ნაწილი უპირატესად პრეპოზიციულად იხმარება (ასეთებია, მაგალითად, რიცხვითი სახელი, განსაზღვრებითი ნაცვალსახელი და სხვ.), ზოგი კი მტკიცე ადგილს არ მოითხოვს: გვხვდება პრეპოზიციულადაც და პოსტპოზიციურადაც (ზედსართავი სახელი, მიმღეობა...). არაერთგვარ განსაზღვრებათა ერთად ხმარების შემთხვევაში რიცხვითი სახელები და განსაზღვრებითი ნაცვალსახელები საზღვრულის წინ იკავებენ ადგილს, ზედსართავები და მიმღეობები კი შემდეგ.

მაგალითები:

განსაზღვრებები წინ უსწრებენ საზღვრულ სახელს

მიახლებულ არს ნეტარი დედოფალი წმიდაჲ შუშანიკ სიკედილდ: შუშ. XVI,2; მაშინღა მსწრაფლ მოიღო სანატრელმან მან ეპისკოპოსმან იოვანე შესაგრავნელად სუდარი წმიდაჲ: იქვე. XIX,1.

განსაზღვრებები მოსდევენ საზღვრულ სახელს

არავინ სადგმელი უმურკნეველი ახალი დაადგის სამოსელსა ძველსა: ჰაგ. მრ 2,21: უქმნა მას სამოსელი ჰრეული მრავალფერი: დაბ. 37,3; ეგე არს ძეძ ჩემი საყუარელი: ჰილ.-ეტრ. 32.

საზღვრული სახელი მოქცეულია განსაზღვრებათა შორის

პოენა ორნი ყუავილნი შუენიერნი: წარტყ. ნვგ; სიხარულიო მოელნა ყოველნი წმიდანი ადგილნი საღოცველნი: ხანძთ.

---

[68] ლ. ჭანთარია, მსაზღვრელის ადგილი რამდენიმე მსაზღვრელიან წინადადებაში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, გვ. 323.

მსაზღვრელი სახელის ადგილი ერცლად მიმოხილული აქვს ც. კალაძეს. ც. კალაძე, განსაზღვრება ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, გვ. 106—119.

იხ37; მან თავადმან ყოველნი ბრალნი შენნი შეგინდვნეს: ხანძთ. ნუჱ; შეემთხუნეს მას ორნი კაცნი ეშმაკეულნი: DE მ 8,28.

არსებითი სახელი განსაზღვრებად

§ 110. საზღვრულთან დამოკიდებულების ფორმები. განსაზღვრებად გამოყენებული არსებითი სახელი შეიძლება იყოს ატრიბუტულიც და მართულიც. პირველი უპირატესად ახლავს ადამიანის ან ადგილის (გეოგრაფიულ) სახელებს. ამ შემთხვევაში ადამიანის სახელის მსაზღვრელად გამოდის „პროფესიის, თანამდებობის, წარმომავლობისა (სადაურობისა) და სხვა წოდების აღმნიშვნელი სიტყვა, ოგორიცაა, მაგალითად: მეფე (ჰეროდე მეფე), კეისარი (ნერონ კეისარი), პატრიარქი (პეტრე პატრიარქი), ჯპატოსი (დემეტრე ჯპატოსი), წინაწარმეტყუელი (ესაია წინაწარმეტყუელი), მთავარი (მაქსიმოს მთავარი), არიმათიელი (იოსებ არიმათიელი)“[69].

განსაზღვრებისა და საზღვრულის რიგი აქაც თავისუფალია: განსაზღვრება ან წინ უსწრებს საზღვრულს (იშვიათად), ან კიდევ მოსდევს მას. განსაზღვრების ადგილს მნიშვნელობა აქვს სიტყვათა ურთიერთობის გამოხატვის შემთხვევაშიც, რამდენადაც მსაზღვრელი იბრუნვის ჩვეულებრივ ისე, როგორც ცალკე აღებული არსებითი სახელი, საკუთარი სახელი კი ყველა ბრუნვას ვერ აწარმოებს. მისთვის დამახასიათებელია შემდეგი: გაუფორმებელია, წრფელობითის მსგავსად, სახელობითი, მოთხრობითი და წოდებითი, ემფატიკური ხმოვნის გარეშეა მიცემითი და ნათესაობითი და არ ეწარმოება მრავლობითი რიცხვი[70]. განსაზღვრება ბრუნვის ნიშანს ირთავს ისევე, როგორც ცალკე აღებული სახელი. საზღვრული საკუთარი სახელიც ინარჩუნებს თავის დამოუკიდებელ სახეს და გვაქვს:

სახელობითი	დედოფალ-ი	შუშანიკ
მოთხრობითი	დედოფალ-მან	შუშანიკ
მიცემითი	დედოფალ-სა	შუშანიკ-ს
ნათესაობითი	დედოფლ-ისა	შუშანიკ-ის
წოდებითი	დედოფალ-ო	შუშანიკ

მაგალითად:

სახელობითი ბრუნვა

ხოლო მათ ჟამთა იყო მეფჲ პერაკლე: კიმ. I,61,3; ჟამსავე მას იყო ანჩს ეპისკოპოსი მაკარი; ხანძთ. პგ13; ხიყუნეს მაგდანელი მარიამ და იოჰანა: ხანმ. ლ 24,10.

---

69 ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრ. ფუნქციები, გვ 575.

70 ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, გვ. 278.

მოთხრობითი ბრუნვა

იპყრა მეფობაჲ მისი ძემან მისმან არდასირ: წარტყ. იევ; მოიღო სანატრელმან მან ეპისკოპოსმან იოვანე შესაგრაგნელად სუდარი: შუშ. XIX,1; გამოჰკითხა მეფემან დიმიტრი მამასა გრიგოლს: ხანძთ. კბ; ღირსმან მღდელთ-მთავარმან ზაქარია ესმ სასწაული ჰქნა: იქვე. ჲდ$_1$.

მიცემითი ბრუნვა

ეტყოდა ეპისკოპოსსა მას აფუცას: შუშ. VIII,9; ესმა მეფესა ჰეროდეს: C მრ 6,14, შდრ. DE: ესმა ჰეროდეს მეფესა, მაგრამ: ესმა ესე ჰეროდე მეფესა: მ 2,3.

ნათესაობითი ბრუნვა

და მეცა, ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი, თანა ვჰყვანდი ეპისკოპოსსა მას: შუშ. III,3; მოიწინეს... დაბას წმიდისა მოწამისა გიორგის ეკლესიასა: ხანძთ. კზ$_{17}$; მათ დღეთა შინა მოიელინა მეფისა დეკეოზის მიერ ალექსანდრიად მთავარი ვინმე უკეთური: კიმ. I,48,20; შენცა ნაზორეველისა იესუს თანა იყავ: C მრ 14,67, შდრ. DE: შენცა იყავ იესუჲს თანა ნაზარეველისა.

წოდებითი ბრუნვა

დედოფალო თეოდოსია, რაოდენი ძალი იყო გონებასა ჩუენსა: კიმ. I.151,5; აწ გეეცდრები შენ, მამაო ჴაბრაჰამ! C ღ 16,27...

მსგავს განსაზღვრებად გვაქვს აგრეთვე ოდენობის (ზომის, წონის, საწყაოს) აღმნიშვნელი არსებითი სახელებიც.

მაგალითად:

მოიღო ხუთი იგი კუეზაჲ პური: C მრ 6,41; მარიამ მოიღო ლიტრაჲ ერთი ნელსაცხებელი: DE ი 12,3; საჭმელად მისა იყო ორი უნკიაჲ პური: კიმ. I.162,9...

§ 111. თავისებურებანი პოსტპოზიციური წყობისას. პოსტპოზიციური წყობისას, ერთი მხრივ, წინამავალი საზღვრული საერთოდ არ ირთავს ბრუნვის ნიშანს, მეორე მხრივ, მიცემითსა და ნათესაობითში (იშვიათად მოთხრობითშიც) ბრუნვის ნიშნიანია საზღვრულიცა და განსაზღვრებაც. ამის შედეგად პარალელურად იხმარება ასეთი ფორმები:

სახელობითი	შუშანიკ დედოფალ-ი
მოთხრობითი	შუშანიკ დედოფალ-მან
მიცემითი	შუშანიკ დედოფალ-სა ‖ შუშანიკ-ს დედოფალ-სა
ნათესაობითი	შუშანიკ დედოფლ-ისა ‖ შუშანიკ-ის დედოფლ-ისა
წოდებითი	შუშანიკ დედოფალ-ო

ამ შემთხვევაში ერთმანეთის გვერდით გვაქვს: შუშანიკ დედოფალ-სა — შუშანიკ-ს დედოფალ-სა, შუშანიკ დედოფლ-ისა — შუშანიკ-ის დედოფლ-ისა[71].

ეგევე ფორმები დადასტურებულია უძველეს ძეგლებშიც, მაგალითად, ბოლნისის სიონის 493—494 წ. წარწერაში ვკითხულობთ: „დავით ეპისკოპოსსა ხულოცოს“, ხოლო მცხეთის ჯვრის წარწერაში (VI—VII სს.) — „წმიდაო მიქელ მთავარანგელოზო, დემეტრეს კაპატოსსა მეოხ ხეყავ“.

ამასთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ, თუ საკუთარ სახელს მსაზღვრელად მოსდევდა რაიმე სიტყვა თანამდებობის, ხარისხის ან ხელობის გამომხატველი, თავდაპირველად იბრუნვოდა ორივე, მაგრამ შემდეგში მხოლოდ მსაზღვრელი, საკუთარი სახელი კი უცვლელი რჩებოდა[72].

არაა გამორიცხული, რომ ბრუნვის ნიშნიანი მიცემითი და ნათესაობითი მეორეული იყოს. ალბათ, ბრუნვის ნიშნიანი ფორმები ამ შემთხვევაში ზოგად სახელებთან უნიფიკაციის ტენდენციით გაჩნდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ დამკვიდრდა. ამიტომ გვაქვს ძველ ქართულში, ერთი მხრივ, გურგენ კურაპალატსა, დავით ეპისკოპოსსა... პეროზ მეფისა და ა. შ., მეორე მხრივ, იაკობს მართალსა, იოვანეს ბრძენსა... პილატჱს კელმწიფისა...

მაგალითები:

სახელობითი ბრუნვა

მოვიდა ეფრემ ეპისკოპოსი: ხანძთ. მბ$_{40}$; აშოტ კურაპალატი მოიკლა: იქვე, იგჳ; მოვიდა მარიამ მაგდანელი: ხანმ. ი 20.18; გრიგოლ მეფე ცხონდის: კიმ. I.69.33.

მოთხრობითი ბრუნვა

აშოტ კურაპალატმან დაიპყრნა მრავალნი ჭუეყანანი: ხანძთ. ნეყ; ეთილად თქუა ესაია წინაწარმეტყუელმან: DE მრ 7,6; დავით მეფემან შჳა სოლომონი: C მ 1.6; დაწერა იოსებ არიმათიელმან პამბაკი ესე: არიმათ. 26,16; ეტკფანე პატრიკმან თქუა: კიმ. I,70.23. შდრ. არამცა საჭურველისა შთაცუმაჲ უბრძანა პაველმან ნეტარმან: სინ. მრაე. 261,5.

---

[71] ა. შანიძე. ძველი ქართული ენა. გვ. 279; სტ. ჩხენკელი, საკეთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1942, XXV, გვ. 180; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში. გვ. 578—580.

[72] ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, გვ. 279; შდრ. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 576

მიცემითი ბრუნვა

ა)საზღვრულს არ ერთვის ბრუნვის ნიშანი

ანდერძ ეყო გურგენ კურაპალატსა: ხანძთ. კწ$_{18}$; მოეძღუანა ს:-ბოელ ეპისკოპოსსა: შუშ. VII,21; ადარნერსე კელმწიფესა.. ესხნეს ძენი: ხანძთ. ნვ$_{48}$; უბრძანა ნეტარსა პეტრე პატრიკსა: კიმ. I,69.12

ბ) ბრუნვის ნიშანი ერთვის საზღვრულსაც და განსაზღვრებასაც

შეეშთხუენით ანასტასის ხუცესსა: ლიმონ. 25,2; ელიას წი-ნაწარმეტყუელსა შეეშინა დედაკაცისაგან: სინ. მრავ. 213,28; წარეძღუანა იგი არიოსს კეისარსა: Sin 52,13b; რომელი პრწამს იოვანეს ბრძენსა: პალ. ალბ. 73,7; ვეველრე სამოელს არქედიაკონსა: ისტ. კრ. 166,12; მიეც ტროფიმეს დედოფალსა ნებად გულისა მისისაჲ: თეკლ. 111,32, შდრ. ხევსურული: საღირას თათარიშვილსა ალ უბავ თოფის პირსაო. ჰინჯ. ხევს. 378,17.

ნათესაობითი ბრუნვა

ა) საზღვრულს არ ერთვის ბრუნვის ნიშანი

მოვიღე სამოელ კათალიკოზისა კელითა: ისტ. კრ. 173,35: შეწეუ-ხითა წმიდისა სამებისაჲთა ოც წლისა პეროზ მეფისა ზე ხიქმნა დაწყებად ამის ეკლესიისაჲ: ბოლნ. წარწ.; რაჟამს იხილეთ საძაგელი იგი მოოკრებისაჲ, თქუმული დანიელ წინაწარმეტყუელისა მიერ: DE მ 24,15, შდრ. C. რომელ თქუმულ არს დანიელ წინაჲსწარმეტყუელისაგან.

ბ) ბრუნვის ნიშანი ერთვის საზღვრულსაც და განსაზღვრებასაც

მასმიეს მე. პაულს მოციქულისაგან: შუშ. 111,28: მიეცედ პა-ლატს კელმწიფისა თანა: არიმათ. 27,12; არა აღდგომილ არს შობა-ლი დედათაგანი უფროჲს იოანესა ნათლის-მცემელისა: C მ 11,11, შდრ. DE: უფროჲს იოვანე ნათლის-მცემელისა...

§ 112. არსებითი სახელი გეოგრაფიულ სახელებთან. ადამიანის საკუთარ სახელს მოგვაგონებენ გეოგრაფიული სახელებიც.

მაგ.:

სიხარულითა აღიცსო მცხეთაჲ ქალაქი: ისტ. კრ. 278,38; მიეცედ ღუდია ქალაქსა: არიმათ. 41,7, მაგრამ: წარუძღუანო ეგე ტფილის ქალაქსა არვინდ გუშნასპს: ისტ. კრ. 162.4; წარვიდა სიხარულით ანტიო-ქიად ქალაქად. არიმათ. 58,19.

როცა განსაზღვრება წინ უსწრებს, აქაც ბრუნვის ნიშანი ერთ-ვის განსაზღვრებასაც და საზღვრულსაც:

პირველი საკუმილავი არს ესე გამოყუანებაჲ მათი კუეყანით ეგჳპ-ტით: გამ. 12,42; გარდამოვიდეს ჩუენ თანა ქალაქად ღუდიად: არიმათ. 60.4; მივიწიენით ქალაქად მცხეთად: ისტ. კრ. 271,15.

რიცხვითი სახელი განსაზღვრებად

§ 113. რაოდენობითი რიცხვითი სახელი განსაზღვრებად. განსაზღვრებად გამოყენებული რიცხვითი სახელი ჰგავს ზედსართავ

სახელს და, როგორც ატრიბუტული განსაზღვრება, ეთანხმება საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში, ამისათვის კი ირთავს ბრუნვისა და ნარ-თანიან მრავლობითში რიცხვის ნიშანსაც.

ზედსართავი სახელისაგან განსხვავებით რიგ შემთხვევაში რაოდენობითი რიცხვითი სახელი ინარჩუნებს უძველეს სახეს, როდესაც ფუძეს არ ერთვოდა ბრუნვისა და რიცხვის ნიშანი. ასეთი პარალელური ფორმები გვხვდება მიცემითში, ვითარებითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში.

განსაზღვრებისა და საზღვრულის ადგილი აქაც არ არის მტკიცე, მაგრამ მაინც უპირატესად პრეპოზიციული წყობა გვაქვს.

ბრუნვათა მისედვით ასეთი სურათი წარმოგვიდგება:

პრეპოზიციული წყობა

მხოლობითი რიცხვი

წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა

ო რ კაც ზედა მოხადგეს მათ სამოსლითა ელვარჱთა: ხანმ. ლექც. ლ 24.4: ლაბანს ესხნეს ო რ ა ს უ ლ: დაბ. 29,16; ს ა მ კ ა ც დგეს ზედა მისა: იქვე, 18,2; ხოლო არს რიცხვ მათი ვითარ ს ა მ ა ს კ ა ც: კიმ. I,35,28; იყო მის თანა ერისაგან მისისა ვითარ ს ა მ ა ს ო დ ე ნ მ ა მ ა კ ა ც: აბო, 64,34...

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა

აღიღეს ნეშტი ნამუსრევი შ ვ დ ი გ ო დ ო რ ი: DE მრ 8,8; ვპოვეთ ო ც დ ა თ რ ვ ა მ ე ტ ი კ ა ც ი მოკლული: კიმ. I,30,3; პოვეს მკუდრთაგან იაბის გალაადისათა ო თ ხ ა ს ი კ ა ლ წ უ ლ ი კ ა ლ ი: მსაჯ. 21,12; მისცა კურაპალატმან თ ო რ მ ე ტ ი ა თ ა ს ი მკედარი რჩეული თორნიკს: ცხორ. 21,4.

მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა

ჰრქუა მას ე რ თ მ ა ნ მ ო წ ა ფ ე მ ა ნ მისმან: DE მრ 13,1...

მ ი ც ე მ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა

ა) განსაზღვრებასაც ერთვის ბრუნვის ნიშანი

ნუ ო რ ს ა ს ი ტ ყ უ ა ს ა იტყჳ: ისტ. ჭრ. 167,11; უხუებად კეთილთა მისთად არა დაგაკლდეს ო რ ს ა ვ ე ს ო ფ ე ლ ს ა: ხანძთ. ოთ$_{5}$.

ბ) განსაზღვრებას არ ერთვის ბრუნვის ნიშანი

მოვიდა ს ა მ ჟ ა მ ს ო დ ე ნ: C მ 20,3; მწუხრი პარასკევსა ც ხ რ ა ჟ ა მ ი: იერუს. გან. 6672.

ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა

ა) ბრუნვის ნიშანი ერთვის საზღვრულსაც და განსაზღვრებასაც

აწ ესერა ვიჰმენ ო რ ა დ ბ ა ნ ა კ ა დ. დაბ. 32,10; სხუანი ყოველნი სწორად განყუნა ს ა მ ა დ გ ე ნ დ ე: ხანძთ. ლ$_{44}$; მოიღეს სამოსელი მისი და განიყვეს

---

72 ბრუნვის ნიშანდაურთველი მაგალითები მრავლად აქვს დამოწმებული ი. იმნაიშვილს (სახ. ბრ... 558—560), რიგ შემთხვევაში ჩვენ მიერ წარმოდგენილი მაგალითები ემთხვევა მისას.

ოთხად ნაწილად: DE ი 19,23; აღსრულების ცხრად თოუედ ოცდა-მეხუთმე დღე თთჳსა დეკენბერისაჲ: კიმ. II,69,19.

ბ) განსაზღვრებას არ ერთვის ბრუნვის ნიშანი

იყო იერუსალჷმს ცხოვართ საბანელსა მას, რომელსა ერჭუმის ჰებრაელებრ ბეთესდა, ხუთ ეზოდ იყო: C ი 5,2, შდრ. DE: ხუთ სტოა იყო; სიტეცანი ღმრთისანი უბიწო არიან ვითარცა ვეცხლი გამოჯურვებული, გამოცდილი მის წილ შჯდ წილად: მამ. სწ. 22,2; ბნელ იქმნა ყოველსა ქუეყანასა ვიდრე ცხრა ჟამადმდე: C ლ 23,44.

ნათესაობითი ბრუნვა

ა) ბრუნვის ნიშანი ერთვის საზღვრულსაც და განსაზღვრებასაც

ორისა კაცისა წამებაჲ ჰეშმარიტ არს: DE ი 8,17, შდრ. C: ორთა კაცთა წამებაჲ ჰეშმარიტ არს; შემდგომად რვისა დღისა კულად ხიყუნეს მოწაფენი ერთსა ადგილსა: ხანმ. ი 20,26; ჯერ-იყო განსყიდად ნელსაცხებელი ესე სამასის დრაჰკნის: C მრ 14,5.

ბ) განსაზღვრებას არ ერთვის ბრუნვის ნიშანი

ათხუთმეტ წლისა შემდგომად განხუშორა: ბოლნ. წარწერა 493—494 წლისა; მიჰყიდეს იოსებ ისმაიტელთა მათ ოც დრაჰკნის: დაბ. 37,28: მოსე იყო ოთხმეოც წლის: გამ. 7,7.

მოქმედებითი ბრუნვა

ა) ბრუნვის ნიშანი ერთვის საზღვრულსაც და განსაზღვრებასაც

ხოლო ყრმანი იგი ერთითა ჴმითა იტყოდეს: კიმ. I.47,12; ხოლო იესუ წინა ექუსით დღით ზატიკისა მის მოვიდა ბეთანიად: C ი 12,1; რომელი ეშოვრა დაბასა მისსა სამით მილიონით: კიმ. II,141,23; უმჯობეს არს შენდა მკელობლისა შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორითა ფერჴითა შესლვად გეჰენიასა: DE მრ 9,45.

ბ) განსაზღვრებას არ ერთვის ბრუნვის ნიშანი

რომლისა თანა იყო სული უძლურებისაჲ ათორმეტ წლითგან: C ლ 13,11; ექუს ჟამითგან დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა: DE მ 27,45.

ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას იქცევს უბრუნვისნიშნო მიცემითი, ვითარებითი, ნათესაობითი და მოქმედებითი.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოკვეცა გამოწვეულია მსაზღვრელის ფორმის მოდუნებით[73]. იქვე დადასტურებულია შემთხვევები, როცა რიცხვით სახელს არ ახლავს მრავლობითის -ნ სუფიქსი, მაგ., „უკუეთუ აკლდენ ერგასისთა ხუთ მართალნი..: დაბ. 18,28.

თუ ქართული ენის ისტორიას გავითვალისწინებთ, ამ შემთხვევაში ბრუნვათა და რიცხვის ნიშანთა მოკვეცასთან არ უნდა გვქონ-

[73] ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრ. ფუნქციები... გვ. 587.

დეს საქმე. ბრუნვისა და რიცხვის ნიშნიან ფორმებს წინ უსწრებდა უნიშნო ფორმები. ბრუნვის ნიშანი პირველად მთავარ სიტყვას კაუჩნდებოდა, ხოლო მასზე დამოკიდებული ატრიბუტული განსაზღვრება დიდხანს იქნებოდა უნიშნოდ. სწორედ ამ შემთხვევის ისტორიული სახეა შემორჩენილი ფუძის სახით წარმოდგენილ განსაზღვრებაში. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ უნიშნო ფორმების გვერდით არა გვაქვს ნაწილობრივად მოკვეცილი ფორმები. მოულოდნელი არაა, რომ განსაზღვრებად გამოყენებულ რიცხვით სახელს ბრუნვისა და რიცხვის ნიშანი შედარებით გვიან დართვოდა.

მრავლობითი რიცხვი

რაოდენობითი რიცხვითი სახელით გადმოცემული განსაზღვრება ჩვეულებრივ ეთანხმება საზღვრულს რიცხვშიც და მასთან ერთად ირთავს სათანადო ნიშანს.

მაგალითები:

სახელობითი ბრუნვა

მოსდევდეს მას ორნი ბრძანი: მ 9,27; სამნი ესე ღანკლანი სამნი დღენი არიან: დაბ. 40,18; ექუსნი რტონი გამოვიდოდიან ერთ კერძო: გამ. 25.31; შვიდნი ძროხანი იყუნეს ჩუენ შორის: DE მრ 12,20[74].

მოთხრობითი ბრუნვა

და შეკამნეს შვიდთა მათ ზროხათა... შვიდნი იგი ზროხანი: დაბ. 41,20.

მიცემითი ბრუნვა

მოუწოდა იოვანე ორთა მოწაფეთა თჳსთა: ღ 7,19; ხოლო აწ ქრისტე აღაშფოთებს ორთა მათ მონასტერთა: ხანძთ. ღვვ; ამათ ხოლო სამთა დღეთა შინა განაგდეს მათგან ბოროტის ჩუეულებაჲ იგი მათი: მამ. სწ. 12,30.

ნათესაობითი ბრუნვა

ესე მოვიდა ექუსთა მოწაფეთა მისთა თანა მთასა ამას წმიდასა ღოცად: ცხორ. 51,1; ხოლო ათორმეტთა მათ მოციქულთა სახელები ესე არს: DE მ 10,2...

პოსტპოზიციური წყობა

პოსტპოზიციური წყობით განსაზღვრებად გამოყენებული რაოდენობითი რიცხვითი სახელი იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება.

---

74 მაგრამ: რომელთა აქუნდა შვიდი იგი ლანკნები: გამოცხ. 17,1.

სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობა იმგვარიეა, როგორიც პრეპოზიციის შემთხვევაში გვაქვს.

მაგალითები:

წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა

ვინ-მე თქუენგანი ზრუნეიდეს და შემძლებელ არს იგი შეძინებად პასაჴსა ჴუსსა წ ყ რ თ ა ერთ? DE მ 6,27: გკითხო მეცა თქუენ ს ი ტ ყ უ ა ერთ: C მ 21.24: უკდებინ ნათა ვითარ უტ ე ე ან ო რ მ ე ო ც: ისტ. ქრ. 280.26.

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა

თ უ ა ლ ი ერთი დაუბეშტა: შუშ. VI,16: დაყუეს საპყრობილესა მას შინა ასკალონისასა დ ღ ჱ ს ა მ ი: კიმ. II,57,22; მიუძღუანა ესაუს, ძმასა თჳსსა: თ ხ ა ჲ ო რ ა ს ი, ვ ა ც ი ო ც: დაბ. 32,14.

მ ი ც ე მ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა

წარემართა იერუსალჱმდე თ თ ე ს ა სეპტემბერისასა ი ნ დ ი კ ტ ი ო ნ ს ა ც ხ რ ა ს ა: კიმ. II,204,37; იყო გარდაცვალებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი... ქ რ ო ნ ი კ ო ნ ს ა ო თ ხ ჱ ო ც დ ა ე რ თ ს ა: ხანძთ. პგე.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა

ხოლო მათ თ ი ი თ ა ც ა ერთითა შეძრვად არა ჰნებაუნ იგი: DE. 3 23,4.

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

აღესრულნეს დღენი რ ე ა ნი წინადაცუეთისა მისისანი: DE ლ 2,21: კრისტეფორჱს განზრახვითა გამოირჩინა მათ შორის ძ მ ა ნ ი ა თ ს ა მ ე ტ ნ ი: ხანძთ. ლ43: მოწყჳდნა კერპთმსახურნი იგი კ ა ც ნ ი ხ უ თ ა ს ა ნ ი: ქრისტ. 188,29; რომელი აჩუენებდა მას ა დ გ ი ლ თ ა ო რ თ ა: მარტ. გულ. 211,21, შდრ. შეჰმნა იგი ს ი რ ე ბ ა დ თ ო რ მ ე ტ ა დ: თომას სახ. 36,6.

§ 114. რიგობითი რიცხვითი სახელი განსაზღვრებად. რიგობითი რიცხვითი სახელი შეთანხმებულია საზღვრულთან. განსაზღვრება უპირატესად აქაც პრეპოზიციულია, მაგრამ გვაქვს პოსტპოზიციური წყობაც.

მაგალითები:

პ რ ე პ ო ზ ი ც ი უ ლ ი წ ყ ო ბ ა

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა

პ ი რ ე ლ ი საკუმილავი არს ესე გამოუვანებაჲ მათი: გამ. 12,42; მ ე ო რ ჱ სასწაული ქმნა იესუ: DE ი 4.54: მას დღესა შინა იყოს ი ს რ აჱლისა მ ე ს ა მ ჱ ნ ა წ ი ლ ი ალაჟეთს შინა: მრავალთ. 286,15; მ ე ო თ ხ ე ნ ა თ ე ს ა ვ ი მოიქცეს აქა: დაბ. 15,16; იქმნა მ ე ხ უ თ ე კ რ ე ბ ა ჲ კოსტანტინეპოლეს: კიმ. I,61,30; აღესრულების ცხრად ოთუედ ო ც დ ა მ ე ხ უ თ ჱ დ ღ ჱ თჳსა დეკენბერისაჲ: მრავალთ. 304,17.

მოთხრობითი ბრუნვა

ამან წმიდამან მეექუსემან კრებამან დიდნი ქველის-საქმენი აღასრულა: კიმ. I,102,26; აღგვდგინა ახალი ოქროპირი..., ვითარცა მეათცამეტემან მოციქულმან: ლიტ. ქრესტ. 194,26.

მიცემითი ბრუნვა

მეოთხესა საკუმილავსა ღამისასა მოვიდა მათა იესუ: DE მრ 6,48; გუშინ მეშვიდესა ჟამსა დაუტევა იგი სიცხემან: ი 4,52; მერვესა წელსა იყო სიეღტოლად ჩუენი საბერძნეთით: ისტ. ქრ. 270,16; მეათოთხმეტესა წელსა მოვიდა ქოდოლაგომორ: დაბ. 14.5.

ვითარებითი ბრუნვა

დაადგრა მუნ ვიდრე მეშვიდედ დღემდე: ბალ. 156,9; ხოლო ექუს ჟამითგან დაბნელდა... ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე: DE მ 27,45; ათხუთმეტით დღითგან ვიდრე ოცდამეორედ დღედმდე ზადიკობედ თთუესა სეკდენბერსა: კიმ. II,71,11.

ნათესაობითი ბრუნვა

შემდგომად მეშვიდისა დღისა... აღსრულა მშჳდობის სიკუდილითა: კიმ. II,173,24; ვიპოვე მე მეათერთმეტისა ჟამისა თანა: კიმ. I,30,24.

პოსტპოზიციური წყობა

სახელობითი ბრუნვა

უშვა იაკობს ძჱ მეორჱ: დაბ. 30,12; იყო ჟამი იგი მესამჱ დღიად მის დიდისა დღესასწაულისაჲ: აბო, 72.17: იქმნა კრებაჲ იგი მეექუსჱ: კიმ. I, 96,17.

მიცემითი ბრუნვა

გიშვეს შენ სარა ამასვე ჟამსა წელიწადსა მეორესა: დაბ. 17,21: თთუესა მეოთხესა წარვედ მთათა ზედა ჯაბახეთისათა: ისტ. ქრ. 270,36: შაბათობდა ერი იგი დღესა მას მეშვიდესა, გამ. 16,30.

§ 115. განუსაზღვრელი „რიცხვითი სახელი" განსაზღვრებად. განუსაზღვრელ (გაურკვეველ) რიცხვით სახელებად მიჩნეულია ზოგი ზედსართავიც (მრავალი, მცირე, ბევრი...). მათ შინაარსის მიხედვით შეუძლიათ გამოხატონ საგანთა რაოდენობა განუსაზღვრელი მნიშვნელობით, მაგრამ ამავე დროს შესწევთ უნარი აწარმოონ ხარისხის ფორმები ისევე, როგორც საერთოდ ვითარებით ზედსართავს ახასიათებს (მრავალი—უმრავლჱსი, მცირე—უმცირჱსი). ფორმა ზედსართავისა, მნიშვნელობა კი რიცხვითი სახელისა, აი, რა ახასიათებთ ამ ტიპის სახელებს.

განსაზღვრებად გამოყენების შემთხვევაშიც მრავალი, მცირე, ბევრი ინარჩუნებს პირდაპირს მნიშვნელობას: განსაზღვრაეს სახელს, როგორც ატრიბუტული მსაზღვრელი.

პრეპოზიციული წყობა

მხოლოობითი რიცხვი

წრფელობითი ბრუნვა

მის გამო ვიყავ მე ტკივილსა შინა მრავალ დღე: ანტ. რავ. 87,36; იყვნეს იგინი საპყრობილესა მას შინა მრავალ დღე: დაბ. 40.4; დაღაცათუ ვეჴხნენ ბევრ მზარდულ, არამედ არა მრავალ მამა: ხანძთ. ობ70.

სახელობითი ბრუნვა

მრავალი ერი შეუდგა მას: მრ 3,7; მრავალი ნაყოფი გამოიღო: ი 12,24.

მიცემითი ბრუნვა

მრავალსა ბოროტსა შევამთხუეედი მის ეკლესიისა მყოფთა: ანტ. რავ. 81,18; მრავალსა დასაჯერებელსა სიტყუასა ეტყოდეს: შუშ. V,5.

ნათესაობითი ბრუნვა

ჰგმობდეს მას მრავლისა მისთჳს სიტყჳსა: DE ღ 11,53.

მოქმედებითი ბრუნვა

მრავლითა ვედრებითა ვარქუ მცველსა მას: შუშ. X,7; განუტევა ნერსე მრავლითა ნივითა: აბო, 65,19; ეგუემნე ჯორცნი თჳუენნი მრავლითა სატანჯველითა: კიმ. II,22,11.

მრავლობითი რიცხვი

მრავალნი შიშუელნი დააწვინნეს თჳნიერ სამოსლისა: იობ. 24,7; მრავალნი საურავნი განუახლებიედ დღითი-დღედ მისთჳს: მამ. სწ. 116,16; კაცი ესე მრავალთა სასწაულთა იქმს? DE ი 11,47; მრავალთა ბრმათა მიპმადლა ხედუად: DE ღ 7,21; უხილავად საჭერელ ყო... უმრაელსს ბევრთა მკედართა: ხანძთ. კზ53; შემდგომად მცირეთა დღეთა მოგჳკდა მონაზონი: კიმ. I,31,17.

პოსტპოზიციური წყობა

მხოლოობითი რიცხვი

მისდევდა მას ერი მრავალი: მ 4,25; ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი: DE ი 15,5; აგრძნა ერმან მრავალმან...: C ი 12,9; სახელითა შუნითა ძალსა მრავალსა ეიქმოდეთ? C მ 7,22.

იყუნეს მუნ დედანი მრავალნი: C მ 27,55; იგი ფიცარი წარიკითხეს ჯუარიათა მრავალთა: C ი 19,20; სახელითა შენითა ძალთა მრავალთა ვიქმოდეთ? DE მ 7,22. შდრ. ჯარემომადგეს მე ძაღლებ მრავალ: კომ. I,122,24; მოეც ამას სახელი კეთილად სახელოვანი შორის თესლებსა მრავალსა: ხანძთ. კე13.

ნაცვალსახელი განსაზღვრებად

§ 116. ნაცვალსახელი ატრიბუტულ განსაზღვრებად. ატრიბუტულ განსაზღვრებად მეტ-ნაკლებად შეიძლება შეგვხვდეს ზოგი ნაცვალსახელიც. უპირატესობას ამ მხრივ ამჟღავნებს კუთვნილებითი ნაცვალსახელი თავისი მრავალსახეობით. ამის შემდეგ მოდის განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, ჩვენებითი და იშვიათად კი კითხვითი, კითხვით-კუთვნილებითი და უარყოფითი ნაცვალსახელები.

§ 117. კუთვნილებითი ნაცვალსახელი განსაზღვრებად. განსაზღვრებად გამოყენებისას კუთვნილებითი ნაცვალსახელი ისეთსავე დამოკიდებულებაშია საზღვრულთან, როგორც ზედსართავი სახელი. გვხვდება პრეპოზიციულადაც და პოსტპოზიციურადაც.

მაგალითად:

სახელობითი ბრუნვა

პრეპოზიციული წყობა

ჩემი სამკაული მას არა დაუტეო: შუშ. VII,34; შენი ადგილი დაგიტევებიეს: იქვე, IV,13; ეკიდა მას თჳსი იგი ჯუარი: C ი 19,17; ჩუენ გუესმა მაგისი სიტყუაჲ: DE მრ 14,58; თითოეულად ჩუენი სამარხვოჲ ჩას: ისტ. ქრ. 298,1.

პოსტპოზიციური წყობა

მე მიგეც მკეცალი ჩემი წიაღთა შენთა: დაბ. 16,5; აჰა მკეცალი შენი ქელთა შენთა შინა არს: იქვე, 16,6; მიერითგან განითქუა ყოველსა ქართლსა საქმჱ მისი: შუშ. XI,1; განქარდების სუფევაჲ მისი: საბა ას. 4,9; შეკუედრა სული თჳსი უფალსა: შუშ. XVIII,11; იოვანე. არს სახელი მაგისი: C ლ 1,63; უყუარს ნათესავი ჩუენი: ლ 7,5; ჰსდეგით ბადჱ თქუენი ნადირობად: DE ლ 5,4; უბრძანა მთავარმან წარყვანებაჲ მათი საპყრობილედ: კომ. I,52,30.

მოთხრობითი ბრუნვა

პრეპოზიციული წყობა

უფალო, შენმან მან ვეცხლმან ათი სხუაჲ შესძინა სასწორი: ლ 19,16; ამისმან დედამან... ჰრქუა თჳსსა მას ძესა: მრავალთ. 278,28.

პოსტპოზიციური წყობა

განიხარა გულმან ჩემმან: მოც. 2,26; დაიმკუდროს ნათესავმან შენმან ქალაქები: დაბ. 22,17; ჰრქუა მას ერთმან მოწაფემან მისმან: DE მრ 13,1; იხილა იგი მამამან თჳსმან: DE ღ 15,20; მაშინ აუწყა უფალმან ჩუენმან: მამ. სწ. 8,22: ხოვა წყალობაჲ მონამან თჳენმან წინაშე თქუენსა: დაბ. 19,19.

მიცემითი ბრუნვა

პრეპოზიციული წყობა

არა დაჰდა იგი თჳსსა მას გალიასა: შუშ. V,30; უფალმან გამოუცხადა თჳსსა მას მოწამესა: აბო, 71,1; არავინ მისსა მახესა განერა: მრავალთ. 257,28.

პოსტპოზიციური წყობა

არქუ ძმასა ჩემსა: ღ 12,13; შემოვედ სახლსა შენსა: ღ 7,44: შეახო კელი ყურსა მისსა: ღ 22,51; გარბანელმან უბრძანა ძესა თჳსსა: ზარზმ. 163,5; მიეცით ბეჭედი კელსა მაგისსა: C ღ 15,22: რაამე სიტყუაჲ მიგიგოთ უფალსა ჩუენსა: დაბ. 44,16...

ვითარებითი ბრუნვა

კუთვნილებითი ნაცვალსახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა გამოყენებულია პირის ნაცვალსახელისათვისაც[75], ამიტომ მათ შორის გარეგნული მსგავსებაცაა: ჩემდა, შენდა—ჩუენდა, თქუენდა სათანადო კონტექსტის მიხედვით შეიძლება იყოს პირის ნაცვალსახელიც და კუთვნილებითიც. გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ პირის ნაცვალსახელთა ვითარებითის ფორმები

---

75 ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, I, 1930, გვ. 39; მისივე: ქართული გრამატიკის საფუძვლები, I. 1953. გვ. 100; ვ. თოფურია, ქართული ენა. განაკვეთი III—IV, 1933, გვ. 19; არნ. ჩიქობავა. ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. I, 1950, გვ. 044; მისივე: ჰანურის გრამატიკული ანალიზი. 1936, გვ. 76: ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრ. ფუნქციები... გვ. 565.

უფრო ადრე ა. დირს ჩემად(ა) ფორმა მიაჩნდა პირის ნაცვალსახელადაც და კუთვნილებით ნაცვალსახელადაც, მაგრამ მას პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები საერთოდ ერთმანეთში ერევა ბრუნებისას: A. Dirr, Grammatik der mobernen georgischen (grusinischen) Sprache, 1904, გვ. 50—52.

(ჩემდა, შენდა, ჩუენდა, თქუენდა...) უფრო ძველია და ყოველთვის არ დაიყვანება კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმამდე. აღნიშნულია, რომ ვითარებითი ბრუნვა მსაზღვრელად გამოყენებულ კუთვნილებით ნაცვალსახელებს ჩვეულებრივ არა აქვთ[76].

ძველ ქართულში შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ჩ ე მ დ ა, შ ე ნ დ ა... ფორმები განსაზღვრებად, როგორც კუთვნილებითი ნაცვალსახელი[77].

პრეპოზიციული წყობა

აღუთქუთ შ ე ნ დ ა მ ო წ ა ფ ე დ შვილი მისი: ხანძთ. კგ22.

პოსტპოზიციური წყობა

მივიქცე ს ა ხ ი დ ჩ ე მ დ ა: მ 12,44; მუნ წარხუდე ქ უ ე ყ ა ნ ა დ ჩ ე მ დ ა: დაბ. 24,4; წარვედ ს ა ხ ი დ შ ე ნ დ ა თჳსთა შენთა თანა: მრ 5,19; კაცი ვი კსენებული მივიდოდა ს ა ხ ი დ თ ჳ ს ა დ: ზარზმ. 162,6; წარვიდეს ს ა ხ ი დ თ ჳ ს ა: კიმ. I,33,7.

აქ ჩ ე მ დ ა, შ ე ნ დ ა, თ ჳ ს ა დ || თ ჳ ს ა ვითარებით ბრუნვაში დასმული კუთვნილებითი ნაცვალსახელებია.

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა

პირისაგან სარაჲსა, დ ე დ ო ფ ლ ი ს ა ჩ ე მ ი ს ა, ვიელტი; დაბ. 16,8; ათეულსა შეესწირავ ყოველისაგან მ ო ნ ა გ ე ბ ი ს ა ჩ ე მ ი ს ა: DE ლ 18,12; მაშინ იხილო აღმოღებად წუელი თუალისაგან ძ მ ი ს ა შ ე ნ ი ს ა: DE მ 7,5; ძმ სამე კაცისაჲ მსგავსად გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ი ს ა მ ი ს ი ს ა წარვალს: ლ 22,22; მსგავსად შ ჯ უ ლ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა თანა-აც მაგას სიკუდილი: C ი 19,7; ისხენით თ ა ვ ი ს ა თ ქ უ ე ნ ი ს ა მეგობარნი: DE ლ 16.9, შდრ. C: იყუენით თ ა ვ ე ბ ი ს ა თ ქ უ ე ნ ი ს ა მეგობრებ.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა

პრეპოზიციული წყობა

თ ჳ ს ი თ ა ფ ე რ კ ი თ ა მიიწია ბერთას: ხანძთ. ლმ33; თ ჳ ს ი თ ა კ ე ლ ი თ ა აღსუეს საკედარსა: კიმ. I,86,35.

პოსტპოზიციური წყობა

მრავალნი მოვიდოდიან ს ა ხ ე ლ ი თ ა ჩ ე მ ი თ ა: DE მ 24,5; შეიყუარო უფალი... შენი ყოველითა გ უ ლ ი თ ა შ ე ნ ი თ ა: მ 22,37, მ კ ლ ა ვ ი თ ა მ ი ს ი თ ა ბჳნი ქალაქისანი აღიფხურებოდეს: ბოლნ. 85,11; ნეტარმან გრიგოლ ძლიერად სცა კ ე ლ ი თ ა თ ჳ ს ი თ ა ადგილსა მას: ხანძთ. $да_{12}$; არა მიუტევნეთ.. მოყუასსა თჳსსა ყოველითა გ უ ლ ი თ ა თ ქ უ ე ნ ი თ ა: DE მ 18,35; ერი ესე ბაგითა მ ა თ ი თ ა პატივ-მცემს მე: DE მ 15,8.

---

76 ი. იმნაიშვილი, იქვე, გვ. 566—567.

77 ერთეული შემთხვევებია პრეპოზიციული წყობისა, უფრო ხშირია პოსტპოზიციური წყობა.

მ ა მ ა ო ჩ ე მ ო, ყოველივე შესაძლებელ არს შენ მიერ: DE მრ 14,36; მ ა მ ა ო ჩ უ ე ნ ო,... წმიდა იყავნ სახელი შენი: მ 6,9, შდრ. რად იტყჳ, უ ფ ლ ი ჩ უ ე ნ ი, სიტყუასა მაგას? დაბ. 44,7; მიუგო იესუ და ჰრქუა: მითხარ-ლა მე, მ ო წ ა ფ ე ო მ ი ს ო, რომელსა ერჩუა იესუ: ვერს. 25,24.

§ 118. ჩვენებითი ნაცვალსახელი განსაზღვრებად. ჩვენებითი ნაცვალსახელებიდან ძველ ქართულში გვხვდება ე ს ე, ე გ ე, ი გ ი: ე ს ე ვ ი თ ა რ ი, ე ს ო დ ე ნ ი და სხვა. პირველი სამი ამავე დროს პირის ნაცვალსახელია.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მათში გამოიყოფა ძირეული მასალა -გ- და -ს- და ხმოვნითი ელემენტები: *ა-ა, ე-ე და ი-ი[78].

იგი ნაცვალსახელი სახელობითშია ისევე, როგორც *აგა, *ასა, **ეგე, ესე** და **ისი** ნაცვალსახელები, მაგრამ მას არ გააჩნია ბრუნვის ნიშანი. ბოლოკიდური -ი (ი-გ-ი) ისევე ვერ მიიჩნევა სახელობითი ბრუნვის ნიშნად, როგორც **ეგე**-ს **-ე** არ შეიძლება იყოს ბრუნვის ფორმანტი.

ეგე, ესე, იგი, ისი მთლიანად ფუძეა. ეს ნაცვალსახელები იმითაც იქცევენ ყურადღებას, რომ გვხვდება მხოლოდ სახელობით ბრუნვაში, დანარჩენ ბრუნვებში ენაცვლებიან **ამა, მაგა** და **მა** ფუძეები. ძველ ქართულშივე მიიღეს მათ პირის ნაცვალსახელების გაგებაც, ამიტომაა, რომ, მაგალითად, **იგი** ნაცვალსახელი თანაბრად შეესაბამება რუსულ тот, та, то-ს (ჩვენებით ნაცვალსახელებს) და он, она оно-ს (პირის ნაცვალსახელებს).

ე გ ე ვ ი თ ა რ ი, ე ს ე ვ ი თ ა რ ი, ე ს ო დ ე ნ ი... ნაცვალსახელების შემადგენლობიდან გამოიყოფა **ეგე** და **ესე** ჩვენებითი ნაცვალსახელები. ადგილის მიხედვით ყველა ეს ნაცვალსახელი უპირატესად პრეპოზიციულია.

---

78 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 101—102; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, X, გვ. 171; მისივე: ჭანურის გრამატიკული ანალიზი. გვ. 71; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, II, № 1—2, 1941. გვ. 194; დ- თაესართიანი ზმნები ძველ ქართულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXV, 1943, გვ. 150; ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები... გვ. 492—497 და სხვა.

მაგალითები:

სახელობითი ბრუნვა

ესე იგავი პრქუა მათ იესუ: C и 10,6; ესე უძღურებაჲ არა არს სასიკუდინოჲ: DE и 11,4; იგი ფიცარი წარიკითხეს პურიათა მრავალთა: C и 19,20; ესე ვითარი სიტყუაჲ მრავალი ბრძანა ნეტარმან გრიგოლ: ხანძთ. ლეკ; არა აქუნდა ეგე ვითარი ჩუეულებაჲ: იქვე. ნეკ: რაჲ ეგოდენი სიტკბოებაჲ გაქუს: აბო 73,21: ვინაჲ არს ჩუენდა უდაბნოსა ესოდენი პური: C მ 15,33, შდრ. DE: ვინაჲ ჩუენდა უდაბნოსა ზედა პური ესოდენი...?

მოთხრობითი ბრუნვა

ესე ვითარმან მმარხველმან... ყოველი ქმნა: ლიტ. ქრ. 315.18.

მიცემითი ბრუნვა

ამას იგავსა ეტყოდა მათ იესუ: DE и 10,6: ესეთსა მას ცხოვრებსა შინა ექუს წელ პყრობილ იყო: შუშ. XIV,26; არასადა ეგრე ვის უთქუამს კაცსა, ვითარ მას კაცსა: C и 7,46; დაუკრძალა ესე ვითარსა ამას ადგილსა: ზარზმ. 155.3; გეფუცები მაგასვე ფიცსა: კიმ. I,55.32.

ნათესაობითი ბრუნვა

სამართალი არსა ესე ვითარისა კაცისა შენდობად საბრძანებელსა შენსა: კიმ. I,70.34: რომელ არს ესოდენისა სულისა განსწავლაჲ: ლიტ. ქრ. 208.1.

მოქმედებითი ბრუნვა

მით სახითა იყოს განჩინებაჲ ჩემი მისგან: შუშ. V,15: დადგა იგივე ვამალიელ ჩემ წინაშე მითვე ხატითა: ისტ. ქრ. 297,21; ესე ვითარითა სიტყუთა აღშფოთნეს კელმწიფენი იგი: ხანძთ. ლეკ.

§ 119. კითხვითი ნაცვალსახელი განსაზღვრებად. კითხვითი ნაცვალსახელებისაგან განსაზღვრებად ჩვეულებრივ გამოყენებულია **რაჲ, რაოდენი, რაბამი, რომელი** და **ვითარი**. აგებულების მიხედვით მარტივია **რაჲ** ნაცვალსახელი, რთულია **რაოდენი, რაბამი, რომელი**. მათი შემადგენლობიდან გამოიყოფა **რა** (რა-ოდენი, რა-ბამი, *რა-მელი → რომელი). რთულია აგრეთვე **ვითარი**.

რომელ რომ **რა-მელ**ისაგანაა მიღებული, ეს ადრიდანვე შენიშნული ფაქტია[79]. იგი მოგვაგონებს მეგრულ-ჭანურ **ნა-მუ**'ს, სადაც **ნა** ეფარდება ქართულ **რა**'ს და მეგრულ **-და**'ს[80], რაც შეეხება

---

[79] არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938.

[80] არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 184—185; მისივე: გრამატიკული კლას-კატეგ. ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, V, № 4, 1944, გვ. 226; ივ. შილაკაძე. ქართულისა და სომხურის ენობრივი შეხვედრები: თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 43, 1951, გვ. 25—42.

მეორე ნაწილს -მელ-ს, მისი კომპონენტებია მ- და -ელ. პირველი საერთოა მეგრულ-ჭანურ მუ'სთან, მეორე კი დეტერმინანტი სუფიქსია.

რაოდენი, რაბამი, რომელი (← *რა-მელი) საერთოა პირველი ნაწილის მიხედვით, განსხვავებულია მეორე ნაწილის მიხედვით.

განსხვავებული აგებულება ასაბავს განსხვავებულ ფუნქციას (შდრ. რ ა ო დ ე ნ ი ს ფ ე რ ი დ ი, რ ო მ ე ლ ი ი გ ი ვ ე და ა. შ.).

განსაზღვრებად გამოყენების შემთხვევაში ზედსართავი სახელის მსგავსად კითხვითი ნაცვალსახელიც ეთანხმება საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში.

მაგალითად:

რ ა ო დ ე ნ ი მიგცე შენ? დაბ. 38,18; რ ა ბ ა მ ი დ ე დ ა ჯ ა ც ი შეეხება-ს მას? ლ 7,39; რ ა ო დ ე ნ ი ს ფ ე რ ი დ ი აღიღეთ? DE მ 16.10; რ ო მ ე ლ ი ი გ ი ვ ე მოვიღო მისთჳს? DE მრ 4.30; რ ო მ ე ლ ი რ ჩ უ ლ ი ვიპყრეს? სტ. ქრ. 165.9; რ ო მ ე ლ მ ან-მ ე ო რ თ ა გ უ ნ მ ან ყო ნებაჲ მამისაჲ? C 21.31; რ ა ს ა ს ახ ს წ ა ე ლ ს ა მიჩუენებ ჩუენ? DE ი 2.18; რ ა ო დ ე ნ ი ს ა წ ლ ი ს ა ხარ შენ? კიმ. I,74,28; რ ო მ ლ ი თ ა კ ე ლ მ წ ი ფ ე ბ ი თ ა ამას კჳმ? C მ 21.27; შდრ. ვკითხეთ კაცსა მას ვითარ სახით მოწყჳდნეს: კიმ. I,31.15.

ასევე:

რ ა ვ დ ე ნ ნ ი წ ე ლ ნ ი არიან, ვინადთგან გჳონე შენ? C ლ 15,2.; რ ა ნ ი კ ვ ა ნ ი არიან ესე?...: C მრ 12,1, შდრ. DE: რ ა ბ ა მ ი კ ე ე ბ ი ან.

§ 120. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი განსაზღვრებად. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი აგებულების მიხედვით კუთვნილებითს მოგვაგონებს იმ განსხვავებით, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუძედ პირის ნაცვალსახელია გამოყენებული, კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელისათვის კი კითხვითი ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვა.

ძველი ქართულის წიაღში დაცულია მხოლოდ ვისი (ვი-ს-ი) კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი, ისიც იშვიათად. რისა (რი-სი) ნაცვალსახელის გამოყენება ამ მნიშვნელობით მხოლოდ ახალი ქართული ენისათვისაა დამახასიათებელი[81].

მაგალითად:

ვ ი ს ი ძ ჳ არს ესე? პალ. ალბ. 91,15; ვ ი ს ი ა ს უ ლ ი ხარ შენ? დაბ. 24,47. შდრ. ა ს უ ლ ი ვ ი ს ი ხარ? დაბ. 24,23 და სხვა.

§ 121. უარყოფითი ნაცვალსახელი განსაზღვრებად. შედგენილობის მიხედვით უარყოფითი ნაცვალსახელი რთულია: მოიცავს

---

81 ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრ. ფუნქციები..., გვ. 520.

ვინ და რა კითხვით ნაცვალსახელებსა და პრეპოზიციულად დართულ არა, ვერ და ნუ ნაწილაკებს.

ჩვეულებრივ განსაზღვრებად გამოიყენება **არავინ** უარყოფითი ნაცვალსახელი. იგი ეთანხმება საზღვრულს ბრუნვაში, მაგრამ ამჟღავნებს იმ თავისებურებას, რომელიც **ვინ** ნაცვალსახელისათვის არის დამახასიათებელი: ამით აიხსნება, ერთი მხრივ, სახელობითისა და მოთხრობითის, მეორე მხრივ, მიცემითისა და ნათესაობითის ფორმათა ერთგვაროვნება.

მაგ:

არავინ თქუენგანი მკითხავს მე: DE ი 16,5; არავინ მონაზონთაგანმან უწყოდა, ვითარმედ ეპისკოპოსი არს იგი: კიმ. I,22,21; არავინ მონამან შეუძლის ორთა უფალთა მონებად: C ლ 16,13; არა უთხრობდენ სახელითა ამით არავის კაცსა: მოც. 4,17; არავის კაცთაგანსა კელეწიფების ხილვად მათდა: კიმ. I,53,22; არავისა ერთისა მათგანისა მიიელინა ელია: DE ლ 4,26, შდრ. თქუენგანსა არავის გაჭუს პური აჭა? ისტ. ქრ. 169,35.

§ 122. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი განსაზღვრებად. განსაზღვრებითი ნაცვალსახელებია **თჳთ, თავადი, თითოეული, სხუა და ყოველი.**

ცალკე დგას **თჳთ** ნაცვალსახელი. იგი თავ'ის აღმნიშვნელ თუ'ს (ზან. თი) მოქმედებითი ბრუნვიდან მომდინარეობაა მიჩნეული[82]. როგორც უბრუნველი სიტყვა იგი არ გამოიყენება განსაზღვრებად, მაგრამ შეიძლება ახლდეს სახელობით, მოთხრობით ან მიცემით ბრუნვაში დასმულ სახელს (იტყჳს თჳთ უფალი... შუშ. XIII,27; თჳთ თავადმან წამა...: C ი 4,44; თჳთ მამასა ჩემსა უყუართ თქუენ...: ი 16,27)[83].

თავადი და თითოეული, სხუა და ყოველი ნაცვალსახელები მსაზღვრელებად გამოიყენებიან ზედსართავი სახელის მსგავსად იმ განსხვავებით, რომ პირველი ორი პრეპოზიციულად ერთვის მთავარ სიტყვას, უკანასკნელი ორი კი პრეპოზიციულადაც და პოსტპოზიციურადაც პირველის უპირატესობით[84].

---

[82] ვ. თოფურია, ბგერით მოვლენათა თანმიმდევრობა ქართველურ ენებში: მიმომხილველი, თბილისი, 1926, გვ. 201; მისივე: რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 80; H. Марр, **Грамматика древнелитературного грузинского языка**, გვ. 93—95; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 43.

[83] ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრ. ფუნქციები... გვ. 527.

[84] იქვე, გვ. 572.

მაგალითად:

წრფელობითი ბრუნვა

სხუანავ არა იყო მუნ: C ი 6,22; მრავალ სხუაცა სასწაულ ყო იესუ: C ი 20,30.

რაჲსათჳს სდგათ თჳუენ აქა დღე ყოველ უქმად? DE მ 20,6: აღასრულებდა შჯდთავე ლოცვათა მისთა ღამე ყოველ: ბალ. 90,12[85].

სახელობითი ბრუნვა

შეკრიბეს მის ზედა ყოველი ნათესავი იგი: C მ 27,27; განერა ყოველი კორციელი: მ 24,22; ყოველი იგი ყოფილი უთხრა ცქირსა: ხანძთ. ჲთ$_{23}$, შდრ. მიუთხრეს საქმე იგი ყოველივე უფალსა მათსა: C მ 18,31; არავინ იხილეს, გარნა თავადი იესუ: DE მ 17.8: თითოეული ხწ თჳსისაგან ნაყოფისა საცნაურ არს: DE ლ 6,44; შესძინა მივლინებად სხუაჲ მონაჲ: ლ 20,11, შდრ. შემძინა მე ღმერთმან შვილი სხუაჲ: დაბ. 30,24; ამას ესუა დაჲ სხუაჲ: ლიმონ. 59,9.

მოთხრობითი ბრუნვა

ყოველმან კაცმან კეთილი ღუნოჲ პირველად წარმოდგის: DE ი 2,10; ყოველმან კრებულმან... ყოს ესე: გამ. 12,47; შთაასხის თითოეელმან მათგანმან... სამ საწყაულ: C ი 2,6.

მიცემითი ბრუნვა

განანათლებს ყოველსა კაცსა: ი 1,9; მიეც კელმწიფებაჲ ყოველსა ზედა კორციელსა: C ი 17,2. შდრ. გიძღოდის თქუენ ჰეშმარიტებასა ყოველსა: DE ი 16,13.

წარვიდა იგი სხუასა ადგილსა: მოც. 12,17; მარიამ სხუასა კუნისზრახვასა მოვიდა: მრავალთ. 259,21, შდრ. ხოლო ძმაჲ შენი იოვანე მიველინ ადგილსა სხუასა: ზარზმ. 170,4.

ვითარებითი ბრუნვა

იცვალა იგი თჳსისა ხატისაგან სხუად ხატად: მრავალთ. 262,14: კაცი სხუად სახედ აქცევს სიტყუათა: იობ. 11.12. შდრ. კუალად შექმნა იგი კურჩრად სხუად: პალ. ალბ. 8.6.

ნათესაობითი ბრუნვა

რომელი იყოს ყოელისა ერისა: DE ლ 2,10; გამოქდა ბრძანებაჲ აგვსტოს კეისრისაგან აღწერად ყოველისა სოფლისა: DE ლ 2,1.

---

85 ყოველ-ს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა ძველ ქართულში (ა. შანიძე, გრ. ხანძთელის ცხოვრების ერთი ადგილის გაგებისათვის: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემი..ს მოამბე, ტ. V, № 9. 1944, გვ. 939—944). ლიტერატურაში მითითებულია (ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება.... გვ. 570), რომ, როცა ყოველი სიტყვა მთელ-ის მნიშვნელობით იხმარება, აქვს წრფელობითი ბრუნვაც, სხვა შემთხვევაში — არა.

გამოეცხადა სხვათა ხატით: DE მრ 16,12; ყურ-თუ-არს ვისიმე განტევებად ცოლისა თჳსისად ყოველით მიზეზით: C მ 19,3.

§ 123. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი განსაზღვრებად. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები **ვინმე, რაიმე, რომელიმე, რაოდენიმე, ერთი** განსაზღვრებად გამოყენებისას რიგ თავისებურებას ავლენენ, როგორც ეს ადრეც არაერთგზის აღნიშნულა[86]. თავისებურია **ვინმე** ნაცვალსახელი, რომლის სახელობითი ბრუნვის მრავლობითი რიცხვი **ვიეთნიმე** (მივიდეს მათ თანავე სხუანიცა ვიეთნიმე მორწმუნეთაგანნი...: კიმ. I,56,23; ვიეთნიმე მათგანნი იტყოდეს: DE ი 11,37) მრავლობითის ორი სუფიქსითაა წარმოებული (**ვი-ეთ-ნ-ი-მე**), სადაც **-ეთ** მრავლობითი რიცხვის სრულყოფილი ნიშანია მოთხრობით-მიცემით-ნათესაობითისათვის (თ < ეთ), **ნ** კი სახელობითშია. პირველი **(-ეთ)** წინ უსწრებს მეორეს (**-ნ-ს**) იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი მეორეულია. მისი დართვა გამოიწვია ამ ნაცვალსახელის სახელობითის მნიშვნელობით გამოყენებამ. უფრო ადრე კი **ვინმე** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი რიცხვში არ ეთანხმებოდა მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში დასმულ საზღვრულს, რადგანაც მას თვითონ არ გააჩნდა რიცხვის კატეგორია.

მაგალითად:

„მწიგნობართა განნი ვინმე იტყოდეს" (C მ 9,3). შდრ. „და მენ ვინმე მწიგნობართა განთა თქუენ" (ალავერდის ოთხთავი)...

მსგავსი მდგომარეობაა მხოლოობითშიც. **ვი-ნ** და **მა-ნ** ნაცვალსახელებში **-ნ** მოთხრობითის უძველესი ნიშანია. იგი ერთადერთი ოდინდელი სუფიქსია მოთხრობითი ბრუნვის აღსანიშნავად. აქედან **ვი-ნ** სახელობითმაც გამოიყენა, რადგანაც იგი არაა ფუძემონაცველე: **ვი-** ფუძე საერთოა სახელობით-მოთხრობით-მიცემით-ნათესაობითისათვის, **მა-ნ** კი ფუძის მიხედვითაც აპირისპირებს სახელობითს სხვა ბრუნვებთან: არც ფუძეა სახელობითისა, არც ბრუნვის ნიშანი. ამავე დროს სახელობითისათვის მას მოეპოვება კორელატი ფუძე **იგი**, რომელიც ადრიდანვე ნასესხებია ჩვენებითი ნაცვალსახელებისაგან.

---

[86] არნ. ჩიქობავა. მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, X, 1939, გვ. 173; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები გვ. 506; 510; 536.

რაჲმე ნაცვალსახელი განსაზღვრებად გამოყენებისას გვხვდება სახელობით, მიცემით, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში. ერთ ნაცვალსახელს კი ამ შემთხვევაში არა აქვს ვითარებითი და წოდებითი ბრუნვები. ასევე მხოლოდ ზოგ ბრუნვაში გვხვდება სხვა განუსაზღვრელი ნაცვალსახელებიც.

რაც შეეხება საზღვრულთან რიცხვში შეთანხმებას, აქაც ატრიბუტული განსაზღვრებისაგან განსხვავებული მდგომარეობაა: **ვინმე** მრავლობით რიცხვში დასმულ საზღვრულს ეწყობა მხოლობით რიცხვში, იშვიათად გვხვდება მრავლობით რიცხვშიც (სახელობითში გვაქვს ვიეთნიმე), **რაჲმე** და **ერთი** საერთოდ, როგორც წესი, არ ეთანხმება საზღვრულს რიცხვში. შეთანხმებულია **როშელიმე, რაოდენიმე.**

მაგალითები:

წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ი

იყო მუნ მოწაფეთა მათ თანა დამასკედ დღე რაოდენმე: მოც. 9,19: გაკვრებაჲ დაეცა ყამ რაოდენმე: ლიტ. კრ. 208,13; საოცარ რაჲმე ჰგონეს საქმე იგი: ზარზმ. 155,16.

სახელობითი ბრუნვა

იყო ვინმე დედაკაცი ერთი სპარსი მოგვ: შუშ. XI.6: ერთი ვინმე ძმათაგანი მოუკლა მას რუბას: კიმ. I,20,32; ჰოვონ რაჲმე სიტყუაჲ მის თანა: ლ 20,20: არს რომელიმე იძრახისი: ისტ. კრ. 283,21; ხოლო იყო მუნ წისქჳლ სახლი რაჲმე: ზარზმ. 159,11: მოვიდა კაცი ერთი სპარსეთით: ისტ. კრ. 160,14; კაცი ვინმე იყო მდიდარი: DE ლ 16.1. შდრ. C: კაცი ერთ იყო მდიდარ.

მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა

კაცმან ვინმე დაასხა ვენაჯი: DE მრ 12,1; ერთმან ვინმე ეპისკოპოსმან სილაღით თქუა შორის შესაკრებელთა მათ: ხანძთ. მბ28.

მ ი ც ე მ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა

კაცი იგი ია გჳჩუენებდა მცირესა რასმე დაბასა: ზარზმ. 161,22: შევიდეს დადგრომად ერთსა სოფელსა: საბა ას. 16,23; კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე: მ 21,28; შეეხოს არაწმიდებასა რასმე კაცისასა: ლეიტ. 5.3: შემაყენნეს ჩუენ ადგილსა ერთსა: წარტყ. მევ.

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა

შემდგომად რაოდენისამე ჟამისა აღესრულა იოვანე პაპაჲ: კიმ. I,06,24; კაცისა ვისამე წმიდისა ვანად მისრულ იყო კითხვად რაჲსმე სიტყჳსა: შუშ. 111,2; ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილისა რაჲსამე ყოფად? ი 1,46.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა

იგინი იყუნეს შეპყრობილ შიშითა რაჲთმე დიდითა: ისტ. კრ. 229,19.

შენიშნულია, რომ განსაზღვრებად გამოყენებული განუსაზღვრელი ნაცვალსახელი გვხვდება საზღვრულის წინაც და შემდეგაც, მაგრამ შეიძლება მოთავსდეს შემასმენლის შემადგენლობაშიც ზმნისწინის შემდეგ. ასეთი განსაზღვრება ბრუნვასა და რიცხვში ეთანხმება საზღვრულს (რიცხვში შეთანხმება არაა დამახასიათებელი სახელობითისათვის).

მაგალითად:

მო-ე ი ნ მ ე-ვიდა კაცი ·ბრწყინვალედ შემკობილი: ხანძთ. ლთ; შე-ე ი ნ მ ე-იწყნარა იგი კაბადუკმან ბ ე რ მ ა ნ: ქიმ. II,144.1; მი-ე ი ნ მ ე-აელინეს მისა ფ ა რ ი ს ე ე ლ ნ ი: DE მრ 12.13. შდრ. C: მოაელინეს მისა ფ ა რ ი ს უ-ე ე ლ თ ა გ ა ნ ი ე ი ნ მ ე.

ასევე:

მაშინ. მი-ე ი ე თ მე-უგეს მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ ა გ ა ნ თ ა: DE მ 12,38, შდრ. C: მაშინ მიუგეს მას რ ო მ ე ლ თ ა მე მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ ა გ ა ნ თ ა.

ამავე დროს ასეთი განსაზღვრება შეიძლება იყოს დისტანციურიც:

მაგალითად:

ჰკითხა ვ ი ნ მ ე მ თ ა ვ ა რ მ ა ნ: C ლ 18,18, შდრ. DE: ჰკითხა ვ ი ნ მ ე მას მ თ ა ვ ა რ მ ა ნ; ვ ი ნ მ ე ჰრქუას კ ა ც მ ა ნ მამასა თჳსსა: C მრ 7,11.

§ 124. მრავლობითი რიცხვი. მრავლობით რიცხვში საზღვრულსა და მსაზღვრელად გამოყენებულ ნაცვალსახელს შორის თავისებურება არ შეინიშნება: განსაზღვრება ყოველთვის ეთანხმება რიცხვში ნარ-თანიან საზღვრულს[87].

მაგალითები:

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა.

პრეპოზიციული წყობა

კეთილსა გეტყოდიან თქუენ ყ ო ვ ე ლ ნ ი კ ა ც ნ ი: ლ 6,26: ყ ო ვ ე ლ ნ ი მ ო წ ა ფ ე ნ ი იტყოდეს: DE მ 26,35: ს ხ უ ა ნ ი მ ო წ ა ფ ე ნ ი ნავითა მოეიდოდეს: DE ი 21,8; მოეიდეს ს ხ უ ა ნ ი ი გ ი ქ ა ლ წ უ ლ ნ ი: C მ 25,11.

ე ს ე ვ ი თ ა რ ნ ი ს ი ტ ყ უ ა ნ ი არა ეშმაკეულნი არიან: C ი 10,21, შდრ. DE: ე ს ე ს ი ტ ყ უ ა ნ ი ა რ ა არიან ეშმაკეულისანი.

წინა მიეგებნენ მას... მ ი ს ნ ი ძ ე ნ ი: შუშ. II,3; გამოეიდეს მ ა თ ნ ი ი გ ი ს ა ქ მ ე ნ ი: იობ. 24.5.

ე ი ე თ ნ ი მე მ ა თ გ ა ნ ნ ი იტყოდეს: DE ი 11.37; რ ო მ ე ლ ნ ი მე მ ა თ გ ა ნ ნ ი შორით მოსრულ არიან: მრ 8,3; რ ა ო დ ე ნ ნ ი მე დ ღ ე ნ ი წარკდეს: მოც. 25.13; არიან რ ა ჲ მე პ რ ა კ ნ ი რტოწულილნი: ისტ. ქრ. 280,12.

---

87 ამიტომ აქ ნაცვალსახელთა ჯგუფებს ცალ-ცალკე არ წარმოვადგენთ.

პოსტპოზიციური წყობა

მოხუცებულნი ყოველნი ზე აღმიდგიან: იობ. 29,8; იყვნეს კაცნი იგი ყოველნი ათორმეტ: მოც. 19,7.

ისმინენით სიტყუანი ჩემნი: იობ. 13.17; ამან ცრემლითა დაალტენა ფერკნი ჩემნი: ლ 7,44; მოწაფეთაცა შენთა იხილნენ საქმენი შენნი: DE ი 7,3; შრომათა მათ გამო დაუსივდეს ფერკნი მისნი: შუშ. XV,3; მან მეყსეულად აღიხილნა თუალნი თჳსნი: მოც. 9,40; მამანი ჩუენნი ჰამდეს მანანასა: DE ი 6,31; დაუტევნეთ თქუენ სახლნი თქუენნი ოჯრად: DE ლ 13,35; გულნი მათნი შორად განშორებულ არიან: DE მ 15.8.

მოთხრობითი ბრუნვა

პრეპოზიციული წყობა

შენ ყოველთა დაბადებულთა პატივ გცეს: აბო. 79,33; სხუათა კელმწიფეთა მტანჯეს მე: ისტ. ქრ. 174.8; სხუათა მათ ჰაბუკთა შეიპყრეს იგი: DE მრ 14,51.

ესეითართა კაცთაცა ვერ უძლეს განტკნაჲ ჩემი: კიმ. I,55,34.

მიუგეს მას რომელთამე მწიგნობართაგანთა: C მ 12.38; ცრეს ვიეთმე ქრისტეანეთა: ისტ. ქრ. 175.24.

პოსტპოზიციური წყობა

ცხოვართა ჩემთა კმისა ჩემისაჲ ისჴინიან: DE ი 10,27; მოწაფეთაცა შენთა იხილნენ საქმენი შენნი: DE ი 7,3; უთხრეს იოვანეს მოწაფეთა მისთა: ლ 7,18; მამათა თქუენთა ჰამეს მანანაჲ: ი 6,49.

შეიპყრეს იგი ჳაცთა ვიეთმე: ლიტ. ურთ. 142,2; დედათაცა ვიეთმე ჩუენგანთა დამაკრვეს ჩუენ: ლ 24,22.

მიცემითი ბრუნვა

პრეპოზიციული წყობა

სხუათა მამათა ჰმსახურებდა იგი სიმდაბლით: კიმ. I.18.1; საყურძენი იგი მისცეს სხუათა მოქმედთა: C მ 21,41; ესმა ვიეთმე ქრისტეანეთა ქალთა: აბო, 69.4.

პოსტპოზიციური წყობა

ცხოვართა ჩემთა კმისა ჩემისაჲ ესმის: C ი 10.27; მე არა ევზიარო საქმეთა შენთა: შუშ. IV,28; არქეთ მოწაფეთა მისთა: C მ 28,7; ჰრქუა იოსებ ძმათა თჳსთა: დაბ. 45,4; სიტყუაჲ მოვართუათ მომაელინებელთა ჩუენთა: DE ი 1.22; რაჲსა ჰზრახავთ გულთა თქუენთა: DE მ 16,8.

ნათესაობითი ბრუნვა

პრეპოზიციული წყობა

გამოჰხუთარგმანებდა მათ ყოველთაგან წიგნთა: ხანმ. ლ 24,27; გალილეველნი იგი უფროს ყოველთა გალილეველთა იყვნეს ცოდვილ: DE ლ 13,2.

შემდგომად რაედენთამე დღეთა მოიქცა მეფემ ცგი: ისტ. ქრ. 167,33; შესწენილ იქმნა სანატრელიცა ესე უღმერთოთა ვიეთმე კაცთა მიერ: კორ. 1,48,26.

პოსტპოზიციური წყობა

კერ ძალ-გიც სიტყუათა ჩემთა სმენად: DE ი 8,43; მეგობართა ჩემთა თანა ვიხარე: ღ 15,29.

წოდებითი ბრუნვა

შვიღნო ჩემნო. წუთერთ ჟამ თქუენ თანა ვარ: C.ი 13,33, შდრ. ჯ მოღუაწენო და მკედარნო მისნო, აღვიღოთ ყოლადვე ყოველსა ჟამსა საკურველი ესე: მამ. სწ. 24,23.

შეთანხმება არა გვაქვს -ებ ნიშნიან მრავლობითთან: აღიხილა ლაბან ყოველი სახლები: დაბ. 31,35; ყოველი თესლები განატრის შენ: ჰილ-ეტრ. 147; განკდა ჰამბავი მისთჳს ყოველსა მას სოფლებსა: DE მრ 1,28.

ნაწევარი განსაზღვრებად

§ 125. ნაწევრის ფუნქცია და აგებულება. შინაარსის მიხედვით სახელი ძველ ქართულში შეიძლება წარმოგვიდგეს განუსაზღვრელი და განსაზღვრული მნიშვნელობით. განსაზღვრულ სახელს ახლდა ნაწევრად ქცეული ჩვენებითი ნაცვალსახელი (ესე, ეგე, იგი). განუსაზღვრელი სახელი კი იხმარებოდა უნაწევროდ ან ნაწევრის მნიშვნელობით ხმარებული ერთი და ვინმე (რაჲმე) ნაცვალსახელებით[88]. ეს უკანასკნელი სახელს ერთვოდა „ზედმიწევნილობის მიზნით" (ა. შანიძე). მსგავსი მდგომარეობა შეინიშნება საერთოდ იბერიულ-კავკასიურ ენებში და დამახასიათებელია ინდოევროპული (გერმანული, ფრანგული...) ენებისათვის.

ე. წ. განუსაზღვრელობითი ნაწევრის (resp. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების) ურთიერთობის შესახებ საზღვრულთან საუბარია განსაზღვრებად გამოყენებულ ნაცვალსახელებთან, ამიტომ აქ შევჩერდებით მხოლოდ განსაზღვრებითს ნაწევარზე.

---

[88] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 637—639; მისივე: ძველი ქართული ენა, გვ. 310; მ. ნემიროვსკი, ნაწევარი მთის კავკასიურ ენებში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. მოამბე, VII, № 6, 1946, გვ. 377—379; ჭ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი. თბილისი, 1944, გვ. 70—73; მისივე: აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის, თბილისი, 1954, გვ. 51—ძველი ქართულის ნაწევარი ვრცლად მიმოხილული აქვს ივ. იმნაიშვილს შრომაში „ნაწევარი ძველ ქართულში" (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 61, 1955, გვ. 249—276).

ესე, ეგე, იგი, *ისი ნაწევრად გამოყენებული ნაცვალსახელები იცვლებიან ბრუნვის მიხედვით ჩვეულებრივ: სახელობითშია **ესე, ეგე, იგი, *ისი,** დახარჩენ ბრუნვებში ფუძედ გამოყენებულია **ამა-მაგა-, მა-, იმა-,** რომელთაც ერთვის სათანადო ბრუნვის ნიშნები მოთხრობითში, მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში (სხვა ბრუნვები არ გააჩნიათ). მრავლობითი რიცხვი ნაწევარს სახელობით ბრუნვაში საერთოდ არ ეწარმოება (მთაჲ იგი, მთანი იგი, მთები იგი...), დანარჩენ ბრუნვებში კი შეთანხმებულია საზღვრულთან, თუ ეს უკანასკნელი **-ებ** ნიშნიანი არაა.

ნაწევარი ჩვეულებრივ მოსდევს არსებით ან არსებითად ქცეულ სახელს, მაგრამ შეიძლება წინ უსწრებდეს მას. ეს უკანასკნელი, როგორც წესი, მაშინ გვაქვს, როდესაც არსებით სახელს წინ უძღვის განსაზღვრება[89].

მაგალითები:

მხოლობითი რიცხვი

სახელობითი ბრუნვა

იყო დიდად თავლოვან ადგილი იგი: C и 6.10; უკეთანასკნელ ყოველთაჲსა მოკუდა დედაკაცი იგი: DE მრ 12,22: მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა: შუშ. VII.15: მიაკცია მახჳლი ეგე ადგილსაე თჳსსა: DE მ 26,52; იყო კაცი ესე აზნაური: იობ. 1,3; განხითქუა სიტყუაჲ ესე ჰერიათა შორის: ბანმ. მ 28,15; მოვიდა იგი ნეტარი ევსტათი: ისტ. ქრ. 161.19; ეგოდენი იგი ძალი ცეცხლისაჲ დაშრიტის: იქვე. 173.17.

მოთხრობითი ბრუნვა

დედაკაცმან მან თაეს იდვა ადრე-ადრე: შუშ. XI,9; კაცმან მან ვერ იკადრა სიტყუად მისა: იქვე, II,11; სოფელმან ამან დაიტია აღწერანი შიგნები: и 21,25.

მიცემითი ბრუნვა

უბრძანა ერსამას დასხდომაჲ ქუეყანასა ზედა: DE მ 15,35; დაარწმუნე ერსა ამას: ისტ. ქრ. 288,18; მივედით ადგილსა იმას: იქვე. 227,33: ჰკლიხა მას კაცსა წმიდამან მან: იქვე, 226,25.

ნათესაობითი ბრუნვა

იესუ დგა წინაშე მთავრისა მის: DE მ 27.11; შეკრიბეთ ნეშტი ნაჳსრევისაჲ მაგის: C и 6,12.

---

89 დაწვრილებით ი. იმნაიშვილი, ნაწევარი ძველ ქართულში, გვ. 265—271.

მოქმედებითი ბრუნვა

შევკმოსეთ მჩუარითა მით: შუშ. XIX.5; განაშუენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარითა: იქვე, X.28.

ნარ-თანიანი მრავლობითი რიცხვი

შეშინდეს დედანი იგი: ისტ. ქრ. 277,4; რაჲ არიან სიტყუანი ეგე: ლ 24,17; ისმინნეს სიტყუანი ესე: DE მ 7.24; იგი კაცნი მოსაკლავად შეჰგუანდეს: ისტ. ქრ. 164.1; ასმინიან ყჳრილი მონადირეთა მათ: იქვე, 280,17; მცირედ მიერულა დათა მათ ჩემთა: იქვე, 278.10; მრავალ სხუაცა სასწაულ ყო იესუ წინაშე მოწაფეთა მათ თჳსთა: C ი 20.30.

-ებ ნიშნიანი მრავლობითი

დაასრულა იესუ იგავები ესე: C მ 13,53; დასხით კაცები ეგე: EC ლ 9.14; წარავლინა მოსე ჰაბუკები იგი: გამ. 24,5; ჰრქუა ყრმებმან შან პავლეს: თეკლ. 105,29; ჰრქუა კაცებსა მას: C ი 4,28, შდრ. DE: უთხრა კაცთა მათ: აცადეთ ყრმებსა მაგას: DE მ 19,14; ინაჯუდგთ კაცებსა მაგას: C ი 6,10; ესევითარითა მით იგავებითა ეტყოდა მათ სიტყუასა: C მრ 4,33.

დისტანციური განსაზღვრება

§ 126. დისტანციური განსაზღვრება საზღვრულთან. ატრიბუტული განსაზღვრება საზღვრულთან ჩვეულებრივ კონტაქტურია: ან უშუალოდ წინ უსწრებს მას, ან მოსდევს, მაგრამ შეიძლება საზღვრულ სახელს დაუკავშირდეს დისტანციურადაც, როდესაც მათ შორის მოექცევა წინადადების რომელიმე წევრი. სიტყვათა ურთიერთობა აქაც მტკიცეა: განსაზღვრება ეთანხმება საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში.

მაგალითად:

კელმწიფესა ვისმე დიდსა შვილი მოუკუდა პირმშოჲ: კიმ. I,51.21: კაცსა მას ჰხედვიდეს მათ თანა მდგომარესა: მოც. 4,14.

ასევეა მრავლობითშიც:

შენ გიდგან ტაძარნი მარმარილოჲთა მოღესულნი: მამ. სწ. 85,2ᲔᲒ; მრავალნი მოვიდიან საფასითა დიდითა. მოჭალაქენი: ცხორ. 83,1: ესე ფიცარი მრავალთა აღმოიკითხეს ჰურიათა: DE ი 19,20 და სხვა.

თანდებულიანი მსაზღვრელ-საზღვრული

§ 127. თანდებულის ადგილი მსაზღვრელ-საზღვრულთან. ატრიბუტული განსაზღვრება, როგორც ვხედავთ, შეიძლება წინ უსწრებდეს საზღვრულ სახელს და შეიძლება მოსდევდეს მას. მისი ადგილი თავისუფალია. თანდებული მართავს საზღვრულს, მაგრამ ერთვის ან საზღვრულს, ან განსაზღვრებას. თვით ზედა თანდებუ-

ლიც კი, რომელიც დამკვიდრებულია სახელის ბოლოს, გვხვდება სახელის წინაც, მაგალითად, ოთხთავის ერთ რედაქციაში იკითხება: „კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“: DE ი 19,24, მეორე რედაქციაშია: „ზედა კუართსა ჩემსა წილ იგდეს“: იქვე, C.

მაინც, ცალკეულ შემთხვევებში, თანდებულის ადგილი მყარი ჩანს. სპეციალური შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ თანდებულის ადგილისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ადგილი უკავია ატრიბუტულ განსაზღვრებას და რა მეტყველების ნაწილითაა იგი გადმოცემული[90]. ამის მიხედვით:

1. თანდებული ერთვის წინამავალ განსაზღვრებას

მიეც კელმწიფებაჲ ყოველსა ზედა კორციელსა: C ი 17,2, შდრ. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთსა ზედა ცოდვილსა: C ლ 15,7; დადგა ახალსა შინა სამარესა თჳსსა: C მ 27,60; მართა მიმოდაზრუნვიდა მრავლისათჳს მსახურებისა: ლ 10.40; კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გამოიღის კეთილი: მ 12,35.

თანდებული ერთვის მომდევნო განსაზღვრებას

მოწაფენი იგი მისნი დასულებულ იყვნეს სიტყუასა მას მისსა ზედა: C მრ 10,24, შდრ. აჰა მკეცალი შენი კელთა შენთა შინა არს: დჳ. 16,6: მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დადვის ცხოვართა თჳსთათჳს: DE ი 10,11; კაცისა ვისგანმე განაძო ეშმაკი: ღ 11,14. მრავალი საქმე კეთილი გიჩუენე თქუენ მამისა ჩემისა მიერ: C ი 10,32: მეგობართა ჩემთა თანა ვიხარე: DE ღ 15.29.

3. თანდებული ერთვის წინამავალ საზღვრულს

ზღუაჲ იგი ქარისაგან დიდისა აღიძრეოდა: DE ი 6,18; შდრ. განვზადებულ არს მამისა მიერ ჩემისა: DE მ 20,23; მწიგნობართაგანნი იტყოდეს გულთა შიდა თჳსთა: C მ 9,3; ვიხილე უფალი საყდარსა ზედა მაღალთა: მრავალთ. 276,17.

შაგრამ:

განკადოს ეშმაკი იგი ასულისაგან მისისა: DE მრ 7,26, შდრ. C: ეშმაკი იგი განკადა ასულისა მისისაგან.

მოვედ განყოფად კაცი მამისაგან თჳსისა: DE მ 10.35, შდრ. C: მოსრულ ვარ განყოფად კაცისა მამისა თჳსისაგან.

---

[90] ც. კალაძე, განსაზღვრება ქართულში, გვ. 98—101.

4. თანდებული ერთვის მომდევნო საზღვრულს

საქმე ესე იქმნა წმიდისა შუშანიკის ზედა; შუშ. X,23, შდრ. ესეთსა მას ციხესა შინა... პყრობილ იყო: იქვე, XIV,27; რაჲსა მეტად ხავ ვე კეთილისა საქმისათჳს: DE მ 19,17; აღაშფოთებს მესამით დღითგან: არიმათ. 40,5.

მართული განსაზღვრება

§ 128. მართული განსაზღვრების ადგილი და აგებულება. მართული განსაზღვრება საზღვრულს უკავშირდება პრეპოზიციულად იგი გადმოიცემა ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელით და უცვლელია ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით. ამის გამო გვაქვს:

წრფ.	მეგობრისა წიგნ	მეგობრისა წიგნ-ებ	
სახ.	მეგობრისა წიგნ-ი	მეგობრისა წიგნ-ებ-ი	მეგობრისა წიგნ-ნ-ი
მოთხრ.	მეგობრისა წიგნ-მან	მეგობრისა წიგნ-ებ-მან	მეგობრისა წიგნ-თა
მიც.	მეგობრისა წიგნ-ხა	მეგობრისა წიგნ-ებ-სა	მეგობრისა წიგნ-თა
ვით.	მეგობრისა წიგნ-ად	მეგობრისა წიგნ-ებ-ად	[მეგობრისა წიგნ-თა]
ნათ.	მეგობრისა წიგნ-ისა	მეგობრისა წიგნ-ებ-ისა	მეგობრისა წიგნ-თა
მოქმ.	მეგობრისა წიგნ-ითა	მეგობრისა წიგნ-ებ-ითა	[მეგობრისა წიგნ-თა]
წოდ.	მეგობრისა წიგნ-ო	მეგობრისა წიგნ-ებ-ო	მეგობრისა წიგნ-ნ-ო

ამ შემთხვევაში განსაზღვრება ყველგან მხოლოობით რიცხვშია. მართული განსაზღვრება მართულადვე რჩება იმ შემთხვევაშიც, როცა იგი მრავლობითის ფორმითაა:

წრფ.	მეგობრებისა წიგნ	მეგობრებისა წიგნ-ებ	
სახ.	მეგობრებისა წიგნ-ი	მეგობრებისა წიგნ-ებ-ი	მეგობრებისა წიგნ-ნ-ი
მოთ.	მეგობრებისა წიგნ-მან	მეგობრებისა წიგნ-ებ-მან	მეგობრებისა წიგნ-თა
მიც.	მეგობრებისა წიგნ-ხა	მეგობრებისა წიგნ-ებ-სა	მეგობრებისა წიგნ-თა
ვით.	მეგობრებისა წიგნ-ად	მეგობრებისა წიგნ-ებ-ად	[მეგობრებისა წიგნ-თა]
ნათ.	მეგობრებისა წიგნ-ისა	მეგობრებისა წიგნ-ებ-ისა	მეგობრებისა წიგნ-თა
მოქმ.	მეგობრებისა წიგნ-ითა	მეგობრებისა წიგნ-ებ-ითა	[მეგობრებისა წიგნ-თა]
წოდ.	მეგობრებისა წიგნ-ო	მეგობრებისა წიგნ-ებ-ო	მეგობრებისა წიგნ-ნ-ო

ასეთივეა:

წრფ.	მეგობართა წიგნ	მეგობართა წიგნებ	
სახ.	მეგობართა წიგნ-ი	მეგობართა წიგნებ-ი	მეგობართა წიგნ-ნ-ი
მოთხრ.	მეგობართა წიგნ-მან	მეგობართა წიგნებ-მან	მეგობართა წიგნ-თა
მიც.	მეგობართა წიგნ-ხა	მეგობართა წიგნებ-ხა	მეგობართა წიგნ-თა
ვით.	მეგობართა წიგნ-ად	მეგობართა წიგნებ-ად	[მეგობართა წიგნ-თა]

ნათ.	მეგობართა წიგნ-ეხა	მეგობართა წიგნებ-ეხა	მეგობართა წიგნ-თა
მოქმ.	მეგობართა წიგნ-ეთა	მეგობართა წიგნებ-ეთა	[მეგობართა წიგნ-თა]
წოდ.	მეგობართა წიგნ-ო	მეგობართა წიგნებ-ო	მეგობართა წიგნ-ნ-ო

მართული განსაზღვრების საფუძველი წმინდა სინტაქსურია. „მეგობრის წიგნი" და „ახალი წიგნი" სხვადასხვა სახის სინტაქსური ოდენობაა: პირველი ემყარება მართვას, მეორე — შეთანხმებას.

აღნიშნულია, რომ მიცემით-ნათესაობითის -ს და მოქმედებით-ვითარებითის -დ (მოქმედებითის -თ ← დ) ნიეთის გრამატიკული კლასის ნიშნებიდან მომდინარეობენ[91]. ხმოვნითი ელემენტი ცალკეა გამოყოფილი (ნათ. -ი-ს, მოქმ. -ი-თ)[92]. ნათესაობითის ხმოვნითი ელემენტი (-ი-ს) ზმნის სათავისო ქცევის -ი- ნიშანთან ერთად მიჩნეულია კუთვნილებით აფიქსად[93]. ამასთან ერთად ისიც აღნიშნულია, რომ ბრუნვის ნიშნები „ფუნქციით მსაზღვრელები უნდა იყვნენ, წარმოშობით — ნაცვალსახელები, ზმნისართები"[94].

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: ბრუნვის ნიშნად -ივ იყო უძველეს ქართულში და იგი იქცა სიტყვაწარმოების აფიქსად. -ივ ნიშნის შესაბამისია -ავ და -ოვ. პირველი დაცულია ზმნისართებში (ფიცხლავ...), მეორე — სიტყვაწარმოებაში (კლდ-ოვ-ან-ი). ასეთივეა ნათესაობითის -ის, მიცემითის -ას (წმას...) და სიტყვაწარმოებაში შემონახული -ოს (ტკრთ-ოს-ან-ი). ხომ არ გვქონდა ამავე ფუნქციით სხვა აფიქსები, რომელთაც თავი შემოინახეს სიტყვაწარმოებაში? პირველ რიგში აქ მოგვაგონდება -ურ სუფიქსი, რომელიც წარმომავლობის სახელთა საწარმოებლადაა გამოყენებული და ფუნქციის მიხედვით ნათესაობითს ემსგავსება: სოფლ-ურ-ი = სოფლისა, სოფლისათვის დამახასიათებელი; კაც-ურ-ი = კაცისა, კაცისათვის შესაფერისი და ა. შ. ზემოიმერულში ახლაც ცოცხალია აჭაურ'ის მნიშვნელობით აჭ-ურ[95]. ადრინდელ საფეხურზე აჭა (← აგა) და აჭა-ურ ისეთსავე მიმართებაში უნდა ყოფილიყო ერთმანეთთან. როგორც გაუფორმებელი და ბრუნვის ნიშნით გაფორ-

---

[91] არნ. ჩიქობავა, მრავლობითის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში, გვ. 67; მისივე: გრამატიკული კლასკატეგორია და ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი ქართულში... გვ. 65.

[92] ე. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში... გვ. 339.

[93] გ. როგავა, კუთვნილებითი აფიქსი ი ქართველურ ენებში .. გვ. 498.

[94] ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში... გვ. 347.

[95] „აქია ამბავი თუ გაინტერესებს, კარგათ ვართ" (იმერ.), შდრ. „ქუეყანაჲ ესე არა ვიცი და არცა აქათა კაცთა ენაჲ": Sin 43, გვ. 28 v.

მებული ფუძეები. ამ შემთხვევაში სიტყვაწარმოების აფიქსი თავისი წარმოშობით დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი ჩანს.

თუ მივმართავთ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს, აღმოჩნდება ჩვენთვის საინტერესო ერთი ფაქტიც. მაგ., ჩერქეზულში სახელი „შეიძლება წარმოდგენილი იყოს განუსაზღვრელი და განსაზღვრული სახით“[96]. განუსაზღვრელი ფორმა ფუძის სახითაა წარმოდგენილი, განსაზღვრულს კი ერთვის **რ** და **მ** აფიქსები. **რ** და **მ** მოგვაგონებს ევროპული ენების განმსაზღვრელ ნაწილაკებს, როგორიცაა **der, die, das** — გერმანულში, **le, la** — ფრანგულში[97]. ეს აფიქსები გამოყენებულია ბრუნვის ნიშნებად და გაფორმებულია „სახელობითი -რ სუფიქსით, მიცემითი -მ (მჯ) სუფიქსით და ვითარებითი -ან სუფიქსით“[98]. **რ** და **მ** ფორმანტების ორი ფუნქციით ხმარება შემთხვევითი არაა. მსგავსი მოვლენები უძველეს ქართულშიც უნდა გვქონოდა.

ძველ ქართულში, ისევე როგორც ახალ ქართულში, ნათესაობითში დასმული განსაზღვრება ბრუნვაში მართული სახელია და ამიტომაც იგი საერთოდ უცვლელია. ამით აიხსნება ასეთი ფორმები:

არცა ერისაკაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა მას: შუშ. V,33; პოვა მუნ ვირისა კიცჳ: კიმ. 1,247,28; ეგრევე ძის ცოლმან მისმან თქუა: იქვე. 162,24; გემოჲ იხილა პურისა უფალმან მან წყალი იგი: ი 2,9; ეკალი მისი ჰგავს ზღუსაგძარბსა: ისტ. ქრ. 283,23; ესენი კასტელისა მონასტრისა შენებისათჳს იშურობდეს: კიმ. II,163,16; ამის შემდგომად აღიძრა იგი გულის სიტყჳთა: საბა. ას. 12,39; ეშაპისა თავები... შემუსრა... აბო, 71,22; თავისა თმანიცა ყოველნი განრაცხილ არიან: DE მ 10,30: შეაყენეს თეზთა სიმრავლჱ: DE ლ 5,6; ევედრებინ იგი... ცათა მეუფესა: საბა ას. 7,2; ესე იყვნეს მოგუთა მათ სიტყუანი: მრავალთ. 278,28 ანგელოზთა გუნდნი სცემდენ ნესტუსა კმითა საშინელითა: მამ. სწ. 215,3.

§ 129. ბრუნვაში შეთანხმებული მართული განსაზღვრება. მართული განსაზღვრება ზოგჯერ ეთანხმება კიდეც ბრუნვასა და რიცხვში საზღვრულს:

მაგალითად:

---

[96] გ. როგავა, ქვემოადიღეურის ბრუნვათა საკითხისათვის: ენიმკის მოამბე, IV$_3$, 1938, გვ. 114; ს. ჯანაშია, სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები: ენიმკის მოამბე, XII, 1942, გვ. 262.

[97] გ. როგავა, ქვემოადიღეურის ბრუნვათა საკითხისათვის... გვ. 102.

[98] იქვე, გვ. 114.

სახელობითი ბრუნვა

რებაკაძსი ძმაჲ იყო, რომელსა სახელი ერქუა ლაბან: დაბ. 24,29; ბაჲაძსაჲ რტოჲ განედლდა: ზარზმ. 174,13; განეჩინა კეისარსა პაულწსი თავისა მოკუეთაჲ: სინ. მრაკ. 252,8; არა მოიქსენეს ზაქარიაჲსი იგი დაწერილი: იქვე, 135,8; დღეს განწმიდნა წყალთაჲ ბუნებაჲ: ჰილ.-ეტრ. 30V.

მოთხრობითი ბრუნვა

მოთხრობით ბრუნვაში შეთანხმების შემთხვევები იშვიათია:

მიიღო მროკვალისამან მოძღუარმან უკეთურებისა მის მოძღუებისათჳს სამოძღურებელად: სინ. მრაკ. 210,29[99].

მიცემითი ბრუნვა

იოვანწსსა მას ნათლის-ცემასა ყოველთა მათ ეზიარებოდა: სინ. მრაკ. 82,3; ხოლო საყდრისასა მას სახესა არა ჩუენი არს გამოძიებაჲ: იქვე, 168,11.

ზოგჯერ ბრუნვაში შეთანხმებას თან ახლავს რიცხვში შეთანხმებაც:

რკინისანი საკივნი: იერ. 28,13; ზღჳსანი იგი ღელვანი: სეან. 333100; რომლისანი სიტყუანი ღბილ არიან: მამ. სწ. 72,26 და ა. შ.

დისტანციური მართული განსაზღვრება ბრუნვასა და რიცხვში ეთანხმება საზღვრულს:

ელისაბედისნი აღივსნეს ჟამნი: ჰაემ. ღ 1,57; ჩუენ მოსესნი ვართ მოწაფენი: DE ი 9,28, შდრ. C: ჩუენ მოსეს მოწაფენი ვართ...

მსგავსი მოვლენები დადასტურებულია ახალ ქართულშიც. მაგ., ვაჟა-ფშაველას პოემებში: „სიყვარულისას დავწვავ გვირგვინსა“; „შჯამისას გაჰმევ სადილსა“; „ფიქრისას აგებს ყორესა“ და სხვა.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ უფრო ძველად მართული მსაზღვრელი ორივე შემთხვევაში (წინამდგომი და მომდევნო) ეთანხმებოდა საზღვრულს ერთნაირად ისევე, როგორც ატრიბუტული მსაზღვრელი, მაგრამ წინ დასმული მართული მსაზღვრელი ადრიდანვე მოდუნდა, თანდათან დაკარგა მომდევნო საზღვრულთან ბრუნვასა და რიცხვში შეთანხმების უნარი და ფუძის სახით გაქვავდა[101]. ჩვენ სურათი პირიქით წარმოგვიდგება: მართული მსაზღვრელი მომდევ-

---

[99] შდრ. ბევსურული: ზეითაისან ნიკორმა გამაახანნა გზანია: ჭინჭ. ხევს. 385, 19.

[100] ი. იმნაიშვილი. სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები, გვ. 583.

[101] იქვე, გვ. 584

ნო საზღვრულს ბრუნვაში რომ ეთანხმება. ეს მეორეული მოვლენაა, რომელიც ენამ არც კი შეითვისა.

§ 130. მართული განსაზღვრება და გენეტიური დამატება. მართული განსაზღვრების ფორმა ემთხვევა ნათესაობითში დასმული პირმიუმართავი დამატების ფორმას იმ განსხვავებით, რომ განსაზღვრება უკავშირდება არსებით სახელს, დამატება კი ნაზმნარ სახელს (მასდარს, მიმღეობას)[102].

პირმიუმართავი დამატებებია:

ა) მ ა ს დ ა რ თ ა ნ:

გუნებაეს შენგან სასწაულისა ხილვაჲ: მ 12,38; აღასრულეს მეფისა ბრძანებაჲ: კიმ. II,193,35...

აქაც ზოგჯერ შეინიშნება ბრუნვაში შეთანხმებაც:

გინებს ღეონტისი პოვნაჲ: კიმ. II,62,15; უფალო, გუნებავს იესუსი ხილვაჲ: Ე ი 12,21...

ბ) მ ი მ ღ ე ო ბ ა ს თ ა ნ:

აღივსნეს წყლის სასუმელები იგი: გამ. 2.16: აჰა ჩვენებისმხილველი იგი მოვალს: დაბ. 37,19...

ნათესაობითში მართულ სახელებს განსაზღვრებებად ჩავთვლიდით აქაც, რომ საზღვრულ მასდარსა და მიმღეობაში ზმნური თვისებები არ იგრძნობოდეს. რიგ შემთხვევაში მასდარი და მიმღეობა არსებით სახელადაა ქცეული, ხშირად კი არსებითი სახელის მიჯნაზეა. ამის მიხედვით ნათესაობითში დასმული სახელიც განსაზღვრებაა და არა დამატება. სინტაქსური ურთიერთობის მიხედვით კი ორივე შემთხვევაში გვაქვს ნათესაობით ბრუნვაში მართული სახელი, იქნება იგი განსაზღვრება, თუ პირმიუმართავი დამატება.

მ ა რ თ ულ - შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ულ ი გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა

§ 131. სიტყვათა ორმაგი დამოკიდებულება. მართულ-შეთანხმებული განსაზღვრება[103] მართული განსაზღვრების გადაადგილებით მიიღება. იგი მომდინარეობს ნათესაობით ბრუნვაში მართული

---

[102] დამატების შესახებ ცალკე

[103] ტერმინი მ ა რ თ ულ-შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ულ ი პირობითია. ამ სახის განსაზღვრებისათვის შეიძლებოდა დ ე რ ი ვ ა ც ი ულ ი გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა გვეწოდებინა, რამდენადაც მართვის შედეგად ახალი ფუძეა ნაწარმოები, რომელიც მეორედ ირთავს ბრუნვის ნიშანს საზღვრულთან ახალი სინტაქსური ურთიერთობის დამყარების გამო.

განსაზღვრებიდან, რომელიც ყოველთვის საზღვრულის წინაა, მაგრამ თუ მას ადგილი შევუცვალეთ და საზღვრულის შემდეგ მოვაქციეთ, მართულ-შეთანხმებულად გადაიქცევა[104].

მართულ-შეთანხმებული განსაზღვრების ფუძედ აღებულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმა მხოლოობით ან მრავლობით რიცხვში (მაგ., გუთხარ ჩუენ იგავი იგი ღუარძლისაჲ...: C მ 13,36; იყო მუნ კოლტი ღორებისაჲ: C მრ 5,11; იყო მუნ კოლტი ღორთაჲ: იქვე, DE).

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ამ შემთხვევაში ფუძის ორგანული ნაწილია, მასთან შეხორცებულია და გამოწვეულია ბრუნვაში მართვით. ბრუნებისას განსაზღვრება ახალ ნიშანს ირთავს და საზღვრულთან ახალი სინტაქსური ურთიერთობა მყარდება, რის გამოც ბრუნვაში მართული სახელი ბრუნვასა და რიცხვში ეთანხმება მმართველ სახელს.

მართულ-შეთანხმებული სახელის ფუძეა ამოსავალი საზღვრულისა და განსაზღვრების ერთად ბრუნებისათვის. აქ მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ფორმაა ფუძედ გამოყენებული: ნათესაობითი ბრუნვის მხოლოობითი რიცხვის თუ მრავლობითისა.

ბრუნებისას ეს ფორმები გვაძლევს .ორ სახეობას[105] მხოლოობითსა და მრავლობით რიცხვში. ცალ-ცალკე მათ საკუთარი დამახასიათებელი ნიშნები აქვთ.

---

104 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 91; ვ. თოფერია, ნანათესაობითარი მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, გვ. 358; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები... გვ. 285.

105 ჩვეულებრივ არჩევენ ოთხ შემთხვევას. ეს შემთხვევებია, როდესაც:

1. საზღვრული და მსაზღვრელი ორივე მხოლოობითშია (კრეტსაბმელ-ი ტაძრისა-ჲ);

2. საზღვრული მრავლობითშია, მსაზღვრელი კი — მხოლოობითში (კრეტსაბმელ-ნ-ი ტაძრისა-ნ-ი).

3. საზღვრული მხოლოობითშია, მსაზღვრელი — მრავლობითში (კრეტსაბმელ-ი ტაძართა-ჲ).

4. საზღვრულიცა და მსაზღვრელიც — ორივე მრავლობითშია (კრეტსაბმელ-ნ-ი ტაძართა-ნ-ი)...

მაგრამ პირველი და მეორე, მესამე და მეოთხე ერთმანეთის მიმართ მხოლოობით-მრავლობითია და არსებით სხვაობას არ ამჟღავნებენ, ამიტომ ვამჯობინებთ გამოვყოთ ორი სახეობა, მიუხედავად იმისა, რომ ე. წ. მეოთხე შემთხვევა სტრუქტურულად დარღვეულია.

ეს ნიშნები ასეთ სურათს გვაძლევს:

პირველი სახეობა

მხოლობითი რიცხვი

წრფ.	კარ	ქალაქისა	
სახ.	კარ-ი	ქალაქისა-ჲ	
მოთხრ.	კარ-მან	ქალაქისა-მან	
მიც.	კარ-ხა	ქალაქისა-ხა	
ვითარ.	კარ-ად	ქალაქისა-დ	|| კარ-ად ქალაქის-ა
ნათ.	კარ-ის	ქალაქისა-ჲს	|| კარ-ის ქალაქისა
მოქმ.	კარ-ით	ქალაქისა-ჲთ	
წოდ.	კარ-ო	ქალაქისა-ო	

-ებ ნიშნიანი მრავლობითი რიცხვი

(მრავლობითშია საზღვრული)

წრფ.	კარებ	ქალაქისა	
სახ.	კარებ-ი	ქალაქისა-ჲ	
მოთხრ.	კარებ-მან	ქალაქისა-მან	
მიც.	კარებ-ხა	ქალაქისა-ხა	
ვითარ.	კარებ-ად	ქალაქისა-დ	|| კარებ-ად ქალაქისა
ნათ.	კარებ-ის	ქალაქისა-ჲს	|| კარებ-ის ქალაქისა
მოქმ.	კარებ-ით	ქალაქისა-ჲთ	
წოდ.	კარებ-ო	ქალაქისა-ო	

მრავლობითშია განსაზღვრების ფუძე

წრფ.	კარ	ქალაქებისა	
სახ.	კარ-ი	ქალაქებისა-ჲ	
მოთხრ.	კარ-მან	ქალაქებისა-მან	
მიც.	კარ-ხა	ქალაქებისა-ხა	
ვითარ.	კარ-ად	ქალაქებისა-დ	|| კარ-ად ქალაქებისა
ნათ.	კარ-ის	ქალაქებისა-ჲს	|| კარ-ის ქალაქებისა
მოქმ.	კარ-ით	ქალაქებისა-ჲთ	
წოდ.	კარ-ო	ქალაქებისაო	

მრავლობითშია საზღვრულიც და განსაზღვრებაც

წრფ.	კარებ	ქალაქებისა	
სახ.	კარებ-ი	ქალაქებისა-ჲ	
მოთხრ.	კარებ-მან	ქალაქებისა-მან	
მიც.	კარებ-ხა	ქალაქებისა-ხა	
ვითარ.	კარებ-ად	ქალაქებისა-დ	|| კარებ-ად ქალაქებისა
ნათ.	კარებ-ის	ქალაქებისა-ჲს	|| კარებ-ის ქალაქებისა
მოქმ.	კარებ-ით	ქალაქებისა-ჲთ	
წოდ.	კარებ-ო	ქალაქებისა-ო	

მრავლობითი რიცხვი -ნ და -თ ნიშნებით

წრფ.	—	—
სახ.	კარ-ნ-ი	ქალაქისა-ნ-ი
მოთხრ.	კარ-თა	ქალაქისა-თა
მიც.	კარ-თა	ქალაქისა-თა
ვითარ.	კარ-თა	ქალაქისა-თა
ნათ.	კარ-თა	ქალაქისა-თა
მოქმ.	კარ-თა	ქალაქისა-თა
წოდ.	კარ-ნ-ო	ქალაქისა-ნ-ო

წრფ.	—	—
სახ.	კარ-ნ-ი	ქალაქებისა-ნ-ი
მოთხრ.	კარ-თა	ქალაქებისა-თა
მიც.	კარ-თა	ქალაქებისა-თა
ვითარ.	კარ-თა	ქალაქებისა-თა
ნათ.	კარ-თა	ქალაქებისა-თა
მოქმ.	კარ-თა	ქალაქებისა-თა
წოდ.	კარ-ნ-ო	ქალაქებისა-ნ-ო

მ ე ო რ ე ს ა ხ ე ო ბ ა

მხოლობითი რიცხვი

წრფ.	კარ	ქალაქთა
სახ.	კარ-ი	ქალაქთა-ჲ
მოთხრ.	კარ-მან	ქალაქთა-მან
მიც.	კარ-სა	ქალაქთა-ხა
ვით.	კარ-ად	ქალაქთა-დ ‖ კარ-ად ქალაქთა
ნათ.	კარ-ისა	ქალაქთა-ჲსა
მოქმ.	კარ-ითა	ქალაქთა-ჲთა
წოდ.	კარ-ო	ქალაქთა-ო

მრავლობითი რიცხვი -ებ ნიშნით

წრფ.	კარებ	ქალაქთა
სახ.	კარებ-ი	ქალაქთა-ჲ
მოთხრ.	კარებ-მან	ქალაქთა-მან
მიც.	კარებ-სა	ქალაქთა-ხა
ვითარ.	კარებ-ად	ქალაქთა-დ ‖ კარებ-ად ქალაქთა
ნათ.	კარებ-ისა	ქალაქთა-ჲსა
მოქმ.	კარებ-ითა	ქალაქთა-ჲთა
წოდ.	კარებ-ო	ქალაქთა-ო

მრავლობითი რიცხვი -ნ და -თ ნიშნებით

წრფ.	—	—
სახ.	კარ-ნ-ი	ქალაქთა-ნ-ი
მოთხრ.	კარ-თა	ქალაქთა-მან

მიც.	კარ-თა	ქალაქთა-სა
ვითარ.	კარ-თა	ქალაქ-თა
ნათ.	კარ-თა	ქალაქთა-ჲსა
მოქმ.	კარ-თა	ქალაქთა-ჲთა
წოდ.	კარ-ნ-ო	ქალაქთა-ნ-ო

პ ი რ ვ ე ლ ი ს ა ხ ე ო ბ ა

§ 132. პირველი სახეობის დამახასიათებელი ნიშნები მხოლოობით რიცხვში. პირველი სახეობისათვის დამახასიათებელია შემდეგი: განსაზღვრების ფუძეა მხოლოობითი რიცხვის ან -ებ ნიშნიანი მრავლობითის ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი და იგი შეთანხმებულია ბრუნვასა და რიცხვში საზღვრულთან, ოღონდ ვითარებითსა და ნათესაობითში ფეხმოკიდებულია პარალელური ფორმები. ერთი მხრივ, ვითარებითში გვაქვს „კარად ქალაქისა“. მეორე მხრივ, „კარად ქალაქისად“. პირველი მოგვაგონებს ნათესაობით ბრუნვას. თუ მას ნათესაობითად მივიჩნევთ, მაშინ შეთანხმების საკითხი მოხსნილია, მაგრამ აქ საქმე გვაქვს დ სუფიქსის დაკარგვასთან (მაგ. კარად ქალაქისა ← კარად ქალაქისდა || კარად ქალაქისად: შდრ. სახელედვა ძედ კაცისად...: პალ. ალბ. 45,15; მოვიდა... ტაძრად უფლისა...: DE ლ 2,27 და ა. შ.)[106], ან ვითარებითი ბრუნვის ნიშნად -ა'ს (და არა და'ს) გამოყენებასთან[107]. ამ უკანასკნელზე მიუთითებენ საკუთარი სახელები. რომელთა ნანათესაობითარ ფორმაში -ა არის და იგი ემფატიკური -ა არ შეიძლება იყოს[108] (მაგ., აღვიდა იოსებცა გალილეაჲთ... ქალაქად დავითისა...: ლ 2.4). რაც შეეხება ნათესაობით ბრუნვას, აქაც ორი პარალელური ფორმაა: „კარისა ქალაქისაჲსა“ და „კარისა ქალაქისა“ პირველში ასახულია საზღვრულთან ბრუნვაში ურთიერთობა—შეთანხმება. მეორეში კი ორი მოსალოდნელი ფორმანტიდან ერთია

---

106 ვ. თოფურია, ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში: ენიმკის მოამბე, I, გვ. 181; მისივე: ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების სათხისათვის ქართულში. სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, გვ. 32.

107 არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: ენიმკის მოამბე, I, გვ. 9—31.

108 ა. შანიძე, ძველი ქართული ენა,... გვ. 280; სტ. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 25, 1943, გვ. 172—173; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრ. ფუნქციები... 379.

შემორჩენილი, განმეორების თავიდან აცილების მიზნით გამარტივებაა მომხდარი. პარალელური ფორმები ვითარებითსა და ნათესაობითში დამახასიათებელია პირველი სახეობის ყველა ფორმისათვის, როდესაც ნანათესაობითარი ფორმა მხოლოობით ან -ებ ნიშნიან მრავლობით რიცხვშია.

მრავლობითი რიცხვის -ებ ნიშანი შეიძლება ახლდეს საზღვრულს ან განსაზღვრებას, ან ორივეს ერთად. რიცხვში შეთანხმება უველგან გამორიცხულია: -ებ ნიშნიანი მრავლობითი ნანათესაობითარ განსაზღვრებას რიცხვში ვერ ითანხმებს. შეთანხმებას ადგილი აქვს მხოლოდ ბრუნვის მიხედვით. ამით აიხსნება -ებ ნიშნიანი მრავლობითის მსგავსება მხოლოობითთან: ბრუნვის ნიშნები უველგან ერთნაირია, შდრ. ფორმები: „კარი ქალაქისაჲ", „კარები ქალაქისაჲ", „კარი ქალაქებისაჲ" და „კარები ქალაქებისაჲ". უკანასკნელი მოიცავს მრავლობითი რიცხვის -ებ ნიშნიან საზღვრულსა და განსაზღვრებას, მაგრამ საზღვრულის მრავლობითით არაა გამოწვეული მრავლობითის ფორმა განსაზღვრების ფუძისა[109]. მრავლობითი რიცხვის -ებ ნიშანი ამ შემთხვევაში განსაზღვრების ფუძის შედგენილობაშია.

§ 133. წრფელობითი ბრუნვა. „წრფელობითი ბრუნვა" გაუფორმებელი ფუძეა და ამ შემთხვევაში იყენებს ნათესაობითი ბრუნვის ფორმას. ეს ფორმა ძველ ქართულში ემფატიკური ხმოვნის გარეშეც გვხვდება და ემფატიკური ხმოვნითაც. პირველი უფრო ადრინდელია, ვიდრე მეორე.

მაგალითად:

იქმნა იგი ძეგლ მარილის: დაბ. 19,26; ქაცთმოყუარებასა შენსა სოსელ ცხორების მექმენ მე: ჰილ-ეტრ. 1:5. შდრ. შემდგომად ამის სამისა წლისა იქმნა იგი ეკონომოს ლავრისა: კიმ. I,18,35: რომელი იგი ვნებულსა მას ექმნა მიზეზ სიწმიდისა: ტიმ. ანტ. 80.27.

§ 134. სახელობითი ბრუნვა. მართულ-შეთანხმებული განსაზღვრება სახელობით ბრუნვაში ორ ფორმას გვაძლევს. ეს ფორმები ემყარებიან ნანათესაობითარ ფუძეს, რომელიც ერთ შემთხვევაში ემფატიკური ხმოვნითაა (საზოგადო სახელებთან), მეორე შემთხვევაში — ემფატიკური -ა ხმოვანი არ ერთვის. ამის მიხედვით თვით სახელობითის ფორმაც ორია: -ი ნიშნიანი და -ჲ-იანი: ქჳშაჲ

---

109 ი. იმნაიშვილი. სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები... გვ. 622.

ქუეყანისაჲ (ვყო ნათესავი შენი ვითარცა ქვშაჲ ქუეყანისაჲ...: დაბ. 13,16), ასული ბათოელისი (ასული ბათოელისი ვარი მე... იქვე, 24,24).

ადრინდელ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში -ი ყველგან გაგებულია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის კომპონენტად. ანტონ პირველისა[110] და დავით ბატონიშვილის[111] გრამატიკებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნებად მიჩნეულია მხოლობითში: -ისი-, ისა,- სა, -ჲსა, -ჳსა, -ს და -სი და მრავლობითში: -თა, -თ, -ებისა, ების, -ებთა, -ებთ. ასეა ეს იესე ჩუბინაშვილის „ქართულ ღრამმატიკაშიც“[112] და ა. შ., ხოლო დ. ყიფიანის[113], ჰ. კვიცარიძის[114], თ. ჟორდანიას[115], ა. ბენაშვილის[116], მ. ჯანაშვილის[117], არ. ჭუთათელაძის[118], სილ. ხუნდაძის[119], ი. ნიკოლაიშვილის[120], დ. კარიჭაშვილისა[121] და სხვათა გრამატიკებში ბოლოხმოვნიანი არაკვეცადი სახელების ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად გამოცხადებულია -სი, მოქმედებითი

---

110 ანტონ I. ქართული ღრამმატიკა, თბილისი. 1885, გვ. 8—10; 134—135.

111 საღრამატიკოსო კელოვნება, შედგენილი მეფის ძის დავითის მიერ, 1832. სსრკ მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწ. განყ. E 4, Br. 113, გვ. 19.

112 იესე ჩუბინაშვილი. ქართული ღრამმატიკა, 1837, სსრკ მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწ. განყ. C 48, Br. 112, გვ. 4.

113 დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამმატიკა, სანკტ-პეტერბურღი, 1882, გვ. 31.

114 ქართული სწორმეტყველება, საშინჯი სახელმძღვანელო, შედგენილი ჰ. კვიცარიძის მიერ, 1888, გვ. 71.

115 ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი) თხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან, ტფილისი, 1889, გვ. 133.

116 მოკლე ქართული გრამმატიკა, შედგენილი და გამოცემული ანდრია ბენაშვილის მიერ. ტფილისი. 1894, გვ. 12.

117 მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1906, გვ. 16; 22.

118 პირველდაწყებითი ქართული გრამმატიკა, შედგენილი არ. ჭუთათელაძისაგან. მეოთხე გამ., ტფილისი, 1907, გვ. 42.

119 ქართული გრამატიკა, სრული კურსი, სილ. ხუნდაძის მიერ შედგენილი, მეოთხე გამოცემა, ქუთაისი, 1915, გვ. 36—37.

120 ი. ნიკოლაიშვილი, ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1929, გვ. 87.

121 დ. კარიჭაშვილი, ქართული ენის გრამატიკა, ტფილისი, 1930, გვ. 10—11.

ბრუნვის ნიშნად -თი. ნათესაობითთან -ის → -ი'ს შესაძლებლობას უშვებდა ნ. მარიც[122].

სულ სხვანაირად დგას საკითხი ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, სადაც უკვე -ი-ს დაშლილია ხმოვან და თანხმოვან ელემენტებად. თანხმოვნითი ელემენტი -ს საერთოა მიცემით-ნათესაობითისათვის, ხმოვნითი ელემენტი -ი- კი — ნათესაობით-მოქმედებითისათვის. ასევე რთულია -სი (და -თი). იგი შედგება ს და ი'საგან, აქედან ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია[123], მაგრამ „ისტორიული თვალსაზრისით... ამ ოდენობათა (მაგ., სახლ-ი, ძმ დავითის-ი) მოთავსება ერთ სიბრტყეზე არ შეიძლება"[124]... ამ შემთხვევაში „სახელობითის ი „ემფატიკური ი'ა", თუ შეიძლება ასე ითქვას"[125].

სახელობით ბრუნვაში შეთანხმება ყოველთვის გვაქვს.

მაგალითად:

იხილონ ძმ კაცისაჲ: ხანმ. მ 24,30; სანთელი გუამისაჲ არს თუალი: DE მ 6,22; იხილა მონამან დედაჲ მეუფისაჲ: კიმ. 1,6,22; მან მოიკსენა სიტყუაჲ იგი სახარებისაჲ: კოლ. წამ. 57,3.

ასევე:

ნეტარმან გრიგოლ თქუა სიტყუაჲ იგი დავითისი: ხანძთ. ეგ; იეზაბელს ხეგულებოდა დაპყრობად ვენაჯი იგი ნაბუთჱსი: ხანმ. მრავალთ. 138.

როდესაც მართულ-შეთანხმებული სახელი ნაწევრიანია, ნაწევარი ნათესაობითის ფორმით გვხვდება.

მაგალითად:

ამისთჳს ეწოდა სახელი ქალაქისაჲ მის სეგორ: დაბ. 19,22; კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის განიპო ორგან: მრ 15,38; ესე იყო პირველად სახელი ქუეყანისაჲ მის: საბა ას. 4,22.

---

[122] Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925, გვ. 21.

[123] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 68; ე. თოფურია, ქართული ენა, განაკვეთი III—IV, 1933, გვ. 41—42; მისივე: ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვების დაბოლოებანი: „ახალ სკოლისაკენ", № 7—8, 1929, გვ. 473.

[124] არნ. ჩიქობავა, ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, № 6, 1942, გვ. 621.

[125] იქვე.

§ 135. მოთხრობითი ბრუნვა. მოთხრობითი ბრუნვაში შეთანხმება ყოველთვის გვაქვს. საზღვრულიცა და მართულ-შეთანხმებული განსაზღვრებაც თანაბრად ირთავს -**მან** ნიშანს.

მაგალითად:

ცოლმან ჯოკიასმან მიართუა ღუნოჲ ჰიქითა: შუშ. VI,10; ნეტარსა ჰაბოს მიუწოდა მთავარმან მან აფხაზეთისამან: აბო. 67,4; ქმამან უღლისამან განამტკიცის ირემნი: სინ. მრ. 77.26.

§ 136. მიცემითი ბრუნვა. მიცემით ბრუნვაში საზღვრულიცა და განსაზღვრებაც თანაბრად ირთავს ბრუნვის ნიშანს -**ა** ემფატიკური ხმოვნითურთ. განსხვავებას ქმნის განსაზღვრების ფუძედ გამოყენებული ნათესაობითში დასმული საკუთარი სახელი, რომელსაც ემფატიკური ხმოვანი არ ახლავს.

მაგალითად:

გული უთქუმიდა მოღებად გჳრგჳნისა სიმართლისასა: კიმ. 1,27,22: მოსე აღვიდა მთასა მას ღმრთისასა: გამ. 19,3; მაშინ მოსცემდა წყალი იგი მკსინვარებასა სიცივისასა: ლიტ. ურთ. 185,8; თხარეს მონაო ისაკისთა ჯურღმული ჴევსა მას გერარონისასა: დაბ. 26,25.

მაგრამ:

შევიდა იგი სახლსა მარიამისსა: მოც. 12,12: განეცხადა სახლსა ფარაოჲსსა ნათესავი იოსეფისი: იქვე, 7,13.

შეთანხმება გვაქვს თანდებულიან ფორმებთანაც:

ზედა თანდებულიანი

მოვიდეს თავსა მას ზედა წყაროჲსასა: ლიტ. ურთ. 186,9; გაჩინთრეს იგი მთასა ზედა მის ქალაქისასა: კიმ. I,106,11; დაეშვნა აბრაჰამ ჯურღმულსა ზედა ფიცისასა: დაბ. 22,19.

თანა თანდებულიანი

არა წარსწყმდე უშჯულოებასა თანა ამის ქალაქისასა: დაბ. 19.15. სისხლი იგი სხუაჲ დასთხია ხარისხსა თანა მის საკურთხეველისასა: ლევიტ. 9.9.

შინა (||შიდა) თანდებულიანი

შემაგდეს მე სახლსა შინა საპყრობილისასა: არიმათ. 27,9; ეგრე იყოს ძჳ კაცისაჲ გულსა შიდა ქუეყანისასა: C მ 12,40, შდრ. DE: იყოს ძჳ კაცისაჲ გულსა ქუეყანისასა.

ორი სანის ერთად თავმოყრის შემდეგ ერთის დაკარგვით აიხსნება შეთანხმების დარღვევა ასეთ შემთხვევაში:

მიეიდეთ სახლსა მას აპაღონისა: კიმ. I,157,5; შეინანეს ქადაგებასა მას იონადსა: D მ 12,41, შდრ. E: შეინანეს ქადაგებასა მას იონადსსა

და ასე:

იქცევის.. საშოსა შინა მარიამისა: კიმ. I,182,21]. შდრ. გამოიხატავს თავსა თჳსსა მსგავსად ჩჩულთა საშოსა შინა მარიამისსა: იქნე. 182,28.

§ 137. ვითარებითი ბრუნვა. ცნობილია, რომ ვითარებითი ბრუნვის ნიშანს ნანათესაობითარი განსაზღვრება წარმოგვიდგენს ან სრული სახით, ან შეცვლილად. უკანასკნელი დამახასიათებელია ადამიანთა სახელებისათვის, მაგრამ ხშირია საზოგადო და გეოგრაფიულ სახელებთანაც. ორივე შემთხვევაში მართული განსაზღვრება ბრუნვაში შეთანხმებულია საზღვრულთან.

მაგალითად:

ვითარებითი ბრუნვის ნიშანი უცვლელადაა

მოვედ შენ სახლად მწუხარებისად: წარტყ. დფ5: განსწავლულნი იგი მოწაფენი მყის წარავლინნეს ქუეყანად სამცხისად: ზარზმ. 151.27.

ვითარებითი ბრუნვის -დ ნიშანი არ ჩანს

საზოგადო სახელები

შთაეედ შენ სახიდ მეკეცისა: ხანმ. ტექსტ. 373; მოუწოდა ყოველსამას კრებულსა ერისასა კარად კარვისა საწამებელისა: ლევიტ. 8.4: რომელი იგი სახედ მწკრისა იხილებოდა: ზარზმ. 160,24.

გეოგრაფიული სახელები

განუტეოს იგი მიერ ქუეყანად აფხაზეთისა: აბო. 65.15: მოიელინა გაბრიელ ანგელოზი... ქალაქად გალილეაჲსა: DE ლ 1.26 და სხვა.

ადამიანის სახელები

თეკლა შევიდა სახიდ ტროფიმჱსა: თეკლ. 120,27; აღმოვიდა იოსებ გალილეაჲთ... ქალაქად დავითისა: ლ 2.4: წარჰვიდა მთად კერძო მწრაფლ ქალაქად იუდაჲსა: DE ლ 1.39: მოვიდა იგი სენაკად მამისა იოვანჱსა: კიმ. I.19.35. შდრ. აწ იტყჳ ძედ დავითისად: შრაკალ. 257.21...

პარალელურ ფორმებში ვითარებითი და მიცემითი ერთმანეთს ენაცვლება. ასეა ეს სხვა შემთხვევაშიც. ამის გამო გვაქვს:

C	DE
მოვიდეს სახედ სიმონისა: მრ 1,29. მოვიდა სახიდ პეტრესა: მ 8.14 და ა. შ.	მოვიდა სახლსა სჳმონისსა. მოვიდა იესუ სახლსა პეტრესსა.

ამით აიხსნება მონაცვლეობა თვით საზღვრულსა და განსაზღვრებას შორის, მაგ.: განვიდა შუამდინარედ ქალაქად ნაქორისა: დაბ. 24,10.

ვითარებითი ბრუნვის ნიშანს ცვლილება მოსდის თანდებულის დართვის შემთხვევაშიც, მაგ.:

მოვიდეს თქუენ ზედა ყოველი სისხლი მართალი, დათხეული ქუეყანასა ზედა. სისხლითგან აბელის მართლისადთ მისისხლამდე ზაქარიასა: С მ 23,35. მოვიდე ვიდრე სახლადმდე ნეტარისა მის: ლიტ. ქრ. 213.

§ 138. ნათესაობითი ბრუნვა. ნათესაობით ბრუნვაში დასმული ნანათესაობითარი განსაზღვრება ძველ ქართულში ორი ფორმით გვხვდება: ან ირთავს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს და ამით ბრუნვაში შეთანხმებულია საზღვრულთან (მაგ., ძისა კაცისაჲსა), ან ბრუნვაში შეთანხმება არ ჩანს იმის გამო, რომ არ ერთვის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი (მაგ., ძისა კაცისა). ეს უკანასკნელი გამოწვეულია იმით, რომ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის დართვით ერთად თავს იყრის ორი ერთნაირი ნიშანი, ერთი ფუძის კუთვნილებად ქცეული და მეორე — ბრუნვისა. შეთანხმების დარღვევა მარტო უთანდებულო ფორმებთან კი არ შეინიშნება, არამედ თანდებულიანებთანაც[126].

მაგალითები:

განსაზღვრებას ერთვის ბრუნვის ნიშანი, შეთანხმება გვაქვს ბრუნვაში

ა) უთანდებულო ნათესაობითი

არა არს სხუა სიბოროტე უფროჲს სიბოროტისა დედაკაცისაჲსა: სინ. მრავ. 215,33: რაჲსა მკითხავთ მე იესუჲსთჳს, ძისა კაცისაჲსა ისტ. ქრ. 288,30; ეგრე ამაღლებად ჯერ-არს ძისა კაცისაჲსა: С и 3,14, შდრ. DE: აღმაღლებაჲ ძისა კაცისაჲ; უბრძანა მოწამისა ქრისტჱსისა შთაგდებად მღუმესა: მარტ. გულ. 217,14...

ბ) თანდებულიანი ნათესაობითი -გან

განვიდა იოსებ პირისაგან ფარაოჲსისა: დაბ. 41,46; გამოასხნეს ოგინი პირისაგან ფარაოჲსისა: გამ. 10,11; ვინ-მე გარდაგჳგორეოს ჩუენ ლოდი იგი კარისა მისგან სამარისაჲსაჲ? С მრ 16,3.

---

126 ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრ. ფუნქციები... გვ. 589; კიზირია, ნანათესაობითარი მსაზღვრელის ურთიერთობისათვის საზღვრულთან: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 329—336.

-თჳს

სახელისათჳს ქრისტჱსისა მოისრნეს იგინი: კიმ. II,25,12: მისცეს იგი აგარაკისათჳს მეკეცისაჲსა: C მ 27,10.

-ებრ

აღესრულჱნეს დღენი იგი განწმედისა მათისანი შჯულისა მისებრ მოსესისა: DE ლ 2,22, შდრ. აღეხსრულნეს... შჯულისა მისებრ მოსჱსისა (ხანმ.), მსგავსად შჯულისა მის მოსესისა (C) და სხვა.

განსაზღვრებას არ ერთვის ბრუნვის ნიშანი, შეთანხმება დარღვეულია

ა) უთანდებულო ნათესაობითი

ჯერ-არს ძისა კაცისა მიცემად კელთა კაცთა ცოდვილთასა ჯუარისცუმად: ხანმ. ლ 24,7; შემდგომად სიკუდილისა ბერისა აღწერენ სხუათა: კიმ. I,27,12; წარიყვანეს წინაშე მთავრისა მის ქალაქისა: კიმ. II,56.15; იყუნეს იგინი სახლისაგან და ტომისა დავითისა: მრავალთ. 269,1.

ბ) თანდებულიანი ნათესაობითი

-გან

ვინ გარდაგკგორვოს ჩუენ ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა: ხანმ. მრ 16,3; ემოსა იოვანეს სამოსლად აბრისაგან აქლემისა: DE მ 1,6: ამიერითგან არღარა ვსუა ნაყოფისაგან ამის ვენაკისა: ლ 22,18: დასცხრა ისაკ კურთხეისა მისგან იაკობისა; დაბ. 27,30; ყოველი ჴერიად განარინეთ პირისაგან მახჳლისა: ისტ. ქრ. 277,29; გამოუღო იგი პირისაგან მკეცისა: ბოლნ. 29,15.

-თჳს

რომელი მე მივსცე ცხორებისათჳს სოფლისა: DE ი 6,51, შდრ. C: რომელი მე მივსცე ცხორებისათჳს სოფლისაჲსა.

მისცეს იგი აგარაკისათჳს მეკეცისა: DE მ 27,10, შდრ. C: მისცეს იგი აგარაკისათჳს მეკეცისაჲსა.

მისცემდეს შჱნებისათჳს ეკლესიისა: არიმათ. 57,12.

-ებრ

მამამან გრიგოლ სარწმუნოებისაებრ მეფისა აღამჴნა მონასტერი: ხანძთ. კალ; ესჱ მჯდომნი არიან ურთი-ერთას სიტყჳსაებრ მოციქულისა: იქვე, ზვგ; თჳთ უმჯობესად უწყის ყოველი სიტყჳსაებრ სოლომონისა: ზარზმ. 164,21.

მიმართ

არა პრწმენა სახელისა მიმართ ძისა ღმრთისა: DE ი 3,18.

§ 139. მოქმედებითი ბრუნვა. მოქმედებითი ბრუნვა ყოველთვის შეთანხმებით აღინიშნება: მართული სახელი ბრუნვაში ეთანხმება საზღვრულს, ირთავს სათანადო ნიშანს და მართულ-შეთანხმებულად იქცევა ისე, როგორც ეს მართულ-შეთანხმებული განსაზღვრებისათვისაა დამახასიათებელი. შეთანხმება გვაქვს თანდებულის დართვის შემთხვევაშიც:

მაგალითად:

სიტყუად მისი იყო შეზაეებულ მარილითა მადლისადთა: ხანძთ. ბჟ: იგინიცა განბრწყინდეს საქმითა მოწაზონებისადთა: კიმ. I.15,13; ნათელ-ხცემდით მათ სახელითა მამისადთა: ხანმ. მ 28,19; განეიდეს წინაშე მისა სულითა და ძალითა ელიადსითა: DE ლ 1,17.

ასევე:

შეკრიბნეს რჩეულნი მისნი ოთხთაგან კართა კიდითგან ცისადთ: ხანმ. მ 24,31: მოწყდეს ყოველი პირმშოდ ქუეყანასა ეგჳპტისასა პირმშოდთგან ფარაოსით: გამ. 11,5.

მაგრამ შეთანხმების დარღვევაც შეინიშნება:

იწყო ნათლის-ცემითგან იოანჱსა: მოც. Ⴙ 1.22; შდრ. Ⴚ: იწყო ნათლის-ცემითგან იოვანესით.

§ 140. წოდებითი ბრუნვა. წოდებითში შეთანხმება ყოველთვისაა: მაგალითად:

ნეტარ ხარ შენ, სიმონ, ძე იონადსო: მ 16,17; იოსებ, ძე დავითისო, ნუ გეშინინ მიყუანებად მარიამისა: მ 1,20; თქუა იაკობ: ღმერთო მამისა ჩემისა აბრაჰამისო: დაბ. 32,9.

§ 141. მრავლობითი რიცხვი. მრავლობითი რიცხვის **-ებ** ნიშნიანი საზღვრული, როგორც წესი, განსაზღვრებას ვერ ითანხმებს რიცხვში. მართული განსაზღვრება ეთანხმება საზღვრულს მხოლოდ ბრუნვაში და ბრუნვის ნიშნებიც ისევე ერთვის ორივეს, როგორც მხოლობით რიცხვშია დართული. გარდა სახელობითისა ასეთი ფორმები იშვიათად გვხვდება სხვა ბრუნვებში.

მრავლობითი რიცხვის **-ებ** ნიშანი შეიძლება განსაზღვრების ფუძის შედგენილობაშიც აღმოჩნდეს, მაგრამ საზღვრულთან დამოკიდებულებას იგი ვერ შეცვლის, რამდენადაც სინტაქსური დამოკიდებულებისათვის მას მნიშვნელობა არა აქვს (მაგ., „უქმნე მას კილოები იაკინთისად“...: გამ. 26,4; „მიმართა კოლტმან მან ღორებისამან კბოდესა მას ზღუად“...: DE მრ

5,13, შდრ. „მოიღო მათგან... ტყავები ვერძებისაჲ“...: გამ. 25,5 და ა. შ.).

წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

სახელობითი ბრუნვა

მო-ვე-თხარა ისაკ ჯურღმულები იგი წყლისაჲ: დაბ. 26,18: წარ-ვიდეს ყოველი ცხენები სოდომისაჲ: დაბ. 14,11; შემუსრა უფალმან.. თავები ვეშაპისაჲ: ჰილ-ეტრ. 48: აღიღეს რტოები ფინიკისაჲ: C ი 12,13: განვიდოდა მისა ყოველი სოფლები ჰერიასტანისაჲ: DF. მრ 1,5.

მოთხრობითი ბრუნვა

დაგფაროს შენ აქლემებმან მადიამისამან: ესაია. 60,6[127].

ნათესაობითი ბრუნვა

ნათესაობითში ამ შემთხვევაშიც დარღვეულია ბრუნვაში შეთანხმება, მაგალითად:

მოსრულ იყუნეს ყოელისაგან დაბნებისა გალიღეაჲსა: ლ 5.17.

მოქმედებითი ბრუნვა

ყრმანი რტოებითა ბაბაჲსაჲთა ქებასა შესწირვიდეს: ჰილ-ეტრ. 131 V; წინა მიგეგებოდეს რტოებითა ბაბაჲსაჲთა: იქვე. 133.

-ნ და -თა ნიშნებიანი მრავლობითი რიცხვი აქაც რიცხვში შეთანხმებულ ფორმებს გვაძლევს: საზღვრული ყოველთვის ითანხმებს განსაზღვრებას რიცხვში[128]. ჩვეულებრივ რიცხვისა და ბრუნვის ნიშნებით წარმოდგენილია სახელობითი და წოდებითი, მხოლოდ რიცხვის ნიშანი აბლავს მოთხრობითს, მიცემითსა და ნათესაობითს. ეგევე ფორმები ივარაუდება ვითარებითთან და მოქმედებითთან.

ბრუნვის ნიშნის უქონლობა არაა დამახასიათებელი მხოლოდ ამ ფორმებისათვის. იგი ცალკე აღებულ სახელებთანაც ასევე გვაქვს და მიუთითებს უძველეს საფეხურზე. სახელობითი და წო-

---

[127] ი. იმნაიშვილი, საბელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 303.

[128] ბ. გრანდე ინტერესით აღნიშნავდა: სახლ-ნ-ი მამისა-ნ-ი'ს ტიპის ურთიერთობა გვხვდებაო ძველ ებრაულში. იგი მას მიაჩნდა ძველ ებრაულში იაფეტური ფენის გამოვლინებად. Б. Гранде, Из языковых схождений иберов Кавказа и Палестины. Родительный падеж с отношением в грузинском древнелит. и древнелитературном еврейском языках: Доклады АН СССР, № 2. 1931. გვ. 15—17.

დებითი ამ შემთხვევაში ცალკე დგას — ორივე ბრუნვა შედარებით ახალი წარმოშობისაა[129].

მაგალითები:

სახელობითი ბრუნვა

მაშინ პიტყებდენ ყოველნი ტოჰმნი ჭუეყანისანი: ხანმ. მ 24,30; უყუარან მას ხილად დღენი კეთილისანი: სას. პ. კდგ; მოცემულ არიან ჩემდა დღენი სალმობისანი: იობ. 30,16; მართუენი ყანჩისანი მაღალსა ფრინჳენ· იქვე 5,7; გარდაიქცეს ყოველნი წყალნი მდინარისანი სისხლად: გამ. 7.20; ძენი იაკობისნი მოვიდეს ველად: დაბ. 34.7.

ასევე:

მოიწინეს დღენი სიკუდილისა იაკობისნი: დაბ. 47,29; უთხრნეს რებეკას სიტყუანი ესე ძისა მისისა უხუცესისანი: იქვე, 27,42.

მოთხრობითი ბრუნვა

თხარეს მონათა ისაკისთა ჯურღმული კეესა მას გერარონისასა: დაბ 26,25; მიისწრაფეს ყოველთა მკჳდრთა ქალაქისათა თიატრონად: კიმ. II.25,4; მოართუეს ძეთა აჰრონისთა სისხლი იგი მათი მამასა მათსა: ლუევიტ. 9,18; ლეკუთა ლომისათა დაუტევეს ერთმან ერთი: იობ. 4,11.

ასევე:

შეიპყრნეს იგინი მკედართა სჯროს მძლავრისა უკეთურისათ: კიმ. I,109,17.

მიცემითი ბრუნვა

ეტყოდე შენ ძეთა ისრაჱლისათა: ლევიტ. 4,2; მეცა გითხრობ თქუენ სიტყუათა გლოვისათა: წარტყ. ლ23; მოიწია იგი საზღუართა ქართლისათა: შუშ. II,2; მე დაეშთი ეკალთა შინა ვარდისათ: ისტ. კრ. 270,21; იხილონ ძჱ კაცისაჲ მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა: ხანმ. მ 24,30; საყდართა ზედა მოსესთა დასხდომილ არიან მწიგნობარნი: С м 23,2, შდრ. DE: საყდართა მოსესთა დასხდენ მწიგნობარნი.

ასევე:

მსიარულებაჲ მოეფინა ყოველთა ზედა შვილთა მართლისა სარწმუნოებისათა: საბა ას. 19,7; საკურთხეველი იგი ნაყოფთაჲ დადგა ქართა თანა კარვისა მის საწამებელისათა: გამ. 40,26; მკლავთა ზედა ასულისა დაითისთა პატივიცემები: კიმ. I,175,26.

---

[129] არნ. ჩიქობავა, მრავლობითის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, 1954, გვ. 73—74.

ვითარებითი ბრუნვა

ვახილე უღმრთოჲ აღმაღლებული ნაძუთამდე ლიბანისათა: ზარზმ. 159,22; რომელნი იგი მოსპნა ღმერთმან პირისაგან მამათა ჩუენთაჲსა დღეცა ვათმდე დავითისთა: მოც. 7,45.

ნათესაობითი ბრუნვა

რომელი მოიყიდეს ძეთაგან ისრაჱლისათა: D მ 27,9, შდრ. რომელ-იგი სასყიდლის ყვეს ძეთა ისრაჱლისათა.

წოდებითი ბრუნვა

მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო: მ 25,34.

მეორე სახეობა

§ 142. მეორე სახეობის დამახასიათებელი ნიშნები. მეორე სახეობის განსაზღვრების ფუძედ მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელია -თა დაბოლოებით. საზღვრულთან ბრუნვაში ურთიერთობა მჟღავნდება ამ ფუძეზე დართული ნიშნებით, მაგრამ არა გვაქვს რიცხვში შეთანხმება. მრავლობით რიცხვში შეუთანხმებლობის გვერდით შენიშნულია რიგი თავისებურება, რომელიც წარმოშობილია ბრუნვაში შეთანხმების დარღვევის შედეგად.

ამ სახეობას ცალკე ერთეულად გამოყოფს განსაზღვრების ფუძე და ბრუნვასა და რიცხვში მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა. დაპირისპირება მხოლობითსა და მრავლობით რიცხვს შორის აქ უფრო სხვანაირია, ვიდრე პირველ სახეობაში.

§ 143. დამოკიდებულება მხოლობით რიცხვში. მხოლობით რიცხვში ბრუნვის ნიშანს ერთნაირად ირთავს საზღვრულიც და განსაზღვრებაც. ბრუნვაში მართული განსაზღვრება აქაც მართულ-შეთანხმებული ხდება და ბრუნებისას გვაქვს ასეთი ფორმები:

წრფელობითი

იქმენ მორჩილ ეშმაკთა: ტიტ. ანტ. 70,17.

სახელობითი ბრუნვა

მე მიგიძღუანო შენ თიკანი თხათაჲ: დაბ. 38,17; მოიწია თავი იგი ეპისკოპოსთაჲ: შუშ. XVII.1; ბრძანა შეკრებაჲ ყოველთა მჴეცთაჲ: კიმ. 11,24,28; იყო მუნ კოლტი ღორთაჲ: DE მრ 5,11, შდრ. C: იყო მუნ კოლტი ღორებისაჲ...

მოთხრობითი ბრუნვა

პრქუა მეფემან სოდომელთამან აბრაჰამს: დაბ. 14,21: მეფემან ბერძენთამან დიდძალი ნიჭი უძღუანა მეფესა სპარსთასა: მარტ. გულ. 226,13.

მიცემითი ბრუნვა

იყო იერუსალჱმს მონასტერი მთასა ზეთისხილთასა: წარტყ. კგჳ: მოგაგენ მოსაგებელი კეთილი სასუფეველსა მას ცხოველთასა: Опис. 21: შეუდეგ შენ კუალსა სამწყსოთასა: იპოლ. 7.56; წარავლინეს იგი ალექსანდრიად გუნდსა თანა ისაურელთასა: კიმ. II.141,16; დაამკუა აპოლონი სახლსა მას შინა კერპთასა: კიმ. I,157,12; შეწიროს მღდელმან მან სასურთხეველსა მას ზედა ნაყოფთასა: ლევიტ. 4,10.

ვითარებითი ბრუნვა

ნუ დაეტეოთ ეშმაკთა მაგათ ჭალაჭსა ამას... უღმერთოებად კაცთა: კიმ. I,191.16; ნუ დაბწერ მეუფედ ჰურიათად: ხანმ. მრავ. 138.

ნათესაობითი ბრუნვა

შემდგომად ჰირისა მის მათ დღეთაჲსა მზე დაბნელდეს: მ 24,29; იჴმნა მეფისაგან სპარსთაჲსა პიტიახშმან: შუშ. II.1; შეეშინა პატიჟისაგან ღმერთთაჲსა: ლიტ. ურთ. 138.4; ეერეინ განცხადებულად იუყოდა მისთჳს შიშისათჳს ჰურიათაჲსა: С и 7.13.

მოქმედებითი ბრუნვა

ნუ აჰმაღლები ქებითა კაცთაჲთა: მამ. სწ. 10.2; ქელითა მოცრ-ქულთაჲთა იქმნებოდა სასწაულებ: მოც. 5.12; განისწავლა მოსე ყოველ-თა სიბრძნითა მეგჳპტელთაჲთა: იქვე. 7.22; აღიღნეს სიხლითა კაცთა მათ მართალთაჲთა: კიმ. II,106,13.

წოდებითი ბრუნვა

მამაო ჩუენო ზეცათაო, წმიდა იყავნ სახელი შენი: ლ 11.2: მწყალობელო ძეთა კაცთაო, შემიწყალე მე უძლური ესე სენითა დაფარულითა: მამ. სწ. 62,21.

ივ. იმნაიშვილს თავის მონოგრაფიაში („სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში") ვრცლად აქვს მიმოხილული ბრუნვაში შეთანხმების დარღვევის შემთხვევები ვითარებითში, მიცემითსა და ნათესაობითში*. აღნიშნულია, რომ ვითარებითში, შეინიშნება ბრუნვაში შეთანხმების სამი სახის დარღვევა. ჯერ ერთი, შეიძლება დაიკარგოს განსაზღვრების ბრუნვის ნიშანი, მაგ., „ნუ დაბწერ მეუფედ ჰურიათად" (ხანმ. მრავალთ.), მაგრამ „ნუ დასწერ მეუფედ ჰურიათა": DE и 19,21 და, მეორე. ნანათესაობითარმა ვითარებითმა ვითარებითი ბრუნვის ნიშნის მაგივრად დაირთოს ნათესაობითის ან მიცემითის ნიშანი:

მაგალითად:

დაუტევა იერუსალჱმელთა ზღუდედმდე ურაკპარაკთაჲსა: ნეემია. 3.7. გამოვედ... კიდრე ბჭედმდე წყაროთასა: ხეემია, 2,13[130].

---

* ამიტომ ზედმეტად მიგვაჩნია ამ მომენტზე ყურადღება შევაჩეროთ.

[130] ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები... გვ. 594

მიცემითი ბრუნვის ნიშნის მაგივრად ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ერთვის საზღვრულს, მაგ.:

ს ა ძ ა ე ლ ს ა ს მ ო ა ბ ე ლ თ

რაც შეეხება ნათესაობითს, ვითარებითი ბრუნვის ნიშნის მსგავსად, განსაზღვრებას შეიძლება არ დაერთოს ბრუნვის ნიშანი. მაგ.: „სიმრავლისათჳს ცოდვათა მათთაჲსა და განყოფილებისა ნ ი ბ ა თ ა მ ა თ თ ა“: თარგმ. გამოცხ. 19.19[132].

ბრუნვის ნიშნის დაურთველობა ამ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო რამდენიმეჯერ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის განმეორების გამო.

§ 144. დამოკიდებულება მრავლობით რიცხვში. მრავლობითი რიცხვი რიგ თავისებურებას იჩენს იმის მიხედვით, ნაწარმოებია იგი **-ებ** ნიშნით თუ **-ნ** ნიშნით. **-ებ** ნიშნიანი მრავლობითი საერთოდ მხოლობითს ეტოლება მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობისას: ასეთი საზღვრული განსაზღვრებას რიცხვში ვერ ითანხმებს. ასეა ეს საერთოდ. ეგეც წესი მეორდება ნანათესაობითარი სახელის მიმართაც, რომლის ფუძე წარმოადგენს მრავლობითი რიცხვის **-თა** ნიშანდართულ სახელს. აქაც მრავლობითი რიცხვის **-ებ** ნიშნიანი საზღვრული ბრუნვაში ითანხმებს განსაზღვრებას. რომელიც ამ შემთხვევაში ირთავს მხოლოდ ბრუნვის ნიშანს. მართალია, მსგავსი მდგომარეობა გვაქვს **-ნ** ნიშნიან მრავლობითთანაც. ამით ორივე მრავლობითი ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ **-ებ** ნიშნიან მრავლობითზე როცა ვმსჯელობთ, ვითვალისწინებთ მსაზღვრელ-საზღვრულის სხვა ფორმებს.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა

ასა-ესერა მოვიდოდა მკედრები კრებულთაჲ: ესაია, 21.9; დამკჳდრენ ნათესაჲსაჲ შეხმან ქალაქები იგი მტერთაჲ: დაბ. 24,60: ვაღაჳხილენით გუამები იგი მოწამეთაჲ: კიმ. 1.42.10: უბრძანა შთადებაჲ ძ უ ა ლ ე ბ ი მკუდართაჲ: ბალ. 33.7.

მ ი ც ე მ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა

აშენებაჲ თჳუენ საფლავებსა მას წინაწარმეტყუელთასა: C მ 23.29. შდრ. აღაშენებთ საფლავთა წინაწარმეტყუელთასა: DF: აღაშენებთ საფლავსა წინაწარმეტყუელთასა: DE ლ 11.47.

---

[131] სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები..., ვვ. 594.

[132] იქვე, გვ. 595.

რომელნი შეშჯამენ სახლებსა ქურიეთასა: DE მრ 12,40; შდრ. რომელნი შეშჯამენ სახლთა ქურიეთასა: C; რომელნი შეჯამენ სახლსა ქურიეთასა: C ლ 20,47.

ღაესეა კერთხები იგი ისარნებსა მას წყლის სასუმელთასა: დაბ. 30,38.

ნათესაობითი ბრუნვა

გამოიტაცნეს ყრმანი იგი მძლავრობით სახლებისაგან ქრისტეანეთაჲსა დიდითა შეურაცხებითა: ლიტ. ურთ. 185,19.

მოქმედებითი ბრუნვა

შინაგან სასე არიან ძუალებითა მკუდართაჲთა: მ 23.27.

რიცხვში შეთანხმების ერთი საინტერესო შემთხვევაა შენაშნული ძველ ქართულში: -ებ ნიშნიანი საზღვრული ითანხმებს განსაზღვრებას და აჩენს ნ ნიშანს, მაგ., „აჰა ესერა, ამიჴრითგან მნატრიდენ მე ყოველი თესლები ქუეყანისანი“: C ლ 1,48. შდრ. DE: „მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი“, მაგრამ ასეთი იშვიათი ფორმა ვერ მიიჩნევა ძველი ქართულის დამახასიათებელ ნიშნად.

თავისებურია ნარ-თანიანი მრავლობითი რიცხვის ფორმები. აქ მოსალოდნელი იყო ბრუნვასა და რიცხვში შეთანხმება. ასეთი შეთანხმება გვაქვს კიდეც სახელობითსა და წოდებითში (კარ-ნი ქალაქთა-ნ-ი, კარ-ნ-ო ქალაქთა-ნ-ო), მაგრამ არა გვაქვს სხვა ბრუნვებში (მოსალოდნელი იყო „კარ-თა ქალაქთა-თა“), სამაგიეროდ გვაქვს რიცხვში შეუთანხმებელი ფორმები („კარ-თ ქალაქთა-სა“...). არეულია ბრუნვაში შეთანხმების წესიც. ამ საკითხს არაერთგზის მიუქცევია მკვლევართა ყურადღება[133].

---

[133] G. Deeters, Armenisch und Südkaukasisch: Caucasica, 4, 1927, გვ. 36—37; 48—49; F. Zorell, Grammatik zur altgeorgischen Bibelübersetzung. Roma, 1930, გვ. 27—28; К. Д. Дондуа, К вопросу о родительном эмфатическом в древнелитературном грузинском языке: Известия АН СССР, отд. гум. наук, 1930, № 3, გვ. 195—209; მისივე: Об агглютинативном характере грузинского склонения: Доклады АН СССР, 4, 1931, გვ. 63—68; სტ. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: თბილისის სახ. უნ. შრ., XXV, 1943, გვ. 186; ლ. კიკნაძე, მართული მსახურველის სახელურთან შეუთანხმებლობის შემთხვევები ძველ ქართულში: თბილისის უნ. შრ., 45, გვ. 205—223; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 585—616.

დადგენილია, რომ ძირითადია ბრუნვაში შეთანხმებული ფორმები. მაგრამ მის გვერდით შეუთანხმებელი ფორმებიცაა. შეუთანხმებლობის შემთხვევაშიც დაცულია კანონზომიერება. ამ კანონზომიერების მიხედვით მოთხრობით ბრუნვაში დასმული განსაზღვრება ირთავს **-მან, -ს-ა, -ძს-ა** ნიშნებს ან სრულებით უნიშნოა.

ასევე:

მიცემითისათვის დამახასიათებელია **-ს-ა, -ძს-ა** ან ნული;
ნათესაობითისათვის — **-ძს-ა, -ს-ა** ან ნული;
მოქმედებითისათვის — **-ძთ-ა**;
ვითარებითისათვის — **-ს-ა** და ნული[134].

მაგალითები:

სახელობითი ბრუნვა

განწმიდნა გონებანი კაცთანი საცთურისაგან კერპთ-მსახურებისა: ქიმ. 1,124,10.

გუნდნი ანგელოზთანი დაუდუმებელად გაჰგებენ: იქვე. 175,29

მეფენი ნათესავთანი შეგან გამოვიდოდიან: დაბ. 17,16...

მოთხრობითი ბრუნვა

განსაზღვრებას ერთვის ბრუნვის ნიშანი **-მან:**

აგვი მართალთამ, ცხაიცკეს ღვინო: იგვ. 14,2[135]

განსაზღვრებას ერთვის ბრუნვის ნიშნად **-ს-ა:**

იხილეს იგი ძეთა მათ წინაწარმეტყუელთასა: თუალთ. 33.24[136].

-ძს-ა:

სულთა ყრმათა ჩჩკლთაძსა სულთ-ითქუნეს დიდად: იობ. 24,12[137].

არ ერთვის ბრუნვის ნიშანი:

ძეთა ქალთა განგუჰრნეს იგინი: იუდ. 16,12[138].

---

[134] ეს საკითხი ვრცლად შესწავლილია ი. იმნაიშვილის მიერ. მასვე აქვს მოცემული არსებული ლიტერატურის მიმოხილვა (სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 597—615). ამიტომ ამაზე აქ არ შევჩერდებით. წარმოვადგენთ ნახლოდ ნიმუშებს.

[135] ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება... გვ. 599.

[136] იქვე, გვ. 600.

[137] იქვე, გვ. 601.

[138] იქვე.

მიცემითი ბრუნვა

განსაზღვრებას ერთვის ბრუნვის ნიშანი -ს-ა:

შეიტყეს პირთა მათ ხელთასა: ბალ. 37.3; ჯერ-არს ძმ კაცისა მიდ ქელთა კაცთასა: DE მ 17.22; ძაღლნი განიოფებულნი კორცთა მორწყულნითაა ცხელითა ძოშვებულა: წერტყ. ივი...

ბრუნვის ნიშანია -ნს-ა:

ძეუც იყო... ქელთა ასურასტანელთაგანსა: ეზეკია 23.9139.

ვანსაზღვრებას არ ერთვის ბრუნვის ნიშანი:

რომელი-იგი შევარდა ქელთა აგაზაკთა: C ლ 10.36; წამნი მისნი გარეულთხუენ ძეთა კაცთა: ფსალმ. 10,4140.

ვითარებითი ბრუნვა

ვანსაზღვრებას ან არ ერთვის ბრუნვის ნიშანი, ან ერთვის -ს-ა:

გამოკდა სისხლი საწუთელისა მისგან ვიდრე აღკრთამდის ცხენთა: თარგმ. გამოცხ. 14.20141.

მაგრამ:

. დავჰოწნეს მათ და შვილთა მათთა ვიდრე მეფეთამდე სპარსთასა: 2 ეზრა. 1.57142.

ნათესაობითი ბრუნვა

განსაზღვრებას ერთვის ბრუნვის ნიშანი -ნს-ა:

ორნე მწრაფლ გამოჰმნაი წესთა მათგან ქრისტეანეთანსა: გელ. 214.13.

ბრუნვის ნიშანია -ს-ა:

განარინე ენებელი ქელთაგან მაენებელთასა: ზირაქ. 4.9143.

არ ერთვის ბრუნვის ნიშანი:

სხუათა მათ კმათაგან საყვირთასა სამთა მათ ანგელოზთა: გამოცხ. .13144.

მოქმედებითი ბრუნვა

განსაზღვრებას ერთვის ბრუნვის ნიშანი -ით-ა:

ოგრაგნეს ჩეტარი იგი თჳსითაეე სამოსლითა, მას შინა საკუმეველით ხელნელთა ანთა: ლიტ. ურთ. 131,20.

---

[139] ი. იმნაი შეილი,სახელთა ბრუნება..., გვ. 604.
[140] იქვე, გვ. 605.
[141] იქვე, გვ. 607.
[142] იქვე, გვ. 608.
[143] იქვე, გვ. 606.
[144] იქვე, გვ. 607.

ნ ა თ ე ლ ი ა ნ ო ბ ი ს ა ს ი ტ ყ ვ ა ს ა

მრავალგანსაზღვრებიანი საზღვრული

§ 146. მრავალგანსაზღვრებიანი კომპლექსის სინტაქსური თავისებურებანი. შეიძლება ერთ საზღვრულს ახლდეს ბრუნვასა და რიცხვში შეთანხმებული რამდენიმე განსაზღვრება. იგივე საზღვრული მართულ ან მართულ-შეთანხმებულ განსაზღვრებად გადაიქცევა, თუ დავურთავთ მეორე საზღვრულს. მაგ.: „განდიდნა სახელი ნეტარისა მამისა გრიგოლისი“: ხანძთ. კთ. აქ ნეტარი მამად გრიგოლი მთლიანი ბირთვია, რომლის ორი განსაზღვრება — ნეტარი და მამად შეთანხმებულია საზღვრულთან (გრიგოლი). როგორც კი ახალი საზღვრული გაუჩნდება მას, ამ შესიტყვების საზღვრული მის მსაზღვრულად გადაიქცევა. ახალი საზღვრული წარმართავს სიტყვათა ურთიერთობას: თუ ბოლოში დაერთვის, საზღვრული იქცევა ბრუნვაში მართულ განსაზღვრებად და მისი მსაზღვრელებიც მას ეთანხმებიან ნათესაობითში, თუ წინ დაერთვის — მართულ-შეთანხმებულად. ამ უკანასკნელს როცა მოსდევს შეთანხმებული განსაზღვრება, იგი ირთავს ორ ბრუნვის ნიშანს. მართულ-შეთანხმებული მაინც ძველი საზღვრულია.

მაგალითები:

ვანდიდე დღეს სასენებელი ღირსისა შენისა ლაზარეჲსი: პილ-ეტრ. 126V: შემცგომად ამისსა გამოიღეს წმიდაჲ იგი გუამი წმიდისა მოწამისა იულიანჱსი: კიმ. I,124,23, შდრ. არა განმეღო მე კარიესე ჭეშმარიტისა ბნელისაჲ: წარტყ. 85ა.

ასევე:

გუშინ ბრძანა ძლიერებამან კელმწიფებისა თქუენისამან შეჰყრობად კაცნი: კიმ. II,33,11: მოვედ ეკლესიასა წმიდისა მოწამისსა გიორგისსა: წარტყ. 2ბ13: ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲსითა ვყავ ესე: კიმ. II,171,3: გცეთ შენ სახელითა იესუ ქრისტჱს ნაზარეველისაჲთა: მოც. Ш 3.6, შდრ. Ч: სახელითა იესე ქრისტე ნაზარეველისაჲთა...

ასევე:

ნუცა წარმწყმედ ჩუენ კელითა მტერთა შენთაჲთა: წარტყ. ითვ. რიცხვშიც შეთანხმებაა:

დღენი დღეასწაულთა თქუენთანი დაიცევნით: მრავალთ. 288,26.

სიტყვათა ურთიერთობაში გვაქვს მართვაც და შეთანხმებაც, ისე, რომ სინტაგმათა ზოგი კომპონენტი ერთმანეთს მართვით უკავ-

შირდება, ზოგი — შეთანხმებით. მაგრამ პირველს მაინც უკანასკნელი ეთანხმება.

მაგალითად:

ამისმან ძმამან გელასი დაიპყრა მამასახლისობაჲ ნეტარისა სა-
ბაჲს ლავრისა დიდისაჲ: კიმ. II,211,26.

შე-ვიწმე-იწყნარა იგი ყაბადუკმან ბერმან ნეტარისა პ:სარ-
ონის მონასტრისამან: იქვე, 144,1.

ასეთივეა:

მაშინ მიუგო მოწამემან ქრისტჱსმან წმიდამან ბასილ:: კიმ. I,7,9.

§ 147. ბრუნვის ნიშანთა კონცენტრაცია. ყოველი განსაზღვრება საზღვრულთანაა დაკავშირებული. ეს დაკავშირება სინტაქსურია და იქმნება დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსების მეშვეობით. ატრიბუტული და მართული განსაზღვრებები თითო აფიქსს ირთავენ, მართულ-შეთანხმებული კი ერთს, ორს ან მეტს. ყოველ მათგანს თავისი დანიშნულება აქვს. აფიქსთა რაოდენობა დამოკიდებულია განსაზღვრულ სიტყვათა რაოდენობაზე და მასში თავმოყრილია მართვისა და შეთანხმების აღმნიშვნელი აფიქსები პირველადს თუ მეორეულ საზღვრულთან. მაგალითად, შესიტყვებაში „შევიდეს მწიგნობარნი იგი ძეთა ისრაჱლისათანი წინაშე ფარაოჲსსა“ (გამ. 5,15) „ისრაჱლისათანი“ უკავშირდება ძეთა'ს მართვა-შეთანხმებით. პირველი -ისა მართვის შედეგად დაერთვის, მმართველია ძე. -თა სუფიქსით განსაზღვრება შეთანხმებულია იმავე ძე'სთან („ძეთა ისრაჱლისაჲ“), შემდეგ კი ნ სუფიქსით შეთანხმებულია მეორე საზღვრულთან („მწიგნობარნი“) რიცხვში და -ი სუფიქსით კი ბრუნვაში შეთანხმებაა იმავე საზღვრულთან[146]. უკანასკნელი განსაზღვრება ყოველთვის მრავალნიშნიანია. ბრუნვის ნიშანთა თავმოყრა ამ შემთხვევაში შემთხვევითი არაა. თუ დავაკვირდებით სიტყვათა წყობას, ეს ბუნებრივიცაა იმიტომ, რომ მის წინ მისი პირველადი საზღვრულია, რომელთანაც სინტაქსური ურთიერთობაა დამყარებული, კიდევ უფრო წინ კი მეორე (და შესიტყვებაში უკვე მთავარი) საზღვრული, რომელთანაც სინტაქსურად დაქვემდებარებულია უკანასკნელი განსაზღვრება.

---

[146] ამ რთულ სინტაქსურ ურთიერთობაზე ყურადღება აქვს გამახვილებული ი. იმნაიშვილს (სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 623—631). მის მიერვე დადასტურებულია ე. წ. სამმაგი ბრუნების 8 შესაძლებელი კომბინაცია.

ორივე საზღვრულთან სინტაქსური ურთიერთობა გამოვლენილია უკანასკნელ განსაზღვრებაში.

ვიემართოთ ნიმუშებს:

მხოლობითი რიცხვი

სახელობითი ბრუნვა

წარღის გვამი იგი მონისა მის ქრისტჱსისაჲ: კომ. 1,123,25, შდრ. მოუკუდეს საცხოვართაგანი ძეთა ისრაჱლისათაჲ: გამ. 9,4; წარავლინა მოკუდა ქაბუკები იგი ძეთა ისრაჱლისათაჲ: გამ. 24,5; ქმნა მისგან... ხარისხები ათ ათ ზედა ათასთაჲ: იქვე, 39,9...

მოთხრობითი ბრუნვა

შეჰრმან უფლისა საბაოთისმან ყო ესე: ესაია. 9,7, შდრ. ყოველმან ვრებულმან ძეთა ისრაჱლისათამან ყოს ესე: გამ. 12,47 და ა. შ.

მრავლობითი რიცხვი

ააფასენი ყოველთა მეფეთა ქუეყანისათანი ფრიად ნაკლულ... არიან: ვ... სწ. 168,16: შეკრიბნეს მოხუცებულნი ძეთა ისრაჱლისათანი: გამ. 4,29: უპატიოსნჱს იყუნეს... ძუალნი იგი მოწამეთა მათ ქრისტჱს ღმრთისა ჩუენისათანი: კომ. I.113,30.

§ 148. სინტაქსური ურთიერთობის დარღვევა. ორმაგად მართულ-შეთანხმებული სახელი ჩვეულებრივად სამი ბრუნვის ნიშანს ირთავს... ამისი არა ერთი ნიმუში იყო დასახელებული. მაგრამ ყოველთვის ეს ასე არ არის. ასეთ შემთხვევაში განსაზღვრება ნაწილობითის ორ ნიშანს ვარაუდობს, ოღონდ ერთნაირი ფორმანტების შეხვედრის თავიდან აცილების მიზნით რჩება მხოლოდ ერთი, რის შედეგადაც ნორმალური ურთიერთობა დარღვეულია და ორმაგად ნართულ-შეთანხმებული განსაზღვრება ემსგავსება მართულ-შეთანხმებულ განსაზღვრებას. ასე. მაგალითად, წინადადებაში „გამოჩნდეს ნიში ძისა კაცისაჲ“ (ხანმ. მ 24,30) „კაცისაჲ“ მართულია „ძე“ სიტყვის მიერ ბრუნვაში („ძჱ კაცისაჲ“), შემდეგ კი „ძე“ მართულია „ნიში“-ს მიერ ბრუნვაში. თავისი განსაზღვრებითურთ და შეთანხმების დაცვით უნდა გვქონოდა „ნიში ძისა კაცისაჲსაჲ“, სადაც უკანასკნელი სიტყვა „კაცისაჲსაჲ“ ბრუნვაშიც ეთანხმება ძე-სთან ერთად ახალ საზღვრულსაც იმ პირობით, რომ ბრუნვის ნიშანს ირთავს თვითონ, როგორც პოსტპოზიციური განსაზღვრება.

ასეთია მდგომარეობა სხვა შემთხვევაშიც:

ესე არს ძეგლი საფლავისა რაქელისი: დაბ. 35.20: ფრიად ღაღადებაჲ სიხარულ იგი მონისა ღმრთისაჲ: კომ. I.6.28: ოხვანიაჲ სულიერებისა ჰრისაჲ მის ეარსო იყო: კომ. II,106,16 და ა. შ.

სინტაქსური ურთიერთობა დარღვეულია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ორმაგად მართული სახელი სხვა ბრუნვაშია.

მაგალითად:

დაასრულა... მეექუსესა წელსა მეფობისა იუსტინიანესსა: კომ. II,207.26: მეცხრესა წელსა მეფობისა კოსტაჲს ძისა ესერისა პერაკლესსა ეუწყა მას ყოველი: კომ. I.68,17; განწმიდე გულსა ესე დათხევისაგან სისხლისა უბრალოჲსა მონათა შენთაჲსა: იქვე. 122,29; აღიბეჭდნეს თავნი თჳსნი ძლიერებისა ბეჭდითა ჯუარისაჲთ ნიშნისა სუფლოჲსა პატიოსნისა ჯუარისაჲთა: ხანძთ. 317 და სხვა.

ამ შემთხვევაში დარღვეულია ბრუნვაში შეთანხმება და იგი კანონზომიერი მოვლენაა მაშინ, როდესაც განსაზღვრება ორმაგ სინტაქსურ კავშირში იმყოფება პირველადს თუ მეორეულ საზღვრულთან.

§ 149. საზღვრულის დაკარგვა. განსაზღვრება ახლავს სათანადო საზღვრულს, მას განსაზღვრავს. სინტაქსური ურთიერთობაც მყარდება საზღვრულთან. ამ ურთიერთობას ყოველთვის წარმართავს საზღვრული იმის მიხედვით, მათ შორის მართვა იფარაუდება თუ შეთანხმება (ან ორივე ერთად).

გარკვეულ შემთხვევაში იკარგება საზღვრული და რჩება განსაზღვრება: ეს მაშინ, როდესაც საზღვრული ადვილი სავარაუდებელია და აღდგენაც არ ჭირს, მაგ.. „ესმოდა იოვანესი": სიხ. ვრაც. 80,23; „ლმობიერად ისმენდა იოვანესსა": ვერს. 89.35. დროთა ვითარებამ აქაც გავლენა იქონია და ადვილად სავარაუდებელი საზღვრული ძნელი აღსადგენი გახადა: მართულ-შეთანხმებული განსაზღვრება გაითქვიფა სხვა ფორმებში.

მეორე მხრივ, ვითარებითის ფორმები დაემთხვა მიცემითისა და ნათესაობითის ფორმებს.

ნათესაობითი მაინც ცალკე დგას. ხშირად აქ იგულისხმება არა განსაზღვრება, არამედ დამოუკიდებელი ნათესაობითი ბრუნვა თანდებულიანი სახელის ფუნქციით. მხედველობაშია ასეთი მაგალითები:

მე მამისა ჩემისა მიეალ: DE ი 14.12; მძოერისა მის მონაზონისა მიეალ: ლიმონ. 92,12; წარვედ შენ ხვალე ქამსა მესამესა ბერისა მის:

იქვე. 52,4: წარვედ ძმათა ჩემთა: DE ი 20,17, შდრ. შევიდეს სიძისა მის თანა: DE მ 25.10; ცოდვილისა კაცისა თანა შევიდა: DE ლ 19.7: მიხუალ მოსაჯულისა შენისა თანა: ლ 12,58.

მიცემითი და ვითარებითი ბრუნვები ფუნქციის მიხედვით ერთმანეთს ფარავენ, მაგალითად:

მოვიდა იესუ სახლსა პეტრესსა: DE მ 8,14
მოვიდა იესუ სახიდ პეტრესა: იქვე, C.
წარვიდა: ქალაქსა მას დუდაჲსსა: C ლ 1,39
წარვედა... ქალაქად იუდაჲსა: იქვე, DE და ა. შ.

ორივე შემთხვევაში ნანათესაობითარი განსაზღვრებაა: ნანათესაობითარი მიცემითი და ნანათესაობითარი ვითარებითი. პირველს ბრუნვის ნიშანი აქვს, მაგრამ ორი ს-ს გამარტივების შემთხვევაში ერთი იკარგება. მეორეს ხშირად ბრუნვის ნიშანი -დ დაკარგული აქვს. ამიტომ ეს ორი ფორმა შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს. ამის გამო ნანათესაობითარი მიცემითი და ნანათესაობითარი ვითარებითი ემსგავსება **თანა** თანდებულიანი ნათესაობითის შინაარსით ხმარებულ უთანდებულო ნათესაობითს და გვაქვს:

ნანათესაობითარი ვითარებითი

წარვედ ქუეყანად ისრაჱლისა: მ 2,20
აწ ვინ-მე არა იქმნეს ხატად ქრისტჱსა: სინ. მრავ. 256,29
მოვიდა სულითა წმიდითა ტაძრად უფლისა: DE ლ 2,27.

ნანათესაობითარი მიცემითი

შევიდა დედოფლისა არიადნჱსსა: კიმ. II.182.11 (=შევიდა სახლსა დედოფლისა არიადნჱსსა).

შეხუედ პილატჱსსა: არიმათ. 30.9 (=შეხუედ სახლსა პილატჱსსა)

ესრჱთ აღიყვანეს იგი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა: Опис. 7 (=ესრჱთ აღიყვანეს იგი სამყოფელსა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა)

ხვალისა დღე მოვიდა წმიდისა მაქსიმესსა თევდოსი იპატოსი: კიმ. I.85.30 (=ხვალისა დღე მოვიდა სახლსა წმიდისა მაქსიმესსა თევდოსი იპატოსი)...

ასეთივეა, ოღონდ ერთი ს დაკარგულია და ნანათესაობითარი მიცემითი ჰგავს ნათესაობითს:

მოვიდა იგი წმიდისა შუშანიკისა: შუშ. XI,7 (=მოვიდა იგი სამყოფელსა წმიდისა შუშანიკისსა).

მთავარნი მის ქალაქისანი მოვიდიან ნეტარისა მამისა ჩუენისა საბაჲს: კიმ. II.176.3 (=მთავარნი მის ქალაქისანი მოვიდიან სახლსა ნეტარისა მამისა საბაჲსსა) და ა. შ.

3. გარემოება

§ 150. გარემოებათა ფუნქციები და გადმოცემის საშუალებანი. გარემოება არის წინადადების მირთული მეორეხარისხოვანი წევრი, რომელიც გადმოგვცემს, თუ რა გარემოებაში ხდება მოქმედება. იგი აღნიშნავს მოქმედების ადგილს, დროს, ვითარებას, მიზეზს, მიზანს, ან კიდევ ზომასა და ოდენობას და გამოიხატება ზმნისართთა და შესაფერისი სახელით.

ამის მიხედვით გვაქვს ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის, მიზნისა და ზომისა და ოდენობის გარემოება.

ადგილის გარემოება

§ 151. ადგილის გარემოების ფუნქციები. ჩვეულებრივი გაგებით ადგილის გარემოება გამოხატავს მოქმედების ადგილს, მიერთვის შემასმენელს ან ნაზმნარ განსაზღვრებას (ნაზმნარ სახელებს: მასდარსა და მიმღეობას) და მიუგებს კითხვებზე: ს ა დ? ს ა ი დ ა ნ? ს ა ი თ კ ე ნ?

ადგილის გარემოებას გადმოსცემს ადგილის ზმნისართი და არსებითი სახელი მიცემით, ვითარებით, ნათესაობით და მოქმედებითი ბრუნვებში უთანდებულოდ და თანდებულის დართვით.

ზმნისართი ადგილის გარემოებად

§ 152. ადგილის გარემოების გამოხატვა ზმნისართებით. ადგილის გარემოებად გამოიყენება ადგილის ზმნისართები. ესენი შეიძლება ორი ჯგუფისანი იყვნენ — პ ი რ ვ ე ლ ა დ ი ზ მ ნ ი ს ა რ თ ე ბ ი, რომლებიც მარტივ ფუძეს წარმოადგენენ, და წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ლ ი ზ მ ნ ი ს ა რ თ ე ბ ი, რომლებიც დაირთაენ საწარმოებელ აფიქსებს ან შედგებიან მარტივ ფუძეთაგან.

ადგილის გარემოებად გამოყენებულია ზმნისართები: ა ქ ა, ი ქ ი, ზ ე, ზ ე მ ო, ზ ე მ ო რ ე, ქ უ ე, შ ი ნ ა. გ ა რ ე, გ ა რ ე შ ე, მ ი ე რ, ი მ ი ე რ, ა მ ი ე რ, მ უ ნ, მ ა ნ დ ა, ქ უ ე შ ე და სხვა[147].

---

147 აქ არ ვიძლევით გარემოების გამომხატველ ზმნისართთა ანალიზს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სინტაქსური ანალიზისათვის მას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს და. მეორე. ზმნისართები მონოგრაფიულად შესწავლილი აქვს გ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე ს: ზმნისართი ძველ ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. I, 1959, გვ. 1—79.

მაგალითები:

აქა

როგორც ცნობილია, აქა ზმნისართში ძირეულია ქ (← გ), თავკიდურ-ბოლოკიდური ა გამოხატავს მოლაპარაკე პირთან სიახლოვეს

მომგუარე მე აქა ძმ შენი: ლ 9,41
მეცოდეთ მე აქა: C მ 26,38
ვიპარეველი იქი და აქა: ლიმონ. 37,31.

იქი

იქი ზმნისართისათვისაც ძირეულია ქ (← გ). განსხვავდება აქა'საგან ი-ი ელემენტებით:

მე მიველე იქა: DE მ 26,36
მიიცვალე ამიერ იქი: DE მ 17.20
მიიხილა აქა და იქი: გამ. 2,12.

ზე

ხოლო ჯოჯიკ მსწრაფლ აღდგა ზე: XVI,9
ზე აღდგა მკედარი იგი: C ლ 7,15.

ზედა

აჰა ესერა ორ კაც ზედა მოადგეს მათ სამოსლითა ელვარებისა: ლ 24.4
ზედა მიუკდეს მას მღდელთ მოძღუარნი იგი: DE ლ 20,1.

ზემო

ვითარცა ზემო წერილ არს: ცხორ. 118,2.

ზემორე

ზემორე მეგულებოდა თქუმაჲ: ცხორ. 6.1
ვითარცა-იგი ზემორე ვთქუთ: იქვე, 45,1.

ქუე

აწ მთავარი იგი აძის სოფლისაჲ გარდამოვარდეს ქუე: DE ი 12,31
ქუე შედგიან იგი კუმრისა: C მ 5,15
ოვსა თჳსსა ქუე დამართ სცემდა: შუშ. XII,8.

ქუეშე

მოიღეს ლოდი და დაეფდეს ქუეშე: გამ. 17,12
ქუეშე შედგიან იგი კუიმრისა: DE მ 5,15.

შინა

ვითარ შევედ შინა. ვიხილე ხატი მისი: შუშ. VII.11
შევიდა შინა: C მ 26,58
შინა არა შევიდა: ი 20,5

გარე

ა[illegible]ო[illegible] აღდგა და ცხებელით გარე ვასვიდა: შუშ. V,17
ჴედაჲ მისი და ძმანი მისნი დგეს გარე: მ 12,46
[illegible] ყაცსი იგი... ვ ა რ ე პოიდგა: დაბ. 19,4.

გარეშე

ვაპოყვანნა იგანი გ ა რ ე შ ე: ზოც. 16,30
პუტრე დგა კართა თანა გ ა რ ე შ ე: DE ი 18.16.

მიერ

წ[illegible]ვიდა მ ი ე რ იესუ: DE მ 9.9
ვიმოველდა მ ი ე რ ორნიე: არიწყთ. 31.5
მიაქცეს მ ი ე რ: დაბ. 18.22, შდრ. მო-ვიწმე-ვიდა განრინებულთაგან მ ი ე რ კ ე რ ძ ო: იქვე, 14.13..

ამიერ

ჴანვედ და წარვედ ა ე რ: ლ 13.31.

იმიერ

შიძონვარნი მისნი უვიდოდეს ი მ ი ე რ: გამ. 2,3.

მუნ

მ უ ნ ა ღ ა შ ო ნ ე ს ეკლესიად: საბა ას. 13.13
აჰა-ესერა ქალაქი ესე ახლოს არს მიველტოლად ჩემდა მ უ ნ: დაბ. 19.20
სიდაცა ჰყოს საფასჲ თქუენი, მ უ ნ ც ა ჰყოს გული თქუენი: ხანმ. ლექც. ლ 12,34.

მანდა

დასხედით მ ა ნ დ ა კარებულსა თანა: დაბ. 22,5
შენ მ ა ნ დ ა ი არები: C ლ 16.25.

წიაღ

მოვიდეს მოწაფენი მისნი მიერ წ ი ა ღ: DE მ 16,5
შეყო ჴელი მისი წ ი ა ღ ა დ ე ე მისა და გამოყო ჴელი თჳსი წ ი ა ღ ა ნ: გამ. 4,7.

შორს

ყურადღებას იქცევს ადგილის გარემოებად შ ო რ ს ხმარებული. რომელიც მომდინარეობს ზედსართავისაგან (შორი) და გვხვდება მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების ფორმით[148]:

[148] გ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე, ხმნისართი ძველ ქართულში... გვ. 49.

ხოლო მეზუერზე იგი შორს დგა: DE ლ 18,13
როკვიდა ასული ჰეროდიადსი შორის: C მ 14,6
პეტრე მისდევდა მას შორით: DE მ 26,58
გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან: DE მრ 7,6.

სახელი ადგილის გარემოებად

§ 153. მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი გარემოებად. მიცემით ბრუნვაში სახელი ძველ ქართულში ადგილის გარემოებად გამოიყენებოდა უთანდებულოდაც და თანდებულიანადაც.

უთანდებულო მიცემითში დასმული სახელის მიერ ადგილის გარემოების გამოხატვა მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას. ასეთი გარემოებანი სემანტიკურადაც ადგილთანაა დაკავშირებული.

ადგილის გარემოებად გამოყენებულ სახელს მიცემით ბრუნვაში გარდა თანდებულისა შეიძლება ახლდეს ნაწევარიც და მსაზღვრელი სახელიც.

თუ გავითვალისწინებთ მიცემითის ისტორიას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბრუნვით საერთოდ გარემოების გამოხატვას და, მით უმეტეს, ადგილის გარემოების გამოხატვას ხანგრძლივი წარსული უნდა ჰქონდეს.

ადგილის გარემოებას გამოხატავს უთანდებულო მიცემითი

მივედ ღუდია ქალაქსა: არიმათ. 41,6
შესხნეს იგინი საპყრობილესა: მოც. 16,23
ორნი მათგანნი მივიდოდეს მასვე დღესა შინა დაბასა: ხანმ. ლ 24,13
შენ ხოლო მწირ ხარ იერუსალემს: ხანმ. ლ 24,18.

ადგილის გარემოებას გამოხატავს ნაწევრიანი მიცემითი

მოვიდეს წყაროსა მას საშჯელისასა: დაბ. 14,7
შევიდეს ზღუდესა მას: კიმ. I.53,34
მივიდა წმიდაჲ მამა მთასა მას: Sin 52, გვ. 20.

მიცემითში დასმულ ადგილის გარემოებას თან ახლავს მსაზღვრელი სახელი

წარვედით თქუენცა ვენაკსა ჩემსა: DE მ 20,7
ვარ მე სახლსა შენსა: დაბ. 31,41
სხენედ იგინი სენაკებსა მათსა: კიმ. I.29,3

დღესა შინა ერთსა ვიდოდა რაჲ წმიდაჲ საბა უდაბნოსა განშორებულ: საბა ას. 8,6
მდიდარი ძნიად შევიდეს სასუფეველსა ცათასა: Cმ 19,23.

მიცემითი ბრუნვა დაირთავს თანდებულსაც. თანდებულთაგან ამ შემთხვევაში გამოყენებულია **თანა, ზედა, შინა (შიდა, შიგან), ჭუეშე, წინაშე, წიაღ** და სხვ.

ისმება კითხვა: თუ უთანდებულო მიცემითი გამოხატავს ადგილის გარემოებას, რა დანიშნულებას ასრულებს თანდებული?

თანდებულიანი ფორმები პირველ რიგში იქაა წარმოშობილი, სადაც ადგილის გარემოების გამომხატველი სიტყვა ლექსიკურად ადგილს არ გამოხატავს. მაგ., შდრ. „აღორძნდა ყრმაჲ იგი და დაეშვნა უდაბნოსა“ (დაბ. 21,20) და „იგი წინაშე მათსა დგა ჩესამას ჭუეშე“ (იქვე. 18,8).

პირველი მაგალითის ადგილის გარემოება ლექსიკური მნიშვნელობითაც ადგილს გამოხატავს. მეორე — ამას მოკლებული იქნებოდა, რომ არ ერთვოდეს თანდებული, რომელიც ადგილის გამომხატველია და ცალკე აღებული ითვლება ადგილის ზმნისართად. თანდებულიანი გარემოების მოქმედების არე შემდეგს პერიოდში უფრო გაფართოვდა და იგი უკვე დაერთვის ყველა სახელს, გამოხატავს ის ლექსიკურად ადგილს, თუ არა. სწორედ ამით უნდა აიხსნას უთანდებულო ფორმების შეცვლა თანდებულიანი ფორმებით.

მაგალითები:

თანა თანდებული

ადგილის გარემოებად გამოყენებული **თანა** თანდებულიანი სახელის ფუნქციას შეადგენს აღნიშნოს ადგილი, რომელიმე საგანთან სიახლოვე, ახლოს, პირას, გვერდით ყოფნა[149].

ეჩუენა ღმერთი აბრაჰამს მუხასა მას თანა: დაბ. 18.1
ხოლო მარიამ დგა გარეშე საფლავსა თანა: ხანმ. ი 20,11
მუნ ჯდა მათეოზ საბაჟესა მას თანა: ბოლნ. 10.12.

ზედა თანდებული

ზედა თანდებულიანი სახელი, რომელიც ადგილის გარემოებადაა გამოყენებული, გამოხატავს საგნის მდებარეობას ზედაპირ-

[149] აკ. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 221.

ზე. მაგრამ ძველი ქართულისათვის არ იყო უჩვეულო ასეთ შემთხვევაში ადგილის გარემოება გამოხატულიყო უთანდებულოდაც:

მერმე კედლად იწყო სწავლად ზღუს კ ი დ ე ს ა ზ ე დ ა: DE მრ 4.1. შდრ C: მერმე იწყო სწავლად ზღვის კ ი დ ე ს ა.

კაცმან-ღა დასთესის თესლი ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა ზ ე დ ა: C მრ 4.26. შდრ. DE: კაცმან რაჲ დასთესის თესლი ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა.

შინა (შიდა, შიგან) თანდებული

შინა თანდებულიანი ადგილის გარემოებაც იმით იქცევს ყურადღებას, რომ ადგილის გარემოება შეიძლება გადმოიცეს უამთანდებულოდაც, ოღონდ სახელი ლექსიკურად ადგილს უნდა გამოხატავდეს:

შემოსეს გუამი იგი მისი და დადვეს ს ა მ ა რ ე ს ა შ ი ნ ა: C მრ 6.29. შდრ DE: შემოსეს გუამი მისი და დადვეს ს ა ფ ლ ა ვ ს ა

ოდეს გისილეთ შენ. ს ა ბ უ რ ო ბ ი ლ ე ს ა შ ი ნ ა: C მ 25.44. შდრ. DE: ოდეს გიხილეთ შენ.. ს ა ბ უ რ ო ბ ი ლ ე ს ა.

და ასე:

დაჲდა იგი... ს ე ნ ა კ ს ა შ ი ნ ა მცირესა: შუშ. V.30

დაჲდეს იგი ს ა ფ ლ ა ვ ს ა შ ი ნ ა შენსა: არიმათ. 30,11

ყოველნი იგი შეკრებულ იყუნეს ს ა ხ ლ ს ა შ ი ნ ა: იქვე, 45,17

მენუჱსესვე იმრუშა მის თანა გ უ ლ ს ა შ ი დ ა თჳსსა: C მ 5.28. შდრ. DE: მუნოჱსესვე ისიძვა მისთანა გ უ ლ ს ა შ ი ნ ა თჳსსა ვეშაპმან იონა მ ე ც ე ლ ს ა შ ი დ ა ცოცხალი დაჰმარხა: სინ. მრავ. 213,16

ეკრეთ წმიდაჲ შეშანიკ თრევით მოითრია თ ი ჯ ა თ ა შ ი გ ა ნ: შუშ. VIII,15.

გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება **შინა** და **ზედა** თანდებულთა მონაცვლეობაც. მაგალითად:

კაცსა თუ ვისმე ედგას ასი ცხოვარი და შესცთეს ერთი მათგანი, არა-მე დაეტევნესა ოთხმეოც და ათცხრამეტნი იგი მ თ ა ს ა შ ი ნ ა: D მ 18,12, შდრ. C: იყოს თუ ვინმე კაცი და ედგას ასი ცხოვარი და შესცთეს ერთი მათგანი. არა-მე დაუტეოს ოთხმეოც და ცხრამეტნი იგი მ თ ა ს ა ზ ე დ ა?

სხვა თანდებულებიდან, გარდა ზემოაღნიშნულისა, ადგილის გარემოების გამოხატვისას მიცემითს ერთვის:

წინაშე

და დაჲდა იგი მსახურთა თანა და ტფებოდა ნათელსა ც ე ც ხ ლ ს ა წ ი ნ ა შ ე: ძრ. 14.54

რომელი იგი ტაძარსა წ ი ნ ა შ ე ჴდა: სინ. მრავ. 240,18

სჯდეს წ ი ნ ა შ ე ს ა ფ ლ ა ვ ს ა შ ა ს: DE მ 27.61

წარადგინეს იგინი წ ი ნ ა შ ე ს ა ე უ რ თ ხ ე ვ ე ლ ს ა: შუშ. 11.21

გამოვიდა მათა ლოტ წ ი ნ ა შ ე კ ა რ ს ა: დაბ. 19,6.

ქუეშე

იგი წინაშე მათსა დგა ხესა მას ქუეშე: დაბ. 18,8
სართულსა ჩემსა ქუეშე შემოხუედ: მ 8,9
ძაღლნიცა ტაბლასა ქუეშე ჰჭამედ ნაბიჭსა ყრმათასა: C მრ 7.28.

წიაღ

მიეიდა საზღვართა პურიასტანისათა, წიაღ იორდანესა: DE მ 19.1
წიაღლდა იგი მიერ წიაღ სოფელსა მას გადერელთასა: C მ 7,26
ამისა შემდგომად წიაღლდა იესუ წიაღ ზღუასა მას ვალილეაჲსასა:
ი 6,1.

შოვრის

ღუარძლი დასთესა შოვრის იფქლსა: სინ მრავ. 48.24 და სხვ.

§ 154. ვითარებითი ბრუნვა ადგილის გარემოებად. აღსანიშნავია მიცემითისა და ვითარებითი ბრუნვების პარალელური ხმარება ადგილის გარემოებად. ამ მხრივ ინტერესს იწვევს, ერთი მხრით, ჯრუჭ-პარხლის ოთხთავი და, მეორე მხრით, ადიშის ოთხთავი, დაც მსგავს შემთხვევაში მიცემითის ადგილას ვითარებითი ბრუნვაა გამოყენებული. ასეთივე კანონზომიერი მიმართებაა „მოციქულთა საქმის“ ორ სხვადასხვა რედაქციაში.

მაგალითები:

ჯრუჭ-პარხლის ოთხთავი	ადიშის ოთხთავი
ვითარცა იხილა იესუ ერი იგი, აღვიდა მთასა: მ 5,1.	ვითარ იხილა იესუ ერი მრავალი, აღვდა მთად.
მათ შეგაგდონ შენ საპყრობილესა: მ 5, 25.	საპყრობილედ შეგაგდონ შენ
შევიდა იესუ სახლსა: მ 9,28.	შევიდა იგი სახიდ.
იოვანე საპყრობილესა მიეცა: მ 4, 12.	იოვანე საპყრობილედ მიეცა.
შეაყენა იგი საპყრობილესა: მ 14,3.	შეაყენა საპყრობილედ.
გამოვიდა იგი გზასა: მრ. 10,17.	გამოვიდა იგი გზად.

საქმე მოციქულთა

ჭ	C
შესხნეს იგინი საპყრობილესა შინა: 5,18.	შესხნეს იგინი საპყრობილეჲ.
შეკრბებოდა სიმრავლე გარემო ქალაქებისაჲ იერუსალჵმს: 5,16.	შეკრბებოდა სიმრავლჵ გარემო ქალაქებისაჲ იერუსალჵმ̃დ.

გვაქვს პირიქითაც, როდესაც ჯრუჭ-პარხლის ოთხთავში ადგილის გარემოებას გამოხატავს ვითარებითი ბრუნვა და ადიშისაში — მიცემითი.

მაგალითად:

ჯრუჭ პარხლის ოთხთავი	ადიშის ოთხთავი
მოსრულ იყო იესუ დაბად: ი 11,30.	მოსრულ იყო იესუ დაბასა მას.
მირბიოდა საფლავად: ლ 24,12.	მირბიოდა სამარესა მას.
აჰა წინა-გიძღუს თქუენ გალილეად: მ 28,7.	აჰა წინა-გიძღუს თქუენ გალილეას.
მოვიდა სულითა წმიდითა ტაძრად უფლისა: ლ 2, 27.	მოვიდა სულითა ტაძარსა მას.
წაოვიდ ზღუად: მ 17,27.	მივედ ზღუასა.

და ა. შ.

ადგილის გარემოების გამოსახატავად მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების პარალელური გამოყენება შეიძლებოდა აგვეხსნა იმით, რომ:

1. მიცემითი და ვითარებითი გენეტურად ერთი (მიცემით-ვითარებითი) ბრუნვიდან მომდინარეობენ და

2. აქ ორი დიალექტური მონაცემების შონაცვლეობაა.

რომ მიცემითი და ვითარებითი გენეტურად ერთი (მიცემით-ვითარებითი) ბრუნვიდან მომდინარეობენ, ეს დამაჯერებლად გარკვეულია საენათმეცნიერო ლიტერატურაში[150] და ეჭვს არ იწვევს, მაგრამ მიცემით-ვითარებითის დიფერენციაციის შემდეგ მათი ვარიაციები დიალექტურ კუთვნილებად უნდა იყოს ქცეული. მხოლოდ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, მაგალითად, ჯრუჭ-პარხლის ოთხთავში ადგილის გარემოებას გამოხატავს მიცემითი ბრუნვა და შესაბამის ადგილას ადიშის ოთხთავში — ვითარებითი. ასევე, „მოციქულთა საქმის" Ჭ რედაქციაში ვითარებითი ბრუნვაა და Ⴇ რედაქციაში — მიცემითი.

მაგრამ, ამასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ, რომ

1. ჯრუჭ-პარხლის ოთხთავში მოსალოდნელი მიცემითის მაგივრად ზოგჯერ გვხვდება ვითარებითი ბრუნვა, ადიშაში — მიცემითი და

---

[150] არნ. ჩიქობავა, სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნების ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში: თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XVIII, 1941, გვ. 56; ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, № 3, 1944, გვ. 339—348.

2. სამივე ოთხთავი — ადიშის (897 წელს), ჯრუჭისა (935 წელს) და პარხლისა (973 წელს) — გადაწერილია შატბერდში, მაშასადამე, მათი წარმოშობა სხვადასხვა კუთხეს არ ეკუთვნის.

ამ დაბრკოლებებს მოეცლება, თუ მოვიგონებთ, რომ ჯრუჭ-პარხლის ოთხთავი, ერთი მხრივ, და ადიშის ოთხთავი, მეორე მხრივ, სხვადასხვა რედაქციისანი არიან. ანალოგიური მდგომარეობაა „მოციქულთა საქმეშიც“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მიცემითი და ვითარებითი ბრუნვები ადგილის გარემოებად ერთნაირად გამოიყენებიან. მაგრამ საგულისხმოა, რომ ძველ ქართულში მიცემითის გამოყენების არე უფრო ვრცელია: ის შეიძლება ყოველგვარი ადგილის გარემოების ბრუნვა იყოს მაშინ, როდესაც ვითარებითი ბრუნვა, როგორც ადგილის გარემოება, უპირატესად მიმართულების გამოსახატავად გამოიყენება. ამას ადასტურებს ასეთი მაგალითი: ვითარცა მიიწინე-ს ი ნ ა დ, ილოცეს წმიდასა მას ა დ გ ი ლ ს ა: საბაას. 13,8.

ამ წინადადებაში ადგილის გარემოება ორია (ს ი ნ ა დ და ა დ-გ ი ლ ს ა). ერთი აღნიშნავს მიმართულებას (კითხვაზე ს ა ი თ?). მეორე კი სივრცეს მიმართულების გარეშე (კითხვაზე ს ა დ?). პირველი ვითარებით ბრუნვაშია, მეორე — მიცემითში.

და ასე:

ხოლო მეღორენი იგი იყიდოდეს ქ ა ლ ა ქ ა დ: C მ 8.33
დახედრიკნეს პირნი მათნი ქ უ ე ყ ა ნ ა დ: ხანმ. ლ 24,5
აღიპყრნა კელნი თჳსნი ზ ე ც ა დ წმიდამან შეშანიკ: შუშ. V.31
მეფე ს პ ა რ ს ე თ ა დ შეევიდა: ბოლნ. 4,7
შეიტაცეს ლოტ შინა ს ო ხ ი დ: დაბ. 19,10.

ასევე ვითარებით ბრუნვაშია:

შთააგდინოთ სიბერჴ ჩემი მწუხარებით ჯ ო ჯ ო ხ ე თ ა: დაბ. 42,38
მეფემან წარაგდინნა მოციქულნი ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ა: ისტ. ქრ. 268.15...

გარდა უთანდებულო ვითარებითისა ადგილის გარემოებად გვხვდება **-მდე, კერძო, მიმართ** თანდებულებიანი ფორმებიც **-მდე** და **კერძო** თანდებულებიანი ვითარებითი ისევე გამოხატავს მიმართულების ადგილის გარემოებას, როგორც ამ თანდებულების გარეშე შეიძლებოდა ლექსიკურად ადგილის გამომხატველ სახელებთან გვქონოდა. მაგრამ **-მდე** და **კერძო** თანდებულები უფრო აზუსტებენ და კონკრეტულ სახეს აძლევენ ადგილის გარემოებას. მიმართულების გამოხატვა მარტო თანდებულს როდი ეკისრება.

არამედ შემასმენელსაც, რომელიც მიმართულებას უჩვენებს ზმნის წინის საშუალებით.

მაგალითები:

ა) **-მდე თანდებულიანი ვითარებითი ბრუნვა**

ხოლო შენ, კეფარნაუმ, ნუ ცამდე აიმაღლები: DE ვ 11.23
და მოვიდა... ვიდრე ადგომამდე: დაბ. 13,3
ანბანი მისი მიაწევს კიდემდე დიდსა მის მდინარისა: საბა ას. 4.29.

ბ) **კერძო თანდებულიანი ვითარებითი ბრუნვა**

სხვანი იგი მოად კერძო იელტოდეს: დაბ. 14.10
წარწოვიდა ვიერ ებრაჲაჲ ცუეყახად ჩრდილოდ კერძო: დაბ. 20,1
წიაღვიდოდეს ზღუასა მას კაპარნაუმ კერძო: C ი 6.17.
DE: მივიდოდეს წიაღ ზღუასა მას კაფარნაუმ.
ბაშინ რომელნი ჰურიასტანს იყუნენ, იელტოდედ მთად კერძო: C ლ 21.21, შტრ. DE: მაშინ რომელნი ჰურიასტანს იყუნენ, იელტოდედ მთად.

გ) **მიმართ თანდებულიანი ვითარებითი ბრუნვა**

მისწრაფენ წყაროდ მიმართ წყალთაისა: მამ. სწ. 20,6
ვკოდეთ ყოველნი ცად მიმართ: ბოლნ. 45.17
აღიპყრეს კელნი ზეცად მიმართ: Sin. 43. გვ. 61 V.

§ 155. ნანათესაობითარი ვითარებითი ადგილის გარემოებად. ადგილის გარემოების დაკარგვის შემთხვევაში, თუ მას თან ახლავს მსაზღვრელად ნანათესაობითარ ვითარებითში დასმული სახელი, უკანასკნელი იძენს ადგილის გარემოების ფუნქციას.

თუ საზოგადო სახელია ასეთ ნანათესაობითარ ვითარებითში შეიძლება იგი ჰგავდეს ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელს. მაგ.. „აღდგა და წარვიდა მამისა თჳსისა“ (ბოლნ. 39,3). მაგრამ აქ რომ ნანათესაობითარი ვითარებითია და არა ნათესაობითი. ჩანს იქიდან, რომ ასეთ შემთხვევებში ადგილის გარემოებად ვითარებითი ბრუნვაა გამოყენებული. ამასთან ერთად, ამგვარ მსაზღვრელად როცა საკუთარი სახელია, მას ერთვის -ა. იგი კვალიფიცირებულია საენათმეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა წარმოშობისად. სახელდობრ, მიმართულებითი ბრუნვის სუფიქსადაა მიჩნეული[151]. ამავე ბრუნვის -და ბოლოსართისაგან მიღებულადაა გამოცხადებული -დ- ელემენტის დაკარგვით[152] და ამავე ფონეტიკური

[151] არნ. ჩიქობავა. მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: ენიმკის მოამბე, I, 9—34.

[152] ვ. თოფურია. ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში: ენიმკის მოამბე, I, გვ. 181.

ცვლილების შედეგადაა მიჩნეული ვითარებითი ბრუნვის -ად სუფიქსისაგან[153].

მაგალითები:

მიეცა ფარაონსა სვალე: ქიმ. 7,15
მიეცადა იოსებისა: დაბ. 41.55
აღიცა იოთორისა: გამ. 4.18.

§ 156. ნათესაობითი ბრუნვა ადგილის გარემოებად. ადგილის გარემოებად გვხვდება -გან და თანა თანდებულებიანი სახელებიც ძველიდან ახალ ქართულში -გან თანდებულიან ნათესაობითს სხვა ფუნქცია დაეკისრა: იგი უბრალო დამატების ბრუნვად იქნა გამოყენებული. ხოლო -გან თანდებულიანი მოქმედებითი დარჩა ადგილის გარემოების გამომხატველად. ახალ ქართულში თუ კითხვას მივედვით განვსაზღვრავთ უბრალო დამატებისა და ადგილის გარემოების მიმართებას, აღმოჩნდება, რომ კითხვაზე საიდან? ვიღებთ მოქმედებით ბრუნვას (-გან თანდებულის დართვით) და იგი ადგილის გარემოებაა. კითხვაზე ვისგან? ან რისგან? ვიღებთ -გან თანდებულიან ნათესაობითს, რომელიც წინადადებაში უბრალო დამატებაა.

ძველ ქართულში ადგილის გარემოების გამოსახატავად იხმარებოდა უთანდებულო ნათესაობითიც. მაგალითად. „მეყსეულად მოჰგებებოდა მას საფლავებისა კაცი“: ჰაემ. მრ 5.2. შდრ DE: „მოეგებებოდა მას საფლავებისაგან კაცი“. C: „გამოეგებებოდა მას სამარხობინით კაცი“.

ამავე დროს თანაბრად გამოიყენებოდა -გან თანდებულიანი ნათესაობითი და ე. წ. დაწყებითი ბრუნვა.

მაგალითად:

აღიღეს უფალი საფლავისაგან და არა ვიცით, სადა დადეს იგი: ხანმ. ი 20.2: შდრ. DE: აღიღეს უფალი საფლავით. C: აიღეს უფალი სამარხისა მისგან: ადღეს უფალი ჩემი სამარხისაგან: C ი 20.13. შდრ. ხანმ.: აღიღეს უფალი ჩემი საფლავით.

ასევე:

აღებულ არს ქუეყანისაგან ცხორებაჲ მისი: მოც. C 6.35. შდრ. Ლ: აღებულ არს ქუეყანით ცხორებაჲ მისი.

აღდგა სავლე ქუეყანისა მისგან: მოც. C 9.8. შდრ. Ლ: აღდგა სავლე ქუეყანით.

---

[153] ს ტ. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXV, გვ 170—177.

და შემდეგ:

განიყვანნეს იგინი ნავისაგან: კიმ. 1,68,27
გამოვიდა იესუ სახლისა მისგან: მ 13,1
მოვიდა პიტიაბში ბრძოლისა მისგან პირთაჲსა: შუშ. VIII.9
განვიდა იაკობ ჯურღმულისა მისგან: დაბ. 28,10.

როგორც ვხედავთ, -გან თანდებულიანი ნათესაობითი აღწერილია მოქმედებითი (დაწყებითი) ბრუნვის ფუნქციით.

ადგილის გარემოებად, გარდა -გან თანდებულიანი ნათესაობითისა, გვხვდება თანა თანდებულიანი ნათესაობითიც, რომელიც გამოხატავს ახლოს ყოფნას, თანაობას და ისეთივე დანიშნულებისაა, როგორისაც ამავე თანდებულიანი მიცემითი. მაგ., და დაეკვრა ისაკ ჯურღმულისა მის თანა სილვისაჲსა: დაბ 25,11.

§ 157. მოქმედებითი (დაწყებითი) ბრუნვა ადგილის გარემოებად. ძველ ქართულში მოქმედებითისაგან დაწყებითი ბრუნვა იმდენად გამოიყოფა, რამდენადაც უჩვენებს მოქმედების დაწყების ადგილს ან დროს და გადმოცემულია ემფატიკური -ა'ს დართვის გარეშე.

როგორც ზემოთ იყო მითითებული, ასეთი ფუნქციით აღწერილია აგრეთვე -გან თანდებულიანი ნათესაობითი[154].

ნათესაობითისა და მოქმედებითის (დაწყებითის) სინტაქსური მონაცვლეობის საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე ცნობილია[155]. ეს მონაცვლეობა ახსნილია იმით, რომ ისინი გენეტურიდან ერთი ბრუნვიდან უნდა მომდინარეობდნენ.

ნათესაობით ბრუნვასა და მოქმედებით (დაწყებით) ბრუნვას შორის ისეთივე მიმართებაა, როგორიც მიცემითსა და ვითარებითს შორის.

დაწყებითსა (მოქმედებითსა) და ვითარებით ბრუნვებს შორის საერთო ისაა, რომ ორივე მიმართულებას გამოხატავს, ოღონდ

---

[154] რაც შეეხება -გან თანდებულიან მოქმედებითს, მის შესახებ არსებობს საინტერესო შრომა ქეთ. ძოწენიძისა: -გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში: იბეროიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 195—202.

[155] ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში იხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V. № 3, 1944, გვ. 339—348, გ. როგავა, კუთვნილებითა აფიქსი ქართველურ ენათა ზნინისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 5, 1942, გვ. 499.

პირველი ამოსავალ პუნქტს, მოქმედების დაწყებას უჩვენებს სივრცესა და დროში.

მაგალითები:

გამოვიდა მთით ვეშაპი: საბა ას. 8,8
ეარსკულავნი გარდამოცვენ ზეცით: ხანმ. მ 24,29
გამოვიდეს იგინი იერიქოდთ: DE მ 20,29
გამოვიდა აბრაჰამ ეგვპტით: დაბ. 13,1 და სხვა.

ადგილის გარემოებად **-გან** თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვა ძველ ქართულში იშვიათია, რამდენადაც მის ფუნქციას ასრულებენ უთანდებულო მოქმედებითი (რომელიც უფრო ძველია, ვიდრე თანდებულიანი მოქმედებითი) და **-გან** თანდებულიანი ნათესაობითი.

აი ორიოდე მაგალითი ადგილის გარემოების იშვიათი ფორმისა:

შეკრიბნეს რჩეულნი მისნი ოთხთაგან ქართა კიდითგან ცისაჲთ: ხანმ. მ 24,31
ისილეს ლეღჳ იგი განკმელი ძირითგან: DE მრ 11,20.

მოქმედებით ბრუნვას შეიძლება ახლდეს **გამო** და **კერძო** თანდებულებიც. ფუნქციის მიხედვით **-გან** თანდებულიანსა და **გამო** თანდებულიან ადგილის გარემოებებს შორის განსხვავება არ ჩანს.

მაგალითად:

გამო

ეტყოდა მას უფალი კარვით გამო: ლევიტ. 1,1
მოიწია ზეცით საკურთხეველით გამო: კიმ. I,37.32
ქმაჲ იყო ღრუბლით გამო: მ 17,5
ქმაჲ იყო ცით გამო: მოც. 11.9, შდრ. ქმაჲ იყო ზეცით გარდამო: სინ. მრავ. 60,32.

კერძო

მუნქუესვე მიიმართა ყოველმან მან ქოლტმან კლდით კერძო ზღუა. C მ 8,32
პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოჲთ კერძო: შუშ. IX.23
იელტოდა იგი მთით კერძო: კიმ. I,41,10
წარვიდა იგი ქუაბსა დასავალით კერძო კასტელსა: იქვე. 19,22.

§ 158. ადგილის გარემოების ისტორიისათვის. ადგილის გარემოების გამოსახატავად ძველ ქართულში გამოყენებული იყო ზმნისართიც და სახელიც. ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ გვხვდება უთანდებულოდ და თანდებულიანად მიცემით, ვითარებით, ნათესაობით

და მოქმედებით (დაწუებით) ბრუნვებში. ადგილის გარემოებას შეიძლება თან ახლდეს, როგორც ნაწევარი, რომელიც მასთან შეთანხმებულია ბრუნვასა და რიცხვში, ისე შეთანხმებული ან მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი.

ადგილის გარემოების გამოხატვის საშუალებათა მრავალფეროვნება სვამს რამდენიმე საკითხს:

1. ხომ არ დაიყვანება ისტორიულად ადგილის გარემოებათა გამოხატვის საშუალებები ერთ ფორმამდე?

2. რა წარმოშობისაა ადგილის გარემოება, როგორც წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი?

3. რა მიმართებაშია ადგილის გარემოება წინადადების სხვა მეორეხარისხოვან წევრებთან?

ისტორიულად ადგილის გარემოების ფორმები არ უნდა ყოფილიყო ასე მრავალფეროვანი. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ფუნქციის მიხედვით ერთგვარობას იჩენენ, ერთი მხრივ, მიცემითი და ვითარებითი ბრუნვები, მეორე მხრივ, ნათესაობითი და მოქმედებითი. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია მიცემით-ვითარებითისა და ნათესაობით-მოქმედებითის სინტაქსური მონაცვლეობის საკითხი, ნაჩვენებია ამ ბრუნვათა ნიშნების ფუნქცია, შედგენილობა და ურთიერთმიმართება. პირველად ბრუნვებად მიჩნეულია ორი: მიცემითი და ნათესაობითი, მეორეულად მოქმედებითი და ვითარებითი[156].

მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვებიდან მიცემითს მეტი სინტაქსური გამოყენება და ამდენად გავრცელება აქვს. ცნობილია, რომ ძველ ქართულში მიცემითი ბრუნვა გამოიყენებოდა:

1. პირმიმართი დამატებების გამოსახატავად (მ შ ჯ დ ო ბ ა ს ა ჩემსა მიგცემ თქუენ: ი 14,27; ჰკითხა პ ი ლ ა ტ ე ს იოსებ: DE ი 19.38);

2. პირმიუმართავი დამატების გადმოსაცემად (არავინ შთაასხის ღუინოჲ ახალი თ ხ ი ე რ ს ა ძუელსა: მრ. 2.22);

---

[156] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნების ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XVIII. 1941, გვ. 47—59; მისივე: ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 43—60; გ. რ ო გ ა ვ ა, კუთვნილებითი აფიქსი ი ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 5, 1942, გვ. 497—501; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 3, 1944, გვ. 339—348.

3. ადგილის გარემოების საჩვენებლად (ცაცმან... დასთესა თესლი ქუეყანასა: DE მრ 4,26);

4. დროის გარემოების აღსანიშნავად (მივიდეს იგინი ციხესა საფლავსა მას: DE ლ 24,22);

5. შედარებით გვიან რეალური სუბიექტის გამოსახატავადაც.

წინადადების ზოგიერთ მეორეხარისხოვან წევრთან შედარებით ადგილის გარემოება დიდი ისტორიის მქონედ არის მიჩნეული არნ. ჩიქობავამ ცხადყო, რომ დროში დეტერმინაციას წინ უსწრებდა სივრცეში ლოკალიზაცია. მკვლევარი ასკვნის: „სივრცის აღმნიშვნელი სიტყვა (ვინაჲთგან=საიდან) დროის აღნიშვნას კისრულობს (ვინაჲთგან=რა დროიდან) და მიზეზის აღსანიშნავ კავშირად იქცევა (ვინაჲთგან=რადგანაც).

კერძო მაგალითში გარკვეული ფსიქოლოგიური კანონზომიერება მჟღავნდება: სივრცე — დრო — მიზეზი: კონკრეტულიდან განყენებულისაკენ, ესაა ზოგადი ტენდენცია. იგი სხვა ფაქტებიდანაც ცნობილია ქართული ენის ისტორიაში. ანალოგიურ ფაქტებს სხვა ენათა ისტორიაც გვასწავლის“[157].

თუ გავითვალისწინებთ, რომ საერთოდ გარემოებად უპირველეს ყოვლისა უფორმო სიტყვებია (ზმნისართებია), ხოლო ზმნისართებს გაქვავებული სახით შემონახული აქვთ უძველესი გაფორმება, შეიძლება დავუშვათ, რომ მეორეხარისხოვან წევრთაგან გარემოებას მეტი ისტორია აქვს, ვიდრე პირმიუმართავ დამატებებს.

ადგილის გარემოებად პირველ რიგში გამოიყენება ადგილის ზმნისართი, რომელიც, ცხადია, ადგილს გამოხატავს. რაც შეეხება მეტყველების სხვა ნაწილებს, კერძოდ, არსებით სახელებს, რომლებიც ადგილის გარემოებად გამოიყენებიან წინადადებაში, ისინი ადგილზე მიუთითებენ რეალურადაც, ხოლო სადაც ასეთი არ ჩანს, ამ ფუნქციას თანდებულები ანიჭებენ სახელს, მაგრამ ზოგჯერ ეს არ არის საკმარისი და მიმართულებას ზმნა (შემასმენელი) გამოხატავს ზმნისწინის დართვის წყალობით.

დროის გარემოება

§ 159. დროის გარემოების ფუნქცია. დროის გარემოება გამოხატავს მოქმედების დროს. მისი კითხვებია: როდის? რა დროიდან? რა დრომდის? რამდენ ხანს?

[157] არნ. ჩიქობავა, ზოგი სიტყვის მნიშვნელობის განვითარებისათვის ძველს ქართულში (სივრცისა და დროის მომენტთა ურთიერთობის ასპექტში): ფსიქოლოგია, ტ. III, გვ. 490.

დროის გარემოებას გადმოსცემენ დროის ზმნისართები და უთანდებულო ან თანდებულიანი სახელები.

ზმნისართი დროის გარემოებად

§ 160. დროის გარემოების გამოხატვა ზმნისართებით. დროის გამომხატველი ზმნისართებიც ორ ჯგუფად იყოფა: პირველად და წარმოქმნილ ზმნისართებად. ზმნისართებთან შემონახული გვაქვს ბრუნვათა უძველესი ნიშნები.

დროის გარემოებად გამოყენებულია ზმნისართები: **აწ, ადრე, მერმე, მაშინ, გუშინ, ძუღუან, ოდეს, ხვალე** და სხვა.

მაგალითად:

აწ

აწ შოვედით: ბოლნ. 6.21.
აწ ეგერა ცოლი შენი წინაშე შენსა არს: დაბ. 12.19
აწ ღა წარწომდება ვინმე დიდებული დედოფალი: ცხორ. 46.1

ადრე

აღდეგ შენ ადრე: მოც. 9,11
იგინი წარვედეს ადრე მიერ საფლავით: მ 28.8
ხოლო მე ვიჯმენ ადრე: 111,9.

მერმე

მერმე მოვიდეს სხუანიცა იგი ქალწულნი: მ 25,11
მერმე შესძინა აბრაჰამ და მოიყუანა ცოლი: დაბ. 25,1
მერმე გაჰოვიდა ზღუს კიღესა: მრ 2.13.

მაშინ

მაშინ შუელად აღდგა ჯოჯიკ: შუშ. VI,18
მაშინ დადგა პავლე შორის არიოპაგესა: მოც. 17.22
მაშინ მოვიდა იესუ დაბასა მას: DE მ 26.36.

გუშინ—ძუღუან

არ არს ჩემდა მომართ, ვითარ-იგი გუშინ და ძუღუან: დაბ. 31.5
გუშინ... დაუტევა იგი სიცხემან: ი 4.52.

ოდეს

ოდეს გიხილონ შენ ეგჳპტელთა მათ: დაბ. 12,12
ოდეს იგი ღირს იქმნა: საბა ას. 13,11
ეშმაკეული ვინმე მოუკდა მას ოდესმე: ცხორ. 44.2.

ხვალე

ხვალე თორნესა შთაეგზნის: მ 6,30
ხვალე მოგცნე იგინი: მსაჯ. 20,28
მე... კურნებათა აღვასრულებ დღეს და ხვალე: ლ 13.32.

მ უ ნ ადგილის ზმნისართია, მაგრამ მას დროული გაგებაც აქვს, მაგალითად, „მრავალი ჟამი დაეყო მ უ ნ მ დ ე“: C ი 5, ბ.

მ უ ნ არის ამოსავალი მ უ ნ ქ უ ე ს ვ ე/მ უ ნ თ ქ უ ე ს ვ ე ზმნისართისათვის, რომელიც დროს გამოხატავს (მაგ.: უპყრა ჭელი... და მ უ ნ თ ქ უ ე ს ვ ე განუმტკიცნეს ჭელნი: საბა ას 18,37: აღდგა მ უ ნ ქ უ ე ს ვ ე და წარმოვიდა ანანია: მოც. 9.17)[153], შდრ. ა ქ ა — ადგილის აღმნიშვნელი ზმნისართი და ა ქ ა მ დ ე — დროის აღმნიშვნელი: „ა ქ ა მ დ ე წესი აქუნდა“: ისტ. ქრ. 252. 32: „შენ დაჰმარხე კეთილი ღუნოდ ა ქ ა ო მ დ ე“: DI.

ამ ფაქტს მნიშვნელობა აქვს სივრცისა და დროის კატეგორიათა ურთიერთობისათვის.

სახელი დროის გარემოებად

§ 161. დროის გარემოების ბრუნვები. დროს გარემოებად ხშირად გამოყენებულია წრფელობითის, საბელობითის, მიცემითის, ვითარებითის, ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმებით გამოხატვის საშუალებათა მრავალფეროვნება იტყობიელი ფაქტია. სახელთაგან გავრცელებული უძველესი ფორმა, რომელიც დროის გარემოებად იქნებოდა გამოყენებული, უნდა ყოფილიყო წრფელობითი.

დროს გამოხატავს ცალკე სახელიც და მსაზღვრელიანი სახელიც.

§ 162. წრფელობითი დროის გარემოებად. სახელთა ბრუნვათაგან წრფელობითი დროის გარემოების გამოსახატავად ყველაზე ადრინდელია. მას დროის გაგება აქვს იშვიათად. რამდენადაც სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა დროზე მიუთითებს. ასეთებია დ ღ ე, ღ ა მ ე, წ ე ლ, გ ა ნ თ ი ა დ, მ წ უ ხ რ, თ თ უ ე და ა. შ.[159]

მაგალითები:

მოწაფენი მისნი ღ ა მ ე ჰოვედეს: მ 28.13

მარიამ მაგდანელი მოვიდა გ ა ნ თ ი ა დ: ხანმ. ი 20.1

მოვიდა იერიქოდ დიდისა ლავრისა ქსენადექსა მ წ უ ხ რ: კიმ. 11.176.1

შეიპყრა იგი პორევებამან ფიცხელმან ს ა მ დ ღ ე: კიმ. 13,3

ესეთსა მას ციხესა შინა ე ქ უ ს წ ე ლ პყრობილ იყო: შუშ. XIV.27

ღ ა მ ე ცოდა იგი მ უ ო ა რ ჟამ საბა ას. 13,30

იგი გულსმოდგინედ ითუალვენ მათ წ ე ს წ უ თ: Sin. 43, გვ. 19 V და სხვ.

[158] შდრ. ადგილის გარემოების გამოსახატავად ს ა დ ე ქ ს: „სადქუე დგას იგი, აოა უწყი“: ვერს. 35, 24.

[159] დაწვრილებით: ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 649—653.

§ 163. სახელობითი ბრუნვა დროის გარემოებად. სახელობითი ბრუნვა დროის გარემოებად ძველ ქართულში უშუალოდ წრფელობითიდან ჩანს გაფორმებული. -ე პოლოხმოვნიან სახელებთან -ე'ს და -ჲ'ს აღრევის შედეგად ჭირს იმის გარკვევა, წრფელობითია, თუ სახელობითი, მაგრამ ასეთ სახელს თუ მსაზღვრელი ახლავს, სახელობით ბრუნვაში მას უსათუოდ დაერთვის ბრუნვის ნიშანი.

მაგალითად:

სამი დღჲ ეელო უდაბნოსა მას განშორებულსა: საბა ას. 10.10
დაიმარხა ორმეოცი დღე: C ვ 4.2
იყოს შვიდი წელი სიყმილი: ღაბ. 41,27.

ყურადღებას იქცევს დროის გარემოებად ნათესაობითარი სახელობითის გამოყენება, როგორიცაა დღისი[160]:

დღისი ამცნო უფალმან წყალობაჲ მისი და ღამჲ გალობაჲ მისი: ხანძთ. იჲ11
ღამჲ იყო უსალმუნებაჲ და დღისი წიგნის კითხვაჲ: იქვე, იჲ10.

დღისი ფორმა იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ წინადადებაში გვეულინება როგორც ნათესაობითარი მსაზღვრელი იმ შემთხვევაშიც, როდესაც წინ უსწრებს საზღვრულს

დღისი იგი შრომაჲ მათი ღაცვადეე დაუთუალის: ცხორ. 60.6.

ისმება კითხვა: ხომ არაა ეს ფორმა ნათესაობითი ბრუნვა? მით უფრო, რომ ნათესაობითი ბრუნვა -ი ემფატიკურ ხმოვანსაც დაირთავს (არნ. ჩიქობავა).

ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ორი რამ: ერთი, როდესაც დროის გარემოებად იხეთი ერთგვარი შევრები გვაქვს, რომელნიც ლექსიკური მნიშვნელობით ერთმანეთს უპირისპირდებიან, დღისი ფორმის პარალელური ფორმა სახელობით ბრუნვაშია. მაგ.:

არცა დღისი, არცა ღამჲ არა ღაჲდის: შუშ. XIV.11
არა დაჰფარვიდა იგი არცა დღისი მზისაგან, არცა ღამჲ სიცივისაგან: საბა ას. 5,7.

ასევე:

ოთხთავის ერთ რედაქციაში ვკითხულობთ: „ვიდრე დღისი არს“: C ი 9.4, მეორე რედაქციაში — „ვიდრე დღჲ არს“: DE

---

[160] ამ მოვლენას ჯერ კიდევ 1925 წელს ყურადღება მიაქცია ს. ჯანაშიამ. „ცხორებაჲ საბა ასურისაჲ“: აოილი, 1925, გვ. 23.

მეორე, სახელობითი ბრუნვა დროის გარემოებად სხვა შემთხვევაშიც არის გამოყენებული. გარდა ზემოაღნიშნულისა, გვაქვს მწუხრი. მიმწუხრი...

მაგალითად:

მწეხრი განისუენოს ტირილმან: სიტ. მრავ. 157,10
ვამი შეწირონ მწუხრი: ბოლნ. 3,30
შაბათსა ჩწუხრი შემოვიდა ჩემდა ყრმაჲ ერთი პაბუკი: ლიმონ. 54,15
განსრულ იყო იპაკ განცხრომად ველად მიმწუხრე: დაბ. 24.63.

§ 194. მიცემითი ბრუნვა დროის გარემოებად. მიცემით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელები, რომელთა დიდი ნაწილი დროის ზმნისართად არის ქცეული, დროის გარემოებად ფართოდაა გამოყენებული ძველ ქართულში.

ადგილის გარემოების მიმოხილვის დროს ვნახეთ, რომ მიცემითი და ვითარებითი თანაბრად აღნიშნავდა ადგილს. ასეთი პარალელური ფორმები არაა გამორიცხული აგრეთვე დროის გამოხატვისას, მაგ., შდრ.

მიცემითი: მიუტევე მაგას რაჲთა დღესა მას სამყუდროჲსა შემოსისა ჩემისათჳს დაჰმარხოს ეგე: Ц и 12,7[161]

ვითარებითი: უტევეთ მაგას რაჲთა დღედ დასაფლავად ჩემდა დამიმარხოს ეგე: იქვე. DE.

ასევე:

ხოლო ერისა მას შაბათსა. ცისკარსა მისთჳს მოვიდეს საფლავსა მას: DE ლ 24.1, შდრ. ხოლო სულდა კსენებასა შემდგომად აღსებისა ცისკრად ნეტარ არიანწი და გალობანი წართქუნიან: ხანძთ. იზ[1].

მიცემითის გამოყენების არე აქაც ფართოა: ლექსიკურად დროის გამომხატველი სიტყვები დროის გარემოებადაა გამოყენებული. იქნება ის მიცემითის ფორმით წარმოდგენილი ნაირსახეობათაგანი ხშირი სარჩი, თუ მიცემითში დასმული სახელი (დღეს... ჟამს... წლების, თვეებისა და დღეების ან გარკვეული დროის აღმნიშვნელი სახელები და სხვა).

მაგალითები:

დღეს აღსრულა სიტყუაჲ იგი: სიტ. მრავ. 183,25
მოვედ დღეს წყაროსა ამას ზედა: დაბ. 24.42

---

[161] ეს მაგალითები დამოწმებული აქვს ე. ბაბუნაშვილს შრომაში — მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში: სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, V, გვ. 235.

შევიდა უხუცესი და დაწვა მამისა თჳსისა თანა მას ღამეს: იქვე, 19,33 და ხიად განთიადსა მას ერთშაბათისასა მოვიდეს საფლავსა მას ზედა: ხანმ. მრ 16,2.

მეშჳდესა წელსა იყო წმიდად კრებად: ისტ. ქრ. 270,15

ხოლო დასაბამსა არა ეგრე იყო: DE მ 19,8. შდრ. C: და ხოლო დასაბამითგან არა ეგრე იყო.

მაშინ აურის ჰამასა პრქუა ბერმან არკადის: Sin. 52, გვ. 95.

მიცემითში დასმული დროის გარემოება თანდებულსაც დაირთავს: ეს თანდებული ა შინა და თანა.

შინა

ღამესა შინა ერთსა უვარმყო მე სამგზის: არიმათ. 30,4

მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა: მ 7,22

ასწავებდა მათ იესუ შესაკრებელსა ერთსა შაბათსა შინა: DE ლ 13,10

რად წეს-არს შაფათსა შინა: ქველის საქმე ანუ ძჳრის საქმე? C მრ 3.4. შდრ. DE: ჯერ-არსა შაბათსა კეთილისა საქმე

არა იყოს სიცლტოლად თქუენი ზამთარსა შინა: DE მ 24,20, შდრ. C: არა იყოს სიცლტოლად თქუენი ზამთარსა.

თანა

კმასა მას თანა საყჳრისასა მრავალთა თანა... წარმოუდგე მეუფესა: ხარზმ. 152,26

ზრდასა თანა სათნოებაჲცა კეთილი იზარდებოდა: ხანძთ. b_{51}.

§ 165. ვითარებითი ბრუნვა დროის გარემოებად. ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელი დროის გარემოებად ისევე გამოიყენება, როგორც მიცემითი. დამახასიათებელია, რომ ვითარებითი ბრუნვა ზოგჯერ მიცემითსა ცვლის. ამას თავისი გამართლება აქვს.

ზოგჯერ ვითარებითი ბრუნვა ენაცვლება წრფელობითს, იშვიათად სახელობითსაც კი.

მაგალითები:

ვითარებითი: უწყოდეთ, რამეთუ პირველად მე მომიძულეს: DE ი 15,18

წრფელობითი: უწყოდეთ, რამეთუ პირველ მე მომიძულა: იქვე, C

შდრ. ვითარებითი: დააწვინნა აჭლემნი გარეშე ქალაქსა მას ჯუროღმულსა თანა წყლისასა მიმწუხრად: დაბ. 24,11

სახელობითი: განსრულ იყო ისაჲ განცხრომად ველად მიმწუხრი: იქვე, 24,63

და შემდეგ:

მწუხრად მიევიდა სავანესა მას პაულჱსსა: სინ. მრავ. 250,15

ესე სიტყუაჲ მრქუა მე ბერმან ხუთშაბათად განთენებასა: ლიმონ. 25.27.

ვითარებითში დასმულ დროის გარემოებას უფრო ხშირად ასლავს -მდე თანდებული:

განხითქუა სიტყუაჲ ესე პურიათა შოვრის, ვიდრე დღენდელად დღემდე: ხანმ. მ 28,15

აღსასრულამდე იღუაწეს წმიდასა მაქსიმეს თანა: კიმ. I,68,1
აცადეთ თანად აღორძინებად ორთავე მიმკამდის: C მ 13,30
ვერ იტყოდი მიდღემდის: C ლ 1.20, შდრ. დღესამდე ჰგიეს მას შინა: Sin. 43, გვ. 12r.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ დროის გარემოებად გამოყენებულია უთანდებულო ვითარებითის ფორმით ისეთი სიტყვა, რომელსაც დროის გამომხატველი ლექსიკური მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება -მდე თანდებულიან ვითარებითს, აქ გვაქვს ან ლექსიკურად დროის გამომხატველი არსებითი სახელი, ან კიდევ მასდარი, რომლის თანდებულიანი ვითარებითი ფორმა ვეძლევა დროის კაგებას. ამგვარად, დროის გარემოებად გამოყენებული სიტყვა თუ ლექსიკურად დროის გამომხატველია, ივი შეიძლება იყოს თანდებულიანიც და უთანდებულოც.

მაგრამ, მათ შორის მაინცაა სხვაობა: პირველი აღნიშნავს საერთოდ დროს (კითხვაზე — რ ო დ ი ს?). მეორე კი — გარკვეულ დრომდის მიწევნას (მისი კითხვებია რ ო დ ე მ დ ი ს? ს ა ნ ა მ დ ი ს?), შდრ. „ც ი ს კ რ ა დ... გალობანი წართქუნიან": (ხანძთ. იზ4:) და „არა დაადგრეს გუამი მისი ჯუარსა ზედა შ ა ბ ა თ ა დ მ დ ე" (DE ი 19, 31).

უთანდებულო და -მდე თანდებულიანი სახელი ადგილის ვარემოებადაც იყო გამოყენებული. ერთნაირი ფორმით იყო გამოხატული ადგილისა და დროის გარემოება. ისმის კითხვა: სად უნდა ვეძიოთ მათ შორის განსხვავება — გარემოების გამომხატველ სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობაში, თუ გარემოებათა სინტაქსურ ურთიერთობაში იმ სიტყვასთან, რომელსაც ისინი უკავშირდებიან?

ამათგან უკანასკნელი უნდა მოიხსნას, რადგანაც ადგილისა და დროის გარემოებათა ურთიერთობა იმ სიტყვებთან, რომელთაც ისინი უკავშირდებიან, ერთნაირია, პირველი კი გასათვალისწინებელია.

§ 166. ნათესაობითი ბრუნვა დროის გარემოებად. დროის გარემოებად ჩვეულებრივ იშვიათად გვხვდება ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი, რომელიც, როგორც წესი, გამოხატულია

დროის აღმნიშვნელი სიტყვებით. იგი შეიძლება იყოს უთანდებულოც და თანდებულიანიც.

დროის გარემოების გამოსახატავად ძველ ქართულში გვხვდება წლის დროების (ზამთრის, ზაფხულის) აღმნიშვნელი სიტყვები, შუადღის აღმნიშვნელი სამხრის და აგრეთვე პარასკევის, წუთის და ა. შ.[162]

ამის მიხედვით გვაქვს ე. წ. genetivus temporis:

არცა ზამთრის გარდაემატების და არცა ზაფხულისა დააკლდების: კიმ. 11,151,17

ოქვენ უსუსურნი ხართ და არა გარდასცდით ზამთრის: ლიმონ. 90,27

ძილად სამოთხისად ზაფხულის სავსე არს ყოელითა საწადელითა: იქვე. 1,9

პარასკევის ჯუარსა მიუპყრა სავის პირი: ქართლ. ცხ. 1,264,13

სამხრის უფროჲსღა ვთქუა: ანდრ. მოც. 227 V.

და შემდეგ:

მყის გაიპო ზეცად იგი სახლისად: კიმ. 1,55,3

წყალობამან შენმან... მარადის შემიწყნარა მე: ფსალმ. 39,12.

სხვა ფორმებიდან აღსანიშნავია თანდებულიანი ნათესაობითი. მაგ.:

-გან თანდებულიანი

ხვალისაგან დგა იოანე: C ი 1.35, შდრ. DE: ხვალისა დღე დგა კუალად იოანე

...თჳალ ველისად, რომელ დღეს არს და ხვალისაგან თორნესა შთაგდიან: C მ 6,30, შდრ. DE: თჳალ იგი ველისად რომელი დღეს არს და ხვალე თორნესა შთაეგზნის.

-თჳს თანდებულიანი

არა მუნვე დაადგრენ კორცნი იგი შაფათისა მისთჳს: C ი 19,31

ნუ ზრუნავთ ხვალისათჳს: C მ 6,34, შდრ. DE: ნუ ჰზრუნავთ ხვალისა.

შინა თანდებულიანი

მყისა შინა განკეთრებელ იქმნა ყოველი გუამი: ლიმონ. 7.2.

---

[162] ი. ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი. ძველ ქართულში დროის გარემოების გამოხატვის ზოგიერთი საშუალებისა და „ვეფხისტყაოსნის" ერთი ადგილის წაკითხვისათვის: „კომუნისტური აღზრდისათვის", 1957. № 2, გვ. 73; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ქართლის ცხოვრება, I. 1955, შეავალი, გვ. 046.

შემდგომად თანდებულიანი

ორისა დღისა შემდგომად ზატიკი ყოფად არს: C მ 26,2
რომელ არს პარასკევისა შემდგომად: C მ 27.62
ამისა შემდგომად წარვიდა იესუ: C ი 6,1
შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანნა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე: DE მ 17,1.

ზაფხულის, ზამთრის და მსგავს ფორმებზე დამყარებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ მწუხრი-ც ნათესაობით ბრუნვაში უნდა ვიცვარაუდოთ ასეთ წინადადებებში: მწუხრ ვთქუ...; მწუხრი შეიყვანიან და დილეულ განუტევიან და ა.

მსგავს შემთხვევებში მწუხრი ←მწუხრის[163].

ეს მოსაზრება საგულისხმოა, მაგრამ გასათვალისწინებელი შემდეგი:

1. ზაფხულის, ზამთრის ფორმები ნათესაობითში დასმული დროის გარემოებებია. იგი ძველ ქართულში გვხვდება ბრუნვის ნიშნის დაცვით. რამ გამოიწვია ბრუნვის ნიშნის თანხმოვნის დაკარგვა მწუხრის, მიმწუხრის ფორმებში?

2. რატომ არა გვაქვს შემონახული ძველ ქართულში დროის გარემოებად მწუხრის (მიმწუხრის) ფორმა?

3. ერთი სიტყვის ფორმით მეორის განსაზღვრა ყოველთვის არაა სანდო.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ დროის გარემოებას გამოსახატავად ერთმანეთის გვერდით გამოყენებულია ასეთი ფორმები: ხვალისა დღე და ხვალისა (ხვალისა დღე... აღდგა პიტიახში: შუშ. IV, 12; ნუ ჰზრუნავთ ხვალისა: DE მ 6, 34). ხომ არა გვაქვს ზამთრის, ზაფხულის ტიპის გარემოების ფორმებშიც ჩამოცილებული საზღვრული?[164] მართალია, საზღვრულის აუცილებლობა ამ შემთხვევაში არ იგრძნობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზამთრის, ზაფხულის ტიპის ფორმები ჩვენ გვაქვს ემფატიკური -ა'ს გარეშე, მაგრამ, ჯერ ერთი, საზღვრულის დაკარგვის შესაძლებლობა არაა გამორიცხული და, მეორე, ზამთრის, ზაფხულის გვხვდება ემფატიკური ხმოვ-

---

[163] ი. იმნაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 75—76.

[164] ჩვენგან დამოუკიდებლად მსგავსი მოსაზრება გამოთქმული აქვს თ. უთურგაიძეს. თ. უთურგაიძე, დროის ზმნიზედა ნათესაობით ბრუნვაში: ნ. ბარათაშვილის სახ. გორის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, III, 1956, გვ. 99—100.

ნათაც (მაგ., არცა ზაფხულისა დააკლდების: კიმ. II,151,17).

აღსანიშნავია, რომ საზღვრულის გაუჩინარების შემთხვევები ძველ ქართულში არაა იშვიათი.

§ 167. მოქმედებითი (დაწყებითი) ბრუნვა დროის გარემოებად. საბელი მოქმედებითი (დაწყებითი) ბრუნვის ფორმით, როგორც დროის გარემოება, უკვე არ გამოხატავს მოქმედების საწყის ფორმას დროის თვალსაზრისით. ამით იგი განსხვავდება ადგილის გარემოებისაგან.

საგულისხმო ფაქტია. ადგილის გარემოების ანალიზისას გამოირკვა, რომ პარალელურად იხმარებოდა ადგილის გარემოებად ადგილის საწყისის, ამოსავალი პუნქტის, მნიშვნელობით როგორც უთანდებულო, ისე თანდებულიანი მოქმედებითი. ამათგან უკანასკნელი მეორეული ფორმა აღმოჩნდა. ისიც გარკვეულია, რომ ამგვარ შემთხვევებში „ამოსავალია სივრცეში ლოკალიზაცია, მეორეულია დროში დეტერმინაცია" (არნ. ჩიქობავა). უთუოდ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მოქმედების საწყისის გამოსახატავად მისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა უთანდებულო ფორმა, რომელიც ადგილის გარემოების გამოხატვის დროს თავის დანიშნულებას უნაკლოდ ასრულებდა.

დროის გარემოების გამომხატველი მოქმედებითი ბრუნვა ზოგადად დროს გამოხატავს. მისი კითხვაა რ ო დ ი ს?

მაგალითად:

შემდგომად ექუსისა დღისა იყო ღ ა მ ი თ ძრვაჲ: კიმ. I,264,7
იხილა იგი სახლსა შინა თჳსსა ღ ა მ ი თ: იქვე, 242,21
ღ ა მ ი თ და დ ღ ი თ ევედრებოდეს: იქვე, 264,12
იესუ წინა ექუსით დ ღ ი თ ზატიკისა მის მოვიდა ბეთანიად: C ი 12,1.

ამავე მნიშვნელობით შემონახულია დ ღ ი ვ: „და მას მისცეს... დ ღ ი ვ ერთი პური": ცხორ. 84,5.

როგორც ვხედავთ, ერთმანეთის გვერდით იხმარება დ ღ ი თ (‖დღივ) და დ ღ ი ს ი ფორმები. ახალი ქართულის დ ღ ი ს ი თ ძველ ქართულში არ გვხვდება. ეს უკანასკნელი ძველი ქართულის დ ღ ი ს ი და დ ღ ი თ ფორმების კონტამინაციითაა მიღებული (შდრ. თანდებულები: -მ დ ი ს ‖ -მ დ ი ნ → მ დ ი ს ი ნ).

ძველ ქართულში მოქმედების საწყისის გამოხატვა დროში ეკისრებოდა -გან თანდებულიან მოქმედებითს, ამიტომ, ბუნებრივია,

თუ ასეთი ფორმა არც თუ ისე იშვიათი იქნებოდა[165]. ისიც ფაქტია, რომ -გან თანდებულიანი ფორმა მოქმედების საწყისის დროულ მდგომარეობას გამოხატავდა იმ შემთხვევაშიც, როცა გარემოებითი სიტყვა ლექსიკურად დროზე არ მიუთითებდა (მაგ., ეგე ყოველი დამიმარხავს სიყრმით ჩემით გან: DE მ 19, 20 და სხვა).

ასევე:

პირველითგან ესრეთ იყვნეს ძმანი ჩუენნი: ცხორ. 6,2
გარდაცვალებულთათჳს ყოველთა გარდაიქდიან. გარდაცვალებით-გან რასაცა დღესა მიხუდის: ხანძთ. იზ$_{27}$
ვიტყოდი იგავთა დასაბამითგან სოფლისათ: DE მ 13,35
მიერ დღითგან წარიყვანა იგი მოწაფემან მან თჳსთა თანა: DE ი 19,27.

§ 168. ადგილისა და დროის გარემოებათა სინტაქსური ურთიერთობა წინადადების სხვა წევრებთან. ადგილისა და დროის გარემოებები, წინადადების ეს შეორეხარისხოვანი წევრები, გადმოცემა სახელებით წრფელობით, სახელობით, მიცემით, ვითარებით, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში და ზმნისართებით, რომელთა გარკვეული ნაწილი ამა თუ იმ ბრუნვის გაქვავებულ ფორმას წარმოადგენს.

ადგილისა და დროის გარემოებები უკავშირდებიან შემასმენელს ან რომელიმე ნაზმნარ სახელს (მასდარს, მიმღეობას).

მოწაფენი წარვიდეს გალილეად: ხანმ. მ 28,16
შევიდა იესუ სახლსა: მ 9,28.
მეყსეულად აიძულა მოწაფეთა შესლვაჲ ნავსა: C მ 14,22, შდრ. DE: მეყსეულად აიძულა მოწაფეთა შესლვად ნავსა
მივიდეს იგინი ცისკარსა: DE ლ 24,22
მყის განიპო ზღუდე იგი სახლისაჲ: კიმ. I,55,9.

სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით საერთოდ გარემოებასა და წინადადების იმ წევრს შორის, რომელსაც გარემოება უკავშირდება, ისტორიულად მარცვალი უნდა გვქონოდა უმირთვაც.

არნ. ჩიქობავა შენიშნავს, რომ მირთვა შორეულ კავშირში იმყოფება მართვასთან. მირთვა ნულამდე დაყვანილი მართვაა; მართვის დასუსტების ხაზით მივდივართ მირთვისაკენ. ამ ხაზზე კი შე-

---

[165] ამ საკითხს ვრცლად ეხება ჯ. ძოწენიძე შრომაში: -გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 196—202.

იძლება შემოგვხვდეს ისეთი მოვლენები, რომელთა შესახებ ძნელია თქმა, მართვაა იგი, თუ მირთვა[166].

ამით აიხსნება, რომ მეორეხარისხოვან წევრთაგან ერთმანეთში ურევენ ზოგჯერ ადგილის გარემოებასა და უბრალო დამატებას.

მაგალითად:

მოუკდა მას დედაკაცი... და დაასხა თავსა ზედა (ნელსაცხებელი): C მ 26.7.

შინაარსის მიხედვით თუ განვიხილავთ, თავსა ზედა-ს შეიძლება დაესვას კითხვა სად? და ადგილის გარემოებად იქნეს მიჩნეული, ან დაესვას კითხვა რაზე? და უბრალო დამატებად გამოცხადდეს.

სინტაქსური ურთიერთობის მიხედვით თავსა ზედა-ორივე შემთხვევაში (ადგილის გარემოებაა იგი თუ უბრალო დამატება) მირთულია შემასმენელთან.

ამის მსგავსად -გან და თანა თანდებულიანი სახელიც შეიძლება იყოს ადგილის გარემოებაც და უბრალო დამატებაც.

მაგ., ადგილის გარემოებაა:

აღიღეს უფალი საფლავისაგან: ხანმ. ი 20.2
მო-ვინმე-ეკებჲოდა კაცი ქალაქისაგან: ლ მ.27
თავადი და კიდესა თანა ტბისასა: C ლ 5.1.

მაგრამ უბრალო დამატებაა:

ცოლი თუ განვიდეს ქმრისაგან: DE მრ 10,12
კაცნი ნინეველნი აღდგენ სასჯელსა მას ნათესავსა ამას თანა: C მ 12.41.

აღსანიშნავია ის ცვლა, რომელიც მოხდა ახალ ქართულში. თუ ძველ ქართულში ნათესაობითში დასმული -გან თანდებულიანი სახელი წინადადებაში ადგილის გარემოებაც იყო და უბრალო დამატებაც და პირველ შემთხვევაში იგუებდა კითხვას საიდან? მეორე შემთხვევაში — ვისგან? რისგან? ახალ ქართულში შინაარსეულმა სხვაობამ შესაფერისი ფორმა გაიჩინა: -გან თანდებულიანი მოქმედებითი გამოყენებულ იქნა ადგილის გარემოების გამომხატველად, ხოლო -გან თანდებულიან ნათესაობითს შერჩა პირმიუმართავი დამატების გადმოცემა.

ყოველივე ეს ადასტურებს იმას, რომ აქ მართვა კი არა გვაქვს, არამედ მირთვა. მართვა რომ გვქონოდა, აგრეთვე შეეძლებელი იქ-

---

[166] არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 155.

ნებოდა ერთსა და იმავე დროს: „შევიდა იესუ სახლსა“: DE მ 9, 28 და „შევიდა იგი სახიდ“: იქვე, C...

ისტორიულ ასპექტში თუ განვიხილავთ, უნდა ითქვას, რომ პირველადი აქაც მართვა იქნებოდა.

ამგვარად:

ადგილისა და დროის გარემოებები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ასეთ გარემოებებად წინადადებაში გვხვდება ადგილის ან დროის ზმნისართები, რომელთა ორ ჯგუფს განასხვავებენ. ესენია პირველადი ზმნისართები და წარმოქმნილი ზმნისართები. უკანასკნელთ შემოუნახავთ ბრუნვის ნიშნები ან სხვა უძველესი აფიქსები.

ადგილისა და დროის ზმნისართები ერთმანეთისაგან უმთავრესად ლექსიკური მნიშვნელობით განსხვავდებიან.

ადგილისა და დროის გარემოებები გადმოიცემიან ზმნისართებით, არსებითი სახელებითა და ნაზმნარი სახელებით. ბრუნვებიდან გამოყენებულია წრფელობითი და სახელობითი—დროის გარემოებისათვის, უთანდებულო ან თანდებულიანი მიცემითი, ვითარებითი, ნათესაობითი და მოქმედებითი — ადგილისა და დროის გარემოებებისათვის.

თანდებულიანი ფორმები მეორეხარისხოვანია. პირველ რიგში თანდებულები გამოყენებულია იქ, სადაც ადგილის თუ დროის გარემოების გამომხატველი სიტყვა ლექსიკურად ადგილს ან დროს არ გამოხატავს.

მიცემითი და ვითარებითი ბრუნვები ერთმანეთს ენაცვლებიან, რაც კანონზომიერი მოვლენაა: ორივე ბრუნვა წარმოადგენს ერთი ბრუნვის დიფერენციაციას.

რიგ შემთხვევაში ერთმანეთს ენაცვლებიან აგრეთვე ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვებიც. მიმართება ნათესაობითსა და მოქმედებითს შორის ისეთივეა, როგორიც გვაქვს მიცემითსა და ვითარებითს შორის.

ვითარების გარემოება

§ 160. ვითარების გარემოების ფუნქცია. ვითარების გარემოება არის წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი, რომელიც გამოხატავს მოქმედების თვისობრივ ხასიათს და პასუხობს კითხვებზე: როგორ? რანაირად?

როგორც დამოუკიდებელი სიტყვა, ვითარების გარემოება ხსნის შემასმენელს ან განსაზღვრებას, ან ზმნისართს, რომელიც წინადადებაში გარემოებადაა გამოყენებული.

§ 170. ვითარების გარემოების გამოხატვის საშუალებანი. ყველაზე ხშირად ვითარების გარემოებად გამოყენებულია ვითარების ზმნისართები მარტივი სახით ან ფუძის გაორკეცებით. გარდა ამისა, ვითარების გარემოებას გადმოსცემს ზმნისართის მნიშვნელობით გამოყენებული ზედსართავი სახელები და მიმღეობები ვითარებაბრუნვაში, -ებრ თანდებულიანი არსებითი სახელები (ნათესაობაბრუნვაში ან ფუძის სახით), მასდარები და აბსტრაქტული სახელები მოქმედებით ბრუნვაში და სხვ.

ვითარების გარემოებად ხშირია პარალელური ხმარება ე გ რ ე —ე გ რ ჱ თ და ე ს რ ე—ე ს რ ჱ თ ზმნისართებისა.

ორივე ზმნისართი რთული აგებულებისაა: გამოიყოფა ნაწილაკი -რე, რომელიც ამ შემთხვევაში „აღნიშნავს სახეს, ვითარებას" (ნ. მარი, ა. შანიძე), პირველი ნაწილი კი ნაცვალსახელური ძირია. პარალელურ ფორმებს ქმნის ფუძე და მოქმედებითი ბრუნვის ფორმა. ფუნქციურად მათ შორის სხვაობა არ იგრძნობა, მაგრამ ე გ რ ე და ე ს რ ე (|| ეგრჱთ და ესრჱთ) სხვაობას იძლევიან სივრცეში: პირველი აღნიშნავს სიახლოვეს მეორე პირთან, მეორე — პირველ პირთან.

ძველ ქართულში ოთხივე ფორმა (ეგრე—ეგრჱთ, ესრე—ესრჱთ) ხშირად ენაცვლება ერთმანეთს.

მაგალითად:

მან ყო ე გ რ ე: მოც. Č 12.8, შდრ. Ⴂ: მან ყო ე გ რ ე თ

ე გ რ ე იყოს ძჱ კაცისაჲ: C მ 12.40, შდრ. DE: ე გ რ ჱ თ იყოს ძჱ კაცისაჲ.

ე გ რ ე იყოს მოსლვაჲ იგი ძისა კაცისაჲ: C მ 24.39, შდრ. DE: ე ს რ ჱ თ იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ

და იყო წერილი ე ს რ ე: DE ი 19.19

და ე ს რ ჱ თ ჴერ იყო ყოფაჲ პირველისაჲ: მრავალთ. 298,4

მოძღუარ, მოსე ე ს რ ე თ დამიწერა ჩუენ: DE მრ 12,19

და ე ს რ ჱ თ მოვიდა მამაჲ გრიგოლ თჳსსა ვანსა: ხანძთ. ივ...

-რე ნაწილაკიანი ზმნისართებიდან ვითარების გარემოებად აგრეთვე გარკვეულ შემთხვევაში გამოყენებულია მარტივად ან ფუძის რედუპლიკაციით ა დ რ ე (ა დ რე- ა დ რ ე):

ხოლო იგინი წარვიდეს ადრე მიერ საფლავით: ხანმ. მ 28,8, შდრ. ადრე მოიღეთ იგი აქა: სინ. მრაგ. 250,25

ხოლო დედაკაცმან მან თავს იდვა ადრე-ადრე: შუშ. XI,9

ადრე მრავალმხრივ იქცევს ჩვენს ყურადღებას. იგი ვითარების ზმნისართია თავისი წარმოშობით და ამდენად ვითარების გარემოება წინადადებაში (=მალე, ჩქარა). ძველი ქართულის პირველობით ეს ფორმა დაცულია ჰანურშიც: ორდო||ოდრო=მალე, ჩქარა, სწრაფად. მეგრულში ოდრო||ორდო ეწინააღმდეგება „დილას". „ამ მნიშვნელობით ორდოს გამოყენება მეგრულში მეორეული მოვლენა უნდა იყოს"[167].

ვითარების გარემოებად ხშირადაა გამოყენებული -ივ დაბოლოებიანი ზმნისართი. უძველესი ქართულის -ივ ბრუნვის ნიშანი იყო გაგებული. შემდეგ მას დაკარგული აქვს თავისი ფუნქცია და ჩვენამდის მოღწეულია, როგორც სიტყვაწარმოებითი აფიქსი (მაგ., ქურ-ივ-ი), ამ გაქვავებული სახით შემორჩენილია ზმნისართებთან.

ვითარების გარემოებად -ივ ნიშნიანი ზმნისართების ხიმღშებია:

შეემოსა არდაგი შიშულივ: მრ 14,51

პური ნაყოფისა ჭეუყანისა შენისაჲ იყოს მაძრივ: ესაია. 30,23.

ამგვარ ფორმას შეიძლება შეენაცვლოს სახელობითი ბრუნვაც, რომელსაც სათანადო ახსნაც მოეპოვება, მაგ., „და მან დაუტევა არდაგი იგი და ივლტოდა შიშულივ მათგან": ქსნის ოთხთავი, მრ 14, 52, შდრ. DE: „და ივლტოდა შიშუელი მათგან"; C: „შიშუელი ივლტოდა მათგან".

-ივ ნიშნიანი ზმნისართი ვითარების გარემოებად გვხვდება ახალ ქართულშიც, მაგ.:

ეგრე სისწვრივ ვაზი რომ ჩაგიყრია...: ილია, I,449

ერთი შენებურად დაუარე სიმრგვლივ: იქვე, 458.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ -ივ სუფიქსი იხმარებოდა მოქმედებითი ბრუნვის ნიშნად: მარჯუნივ — მარჯუნით, მარცხნივ — მარცხნით. ასევე ვითარებითი ბრუნვის ნიშნად გამოყენებული იყო -ავ: კულავ (=კუალად)[168].

---

[167] არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბილისი, 1938, გვ. 199.

[168] Н. Марр, Грамматика древнелитер. грузинского языка, 1925, გვ. 30; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 130; ვ. თოფუ-

ამის მიხედვით ბრუნვის ნიშანთა ფორმებიც ასეა წარმოდგენილი:

მიცემითი	-ს	-ას	-*ან
ნათესაობითი		-ის	-ინ
მიმართულებითი	-დ	-ად	-ავ
მოქმედებითი	-ით	(←-ილ)	-ივ.[169]

-ას დაბოლოება გვხვდება ზმნისართებში: წ ე ს ა ს, პ ი რ ა ს, ძ ი რ ა ს[170], ი ო ლ ა ს (ი ო ლ ა ს გამოვდივართ: გ. ლეონიძე, ნატვრის ხე. 330,22; ი ო ლ ა ს მივდივარ: აკაკი, VII,806).

არნ. ჩიქობავას მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ -ზს აფიქსი აფხაზურის სახელებში უკავშირდება მეგრ.-ას სუფიქსს, რომელიც გვაქვს ზმნისართად გამოყენებულ ზედსართავებში: მალ-ას „მალე", „მალი-ად", მანგარ-ას, „მაგრად" და სხვ.[171]

ავტორს აღნიშნული სუფიქსი აფხაზურში ქართველური ენებიდან შეთვისებულად მიაჩნია.

თანამედროვე აფხაზურში ამ აფიქსით გამოხატულია ე. წ. გარდაქცევითი ან ვითარებითი ფორმა. მას აქვს გარკვეული აფიქსი (-ს) და სახელზე დართვის წესითაც ჩვეულებრივ ბრუნვის ფლექსიას მიაგავს[172].

ძველ ქართულში შემონახულია -ოვ სუფიქსიც, რომელიც გვაქვს მ ა ღ ლ ო ვ სიტყვაში (მაგ., წინაშე კაცთა მ ა ღ ლ ო ვ არს: C ლ 16,15). იგი გამოყენებულია სიტყვაწარმოებაში (მაგ., მოსეცა აუწყა მ ა ყ უ ლ ო ვ ა ნ ს ა მას ზედა: ლ 20, 37). აქ -ოვ და -ავ ფორმას ეტოლება -ოვ, რომელიც რომელიღაც ბრუნვის ნიშანი უნდა ყოფილიყო.

რ ი ა, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 3, 1944, გვ. 340.

[169] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ბრუნების სისტემისათვის სვანურში... გვ. 341.

[170] H. M a r r, Грамматика древнелитер. грузинского языка, გვ. 23—24; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მორფოლოგიური შეხვედრები აფხაზურისა ქართველურ ენებთან: ენიმკის მოამბე, ტ. XII, გვ. 163; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით, გვ. 340.

[171] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მორფოლოგიური შეხვედრები აფხაზურისა ქართველურ ენებთან... გვ. 168.

[172] ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ბრუნების საკითხი აფხაზურში: ენიმკის მოამბე, ტ. XII, გვ. 188—189; მისივე: აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი, თბილისი, 1944, გვ. 79; აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის, თბილისი, 1954, გვ 61.

-ოვ-ის შემცველი -ოვან სუფიქსის მსგავსად ქონების აღმნიშვნელია -ოსან (მაგ.. ტკ ა რ თ ო ს ა ნ ი: არა ჰრქუან ტკართოსანთა მათ: ისტ. ქრ. 282,37)). ოვ-ან და -ოს-ან სუფიქსებში საერთოა -ან, განმასხვავებელია -ოვ და -ოს. დანიშნულების მიხედვით -ოვ და -ოს ფარავენ ერთმანეთს: ყ ვ ა ვ ი ლ ო ვ ა ნ ი (=ყვავილიანი), ქ უ დ ო ს ა ნ ი (=ქუდიანი). -ან კომპონენტის ზანური ვარიანტია -ონ, რომელიც ჰანურში ფართოდაა გამოყენებული: კიბირონ-ი= კბილიან-ი.

თუ -ოვ იმავე წყებისაა, როგორიც -ავ (ფიცხლავ) და -ივ (მარცხნივ), მაშინ -ოს მოგვაგონებს მიცემ-თან-ას ნიშანს და ნათესაობითის -ის ნიშანს.

ამგვარად. ერთი მხრივ გვაქვს -ავ, -ივ, -ოვ, მეორე მხრივ — -ას, -ის, -ოს ნიშნები. ეს ფორმები საერთოა თანხმოვნების მიხედვით, განსხვავებულია ხმოვნების მიხედვით.

ზოგი ასეთი ფორმა მორფოლოგიურად ზმნისართია და სინტაქსურად — გარემოება. სხვა შემთხვევაში -ავ, -ივ, -ოვ გამოყენებულია სიტყვაწარმოებაში. ეს უკანასკნელი მეორეული ჩანს.

ვითარების გარემოებად სახელის ფუძეცაა გამოყენებული: მ წ რ ა ფ ლ, მ ა რ თ ლ, მ გ ზ ა ვ რ:

და შეიდა ჭალი ივი მ წ რ ა ფ ლ მეფისა: მრ 6.25
მ ს წ რ ა ფ ლ ხოლო მოვიდე ძმათა ჩემთა თანა: ისტ. ქრ. 241,8
წარვიდეთ მ ა რ თ ლ: დაბ. 33.12
ღმერთმან ფერჴთა შენთა ზედა მ ა რ თ ლ: მოც. 14.10
მ გ ზ ა ვ რ მიმაცალი ვინ-მე ეპისკოპოსი ანჩელი ხედვიდა სასწაულსა მას: ხანძთ. გზ.

ფუძის გაორკეცებით ან გართულებითაა მიღებული პ ი რ ა ს პ ი რ, წ უ ს წ უ თ:

ვიხილე ღმერთი პ ი რ ი ს პ ი რ: დაბ. 32.30
რომელ არს პ ი რ ს პ ი რ თჳენსა: C მ 21.2
ფარისეველთა და ყოველთა ჰურიათა წ უ ს წ უ თ თუ არა დაიბანნიან ქელი. არა ჰამიან ჰური: C მრ 7.3.

ვითარების გარემოების აღსანიშნავად უველაზე უფრო სშირია ზედსართავი სახელისა და ენებითი (აგრეთვე საშუალი) გვარის მიმღეობის ფორმები ვითარებით ბრუნვაში. მათ დაკარგული აქვთ პირველადი ლექსიკური გაგება. ეს გასაგებია, თუ ზედველობაში მივიღებთ, შემდეგ გარემოებას: ზედსართავი სახელი ერთვის არსებით სახელს და აღნიშნავს მის რაიმე ნიშანს; ზმნასთან დართული

„ზედსართავი“ სახელი (ან მიმღეობა) კი მხოლოდ ზმნისათია. სწორედ ამგვარ მოვლენას გულისხმობდა ლ. შჩერბა, როდესაც აღნიშნავდა: „ზმნისართის კატეგორია არის მხოლოდ ფორმალური კატეგორია, ვინაიდან მისი მნიშვნელობა ემთხვევა ზედსართავის მნიშვნელობას, როგორც ეს აშკარაა ისეთი წყვილების შედარებიდან, როგორიცაა წვრილი/წვრილად (мелкий/мелко) მხნე /მხნედ (бодрый/бодро) და ა. შ. ჩვენ, ალბათ, მსგავს ზმნისართებს მივიჩნევდით ზედსართავებად, რომ ამ ვუნქციით არ იხმარებოდეს უცვლელი სიტყვების დიდი რიცხვი, რომლებიც არ არიან ზედსართავებიდან ნაწარმოები: „очень, слишком, наизусть, сразу, кругом და ა.შ.“[173]

ასეთი ზმნისართები ძველ ქართულში გვხვდება ბრუნვის ნიშნიანად. ოღონდ ფუძის გაორკეცების შემთხვევაში კომპოზიტის პირველ წევრს შეიძლება მოეკვეცოს ბრუნვის ნიშანი.

მაგალითად:

ვითარ მეყსეულად განკმა ლეღვ ესე! მ 21,20
ხოლო ასული იგი მისი კეთილად ცხონდა: ხანძთ. პე29
ტიროდა მწარედ: მ 26,75
ქარი სასტიკი ჩრდილოდასავ ძლიერად ქროდა: ანტ. რავ. 90,12
მაშინ განრისხნა ბოროტი იგი სასტიკად: წარტყ. მ1
აჰა ესერა დაუტევნეთ თქუენ სახლნი თქუენნი ოკრად: ლ 13,35
კუალად მოპეგო კელი იგი: ჰაემ. მრ 3,5
წარვიდეს კულად თჳსაგან მოწაფენი: ხანმ. ი 20,10.

ამავე დანიშნულებით იხმარებიან ის ზმნისართები, რომლებიც მომდინარეობენ ენებითი ან საშუალი გვარის მიმღეობებიდან.

მაგალითები:

და იყო განგრძობილად სიტყუაჲ მათ შორის: ხანძთ. 361
უბრძანა განშორებულად დაჯდომაჲ: იქვე, ნე24
დასკუდილად ელენდე გზასა ურთიერთას: ისტ. ქრ. 282,36
დასთხიენ ცრემლნი შენნი მკურალედ: მამ. სწ. 4,28
და მიხედა მათ მრისხანედ: მრ 3,5.

არსებითი სახელების მსაზღვრელებად სხვა შემთხვევაში შეიძლება შეგვხვდეს განსაზღვრებითი ნაცვალსახელები (ყოველი...), ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმები (უფროჲსი...). უარყოფითი მიმღეობის ფორმები (დაუცხრომელი, უქმი...). ზმნას-

---

[173] Л. В. Щ е р б а, О частях речи в русском языке: Русская речь под редакцией Л. В. Щ е р б ы, Новая серия, II, გვ. 14.

თან დაკავშირების შემთხვევაში ესენიც ზმნისართების ფუნქციით გამოდიან.

მაგალითები:

აღაფუნის იგი ყოველად: DE მ 13,33
უფრომასად მიმოდებოდა სიტყუად იგი: DE ლ 5,15
ხოლო მან... ულბილესად იწყო სიტყუად მათა: თომას სახ. 38,22
არა დაუტევა უწამებელად ქველის მოქმედებად იგი თჳსი: მოც. 14,17
ხოლო იგი შეუშფოთებელად დადუმნა: ხანძთ. მწ$_{16}$
უგალობდი მას... დაუცხრომელად: მამ. სწ. 120,15
ქუეყანაცა დაუპყრიეს უქმად: ლ 13,7.

ახალ ქართულში გვხვდება ვითარების გარემოების კიდევ ერთი თავისებური წარმოება.

მაგალითად:

აბდუშაჰილი სიგრძისად გაიღლამა გულაღმა დედამიწაზე: აკაკი. IV,109
მამა წყობისად ტკირთავდა საძნე ურემს: ა. ხახუტაშვილი, თომკოს საჩუქ. 1949. გვ. 96,8.

ვითარების გარემოება ხშირად მიიღება ფუძის რედუპლიკაციით. ამგვარ შემთხვევაში შეიძლება ორივე ნაწილს ჰქონდეს ბრუნვის ნიშანი წარმოდგენილი, ან პირველ ნაწილს მოეკვეცოს.

მაგალითები:

ბრუნვის ნიშანი ერთვის ორივე ნაწილს

ნელიად-ნელიად გამოვიდოდა ყოველი ერი: ისტ. ქრ. 271,25
ტბორად-ტბორად განწმედილსა მას დაჰკრებდა: თომას სახ. 36,4
დასხდა მწყობრად-მწყობრად ას-ასი: მრ 6,40
მრგულიად დასაწუველი იგი მოართუეს მას ასოდ-ასოდ: ლევიტ. 9,13
იწყო დაკრად ბრძკლად-ბრძკლად: ანტ. რავ. 83,5.

კომპოზიტის პირველ წევრს ჩამოშორებული აქვს ბრუნვის ნიშანი:

შეკრბა იგი ზკნ-ზკნად: გამ. 8.14
ძკრ-ძკრად მოწყჳდნის იგინი: ისტ. ქრ. 283.37
კორცნი წულილ-წულილად დაებძარნეს ძეძესა მას: შუშ. VIII,19.

ყურადღებას იქცევს ვითარების გარემოება ერთად (ზოგად):

შეკრბეს ერთად მერმე მოწაფენი იგი: C ი 20,10
რბიოდეს ორნივე ერთად: C ი 20,4, შდრ. DE: რბიოდეს ორნივე ზოგად
წარვიდეს ორნივე ზოგად: დაბ. 22,8.

ვითარების გარემოება ზოგჯერ ალწერითი ფორმითაა გადმოცემული, რომლისაც ამ მნიშვნელობით იხმარება მთელი შესიტყვება: ამ შესიტყვებაში პირველი ნაწილი მართული მსაზღვრელია:

ასა ვაცები და ვერძები აღვიდოდა... ნაცრის ფერად სხურებულ: დაბ. 31,10.

ვითარებით ბრუნვას ზოგჯერ ენაცვლება სხვა სიტყვა ფუძის საჰით: ორივე ერთნაირ ფუნქციას ასრულებს წინადადებაში და გვხვდება სხვადასხვა რედაქციაში.

მაგ.:

მაშინ ჰეროდე ფარულად მოუწოდა მოგუთა მათ: DE მ 2.7, შდრ. მაშინ ჰეროდე იდუმალ მოუწოდა მოგუთა მათ

იყავ კეთილად მცნობელ წინამოსაჯულისაგან შენისა ადრე: DE მ 5.25, შდრ. C: იყავ მართლ განმზრახველ მოსაჯულისა შენისათჳს ადრე.

ვითარებით ბრუნვას ენაცვლება საბელობითი. ეს უკანასკნელი უშუალოდ მიღებულია წრფელობითიდან:

აჰა ესერა დაუტევებთ თქუენ სახლთა თქუენთა ოკრად: DE მ 23,38, შდრ. C: აჰა ეგერა დაგშდების თქუენ სახლი თქუენი ოკერი.

ვითარების გარემოების გამოსახატავად პარალელურ ძეგლებში ერთმანეთს ენაცვლებიან მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები; ასე მაგალითად, „მოციქულთა საქმის“ C: რედაქციაში მოქმედებითი ბრუნვაა, Ქ-ში — ვითარებითი:

მისლვასა ჩუენსა იერუსალჵმდე მხიარულებით შემიწყნარნეს ჩუენ ძმათა: C 21.17. შდრ. Ქ: მხიარულად შემიწყნარნეს ჩუენ ძმათა.

შეიძლებოდა გვეთქვა. ტექსტებს შორის რედაქციულმა სხვაობამ მოგვცა სხვადასხვა ფორმებიო, რომ C რედაქციის სხვა ადგილას არ გვხვდებოდეს ვითარებითი ბრუნვა, როდესაც Ქ რედაქციაში მოქმედებითი ბრუნვაა, მაგალითად:

ჰეშმარიტად იცოდა გზისა მისთჳს: C 24,22, შდრ. Ქ: ჰეშმარიტებით იცოდა გზისა მისთჳს.

ვითარებითში დასმულ სახელს შეიძლება თან ახლდეს -რე ნაწილაკიც, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს: აღნიშნავს სახეს, გვარს, ზოგჯერ ოდენობას.

მაგალითები:

და ვარქუ მე სანატრელსა მას ხუაშიადად-რე: შუშ. 111,20
ხოლო თავადმან მიზეზყო უშორესად-რე წარსლვად: DE ღ 24,28
მცირედ-რე შემდგომად იხილა იგი სხუამან: DE ღ 22,58 და სხვ.

მიცემითში დასმული სახელი ვითარების გარემოებად იშვიათია. რაც გვაქვს, ისიც მეორეულია. მაგალითად, გვაქვს ასეთ შემთხვევაში „და მ ე უ ს მოიწია რისხვისა იგი ღრუბელი“: ისტ. ქრ. 273,9. თავდაპირველად მ ე უ ს, როგორც ამაზე მიუთითებს მისი ლექსიკური მნიშვნელობა, დროის გამომხატველი უნდა ყოფილიყო და შემდეგ აქვს მიღებული ვითარების გარემოების გაგება.

ეგეთე ფუძეა გამოყენებული ნათესაობითშიც. აქ გვაქვს მ უ ი ს, მაგ.: „მაშინ მ უ ი ს (=უცბად) მოიქცა იგი“: საბა ას. 12,13. უთანდებულო ნათესაობითის ფორმა ვითარების გარემოებად აგრეთვე იშვიათია. წარმოშობით მ უ ი ს დროის გარემოებაა და ასედაც იხმარება ძველ ქართულში: „და რამეთუ იდიდა მის თანა, და ღმერთმან ადიდოს იგი თავისა თჳსისა თანა და მ უ ი ს (=მაშინვე) ადიდოს იგი“: C и 13,32, შდრ. DE: „მ ე უ ს ე უ ლ ა დ ადიდოს იგი“.

ძველი ქართულის მასალების ანალიზი ამტკიცებს, რომ მ ე უ ს. მ უ ი ს, მ ე უ ს ე უ ლ ა დ, ჰ უ ნ თ ქ უ ე ს ვ ე წარმოშობით დროის ზმნისართებია, აღნიშნავენ მ ა შ ი ნ ვ ე ს. შემდეგ კი მიიღეს ვითარების ზმნისართის გაგება და აღნიშნავენ: უ ც ბ ა დ, ს ა ჩ ქ ა რ ო დ.

ვითარების გარემოებად შეიძლება გვქონდეს **-ებრ** და გარკვეულ შემთხვევაში — **-გან** თანდებულიანი ფორმები.

-ებრ თანდებული ვითარების გარემოების გამოსახატავად ერთვის სახელს ან ბრუნვის ნიშნის შემდეგ, ან მხოლოდ სახელის ფუძეს.

-ებრ თანდებულიანი ნათესაობითი, როგორც ვითარების გარემოება, იმ მხრივ იქცევს ყურადღებას, რომ არსებითი სახელი ვითარებას არ გამოხატავს, არც ფუძის სემანტიკური მნიშვნელობა მიუთითებს ვითარების გარემოებაზე. ვითარების გარემოების გაგებას სახელს აძლევს ამ შემთხვევაში **-ებრ** თანდებული.

თავისი მნიშვნელობით **-ებრ** თანდებული გამოხატავს მსგავსებას[174]. ეს თანდებული გამოიყენება ერთი საგნის შესადარებლად მეორესთან. შედარებისათვის სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობაა ამოსავალი. ალბათ, ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ **-ებრ** თანდებული ხშირად ერთვის ფუძეს და მნიშვნელობის ცვლა მაინც

---

[174] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 622; არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, თანდებული ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, გვ. 227.

არ ხდება ბრუნვისნიშნიან ფორმასთან შედარებით მაშინ, როდესაც სხვა თანდებული ჩვეულებრივად სხვადასხვა ბრუნვის ფორმასთან ან მეტყველების სხვადასხვა ნაწილზე დართვისას იძლევა სხვადასხვანაირ გაგებას, მაგ., შდრ. **-გან** თანდებულიანი ფორმები: „იხილეს ლეღვ იგი განკმელი ძირითგან“ (=ადგ. გარემ.): DE მრ 11,20; „ვიტყოდი იგავთა დასაბამითგან (=დრ. გარემ.) სოფლისაჲთ“: DE მ 13,35; „ხოლო იგი წინაჲსწარ ბირებულ იყო დედისაგან თჳსისა“ (=პირმიუმართ. დამატ.): მ 14,8.

საქმე ისაა, რომ **-ებრ** თანდებულს შემორჩენილი აქვს ის მნიშვნელობა, რომელიც მას ჰქონდა უფრო ადრე.

სინტაქსურად **-ებრ** თანდებული მართავს სახელს ნათესაობით ბრუნვაში. იგი შეიძლება დაერთოს ფუძესაც.

მაგალითები:

ჴამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მკურვალებაჲ მზისაჲ...: ჰუშ. X IV.22
შენ სხუად სახედ ყრმებრ არა რაჲ ჰქმენ: იქვე, XVI,13
ვის ჰქონან საფასენი შენებრ: მამ. სწ. 66.17...
უბრძანა აღთქუმისაებრ წილით განყოფაჲ: ხანძთ. ლ45
და ეტყოდა გონებისაებრ ქალწულებისა თჳსისა: დაბ. 34.3
შჯულისაებრ თქუენისა განიკითხეთ: DE ი 18,31
ნუ იყოფინ ჩემდა სიტყჳსაებრ მაგის: დაბ. 44,17...

-ებრ თანდებულიან ფორმებს ენაცვლება ზოგჯერ აღწერითი წარმოება:

მეყავნ მე სიტყჳსაებრ შენისა: DE ლ 1,38, შდრ. C: იყავნ ჩემდა მსგავსად სიტყჳსა შენისა
სარწმუნოებისაებრ თქუენისა გეყავნ თქუენ: DE მ 9,29. შდრ. C: მსგავსად სარწმუნოებისა თქუენისა გეყავნ თქუენ.

იშვიათად ვითარების გარემოებად **-გან** თანდებულიანი სახელიც იხმარება, ასეთია თჳსაგან (=ცალკე, მარტო).

აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თჳსაგან: DE მ 17,1, შდრ. C: აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა მარტოდ
წარვიდა უდაბნოსა ადგილსა თჳსაგან: DE მ 14,13
მოვედით თქუენ თჳსაგან უდაბნოსა: DE მრ 6,31.

მოქმედებით ბრუნვაში ვითარების გარემოება გვევლინება მაშინ, როდესაც იგი გადმოცემულია მასდარით ან ზოგიერთი არსებითი სახელით (აბსტრაქტული სახელით და სხვა) და ჩვეულებრივ არ ახლავს ემფატიკური **-ა**.

მაგალითები:

მასდარი ვითარების გარემოებად

იაკობ წარვიდა გზასა თჳსსა მშჯდობით: დაბ. 32,1
მოვიდა ძმაჲ შენი ზაკუვით: იქვე, 27.35
ხოლო ნეტარი იგი ცრემლოოდა სულთქუმით: ხანძთ. მეგ
მაშინ-ღა სრბით მიეიდა სიმონ-პეტრესა: C и 20,2
მაშინ განკმზადა ტაბლაჲ მსგავსად ჩუეულებისა სიხარულით: ხანძთ. ე52

მაგრამ ახლავს ემფატიკური -ა აქაც და სხვა შემთხვევაშიც:

ხოლო იგი სიხარულითა მოეგება ძესა თჳსსა: ხანძთ. კთ18.

აბსტრაქტული სახელები ვითარების გარემოებად

ხოლო მან სიმდაბლით დაარწმუნა წმიდასა მას: ხანძთ. ღდ11
მაშინ ერთმან ვინ-მე ეპისკოპოსმან სილაღით თქუა შორის შეკრებულთა მათ: იქვე, მბ28, შდრ. სიმდაბლითა მისითა სამართალნი მისნი მიეხუნეს: მოც. 8,33.

გარდა აბსტრაქტული სახელებისა მოქმედებით ბრუნვაში შეიძლება შეგვხვდეს სხვა სახელებიც:

კუბასტიცა თავსა მისსა მოხეთქა და პირით... გამოუღო კელთა მისთა: შუშ. VI,19

ცოცხლებით იყვენით უფლისა მიერ! მოც. 15,29
ახლისა შჯულისა დაბეჭდულნი წიგნნი ზეპირით იცოდნა: ხანძთ. ღგ13
ქრქუა მას ქმითა დიდითა: მოც. 14,10.

რიგ შემთხვევაში სახელობით ბრუნვაში დასმული მიმღეობაც და ზედსართავი სახელიც ვითარების გარემოებას მოგვაგონებს.

მაგალითად:

იელტოდა შიშუელი მათგან: DE მრ 14,52, შდრ. ქსნის ოთხთაული: იელტოდა შიშულიე მათგან
აჰა ეგერა დაგშდების თქუენ სახლი თქუენი ოკერი: C მ 23,38. შდრ. DE: აჰა ესერა დაუტეეებთ თქუენ სახლთა თქუენთა ოკრად.

ასევე:

პოვის იგი განშუენებული: DE ლ 11,25
მეშჯდესა წელსა განვიდეს შენგან თავისუფალი მეტად: გამ. 21,2 და ა. შ.

წინადადების ასეთი წევრი თავისი წარმოშობით განსაზღვრებაა და არა გარემოება, ოღონდ სათანადო საზღვრულის დაკარგვის გამო დაკარგულია მსაზღვრელობითი ფუნქციაც და მიკედლებულია შემასმენელთან ისევე, როგორც გარემოება. ზოგჯერ იგი ისე ჩა-

მოყალიბებულია, რომ მართებული იქნებოდა მისთვის ატრიბუტული გარემოება გვეწოდებინა, მაგრამ განსაზღვრებისა მას შერჩა ბრუნვა და რიცხვი: შდრ. „წარვიდა სახიდ თჳსა სიხარულით განმრთელებული“: შუშ. X1,15 და „დიდითა ტირილითა ვტიროდეთ განმწარებულნი“: იქვე, 111.8.

ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებული ინტერესი აზრთა სხვადასხვაობაში გამოვლინდა: იგი ცნობილია პრედიკატული განსაზღვრების სახელით[175]; უწოდებენ ვითარების გარემოებასაც[176]; ან ზმნასთან ერთად შემასმენლის შემადგენლობაში აქცევენ და თვლიან ატრიბუტივიან შემასმენლად[177].

სინტაქსურად ვითარების გარემოება დაკავშირებულია ზმნასთან (შემასმენელთან), ნაზმნარ სახელებთან, შედარებით იშვიათად ზედსართავ სახელებთან და ზმნისართთან.

მაგალითად:

წარვიდა სიხარულით ანტიოქიად ქალაქად: არიმათ. 58,18

მაშინ ეეედრებოდა ნეტარსა მას მღდელი ვინ-მე დაყუდებით მყოფი: სანძთ. ოდ,

მგზავრ მომავალი ვინ-მე ეპისკოპოსი ანჩელი ხედვიდა სასწაულსა მას: იქვე, ჲზ9

მრგულიად დასაწუველი იყოს მსხუერპლი იგი მისი: ლევიტ. 1,3

იზრახა ფარულად განტევებაჲ მისი: C მ 1.19

ვიხილო...' კრავი ერთი დიდად სპეტაკი: ანტ. რავ. 84,6

დაადგინა წინაშე ცხოვართა მათ ვერძი მოსპეტაკე და ყოველად ჭრელი ტარიგთა შორის: დაბ. 30,40.

ხოლო ძენი ისრაჱლისანი... განძლიერდებოდეს დიდად ფრიად: გამ. 1.7 და სხვ.

სინტაქსური ურთიერთობა ყველგან ერთნაირია: ვითარების გარემოება მირთული წევრია წინადადებისა.

---

[175] Г. Паулъ, Принципы исторiи языка. М., 1960, გვ. 169; В. Г. Адмони, Введение в синтаксис совр. нем. языка. М., გვ. 358—364; А. Шахматовъ, Синтаксис русск., яз. 39; ლ. კვაჭაძე, მიმღეობისა და სახელის ზოგიერთი ფორმის სინტაქსური კვალიფიკაციისათვის: „კომუნისტური აღზრდისათვის“, № 12, 1957, გვ. 27—36: მისივე: ქართული ენის სინტაქსი, თბილისი. 1958. გვ. 131—144.

[176] ი. იმნაიშვილი. შედგენილი შემასმენელი ქართულში: ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედინსტიტუტის შრომები, V, 1948, გვ. 211—212: მისივე: სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 675—679.

[177] ა. ღლონტი, ატრიბუტივიანი შემასმენელი ქართულში: ცხინვალის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, II, 1955, გვ. 254—255.

ზომისა და ოდენობის გარემოება

§ 171. ზომისა და ოდენობის გარემოების გამოხატვის საშუალებანი. ზომისა და ოდენობის გარემოება გამოხატავს, თუ რამდენჯერ ან მერამდენედ ხდება მოქმედება. იგი გადმოიცემა შესაფერისი ზმნისართით, რომელიც ნაწარმოებია რიცხვითი სახელისაგან (ან განყენებული რიცხვის გამომხატველი სიტყვებისაგან). ამოსავალია რაოდენობითი ან რიგობითი (ზოგჯერ წილობითიც) რიცხვითი სახელები, რომელთაგანაც პირველს (რაოდენობით რიცხვით სახელს) ერთვის -გზის ან, იშვიათად, -ჯერ, -კეცად, -ნაწილად ან წარმოგენილია ვითარებითი ბრუნვის ფორმით:

მაგალითად:

ესე მიიღის ე რ თ გ ზ ი ს კ ვ რიაკესა შინა კაპარსა თანა დამწვილსა მარიამთა: საბა ას. 5,15

ესე ს ა მ ე ზ ი ს გამოხეცხადა იესუ მოწაფეთა თჳსთა: ხანმ. ი 21.14

სცეს მას მახჳლითა ს ა მ გ ზ ი ს: აბო. 73,37

მღდელმან მან... აპკუროს სისხლისა მისგანი შ ჳ დ გ ზ ი ს ცეცხლითა თჳსითა წინაშე ღმრთისა კრეტსაბმელსა მას თანა წმიდასა: ღვთტ. 4.6

და პაელ ესრჱთვე მ რ ა ვ ა ლ გ ზ ი ს ამცნებს შობელთა პატივისცემასა უოველთა: ხანძთ. კთ.[14]

მ რ ა ვ ა ლ გ ზ ი ს მიხილაეს შესაწირაჲი თქუენი: ანტ. რაჟ. 83,31

არა გეტყჳ შენ ვიდრე შ ჳ დ გ ზ ი ს ა მ დ ე, არამედ ვიდრე ს ა მ ე ო ც ა თ ჯ ე რ შ ჳ დ გ ზ ი ს: მ 18,22

და ო რ ა დ განეპა ვიდრე მკრდადმდე: კიმ. I,39.24

განიყვეს ო თ ხ ა დ ნ ა წ ი ლ ა დ: ი 19,23

ა ს წ ი ლ ა დ აღაორძინე ტალანტი: ზარზმ. 182.9

ს ა მ კ ე ც ა დ დგიან კელ-მოქმობით: ცხორ. 59,2

ს ა მ კ ე ც ა დ დასხდიან: იქვე, 59,3

მოუწოდეს კაცსა მას მ ე ო რ ე დ: DE ი 9,24

მეყსეულად მ ე ო რ ე დ ქათამმან ჴმა-ყო: DE მრ 14.72

პამეთ უცომოჲ ვიდრე დღედმდე ო ც და მ ე ე რ თ ე დ მის თჳსა ვიდრე მწუხრადმდე: გამ. 12,18.

ზომისა და ოდენობის გარემოებაა წინადადებაში აგრეთვე ღირებულების აღმნიშვნელი სიტყვები (დანგი, დრაჰკანი...). ასეთი სიტყვები მოსალოდნელი ვითარებითის ნაცვლად ნათესაობით ბრუნვაშია დასმული და არ ახლავს ემფატიკური ხმოვანი -ა. შემდეგ პერიოდში ნათესაობითის ადგილი ვითარებითმა ბრუნვამ დაიკავა[178].

---

[178] ამ მოვლენას ადრე ყურადღება მიაქცია ფ. ც ო რ ე ლ მ ა, რომელმაც ამ ტიპის ნათესაობითი ცალკე გამოიყო: Grammatik zur Altgeorgischen Bibel-

მაგალითად:

მიჰყიდეს იოსებ ისმაიტელთა მათ ოც დრაჰკნის: დაბ. 37,28=მიჰყიდეს... ოც დრაჰკნად.

ღირდა სამასის დრაჰკნის: იპოლ. 2,254=ღირდა სამას დრაჰკნად.

არა ორი სირი ერთის დანგის განხიყიდის: ხანმ. მ 10,29, შდრ. DE ღ 12,6; არა ხუთი სირი განისყიდების ორის დანგის?

მიზეზის გარემოება

§ 172. მიზეზის გარემოების ფუნქციები და გამოხატვის საშუალებანი. მიზეზის გარემოებას ძველ ქართულში გამოხატავენ მიზეზის ზმნისართები, რომელთაც ნაცვალსახელური წარმოშობა აქვთ, და თანდებულიანი სახელები.

თანდებულებიდან უპირატესად გამოყენებულია -თჳს, -განა და ჴამო. იშვიათად გეხვდება მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების ფორმებიც უთანდებულოდ.

-თჳს თანდებული მიზეზის გარემოების გამოსახატავად ერთვის ნაცვალსახელს, რომელსაც აქცევს მიზეზის ზმნისართად. -თჳს თანდებული აგრეთვე გამოყენებულია მასდართან, რომელსაც შეიძლება არსებითი სახელის გაგება ჰქონდეს.

მაგალითად:

ამისთჳს ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ კაცსა მეუფესა: DE მ 18,23

ამისთჳს ეწოდა სახელი ქალაქისაჲ მის სეგორ: დაბ. 19,22

ამისთჳს უცილობელად შემოვედ თქუენდა: მოც. 10,29

რაჲსათჳს მიმპარეთ ბარძიმი ჩემი ვეცხლისაჲ: დაბ. 44,4

ღმერთო ჩემო, ღმერთო, რაჲსათჳს დამიტევებ მე? DE მრ 15,34; შდრ. C: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაჲსა დამაგდებ მე?

ხოლო იყუნეს ოპიზას ძმანი მცირედნი შეკრებულ ქრისტჱს სიყუარულისათჳს: ხანძთ. 323.

ხოლო გული მისი იგლოვდა ძისა თჳსისა განშორებისათჳს: იქვე, კთ11

ხიყუნეს მოწაფენი დამალულ შიშისათჳს პურიათაჲსა: ხანმ. ი 20,19.

-თჳს თანდებულს ზოგჯერ ენაცვლება გამო თანდებული: ამისთჳს მრავალნი მოწაფეთა მისთაგანნი უკუნჰიქეს: ჰაემ. ი 6,66, შდრ. DE: ამის გამო მრავალნი მოწაფეთა მისთაგანნი უკუნიქცეს.

ამისთჳს უნდა პილატეს განტევებაჲ მისი: C ი 19,12, შდრ. DE: ამის გამო უნდა პილატეს განტევებაჲ მისი.

übersetzung mit Textproben und Wörterverzeichnis... გვ. 102. შემდეგ კი დაწვრილებით შეჩერდა ი. იანაიშვილი. იხ. სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 192.

და შემდეგ:

ამის გამო ვერ შემძლებელ ვარი ძლევად მისა: მამ. სწ. 81,24
ცოლი შეირთე და მის გამო ვერ კელმწიფების მისლვაღ: ღ 14,20.

-თჳს თანდებულიან ნათესაობითს ზოგჯერ ენაცვლება უთანდებულო მოქმედებითი ან უთანდებულო ვითარებითი:

და განმრავლებისათჳს უსჯულოებისაჲსა განჴმეს სიყუარული მრავალთაჲ: C მ 24,12, შდრ. DE: და განმრავლებითა უშჯულოებისაჲთა განჴმეს სიყუარული მრავალთაჲ
და რაჲსათჳს არა გრწმენა მისი? DE მ 21,25, შდრ. C: რაღ არა გრწმენა მისი?

-თჳს თანდებული ერთვის აგრეთვე მიზეზ სიტყვას. ამ შემთხვევაში მიზეზის გარემოებას სიტყვა მიზეზი აღნიშნავ. ამის გამო შეიძლებოდა ამ სიტყვას გარემოება გადმოეცა უთანდებულო ფორმითაც. ასეთი გვხვდება კიდეც, მაგალითად, „ჯერ-თუ არს ვისამე განტევებაჲ ცოლისა თჳსისაჲ ყოვლითა მიზეზითა?" C მ 19,3.

ასევე:

ამის მიზეზისათჳს იქმნა გამოსლეაჲ ჩუენი ხანძთით: ხანძთ. ღ14
ამის მიზეზისათჳს ეკსორია-იქმნა გიორგი მონოვატს: ცხორ. 115,2.

მიზეზის გარემოებად ხშირად გვხვდება -გან თანდებულიანი ნათესაობითი:

საეცარ რაჲმე არს და შიშისაგან ღაღად-ყვეს: DE მ 14,26
და აჰა ესერა ძრვა იყო დიდ ზღუასა მას ზედა ვიდრე ნაცისა დაფარვადმდე ღელვათაგან: DE მ 8,24.

-გან (და გამო) თანდებულიანი მიზეზის გარემოების მნიშვნელობით ზოგჯერ უთანდებულო მოქმედებითიც გვხვდება. ალბათ ეს აიხსნება ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვების ფუნქციური სიახლოვით. ამიტომაა, რომ ერთნაირი მნიშვნელობით შეიძლება გვქონდეს, მაგალითად, „სიმრავლისაგან" და „სიმრავლით" ასეთ წინადადებებში: „ვერღარა ეძლო გამოთრევად მისა სიმრავლისაგან თევზთაჲსა": DE ი 21,6 და „ვერ უძლებდეს გამოზიდვად სიმრავლით თევზთაჲთა": C.

ასევე:

მაშინ იწყო სირცხჳლით უკუანაჲკნელსა ადგილსა დაპყრობად: DE ღ 14,9 (აქ სირცხჳლით=სირცხჳლისა გამო).

ნათესაობითში დასმული **-გან** თანდებულიანი სახელი წინადადებაში გამოდის მიზეზის გარემოებად. ეგეც **-გან** თანდებულიანი სახელი ადგილის გარემოებაა ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებთან. **-გან** თანდებული ამ შემთხვევაში მოგვაგონებს **გამო** თანდებულს. ორივე თანდებული ფუნქციის მიხედვით ახლოს დგას ერთმანეთთან.

მიზეზის გარემოებად მათი გამოყენების ასახსნელად სხვა მხარეცაა გასათვალისწინებელი: **-გან** და **გამო** თანდებულებიანი სახელები მაშინაა მიზეზის გარემოებად, როცა მათ ზმნური წარმოშობა აქვთ ან ნაცვალსახელიდან მიღებული ზმნისართები არიან. საერთოა ორივე თანდებულისათვის პირველი შემადგენელი ნაწილიც: გამო=გა+მო, -გან=გა+ნ(ა)[179].

მრავალმხრივ იწვევს ინტერესს თანდებულის ფუნქციით -გზითა ფორმის გამოყენება. -გზითა ზოგჯერ ნახმარია გამო თანდებულის მნიშვნელობით[180]. ასეთ თანდებულიანი სიტყვა წინადადებაში გამოხატავს მიზეზის გარემოებას.

გზითა გზა-სიტყვის მოქმედებითი ბრუნვაა, რომელიც სხვა შემთხვევაში ნათესაობითის ფორმით გვევლინება და უდრის ახალ ქართულის ჯერს (სამგზის=სამჯერ...). მაგრამ გზითა და გზის ფორმებს შორის არის სხვა განსხვავებაც: გზის ერთვის მხოლოდ ფუძეს (ბუთგზის, მრავალგზის...), გზითა კი საზღვრული სიტყვის შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი მსაზღვრელი სიტყვა შეიძლება იყოს შეთანხმებულიც და მართულიც.

მაგალითები:

მისრა გზითა დიდთა შუღლთა შთავეარდი: ცხორ. 33,7.

აქ მისთა გზითა=მის გამო.

ჴრძალვისა გზითა ზღვეაჲ რაჲმე მოვატყუა სულსა შენსა: იქვე. 29,3.

ჴრძალვისა გზითა=მორიდების გამო[181].

მიზეზის გარემოებას გამოხატავს აგრეთვე სახისათჳს:

მაგის სახისათჳს ჩოვედ მე შენდა: შუშ. XVI,14

რომლისა სახისათჳს ქვასა დამკრებთ მეჴ C и 10,32.

---

[179] ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I. გვ. 237.

[180] ა. შახიძე. გიორგი მთაწმიდლის ენა, გვ. 93.

[181] იქვე.

§ 173. მიზნის გარემოების ფუნქციები და გამოხატვის საშუალებანი. მიზნის გარემოება ძველ ქართულში ძირითადად გამოიხატება ვითარებითში დასმული მასდარით, რომელსაც აგრეთვე ინფინიტივის გაგება ჰქონდა. ვითარებითში დასმული მყოფადის მიმღეობებია და -თჳს თანდებულიანი სახელით.

ინფინიტივის გაგებას ვითარებითში დასმულ მასდარს აძლევდა ის გარემოება, რომ მას შესწევდა უნარი პირდაპირი და ირიბი დამატებების შეწყობისა. სხვანაირად რომ ვთქვათ, „ვითარებითში დასმული მასდარი ინფინიტივის ფუნქციებს სინტაქსური თვალსაზრისით ავლენდა, მორფოლოგიურად კი, უფრო სწორად წარმოების მიხედვით, არსებითად განსხვავდებოდა სხვა ენათა ინფინიტივისაგან“[182].

ვითარებითში დასმული მასდარი გარდა პირდაპირი და ირიბი დამატებებისა ზოგჯერ სხვა წევრებსაც იგუებდა (მაგ., „აღუთქუა მას მიცემად იგი სამკჳდრებელად“: მოც. 7,5 და სხვ.), თვითონ კი წინადადებაში გამოდიოდა დამატებადაც. გარემოებადაც ზოგჯერ მას ენაცვლებოდა პირიანი ფორმაც, მაგ., „მათ დღეთა შინა მოვიდა იოვანე ნათლის-მცემელი ქადაგებად უდაბნოსა მას ჰურიასტანისასა“: DE მ 3.1, შდრ. C: „მათ დღეთა შინა მოვიდა იოჰანე ნათლის-მცემელი და ჰქადაგებდა უდაბნოსა ჰურიასტანისასა“.

ვითარებითში დასმული მასდარი სემანტიკურ კავშირშია ვითარებითშივე დასმულ მყოფადის მიმღეობასთან. აღნიშნულია, რომ „მიმართულებით ბრუნვაში დასმული მასდარი უდრის ქართულის ამავე ბრუნვაში დასმულ მყოფადის მიმღეობას და მიზანს აღნიშნავს“[183].

მიზნის გარემოების გამოსახატავად გამოყენებულია -თჳს თანდებულიანი სახელიც. -თჳს თანდებულიანი სახელი აგრეთვე გამოყენებულია მიზეზის გარემოების აღსანიშნავადაც. ერთი მხრივ, ვითარებითში დასმული მასდარი და ამავე ბრუნვაში დასმული მყოფადის მიმღეობის გამოყენება ერთი ფუნქციით — მიზნის გარემოების გამოსახატავად და, მეორე მხრივ, თჳს თანდებულიანი სახელის გამოყენება მიზეზისა და მიზეზის გარემოებათა გადმოსაცემად არა ერთ საინტერესო საკითხს აყენებს.

[182] არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, 1955, გვ. 45.

[183] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მასდარისა და მიმღეობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, 1951, გვ. 41.

-თჳს თანდებულიანი სახელი გვაქვს პირმოუმართავ დამატებათა გამოსახატავადაც. ამიტომ იგი სპეციალურ ძიებას საჭიროებს.

მასდარისა და მყოფადის მიმღეობის თანაბრად გამოყენება მიზნის გარემოების აღსანიშნავად აიხსნება იმით, რომ მიზნის გარემოების, როგორც წინადადების წევრის, ჩამოყალიბება წინ უსწრებდა მასდარისა და მიმღეობის დიფერენციაციას ..მიმღეობისა და მასდარის დიფერენციაცია მერმინდელია. ეს აპრიორი ცხადია, თუ გავითვალისწინებთ, რა საწარმოებლები გააჩნდა მასდარსა და მიმღეობას ისტორიულად: პრეფიქსიცა და სუფიქსიც ორივეს მოეპოვებოდა. სუფიქსი ფუძის დეტერმინანტი იყო, ე. ი. ისეთი აფიქსი იყო, რასაც ეკისრებოდა ზმნური ფუძის სახელად კაფორმება: -ა, -ალ, -ელ, -ურ... სუფიქსები მასდარსა და მიმღეობას საზიარო ჰქონდათ პირველადს სახელებთან (ძმ-ა, ძუ-ალ, ჯ-ელ, ყ-ურ...)«[184].

ძველი ქართულის მონაცემები ამ მხრივ ასეთ სურათს გვაძლევენ:

ა) მ ი ზ ნ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა ს გ ა მ ო ხ ა ტ ა ვ ს ვ ი თ ა რ ე ბ ი თ შ ი დ ა ს მ უ ლ ი მ ა ს დ ა რ ი:

ერთობით მიიწინეს ყოველნი შატბერდს ძ ი ე ბ ა დ წმიდისა მის: ხანძრ. ობა$_4$.

მიეიდა ციხედ ხ ი ლ ვ ა დ სანატრელისა შუშანიკ მარტჳლისა: შუშ. XVI,4

შე ბ რ ძ ო ლ ა დ წარვალ პონთა ზედა: იქვე. VII,34

გამოვიდა მთესველი თ ე ს ვ ა დ: DE მრ 4,3

წარვიდა იგი კ ი თ ხ ვ ა დ: დაბ. 25.22

დასხდეს იგინი ჰ ა მ ა დ პერისა: იქვე. 37,25

გამოვიდა შჳეველი ერთი ს მ ე ნ ა დ: მოც. 12,13

ვინ ვარსკელავსა ამას არწმუნოს განმზადებელსა ს რ ბ ა დ: მრავალთ.: 278,12.

ბ) მ ი ზ ნ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა ს გ ა მ ო ხ ა ტ ა ვ ს ვ ი თ ა რ ე ბ ი თ შ ი დ ა ს მ უ ლ ი მ ო მ ა ვ ლ ი ს მ ი მ ღ ე ო ბ ა:

ხოლო დედაკაცმან მან მოიყუანა... შ ე ს ა წ ი რ ა ვ ა დ ორი ზროხაჲ: ხანძთ. მვ$_2$

---

[184] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მასდარისა და მიმღეობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში, გვ. 47.

აწ ესმ სიტყუანი... გუესმიან ღმრთივ-სულიერთაგან წიგნთა სასწაულ ად: იქვე, კთ35

მაშინღა მსწრაფლ მოიღო სანატრელმან მან ეპისკოპოსმან იოვანე შესაგრაგნელად სუდარი წმიდაჲ: შუშ. XIX,1

იდეა იგი წინაშე უცხო-თესლთა მათ სამღერელად: ისტ. კრ. 304.15

მივსცნეთ კორცნი თქუენნი შესაჭმელად ძაღლთა: წარტყვ. მეიი

მოართუა მას წყალი ფერკთა საბანელად: დაბ. 24.32

იყოს იგი საკსენებლად ძეთა ისრაჱლისათა: გამ. 30.16.

მიზნის გარემოების გამოსახატავად გამოყენებულია აგრეთვე **-თჳს** თანდებულიანი მასდარიც და მიმღეობაც.

მაგალითად:

დაკლა კბოჲ იგი დ(ა) ვერძი შესაწირავისად ცხორებისათჳს ერისა: ლევიტ. 9,18

უკუანაჲსკნელ საკმარ იყო წამალი ძლიერი სალმობათათჳს ბოროტთა: მრაველთ. 298,29

ხოლო აღდგომისათჳს მკუდართაჲსა არა აღმოგიჩინხუსა თქუმელი იგი ღმრთისა მიერ: DE მ 22,31

და არიან საჴურისნი, რომელთა გამოისაჴურისნეს თავნი თჳსნი სასუფეველისათჳს ცათაჲს: DE მ 19,12.

-თჳს თანდებულიანი სახელი და თვით ზმნისართიც კი თითქოს მიზეზისა და მიზნის გარემოებათა მიჯნაზე არიან. ხშირად ჭირს მათი გამიჯვნაც.

§ 174. გარემოება, როგორც სინტაქსური ერთეული. გარემოების, როგორც სინტაქსური ერთეულის, ბუნების დასახასიათებლად შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

1. გარემოებას ვამოხატავს ზმნისართი ან ზოგჯერ სხვა მეტყველების ნაწილი, რომელსაც ზმნისართის დანიშნულება აქვს. ზოგჯერ ანგარიში ეწევა სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობასაც. მაგრამ კონტექსტში სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს იმის მიხედვით, თუ რა დანიშნულებითაა წინადადებაში ნახმარი. ამით უნდა აიხსნას ის, რომ ერთი და იგივე სიტყვა ხან დამატებაა, ხან გარემოება. მაგალითად, წინადადებაში — „ჴელმწიფჲ იგი სიხარულითა აღივსო მონასტრისა მის შჳნებისათჳს“ (ხანძთ. კნ) — სიხარულითა პირმიუმართავი დამატებაა, მაგრამ წინადადებაში — „იგი სიხარულითა მიეგებაჲ ძესა თჳსსა“ (იქვე, კთ18) — სიხარულითა ვითარების გარემოებაა. რაც შეეხება სიტყვათა ურთიერთობას, აქაც სხვაობაა: ფუნ-

ქციის შესაბამისად პირმიუმართავი დამატება წინადადების მარ-
თული წევრია, გარემოება კი მირთული.

2. მიცემითი ბრუნვა ერთ შემთხვევაში გამოხატავს ადგილის გარემოებას („შესხნეს იგინი საყროველსა": მოც. 16,23). მეორე შემთხვევაში — დროის გარემოებას („ხოლო დასაბამსა არა ეგრე იყო"...: DE მ 19,8).

მიცემითი ბრუნვა გამოხატავს დამატებასაც და ადგილის გარემოებასაც იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათ შორის არაა ლექსიკური სხვაობა; მაგალითად, ავიღოთ ასეთი წინადადებები: „ეკუეთა მდინარჱ იგი სახლსა მას": DE ლ 6.48 და „მოვიდა იესუ სახლსა მის მთავრისასა": DE მ 9.23. აქ პირველ მაგალითში მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი „სახლსა" ირიბი დამატებაა, მეორეში — ადგილის გარემოება. მათ შორის ლექსიკური სხვაობა არა გვაქვს, მაგრამ სხვაობაა ფუნქციაში, სხვაობაა ურთიერთობაშიც: პირველი მართულია, მეორე — მირთული. აქ თავს იჩენს სიმწვავე: ჭირს ზღვარის გავლება მართვასა და მირთვას შორის.

ასევე: წინადადებაში „და მოვიდეს წყაროსა მას საშჯელისასა": დაბ. 14,7 — წყაროსა ადგილის გარემოებაა და უკავშირდება შემასმენელს — „მოვიდეს". ასეთივე სინტაქსური კავშირია მეორე წინადადებაშიც, სადაც აგრეთვე შემასმენლად გვაქვს „მოვიდეს" ზმნა, მაგრამ მიცემითში დასმული სახელი დროის გარემოებაა, რადგანაც მისი ლექსიკური მნიშვნელობა დროზე მიუთითებს, მაგალითად: „ნიად განთიადსა მას... მოვიდეს საფლავსა მას": ხანმ. მრ 16,2.

სინტაქსური ურთიერთობის მიხედვით ორივე შემთხვევაში გვაქვს მირთვა. ამ შემთხვევაში ერთნაირია გარემოებათა ფორმებიც და შემასმენლებიც. რომელთაც ეს გარემოებები უკავშირდებიან; მაგრამ პირველი ადგილის გარემოებაა, მეორე — დროისა. რატომ? იმიტომ, რომ პირველი სემანტიკურად ადგილს გამოხატავს, მეორე — დროს. აქ ადგილისა და დროის გარემოებათა გამიჯვნად უძლურია სინტაქსური ურთიერთობაც და გრამატიკული ფორმაც.

3. სხვა მაგალითების დასახელებაც შეიძლება: შინა თახდებულიანი მიცემითი გამოხატავს პირმიუმართავ დამატებასაც („ათურამეტი წელი დაეყო სნეულებასა შინა": C ი 5.5), ადგილის გარემოებასაც („დღითი-დღედ ვიყავ მე თქუენ თანა ტაძარსა შინა": DE ლ 22.53) და დროის გარემოებასაც („არა იყოს სივლტოლაჲ თქუენი ზამთარ-

სა შინა“: DE მ 24,20). ფორმის მიხედვით მათ შორის არაა განსხვავება, მაგრამ პირველი („სნეულებასა შინა“) უპირისპირდება ორ დანარჩენს იმით, რომ ნაზმნარი სახელია, მასდარია. უკანასკნელი ორიდან პირველი („ტაძარსა შინა“) გამოხატავს ადგილს, მეორე („ზამთარსა შინა“) — დროს. შესაფერისია ფუნქციაც.

-ზედა თანდებულიანი მიცემითი ერთ შემთხვევაში პირმიუმართავ დამატებას გამოხატავს („აღდგეს ნათესავა ნათესავსა ზედა“: მ 24,7), მეორე შემთხვევაში — ადგილის გარემოებას („ნუუკუე დაცკვენ გზასა ზედა“: მ 15,32).

-თჳს თანდებულიანი ნათესაობითი ერთ შემთხვევაში გამოხატავს პირმიუმართავ დამატებას („ერთი კაცი მოკუდეს ერისათჳს“: DE ი 11,50), მეორე შემთხვევაში — მიზეზის გარემოებას („კეთილისა საქმისათჳს ქვასა არა დაგკრებთ“: ი 10,33) და მესამე შემთხვევაში — მიზნის გარემოებას („და დაკლა კბოდ იგი და ვერძი შესაწირავისად ცხორებისათჳს ერისა“: ლევიტ. 9,18).

ზედა და **თანა** თანდებულიანი ფორმები თანაბრად გამოხატავენ ადგილის გარემოებას:

ორნი ბრძანი სხდეს გზასა ზედა: DE მ 20,30. შდრ. C: ორნი ბრძანი სხდეს გზასა თანა.

რომელიმე დავარდა გზასა ზედა: DE მრ 4,4. შდრ. C: რომელიმე დავარდა გზასა თანა.

რომელ-ივი გზასა ზედა დაეთესა: DE მ 13,19. შდრ. C: რომელი— გზასა თანა დაეთესა.

ასევე **ზედა** და **შინა** თანდებულიანი ფორმებიც ერთნაირად გამოხატავენ ადგილის გარემოებას:

არა-მე დაუტევნესა ოთხმეოც და ათცხრამეტნი იგი მთათა შინა: DE მ 18.12. შდრ. C: არა-მე დაუტეოს ოთხმეოც და ცხრამეტნი იგი მთასა ზედა.

4. წინადადების ერთი და იგივე წევრი გვხვდება სხვადასხვა ფორმით. მაგალითად:

ვითარების გარემოება: „მისლვასა ჩუენსა იერუსალჵმდ მხიარულებით შემიწყნარნეს ჩუენ ძმათა“: მოც. C 21,17 და „მხიარულად შემიწყნარნეს ჩუენ ძმათა“: იქვე: L. მოქმედების ენაცვლება ვითარებითი.

ასევე:

ადგილის გარემოება: „აღღებულ არს ქუეყანისაგან ცხოვრებად მისი“: მოც. C 8.33 და „აღებულ არს ქუეყანით ცხო-

რებად მისი“: იქვე, ქ. პირველი წინადადების ადგილის გარემოება თანდებულიან ნათესაობითშია, მეორისა — მოქმედებითში (დაწყებითში) და ა. შ.

სინტაქსური ურთიერთობის მიხედვით გარემოება ყოველთვის მირთულია. ხან მიერთვის გარემოება უშუალოდ, ხან გარემოება მართულია თანდებულის მიერ და მირთულია თანდებულიანად.

5. წინადადების სინტაქსური ანალიზი ემყარება შეთანხმებას, მართვასა და მირთვას. მაგრამ სხვადასხვა გარემოების გასამიჯნავად ან საერთოდ წინადადების წევრთა გამოსაყოფად მხოლოდ სინტაქსური ანალიზი არაა საკმარისი: მართული შეიძლება იყოს დამატებაც და განსაზღვრებაც. ამავე დროს საერთოდ მირთულია გარემოება. მაშასადამე, მირთვის მიხედვით ჩვენ ერთმანეთისაგან ვერ განვასავებთ ადგილის, დროის, ვითარების ან სხვა სახის გარემოებას.

6. არ შეიძლება წინადადების წევრები დავუკვემდებაროთ მეტყველების ნაწილებს: წინადადების წევრთა ანალიზი ადასტურებს, რომ ერთი და იგივე მეტყველების ნაწილი შეიძლება მოგვევლინოს სხვადასხვა წევრად, მაგალითად, არსებითი სახელი შეიძლება იყოს ქვემდებარედაც, შედგენილი შემასმენლის ნაწილადაც, დამატებადაც. გარემოებადაც და განსაზღვრებადაც.

აბულაძე ილ. 13, 83
ადმონი ვ. 320
აკანესოვი რ. 72
ანტონი I, 2, 3, 7, 14, 206, 207, 262
აპოლონიოს დისკოლო 21, 22, 59
არველედიანი გ. 61, 79, 88
ახმანოვა ო. 21

ბაბუნაშვილი ე. 2, 301
ბარამიძე ა. 83
ბასილაია ნ. 103
ბარხუდაროვი ს. 61, 66
ბაქრაძე კ. 63
ბენაშვილი ა. 8, 262
ბერძენიშვილი ნ. 140
ბლუმფილდი ლ. 25
ბობოვიჩი ა. 64
ბოგოროდიცკი ვ. 66, 67
ბოკარევი ე. 148
ბოოსტი კ. 74, 75
ბრიერი მ. 12, 83, 84
ბუდაგოვი რ. 29, 31
ბულახოვსკი ლ. 66
ბუსლაევი თ. 15, 26; 64, 67, 68, 70

გაიოზი 145
გალკინა-ფედორუკი ე. 31, 34, 67, 103
გამყრელიძე თ. 123
გვენცაძე ა. 121
გვოზდევი ა. 66
გორგაძე ს. 68, 145
გრანდე ბ. 269
გრეჩი ნ. 67

დავიდოვი ი. 67, 68
დავით ბატონიშვილი 3, 207, 262
დეეტერსი გ. 12, 274
დიონისე თრაკიელი 59
დირი ა. 237
დმიტრევსკი ა. 68
დობიაში ა. 26, 73
დოდაშვილი ს. 5
დონდუა კ. 12, 127, 128, 131, 132, 151, 152, 274
დროზდოვი ა. 63

ვანდრიესი ჟ. 116
ვეისმანი ა. 75, 76
ვინოგრადოვი ვ. 21, 26—28, 37, 62, 104, 107. 165
ვოსტოკოვი ა. 14, 67
ვუნდტი ვ. 65

ზიგვარტი ხ. 63
ზურაბიშვილი თ. 212

თევზაძე ჯ. 171
თოფურია ვ. 11, 12, 34—36, 58. 113. 123, 143, 145. 151—153, 169, 187. 189, 190, 192—194, 197, 202. 207. 220. 237. 239, 242, 253, 257. 260. 263. 290. 292, 294. 296. 311, 312

იარცევა ვ. 21, 24, 25
იესპერსენი ო. 65, 66
იმნაიშვილი დ. 129
იმნაიშვილი ივ. 12, 13. 45. 50, 53. 114, 117. 119, 133, 135. 162, 165. 172, 176. 177, 187. 189—192. 204. 207. 209, 212. 216, 226. 228. 230, 231. 237—239. 241—244. 248. 249. 255, 257, 260, 266. 269. 272—277. 279. 299, 304, 305, 320. 322
ისტრინა ე. 61

კალაძე ც. 12, 216, 225. 251
კარიჭაშვილი დ. 262
კახაძე ვ. 216
კეკელიძე კ. 13, 184, 185, 201
კვაჭაძე ლ. 10, 99. 165, 175, 187, 209, 274
კვიცარიძე პ. 262
კიზირია ა. 140, 144, 266
კიკნაძე ლ. 274
კლაპროთი ჰ. 207
კლასოვსკი ვ. 135, 136
კოლშანსკი გ. 72, 73
კრიუჩკოვი ს. 61. 66
კროტევიჩი ე. 59. 60, 98
კუდრიავსკი დ. 60

ლერხი ე. 59
ლომთათიძე ქ. 84. 85, 248. 312
ლომთაძე ე. 129
ლომონოსოვი მ. 14. 27
ლომტევი ტ. 30, 31, 73, 74

მარი ნ. 12. 13. 83. 84. 122, 146, 147, 152. 188. 197. 201, 202, 242, 263, 310—312
მარტიროსოვი ა. 12. 50, 162, 184, 190, 195. 201. 202. 203. 209, 287, 317, 324, 325
მაჭავარიანი გ. 212
მაჭავარიანი მ. 2
მაყაშვილი ა. 31
მეიე ა. 57, 116
მეშჩანინოვი ი. 25. 30. 31. 68. 103, 104
მილი ჯ. სტ. 63
მინტო ვ. 64

ნემიროვსკი მ. 248
ნიკოლაიშვილი ი. 262

ოვსიანიკო-კულიკოვსკი დ. 26

პაული ჰ. 320
პეტერსონი მ. 15. 16. 19, 21, 23, 26. 27. 36, 65. 73
პეშკოვსკი ა. 16—19. 21, 23, 25—27, 36, 66. 71. 81, 92. 93, 102, 103, 107, 108
პოპოვა ი. 94
პოპოვი ა. 64, 66
პოპოვი პ. 63, 77
პოტებნია ა. 15, 23, 26. 60, 63. 66, 102. 103, 111, 165

ჟინკინი ნ. 81, 82
ჟორდანია თ. 5—8. 111, 262
ჟენტი ს. 88

რეფორმატსკი ა. 65, 66
რისი ჯ. 17, 23, 25, 27, 59, 102
როზანა გ. 12. 83, 197, 212, 253, 254, 294, 296
როზენი გ. 193

სეჩენი ე. 61, 110
სიხარულიძე ი. 165
სტეპანოვი ი. 63
სუხოტინი ვ. 16, 20—24. 36

ტაქანეცი პ. 63

უზნაძე დ. 107
ურუშაძე თ. 156, 305

ფორტუნატოვი ფ. 15, 19, 21—23, 25, 26. 29, 36

ქავთარაძე ივ. 107, 143
ქანთარია ლ. 225
ქართველიშვილი ი. 3. 4
ქუთათელაძე ა. 8, 262
ქურციკიძე ც. 198

ღლონტი ა. 320

უკუხნიშვილი თ. 83, 84
უკუხნიშვილი ს. 304
უიფრინი დ. 146. 262
უიფშიძე ი. 13. 83, 212

შალამბერიძე გ. 283, 285
შანიძე ა. 9, 10, 12, 13, 36. 61. 68, 83, 106—108. 116. 117, 123, 124, 127. 129, 145—147, 151, 152, 161. 162, 165, 167, 170, 177, 189, 190, 194, 195, 202, 203, 208—212, 218. 220, 226, 228, 237, 239, 242. 243. 248, 257, 260, 263, 310, 311. 317, 324
შანიძე მ. 13
შაპირო ა. 72
შარაძენიძე თ. 12, 45, 46, 191, 206, 207
შახმატოვი ა. 19—21, 23. 26, 31, 61, 68—71, 101, 103, 107, 320
შილაკაძე ი. 240

შუხარდტი ჰ. 12, 64, 102, 103, 147, 148
შჩერბა ლ. 60, 102, 314

ჩიქობავა ა. 3, 10—12, 15, 16, 20, 22, 34—39, 41, 58—60, 62, 63, 68—70, 75, 79, 83, 105, 106, 111, 113, 115—117, 122—125, 127—130, 132, 134, 140—148, 152, 155, 166, 167, 169, 188—191, 211, 237, 239, 240, 244, 253, 260, 263, 270, 290, 292, 296, 297, 307, 308, 311, 312, 325, 326
ჩუბინაშვილი ი. 3, 4, 207, 262
ჩხენკელი სტ. 12, 115, 117, 228, 260, 274, 293

ცაგარელი ა. 146
ცერცვაძე ი. 129
ცინცაძე მ. 113
ცორელი ფ. 12, 207, 274, 321

ძიძიგური შ. 190
ძოწენიძე ქ. 294, 307

წერეთელი კ. 259

ქავქავაძე ი. 106

ხახანაშვილი ა. 148

სულხანიშვილი სილ. 9, 165, 262

ჯავახიშვილი ივ. 13, 123
ჯანაშვილი მ. 8, 9, 111, 148, 262
ჯანელია ს. 254, 300

სარჩევი

შემოკლებათა განმარტება V—VIII

შესავალი 1—13

თავი პირველი

შესიტყვება 14—58

თავი მეორე

მარტივი წინადადების აგებულება 59—76

თავი მესამე

მარტივი წინადადების ტიპები 77—100
თხრობითი წინადადება 79
კითხვითი წინადადება 81
ბრძანებითი წინადადება 89
ემოციური წინადადება 90
სრული და უსრული წინადადება 92
გაუვრცობელი და გავრცობილი წინადადება 97

თავი მეოთხე

ერთშემადგენლიანი წინადადება 101—110

თავი მეხუთე

წინადადების მთავარი წევრები 111—181
1. ქვემდებარე 111
2. პირმიმართი დამატებები 144
პირდაპირი დამატება 146
ირიბი დამატება 158

3. შემასმენელი 164
მარტივი შემასმენელი 166
რთული შემასმენელი 174

თავი მეექვსე

წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები 182—330
1. პირმიუმართავი დამატება 182
2. განსაზღვრება 215
ატრიბუტული განსაზღვრება 215
მართული განსაზღვრება 252
მართულ-შეთანხმებული განსაზღვრება 256
3. გარემოება 283
ადგილის გარემოება 283
დროის გარემოება 297
ვითარების გარემოება 309
ზომისა და ოდენობის გარემოება 321
მიზეზის გარემოება 322
მიზნის გარემოება 325
პირთა საძიებელი 331

Антон Иосифович Кизириа

СОСТАВ ПРОСТОГО ПРЕДЛОЖЕНИЯ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ი ვ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი

გამომცემლობის რედაქტორი გ. გ ო გ ი ა ვ ა
კორექტორი ც. ჯ ი მ შ ე ლ ე ი შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 1.6.1963; ანაწყობის ზომა 6×10; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 2.12.1963; ქაღალდის ზომა 60×92 1/16;
ქაღალდის ფურცელი 10,94; საბეჭდი ფურცელი 21,88; საავტორო
ფურცელი 19,24; საღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 19,52;
შეკვეთა 782; უე 03794; ტირაჟი 1000
ფასი 1 მან. 44 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5

შემჩნეულ შეცდომათა გასწორება

გვ.	სტ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
17	ქვ. 6	Руский	Русский
23-24	ქვ. 3,4	არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში	В. Сухотин, Проблема словосочетания
144	ზემ. 17	პირიმართი დამატებები	2. პირმიმართი დამატებები
181	ზემ. 13	თანაერთი	თანასაერთი
187	ქვ. 18	თოხი	ჯოხი
260	ზემ. 2	ქალაქ-თა	ქალაქთა
316	ქვ. 17	Ქ: რედაქციაში	Ქ რედაქციაში

ა. კიზირია